

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University


პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

Faculty of Humanities

ენათმეცნიერების საკითხები

ISSUES OF LINGUISTICS

2015



## **სარგებლობის საბჭო:**

- ვ. ბოედერი, ი. გიაშვილი, ჯ. გიუნაშვილი, დ. თვალთვაძე,  
ბ. უტიე, ჰ. ფერნიში, მ. შანიძე, ზ. ჭუმბურიძე, ა. პარისი

## **EDITORIAL COUNCIL:**

W. Boeder, Z. Chumburidze, H. Fähnrich, J. Gippert, J. Giunashvili,  
A. Harris, B. Outtier, M. Shanidze, D. Tvaltvadze

## **სარგებლობის კოლეგია:**

- თ. გამყრელიძე (მთავარი რედაქტორი),  
ი. ლეჟავა (მთავარი რედაქტორის მოადგილე),  
რ. ასათიანი, თ. ბოლქვაძე, ნ. გაფრინდაშვილი, მ. ივანიშვილი,  
დ. მელიქიშვილი, ე. სოსელია, ლ. ქეცბა-ხუნდაძე, პ. ცხადაია, მ. ჯიქია

## **EDITORIAL BOARD:**

**Th. V. Gamkrelidze** (Editor-in-Chief),

**I. Lezhava** (Deputy Editor-in-Chief),

R. Asatiani, T. Bolkvadze, N. Gaprindashvili, M. Jikia, M. Ivanishvili,

L. Ketsba-Khundadze, D. Melikishvili, E. Soselia, P. Tskhadaia

*ეურნალი დაარსებულია 1999 წელს თამაზ გამყრელიძისა და  
ზურაბ სარჯველაძის მიერ*

*The journal was founded in 1999 by Thomas V. Gamkrelidze  
and Zurab Sarveladze*

გამოცემულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო საგამომცემლო საბჭოს გადაწყვეტილებით

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2016

ISSN 1512-0473



ეძღვნება შოთა გაფრინდაშვილის დაბადებიდან 100 წლისთავს

*Dedicated to the 100<sup>th</sup> birth anniversary of Shota Gaprindashvili*



## შოთა გაფრიდეაშვილი – 100

### მოგონება

1958 წელს გმუშაობდი სპარსული ენის მასწავლებლად ტაშკენტის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე. ბატონმა გიორგი წერეთელმა გამოიჩინა დიდი სულგრძელობა და შემომთავაზა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ახლოაღმოსავლური ენების განყოფილებაში უმცროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობა, რაც მე უღრმესი მადლიერებით მივიღე.

განყოფილებისა და ინსტიტუტის თანამშრომლებმა გულთბილად მიმიღეს. ცოტა ხნის შემდეგ ენათმეცნიერების ინსტიტუტის ექსპერიმენტული ფონეტიკის ლაბორატორიის გამგემ, ბატონმა შოთა გაფრინდაშვილმა დამისვა რამდენიმე კითხვა სპარსული ფონეტიკის საკვანძო საკითხების შესახებ. ეს საუბრები გაგრძელდა და ერთ მშვენიერ დღეს ბატონმა შოთამ შემომთავაზა სპარსული ფონეტიკის საკითხებზე მუშაობა.

მე ბატონი გიორგი ჩავაყენე საქმის კურსში. ბატონმა გიორგიმ ბრძანა: „პროფესორი შოთა გაფრინდაშვილი ფრიად კომპეტენტური მკვლევარი და ექსპერიმენტატორია. კარგი იქნება, თუ ითანამშრომლებთ მასთან“. ასე დაიწყო ბატონ შოთასა და ჩემი ერთობლივი მუშაობა სპარსული ენის ფონეტიკის საკითხებზე.

თავდაპირველად ბატონმა შოთამ ბრძანა დეტალური მოხსენებითი ბარათის შედგენა სპარსული ფონეტიკის საკითხებზე სამეცნიერო ცენტრებში ჩატარებული კვლევების შესახებ. ბატონი შოთას ბრძანების შესრულებას მოვუნდი თითქმის ორი თვე. მოვამზადე ვრცელი მიმოხილვა 1875 წლიდან 1961 წლამდე.

აღმოჩნდა ბევრი საინტერესო ფაქტი. შევეხები რამდენიმეს: აღმოჩნდა, რომ სპარსული ენის თანხმოვანთა რიცხვი ზოგი მკვლევრის მიერ განისაზღვრება 22 თანხმოვნით (J. Kramsky 1947; B. Rastorgueva 1953...), ზოგის მიერ – 23 თანხმოვნით (Ю. Рубинчик 1960...). ზოგი მკვლევარი თვლის, რომ სპარსული ხმოვნები განირჩევიან ერთმანეთისგან „სიგრძე-სიმოკლით“ (M. Shaki 1957; A. Lambton 1957...); ზოგს მიაჩნია, რომ სპარსული ენის ხმოვნების დაპირისპირება „განისაზღვრება სხვადასხვა ფაქტორებით“ (J. Kramsky 1939...). ამრიგად, სპარსული ენის ფონეტიკური სისტემის არაერთი საკვანძო საკითხი ჩვენ ახლებურად და საფუძვლიანად უნდა შეგვესწავლა.

დიდი დრო მოვანდომეთ დიქტორების შერჩევის საქმეს. ბოლოს შევარჩიეთ სამი წიგნიერი თეორანის მკვიდრი: ახალგაზრდა მანდილოსანი, ხანდაზმული და სამუალო ასაკის ორი მამაკაცი. დიქტორების მიერ წარმოთქმული ბგერის შესწავლა ითვალისწინებდა რენტგენოგრაფიულ, ოსცილოგრაფიულ და სპექტროგრაფიულ ანალიზს.

დიდი მოცულობის მასალის დამუშავებაში დახმარება გაგვიწიეს ენათმეცნიერების ინსტიტუტის ლაბორატორიის ინჟინერმა ი. სტრელნიკოვმა და აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგებ ა. ციბულევსკიმ და ლაბორანტმა გ. ზალდასტანიშვილმა.

1964 წელს ბატონ გიორგი წერეთლის რედაქტორობით გამოიცა წიგნი „სპარსული ენის ფონეტიკა“ (რუსულ ენაზე, 225 გვ.). ნაშრომმა დაიმსახურა მრავალი დადებითი შეფასება, ხოლო მე, ბატონი შოთას წყალობით, შევიძინე დიდი გამოცდილება. ღმერთმა აცხონოს ბატონი შოთას სული.

ჯემშილ გიუნაშვილი

**შოთა გაფრიდეაშვილის სამეცნიერო შრომების ბიბლიოგრაფია**

**1937**

1. ანგარიშები 1937 წლის საზაფხულო მივლინებისა ქართლური კილოს შესწავლად და ქართლური დიალექტოლოგიური მასალების შესაგროვებლად: წითელქალაქი (კასპის რაიონი), ნ. მარის სახ. ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე, ტ. II, თბილისი 1937, გვ. 277.

**1939**

2. საანგარიშო მოხსენება დარგუულ ენაზე ჩატარებული მუშაობისა, ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე, ტ. IV, თბილისი 1939, გვ. 253-262.

**1941-1942**

3. აულ ხოჭალ-მაქ'ის მეტყველების ფონეტიკური თავისებურებანი (საკანდიდატო დისერტაციის თეზისები), თბილისი 1941, 7 გვ. [Фонетические особенности цудахарского диалекта даргинского языка (Тезисы кандидатской диссертации)].
4. დარგუული ენის წუდაკარული დიალექტის ფონეტიკური თავისებურებანი (აულ ხოჭალ-მაქ'ის მეტყველების მასალათა მიხედვით), ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე, ტ. XII, თბილისი 1942, გვ. 199-203, 204-207 (ტექსტი ქართულ და რუსულ ენებზე).

**1947**

5. დარგუული ენის წუდახარული დიალექტის მორფოლოგიური თავისებურებანი. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნ. მარის სახელობის ენის ინსტიტუტის IV სამეცნიერო სესია, თბილისი 1947, მოხსენებათა თეზისები, გვ. 7-9.

**1948**

6. მიცემითი ბრუნვის ფორმანტების გენეზისისათვის დარგუულში, „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, ტ. II, თბილისი 1948, გვ. 215-228 (რეზიუმე რუსულ ენაზე).
7. ფონетические особенности цудахарского диалекта даргинского языка (по данным говора аула Хожал-Махьи). Сборник «Языки Дагестана», т. I, Махачкала 1948, стр. 105-135.

## 1952

8. დარგუული ენის კილო-თქმათა კლასიფიკაციის საკითხისათვის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის III (IX) სამეცნ. სესია, თბილისი 1952, მოხსენებათა თეზისები, გვ. 22-24, 55-57 (ტექსტი ქართულ და რუსულ ენებზე).
9. ენის განვითარების ბუნების შესახებ, „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, ტ. III, თბილისი 1952, გვ. 181-206 (რეზიუმე რუსულ ენაზე).
10. ი. სტალინის მოძღვრება ენის როგორც საზოგადოებრივი მოვლენის შესახებ, სტალინირის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. I, 1952, გვ. 25-52.
11. ქსნის ხეობის მეტყველების ადგილისათვის ქართული ენის კილო-თქმათა შორის, სტალინირის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქართულ და ოსურ ენათა კათედრის სამეცნიერო სესია, სტალინირი 1952, მოხსენებათა თეზისები, გვ. 5-11.

## 1953

12. ნიშა „თქვენ“ ნაცვალსახელის ფორმის გენეზისისათვის ხაიდაყურში, „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, ტ. IV, თბილისი 1953, გვ. 161-171 (რეზიუმე რუსულ ენაზე).
13. სახელთა მრავლობით რიცხვის ფორმების წარმოება დარგუულსა და ლაკურში, „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, ტ. V, თბილისი 1953, გვ. 217-263 (რეზიუმე რუსულ ენაზე).

## 1954

14. ბგერათშესატყვისობისათვის დარგუულსა და ლაკურში, „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, ტ. VI, თბილისი 1954, გვ. 281-326 (რეზიუმე რუსულ ენაზე).

## 1955

15. ენის განვითარების შინაგანი კანონზომიერების ობიექტურობის საკითხისათვის, სტალინირის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. II, 1955, გვ. 181-202.
16. ლაბიალიზაციის ბუნებისათვის ზოგ იბერიულ-კავკასიურ ენაში, „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, ტ. VII, თბილისი 1955, გვ. 229-273 (რეზიუმე რუსულ ენაზე).
17. სპირანტთა აფრიკატიზაციის საკითხისათვის ზოგ იბერიულ-კავკასიურ ენაში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის VI/XII/ სამეცნიერო სესია, თბილისი 1955, მოხსენებათა თეზისები, გვ. 29-31, 52-54 (ტექსტი ქართულ და რუსულ ენებზე).

## 1956

18. აფრიკატთა და აფრიკატიზაციის პროცესის ბუნებისათვის იბერიულ-კავკასიურ ენებში, სტალინირის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის XVII სამეცნიერო სესია, სტალინირი 1956, მოხსენებათა თეზისები, გვ. 29-35.
19. Образование и функции основных падежей в диалектах даргинского языка, Труды Сталинского гос. педагогического инст-та, т. III, 1956, стр. 331-377.
20. Система склонения имен существительных в диалектах даргинского языка, «Иберийско-кавказское языкознание», т. VIII, Тбилиси 1956, стр. 479-512.

## 1957

21. Образование и функции направительных и местных падежей в диалектах даргинского языка, Труды Сталинского гос. педагогического инст-та, т. IV, 1957, стр. 283-330.

## 1958

22. ველარიზაციის როლისათვის ბაგისმიერთა და წინაენისმიერ სპირანტთა არტიკულაციაში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის XV სამეცნიერო სესია, თბილისი 1958, მოხსენებათა თეზისები, გვ. 17-18, 28-29 (ტექსტი ქართულ და რუსულ ენებზე).
23. Фонетические изменения гласных и дифтонгов в даргинском языке, Труды Сталинского гос. педагогического инст-та, т. V, 1958, стр. 187-221.

## 1959

24. სისინა და შიშინა სპირანტების წარმოების თავისებურებისათვის (ზოგი იბერიულ-კავკასიური ენის მასალების მიხედვით), „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, ტ. XI, თბილისი 1959, გვ. 77-105 (რეზიუმე რუსულ ენაზე).
25. Фонетические изменения звуковых комплексов в даргинском языке. Труды Тбилисского гос. педагогического инст-та им. А.С. Пушкина, т. XIII, Тбилиси 1959, стр. 365-388 (Резюме на грузинском языке).

## 1960

26. საწარმოთქმო დაბრკოლებათა რაგვარობის საკითხი ქართულში, „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, ტ. XII, თბილისი 1960, გვ. 169-189 (რეზიუმე რუსულ ენაზე).

## 1961

27. შუახახისმიერ სპირანტთა რიგისათვის მთის იბერიულ-კავკასიურ ენებში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტისა და ხელნაწერთა ინსტიტუტის გაერთიანებული სამეცნიერო სესია, თბილისი 1961, მოხსენებათა თეზისები, გვ. 12-15, 32-34 (ტექსტი ქართულ და რუსულ ენებზე).

## 1962

28. ხშულ-მსკდომ თანხმოვანთა კლასიფიკაციისათვის ქართველურ ენებში. „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, ტ. XIII, თბილისი 1962, გვ. 81-90 (რეზიუმე რუსულ ენაზე).

## 1964

29. კვლევის თანამედროვე მეთოდები ექსპერიმენტულ ფონეტიკაში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტისა და ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენის კათედრის გაერთიანებული სამეცნიერო სესია, ქუთაისი 1964, მოხსენებათა ოეზისები, გვ. 10.
30. Вокализм даргинского языка, «Иберийско-кавказское языкознание», т. XIV, Тбилиси 1964, стр. 292-314.
31. Фонетика персидского языка. 1. Звуковой состав (совместно с Дж. Ш. Гиунашвили), Тбилиси 1964, 227 стр.

## 1966

32. ქართული ენის სონორ თანხმოვანთა ფორმანტული დიაპაზონები (ექსპერიმენტული გამოკვლევა), კრებული „მეტყველების ანალიზისა და სინთეზის საკითხები“, თბილისი 1966, გვ. 5-27 (რეზიუმე რუსულ ენაზე).
33. ხმოვანთა ფარინგალიზაციის ბუნებისათვის წახურულსა და უდურ ენებში (ექსპერიმენტული გამოკვლევა), კრებული „მეტყველების ანალიზისა და სინთეზის საკითხები“, თბილისი 1966, გვ. 28-80 (რეზიუმე რუსულ ენაზე).
34. Фонетика даргинского языка, Тбилиси 1966, 317 стр.

## 1967

35. ქართული ენის ნაპრალოვან თანხმოვანთა საშუალო სპექტრები, კრებული „მეტყველების ანალიზისა და სინთეზის საკითხები“, თბილისი 1967, გვ. 5-46 (რეზიუმე რუსულ ენაზე).
36. К вопросу о системе геминат в иберийско-кавказских языках, Вторая региональная научная Сессия по историко-сравнительному изучению иберийско-кавказских языков, Тбилиси 1967. Тезисы докладов, стр. 48-49.

## 1968

37. К вопросу о классификации дифференциальных признаков фонем. Доклады VI Всесоюзной акустической конференции З.И.8, Москва 1968.

## 1969

38. ფონემათა დიფერენციალური ნიშნების სამწევროვანი კლასიფიკაციისათვის, კრებული „მეტყველების ანალიზის საკითხები“, თბილისი 1969, გვ. 10-27 (რეზიუმე რუსულ ენაზე).

## გვარის კატეგორია ქართველურ ენებში: რეინტერარეფაცია და რეპრენტრუქციის მცდელობა

ფუნქციონალურ მიმართებათა თეორიის თანახმად, გვარი არის ზმნის ფუნქციონალური კატეგორია, რომელიც ასახავს სემანტიკური როლების (Ag, Ad, P) სუბიექტ-ობიექტად კვალიფიკაციების ძირითად შესაძლებლობებს: თუ აგენტისა რეალიზებული სუბიექტად ( $Ag \rightarrow S$ ), ხოლო პაციენტი – პირდაპირ ობიექტად ( $P \rightarrow DO$ ), ზმნას მიიჩნევენ აქტიური (=მოქმედებითი) გვარისად; ხოლო თუ პაციენტისა რეალიზებული სუბიექტად ( $P \rightarrow S$ ) და აგენტი ვეღარ ამყარებს ზმნასთან ფორმალურ კაგერის, არ მონაწილეობს ზმნის არგუმენტულ, ვალენტურ მიმართებებში და იქცევა თანდებულიან ფრაზად (ე.ი. ზმნის ვალენტობა მცირდება), ზმნას მიიჩნევენ პასიური (resp. ვნებითი) გვარისად. ასეთი თვალსაზრისით, გვარს, ფაქტობრივად, მხოლოდ ორროლიანი ან სამროლიანი ზმნების [Ag, P, (Ad)] განსხვავებული ფუნქციონალური რეალიზაციების მიხედვით განარჩევენ და, როგორც წესი, პასივს აქტივის კონვერსიულ ფორმად მიიჩნევენ:

- თუ  $Ag \rightarrow S$  და  $P \rightarrow DO$ , მაშინ ზმნა აქტიური, მოქმედებითი გვარისაა; ხოლო
- თუ  $P \rightarrow S$  და  $Ag \rightarrow PP// \rightarrow \emptyset^1$ , მაშინ ზმნა პასიური, ვნებითი გვარისაა (აქტიურის კონვერსიული).

მაგრამ Ag (განსხვავებით სუბიექტისგან) არ არის ყველა ზმნის არგუმენტული სტრუქტურის მახასიათებელი აუცილებელი სემანტიკური როლი (მაგალითად, არააქტიური სემანტიკის ზმნებთან: დგანს, გდია და სხვ. – ის არც ივარაუდება) და, ამდენად, სემანტიკურად (და არა ფუნქციონალურად) განსხვავებული აქტიური-პასიური შინაარსის მქონე ზმნების დაპირისპირებისათვის მისი დასუსტება/გაუჩინარება ვერ იქნება მიჩნეული აუცილებელ განმასხვავებელ ნიშნად.

უფრო ზოგადი (არა ფუნქციონალური, არამედ სემანტიკური) მიღებომით შეიძლება აქტივ-პასივის გაფართოებული (ერთარგუმენტიანი ზმნების მომცველიც), სემანტიკური (და არა ფუნქციონალური) გამიჯვნა და არგუმენტული სტრუქტურის სიღრმიდან (ანუ პრედიკატის ადგილიანობით განსაზღვრული არგუმენტული სტრუქტურიდან) ზედაპირისაკენ (ანუ ვალენტობით დაფიქსირებული პრედიკატ-არგუმენტების მიმართებისაკენ) გარდასახვისას სამი სემანტიკური როლის (Ag, P, Ad) შესაძლო რეალიზაციების მიხედვით ზმნური ტიპების განსხვავება:

- თუ  $Ag \rightarrow S$ , მაშინ ზმნა აქტიურია;
- თუ  $P \rightarrow S$ , მაშინ პასიურია;

<sup>1</sup> რამდენადც, აგენტის შეიძლება საერთოდ გაუჩინარდეს და აღარ მოიაზრებოდეს „დასუსტებულ“, თანდებულიან ფრაზადაც კი.

- თუ  $Ad_{Exp} \rightarrow S$ , მაშინ ზმნა აფექტურია.<sup>2</sup>

ქართველურ ენათა ზმნური ფორმების ანალიზი ამ მეორე მიღებით უფრო მარტივი და ადეკვატური ჩანს, რამდენადაც ეწ. აქტიურ მორფოსინტაქსურ მოდელებს არა მხოლოდ ორ ან სამროლიანი – აქტიური, გარდამავალი (ანუ, ეწ. მოქმედებითი გვარის) – ზმნები მისდევენ, არამედ ერთ ან ორროლიანი – გარდაუვალი აქტიურ-დინამიკურ-ატელიკური შინაარსის ზმნებიც (ე.წ. საშუალ-მოქმედებითი გვარის ზმნები; მაგ.: ცხოვრობს, მუშაობს, ფიქრობს, სახლობს, გორავს და სხვა); ხოლო პასური მორფოსინტაქსური მოდელებით ფორმება არა მხოლოდ ერთ- ან ორროლიანი აგენტგაუჩინარებული ზმნები, არამედ გარდაუვალი არააქტიურ-დინამიკურ-ტელიკური შინაარსის ზმნებიც, სადაც აგენტის გაუჩინარებაზე საუბარი არამართებულია, რამდენადაც აგენტისანი ფორმები აშკარად მეორუები, ნაწარმოებია (ივანიშვილი, სოსელია 2002) და, ე.ი., ამოსავალ ფორმებში არანაირი აგენტსური როლი არ ივარაუდება (ე.წ. დინამიკური ვნებითები; მაგ.: დგება, შრება, თერება, თეთრდება, სახლდება და სხვა). ამდენად, ყველა ქართველურ ენაში აქტივ-პასივის ფორმალურ მოდელებს მართავს არა სემანტიკური როლების სინტაქსურ ფუნქციებად რეალიზაციის შემთხვევები, არა-მედ ზმნის სემანტიკური კლასები.

აქტივ-პასივის მორფოსინტაქსური მოდელების მიხედვით, გამოიყოფა ზმნური კლასების 4 ტიპი (შდრ. შანიძე 1973, მცირე განსხვავებით, პარისი 1981,<sup>3</sup> ჰოლისკი 1981):

- I კლასის ზმნები – გარდამავალი, დინამიკური, ტელიკური (ე.წ. მოქმედებითი გვარის ზმნები), რომლებიც მისდევენ აქტიურ ფორმალურ მოდელს;
- II კლასის ზმნები – გარდაუვალი, დინამიკური, ტელიკური (ე.წ. დინამიკური ვნებითები), რომლებიც მისდევენ პასიურ ფორმალურ მოდელს;
- III კლასის ზმნები – გარდაუვალი, დინამიკური, ატელიკური (ე.წ. საშუალ-მოქმედებითი გვარის ზმნები), რომლებიც მისდევენ არასრულ (P-ს გარეშე) აქტიურ მოდელს;
- IV კლასის ზმნები – გარდაუვალი, სტატიკური, აპრიორულად ატელიკური (ე.წ. სტატიკური და საშუალ-ვნებითი გვარის ზმნები), რომლებიც, როგორც წესი, ახალ მოდელს (მეშველზმნიანს<sup>4</sup>) აყალიბებენ; და აფექტური ზმნები, რომლებიც მისდევენ ან აქტიურ, ან პასიურ ფორმალურ მოდელებს.

<sup>2</sup> აფექტური ზმნები თავისებურ მორფოსინტაქსურ (resp. დატიურ) მოდელებს ქმნან ყველა ქართველურ ენაში, სადაც პირის ნიშანთა S/O ფუნქციები შებრუნვულია. ამის გამო, ქართულ გრამატიკულ ტრადიციაში მათ ინვერსიულ ზმნებს უწოდებენ. ლაზურში სახეზეა III სერიის ინვერსიული (ანუ დატიური) მოდელის აქტიურით (ანუ ერგატიულით) ჩანაცვლების პროცესი; ხშირია პარალელური ფორმებიც (კარტოზია 2005).

<sup>3</sup> პარისი სინტაქსურ ნიშნებს (კერძოდ, ზმნის არგუმენტთა ბრუნვათა ყალიბებს) ანიჭებს უპირატესობას და მედიოპასიურ და სტატიკურ ზმნებსაც მეორე კლასის ზმნებად მიიჩნევს.

<sup>4</sup> ლაზურში III კლასის ზმნებთანაც აწყობი (ართაშენულის ზოგიერთ თქმაში) ჩნდება ახალი, აქტივ-პასივისაგან განსხვავებული, მოდელი მეშველზმნიანი წარმოებით (კარტოზია 2005).

ამ კლასთა ზმნები განსხვავდებიან არა მხოლოდ სინტაქსური მიმართებებით,<sup>5</sup> არამედ ზმნური მორფოლოგითაც. II და, ნაწილობრივ, IV კლასის ზმნების განსხვავებული მორფოლოგიური სტრუქტურა მიჩნეულია მარკირებულ, ე.წ. ვნებითი გვარის გამომხატველ ფორმად<sup>6</sup> და ქართველურ ენებში მისი მორფოლოგიური მახასიათებლებია შემდეგი სტრუქტურული ნიშნები:

- აწმყოში<sup>7</sup> ვნებითი გვარის ერთოროლიან (P) ზმნებს ახასიათებთ \*-ი დაბოლოება, რომელსაც ქართულსა და სვანურში შეესაბამება -ი,<sup>8</sup> მეგრულსა და ლაზურში კი -უ/უ. ამათგან, ლაზურში -უ დაბოლოება გვხვდება უმეტესად უთემისნიშნო ზმნურ ფორმებში, -უ კი თემისნიშნიანებში; გვხვდება პარალელური ფორმებიც (კარტოზა 2005); მეგრულში კი -უ, ძირითადად, ვნებითისაგან ფორმალურად განსხვავებულ პოტენციალისის ფორმებში დასტურდება.<sup>9</sup>

<sup>5</sup> I და III კლასის ზმნები ერგატიულ მოდელს მისდევენ (გარკვეული, დრო-კილოებითა და ზმნური კლასების მიხედვით განსხვავებული შეზღუდვებით, რომლებიც, ქართველურ ენათა მიხედვით, განსხვავებულად ფუნქციონირებენ), II კლასის ზმნებთან კი ყოველთვის ნომინატიური კონსტრუქციებია; ასევე, გამოიყოფა დატიური მოდელი, რომელიც ახასიათებს IV კლასის აჯეტებურ ზმნებს და I/III კლასის აქტიურ ზმნებს III სერიის ფორმებში. ეს სინტაქსური ნიშნები ფუნქციონირებენ ყველა ქართველურ ენაში და, ამდენად, აქტივურად მისივის სემანტიკურად ინტერპრეტირებული დაპირისპირება – არგუმენტთა ბრუნვათა მორფოსინტაქსური მოდელებით – საერთო-ქართველურისთვისაც ღირებული ჩანს.

<sup>6</sup> ამდენად, ტერმინებს „აქტივი-პასივი“ ქარველური ენებისათვის სემანტიკური და არაფუნქციონალური დატვირთვა აქვს და „ვნებითი გვარიც“ იმ გაგებით, რა გაგებაც მას ფუნქციონალურ თეორიაში აქვს, არ გამოიყოფა. ეს ტერმინი (ანუ, ვნებითი გვარი) აქ და მომდევნო შსჯელობებშიც უფრო პირობითად გამოიყენება იმ მოდელის აღსანიშვადა, რომელიც სემანტიკური ნიშნებით გამორჩეულ ზმნურ (2)-კლასს ახასიათებს; თუმცა, ძირის კლების (Aდ-ის „გაუჩინარების“) შემთხვევაში, ის ფუნქციონალური მიმართებების ცვლასაც ასახავს.

<sup>7</sup> აორისტსა და მისგან ნაწარმოებ დროებში, ასევე, III სერიის ფორმებში, აქტივ-პასივის განმასხვავებელი რაიმე სუფიქსური მაჩვენებლები არ არის წარმოდგენილი; ამასთანავე, პასიურ ფორმაში დადასტურებული ხმოვანპრეფექტები პოლიფუნქციურია და ცალსახად ვნებითობის მაჩვენებლად მათი კვალიფიკაცია არააღეკვატური ჩანს. ამდენად, აქტივ-პასივის განსასხვავებლად მხოლოდ სინტაქსური ნიშნებიდა რჩება. მაშასადამე, „ვნებითი გვარი“ მორფოლოგიურ კატეგორიად შეიძლება გამოიყოს მხოლოდ თანამედროვე ქართულისა და მეტრულის I სერიის ფორმებისათვის; მეტ ქართულსა და სვანურში მისი მორფოლოგიურობა I სერიაშიც შესუსტებულია (არ გამოიყოფა ნათლად სუფიქსების დაპირისპირებით – სუფიქსური წარმოება ამ ენებში ნაკლებად პროდუქტიულია და უფრო მეტად ძირის ხმოვანთა აბლაუტური მონაცვლეობით გამოიხატება), ლაზურში კი, ერგატიული კონსტრუქციის თავისებურების გამო, რომელიც ყველა სერიაში ერთანარად ფუნქციონირებს, საერთოდ მოხსნილია და ვნებითი გვარის კატეგორიას პოტენციალისი ენაცვლება (იხ. მსჯელობა ქვემოთ, მომდევნო გვერდზე). ამდენად, ვნებითი გვარის მორფოლოგიურ კატეგორიად საერთო-ქრონოგელურ ფუნქციაში აღდგენა პრობლემურია.

<sup>8</sup> იხ. შენიშვნა 7 – სვანურში ეს სუფიქსი პროდუქტიული არაა და აქტივ-პასივის დაპირისპირებისათვის უფრო მეტად აბლაუტური მოდელები გამოიყენება.

<sup>9</sup> ერთოროლიან ფორმებს (აქტიურების მსჯავსაც) I და II პირის მხოლობით რიცხვში, ხმოვანფუძიანი ზმნური ფორმების შემდეგ, დაერთვის I/II:III დიქოტომიის მაჩვენებელი სუფიქსები: უ (მეგრულში)/-რ (ლაზურში).

- ამ სუფიქსურ მაჩვენებლებთან ერთად ზმნურ ფორმაში შეიძლება წარმოდგენილი იყოს პირის კლების მაჩვენებლი პრეფიქსები \*ო- (ერთოლიანებთან) / \*უ- (ოროლიანებთან), მაგრამ ეს პრეფიქსები პოლიფუნქციურია და მკაცრად გვარის მორფოლოგიურ მაჩვენებლად ვერ კვალიფიცირდება (ასათიანი 1987).
- ოროლიან (P, Ad) ვნებითებს ერთოლიანებისგან (P) განასხვავებს \*უ- ხმოვანპრეფიქსი, რომელსაც ქართულსა და სვანურში შესაბამება უ-, ზანურში კი ა- ლაზურში, განსაკუთრებით >ა- უ- წარმოება (resp. ოროლიანი ვნებითები),<sup>10</sup> უფრო ხშირად, პოტენციალისის გამოსახატავად გამოიყენება. მეგრულში ვნებითისა და პოტენციალისის ფორმები გამიჯნულია, სხვა ქართველურ ენებში კი პოტენციალისის სემანტიკა ძლიერად (ისე როგორც ლაზურში, განსაკუთრებით კი მეგრულში, სადაც პოტენციალისის გამოხატვისათვის ცალკე, სხვა კატეგორიებისაგან განსხვავებული მოდელი გამოიყენება) გამოკვეთილი არაა. პოტენციალისის ფუნქციით გამოყენებული ვნებითი გვარის ფორმები ლაზურში ავლენენ ზმნურ ფორმათა ინვერსიის ტენდენციასაც (კარტოზია 2005).

ვნებითი გვარის ფორმათა ეს სემანტიკური თავისებურება (ანუ პოტენციალისის გამოხატვა) შეიძლება ლაზური ერგატიული კონსტრუქციის სხვა ქართველური ენებისგან განსხვავებული სპეციფიკით აიხსნას. ლაზურში, ქართველურ ენებში<sup>11</sup> ერგატიული კონსტრუქციის გამშაზღვრელი ორი შეზღუდვიდან –

- (1) ზმნა უნდა იყოს გარდამავალი ან გარდაუკალ-დინამიკურ-ატელიკური (ე.ი. ერგატიული კონსტრუქცია სემანტიკური ნიშნების მიხედვით არის გაფართოებული და გამოიყენება არა მხოლოდ გარდამავალი ზმნების გადმოსაკემად, არამედ გარკვეული სემანტიკის ქმნები გარდაუკალი ზმნების ფორმალურ წარმოდგენებსაც ემსახურება – ე.ი. საქმე გვაქვს ე.წ. „გაფართოებულ“ ერგატიულ კონსტრუქციასთან);
- (2) ზმნა უნდა იყოს დრო-კილოთა II სერიის ფორმებში (ე.ი. გვაქვს ე.წ. „გახლეჩილი“ ერგატიკი (დიკსონი 1994)).

მხოლოდ (1) ფუნქციონირებს. ამდენად, ლაზურში არა გვაქვს დრო-კილოთა მიხედვით „გახლეჩილ-ერგატიული“ კონსტრუქცია. აქ მხოლოდ ზმნის სემანტიკური ნიშნები (დრო-კილოთა შეზღუდვების გარეშე) განსაზღვრავენ ერგატიულ კონსტრუქციას და, ამდენად, საქმე გვაქვს თანმიმდევრულად ერგატიულ (resp. „ტიპიურ“ ერგატიულ), თუმცა სემანტიკურად „გაფართოებულ“ კონსტრუქციასთან. ლაზურში ერგატიული კონსტრუქციის ეს თავისებურება

<sup>10</sup> ქართულსა და სვანურში ამ მოდელის შესატყვისი >უ- უ- წარმოება ითავსებს ხოლმე ‘პოტენციალის’ მნიშვნელობას, მაგრამ პროდუქტიული არაა და ცალკე მოდელად ვერ გამოიყოფა. მეგრულ-ლაზურში ამ კატეგორიის წინ წამოწევა შესაძლებელია თუ-რქულის გავლენითაც აიხსნას.

<sup>11</sup> მეგრულში ქვემოთ მოცემულ შეზღუდვათაგან მხოლოდ (2) შეზღუდვა მოქმედებს.

თავისთავად განაპირობებს პასიური კონსტრუქციების სიჭარეს – „ტიპურ ერგატიულ“ ენებში პასიური კონსტრუქციები, როგორც წესი, არ დასტურდება. ეს კანონზომიერება იხსნება თანამედროვე ენათმეცნიერებაში მიღებული ერთ-ერთი თეორიული მიდგომის საფუძველზე, რომლის თანახმადაც აქტიურ-პასიურ კონსტრუქციებს შორის არსებული ფუნქციონალური სხვაობა იხსნება წინადადებაში ინფორმაციის სტრუქტურირების სხვადასხვაგვარობით.

საზოგადოდ, წინადადების საინფორმაციო სტრუქტურაში ინფორმაციულად დაწინაურებული სახელი კვალიფიცირებულია მთავარ ფუნქციონალურ კატეგორიად – **სუბიექტად**. ეს არის შეტყობინების ის ნაწილი, რომლის შესახებაც მოდის გარკვეული ინფორმაცია და რომელიც, ბუნებრივია, „დაწინაურებულია“ საინფორმაციო ნაკადში. მაგალითად, ნომინატიურ ენებში აქტიური კონსტრუქციები გამოხატავენ აგენსის დაწინაურებას (resp. Ag=S). თუმცა შესაძლებელია პაციენტიც დაწინაურდეს და იქცეს გამონათქვამის სუბიექტად; ანუ, ინფორმაცია გადალაგდეს ისე, რომ გამონათქვამი გვაწვდიდეს გარკვეულ ინფორმაციას სწორედ რომ მოქმედების ობიექტის, პაციენტის შესახებ და ცენტრალურ, მთავარ ელემენტად აქტუალიზდეს არა აგენსი, არამედ პაციენტი. ფორმალურად პაციენტის ამგვარი დაწინაურება გამოიხატება მისთვის ნომინატიური ფორმის მინიჭებით. მაგრამ ერგატიულ ენებში პაციენტი ყოველთვის ნომინატივშია, ე.ი. ინფორმაცია თავიდანვე ისეა სტრუქტურირებული, რომ ის უკვე არის ინფორმაციის ცენტრალური, არამარკირებული ერთული და მისი შემდგომი ფუნქციონალური დაწინაურება ჭარბია. ამიტომაც ერგატიული ენები, როგორც წესი, არ განარჩევენ ფუნქციონალურად და ფორმალურად დაპირისპირებულ აქტიურ-პასიურ კონსტრუქციებს – ეს დაპირისპირება ამ ტიპის ენებისათვის ჭარბია.

სწორედ ამგვარი საფუძველი იქნება ლაზურში და თუ, მაგალითად, ქართულში პასიური კონსტრუქციების არსებობა, ინფორმაციის სტრუქტურირების თვალსაზრისით, სრულიად მისაღებია I სერიის ფორმებისთვის, სადაც არსებოთად ნომინატიური კონსტრუქცია გვაქვს, ლაზურში ის ყველა სერიისათვის ჭარბია. ლაზური, როგორც ჩანს, ასეთი სიჭარბის დასაძლევად და ამ საერთო-ქართველური კონსტრუქციების თავის სისტემაში არაწინაღდევობრივად მოსაქცევად, ახდენს პასიური კონსტრუქციების სემანტიკურ რეინტერპრეტაციას და მათ „პოტენციალისის“ გამოხატველ მორფოსინტაქსურ მოდელად აქცევს – „პოტენციალისის“ უფრო სემანტიკაზე ორიენტირებული კატეგორიაა და ფუნქციონალურ ცვლილებებს არ გულისხმობს.

- ქართულში ზოგიერთ ზმნურ ფორმაში (განსაკუთრებით სახელებისგან ნაწარმოებ ზმნებში) დასტურდება -დ სუფიქსიც, რომელიც სვანურისათვის უცხოა, ლაზურში მხოლოდ ნაშთის სახით გვხვდება რამდენიმე ზმნაში, მაგ.: **გო-მო-ჭეჭუბ-ლ-უ-ნ** (დამავიწყდება – ინვერსიული), **მო-ლორ-ლ-უ** (მოტყევადა) და სხვ. (ჩიქობავა 1936), მევრულში კი არაპირდებულია და ხშირად ი-პრეფიქსიანი პარალელური ფორმაც ეძებნება, მაგ., ჭითონ-დ-უ//ი-ჭი-

თარ-ებ-უ. ამდენად, ვნებითის ამ წარმოების რეკონსტრუქცია გართულებულია საერთო-ქართულ-ზანურ დონეზეც კი.

- სვანურში აქტივ-პასივის დაპირისპირებისათვის აქტიურად გამოიყენება ფუძისეულ ხმოვანთა აბლაუტური მონაცვლეობა: **-ი-(აქტიურში)/-ე-** (პასიურში); მაგ., დაგე:დენი.

პასივის ფორმათა ნიმუშები მოცემულია ცხრილის სახით:

### ცხრილი 1

არგუმენტთა რაოდენობა	მარკერი	ქართული	მეგრული	ლაზური	სვანური
ერთოლიანი	*-ი-	ვ-ი-ზრდ-ებ-ი: ი-ზრდ-ებ-ა	ვ-ი-რდ-უ-ქ: ი-რდ-უ-(6)	ვ-ი-რდ-უ-რ: ი-რდ-უ-(6)	ხ-ი-რდ-ი: ი-რდ-ი
	*-ღ	ვ-წითლ-დ-ებ-ი: წითლ-დ-ებ-ა	ვ/პ-ჭითონ-დ-უ-ქ: ჭითონ-დ-უ-(6)	-	-
	-	ვ-ჯდ-ებ-ი: ჯდ-ებ-ა	ვ-ღურ-უ-ქ: ღურ-უ-(6)	ბ-ღურ-უ-რ: ღურ-უ-(6)	ტ-ჟ-ებნ-ი: ტებნ-ი (ბრუნდება)
ორიოლიანი	*-ე-	ვ-ე-ზრდ-ებ-ი: ე-ზრდ-ებ-ა	ვ-ა-რდ-უ-ქ: ა-რდ-უ-(6)	ვ-ა-რდ-უ-რ: ა-რდ-უ-(6)	ხ-ე-რდ-ი: ე-რდ-ი
	*-უ- ღ	ვ-უ-წითლ-დ-ებ-ი: უ-წითლ-დ-ებ-ა	ვ-უ-ჭითონ-დ-უ-ქ: უ-ჭითონ-დ-უ-ქ	-	-
	*-ე-	ვ-ე-ჯდ-ებ-ი: ე-ჯდ-ებ-ა	ვ-ე-ღურ-უ-ქ: ე-ღურ-უ-(6)	ვ-ე-ღურ-უ-რ: ე-ღურ-უ-(6)	-
	*-ა-	ვ-ა-ჯდ-ებ-ი: ა-ჯდ-ებ-ა	ვ-ა-ღურ-უ-ქ: ა-ღურ-უ-(6)	ვ-ა-ღურ-უ-რ: ა-ღურ-უ-(6)	-

**დასკვნები:** ქართველურ ენათა შედარებითი ანალიზის შედეგების კოგნიტიური თნტერპრეტაცია და ფუძეუნის კოთარების გარკვევის მცდელობა

საზოგადოდ, სამყაროს შემეცნების პროცესი ირეკლება იმ ცვლილებებში, რომლებსაც „სინამდვილის“ ლინგვისტური სტრუქტურირების, „ხედვის“ ამსახველი ენობრივი ფორმები განიცდიან. თუ ქართველურ ენათა შედარებითი ანალიზის საფუძველზე ზემოთ შემოთავაზებულ მოსახრებებს გავიზნიარებთ და ენობრივი მონაცემების კოგნიტიურ პროცესებთან კავშირების გამოვლენას შევეცდებით, მივიღებთ ქართველთა სამყაროსეული შემეცნების დიაქრონიული „განვითარების“ გარკვეულ სურათს:

1. საერთო-ქართველური ორიენტირებული, ფოკუსირებულია ‘საკომუნიკაციო აქტზე’: საკომუნიკაციო აქტში მონაწილე I და II პირები ენობრივად ყოველთვის მარკირებულია ზმნური პირის ნიშნებით და უპირისპირდება არამარკირებულ III პირს; ანუ, ფორმალიზებულია პირთა I/II~III დიქოტომია (ასათიანი 1994).
2. სიტუაციაში სახელთა ‘თავისუფალი ნების’ ჩართულობის მიხედვით განსხვავდება +[თ.ნ] და -[თ.ნ] პირები, რაც ენობრივად რეპრეზენტირებულია

ზმნაში წარმოდგენილი ვინისა და მანის რიგის პირის ნიშნების დაპირისპი-რებით (ასათიანი 2015).

3. სიტუაციაში ნების მიხედვით განსხვავებულ პირთა ‘დამატება-გამოკლება’ ფო-რმალიზდება ზმნური ხმოვანპრეფიქსების ოპოზიციით: \*ა-, \*უ-/ი-/[თ.ნ]-ს ან –[თ.ნ.]-ს ‘დამატება’):\*ი- ((+[თ.ნ.]-ს ან –[თ.ნ.]-ს ‘დამატება, კლება’):\*უ- (ერთ-დროულად, +[თ.ნ]-ს ‘გაქრობა’ და –[თ.ნ.]-ს ‘დამატება’) (ასათიანი 1987).
  4. სიტუაციის მარკირებისას ღირებულებას იძენს სახელთა სემანტიკური გან-სხვავებულობები:
    - a) –[თ.ნ]-ის ბენეფაქტიური III პირის დამატება მარკირებულია \*უ- პრე-ფიქსით;
    - b) –[თ.ნ]-ს კლების შემთხვევაში დიფერენცირდება, ერთი მხრივ, რეფლექ-სური და, მეორე მხრივ, არარეფლექსური, ბენეფაქტიური –[თ.ნ] კლების შემთხვევები; შედეგად, არარეფლექსური ბენეფაქტივის ‘კლება’ ბენეფაქ-ტივის ‘დამატებასთან’ ერთად გადაიაზრება ერთიან ‘ქცევის’ გრამატი-კულ კატეგორიად ყველა ქართველურ ენაში:
      - i. ბენეფაქტივის კლება გამოიხატება \*ი- ზმნური პრეფიქსით (ე.წ. სათა-ვისო ქცევა);
      - ii. ბენეფაქტივის დამატება (ე.წ. სასხვისო ქცევა) იმიჯნება იმგვარად, რომ I/II პირებისკენ ორიენტირებულობის ერთიანობა შენარჩუნებულია და ‘მატება-კლების’ შემთხვევების ფორმალური ნეიტრალიზაციის პირობებ-ში გამოიხატება \*ი-თი; ეს \*ი- III პირის ბენეფაქტივის \*უ- პრეფიქსი-თან ერთად მორფოლოგიურად შეპირობებულ ალომორფუებად ერთიანდე-ბა;
      - iii. ქცევის ერთიანი კატეგორიის ფარგლებში აუცილებელი ხდება ამ ფორ-მების შეპიროსპირება ისეთ სიტუაციებთან, სადაც ბენეფაქტიური პირის მატება-კლება არ არის აქტუალიზებული; ამდენად, გამოიყოფა ე.წ. ნე-იტრალური ქცევის ფორმა, რომელიც ქართველურ ენებში, უმეტეს შემ-თხვევებში, კოგნიტიურად სრულიად გასაგები მიზეზების გამო (რამდე-ნადაც ამ შემთხვევაში არ არის აქტუალიზებული რაიმე სახის ‘მატება-კლება’), არამარკირებული, უნიშნოა.<sup>12</sup>
- ე.ი. ქცევის გრამატიკული კატეგორიის რეკონსტრუქცია საერთო-ქართვე-ლურის ფუძე-ენაში წინააღმდეგობებს არ ხვდება.
- c) +[თ.ნ]-ის დამატების შემთხვევაში, საერთო-ქართველურ დონეზე გამოი-ყოფა ე.წ. ‘კაუზაცია-კონტაქტის’, ხოლო საერთო ქართულ-ზანურ დონე-ზე –[თ.ნ] ლოკატიური სახელის დამატების შემთხვევაში ე.წ. ‘საზედაო სიტუაციის’ კატეგორიები. ეს ორი სემანტიკურად განსხვავებული შემ-თხვევა მორფოლოგიურ დონეზე დიფერენცირებულია შესატყვისობებით:

<sup>12</sup> ნეიტრალური ქცევის ფორმებში დაფიქსირებული \*ჲ-ს ინტერპრეტაციისათვის იხ. ასა-თიანი 1987.

ზანურში ‘კაუზაცია-კონტაქტის’ \*ა-ს შეესატყვისება ო-, ხოლო ‘საზე-დაო სიტუაციის’ \*ჸ-ს – ა-. საერთო-ქართველურის ‘კაუზაცია-კონტაქტის’ ერთიანი კატეგორიის დაშლა-დაპირისპირებაც ქართულ-ზანური ერთობის საფეხურზე შეიძლება ვივარაულოთ, როდესაც +[თ.ნ]-ის დამატების სემანტიკურად განსხვავებული შემთხვევები შეპირისპირებულია და ‘მოქმედების ავტორის’ ნიშნით განსხვავებულია ‘კაუზაციისა’ (+[ავტორი]) და ‘კონტაქტის’ (–[ავტორი]) შესაბამისი ფორმალური მოდელები: { \*ა + სახელის/ზმის ძრი + [თემა(\*-ებ)]} (‘კაუზაცია’) ~ { \*ჸ + მასდარის ფუძე + კონტაქტის მაწარმოებული + [თემა(\*-ებ)]} (კონტაქტი).<sup>13</sup> მომხიბლავი ჩანს კონტაქტის კაუზაციის მეორე საფეხურად საერთო-ქართველურზე რეკონსტრუქციის შესაძლებლობაც, რასაც სვანურის ეწ. ორმაგი კაუზატივები და ზანურის -აფ-უ(ან)-აფ- სეგმენტიანი ფორმებიც მხარს უჭერს, თუმცა დაპირისპირების ეს მოდელი ქართველურ ენებში არაპროდუქტიული და არათანმიმდევრული ჩანს.

5. სახელთა სემანტიკური განსხვავებულობების პარალელურად, სიტუაციის სტრუქტურირებისას, ღირებულებას იძენს ზმის სემანტიკური თავისებურებები და დრო-კილოთა სხვაობები. ეს ნიშნები და მათი კომბინაციები მორფოსინტაქსური მოდელების (ნომინატიური თუ ერგატიული) შერჩევას განაპირობებენ.

ყველა ქართველურ ენაში გამოიყოფა არგუმენტთა ბრუნვათა ერგატიული და ნომინატიური მოდელები, რომლებიც ‘გარდამავლობა’, ‘დინამიკურობა’, ‘ტელიკურობა’<sup>14</sup> სემანტიკური ნიშნების სხვადასხვაგვარი კომბინაციების (resp. განსხვავებული ზმნური კლასების) ფორმალიზებას ემსახურება:

## ცხრილი 2

ზმნური კლასები	მოდელი	გარდამავლობა	ტელიკურობა	დინამიკურობა
I კლასი	ერგატიული	+	+	+
II კლასი	ნომინატიური	–	+	+
III კლასი	ერგატიული	–	–	+
IV კლასი	ნომ./დატიური	–	–	–

I და III კლასის ზმნები ერგატიულ მოდელს მისდევენ (ლაზურში დრო-კილოთა ყველა სერიის ფარგლებში, დანარჩენ ქართველურ ენებში კი მხოლოდ აორისტის ფორმებში); ხოლო II და IV კლასის ზმნები (ასევე, ყველა ქართველურ ენაში) – ნომინატიურს. ამდენად, პირდაპირი შესაბამისობების დადგენა

<sup>13</sup> დაწვრილებით ‘კაუზაციისა’ და ‘კონტაქტის’ განმასხვავებული მოდელების შესახებ ქართველურ ენებში იხ. ასათაანი 1989.

<sup>14</sup> ‘ტელიკურობის’ ნიშანი ზმნური კლასების სემანტიკური დიფერენცირებისას ქართულში პირველად გამოყო დ. პოლისკმა (პოლისკი 1981).

ზმნურ კლასებსა და მოდელებს შორის ვერ ხერხდება. გვაქვს ე.წ. ‘გაფართოებული აქტიური კონსტრუქციები’ (I და III კლასის ზმნების მარკირებიდან გამომდინარე) და ‘გაფართოებული პასიური კონსტრუქციები’ (II და IV კლასის ზმნების მარკირებიდან გამომდინარე).

ამ მოდელების მართვისას ღირებულია არა რომელიმე ერთი სემანტიკური ნიშანი, არამედ ამ სემანტიკურ ნიშანთა კომბინაციები. ეს, ფაქტობრივად, ართულებს ‘აქტივ-პასივის’ დაპირისპირების არა მხოლოდ რეკონსტრუქციას, არამედ ცალკეულ ქართველურ ენაში ამ დაპირისპირების თუნდაც დამოუკიდებელ ინტერპრეტაცია-კვალიფიკაციას. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ეს კომბინაციები ყველა ქართველური ენისათვის და, მაშასადამე, საერთო-ქართველურისათვისაც, ღირებულია, ყოველ შემთხვევაში, განვითარების იმ საფეხურისათვის, როცა ერგატიულ და ნომინატიურ კონსტრუქციათა შესაბამისი მორფოსინტაქსური მოდელები (და, დამატებით, გარკვეული სუფიქსური მაჩვენებლები და/ან აბლაუტური მონაცემები) ყალიბდება.

სემანტიკურ ნიშანთაგან ზოგიერთი უპირობოდ განაპირობებს კონკრეტული მორფოსინტაქსური მოდელის შერჩევას, ზოგიერთი კი მხოლოდ სხვა ნიშანთან კომბინაციაში. მარკირების პროცესი იერარქიულად ორგანიზებულია და შეიძლება წარმოვადგინოთ გენერატიული წესების სახით, რომლებიც ასახავენ ყოველ საფეხურზე კონვენციონალური „გადაწყვეტილების“ მიღების კოგნიტიურ პროცესს (ასათიანი 2010). ალგორითმის მსგავს ავტომატურ წესებს იმპლიკაციური ხასიათი აქვთ.

ალგორითმი მუშაობს შემდეგი ზოგადი პრინციპების შესაბამისად:

- პროტოტიპული ‘აქტივ-პასივის’ შინაარსების მარკირებისათვის უპირობოდ შეირჩევა ფორმალურად დაპირისპირებული, დადგენილი მორფოსინტაქსური მოდელები;
- არაპროტოტიპული, ე.წ. მედიალური, შინაარსების შემთხვევაში, თუ კონკრეტული ზმნის სემანტიკა კოვნიტიურად შესაბამისობაშია პროტოტიპისთვის დამახასიათებელ ერთ რომელიმე სემანტიკურ ნიშანთან, შეირჩევა ამ პროტოტიპის მარკირებისათვის დადგენილი მოდელი, თუ – არა, გადაწყვეტილება მიღება სხვა, მეორე სემანტიკური ნიშნის საფუძვლზე;
- პროცესი გრძელდება მანამ, სანამ ზმნური კლასების განმასხვავებელი, აუცილებლობისა და საკმარისობის პრინციპით დადგენილი, სემანტიკური ნიშნები არ აძიონურება.

ამგვარად, კონვიტიურად ინტერპრეტირებული ფორმალური მარკირების პროცესი იერარქიულად ორგანიზდება და ალგორითმულ ხასიათს იძენს.

I საფეხურზე ვიღებთ უპირობო (შეუზღუდავ) გადაწყვეტილებებს: როდესაც სიტუაცია სტატიკურ ვითარებას ასახავს (—[დინამიკური]), არგუმენტთა გაფორმებისთვის უპირობოდ შეირჩევა ნომინატიური მოდელი (IV კლასის სტატიკური სემანტიკის მქონე ზმნები); როდესაც სიტუაციაში ჩართულია —[თ.ნ] მქონედ ინ-

ტერპრეტირებული სახელი, ეს –[თ.ნ] უპირობოდ მარკირებული იქნება მიცემით; როდესაც სიტუაციაში (შესაძლებელია –[თ.ნ]-სთან ერთად) ჩართულია ‘ნების მიხედვით ნეიტრალური’ სახელი<sup>15</sup> (ნების მიხედვით ნეიტრალური სახელი პირობითად აღვნიშნოთ Ø-ით)<sup>16</sup>, შეირჩევა ნომინატიური მოდელი (II კლასი); მსგავსად, უპირობო გადაწყვეტილებები მიიღება სიტუაციებისას, როდესაც გვაქვს: {–[თ.ნ]ექსპერიენსერი (და Ø)} და {+[თ.ნ] უნახავი (და Ø)} – ორივე შემთხვევაში შეირჩევა დატიური მოდელი (IV კლასის აფექტური ზმნები და I/II კლასის ზმნათა III სერიის ფორმები).

უპირობო გადაწყვეტილებები ამ წესებით იწურება და გადავდივართ მომდევნო საფეხურზე;

**II საფეხური:** თუ სიტუაციაში ჩართულია +[თ.ნ], გადაწყვეტილებას ვერ ვღებულობთ და გადავდივართ მომდევნო საფეხურზე;

**III საფეხური:** თუ სიტუაციაში, იმავდროულად, ჩართულია ‘ნების მიხედვით ნეიტრალური’ სახელი, ე.ი. გვაქვს {+[თ.ნ] და Ø}, მაშინ ლაზურში შეირჩევა ერგატიული მოდელი, სადაც +[თ.ნ] მარკირებულია ერგატიული, ნეიტრალური სახელი კი ნომინატიული. დანარჩენ ქართველურ ენებში გადაწყვეტილების მისაღებად გადავდივართ შემდეგ საფეხურზე;

**III'/საფეხური:** თუ სიტუაციას წარმოვადგენთ აორისტსა და მასთან დაკავშირებულ დრო-კილოთა ფორმებში (+[აორისტი]), შეირჩევა ერგატიული მოდელი, ხოლო თუ სიტუაციას წარმოვადგენთ სხვა დროებში (–[აორისტი]) – ნომინატიური (I და III კლასის ზმნები).

ვებრუნდებით II საფეხურს და ვაგრძელებთ კოგნიტიურ სვლებს;

**II' საფეხური:** თუ სიტუაციაში არ არის ჩართული ‘ნების მიხედვით ნეიტრალური’ სახელი, ე.ი. ერთდროულად არა გვაქვს {+[თ.ნ] და Ø}, მაშინ ვერ ვიღებთ გადაწყვეტილებას და გადავდივართ შემდეგ საფეხურზე;

**IV. საფეხური:** თუ მოქმედება ტელიკურია (+[ტელიკური]), შეირჩევა ნომინატიური მოდელი (II კლასის ზმნები); თუ მოქმედება ატელიკურია (–[ტელიკური]), მაშინ შეირჩევა ერგატიული მოდელი (III კლასის ზმნები).

გადაწყვეტილებების შესაძლებლობები ამოწურულია და მარკირების პროცესი – დასრულებული.

სქემატურად კოგნიტიური გადაწყვეტილებების ამსახველი ეს სვლები შემდეგნაირად შეიძლება წარმოვადგინოთ:

<sup>15</sup> იგივე პაციენსი, რომელიც ფლობის ობიექტია (resp. *undergoer*), იქმნება, იცვლება, ქრება და სხვა ამგვარი, აპრიორულად ‘ნებაწარიმეულია’ – მისი (თვით)კონტროლი აპრიორულად გამორიცხულია; ამდენად, მისთვის ნიშანი ‘თავისუფალი ნება’ ჭარბია და სიტუაციაში თავისი ნების ჩართულობა-ჩაურთველობის შესაძლებლობის გამორიცხულობის გამო ‘თავისუფალი ნების’ გამოხატვის თვალსაზრისით, ნეიტრალურია, ანუ მისთვის ეს ნიშანი Ø-ია.

<sup>16</sup> და, იმავდროულად, სიტუაციაში არ არის ჩართული +[თ.ნ].

## ფიგურა 1:

I.	$-[\text{დინამიკური}] \rightarrow \text{ნომინატიური}$	მოდელი	(IV კლასი)
	$-[\text{თ.ნ.}] \rightarrow \text{დატივი}$		
	$\{(-[\text{თ.ნ.}]) \text{ და } \emptyset\} \rightarrow \text{ნომინატიური}$	მოდელი	(II კლასი)
	$\{-[\text{თ.ნ.}]\}_{\text{ექსპრინსერი}} (\text{და } \emptyset)\} \rightarrow \text{დატიური}$	მოდელი	(IV კლასი აფექტური)
	$\{+[\text{თ.ნ.}]\}_{\text{არაევიდენტური}} (\text{და } \emptyset)\} \rightarrow \text{დატიური}$	მოდელი	(I/III კლასი III სერია)
	$+[\text{თ.ნ.}] \quad \text{II.} \quad +\emptyset \quad \text{III.}$	$\begin{cases} [\text{აორისტი}] \quad \text{ერგატიული} & \text{მოდელი} \\ -[\text{აორისტი}] \quad \text{ნომინატიური} & \text{მოდელი} \end{cases}$	$\begin{cases} (\text{I კლასი}) \\ (\text{I კლასი}) \end{cases}$
		$\begin{cases} -\emptyset \quad \text{IV.} \quad +[\text{ტელიკური}] \quad \text{ნომინატიური} & \text{მოდელი} \\ -[\text{ტელიკური}] \quad \text{ერგატიული} & \text{მოდელი} \end{cases}$	$\begin{cases} (\text{II კლასი}) \\ (\text{III კლასი}) \end{cases}$

საფეხურების რიგი მყაცრად განსაზღვრული და იერარქიულად ორგანიზებულია: I II III// IV. ამასთანავე, ლაზურში გამოტოვებულია III საფეხური, მეგრულში კი IV, ხოლო სვანურსა და ქართულში III საფეხურის გავლა აუცილებელია  $-\emptyset$ -ს შემთხვევაშიც და IV წესის განხორციელების შემდეგ ალგორითმი რეკურსიულად უბრუნდება III წესს.

ამ გადაწყვეტილებებს, ბუნებრივია, გარკვეული კოგნიტიური საფუძვლები აქვს, რასაც მარკირების თეორიის ფარგლებში შეიძლება გარკვეული ასსწები დაექცებოს (მარკირების თეორია ფონოლოგიის ფარგლებში შემუშავდა; შემდეგ ეს მიმართება განზოგადდა ენობრივი სტრუქტურირების დინამიკური პროცესის განმსაზღვრელ, მმართველ ერთ-ერთ პრინციპად და ბუნებრივად დაუკავშირდა ენობრივი შემცნების კოგნიტიურ პროცესს (იხ. მელიქიშვილი 1976, იაკობსონი 1971, გივონი 1979).

ერგატიული და დატიური ბრუნვები, როგორც ირიბი ბრუნვები, მარკირებულია და, სავარაუდოდ, კოგნიტიურად მარკირებულ ვითარებებს გამოხატავებებს, ხოლო ნომინატიური – არამარკირებული და, შესაბამისად, კოგნიტიურად არამარკირებული ვითარებების ენობრივი რეპრეზენტაციებია. კოგნიტიურად მარკირებულია სიტუაცია, რომელიც გამორჩეული, სტატისტიკურად ნაკლებგავრცელებული, უფრო სპეციფიზირებული, უჩვეულო და პროტოტიპიდან გადახრილია, ხოლო კოგნიტიურად არამარკირებულია ბუნებრივი ლოგიკის შესაბამისად უფრო მისაღები, სტატისტიკურად უფრო გავრცელებული, ნაკლებად სპეციფიზირებული და ჩვეულებრივი, პროტოტიპული მოვლენა.

ამგვარი მიდგომით შეიძლება ზემოთ წარმოდგენილი წესების კოგნიტიური არსის წვდომა:

1.  $-[\text{დინამიკური}]$  (ანუ, სტატიკური) ზმნების შესაბამისი სიტუაციები ჩვენს „სინამდვილეში“ გაცილებით გავრცელებული და ჩვეულებრივია: ყველაფრის აღქმა და შემცნების პროცესი იწყება, უპირველეს ყოვლისა, არსთა ეგზისტენციალური, სტატიკური დაფიქსირებით ბუნებრივ მდგომარეობაში. ამ

პროცესში ეს ‘არსი’ აპრიორულად, ‘თავისუფალი ნების მიხედვით ნეიტრალურია’ (ანუ, Ø). ეს კოგნიტიური არამარკირებულობა ენობრივადაც არა-მარკირებული, სახელობითი ბრუნვით გამოიხატება;

2. –[თ.ნ] თავისთავად კოგნიტიურად მარკირებულია, რამდენადაც ნების მქონე სახელისათვის უფრო ბუნებრივია სიტუაციის გაკონტროლება, ‘ნების’ გამოვლენა და თუ სიტუაციაში ის ‘ნების’ გარეშე ერთვება და სიტუაციას ვერ აკონტროლებს, კოგნიტიურად უჩვეულო ვითარება იქმნება. ამდენად, ის ენობრივადაც მარკირებულია – გამოხატულია ირიბი (და არა პირდაპირი), მიცემითი ბრუნვით;
3. (1) და (2) ინტერპრეტაციების შეჯერებით {(-[თ.ნ]) და Ø} სიტუაციაც არამარკირებულია და, შესაბამისად, ამ შემთხვევებში ჩნდება, ე.წ ნომინატიური კონსტრუქცია: Ø → ნომინატივში და – [თ.ნ] → დატივში;
4. [თ.ნ]-ს სპეციფიზირებული შემთხვევები (+/-[თ.ნ]არაეფინტური) განსაკუთრებულად გამორჩეული, მარკირებულია და, შესაბამისად, ენობრივადაც მარკირებულია დატიური კონსტრუქციის შესაბამისი მოდელით;
5. ქართველურ ენებში სიტუაციები, სადაც მონაწილეობს +[თ.ნ], ქმნან მარკირებულ მიმართებებს, რამდენადაც, როგორც ეს წინა (1)-(4) ინტერპრეტაციებიდანაც ჩანს, ქართველურ ენათათვის ამოსავალია სახელთა სემანტიკური (და არა მოქმედებასთან სახელთა დაკავშირების ფუნქციური როლის მიხედვით განსხვავებული S და O) შინაარსები. ამგვარი ამოსავალი თვალთახედვით კი, რამდენადაც +[თ.ნ] მხოლოდ სულიერ პიროვნებებს (მოგვიანებით კი აქტიურ მოქმედებასთან არააქტიურ სახელთა მეტაფორიზაციის გზით მათთან კოგნიტიურად გათანაბრებული უსულო სახელებსაც) ახასიათებთ (ასეთები კი ჩვენს „სინამდვილეში“ გამორჩეული, იშვიათი, ნაკლებ გავრცელებულია), ის პირობისულად მარკირებულია, ‘ნების მიხედვით ნეიტრალური’ სახელი კი არამარკირებული. შესაბამისად, {+[თ.ნ] და Ø}-ს ენობრივი მარკირებისთვის შეირჩევა ერგატიული კონსტრუქციისათვის დამახასიათებელი ერგატიული მოდელი, სადაც +[თ.ნ] წარმოდგენილია ენობრივად მარკირებული ერგატივით, Ø კი ნომინატივით. ლაზურის ამგვარი სტრუქტურირება დანარჩენ ქართველურ ენებში შემთფარგლება აორისტით, სადაც ერგატიული მოდელი დასტურდება, განსხვავებით აწმყო-მყოფადი წრის დრო-კილოებისა, სადაც გვაქვს ნომინატიური მოდელი (მეგრულში მხოლოდ +[აორისტი] განსაზღვრავს ერგატიული მოდელის ამოქმედებას და ზმნის სემანტიკურად განსხვავებულ კლასებს მოდელის შერჩევისას მნიშვნელობა არ ენიჭებათ – ყველა ტიპის ზმნა, რომელიც სემანტიკურად უშვებს აორისტს, ერგატიული მოდელის შერჩევას განაპირობებს). ასეთ განაწილებასაც თავისი ბუნებრივი ლოგიკა და კოგნიტიური ახსნა აქვს: წარსულში დასრულებული მოქმედების შედეგი სახეზეა, თავად მოქმედების ავტორი კი შეიძლება არც იყოს სახეზე და, ამის გამო, მისი ნებელობის ჩართულობაც ბოლომდე ცხა-

- დი, გარკვეული არ არის; ამდენად, აორისტში +[თ.ნ] კოგნიტიურად განსა-კუთრებულად მარკირებულია და ენობრივადაც ირიბი, სპეციფიკური ბრუნ-ვით – ერგატივით არის წარმოდგენილი. რაც შეეხება 0-ს, ის სახეზეა, სი-ტუაციურად არამარკირებულია და, შესაბამისად, ფორმალურადაც არამარკი-რებულ ნომინატივშია. ასეთი ინტერპრეტაცია გარკვეულად ხსნის ქართვე-ლურ ენებში II და III სერიებს შორის ფორმალური დაპირისპირების ჩამო-ყალიბების პროცესს: ასეთი კოგნიტიური პროცესის ლოგიკურ დასასრულამ-დე მიყვანა გულისხობს წარსულის ფორმებს შორის დაპირისპირების წარ-მოქმნას, რაც დასტურდება კიდეც ქართველურ ენებში: წარსული „ევიდენ-ტური +[თ.ნ]-ით“ (აორისტი და II სერიის ფორმები) ფორმალურად ემიჯნე-ბა წარსულს „არაევიდენტური +[თ.ნ]-ით“ (III სერიის ფორმები). სიტუაციის ენობრივი სტრუქტურირება ორივე შემთხვევაში მოქმედების შედეგის არა-მარკირებულობას გახაზავს – ორივე შემთხვევაში 0 სახეზეა, განსხვავებუ-ლია მხოლოდ ჩვენი „ცოდნა“ და +[თ.ნ]-ს აქტუალიზების ხასიათი: პირველ შემთხვევაში მოქმედება იმგვარად არის ენობრივად რეპრეზენტირებული, რომ აქტუალიზებულია მოქმედების ავტორის ნების ჩართულობა (ე.ი. მოქმედება ევიდენტურია), მეორეში კი არა (ე.ი. მოქმედება არაევიდენტურია). პირველი მარკირებულია ერგატიული მოდელით, მეორე კი დატიურით. აწმყოში (და, საერთოდ, I სერიის ფორმებში) პირიქითი ვითარებაა: ვხედავთ +[თ.ნ]-ს აქ-ტივობას და იმ ფაქტს, რომ 0, რომელიც ბოლომდე ფორმირებული ჯერ არც კი არის და +[თ.ნ]-ს გავლენის, კონტროლის ქვეშა. ასეთი კოგნიტიუ-რი ინტერპრეტაციის შედეგი ჩანს ენობრივ ფორმებშიც: +[თ.ნ] გაფორმებუ-ლია არამარკირებული ნომინატივით, 0 კი მარკირებული დატივით (ე.ი. გვაქვს ნომინატიური მოდელი). ასეთ ინტერპრეტაციას მეტი „ამზსწელობი-თი“ ძალა აქვს – გასაგები ხდება ყველა ქართველურ ენაში ე.წ. „გახლეჩი-ლი-ერგატივის“ განმაპირობებელი კოგნიტიურ-ლოგიკური საფუძვლები.
6. თუ +[თ.ნ]-ს შემთხვევაში სიტუაციაში იმავდროულად ‘თავისუფალი ნების მიხედვით ნეიტრალური’ 0 სახელი ჩართული არაა, სიტუაციაა თავისთავად კოგნიტიურად მარკირებულად აღიქმება, რამდენადაც +[თ.ნ]-ს ‘ნება’ შეზღუ-დულია, მისი აქტივობა ვერაფერზე ვერ გადადის და, ამდენად, სპეციფიკუ-რი, განსაკუთრებულად ძლიერად მარკირებული ვითარება წარმოიქმნება. ასეთ დროს ქართველური ენების ენობრივი შემეცნება მიმართავს დამატებით სემანტიკურ ნიშნებს: მოქმედება მიზანმიმართულია (+[ტელიკური])? ე.ი. აქ-ტივობა მაინც გამოკვეთილია (რამდენადაც მიზნობრიობა მხოლოდ დინამი-კურ პროცესში მყოფ სახელებს შეიძლება ახასიათებდეთ) და კონსტრუქცი-აც (განსაკუთრებით, დინამიკურობის გამო) არამარკირებული – ნომინატიუ-რია (II კლასის ზმნები); მოქმედების მიზანსწრაფულობა არ ჩანს (–[ტელი-კური]) და უბრალოდ აქტიურ, დინამიკურ პროცესთან გვაქვს საქმე? ე.ი. ნე-ბა, აქტივობა კიდევ უფრო შესუსტებულია და კონსტრუქციაც მარკირებული – ერგატიულია (III კლასის ზმნები).

ამდენად, სრულიად ცხადია, რომ ქართველური ენები S და O ფუნქციების ან თუნდაც სემანტიკურად განსხვავებული აქტივ-პასივის ფორმალიზებას კი არ ახდენენ, არამედ კოგნიტიური გადაწყვეტილებების შესაბამისად აფორმებენ სიტუაციებს. გადაწყვეტილებები მიიღება მთავარი პრინციპის შესაბამისად (ამირიძე 1998):

კოგნიტიურად არამარკირებული (ანუ, პროტოტიპული ან პროტოტიპთან ახლოს მდგომი) ენობრივადაც არამარკირებულია და, პირიქით, კოგნიტიურად მარკირებული (ანუ, პროტოტიპიდან გადახრილი, არაპროტოტიპური, სცეციფიკური) – ენობრივადაც მარკირებული;

გადაწყვეტილებები ‘ოპტიმალიზაციის’ პრინციპს ექვემდებარებიან – ახალი მოდელი კი არ იქმნება, არამედ გარკვეული სემანტიკური ნიშნების ქონა-არქონის კოგნიტიური „აღრიცხვის“ საფუძველზე არსებული მოდელებიდან ერთ-ერთი, კოგნიტიურად უფრო ახლოს მდგომი მოდელი შეირჩევა. ასეთი „აღრიცხვის“ ამსახველ წესებს ბუნებრივად იერარქიული (საფეხურებრივი) სტრუქტურა აქვთ.

მაგრამ, კცევის კატეგორიის ჩამოყალიბების შედეგად, რაც გულისხმობს პირის კლების \*- პრეფიქსის ფუნქციებიდან<sup>17</sup> სათავისო კცევის ფუნქციების გამოყოფას და \*უ-სთან ალომორფულ გაერთიანებას, \*ი- პრეფიქსის დარჩენილი ფუნქციები სულ უფრო და უფრო უახლოვდება ვნებითი გვარის ტრადიციულად ნავარაუდებ ფუნქციებს. ეს პროცესი შესაძლოა, ქართველურ ენათა ცვლილებების განმსაზღვრელი ძირითადი ტენდენციის – სემანტიკური შინაარსების მარკირებიდან ფუნქციების მარკირებაზე გადასვლა – ენობრივი რეალიზაციის ერთ-ერთ მიზეზადაც იქცევა. ამ პროცესის შედეგად ყოველ ქართველურ ენაში სუფიქსური დაბოლოებებით განირჩევა მარკირებული, ვნებითი გვარის კონსტრუქციები იმგვარად, რომ ზმნის კლასების განმსაზღვრელი სემნტიკური ნიშნებისა და აორისტის როლი თავის გრამატიკულ ‘ძალას’ აქტივ-პასივის ფორმალური მოდელების ჩამოყალიბების პროცესში ინარჩუნებენ და ვლებულობთ დაპირისპირებას: ‘გაფართოებულ აქტივი’<sup>18</sup> ~ ‘გაფართოებული პასივი’. ამ პროცესის ძირითადი მიმართულება და მისი განმსაზღვრელი კოგნიტიური საფუძვლები შემდეგია:

სახელთა ენობრივი დოუერენციალია იმანენტური სემანტიკური ნიშნთვისებების მარკირებიდან „გადადის“ ზმნურ მოქმედებაში მათი როლისა და ფუნქციების განსხვავებული ხასიათის ფორმალიზებაზე. ბუნებრივია, ასეთი არსებითი ხასიათის ცვლილება გულისხმობების და ეფუძნება „ენობრივი შემუცნების“ ცვლას – რა არის X თავისთვავად? რა ფუნქციებს ასრულებს X? როგორც ჩანს, ეს კოგნიტიური პროცესი იმპვარად მიმ-

<sup>17</sup> ი- პრეფიქსის პოლიფუნქციონალურობისათვის ქართველურ ენებში იხ. ასათიანი 1987.

<sup>18</sup> შდრ. ვ. ბოედერის მოსაზრებებს, რომელიც ქართველურისათვის აქტიურობის კატეგორიის ფარგლებში ‘გაფართოებულ ერგატიულ კონსტრუქციაზე’ საუბრობს (ბოედერი 1979).

დინარეობს, რომ „სინამდვილის“ ენობრივი სტრუქტურირებისას „ძველი“ კატეგორია კი არ „ქრება“, არამედ ინარჩუნებს თავის „ძალას“ – გადადის გრამატიკული სისტემის „სიღრმეში“ და ენობრივი სისტემაც კატეგორიათა გარკვეული იქრარქიულის (სიღრმიდან ზედაპირისკენ) სახით ორგანიზდება.

ამგვარი მიდგომით გრამატიკული კატეგორიის ჩამოყალიბება არის არა ერთჯერადი აქტი, არამედ პროცესი, რომელიც დროში გაწელილია და დაქრონიული ხასიათი აქვს.

ამდენად, კლასიკური გაგებით, გვარის კატეგორიის რეკონსტრუქცია საერთო-ქართველურ ფუძე-ენაში ვერ ხერხდება, თუმცა პირის კლების ფარგლებში ზმნური სემანტიკური კლასების სემანტიკითა და აორისტით განპირობებული მოდელების რეკონსტრუქცია ბუნებრივი (და აუცილებელიც) ჩანს. ამ მოდელების სახით გვარის კატეგორიის ჩამოყალიბებისათვის აუცილებელი პირობები უკვე არსებობს საერთო-ქართველურ ფუძე-ენაში, თუმცა, როგორც ჩანს, ამ კატეგორიის საბოლოო ფორმირება და მორფოსინტაქსურ კატეგორიად ჩამოყალიბება უკვე დამოკიდებლივ ხორციელდება ყოველ ქართველურ ენაში და, ამდენად, გარკვეულ ფუნქციურ-სემანტიკურსა თუ ფორმალურ თავისებურებებსაც ავლენს.

### **ლიტერატურა:**

**ამირიძე 1998:** ნ. ამირიძე, კონცეპტუალური არქეტიკები და მათი ასახვა მორფოსინტაქსში, დისერტაციის ბიულეტენი, თბილისი.

**ანდერსონი 1977:** S. R. Anderson, On Mechanisms by which Languages Become Ergative, In: C. N. Li (ed.), *Mechanisms of Syntactic Change*, University of Texas Press, Austin, 317-363.

**ასათანი 1987:** რ. ასათანი, ზმნურ პრეფიქსულ ხმოვანთა ფუნქციონალური კვალი-ფიგაცია ქართველურ ენებში, მცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 3, მეცნიერება, თბილისი.

**ასათანი 1989:** რ. ასათანი, კაუზაცია და კონტაქტი ქართველურ ენებში, მცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1, მეცნიერება, თბილისი.

**ასათანი 1994:** რ. ასათანი, ქართველურ ენათა ტრაქტოროვის საკითხები (ვრამატიკულ კატეგორიათა სისტემაში დომინანტური კატეგორიის დადგენის თვალსაზრისით), მეცნიერება, თბილისი.

**ასათანი 2014:** რ. ასათანი, საერთო-ქართველური ფუძე-ენის წყობა: აქტიური(?), ენათმეცნიერების საკითხები, თუ გამოცემლობა, თბილისი.

**ბოერი 1979:** W. Boeder, Ergative Syntax in Language Change: the South Caucasian languages, In: Frans Plank (ed.): *Ergativity. Towards a theory of grammatical relations*, Academic Press, London..., pp. 435-480

**გამყრელიძე 2004:** თ. გამყრელიძე, ფუძე-ენის რეკონსტრუქცია და მისი ქრონოლოგიური დონეები, ჰერსპექტივა-XXI, VI, ენა და კულტურა, თბილისი.

**გივონი 1979:** T. Givon, *On Understanding Grammar*, Academic Press, New York.

**დელანსი** 1985: S. DeLancey, Agentivity and Syntax, In: W. H. Eilfort, P. D Kroeber and K.L. Peterson (eds.), *Papers from the Parasession on Causatives and Agentivity*, Linguistic Society, Chicago, 1-12.

**დიქსონი** 1979: R. M. W. Dixon, *Ergativity*, Cambridge Un. Press, Cambridge.

**ეზუგბათა 2010:** ღ. ეზუგბათა, მეცნიერულაზურის გრამატიკის საკითხები, თბილისი.

**თოფურია 1931:** ვ. თოფურია, სკანური ენა, I, ზმნა, სსპი გამომცემლობა, თბილისი.

**იაკობისონი 1971:** R. Jacobson, *Selected Writings* (ed. Stephen Rudy), Vol. II, The Hague, Paris, Mouton.

**ივანიშვილი, სოსელია 2002:** მ. ივანიშვილი, ე. სოსელია, ქართული პასიური კონსტრუქციის ზოგიერთი მორფოსინტაქსური და სემანტიკური თავისებურება ქართულში, ენათმეცნიერების საკითხები, 4, თსუ გამომცემლობა, თბილისი.

**იმნაიშვილი 1980:** გრ. იმნაიშვილი, ქართული ზმნის გვარის კატეგორიის შესწავლის ისტორიიდან, იკე, XXII, თბილისი.

**კარტოზია 2005:** გ. კარტოზია, ლაზური ენა და მისი აღვილი ქართველურ ენათა სისტემაში, თბილისი.

**კროფტი 2002:** W. Croft, *The Non-existence of Syntactic Relations*. Third Winter Typological School, Russian State Humanitarian University Press, Moscow.

**ლომთათიძე 1946:** ქ. ლომთათიძე, ქ სუფიქსისათვის მეცნიერ ზმნებში, იკე, I, 131-140.

**მაჭავარიანი 2002:** გ. მაჭავარიანი, ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკა, თსუ გამომცემლობა, თბილისი.

**მელიქიშვილი 1976:** ირ. მელიქიშვილი, მარკიონების მიმართება ფონოლოგიაში, მეცნიერება, თბილისი.

**ონიანი 1998:** ალ. ონიანი, სკანური ენა (ფონოლოგიისა და მორფოლოგიის საკითხები), თსპუ გამომცემლობა, თბილისი.

**ტუიტი 1998:** K. Tuite, *Kartvelian Morphosyntax*, Lincom Europa, Munich.

**ჩიქობავა 1961:** არნ. ჩიქობავა, ერგატიულყონბსტრუქციის პრობლემა მეცნიერებაზე კასიურ ენებში, II, ერგატიული კონსტრუქციის რაობის თეორიები, საქ. სსრ მეცნ. აკადემიის გამომცემლობა, თბილისი.

**ჩიქობავა 1968:** არნ. ჩიქობავა, მარტივი წმინდადების პრობლემა ქართულში, I, თბილისი.

**ყიფშიძე 1914:** И. Кипшидзе, *Грамматика мингрельского (иверского) языка*, СПБ.

**შანიძე 1973:** ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძლები, I, თსუ გამომცემლობა, თბილისი.

**ჰარისი 1981:** A. C. Harris, *Georgian Syntax. A study in relational grammar*, University Press, Cambridge.

**ჰარისი 1985:** A. C. Harris, *Diachronic Syntax: the Kartvelian case*, *Syntax and Semantics*, 18, Academic Press, New York.

**ჰოლისკი 1981:** D. A. Holisky, *Aspect and Georgian Medial Verbs*, Caravan Books, Delmar-New York,

**ჰოლისკი 1991:** D. A. Holisky, *Laz, The Indigenous Languages of the Caucasus*, Vol.1, *The Kartvelian Languages*, Caravan Books, Delmar-New York, 395-472.

## The Category of Voice in the Kartvelian Languages: Reinterpretations and Attempts of Reconstruction

### Summary

Two different formal models traditionally called ‘Active’ and ‘Passive’ are distinguished in the Kartvelian languages. The morphosyntactic features defining a formal opposition and creating the models can be summarized as follows.

**TABLE 1: MORPHOSYNTACTIC FEATURES OF ACTIVE AND PASSIVE FORMAL MODELS**

	‘Active Model’	‘Passive Model’
Special markers –	–	*i-, *e-, ablautPres
Present tense marker Ø*-i	Ø	*-i
Argument alignment	NOM. construction/ ERG. construction/ DAT. construction	Nominative construction

It is difficult to give simple semantic and/or functional interpretation of the models inasmuch as the constructions pointed out as ‘passive’ ones do not always express a passive essence and actually represent a variety of verb semantics: deponent verbs, dynamic intransitive actions, potentials, reciprocals, reflexives, etc. Thus, it is almost impossible to find simple correspondences between the ‘form’ and the ‘meaning’ and taxonomic qualifications based either on functional (that is, via changing syntactic functions) or unequivocal semantic (that is, via defining active-passive semantics) interpretations concerning the formal models are much more difficult to make, and sometimes even impossible. Thus, the traditional terms ‘active’ and ‘passive’ actually have a conventional character.

Attempts at new theoretical approaches have been undertaken to explain such cases. M. Shibatani’s (Shibatani 1985) interpretations seem to be more efficient from this point of view. He considers the active-passive opposition as a continuum, where polar dimensions fit in with the prototypical active and passive constructions, while non-polar, inter-medial cases share only some semantic-categorical features of the categories characteristic for the prototypical ones.




Fig.1. A continuum of active-passive opposition

In the Kartvelian languages, primarily, the active model serves to represent transitive verbs with an affected object – let us call them Prototypical Actives; while the passive model serves to represent special derived forms which resulted from the functional changes of active constructions (resp., conversive passives) – let us call them Prototypical Passives. But, there are a lot of verbs that cannot be interpreted as prototypical actives or prototypical passives – let us call them Medial ones.

In general, languages turn to various strategies to represent such non-polar, medial cases; they either create new formal models, or choose from the existing ones a model that conventionally is regarded as the most appropriate and proximate according to certain semantic-categorical features.

The paper offers a cognitive productive strategy based on semantic features that define the choice of either passive or active formal models for the grammatical representations of verbs showing medial semantics. The strategy is organized as an algorithm with the four stages of implicational rules and mirrors the hierarchically organised optimal generative process of linguistic structuring of an active-passive continuum.

The algorithm is based on the semantic features of ‘DYNAMICITY’, ‘TELICITY’, ‘AORIST’, and ‘SEMANTIC ROLES’ (resp. Ag, P, and Ad) that have a crucial role in the process of grammaticalization of the traditionally assigned verb classes (Shanidze 1973) in the Kartvelian languages.

**TABLE.2: VERB CLASSES**

VERB CLASSES	TRANSITIVITY	TELICITY	DYNAMICITY
I CLASS	+	+	+
II CLASS	-	+	+
III CLASS	-	-	+
IV CLASS	-	-	-

Semantic roles are distinguished by the feature ‘FREE WILL’: an Agent is the role that fits in with an argument always acting due to its ‘Free Will’ (i.e., it is characterized as +[FW]); an Addressee, in a broader sense (including Benefactive, Experiencer, Recipient, Source, Goal...) is the role denoting that the FW of an argument is not involved in the event (i.e., it is characterized as -[FW]); concerning a Patient, being semantically an “undergoer” its FW is a priori absolutely excluded and fully removed from the event; it does not exist independently of the event, or not at all (Dowty 1991). Thus, the feature FW is functionally redundant for it (i.e., it might be structurally qualified as an argument with *zero*-FW or Ø).

The algorithm works as follows:

- I.  $-\text{[Free Will]}$  → Dative case
- $-\text{[DYNAMIC]}$  → NOM construction, static morphology (IV class<sub>STATIC</sub>)
  - $\{(-\text{[F.W.]}) \wedge \emptyset\}$  → NOM construction, passive morphology (II class)
  - $\{-\text{[F.W]}_{\text{EXP}}(\wedge \emptyset)\}$  → DAT construction, static/passive morphology (IV class<sub>AFFECTIVE</sub>)
  - $+\text{[F.W]}_{\text{NONEVIDENTIAL}}(\wedge)$  → DAT construction, active morphology (I/III class<sub>IIIseries</sub>)
  - $+\text{[F.W]}$  → II.  $+\emptyset \rightarrow \text{III. } +\text{[AORIST]}$  → ERG construction, active morphology (I class)
    - $-\text{[AORIST]}$  → NOM construction, active morphology (I class)
  - $-\emptyset \rightarrow \text{IV. } +\text{[TELIC]}$  → NOM construction, passive morphology (II cl)
    - $-\text{[TELIC]}$  → ERG construction, active morphology (III class)

The row of the implicational rules creating the algorithm is strictly defined: I→II→III→IV. In Laz III-rule is excluded, in Megrelian IV-rule does not play any role, and in Georgian and Svan both are valuable; moreover, III-rule takes place in case of  $-Ø$  as well – the algorithm returns recursively to III-rule after the application of IV-rule.

Supposedly, the given algorithm mirrors the hierarchically organised optimal generative process of linguistic structuring based on a cognitively defined “conventional linguistic decision”: *the definite model representing some core semantics serves better to represent certain marginal semantics as well.*

Thus, the reconstruction of ‘Active-Passive’ morphosyntactically distinguished constructions for the Proto-Kartvelian language seems to be disapproving; yet, definite formal models defined by certain semantic features together with the reconstructed \**i*-prefix showing the decrease of verb valency create appropriate grounds for further developments and, as a result, the category of voice is grammaticalized in every Kartvelian language; still, the category preserves its historical specificity and it is more adequate to speak about the opposition: ‘broadened active’ (resp. active-transitive and active-intransitive-dynamic-atelic) – ‘broadened passive’ (resp. intransitive conversive passive, intransitive-dynamic-telic and static) verb forms and constructions. The process reflects general tendencies and directions of development – *a semantically oriented language system is transformed into a functionally oriented one.*

პირველი გრედაცი

ერთული სიტყვის მოღვალობის  
და სინტაქსური თვისებები<sup>1</sup>

1. არსებობს ქართული მორფოლოგიისა და სინტაქსის პრობლემები, რომელიც საქართველოში, პირველ ყოვლისა, ორთოგრაფიის თვალსაზრისით განიხილება. მას განეკუთვნება პრობლემა, თუ რამდენი წევრისგან შედგება შემდეგი ერთული, რომელიც ეკუთვნის მრავალ მაგალითს, რომლებიც მიხეილ ჭაბაშვილმა (1988) ამ პრობლემასთან დაკავშირებით შეაგროვა:<sup>2</sup>

(1) [[[კუ-ს] ძვლ-ის] ჩარჩო]ან-ი სათვალე (ჭაბ. 1988:7)

ჯერ კიდევ აკაკი შანიძემ (1973:108) დაწერა ზოგიერთი რამ ქართულ სიტყვათა წარმოების შესახებ თავში „წარმოქმნა“, ანუ მორფოლოგიის ფარგლებში. ეს განლაგება, მართალია, სწორია, მაგრამ ის ქმნის შთაბეჭდილებას, რომ საქმე **მხოლოდ** მორფოლოგიურ პრობლემას ეხება. ბესარიონ ჯორბენაძემ (1984) კი მიუთითა, რომ მაგალითად, უ—ო აფიქსიანი სიტყვაწარმოება მარტივი სახელური ფუძის გვერდით შეიძლება შეიცავდეს სინტაგმებსაც. მურმან სუნიშვილი თავის სპეციალურ გამოკვლევაში (სუნიშვილი 1984:181) ლაპარაკობს მსახლეობრივ-საზღვრულიან „სინტაგმებზე“. მაგალითი ბევრია (დ)-(კ), და ძველ ქართულშიც გვხდება (ლ).

- (2) (ა) უ-[შენ]-ო-დ  
(ბ) უ-[ცოლ]-ო  
(გ) უ-[ლუქმა-პურ]-ო (შანიძე 1973:§176)  
(დ) უ-[ლამაზ-ქალ]-ო (ჯორბენაძე 1984:139)  
(ე) იგი უ-[დიდ-გვარ]-ო-და-ც დიდიაო (ი. ჭავჭავაძე apud სუნიშვილი 1984:176-179)  
(ვ) თავისი არსებობა კი ვერ წარმოედგინა უ-[ქმ-ქალ]ო-დ (ა. ყაზბეგი აპუდ შანიძე 1973:§177, შენიშვნა)

<sup>1</sup> წაკითხულია მოხსენებად 2015 წლის 10 ნოემბერს საერთაშორისო ქართველოლოგიური კონგრესის სხდომაზე. — დიდ მაღლობას მოვახსენებ ავთანდილ არაბულს, ნინო დობორჯგინიძეს, ივანე ლეხეგავას და რეზო კიკნაძეს, რომლებიც სხვადასხვა დროს მომებსარნენ თავიანთი მსჯელობითა და ექსპერტიზით. ნინო დობორჯგინიძეს განსაკუთრებით ვმაღლობ კომპეტენტური თარგმანის, კორექტურისა და დამატებითი მაგალითებისთვის.

<sup>2</sup> ორთოგრაფიული პრობლემა, რა თქმა უნდა, უფრო ფართო. მაგალითად, ი. ნიკოლაიშვილი ჯერ კიდევ 1928 წელს წერს: ნაცვალ სახელი (დღევანდელი ნაცვალსახელი), დრო ნაკლი (დღევანდელი დრონაკლი) და ა.შ.

- (გ) უ-[ჩემ-შვილ]-ო-დ (ქართული სამართლის ძეგლები apud სუხიშვილი 184:179)
- (თ) უ-[დედ-ის]-ალერს-ო (ჯორბენაძე 1984:139)
- (ი) უ-[ჩიტ-ის]-რძე]-ო, უ-[რკინ-ის]-ხიდ]-ო, უ-[პარხლ-ის]-სახარჯ]-ო-დ (შანიძე 1973:§177)
- (კ) უ-[ქ-ის]-ყმ-ის]-ო-დ (ვეფხისტყაოსანი 754,4 apud შანიძე 1973:§176; შდრ. უამისოდ)
- (ლ) უ-[ტენ-ი]-ჭან-ის]-ო]-დ (არჩილი apud სუხიშვილი 184: 179,7;)
- (მ) უ-[მუხრან-ის]-ბატონ]-ოთ (ქ. სამ. ძეგლ. apud სუხიშვილი 184:179)
- (ო) იგიცა მონაზონი უ-[ნუგეშინ-ის-ცემ]-ო-თა გლოოთა შეპყრობილი იყო (იოვანე დამასკელის ცხოვრების ეფრემ მცირის თარგმანი XX apud კ. კეკელიძე, ეტიუდები VII, გვ. 167).

თავისი მითითების იმპლიკაციათა შესახებ ბ. ჯორბენაძე და მ. სუხიშვილი არაფერს ამბობენ. მაგრამ აღსანიშნავია, რომ სინტაგმა სიტყვაწარმოების პროდუქტიული სახეობის ამოსავალი ერთეულია: სახელი მსაზღვრელითურთ (დ)-(ე)-ში, სახელი ნათესაობითიანი მსაზღვრელითურთ (თ)-(ი)-ში და ა.შ. ზემოთ ხაზგასმული ნაწილები არ არის აფიქსიანი სახელური კომპოზიტები, ვინაიდან ლამაზ-ქალ-, ამ-ქალ-, დედის-ალერს- და ა.შ. არ არის სახელური კომპოზიტები, რადგან, ლამაზ-ქალ-, მაგალითად, არ შეიძლება ვაბრუნოთ: არ არსებობს ნათესაობითი ლამაზქალის. და ზედსართავის ტიპი დიდვაჭარი, დიდ-ოსტატი-ი, რამდენადაც მე ვიცი, არ არის პროდუქტიული; სიტყვები, როგორიცაა \*დიდმეცნიერი არ არსებობს. ამის გარდა სიტყვის მატარმოებელი თავსართ-ბოლოსართი უ—ო ირგვლივ აპრავს მის ამოსავალ ერთეულს; ამიტომაც არავის მოსდის თავში აზრად, რომ ულამაზქალო-ში შესაძლოა ლამაზ იდგეს სიტყვის გარეთ და არ იყოს სიტყვის შემადგენელი ნაწილი. უ—ო აფიქსიანი სიტყვები ასევე აშკარად აჩვენებენ, რომ ქართულში არსებობს შესიტყვებები, რომლებიც სიტყვაწარმოების ამოსავალი ერთეულებია, და რომ ბესარიონ ჯორბენაძის ტერმინი „სინტაგმა“ სწორია. ინგლისური ტერმინოლოგით რომ ვთქვათ, ქართული სიტყვაწარმოების ამოსავალი ფორმის ფრაზის თვისებები შეიძლება ჰერნდეს (Boeder-Schroeder 2000). ქვემოთ ინგლისური „ფრაზის“ და ქართული „შესიტყვების“ ნაცვლად ტერმინს „სინტაგმას“ გამოვიყენებ წინადადების ან სიტყვის სინტაქსური შემადგენლის მნიშვნელობით („სახელური სინტაგმა“ = „სახელური ფრაზა / შესიტყვების გება“, „ზმნური სინტაგმა“ = „ზმნური ფრაზა / შესიტყვება“ და ა.შ.).

ეს ჩართული სინტაგმები ფუძეებსა და ნათესაობითის ფორმებს შეიცავს. საგულისხმოა, რომ ფუძეები არ არის ორიბი ბრუნვის ფორმები. სიტყვაში უამქალოდ ამ- ფორმალურად, მართალია, ერთი და იგივე ფორმაა, როგორც ორიბი ბრუნვის ფორმა, მაგრამ ამ ისეთ სიტყვებშიაც გვხდება, სადაც არ შეიძლება იყოს ბრუნვის ფორმა, მაგალითად, სიტყვა აძღენი-ში. ასევე სიტყვა ლამაზ-

ულამაზელო-ში არ არის ირიბი ბრუნვის ფორმა, არამედ ფუძე. ფუძისა და ირიბი ფორმის განსხვავება მნიშვნელოვანია იმის მიუწედვად, რომ ფორმალურად იდენტურია, ვინაიდან ბრუნვა სიტყვის სინტაქსურ გარემოზეა დამოკიდებული, ფუძე კი – არა. მაშასადამე, ირიბბრუნვიან სახელზე მხოლოდ მაშინ ვიღაპარაკებთ, როდესაც სინტაქსური გარემო მოითხოვს ბრუნვას.

ამას გარდა, ჩვენ ვხედავთ, რომ ეს სინტაგმა მხოლოდ ფუძეებისგან არ შედგება. ამის ორი დასტურია. პირველი არის დედის ფორმა უ-დედ-ის-ალერსო-ში (თ), რომელიც ერთმნიშნელოვნად სიტყვის ფლექსიური ფორმაა და არა ფუძე, ვინაიდან მას აქვს ნათესაობითის სუფიქსი.<sup>3</sup> მეორე, ფორმა უბავშებოდ (6)-ში შეიცავს მრავლობითის ფორმას, რომელიც არა ფუძედ, არამედ ფლექსიურ ფორმად ითვლება.

სიტყვისგარეთ მდგომი სინტაგმებისგან განსხვავებით კი უ- თ აფიქსიანი სინტაგმები სტრუქტურულად, ეტყობა, შეზღუდულია. პირველი შემადგენლის ნათესაობითიანი სახელის ნათესაობითიანი მსაზღვრელი მისაღებია როგორც (3) (ა)-ში, მაგრამ ასეთი სავრცობი შეზღუდულია: მისაღებია მაკლასიფიცირებელი ნათესაობითი სახელი, მაგრამ მიუღებელია არამაკლასიფიცირებელი ნათესაობითი სახელი როგორც (ბ)-ში. მიუღებელია აგრეთვე ორი მსაზღვრელი (ჩვენებითი მსაზღვრელი და ზედსართავული მსაზღვრელი ამ-ოფიციალურ- (გ)-ში).

- (3) (ა) უ-[[კუს]-ძვლ-ის]-ჩარჩო]-ო სათვალე
- (ბ) ?? უ-[[მეგობრ-ის]-ბიძის]-მოხმარებ]-ო-დ
- (გ) ?? უ-[ამ-ოფიციალურ-ბარათ]-ო-დ

აღსანიშნავია, რომ ზოგი ფორმა ნაკლებად მისაღებია (და ამიტომ ალბათ უფრო იშვიათად გვხდება). მ. სუხიშვილი (1984:181) ისეთ მაგალითებს, როგორცაა უთანამდებულიანბრუნვიანი, „უხერხულად“ თვლის, და ფიქრობს, რომ „გამართლებული არ უნდა იყოს“, „რადგან არ ქმნიან ახალ ერთეულს, ახალ სიტყვას“. უხერხულობის ერთ-ერთი ფაქტორია „სიტყვის სიგრძე“: „მოკლე ფორმა უფრო ბუნებრივად აღიძება“.

ამ პრობლემებს სჭირდება უფრო ღრმა ემპირიული გამოკვლევა.

2. ენათმეცნიერებაში სიტყვა ლინგვისტური ანალიზის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ერთეულად ითვლება, რადგან სიტყვის ცნების საშუალებით მორფოლოგია ისაზღვრება სინტაქსისაგან. მაშასადამე, საჭიროა შესაძლებელი სიტყვის განსაზღვრა. ამ განსაზღვრის ერთ-ერთი ასპექტი არის ოდინდელი თვალსაზრისი, რომ – უხეშად რომ ვთქვათ – შეუძლებელია კომპოზიტები ჩართულ ერთეულად შეიცავდნენ სინტაგმებს (ფრაზებს) (“no phrase constraint”, Botha 1981), ე.ი. ამ პრინციპის მიხედვით სინტაქსი არ მოქმედებს სიტყვის ფარგლებში. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ მრავალ ენაში არსებობს გამონაკლისები.

<sup>3</sup> შდრ. ჰარისის გამოკვლევა (Harris 2002), რომელშიც მან განიხილა ბრუნვიან-თანდებულიანი ფორმები როგორც სიტყვის შემადგენლები: ძეგლბარ-თა-გან-ი.

სიტყვები შეიძლება შეიცავდეს სინტაგმებს, და სინტაქსი ამ შესიტყვების სწორ ჩამოყალიბებას მართავს მაშინაც, თუ სინტაგმა სიტყვის ნაწილია (Booij 2009:89). ამიტომ სტრუქტურული ნათესაობითიც გვხდება, რომელიც შემდეგი სინტაქსური კონფიგურაციითაა განპირობებული: [[სახელური ფრაზა] სახელი].

ჩვენი აზრით, სტრუქტურული ნათესაობითი სიტყვის ფარგლებში ისეთივე ფლექსის შემთხვევაა, როგორც შეთანხმება (Booij 1996: 9), რომელზედაც ქვემოთ იქნება საუბარი.<sup>4</sup> ბრუნვას ასეთ შემთხვევებში შეუძლია მხოლოდ სიტყვის შინაგანი მიმართებები გამოხატოს (იქვე), და არ გამოხატავს სიტყვის გარეთ მდგომ სიტყვასთან მიმართებას. განვიხილოთ:

## (2) (თ') უ-[დედ-ის-]ალერს-]ო შვილი

აյ ნათესაობითი დედის სინტაქსურად არ მიემართება სახელს შვილი; არ არ-სებობს უშუალო სინტაქსური მიმართება დედის-სა და შვილის მორის. ეს უდრის ზოგად შეზღუდვას, რომლის თანახმად, სინტაქსის შეუძლია შეეხოს მხოლოდ სიტყვებს, სიტყვის ნაწილებს კი – არა. სხვანაირად რომ ვთქვათ, სინტაქსის ერთეულები არის სიტყვები და არა სიტყვის ნაწილები. ეს არის „ლექსიკური მთლიანობის შეზღუდვა“ (“lexical integrity constraint”<sup>5</sup>).

შევაჯამებთ შედეგებს: სიტყვაში ჩართული სინტაგმები შეიძლება შეიცავდეს ფლექსიურ ფორმებს, სახელდობრ, როგორც მრავლობით ფორმებს, ე.ო. სემანტიკურად განპირობებულ ფლექსიურ ფორმებს, ისეც ნათესაობით ფორმებს, ე.ო. სინტაქსურად განპირობებულ „კონტექსტუალურ“ ფლექსიას. მრავლობითი (2) (6)-ში ეხება რეფერენტების (ბავშვების) სიმრავლეს, ე.ო. თვით სახელის სემანტიკურ თვისებას; ნათესაობითი (2) (თ)-ში ეხება განმსაზღვრელსა და საზღვრულს შორის არსებულ მიმართებას, ე.ო. კონტექსტთან მიმართებას.

შეძლევები მე განვიხილავ სიტყვაწარმოების ორ ტიპს, რომლებიც შეიცავს ორ განსხვავებულ სინტაქსურ ერთეულს: აბ-სუფიქსიან სახელებს (ან სახელურ სინტაგმებს) (შანიძე 1973:§163) და „მიმღეობიანი ქონების სახელებს“ (ან ზმნურ სინტაგმებს) (შანიძე 1973:§196).

3. ჯერ განვიხილოთ აბ-სუფიქსიანი სახელები (4) (ა)-(გ) და მსგავსი ტიპის მაგალითი (4) (გ)-(თ).

<sup>4</sup> ბოი (Booij 2009:89) სიტყვის შიგნითა ფლექსიას შეზღუდავს: „უშვებს მხოლოდ “inherent inflection” (ე.ო. თვით სახელის სემანტიკის დამახასიათებელ ფლექსიას): “the kind of inflection that we find [in complex words]-ის inherent inflection that is determined by the semantics, and not by syntactic rules such as agreement or structural case marking that require the inflectional marking of word parts by a linguistic unit outside of that word”. მაგრამ ეს აკრძალვა სიტყვაში ჩართული სინტაგმის შემადგენელს არ ეხება (Booij 1996:9): “we do find contextual inflection inside words, but only when the inflected word forms [are] part of a phrase that is embedded in a word.”

<sup>5</sup> “The syntax neither manipulates nor has access to the internal structure of words” (Anderson 1992:84). ბოიმ დაამტკიცა, რომ სიტყვის ნაწილები ზოგჯერ სინტაქსისთვის მისაწყდომი უნდა იყოს (Booij 2009), ასე რომ, წესის მეორე ნაწილი გამართლებული არ არის.

- (4) (ა) [შედედებულ-რძ]-იან-ი ყავა (რ. კ.)  
(ბ) [[ნაბდ-ის]-ქედ]-იან-ი კაცი (ჭაბ. 94)  
(გ) [[ხარისხ-ის]-სახელმწიფო-ნიშნ]-იან-ი პროდუქცია (ჭაბ. 97)  
(ღ) [[ერთ-გვარ]-[[პირ-მიუმართავ]-დამატებ]]-იან-ი შერწყმულ-ი  
წინადაღება (კიზირია 1984:212)  
(ჟ) [ასეთ-[უჩვეულო-სათაურ]]-იან-ი რომან-ი (რ.კ., Boeder –  
Schroeder 2000:184; შდრ. ჭაბ. 96)  
(პ) [ოცდაათ-[კვადრატულ-მეტრ]]-იან ბინაში (ჭაბ. 97)  
(ჰ) [[[კუ-ს]-ძვლ-ის]-ჩარჩო]-იან-ი სათვალე (= (1); შდრ. (3) (ა))  
(ო) [[[მუყაო-ს]-ყუთ-ის]-მაგვარ]-ი ფორმა (ნ. ღ.)  
(ი) \*[ამ-რძ]-იან-ი ყავა (რ. კ.)  
(კ) \*[დედაქალაქ-ის]-ამ-ხედ-ებ]-იან-ი ალბომი (რ. კ.)  
(ღ) \*[ამ-თხ-ის]-რძ-იან-ი ყავა (რ. კ.)  
(მ) [[ამ ქალაქ-ის]-ხედ-ებ]-იან-ი ალბომი (რ. კ.)

(ა)-(თ)-ში ყველა სახელური სინტაგმა რეფერუნციალური (სპეციფიკური) არის,<sup>6</sup> მაგრამ დეფინიტური ვერ არის (Harris 2007:228), იხ. (ი). ამით ისინი განსხვავდება უ—ო-აფიქსიანი სიტყვებისაგან (იხ. (2) (ე)-(ჰ)). მაგრამ ზოგი დეფინიტური მართული ნათესაობითი სინტაგმაში, ეტყობა, მისაღებია, იხ. (ღ) ვს. (მ). როგორც ვხედავთ, შესაძლებელია როგორც მმართავი სახელი (გ)-(დ)-ში, ასევე ნათესაობითიანი სახელი გავრცობილ იქნეს ზედსართავიანი ან ნათესაობითიანი მსაზღვრელით: სახელმწიფო- (გ)-ში (შდრ. რეკურსიული ზედსართავიანი განსაზღვრა (დ)-(ვ)-ში), კუ-ს ძვლ-ის (ზ)-ში, ძუყაოს-ყუთის- (თ)-ში. ნათესაობითიანი სახელი (ზ)-(თ)-ში მაკლასიფიკაცირებელი ტიპისაა (შდრ. (3) (ა)): კუს (ზ)-ში განსაზღვრავს ძვლის ტიპს, ძუყაო-ს (თ)-ში განსაზღვრავს ყუთ-ის ტიპს და ა.შ. რეკურსიული მარცხნივი განშტოება როგორც (ზ)-სა და (თ)-ში ადრე (Yngve 1960) მიჩნეოდა როგორც ფაქტორი, რომელიც ამძიმებდა ენის დამუშავებას, მაგრამ ჩემი ინტუიციური განსჯით ისე ჩანს, რომ ის არანაირ სირთულეს არ უქმნის ქართველებს. ამის მიუხედავად, რეკურსიულობა სიტყვის მორფოლოგიაში შედარებით იშვიათია, და ბევრ სხვა ენაში ტიპურმა სიტყვამ რეკურსიულობა არ იცის (Matthews 1974:164-165). მაგრამ ქართულ-ში ზმნურ ფლექ-სიურ მორფოლოგიაშიც გვაქვს რეკურსიული ფორმები, როგორიცაა:

(5) [[აკეთ-ებ]-ინ-ებ]

ჩვენს კონტექსტში გადამწყვეტია ის გარემოება, რომ ნათესაობითის მართვა (ზ)-(თ)-ში სინტაქსური პროცესია. მართვის გვერდით მოსალოდნელია მეორე სინტაქსური პროცესი, კერძოდ, ბრუნვის შეთანხმება, ვინაიდან ქართულ სტანდარტულ ენაში ზედსართაული მსაზღვრელები შეთანხმებულია თავიანთ მმართავ სახელთან. ვნახოთ რამდენიმე მაგალითი:

<sup>6</sup> შდრ. ჰარისი (2007:212) მიმღეობიანი კომპოზიტების შესახებ.

- (6) (ა) [[ვითარებით-ბრუნვ-ის]-ფორმ-ებ]-იან სახელ-თა სტატუს-ი  
 (თ. ვაშაკიძე, ნ. ჯორბეგაძე: არნოლდ ჩიქობავას საკითხაკები  
 XXI)
- (ბ) [[ვითარებით-ი-ბრუნვ-ის]-ფორმ-ებ]-იან სახელ-თა სტატუს-ი  
 (გ) [[უცნობ-ი ქალაქ-ის] ხედ-ებ]-იან-ი ალბომ-ი (ლ. გ., Boeder –  
 Schroeder 2000:183)  
 (დ) [[უცნობ-ი ქალაქ-ის] ხედ-ებ]-იან ალბომ-ს

ამ მაგალითებში, ცხადია, სახელებს ფორმებ- და ხედებ- არ შეიძლება ჰქონდეს ბრუნვის ნიშანი, ვინაიდნა იბრუნვის მხოლოდ იან-სტეფიქსიანი ბოლო სიტყვა შეთანხმების შედევად, და არა ამ სიტყვაში ჩართული სახელები, რომლებსაც არც შეთანხმების მმართავი ბრუნვიანი საზღვრული, და არც ბრუნვის მმართავი სახელი აქვთ.<sup>7</sup> ამის საპირისპიროდ, სხვაგვარადაა ნათესაობითი ბრუნვის ფორმა: ნორმალური წინადადების სინტაქსში ჩვენ ველოდებით შეთანხმებას: ვითარებითი ბრუნვის როგორც (ბ)-(დ)-ში, მაგრამ (ა) ვარიანტი ზოგიერთი ქართველის მიერ ნორმად მიჩნეული ჩანს. მაშინ როცა ერთ ვარიანტში (ა)-ში მხოლოდ მართვის სინტაქსური წესი მოქმედებს, (ბ) და (გ) ვარიანტში მოქმედებს როგორც მართვა, ასევე შეთანხმება. (დ)-ში ჩანს, რომ სიტყვა უცნობი-ის ბრუნვა დამოუკიდებელია სახელის ბრუნვისგან ალბომს, და ამიტომ არ შეიძლება ისე, როგორც (გ)-ში, განპირობებული იყოს ალბომის-ს სახელობითით.

4. მაგრამ გადამწყვეტია ის, რომ სახელური თავის ზედსართაულ მსაზღვრელებს უბრუნვისნიშნო ფორმა აქვთ:

- (7) (ა) მაღალ-ქუსლ-იან-ი ფეხსაცმელ-ი  
 (ბ) მაღალ-ი ქუსლ-იან-ი ფეხსაცმელ-ი  
 (გ)-ში მაღალ-ი არასდროს შეიძლება ქუსლ-ს მიემართებოდეს, არამედ უნდა მიემართებოდეს ფორმას ფეხსაცმელი.

ამასთვის დაკავშირებით მე მინდა დავასახელო ზოგიერთი ფორმა -ელ სუფიქსით:

<sup>7</sup> ამ წესის მნიშვნელობა ცხადი ხდება სვანურში. ამ ენაში -თან სუფიქსის შესატყვევისი არის *le-/lə-/lu-* პრეფიქსი: *le-pāt' ‘თმ-მან-ი’*. ზემოსვანურის შემდეგი მაგალითები მის შეთანხმებას ნათელყოფს: *mešxe māre* ‘შავი კაცი’, *mešxe lə-pātv mar-a/mare-s* *xetxelia?* *deme, tetne lə-pātv-s* ‘შავ პრეფიქსითმა კაც-მიცემთო ექბ? – არა, თეთრ პრეფიქსითმა-მიცემთო’ (შავთმიანმა კაცმა მოგცა?); *deme, tetne lə-pātv-d* ‘არა, თეთრ პრეფიქსითმა-მოთხოვთით’. აქ ატრიბუტი *mešxe / tetne* შეუცვლელია. მაგრამ ლაშტურ-ჩოლოლურში სახელობითისა და ორიბი ბრუნვის ოპოზიცია გვაქვს როგორც არაჩართული სინტაქმების, ასევე ჩართული სინტაგმის ატრიბუტებში: სახელობითი *mešxa* vs ორიბი *mešxa*, *tetne* vs *mešxa*; *mešxa lu-patv mar-a/mare-s* *xetxelia?* *deme, tetna lu-patv-s*; (შავთმიანმა კაცმა მოგცა?) *deme, tetna lu-patv-d*. აქ პრეფიქსიანი ატრიბუტი შეთანხმბებულია იმიტომ, რომ მისი საზღვრული სახელი „თმა“ იბრუნვის, მაშინ როდესაც ქართულში იბრუნვის არა თმა-, არამედ თმ-აან-, რომელიც საზღვრული არ არის (დიდად ვმაღლობ მედეა საღლიანს სვანური მონაცემებისთვის ატრიბუტის შესახებ).

- (8) (ა) უცხო-პლანეტ-ელ-ი (ჭაბ. 94)  
 (ბ) [[აგურ-ის]-ქარხნ]-ელ-თა კამათ-ის საგანი (ჭაბ. 95)  
 (გ) [[იმ-სოფლ]-ელ]-ი კაც-ი-ა, სადაც დავიბადე  
 (დ) ეგ [[[ჩემ-სოფლ]-ელ]-ი კაც-ი-ა  
 (ე) ეგ ჩემ-ისოფლ-ელ-ი კაც-ი-ა (შდრ. ჩემ-ს სოფლ-ელ კაც-ს ვერ ვხედავ)

(ა)-(დ)-ს აქვთ მსაზღვრელები (დეტერმინანტები), როგორიცაა იან-სუფიქსიან ფორმებში. პრობლემატურია ფორმა (ე). მაშინ როცა (დ)-ში ჩემ-სოფლ-ელ-ი ერთი სიტყვაა, (ე) ჩემ-ი სოფლ-ელ-, სავარაუდოდ, ორ სიტყვას შეიცავს, რომლებიც უთანხმდება სიტყვას კაცი. თუ ეს სწორია, მაშინ (ე) მოგვაგონებს საიათნოვას ერთ გრამატიკულად უცნაურ სტრიქონს:

- (9) შავ-ო მაყვალი-ვით თვალ-ებ-იან-ო (საიათნოვა)  
 < მაყვალი-ვითშავ-თვალ-ებ-იან-ო

ორივე შემთხვევაში სიტაგმის შემადგენელი (შვ- როგორც შავუალუბანის შემადგენელი, ჩემი, როგორც ჩემსოფლელი-ის შემადგენელი) „გადაადგილებულია“ სიტყვის გარეთ. მე მაკლია საჭირო მასალა, ეს შემთხვევა რომ შევაფასო და ამიტომ პრობლემა გადაუჭრელად უნდა დავტოვო. მაგრამ ჩემი (ე)-ში, ალბათ, მაინც განსხვავეულია შვ-ო ფორმისაგან (9)-ში. შესაძლებელია, რომ სოფლელი-ს (ე)-ში „თანასოფლელი“-ს მნიშვნელობა აქვს, ანალოგიურად შესიტყვებისა, როგორიცაა ჩემი კლასელი „ჩემი თანაკლასელი“. მაშინ ჩემი იქნებოდა სოფლელი-ს მსაზღვრელი კლასელი-ს შესაბამისად. თუ ეს სწორია, შავ-ს და ჩემი-ს პარალელიზმი მოჩვენებითია.

5. მართლწერაში სიტყვებისგან შედგენილი სიტყვის სტატუსი ზოგჯერ გამოხატულია ერთად დაწერით, ასე მაგალითად, (10) (ა)-ში. ამის საპირისპიროდ, გაყოფილად დაწერილ (10) (ბ)-ში, სავარაუდოდ, გამოხატულია ინტუიცია, რომ საქმე ეხება რამდენიმე სიტყვას:

- (10) (ა) ვითარებით-ბრუნვის-ფორმ-ებ-იან სახელ-ს  
 (ბ) ვითარებით ბრუნვ-ის ფორმ-ებ-იან სახელ-ს

ორივე მოსაზრება გამართლებულია: (ა)-ში გამოხატულია, რომ საქმე ეხება ერთ სიტყვას, (ბ)-ში გამოხატულია, რომ თავად ეს სიტყვა სიტაგმაა და რამდენიმე სიტყვის ფორმისაგან შედგება. საქმე ეხება პერსპექტივის საკითხს. ამას, სავარაუდოდ, ემატება სხვა ფაქტორები, რომლებიც მეორე თვალსაზრისს უჭერენ მხარს, კერძოდ, ცალკეული სიტყვების დიდი სიხშირე და პროსოდიული თავისებურებები: თითოეულ ამ შემადგენელ სიტყვას, სავარაუდოდ, აქვს საკუთარი პროსოდიული კონტური სინტაგმის ფარგლებში, მსგავსად როგორც არაჩართულ სინტაგმაში („შესიტყვებები“ ის. თევდორაძე 1970, „ფრაზები“ თევდორაძე 1978).

ახლა ავიღოთ სხვა, მარტივი მაგალითი და დავსვათ კითხვა, რა სტატუსი აქვს მსაზღვრელს ასეთ იან-ბუჯიქშიან სიტყვებთან:

(11) ორი პიპოთეზა (Harris 2007:209; 225)

(ა) “external modifier analysis”:

[[ორ] [მარცვლიანი]] სიტყვა

(ბ) “internal modifier analysis”:

[[ორ მარცვლ]-იან-ი] სიტყვა

(ა)-ს შეხედულებით ორ და მარცვლიანი ორი სიტყვაა, და ორი არის სიტყვა მარცვლიანი-ს ნაწილის მარცვლ- გარეგანი მსაზღვრელი. ეს შეხედულება შეესაბამება ინტუიციას, რომ საქმე (ალბათ!) ეხება ორ ფონოლოგიურ სიტყვას, რომელთაგანაც თითოეულს მახვილი აქვს. მაგრამ ეს შეხედულება სემანტიკურ და მორფოლოგიურ პრობლემასთანაა დაკავშირებული. სემანტიკური პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ აქ მსაზღვრელს ორ სიტყვის ნაწილი სკოპუსად აქვს, კერძოდ მარცვლ-. ეს არის ეგრეთ წოდებული ფრჩხილების პარადოქსი (“bracketing paradox”): (ა)-ს სტრუქტურა არ შეესაბამება სემანტიკურ მიმართებას. ამგარი პრობლემები განსაკუთრებით ინგლისურშია მრავალრიცხოვნი (Berg 2010), როგორც, მაგალითად, სინტაგმაში *criminal lawyer*, რომელშიც არ იგულისხმება აუცილებლად კრიმინალური ადვოკატი, არამედ ის, ვინც იცავს კრიმინალურ კლიენტებს, რომლებიც ეკუთვნიან *lawyer*-ს სემანტიკას. პრობლემა შესაძლებელია გადაიჭრას ინტერპრეტაციის განსაკუთრებული წესით, რომელიც უშვებს, რომ ზოგიერთი მსაზღვრელის მნიშვნელობა დაუკავშირდეს სხვა სიტყვის ნაწილს (Harris 2007). ქართული რამდენად მოითხოვს ასეთ წესს ჩვენი პრობლემისგან დამოუკიდებლად, მე არ ვიცი. ამდენად, უნდა დარჩეს პრობლემა ღიად. მაგრამ ამას ემატება მეორე, მორფოლოგიური პრობლემა. ამ ანალიზში (ა)-ს შესახებ საჭიროა არა მარტო დამატებითი სემანტიკური ინტერპრეტაციის წესი, არამედ ასევე უნდა აიხსნას, ცალკე სიტყვა ორ რატომ არ იბრუნვის, რადგან სიტყვის გარეშე „ირიბბრუნვიანი“ სახელები მხოლოდ მსაზღვრელის პოზიციაში გვხდება (მაგალითად, სინტაგმაში ორ მარცვლს). ასეთი კონფიგურაცია ორ-მარცვლიან-ის შემთხვევაში არ არსებობს. ეს ნიშნავს, რომ საჭიროა მეორე, დამატებითი წესი, კერძოდ, რომ მსაზღვრელი გვხდება „ირიბი ბრუნვის“ სახით,<sup>8</sup> თუ ის სიტყვის ნაწილს განსაზღვრავს (“when it modifies part of a

<sup>8</sup> ჰარისი (Harris 2007) ლაპარაკობს ხან „შიშველ ფუძეზე“ (bare stem, გვ. 219), როგორიც გვხედება კომპოზიტებში, გვ. 221), ხან „ირიბ ბრუნვაზე“ (oblique, გვ. 206, 216), სახელდობრ, „სახელდობითით განსხვავებული ბრუნვა“ (217). ბოი (Booij 2009:90) ჰარისი ესმის მხოლოდ ამ ბოლო გაგებით: “[sam tit-močrili (kaci):] The first word *sam* has to appear in the oblique form, because it modifies the word *tit* ‘finger’ which is part of the second word. That is, for the purpose of both case assignment (to the independent word *sam* only) and semantic interpretation, *sam* and *tit* form a unit. As Harris argues, the word *sam* cannot be considered a part of the next word (although its form is indeterminate and could also be interpreted as a stem form), because recursive

word”, Harris 2007:221) და ამგარად ეხება სიტყვის შინაგან სტრუქტურას. ორივე წესითვის არ ვიცი დამოუკიდებელი დამოწმება. მას შემდეგ, რაც უპვ ნათელია, რომ სიტყვის შეიძლება შეიცავდეს შესიტყვებებს, ჩემთვის უფრო მისაღები ვარაუდია, რომ ორ და მარცვლ ქმნის სინტაგმას “internal modifier analysis-ის” მიხედვით (ბ)-ში და რომ ორ-ს იმიტომ არ აქვს ბრუნვის ნიშანი (ან უფრო ზუსტად: რომ ფუბეა და არა ირიბბრუნვიანი ფორმა), ვინაიდან მარცვლ-ს არ აქვს ბრუნვა, რომელთანაც შეთანხმებული იქნებოდა ორ, ან ვინაიდან სიტყვის ფარგლებში არავითარი შეთანხმება არ შეიძლება არსებობდეს, თუკი იმ ქართველებს მივყვებით, რომლებიც აღიარებენ მხოლოდ (10) (ა) ვარიანტს ვითარებით-ბრუნვის (რომელშიც ვითარებით არ არის შეთანხმებული ფორმასთან ბრუნვის). სიტყვის ფარგლებში უბრუნვო სახელები ან ფუბებია (მაგალითად, ორ), ან დამატებითი სემანტიკური შინაარსის მატარებელი ფლექსიის სუფიქსიანი ფორმები (მაგალითად, მრავლობითი ხედებ (6) (დ)-ში).<sup>9</sup>

6. მე შევაჯამებ აქამდელ შედეგებს: –თან სუფიქსიან სიტყვებს აქვთ შესიტყვებები, როგორც სიტყვაწარმოების ამოსავალ ერთეულს, სახელდობრ, სახელურ ჯგუფს, რომელიც შეიძლება კომპლექსური იყოს. სიტყვაში ჩართული შესიტყვებების ფარგლებში არსებობს მართვა და ქართულის ერთ ვარიანტში ასევე შეთანხმება. სახელები, რომლებზედაც არც მართვა და არც შეთანხმება მოქმედებს (მხოლობითი ან მრავლობითი), უუბებია და არა ირიბი (ბრუნვიანი) ფორმები.

ეს სახელური ჯგუფები სპეციფიკურად ქართული სიტყვაწარმოებაა, რომელთა თარგმანი სხვა ენებზე, ჩვეულებრივ, არ არის შესაძლებელი მორფოლოგიური საშუალებებით. გთოვი შალამბერიძემ (1980:23) ყურადღება მიაქცია იმას, რომ ამ ქართულ ფორმებს რუსულში და უმეტეს ევროპულ ენებში ხშირად შეესაბამება თანდებულიანი შესიტყვებები, რაც ქართულში კალკის სახით არის შემოტანილი:

- (12) ფილტრ-იან-ი სიგარეტ-ებ-ი  
 რუსული sigarety s filtrom >კალკი: სიგარეტ-ებ-ი ფილტრ-ით

7. თან-სუფიქსიანი და ზოგიერთი სხვა სუფიქსიანი სიტყვაწარმოების გვერდით, რომელთა ამოსავალი ერთეული სახელური სინტაგმა, არსებობს სხვა სიტყვა-

modification is not allowed within Georgian compounds. Hence, it should be interpreted as the oblique form of an independent word. This case assignment thus requires access to the internal morphological structure of the second word [i.e. tit-močrili].” ეს ფორმული-რება თუ ჰარისის აზრს წარმოადგენს, petitio principii გვაქვს: მრავალგზისა განსაზღვრების აკრძალვა სიტყვის ფარგლებში არის საინტერესო შეზღუდვა, რომელიც ჩვენს ანალიზშიც დასტურდება, მაგრამ სამ და თით რა გაგებით არის მოჭრილის “recursive modification”? სამ არის თითის “modifier” (ფართო გაგებით), მაგრამ (სამ) თით არ არის მოჭრილის “modifier”, არამედ ერთი და იგივე ფუნქცია აქვს როგორც (სამი) თითი სინტაგმაში: (სამი) თითი მოუჭრა / მოჭრილი აქვს.

<sup>9</sup> ჰარისის ანალიზი მარტივ განმსაზღვრელს ეხება. ამას კი ემატება ერთზე მეტი განმსაზღვრელის პრობლემა. (4)(გ)-ში სარისხის სახელმწიფო შემადგენელი არ არის, და მისი ნაწილები “external modifier analysis”-ის მიხედვით ალბათ ცალ-ცალკე ნაშნ-ს უნდა დაუკავშირდეს.

წარმოებაც (ა. შანიძის ტერმინოლოგით: „თხზვა: ქონების შერწყმული მიმღეობანი სახელები“), რომლის ამოსავალი ერთეული ცხადად ზმნური სინტაგმაა, რომლის ზმნა მიმღეობაა და რომელიც შეესატყვისება მიმართებით წინადაღებას, რომლის ზმნას ახასიათებს სასხვისო ან სათავისო ქცევისა, ან ქცევის მსგავსი სემანტიკა (იხ. (ა); დაწურილებით იხ. Boeder 1999). გარდა ამისა, ეს ზმნური სინტაგმები უმეტესად სახელურ სინტაგმას შეიცავს, რომელიც, თავის მხრივ, კომპლექსური შეიძლება იყოს:

- (13) (ა) [სასიკვდილო-ჭრილობა]-მიყენებული ვეფხვი (ჭაბ. 97)  
შდრ. ვეფხვი, რომელსაც მიაყენეს ჭრილობა
- (ბ) [საყვარელ-ნაბად]-მოსხმული (ჭაბ. 95)
- (გ) [სრულ-საშუალო-სკოლა]-დამთავრებული (ჭაბ. 95)
- (დ) [ყელ-კისერ]-მოშიშვლებული (ჭაბ. 95)
- (ე) [[ჭირ-ის]-ოფლ]-დასხმული (ჭაბ. 97)
- (ზ) [პაპ-ის-[[ცხვრ-ის]-თავ-ის]-ქუდ]-ჩამოფხატული  
(ე. გაბაშვილი apud შანიძე 1973:161)

მაგრამ ეს სტრუქტურა არ არის შეზღუდული სახელურ სინტაგმაზე, როგორც იან-სუფიქსიანი ფორმების შემთხვევაში, ვინაიდან ასევე არსებობს ყველა სახის ზმნისართული ერთეულები:

- (14) (ა) თოფებ-მაღლა-აშვერილი (ა. ყაზბეგი apud შანიძე 1973:160)
- (ბ) სტუმარ-შინ-შაუყვანელო („ხევსურული ლანბლვა“, შანიძე 1973: 161)
- (გ) ბოხცა-ჩემოდნ-ებ-ახლო-მიწყობილი მგზავრები (ჭაბ. 97)
- (დ) ცხელ-წყალ-თავ(ს)-გადასხმული (ი. ჭავჭავაძე apud შანიძე 1973:161)
- (ე) წელ-ზე-შალ-მოხვეული ქალი (ჭაბ. 98)
- (ვ) პირ-ზე-ოფლ-გადამდინარე მომღერალი (ჭაბ. 98)
- (ზ) წელ-ზე მოხვეული შალი
- (თ) \*მოხვეული წელ-ზე შალი, \*მოხვეული შალი წელ-ზე
- (ი) ჭელ-ზე-აპყრობით ლოცვასა და ვედრებასა შინა იყვნეს (სინ. მრავალთავი 106,5 apud შანიძე 1973:§196)

(ა)-(დ)-ში საქმე ეხება ზმნისართებს, რომლებიც, როგორც შანიძე (1973: 161) გარკვევით შენიშნავს, სახელსა და მიმღეობას შორის ჩნდება, თუ ისინი „მოკლეა“ (ე.ი. უთანდებულო?). ამის საპირისპიროდ, სიტყვაში ჩართული თანდებულიანი ფორმები დგას დასაწყისში (ე)-(ვ), ისევე როგორც სიტყვის გარეთ მდგომი თანდებულიანი ფორმები მიმღეობიან სინტაგმებში (ზ); შდრ. არასწორი ფორმები (თ)-ში.

მაშასადამე, სიტყვის ფარგლებში პოზიციების თანამიმღევრობა მყარია. ეს შეესატყვისება ვითარებას, რომ ეს შესიტყვებები სიტყვების ნაწილებია. სიტყვის ფარგლებში ერთეულების პოზიციები მყარია.

საინტერესოა, რომ ეს სტრუქტურა უკვე ძველ ქართულში არსებობდა. შედრ. (ი), რომელიც გვაჩვენებს, რომ მასდარსაც შესატყვისი სტრუქტურა აქვს.

ზმნური შესიტყვებები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან სახელური შესიტყვებებისგან, როგორც სიტყვაწარმოების ამოსავალი ერთეულები: ზმნური სინტაგმა შეიძლება შეიცავდეს ზმნისართულ ერთეულებს, სახელური სინტაგმა კი – არა.

8. კომპოზიტების სიტყვის სტატუსისა და მისი ნაწილებისთვის მომდევნო ორი თვისებაა საინტერესო: მათი მახვილი და გათიშვადობა.

მთავარი მახვილი ბევრ ენაში განსხვავებს სიტყვას სიტყვის შემადგენლები-საგან (Harris 2007:213).<sup>10</sup> წინასწარი ფონეტიკური ანალიზი ჯერ კიდევ სრულიად ნათელ სურათს არ გვაძლევს.<sup>11</sup> შედრ.

- (15) (ა) ჯილდო-მინიჭებული მოღვაწე  
(ბ) ხელებ-გაშლილი კაცი

წაკითხვის დროს 1) საზღვრულის მახვილი (*ძუღაწე, კუცი*) შედარებით სუსტია. 2) მიმღეობას მახვილი უმეტეს შემთხვევებში ბოლოდან მესამე მარცვალზე მოუდის (მინიჭებული, გაშლილი). 3) უმეტეს შემთხვევებში პირველ (სახელურ) შემადგენლზე მახვილი მოუდის (ხელებ-, ჯილდო-). 4) მსაზღვრულის ბოლო ხმოვაზე ხშირად ტონის აწევა გვაქვს (ჯილდო-მინიჭებული ძუღაწე, ხელებ-გაშლილი კუცი). სანამ ბუნებრივი მეტყველების სინტაგმების (არაიზოლირებული სიტყვების) სისტემური ანალიზი არა გვაქვს, არ ვიცით ასეთ ფორმებს (ჯილდო-მინიჭებული, ხელებ-გაშლილი) და შესატყვის სინტაგმებს ერთნაირი პროსოდიული თვისებები აქვს თუ არა (იხ. ზემოთ, 5.), და, მაგალითად, სამ-თით-მოქრილი ფორმაში სამ პროსოდიულად როგორ განსხვავდება თით-ისაგან.

ჰარისმა (Harris 2007:213) გამართლებულად მეორე მიღებული კრიტერიუმი გამოიყენა: სიტყვის არაგათიშვადობა. ასე მაგალითად, ნაწილაკი -ვუ-ს სიტყვაში ჩართვა მისაღები არ არის (16) (ა)-ში. ამ კრიტერიუმის მიხედვით ხელებ-გაშლილი ერთი სიტყვაა და არა ორი. ამავე კრიტერიუმის მიხედვით შვ-გულის-პირ-იანი არის ერთი სიტყვა და -ვუ-თი გათიშვა მისაღები არ არის, იხ. (ბ). სწორი ფორმა არის (გ). ამით შვ- (ბ)-ში განსხვავდება არაჩართული სინტაგმის

<sup>10</sup> ჰარისმა (Harris 2007: 213) სწორედ ხელებაშლილი ფორმა აირჩია ამ მახვილიანობის ტესტისთვის და დასკვნა გააკეთა, რომ ამ ტიპის კომპოზიტებში მიმღეობის მარცხნივ მდგრამი სახელი ხელ უძახვილოა. მაგრამ ეს ფორმა იდიომატურია (არა-კომპოზიტური-ნალური სემნტიფიკაცია, რაზედაც ჰარისი თვითონ მიუთითებს, 2007:211), და გამორიცხული არ არის, რომ პროსოდიულად სხვანაირი თვისებები აქვს, ვიდრე პირდაპირი მნიშვნელობით გამოყენებული ხელებ-გაშლილი (ხელებაშლილი vs. ხელებ | გაშლილი, საღაც | შესაძლო პაუზას აღნიშნავს). ამავე დროის იდიომატურობა იმის მაზეზია, რომ ხელ- არარეფერენციალურია, და არა ატრიბუტის უქონლობა (Harris 2007: 212): “but when this element [sc. მიმღეობის წინამავალი სახელი] is modified, it appears to be referential”. მაგრამ გათავაზ- ფორმა შვ-კათაზ-შუკლებული-ში იმიტომ კი არ არის რეფერენციული, რადგან განმსაღვრელი შვ- აქვს: უამისარდაც რეფერნციულია.

<sup>11</sup> დიდად ვმადლობ ფონეტიკოს ივანე ლეჯავას წინასწარი პროსოდიული ანალიზისა და დასკვნებისათვის.

შავი ფორმისაგან (დ)-ში. გარეგანი მსაზღვრელის ანალიზის მიხედვით ((11) (ა)) შავ- და გულისპირ-იანი (გ)-ში, საყვარელ- და ნაბად-მოსხმული (ე)-ში სხვადას-ხვა დონის ცალცალკე ერთეულები იქნება ((დ)-ში ერთგვარ-პირმიუმართავ-დამა-ტებ-იანი რამდენი ერთეული იქნება?). მაგრამ არაგათიშვადობა გვავარაუდები-ნებს, რომ, მაგალითად, საყვარელ-სა და ნაბად-ს შორის გადაბმულობა ნაკლებად მჭიდრო არ არის, ვიდრე ნაბად-სა და მოსხმული-ს შორის. გათიშვადობის ფაქ-ტები გარეგანი მსაზღვრელის ანალიზის თეორიას არ ადასტურებს.

- (16) (ა) \*შეღებ-ვე-გაშლილი<sup>12</sup>  
 (ბ) \*შავ-წინსაფრ-იან-ი და შავ-ვე-გულისპირ-იანი კაცი  
 (გ) შავ-წინსაფრ-იან-ი და შავ-გულისპირ-იანი-ვე კაცი  
 (დ) ნაცრისფერი კაბა, შავი წინსაფარი, შავი-ვე გულისპირი  
 (მ. ჯავახიშვილი apud Vogt 1971:217)  
 (ე) საყვარელ-ნაბად-მოსხმული (შდრ. (13) (ბ))  
 (ზ) \*კუს-ძვლის-ვე-ჩარჩოიანი (შდრ. (1))  
 (თ) \*წელზე-ვე-შალმოხვეული (შდრ. (14) (ე))  
 (ი) პაპის-პერანგ-ჩაცმული და პაპის-ვე-ქუდ-ჩამოფხატული კაცი  
 (შდრ. (13) (თ))

-ვე ნაწილაკის სემანტიკა და სინტაქსი, რამდენადაც მე ვიცი, საფუძვლიანად გამოკვლეული არ არის, მაგრამ, როგორც ჩანს, სავალდებულო (მაგრამ არა საკ-მარისი) პირობა არის ის, რომ კლიტიკის საყრდენი ერთეულები უნდა იყოს რო-გორც ფონოლოგიური, ასეც მორფოლოგიური სიტყვა. ამიტომ (ბ)-ში -ვე უშუა-ლოდ შევ-ს ვერ მოჰყვება (ვინაიდან შევ მორფოლოგიური სიტყვა არ არის), (გ)-ში კი მოჰყვება მარჯვნივ მეზობელ ერთეულს, რომელიც არის როგორც მახვილიანი ფონოლოგიური, ასეც მორფოლოგიური სიტყვა, და ასევე პოსესიური ნათესაობითი (ი)-ში. მაკლასითიცირებელი ნათესაობითიანი და თანდებულიანი ფორმები კი ჯერ კიდევ უცნობი მიზეზის გამო გათიშვას არ უშვებენ, იხ. (ზ)-(თ).) (17)-ში პირუკუ სიტუაცია გვაქვს: რომლის მორფოლოგიური სიტყვაა, მაგრამ, რამდენადაც მე ვიცი, უმახვილოა, ამიტომ -ც კლიტიკა მოჰყვება მომ-დევნო სახელს (ქუდ-ს):

### (17) რომლის ქუდი-ც (\*რომლისაც ქუდი)

9. ჩვენ ვნახეთ, რომ სიტყვაწარმოების სხვადასხვა ტიპს კომპლექსურობის სხვადასხვა საფეხური მოეპოვება. უ—ო-აფიექსიანი სიტყვების შემთხვევაში ჩად-გმული სინტაგმა ორი შემადგენლითაა შეზღუდული, და პირველი შემადგენელი ერთი ზედსართაული მსაზღვრელი ან სპეციფიკური კლასის ნათესაობითიანი რე-კურსიული სახელური სინტაგმა იყო. იან-სუვიექსიან სახელების შემთხვევაში რამდენიმე ზედსართავიც გვქონდა და ისევ იმ კლასის ნათესაობითიანი რეკურსი-

<sup>12</sup> პარისის მაგალითი ხელ-ვაშლილი / \*ხელ-ვე-ვაშლილი როგორც მახვილის (იხ. შენიშვნა 10), ასევე კლიტიკის ჩართვის მიხედვით ნაკლებადაა გამოსადეგი, ვინაიდან იდიო-მატურია.

ული სახელური სინტაგმა. მიმღეობიანი ქონების სახელებს დამატებით მარტივი ან თანდებულიანი ზნიზედები ჰქონდა. სიტყვაწარმოების ყველა ეს ტიპი უსაზღვროდ კომპლექსური არ არის, და ახლა კიდევ ერთ მნიშვნელოვან შეზღუდვას უნდა შევეხოთ. ეს არის იან-სუფიქსიანი და მიმღეობიანი სახელები, რომლებიც ისე გამოიყურებან, თოთქოს ჩართულ სინტაგმებში თანწყობაც შესაძლებელია, მაგალითად, (18)-ში. სინამდვილეში კი თანწყობილი შემადგენლების შეკვეცა (“conjunction reduction”, cf. Booij 1985) სხვა ენებშიცაა გავრცელებული (მაგალითად, გერმანულსა და ნიდერლანდურში). უხეშად რომ ვთქვა, ერთი სიტყვის ნაწილი, რომელიც მეორე სიტყვის ნაწილის იდენტურია, იკვეცება<sup>13</sup> (ქვემოთ პირველი სიტყვის ნაწილი გადახაზულია, და მეორე სიტყვის იდენტური ნაწილი ხაზგასმულია).

- (18) (ა) მეტოქის ორ-~~კონკრეტული~~ და სამ-~~კოლ-იანი~~ უპირატესობა (ჭაბ. 102)  
     ← ორ-გოლ-იანი და სამ-გოლ-იანი  
     (ბ) თვალ-ებ-~~დაბინდული~~ და გონება-დაბინდული (ჭაბ. 102)  
     ← თვალ-ებ-დაბინდული და გონება-დაბინდული  
     (გ) გერცხლ-~~ნარევი~~, ტყვია-~~ნარევი~~ და სპილენძ-ნარევი მადანი  
         (შანიძე 1973:§196)  
     ← გერცხლ-ნარევი, ტყვია-ნარევი და სპილენძ-ნარევი მადანი  
     (დ) თავს(ა)-~~შალ-მოხეული~~ და ყელ-ზე-შალ-მოხვეული ქალი (ჭაბ. 98)  
     ← თავზე-~~შალ-მოხეული~~ და ყელ-ზე-შალ-მოხვეული ქალი  
     ← თავზე-შალ-მოხვეული და ყელ-ზე-შალ-მოხვეული ქალი

თუ ეს ინტერპრეტაცია სწორია, რა მიზეზით უნდა ვივარაუდოთ სინტაქსური თანწყობა სიტყვის ფარგლებში. მორფოლოგიური თანწყობა კი არ სებობს ტოლად შერწყმულ კომპოზიტებში, მაგალითად, ხელ-ფეხ-ში, მაგრამ სინტაქსურად თანწყობილი ერთეულები და მათი შეკვეცა მხოლოდ არაჩართულ სინტაგმებში არის შესაძლებელი. შეკვეცა არ არის პროცესი სიტყვის ფარგლებში.

10. განხილული მასალიდან გამომდინარეობს ქართული სიტყვის შემდეგი დამახასიათებელი თვისება.

1) სიტყვა სინტაგმას შეიძლება შეიცავდეს. ამ შემთხვევაში მორფოლოგია და სინტაქსი ურთიერთგან სრულიად განყოფილი მოღულები არ არის, და ეს არა მხოლოდ ერთმანეთის ასახვის გამო, არამედ იმიტომ, რომ არსებობს სინტაქსური, არამორფოლოგიური სტრუქტურები და პროცესები სიტყვის ფარგლებში. ზოგადი ტიპოლოგიის თვალსაზრისით, ჩართულსინტაგმიანი სიტყვაწარმოება „მარგინალური“, არაპროტოტიპური მორფოლოგიის (Dressler 2000) შემთხვევაა.

<sup>13</sup> ამ ზოგადი პირობის გარდა, ქართულშიც სხვა (მათ შორის პროსოდიული) პირობებიც არსებობს; შდრ. Smith 2000 გერმანულის შესახებ).

თუ განვიხილავთ ცნება „სიტყვის“ სტანდარტულ აღწერას,<sup>14</sup> სინტაგმაჩართულიანი სიტყვები ტიპური არ არის: а) სინტაგმის ჩართვა სიტყვის დანარჩენ შემადგენლებს თიშავს; ბ) იმის მიუხედავად, რომ მორფოლოგია ჩართული სინტაგმის შინაგან სინტაქსის შეზღუდავს, მისი შემადგენლების განლაგებას განსახლვრავს სინტაქსი, და არა სიტყვაწარმოების წესები; გ) სინტაგმაჩართულიან სიტყვას არ აქვს არც კონვენციური ფორმა და არც ლექსემური ერთეულის კონკრეტური მნიშვნელობა.

2) მორფოლოგია სინტაქსის შესაძლებლობებს სიტყვის ფარგლებში შეზღუდავს.

- ა) არის მხოლოდ ორი სინტაქსური პროცესი სიტყვის ფარგლებში, სახელდობრ, მართვა, ვინაიდნ მმართვი სახელი მოითხოვს მართული სახელის ნათესაობითს. ზოგი ქართულენოვანისთვის აგრეთვე არსებობს ბრუნვის შეთანხმება (ნათესაობითბრუნვიან სახელურ სინტაგმაში).
- ბ) ჩვენ ვეხებით სინტაგმის ორ სახეს, რომლებიც სიტყვის ფარგლებში გვხდება: სახელური სინტაგმები უ—ო-აფიქსიან სახელებში და იან-სუფიქსიან სიტყვებში, და ზმნური სინტაგმები მიმღებიან ქონების სახელებში. ეს სინტაგმები შეზღუდულია: უ—ო-აფიქსებიან სიტყვებს მხოლოდ ორი უშუალო შემადგენელი აქვს, ე.ი. სტრუქტურები შეზღუდულია ორშემადგენლობით, ხოლო იან-სუფიქსიანი სიტყვები ერთზე მეტ შსაზღვრელს უშევებს. ორივე ტიპში გვხდება ნათესაობითიანი სინტაგმის რეკურსიულობა. ზმნური სინტაგმები ზმნიზედებსაც უშვებენ. მაგრამ არც ერთი სიტყვაწარმოების ტიპი უშვებს სინტაქსურ თანწყობას და აგრეთვე დამოკიდებული წინადადებების ჩართვას. მაშასადამე, როგორც სინტაქსური გარემო სინტაქსში, ასევე მორფოლოგიური გარემო სიტყვაში შეზღუდავს შესაძლებელ კონსტრუქციებსა და ერთეულების კლასს ირჩევს (ე.ი. განსაზღვრავს).
- გ) სიტყვები ეკუთვნის გრამატიკული იერარქიის უფრო დაბალ საფეხურს, ვიდრე სინტაგმები და წინადადებები; ამიტომაც არის მათი შესაძლებლობები უფრო შეზღუდული, ვიდრე არაჩართული სინტაგმებისა და წინადადებებისა, ანუ ჯორ. როსის სიტყვებით: “More goes on upstairs than downstairs” (Ross 1973:397).
- (გ) სემანტიკური შეზღუდვებიც არსებობს: სიტყვაში ჩართული -იან-სუფიქსიანი და მიმღებებიანი სინტაგმები დეფინიტური არ არის. უ—ო აფიქსიანი სიტყვები, პირიქით, პირიან კუთვნილებითსა და ანაფორულ ნაცვალსახელებს უშვებენ. ამ თვალსაზრისით პგვანან ფინიტურ ზმნებს: ორივე შემთხვევაში გვაქვს კონტექსტზე მიმათთებელი სიტყვის ელემენტები (შდრ. ბოედერი 2009). უფრო ზოგაგად რომ ვთქვათ, ქართული სიტყვები უშვებენ შინაგან

<sup>14</sup> მაგალითად: “A grammatical word consists of a number of grammatical elements which: (a) always occur together, rather than scattered through the clause (the criterion of cohesiveness); (b) occur in a fixed order; (c) have a conventionalised coherence and meaning.” (Dixon – Aikhenvald 2002:19).

ანაფორას (“inbound anaphora”, Postal 1969), როგორც, მაგალითად: უამისოდ, იქტერი, იძღრისხდები და ა.შ. (Boeder 1972; Harris 2006), მაგრამ ქართულში არ არსებობს გარეთა ანაფორა (“outbound anaphora”, როგორც, მაგალითად, ლათინურში: *servilis tumultus, quos* [sc. *servos*]... ‘*მონების* [„მონური“] აჯანყება, *რომლებსაც...*’), სადაც სიტყვისგარეთა ნაცვალსახელი მოუთითებს სხვა სიტყვის ნაწილზე. ასევე, ჩვენი აზრით, სიტყვის ნაწილის გარედან განსაზღვრაც (“external modification”) არ არსებობს.

3) საზღვარი არის თუ არა „მკაფიო“ სიტყვაში ჩართულ სინტაგმასა და არაჩართულ სინტაგმას შორის?<sup>15</sup> ნათესაობითიანი და თანდებულიანი სინტაგმები ორივე სტრუქტურაში ფორმალურად ერთი და იგივეა, და ეს იგივეობა შემთხვევითი არ არის: ორივე უფრო დიდი სინტაგმის შემადგენლებია.<sup>16</sup> ჩართული ზედსართავი მსაზღვრელიც მხოლოდ ნაწილობრივ განსხვავდება არაჩართული ფორმისგან: საყვარელ- ფორმა საყვარელ-ნაბად-მოსხმული ფორმაში და საყვარელ ნაბადს მოისხას წინადადებაში ფორმალურად ერთი და იგივეა. გადამწყვეტი ნიშანი არის მომდევნო სახელის ფლექსია: უფლექსიონ ფორმა ნაბად- სიტყვის შემადგენელი უნდა იყოს (რადგან თავისუფალი ფორმა არ არის), და ამიტომ მისი მსაზღვრელი საყვარელ- ფორმაც სიტყვის შემადგენელია, და არა არაჩართული სინტაგმისა. ბოლო სახელის ფლექსია ყოველ შემთხვევაში გადაწყვეტს, სიტყვაში ჩართულია თუ არა უფლექსიონ ფორმა. ამ გაებით ბოლო სახელის ფლექსია სიტყვისა და არაჩართული სინტაგმის განსხვავების საფუძველია. ამ გზით მორფოლოგია და სინტაქსი იცავენ თავიანთ განსხვავებას. მორფოლოგია შეზღუდავს ჩართული სინტაგმის სინტაქსს და ასე ამტკიცებს ჩართული სინტაგმებისა და არაჩართული სინტაგმების განსხვავებას. ამ გაებით, სიტყვების განხილულ ტიპებში სინტაქსისა და მორფოლოგის განსხვავება არის „მკაფიო“.

4) -იან სიტყვაწარმოებითი სუფიქსად ითვლება, მაგრამ მისი სკოპოსი არის სახელური სინტაგმა. ამიტომ აღსანიშნავია, რომ ამ სუფიქსს სიტყვაწარმოების ერთი გადამწყვეტი თვისებაც აქვს: მისი წინამგალი ფუძე ყოველთვის სახელია და არა ნებისმიერი სიტყვა, როგორც უგრეთ წილებული „კიდური ფლექსიის“ შემთხვევაში.<sup>17</sup> შედრ. ინგლისური ნათესაობითის კონსტრუქცია: *the man in the deckchair's ears*<sup>18</sup>, სადაც -s არ ეხება მის საყრდენ სიტყვას (*deckchair*), არამედ მთელ ფრაზას (*the man in the deckchair*). მაშასადამე, -იან სუფიქსისგან

<sup>15</sup> ენობრივი ერთეულებისა და მოღულების „შეღწევადობის“ საკითხისათვის იხ. Berg 2015.

<sup>16</sup> სავარაუდოდ, „მარცხნიდან მარჯვნივ“ დამუშავების დროს მხოლოდ სინტაგმის შემადგენლებლად დამუშავდება, და მხოლოდ სინტაგმის უფლექსიონ შემადგენლების მიხედვით დამატებითი კატეგორიზაციის შედევად სიტყვის შემადგენლებლად აღიქმება. ფორმები მხოლოდ იმ შემთხვევაში აღიქმება მაშინვე სიტყვაში ჩართულ ერთეულებად, როდესაც წინ უძღვის პრეფიქსი (მაგალითად უ-).

<sup>17</sup> “edge inflection” Arnold Zwicky-ს ტერმინილოგიით, იხ. Haspelmath 2011:45-47.

<sup>18</sup> S. Greenbaum – R. Quirk: *A Student's Grammar of the English Language*, p. 381.

განსხვავებით, არ ირჩევს სპეციფიკური კლასის ფუძეს.<sup>19</sup> თან, როგორც ინგლისური -s, გამოხატავს მთელი სინტაგმის მიმართებას, მაგრამ ამავე დროს ირჩევს წინამავალი სიტყვის სპეციფიკურ კლასს, და ესაა ქართულის სიტყვაწარმოებითი (და ფლექსური) სუფიქსის ტიპური თვისება.

5) ჩართული სინტაგმის ყველაზე პრობლემატური თვისება არის მისი სტრუქტურული კომპლექსურობა (მაგალითად, ნათესაობითიანი შემადგენლის რეკურსიულობა), რომელიც ბევრი ენათმეცნიერისთვის შეიძლება მთულებელი იყოს.<sup>20</sup> მაგრამ მთებედავად იმისა, რომ ენათმეცნიერულ ლიტერატურაში ჩართული ფრაზების ევროპული ენების მაგალითები სხვა ტიპისაა<sup>21</sup> და უმთავრესად სინტაქსურად და სემინტიკურად „მარგინალურია“, ჩართული სინტაგმის ზოგადი მოვლენის თეორიული გაგება ენათმეცნიერული დისკუსიისთვის უცხო როდია. სხვადასხვა ტიპის ენების პარალელური მაგალითების სისტემური გამოკვლევა, მართალია, ჯერ კიდევ გვაგლია, მაგრამ, აღბათ უნდა მივიღოთ ფაქტი, რომ ქართულს აქვს თვისებები, რომლებიც გავრცელებული არ არის, და რომ შესაძლებელი ქართული სიტყვის ცნება უნდა შევასწოროთ.<sup>22</sup>

6) ქართული სიტყვის დამახასიათებელია მორფოლოგიური პოზიციების მკაცრი შეზღუდვა. ყველაფერი, რის „მოთავსებასაც“ პოზიციები არ უშვებენ, სინტაქსში „გადაადგილდება“. ამის მაგალითია პირის ნიშნების შეზღუდვა ზმნაში: თანამედროვე ქართულ ზმნას პირის ნიშნის მხოლოდ ერთი პრეფიქსული პოზიცია აქვს. „პირები“ (უკუქცევითის ჩათვლით), რომლებიც ზმნაში ვერ გამოიხატება, სპეციფიკური წესების მიხედვით ან „ჩახშობილია“ (ვ- აღვ ზარდე-ში), ან სინტაქსურად გამოიხატება ზმნის გარეთ (ამიზარდა შენი თავი; თავი შემაყვარეთ<sup>23</sup>). ასევე განხილულ სახელურსა და მიმღეობიან ფორმებში მორფოლოგიას არაფერი ემატება, მაშინ როდესაც პირისობის შემთხვევაში გამოიყენება სიტყვის გარეთ მდგომი ერთეული (თავიანი კონსტრუქცია). აქ სინტაქსური კონსტრუქცია, ჩვენი ინტერპრეტაციის მიხედვით, სიტყვაში ირთვება. მორფოლოგის უც-

<sup>19</sup> „მარგინალური“, სპეციალური პრაგმატიკული („ექსპრესიული“) ფუნქციის მქონე) ენაში (იხ. Meibauer 2007) სიტყვაწარმოებითი შესატყვისიც არსებობს, მაგალითად, შემდეგ არასერიოზულ ინგლისურ წინადადებაში: *he made his Sex Life in Ancient Roman face* (Kingsley Amis: *Lucky Jim*. Harmondsworth: Penguin 1961, p. 250). აქ სუფიქსი -an ჰგავს ქართულ -ანს: მისი სკოპოსი არის მთელი სინტაგმა (*Sex Life in Ancient Rome*), მაგრამ მორფოლოგიურ დონეზე ირჩევს -an სუფიქსს, რომელიც შეესაბამება ბოლო სიტყვის სპეციფიკას (Rome).

<sup>20</sup> “Most linguists do not accept that words could have this complexity of internal structure of the type found in syntax, and such an analysis is undesirable.” (Harris 2007:217).

<sup>21</sup> შდრ. Brogyanyi 1979; ემპირიული და თეორიული განხილვისთვის იხ. Meibauer 2007.

<sup>22</sup> სიტყვის უნივერსალური განსაზღვრა (კლასიკური გაგებით) ასე თუ ისე პრობლემატურია. იხ. Haspelmath 2011.

<sup>23</sup> „თავიზაცია“ (Braithwaite 1973); იხ. Boeder 1989.

ვლელობის გამო ქართული ენა უფრო დიდ კომპლექსურობას ახერხებს სინტაქსის საშუალებით.

გერმანულიდან თარგმნა ნინო დობორჯგინიძე

### შემოქლებათა განმარტება

ჭაბ. = ჭაბაშვილი 1988

რ. პ. = რეზო კიქნაძე

ნ. დ. = ნინო დობორჯგინიძე

ლ. გ. = ლეილა გვარამაძე

### ლიტერატურა

**ბოგდერი 2009:** ვინფრიდ ბოედერი, სინტაქსისა და მორფოლოგის შეუსაბამობის თეორიული პრობლემები ქართველურ ენებში / Problems of Mismatch between Syntax and Morphology in Kartvelian [Résumé 60-66], კადმოსი 1, 43-66.

**თევდორაძე 1970:** იზაბელა თევდორაძე, სინტაგმის მახვილები ქართულ ენაში / Ударения синтагмы в грузинском языке, მუცნ 3 (54), 205-214.

**თევდორაძე 1978:** იზაბელა თევდორაძე, ქართული ენის პროსოდის საკითხები / Вопросы просодии грузинского языка, თსუ გამომცემლობა, თბილისი.

**ორზაბაიშვილი 1936:** ს. ორზაბაიშვილი, ქართული კომპოზიტების დაწერილობისათვის, კრებულში: სალიტერატურო ენის ნორმები I, ტფილისის უნივერსიტეტის გამოცემლობა, ტფილისი, 65-72.

**კიზირა 1984:** ანტონ კიზირა: ქართული ენა (პრაქტიკუმი), მეხუთე გამოცემა / грузинский язык (практикум), განათლება, თბილისი.

**ნიკოლაიშვილი 1928:** იასონ ნიკოლაიშვილი, ქართული ენის კრამატიკა. თბილისი: სახელგამი

**სუხიშვილი 1984:** მურმან სუხიშვილი, უარყოფითი წარმოების ერთი შემთხვევისათვის ქართულში [სარჩევში: „ორშემადგენლიანი უარყოფითი ზედსართავი სახელებისა და ზმნისართების წარმოება თანამედროვე სალიტერატურო ქართულში“], ქართული სიტყვის კულტურის საკითხები VI, მეცნიერება, თბილისი, 175-181.

**შალამბერიძე 1980:** გიორგი შალამბერიძე, ქართული სწორმეტყველების სწავლების ზოგიერთი საკითხი / Некоторые вопросы обучения правильной грузинской речи (საქართველოს სსრ ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური საზოგადოება), თსუ გამომცემლობა, თბილისი.

**ჭაბაშვილი 1988:** მიხეილ ჭაბაშვილი, კუთვნილებითი კომპოზიტების მართლწერისათვის, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები VIII, მეცნიერება, თბილისი, 93-105.

**ჯორბეგაძე 1984:** ბესარიონ ჯორბეგაძე, უარყოფის გამომსატველ ფორმათა ნაირსახეობებისათვის ქართულში, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები VI, მეცნიერება, თბილისი, 136-166.

**Anderson 1992:** Stephen R. Anderson, *A-Morphous Morphology* (= Cambridge Studies in Linguistics 62), Cambridge University Press, Cambridge.

- Berg 2012:** Thomas Berg, The cohesiveness of English and German compounds, *The Mental Lexicon* 7, 1-33.
- Berg 2014:** Thomas Berg, Boundary permeability: a parameter for linguistic typology, *Linguistic Typology* 18, 489-531.
- Boeder 1972:** Winfried Boeder, Einige Bemerkungen zu Postals ‘anaphorischen Inseln’ und ‘Pseudoadjektiven’, *Münchner Papiere zur Linguistik* 3, 30-46.
- Boeder 1989:** Winfried Boeder, Verbal person marking, noun phrase and word order in Georgian, In: László Marácz – Pieter Muysken (edd.): *Configurationality. The typology of asymmetries* (= Studies in Generative Grammar 34), Foris, Dordrecht, Holland – Providence, RI, 159-184.
- Boeder 1999:** Winfried Boeder, Some notes on the Georgian resultative, In: *Tense-Aspect, Transitivity and Causativity. Studies in honour of Vladimir Nedjalkov*, Edited by Werner Abraham – Leonid Kulikov (= Studies in Language Companion Series 50), Benjamins, Amsterdam – Philadelphia, 117-139.
- Boeder 2004:** Winfried Boeder, The South Caucasian languages, *Lingua* 115 (2005), 1-2 (Special issue: Caucasian, edited by Helma van den Berg), 5-89.
- Boeder – Schroeder 2000:** Winfried Boeder, Christoph Schroeder, Relational coding in Georgian and Turkish noun phrases: syntax, derivational morphology, and “linking” by means of participles, *Turkic Languages* 4, 153-204.
- Booij 1985:** Geert Booij, Coordination reduction in complex words: a case for prosodic phonology, In: Harry van der Hulst & Norval Smith (edd.), *Advances in Non-Linear Phonology*, Vol. 7, Foris, Dordrecht, 143-160.
- Booij 1996:** Geert Booij, Inherent versus contextual inflection and the Split Morphology hypothesis, *Yearbook of Morphology* 1995, 1-16.
- Booij 2009:** Geert Booij, Lexical integrity as a morphological universal: a constructionist view, In: Sergio Scalise – Elisabetta Magni – Antonietta Bisetto (edd.), *Universals of Language Today*. Springer, Berlin, 83-100.
- Botha 1981:** Rudolf Botha, A base rule theory of Afrikaans synthetic compounding, In: *The Scope of Lexical Rules*, edited by M. Moortgat, H. van den Hulst and T. Hoekstra, Foris, Dordrecht, 1-77.
- Braithwaite 1973:** Kim Braithwaite, *Case Shift and Verb Concord in Georgian*, Ph.D. dissertation, The University of Texas at Austin.
- Brogyanyi 1979:** Bela Brogyanyi, Bemerkungen zu den Phrasenkomposita, In: *Studies in Diachronic, Synchronic and Typological Linguistics*. Festschrift for Oswald Szemerényi on the occasion of his 65th birthday. Edited by Bela Brogyanyi (= Amsterdam Studies in the Theory and History of Linguistic Science IV,11). Amsterdam: Benjamins, pp. 159-165.
- Dixon – Aikhenvald 2002:** R. M. W. Dixon, Alexandra Y. Aikhenvald, Word: a typological framework, In: R. M. W. Dixon – A. Y. Aikhenvald (edd.) 2002: *Word. A cross-linguistic typology*, Cambridge University Press, Cambridge, pp. 1-41.
- Dressler 2000:** Wolfgang U. Dressler, Extragrammatical vs. Marginal Morphology, In: Ursula Doleschal – Anna M. Thornton (edd.): *Extragrammatical and Marginal Morphology*, LINCOM EUROPA, München, pp. 1-10
- Harris 2002:** Alice C. Harris, Origins of apparent violations of the “no phrase” constraint in Modern Georgian”, *Linguistic Discovery* 1,2 :1-25.

- Harris 2006**: Alice C. Harris, Revisiting anaphoric islands, *Lg* 82:114-130.
- Harris 2007**: Alice C. Harris, In other words: external modifiers in Georgian, *Morphology* 16 (2006) :205-229.
- Haspelmath 2011**: Martin Haspelmath, The indeterminacy of word segmentation and the nature of morphology and syntax, *Folia Linguistica* 45 :31-80.
- Matthews 1974**: Peter Matthews, *Morphology*, An introduction to the theory of word-structure (= Cambridge Textbooks in Linguistics), Cambridge University Press, London.
- Meibauer 2007**: Jörg Meibauer, How marginal are phrasal compounds? Generalized insertion, expressivity, and I/Q-interaction, *Morphology* 17: 233-259.
- Postal 1969**: Paul Postal, Anaphoric islands, *Papers from the Fifth Regional Meeting of the Chicago Linguistic Society*, Chicago, pp. 125-152.
- Ross 1973**: John Robert Ross, The Penthouse Principle and the order of constituents, In: C. Corum et al. (edd.): *You Take the High Node and I'll Take the Low Node*, Papers from the Comparative Syntax Festival, Chicago Linguistic Society, Chicago, pp. 397-422.
- Smith 2000**: George Smith, Word remnants and coordination, In: *Deutsche Grammatik in Theorie und Praxis* [Festschrift für Peter Eisenberg], Herausgegeben von Rolf Thieroff, Matthias Tamrat, Nanna Fuhrhop, Oliver Teuber, Niemeyer, Tübingen, pp. 57-68
- Vogt 1971**: Hans Vogt, *Grammaire de la langue géorgienne* (= ISK. Skrifter, Serie B 57), Universitetsforlaget , Oslo .
- Yngve 1960**: Victor H. Yngve , A Model and Hypothesis for Language Structure, *Proceedings of the American Philosophical Society* 104, pp. 444-466

*Winfried Boeder*

## **Morphological and Syntactic Properties of the Georgian Word**

### Summary

1. Georgian morphology has become a favourite topic of theoretical discussions in linguistics. In this paper I will discuss some properties of Georgian nominal forms that are more or less known, but whose interpretation is controversial. Three complex types of word formation are considered: circumfixal derivation, as in (1), suffixal derivation, as in (2), and “participial possessive compounds”, as in (3):<sup>24</sup>

- (1) (a) u-col-o  
NEG-WIFE-SUFF
- (b) u-[lamaz-kal]-o  
NEG-[beautiful-woman]-SUFF ‘without a beautiful woman’

---

<sup>24</sup> Glosses: ADV = adverbial case, DAT = dative case, GEN = genitive case, INSTR = instrumental case, NEG = negative prefix, NOM = nominative case, O = object, OBL = oblique case, PL = plural, POSS = possessive, PP = passive perfect participle, PREV = preverb, SUFF = suffix

- (c) u-[am-kal]-o-d  
NEG-[this.OBL-woman]-SUFF-ADV ‘without this woman’
  - (d) u-[[Parxl-is]-saxareb]-o-d  
NEG-[[Parkhali-GEN]-Gospel]-SUFF-ADV ‘without the Gospel of Parkhali’
  - (e) u-[[[ku-s]-3vl-is]-čarčo]-o  
NEG-[[[tortoise-GEN]-bone-GEN]-frame]-SUFF ‘without a frame made of tortoiseshell’
- (2) (a) [[[nabd-is]-kud]-ian]-i կաչի  
[[[FELT-GEN]-hat]-SUFF]-NOM man-NOM ‘a man with a hat made of felt’
- (b) [[aset-[učveulo-sataur]]-ian]-i roman-i  
[[SUCH-[unusual-title]]-SUFF]-NOM novel-NOM ‘a novel with such an unusual title’
- (c) [ocdaat-[kvadratul-metř]-ian] bina-ši  
[thirty-[square-metre]-SUFF] appartement-in ‘in an appartement of 30 square metres’
- (d) [[[ku-s]-3vl-is]-čarčo]-ian]-i satvale  
[[[tortoise-GEN]-bone-GEN]-frame]-SUFF]-NOM spectacles.NOM ‘glasses with a frame made of tortoiseshell’
- (3) (a) [saqvarel-nabad]-mosxm-ul-i  
[beloved-felt]-put.on-PP-NOM ‘clad in his beloved felt cloak’
- (b) [[[pač-is]-cxvr-is]-tav-is]-kud]-čamopxat-ul-i  
[[[grandfather-GEN]-sheep-GEN]-head-GEN]-hat-pull.over-PP-NOM ‘with the sheephead hat of his grandfather pulled over his eyes’
- (c) [[cel-ze]-šal]-moxve-ul-i kal-i  
[[waist-on]-shawl]-wrap.around-PP-NOM woman ‘a woman with a shawl tied around her waist’

2. The circumfixal type shows syntactic units embedded in a word: attributive structures (1) (b), determiner structures (1)(c), and dependent genitive plus head noun structures (1) (d), which can be recursive (1)(e). Circumfixation shows that these units are embedded in a word. They are not compounds, since *lamaz-kal* and *am-kal* do not occur as determinative compounds. The embedded units are noun phrases and consist of two immediate constituents. These do not simply fill slots of a binary template, since they have a constituent structure with limited projection, and allow recursivity. The morphology constrains the syntax and semantics of these embedded phrases: (4) (a) seems to be ungrammatical because of its higher projection, and (b) because *megobris* is not classificational.

- (4) (a) ?? u-[am-[opicialur-barat]]-o-d  
Neg-[this.OBL-[official-paper]]-SUFF-ADV ‘without this official document’
- (b) ?? u-[[[megobr-is]-bižis]-moxmareb]-o-d  
Neg-[[[friend-GEN]-uncle-GEN]-help]-SUFF-ADV ‘without the help of his uncle’s friend’

There may also be preferences that diminish the acceptability of certain forms. Sukhishvili (1984) points out that these forms are better the shorter they are (which seems to point to a problem of processibility).

3. The fact that Georgian word-formation violates the “no-phrase” constraint can also be seen in words with the suffix *-ian*. The base unit is again a noun phrase, but this type is less constrained than the circumfixal derivations in that it allows complex attributive structures as in (2), including recursivity (cp. (2) (d) with (1) (e)). Agreement is possible in (5) for some speakers:

- (5) [vitarebit(-i) brunv-is]-porm-eb-ian-i saxel-eb-i  
[adverbial(-GEN) case-GEN]-form-PL-SUFF-NOM noun-PL-NOM ‘nominal forms  
in the adverbial case’

While the head noun *porm-eb-* cannot be assigned a case marker by its suffix *-ian*, the genitive-marked head noun *brunv-is* can control syntactic agreement.

4. The difference between the word-internal lack of inflection and the word-external case-inflection of modifiers is crucial. There is a syntactic difference between (6) (a) and (b), in spite of their semantic similarity:

- (6) (a) čem-sopl-el-i կաց-i  
my-village-SUFF-NOM man-Nom ‘a man from my village’  
(b) čem-i sopl-el-i կաց-i  
my-NOM village-SUFF-NOM man-Nom ‘my fellow-villager’  
(cp. čem-i կլաս-el-i ‘my class-mate’)

5. The interpretation of complex forms as in (1)-(3) has been analysed in different ways. Harris (2007: 209; 225) discusses several hypotheses, among them:

- (7) (a) the “external modifier analysis”: [[or] [marcvl-ian-i]] sitqva  
[[two] [syllable-SUFF-NOM]] word.NOM  
(b) the “internal modifier analysis”: [[ormarcvl]-ian-i] sitqva  
[[two syllable]-SUFF-NOM] word.NOM

Following a general proposal by R. Beard, she argues for analysis (a), where “two” is semantically connected with “syllable” by a semantic operation that allows to overcome the “bracketing paradox” arising from the fact that the constituent structure of (a) does not match its semantic structure. While examples of this paradox are well known from English and German, no other instance seems to be known from Georgian so far. Note, however, that (a) requires an additional rule that assigns the correct case form to *or*, because outside of words bare stems do not occur except in dative and adverbial case-marked noun phrases (which are not relevant here). In analysis (b), the lack of case marking follows from the fact that, although the configuration of [or marcvl]- requires agreement by an independently established rule of the standard language, the modifier *or* cannot have a case, since *marcvl-* does not have a case. So the internal modifier analysis seems to be preferable.

6. The use of the “possessive” suffix *-ian* is a specific feature that distinguishes Georgian from many European languages that prefer prepositional phrases or compounds:

- (8) pilṭ-ian-i sigareṭ-eb-i  
filter-POSS-NOM cigarette-PL-NOM ‘filter-tipped cigarettes’,  
Russian *sigarety s filtrom* > Georgian calque: *sigareṭebi filṭ-it* s. filter-INSTR

7. The base units of participial compounds are verbal phrases and can be considered as equivalents of relative clauses:

- (9) sasiķvdilo-čriloba-miğeneb-ul-i vepxv-i  
lethal-wound-apply-PP-NOM tiger-NOM ‘a tiger on whom a lethal wound has been afflicted’

One feature of these embedded phrases is that they can have adverbial expressions (e.g., postpositional phrases), whose initial position is the same as in non-embedded participial phrases. Cp. (3) (c) with:

- (10) çel-ze moxve-ul-i šal-i  
waist-on wrap-PP-NOM shawl-NOM

8. Otherwise familiar criteria of wordhood are partially problematic. Harris (2007) adduces accent and interruptability. However, double stress as in (11) (a) seems to be quite common, and the relationship between the prosody of compounds and syntactic phrases remains to be investigated. Similarly, the non-interruptability by a clitic like the intensifying *-ve* has to be specified: it is true that (a) is uninterruptable, but the same is true for (b), which does not support the external modifier analysis, because the parallel form (7) (a) suggests a stronger structural cohesiveness between *nabad* and *mosxm-ul-i* than between *saqvarel* and *nabad*. While possessive genitives seem to allow the insertion of *-ve* as in (c), postpositional phrases do not (d).

- (11) (a) xél-eb-gášl-il-i, \* xél-eb-ve-gášl-il-i  
hand-PL-outspread-PP-NOM  
(b) \*saqvarel-ve-nabad-mosxm-ul-i, (cp. (3) (a))  
(c) papis-ve-kud-čamopxačuli (cp. (3) (b))  
(d) \*çel-ze-ve-šal-moxve-ul-i kal-i (cp. (3) (c))

9. Similar to the other bases of word formation, the structure of participial phrases is constrained: they cannot contain embedded clauses or coordinative structures. Examples like (12) are the result of conjunction reduction:

- (12) tav-sa- da qel-ze-šal-moxve-ul-i < tav-ze-šal-moxve-ul-i da qel-ze-šal-moxve-ul-i  
head-DAT-and neck-on-shawl-wrap.around-PP-NOM < head-on-shawl-wrap.around-  
PP-NOM and neck-on-shawl-wrap.around-PP-NOM

10. The following features of these word formations can be singled out.

Phrases within words cannot be accounted for by morphological rules. They are syntactic units whose structure is constrained by the morphological form in which they are embedded. Different types of word formation are subject to different constraints. Morphology and syntax are kept apart, and there is no fuzzy transition between the two, but only a structurally determined point where syntactic rules step in. While the rich morphology of Georgian limits the possibilities of morphological words, syntax provides a means of forming more complex units within nominal forms. This is a situation that is comparable to a detail of verbal morphology: the positions within the verb are limited. For instance, there is only one position for prefixal person markers in Modern Georgian. As a result of slot competition, some markers are suppressed, while others (including the reflexive) are “transformed” into syntactic units with the head noun *tavi* ‘head’ as in: *a-m-izarda šen-i tav-i* PREV-1O-(s)he.brought.up your-NOM head-NOM ‘(s)he brought you up for me’, where the slot for personal markers is taken by the 1st person object marker *-m-* and where the object “you” is a syntactic unit outside of the verb. In both cases the “escape way” from the restrictions of morphology leads to a transfer of complexity into syntax: within the word (in the type of word formation discussed above) or outside of the word (as in the case of verbal slot competition).

## თინათინ პოლემი

### „მეობრივი კავშირი“ საბჭოთა მათემატიკურული ნაწილი პირველი: „მეობრივი კავშირის“ ნაპლოვანებები ბურზუაზიული მათემატიკურული პრიტიპის ფონზე<sup>1</sup>

ტერმინი „ენობრივი კავშირი“ უკვე გამოიყენებოდა XIX საუკუნეში, მაგრამ მან ახალი სიცოცხლე შეიძინა ნიკოლოზ ტრუბეციოს ნააზრებში. ენობრივი კავშირი თავისი არსით განსხვავდება ენათა ოჯახისაგან. ენობრივ კავშირს ქმნიან არამონათესავე ენები, რაც მათი ზანგრძლივი მეზობლობით გამოწვეული ურთიერთგავლენების შედეგია. „ასეთი ენობრივი კავშირები მხოლოდ ცალკეულ ენებს შორის კი არ არსებობს, არამედ ენობრივ ოჯახებს შორისაც, ანუ ისეც ხდება, რომ რამდენიმე ენობრივი ოჯახი, რომლებსაც ერთმანეთთან არა აქვთ ნათესაური კავშირი, მაგრამ გავრცელებულია ერთ გეოგრაფიულ და კულტურულისტორიულ ზონაში და მთელი რიგი ნიშნებით ერთიანდებიან ენობრივი ოჯახების კავშირში“. ენათა ზანგრძლივი მეზობლობით გამოწვეული მსგავსებების შესწავლა ნიკოლოზ ტრუბეციომ აქცია ზოგადი ენათმეცნიერების ერთ-ერთ მთავარ პრობლემად. 1917 წლის რევოლუციის შემდეგ რუსეთიდან ემიგრირებულმა მცხოვრილმა არი მთავარი სტატია – „რუსეთის ზედა და ქვედა ფენები (რუსული კულტურის ეთნიკური საფუძველი)“ (ტრუბეციო 1921:86-103) და „ბაბილონის გოდოლი და ენათა აღრევა“ (ტრუბეციო 1923:107-124) ისეთ დროს დაწერა, როცა საბჭოთა კავშირს რკინის ფარდა ჰყოფდა მთელი მსოფლიოსაგან და საბჭოთა მეცნიერთა აკადემიური ურთიერთობები უცხოელ კოლეგებთან მკაცრად იყო რევლამენტირებული. შემდევ ამას მოჰყვა ტრუბეციოს ცნობილი სტატია „ფიქრები ინდოევროპული ერთობის შესახებ“, რომელიც მის ზანმოკლე სიცოცხლის ბოლოს დაწერილი ერთ-ერთი ნაშრომია. ეს სტატია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის გამო, რომ აქ დაყენებულია საკითხი ინდოევროპული ენების კონვერგენციის გზით წარმოქმნის შესახებ აქამდე და მას შემდეგაც ყველაზე გავრცელებული ფუძეენის დივერგენციული დაყოფის საპირისპიროდ. თვით „ენობრივი კავშირის“ გაგება პრაღის ლინგვისტური წრის წევრთა წარმოდგენებში ერთმანეთს ბოლომდე არ ემთხვევა. მაგალითად, რომან იაკობსონისათვის ეს ენათა ფონოლოგიური კავშირია. მისი მოსაზრება, რომელიც დიდად არის დავალებული ნ. ტრუბეციოსა და პ. სავიცკისაგან, კარგად ჩანს 1931 წელს გამოქვეყ-

<sup>1</sup> ნაშრომი შესრულებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის (№ დ13/13) ფარგლებში.

ნებულ ნაშრომში „ევრაზიული ენობრივი კავშირის დახასიათებისათვის“. ამ სხვაობას სპეციალური ნაშრომი უძღვნა ჰელმუტ შალერმა.<sup>2</sup>

რა თქმა უნდა, მეცნიერთა დაუბრკოლებელი ურთიერთობისათვის სასურველი იყო, საბჭოთა ენათმეცნიერებს შესაძლებლობა ჰქონოდათ შუამავლის გარეშე ეკითხათ, აზრი გამოიტქვათ და საჭიროების შემთხვევაში განვითარებინათ ემიგრირებული ლინგვისტების მოსაზრებები. ახლა იქნებ ძალიან გასაოცრადაც გამოიყურება ის ფაქტი, რომ საბჭოთში მომუშავე ენათმეცნიერები ვერ ეცნობოდნენ უცხოურ სპეციალურ ლიტერატურას ან ისეთი დროს აღწევდა მათთან, როცა აქტუალობა უკვე დასუსტებული ან დაკარგული ჰქონდა. იგივე ითქმის პრალის ლინგვისტურ სკოლაში ჩამოყალიბებული ენობრივი კავშირის ცნებაზეც. მაგალითად, როცა არნოლდ ჩიქობავა სპეციალურად მსჯელობს ენათა ნათესაობის დადგნის კრიტერიუმებზე, იგი ხაზგასმით უთითებს, რომ 6. ტრუბეცკოის წერილის არსებობა იცის, მაგრამ არ წაუკითხავს, რადგან ხელი არ მიუწვდობოდა ამ ნაშრომზე: „საერთო ნიშან-თვისებები ენათა დაახლოების შედეგადაც შეიძლება მივიღოთ. ინტეგრაციის პროცესის შედეგი ემსგავსება იმ მდგომარეობას, რომელიც დიფერენცირებულ მონათესავე ენათა ურთიერთობას ახასიათებს. ინტეგრაციის ამ პროცესში აღსანიშნავად უკანასკნელ ხანებში გაჩნდა ტერმინი „ენათა კონა“ (Sprachbund). ესაა ენათა ჯგუფი, რომელსაც საერთო წარმოშობა არ აკავშირებს, მაგრამ საერთო ნიშან-თვისებები აქვს ლექსიკაში, ბერძნობა სისტემაში (ფონოლოგიურ სისტემაში) და მორფოლოგიურ სტრუქტურაში. ტერმინი შემოღებულია 6. ტრუბეცკოის მიერ, რომელმაც სკადა ეს ცნება მოემარჯვებინა ენათა ურთიერთობის დასახასიათებლად“ (ჩიქობავა 1945:228). როგორც სქოლიოდან ირკვევა, ჩიქობავა გულისხმობს ტრუბეცკოის წერილს „ფიქრები ინდოევროპულ ერთობაზე“, რადგან ასახელებს ტრუბეცკოის გარდაცვალების შემდეგ ურნალ „აქტა ლინგვისტიკის“ („Acta Linguistica“) მესამე ნაწილში გამოქვეყნებულ სტატიას. სამწუხაროდ, — წერს არნ. ჩიქობავა, — ეს შრომა ხელთ არა გვაქვს და ამიტომ არსებითად ახალი ცნების („ენათა კონის“) შესახებ აქ ვერ ვიმსჯელებთ. ადრე ეს ცნება ტრუბეცკოის უნდა ჰქონდეს წამოყენებული მოხსენებაში ენათმეცნიერთა პირველ საერთაშორისო კონგრესზე 1930 წელს. არნოლდ ჩიქობავა ამ ინფორმაციას იმოწებს დეეტერსის წერილის მიხედვით Deeters, Vergleich. Sprachforsch., “Lehrbuch der Völkerunde”, 1937:233 (ჩიქობავა 1945: 228).

<sup>2</sup> 3. შალერის აზრით, ენათა კავშირის გაგება ტრუბეცკოისთან, იაკობსონთან და სკალიჩ-კასთან არ ემთხვევა ერთმანეთს: So we have two categories of Sprachbund: the intensive one, constituted by N. Trubetzkoy, the extensive one, constituted by Roman Jakobson, based on phonological marks in contrast to phonological, morphological, syntactic and even lexical marks of Balkansprachbund. Both concepts of Sprachbund, the intensive and the extensive one are discussed up to today and so we remember in 1996 the great ideas of Roman Jakobson and the Prague School of Linguistics (შალერი 1997:203).

ასეთივე ვითარებაა მოგვიანო პერიოდშიც. სამოციან წლებშიც კი, საბჭოთა კავშირის მცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის პერიოდულ გამოცემაში „ენათმეცნიერების საკითხების“ («Вопросы Языкоznания») რამდენიმე ნომერში არის სტატიები ენობრივი კავშირის შესახებ, რომელთა ავტორები ამ საკითხზე დაწერილ 6. ტრუბეცკოისა და რ. იაკობსონის ყველა შრომას არ იცნობენ.

ენობრივი კავშირის ცნება საბჭოთა ენათმეცნიერებაში განიხილებოდა ბურჟუაზიული ენათმეცნიერების, კერძოდ, სტრუქტურალიზმის უარყოფითი დახასიათების კონტექსტში. ერთ-ერთი პირველი წერილი, რომელიც ეს ცნება ნახსენებია, არის ოლდრიულებული „სტრუქტურალიზმის საკითხისათვის (გრამატიკის ორი კონცეფცია პრაღის ლინგვისტურ წრეში)“, რომელიც დაიბეჭდა შედარებით ახლად დაარსებულ სამეცნიერო ჟურნალ „ენათმეცნიერების საკითხებში“ («Вопросы языкоznания») 1953 წელს. როგორც სათაურიდან ჩანს, მისი მიზანი გრამატიკული კონცეფციების განხილვაა, მაგრამ ავტორი ჩვენთვის საინტერესო საკითხსაც ეხება. თავიდანვე დაწუნებულია ყველა კონცეფცია, რომელიც კი პრაღის ლინგვისტურ წრეში შექმნილა ამ სახოგადოების სტრუქტურალიზმით ანუ ბურჟუაზიული მიმართულების გამო. ეს არის იმ დროისათვის საბჭოთა ენათმეცნიერებაში გავრცელებული დამოკიდებულება სტრუქტურალიზმის მიმართ. საილუსტრაციოდ დავიძოწებ ერთ-ერთი წერილის მხოლოდ სათაურის: „ლუი იელმსლევის გლოსემატიკა – როგორც თანამედროვე ბურჟუაზიული ენათმეცნიერების დაცემის გამოვლინება“ (იხ. ახმანოვა 1953:25-47). დიას, საბჭოური შეფასებით, დანიური სტრუქტურალიზმის მდგომარეობა ბურჟუაზიული ენათმეცნიერების დაცემაზე მეტყველებს. იგივე ითქმის შვეიცარიულ (უნევის სკოლისა) და ამერიკულ სტრუქტურალიზმზე. ამ მიმართულებებს ასახელებს ო. ლეშკა და იქვე ამბობს, რომ უახლოეს პერიოდამდე ასეთი ცენტრი იყო პრაღის ლინგვისტური წრეც (წერილი გამოქვეყნებულია 1953 წელს, პრაღის ლინგვისტური წრე კი დაიშალა 1950 წელს). იგი ხოტბას ასხამს სტალინის შრომებს ენათმეცნიერებაში, რომლებმაც მხოლოდ ნიკო მარის ანტიმარქისტული თეორია კი არ ამხილა, არამედ საბოლოო დარტყმა მიაყენა ყველა იდეალისტურ და ვულგარულ ანტიმარქისტულ თეორიას. სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში (ალბათ იგულისხმება გარშავის ხელშეკრულების ქვეყნები) ღრმა ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა გარდაქმნებმა გამოიწვია საენათმეცნიერო საქმის იდეოლოგიური და ორგანიზაციული გადაწყობა. ი. ბ. სტალინის საენათმეცნიერო ნაშრომების გამოსვლის შემდეგ სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ენათმეცნიერთა წინაშე მთელი სიმბაფრით დადგა ენათმეცნიერებაში მარქსიზმის დამკვიდრებისა და არამარქისტული ლინგვისტური კონცეფციების ნარჩენებთან ბრძოლის საკითხი. „ენის ახალი თეორია“ (იგულისხმება ნიკო მარის იაფეტური თეორია) მარტო მარქსისტული ენათმეცნიერების შემუშავებას კი არ უშლიდა ხელს, არამედ აჩერებდა რეაქციული ბურჟუაზიული მიმართულებების კრიტიკას ლინგვისტიკაში. მარის მოძღვრების ზოგიერთი ნაწილი არსებითად ემთხვეოდა საზღვარგარეთული ბურჟუაზიუ-

ლი ენათმეცნიერების დასკვნებს, ზოგჯერ კი პირდაპირ ნასესხები იყო დასავლე-თიდან. საზღვარგარეთულ ლინგვისტიკაში ბოლო ათწლეულების ყველაზე გავ-რცელებული მიმართულებაა სტრუქტურალიზმი, რომლის მხილება აუცილებელია, მთებდავად იმისა, რომ საბჭოთა ენათმეცნიერებაში გვხვდება მისი გავლენის მხოლოდ ერთეული შემთხვევები (ლეშკა 1953:88-89).

მართალია, ლეშკა ამ გამოკვლევას სტრუქტურალიზმის „ნაკლოვანებათა“ კრიტიკის მიზნით წერს, მაგრამ სწორად აჩვენებს სტრუქტურალიზმის ჩამოყალიბების გზას. „თანამედროვე ბურჟუაზიული ენათმეცნიერების სტრუქტურალის-ტური მიმართულება არის რეაქცია მეცხრამეტე საუკუნის სამოცდაათიანი წლებიდან გაბატონებულ ნეოგრამატიკულ თეორიაზე. თუ ადრე მხოლოდ იშვიათად ისმოდა ნეოგრამატიკოსთა კრიტიკა, მეოცე საუკუნეში ეს უკვე ძალიან ხშირად ხდებოდა. განსაკუთრებით გამოვლინდა უკმაყოფილება ნეოგრამატიკოსთა ნააზრევის მიმართ ენათმეცნიერთა პირველ საერთაშორისო კონგრესზე 1928 წელს, როცა გაირკვა, რომ სხვადასხვა ქვეყანაში ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად წარმოიშვა მსგავსი იდეები, რომელთაც ერთმანეთთან აკავშირებდათ ფონოლოგიური კანონებისა და ანალოგის წესის მოქმედებაში დაეჭვება, ნეოგრამატიკოსთა ატომიზმის ნაცვლად ენის მიმართ მთლიანობრივი (ახლანდელ ტერმინოლოგიას თუ გამოვიყენებთ, ჰოლისტური) მიღორმა. ენათმეცნიერთა პირველ საერთაშორისო კონგრესზე ასევე გამოიკვეთა ენათა ნათესაობის საკითხებისა და ისტორიზმის მიმართ ყურადღების მოდუნება (ლეშკა 1953:89). ამით შეწუხებული მეცნიერი ოლდრიუს ლეშკა საზღასმით აღნიშნავს, რომ „რეაქციული ბურჟუაზია ცდილობს, სამეცნიერო გამოკვლევები ჩამოაცილოს სინამდვილეს და საზოგადოებრივ ცხოვრებას. ამ გზას თუ გავყვებით, მეცნიერება კლასობრივი მიზნების მოსამსახურედ იქცევა. პრალის ლინგვისტური წრის ჩამოყალიბება სწორედ იმ პერიოდს ემთხვევა, როცა ბურჟუაზიამ გაიმარჯვა მუშათა მოძრაობაზე ჩეხოსლოვაკიაში. მაშინ პროლეტარიატი ძალებს იკრებდა ბურჟუაზიაზე თავდასხმისათვის... სტრუქტურალიზმს ბევრი ისეთი პატიოსანი ადამიანი შეუერთდა, ვერასდროს რომ ვერ წამოიდგნდა ამას“, – წერს ო. ლეშკა (ლეშკა 1953:89).

ყველაზე დიდ ცოდვად სტრუქტურალისტებს მოეკითხებათ ნიშანთა სისტემებისათვის სპეციალური დარგის – სემიოლოგიის შექმნა. ნიშანთა სისტემების მნიშვნელობაზე უურნალ „სლოვო ი სლოვესტნოსტის“ (“Slovo i slovestnost”) შესავალშივე მსჯელობენ. მცდარ მიღვომად არის გამოცხადებული სისტემურობა და ფუნქციონალიზმი, რომელიც პრალის ლინგვისტური წრის წევრებმა მთავარ მოთხოვნად წაუყენეს ენის კვლევას როგორ სინქრონიული, ისე დიაქრონიული თვალსაზრისით. ლეშკას აზრით, წინააღმდეგობა გამოიხატება იმაში, რომ პრალის წრის წევრები უშვებენ გენეტიკურად არამონათესავე ენათა დაახლოების შესაძლებლობას და ამით ავლენენ სკეპტიციზმს ფუძეენის თეორიის მიმართ. სწორედ ფუძეენის თეორიისა და ენობრივი კავშირების ასეთი ურთიერთობის შედეგია 6. ტრუბეცკოის “Gendanken über das Indogermanen Problem” (ტრუბეცკოი 1937). მართალია, ტრუბეცკოი არ გამორიცხავს ინდოევროპული ენების ნათესა-

ობის შესაძლებლობას, მაგრამ მისი სტატია ინდოევროპულ ენათა ერთიანობას ენობრივი კავშირების თეორიაზე დაყრდნობით ხსნის. სხვაგარად რომ ვთქვათ, ტრუბეცკოსთვის ამოსავალია ენათა ურთიერთგავლენა და შეჯვარება (скрещение). განსაკუთრებით დეტალურად არის შესწავლილი „ბალკანური ენობრივი კავშირი“. ამას გარდა, მითითებულია „შუაევროპული“ და „ევროზიული“ ენობრივი კავშირების არსებობის შესაძლებლობა. აშშ-ის იმპერიალისტურ მიზნებს ემსახურება „ატლანტიკური ენობრივი კავშირის“ თეორია, რომელიც ძალან გავრცელებულია დასავლეთში ბოლო დროს და უნდათ, რომ შექმნან მითი განსაკუთრებულ „დასავლურ“ მხარეზე თავისი კულტურითა და ენით. „ატლანტიკური ენობრივი კავშირის“ თეორია დასავლეთ ევროპის ენების სხვა ევროპულ ენებთან დაპირისპირების პირველი მცდელობა არ არის. ყველაზე მეტად ენობრივი კავშირის საკითხებზე მუშაობდა რ. იაკობსონი. ამ მხრივ აღსანიშნავია მისი შრომა “Über die phonologischen Sprachbünde” (TCLP, ტ. IV, გვ. 234 და შემდეგი) (ლეშკა 1953:92).

თუ ოლდრიუ ლეშკას დავეყრდნობით, ეს არაჯანსაღი სამეცნიერო საზოგადოება სწორ გზაზე დაუყენებია მეორე მსოფლიო ომში საბჭოთა კავშირის გამარჯვებას და საბჭოთა გავლენის მნიშვნელოვან გაძლიერებას აღმოსავლეთ ევროპაში. „1945 წლის მაისის შემდეგ მომხდარი ცვლილებები ჩეხოსლოვაკიის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რა თქმა უნდა, აისახა პრაღის ლინგვისტური წრის შემადგენლობაზე. უმრავლესობას ესმოდა, რომ ძველ პოზიციებზე დარჩენა შეუძლებელი იყო, თუმცა ახალი გზა ჯერ არ ჩანდა. „ახალი მოძღვრების“ (ესე იგი ნიკო მარის იაფეტური თეორიის, – თ.ბ.) პოპულარიზაციამ პრაღის ლინგვისტური წრის განვითარება შეაფერხა და მისი წევრების დეზორინტაცია გამოიწვია. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თვით სტრუქტურალიზმის თეორიას აქვს ისეთი მახასიათებლები, რომელმაც გაადვილა მასზე „ენის ახალი თეორიის“ გავლენა. სტრუქტურალიზმის ასეთ მახასიათებლებად თვლის ო. ლეშკა, მაგალითად, „ენობრივი კავშირების“ აღიარებას (ლეშკა 1953:102-103). სტრუქტურალიზმმა ისე გაშალა ფრთხი, რომ მხოლოდ ენათმეცნიერებით აღარ შემთიფარგლებოდა. გამოჩენდა სტატიები სტრუქტურალიზმზე ლიტერატურამცოდნებაში, ლიტერატურის კრიტიკასა და ესთეტიკაში. სტრუქტურალიზმის ასეთი აღმაფრენა შეაჩერა ი. ბ. სტალინის შრომებმა ენათმეცნიერებაში, რომელთა ათვისება კვლავაც დააყენებს სწორ გზაზე ლინგვისტიკას ჩეხოსლოვაკიაში. აგტორი გამოთქამს იმედს, რომ ამ მისიას წარმატებით შეასრულებს ჩეხოსლოვაკიის მეცნიერებათა აკადემია, რომელიც გააერთიანებს ჩეხოსლოვაკიის ყველა ლინგვისტს მარქსისტული ენათმეცნიერების შესაქმნელად (ლეშკა 1953:103). აქ ჩანს, რა მიზნებს უსახავდა საბჭოთა იდეოლოგია მეცნიერებათა აკადემიებს (უფრო დაწვრილებით საბჭოთა აკადემიებზე იხ. ვუცინიჩი 1984). ადვილი წარმოსადგენია, რა მძიმე ცხოვრება გაიარეს პრაღის ლინგვისტური წრის ყოფილმა წევრებმა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ და რატომ გაიქცა რ. იაკობსონი ამერიკაში.

მაშინ, როცა ლეშკა ნიკო მარის იაფეტურ თეორიას ბრალად სდებდა პრალის ლინგვისტური წრის წევრებზე დეზინფორმაციული გავლენის მოხდენას, ნიკოლოზ ტრუბეცკოის უკვე დიდი ხნის წინ ჰყავდა გაკრიტიკებული ნიკო მარი და, როგორც თვითონ ამბობდა, სირცხვილის ოფლს იწმენდდა მარის თეორიის გამო უცხოეთში ემიგრირებული მეცნიერი. ძნელი სათქმელია, მისმა თეორიამ მოახდინა თუ არა გავლენა პრალის ლინგვისტური წრის იდეებზე, თუმცა უდავოდ არის ბევრი რამ საერთო მათ თვალსაზრისებში ენობრივი ოჯახის წარმოქმნის საკითხში. ნ. მარი ნამდვილად ავთარებდა აზრს, რომ ერთი ფუძეენის დაშლის შედეგად კი არ წამოიქმნა მონათესავე ენები, არამედ არამონათესავე ენათა შერევაა ამის მიზეზი. ამ ნაწილში დიდი თანხვედრაა მარისა და ტრუბეცკოის თეორიებს მორის, მაგრამ არასოდეს ტრუბეცკოის დადგბითად არ მოუხსენებია ნიკო მარი. მის დამოკიდებულებაზე თვალნათლივ მეტყველებს ნაწყვეტი იმ წერილიდან, რომელიც ტრუბეცკოიმ გაუგზავნა იაკობსონს.

„ძვირფასო რომან ისიპის ძევ,

დიდი მადლობა „ახალი აღმოსავლეთისთვის“ («Новый Восток»)<sup>3</sup>, რომელსაც ამ დღეებში გამოგიგზავნით ტრავნიჩკის ბროშურასთან ერთად (მან თვითონ გამომიგზავნა ერთი ეგზემპლარი). მარის სტატია<sup>4</sup> აჭარბებს ყველაფერს, რაც კი აქამდე დაუწერია, მაგრამ მისი „დაჭვება“ რეცენზიაში<sup>5</sup> შეუძლებელია. ჯერ ერთი, სად უნდა გამოვაქვეყნო და, მეორეც, ჩემი ღრმა რწმენით, მისი რეცენზირება იმდენად ენათმეცნიერის საქმე არ არის, რამდენადაც ფსიქიატრის. მართალია, მეცნიერების საუბედუროდ, მარი ჯერ კიდევ ისე არ გაგიჟებულა, რომ მისი გამოკიტვა ყვითელ სახლში შეიძლებოდეს, მაგრამ ის რომ შეშლილია, ჩემი აზრით, ნათელია. მისი ნაწერი მარტინოვშჩინაა, უბრალოდ უკეთესი ფორმითაა გადმოცემული. თვით სტატიის აგებულებაც კი აჩვენებს, რომ იგი გონიერივად დაავადებული ადამიანის დაწერილია. საშინელებაა, რომ ამას უმრავლესობა ჯერ კიდევ ვერ ამჩნევს. თუ შეიძლება მომწერეთ, იაკოვლევის ახალი მისამართი. მინდა, ის წიგნი ვთხოვო, რომელზეც რეცენზია წავიკითხე „ახალ აღმოსავლეთში“. თან კიდევ ერთხელ ვეცდები, ჩამოვაშორო მარს. მომიკითხეთ თქვენი მეუღლე და ნიკ. ნიკ.

თქვენი

თავადი ნ. ს. ტრუბეცკო“

ეს წერილი გამოაქვეყნა რომან იაკობსონმა ტრუბეცკოის წერილებისა და შენიშვნების ცნობილ წიგნში, რომელიც გამოვიდა ორჯერ: 1975 წელს – ინ-

<sup>3</sup> «Новый Восток» („ახალი აღმოსავლეთი“, სსრკ აღმოსავლეთმცოდნეობის კავშირის სამეცნიერო ჟურნალი, მ. პავლოვიჩის (ველმანის) რედაქციით, 5, მოსკოვი, 1924).

<sup>4</sup> ნ. მარი, ასეტური თეორიისათვის, ჟურნალი „ახალი აღმოსავლეთი“, 5, 1924, გვ. 303-339.

<sup>5</sup> „ნიკოლოზ ტრუბეცკოიმ, რომელიც 1916 წლიდან გადაჭრით ეწინაღმდევებოდა მარის ექსტრავაგანტური თეორიის გავრცელებას, სთხოვა რომან იაკობსონს, სააშკარაოზე გამოეტანა მისი თადღლითური პროექტები“, – დამოწმებულია რ. იაკობსონის დასახელებული წიგნიდან.

გლისურად და 2004 წელს – რუსულად. ჩვენ ვიმოწმებთ რუსულ გამოცემას, რადგან იაკობსონთან მიმოწერის დიდი ნაწილი სწორედ რუსულ ენაზეა დაწერილი (ტრუბეცკო: 1975/2004). ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იაკობსონის მიერ წერილისთვის დართული განმარტებების ის ნაწილი, რომელშიც მოთხოვდილია, რა სახით დაიბეჭდა ტრუბეცკოს „ფიქრები ინდოევროპულ ერთობაზე“ ჟურნალ „ენათმეცნიერების საკითხებში“: „ტრუბეცკოს მოსაზრება ნიკო მარის თეორიაზე უფრო დეტალურად გადმოცემული იყო მის სტატიაში „ფიქრები ინდოევროპულ პრობლემაზე“ (ეს არის რუსული ვერსია სტატიის „Gedanken über das Indogermanenproblem“ (1939:81-89), რომელიც უნდა დაბეჭდილიყო „ევრაზიულ ქრონიკაში“, 1939 წლის XIII ნომერში, მაგრამ ვერ გამოქვეყნდა, რადგან აიკრძალა ნაცისტების მიერ. წერილი დაიბეჭდა „ენათმეცნიერების საკითხებში“ 1958 წელს, მაგრამ ნაკლულად. სტატიას წინ უძღვდა სარედაქციო განმარტება:<sup>6</sup>

„ქვემოთ ვტეჭდავთ ნიკოლოზ ტრუბეცკოს 1939 წელს გერმანულად გამოქვენებული წერილის რუსულ ვარანტს (N. S. Trubetzkoy, Gedanken über das Indogermanenproblem, „Acta Linguistica“, vol. I, fasc. 2, Copenhagen, 1939:81-89), რომელიც ზოგიერთ ადგილას განსხვავდება გერმანულისაგან. სტატიაში ასახულია ის მოხსენება, რომელიც 6. ტრუბეცკომ წაიკითხა პრაღის ლინგვისტური წრის სხდომაზე 1936 წლის 14 დეკემბერს. სტატიაში ხაზგასმულია ინდოევროპული პრობლემის წმინდა ლინგვისტური ხასიათი და ეწინააღმდეგება მეცნიერულად დაუსაბუთებელ თეორიებს, რომლებიც ინდოევროპულ ფუმენაზე მეტყველ კოლექტივს აკავშირებდა ევროპის კონკრეტულ არქეოლოგიურ გულტურასთან. ტრუბეცკოს მიერ შემთავაზებული ენათა ნათესაობის სტრუქტუ-

<sup>6</sup> «От редакции. Ниже публикуется русский вариант статьи Н. С. Трубецкого, немецкий вариант которой был опубликован в 1939 г. (N. S. Trubetzkoy, Gedanken über das Indogermanenproblem, «Acta Linguistica», vol. I, fasc. 2, Copenhagen, 1939, стр. 81-89). Русский текст статьи в ряде мест отличается от немецкого. Статья излагает содержание доклада, сделанного Н. С. Трубецким 14 декабря 1936 г. в Пражском лингвистическом кружке. Статья, подчеркивающая чисто лингвистический характер индоевропейской проблемы, была направлена против научно необоснованных теорий, связывавших носителей индоевропейского прайзыка с носителями определенных археологических культур в Европе. Предложенное Трубецким структурное определение языкового родства, гипотеза о возможности конвергентного развития языковой семьи и замечания о характере типологической эволюции языка перекликются с идеями ряда других современных лингвистов (ср. В. Пизани, Общее и индоевропейское языкознание, сб. «Общее и индоевропейское языкознание», М., 1956), стр. 168; см. о возможности археологического подтверждения гипотезы Трубецкого Н. Mencken, Indo-European Languages and Archeology, «American Anthropologist [American Anthropological Association]», vol. 57, № 6, part 3, Memoir A° 84, 1955, стр. 46-48). Вместе с тем выбор структурных признаков индоевропейских языков у Н. С. Трубецкого не может считаться достаточно мотивированным, что отмечалось в советской лингвистической литературе (А. А. Фрейман, Хеттский язык в его отношении к индоевропейским, ПАН ОЛЯ, т. VI, вып. 3. 1947. стр. 193).»

რული განსაზღვრება, ენათა ოჯახის კონვერგენციული განვითარების პიპოთეზა და ენის ევოლუციის ტიპოლოგიურ ხასიათის<sup>7</sup> შესახებ მსჯელობა ეხმაინება თანამედროვე ავტორების იდეებს (შდრ. პიზანი 1956:168). ტრუბეცკოის პიპოთეზის არქეოლოგიურ დადასტურებად შეიძლება ჩაითვალის მენენი (მენენი 1955:46-48). თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ინდოევროპული ენების სტრუქტურულ მახასიათებლებს, რომლებსაც ტრუბეცკოი ჩამოთვლის, ვერ მივიჩნევთ საკმარისად მოტივირებულად, რაც აღნიშნული იყო კიდეც საბჭოთა საენათმეცნიერო ლიტერატურაში (ფრეიმანი 1947:193) (ტრუბეცკოის სტატიისთვის წამდგარებული სარედაქციო განცხადება (იხ. ტრუბეცკოი 1958)).

სტატიის ბოლო ნაწილში ნ. ტრუბეცკოი წერს: „თუ ენათმეცნიერები აქამდე აგლუტინაციური ტიპის ენებს უფრო პრიმიტიულ ენებად მიიჩნევდნენ, ვიღრე ფლექსიურ ენებს, ეს მხოლოდ ეგოცენტრული წინასწარი აკვიატება იყო“. სწორედ ამ წინადაღებას უძღოდა სტატიის ორიგინალში ნიკო მარის კრიტიკა, რომელიც რუსულ თარგმანში ამოღებულია. ამ გადაწყვეტილებას სამეცნიერო ჟურნალის რედაქტორი ასე ხსნის:<sup>8</sup>

„სტატიის ამ ადგილას არის ნ. ს. ტრუბეცკოის ფართო შენიშვნა, რომელშიც მოცემულია ნიკო მარის შეხედულებების მკაცრი კრიტიკა ენათა მორფოლოგიური ტიპების შესახებ და გადმოცემულია თვით ტრუბეცკოის დამოკიდებულება ნ. ი. მარის თეორიისადმი მოთლიანად. რადგან ამ შენიშვნის შინაარსი არ არის უშუალოდ დაკავშირებული სტატიის თემასთან, ამიტომ ეს ნაწილი გამოვტოვეთ. – რედ.“

აი, კონკრეტულად რას წერდა ტრუბეცკოი მარზე: „ამ საკითხში [ეს იგი ენათა სხვადასხვა მორფოლოგიური ტიპის განვითარების შესახებ] ნიკო მარის ეგრეთ წოდებული „ახალი მოძღვრება ენის შესახებ“ არაფრით არ განსხვავდება ეგრეთ წოდებული „ბურჟუაზიული ენათმეცნიერებისაგან“. და თუ ფლექსიური წყობის ენებთან შედარებით აგლუტინაციური წყობის დიდი „პრიმიტიულობის“ მტკიცება შეიძლება მივაწეროთ „მსოფლიო იმპერიალიზმის სოციალურ შეკვეთას“, ნიკო მარისა და მისი მიმდევრების პირით თქმული ეს მოსაზრება არის ევროპული მეცნიერების წინაშე მონობის გამოვლენის ნაყოფი (თან ევროპული მეცნიერება აქ ძალიან ზედაპირულადაა ათვისებული). საქმე ის არის, რომ რამდენადაც ნ. ი. მარის თეორია არ იყო მხოლოდ გიუის („პარანოიკის“) უბრალო ბოდვა (როგორც, მაგალითად, მისი მოძღვრება „ოთხი ელემენტის შესახებ“: ბერ,

<sup>7</sup> ენის ევოლუციის ტიპოლოგიური ხასიათი ნიკოლოზ ტრუბეცკოის ნაშრომში ნახსენებიც არ არის. თუმცა ნამდვილად შეიძლება ითქვას, რომ ენობრივი კავშირის ცნებამ დიდად შეუწყო ხელი ენათა ტიპოლოგიურ კვლევებს.

<sup>8</sup> «В этом месте статьи Н. С. Трубецкого имеется обширное примечание, в котором дается резкая критика взглядов Н. Я. Марра на развитие морфологических типов языков, а также излагается отношение Н. С. Трубецкого к теориям Н. Я. Марра в целом. Поскольку содержание этого примечания не связано непосредственно с темой статьи, оно здесь опущено. – Ред.»

სალ, იონ და როშ), ეს გახლდათ ევროპული ლინგვისტების, თან არცთუ პირველი კლასის ლინგვისტების, ძველ სწავლებათა უბრალო გამეორება. თვალისმომჭრელი რეკლამისა და სრულიად ხელოვნურად შექმნილი მარქსისტული ფრაზეოლოგის (რომელიც ზოგჯერ აბსოლუტურად დაცლილია შინაარსისაგან) წყალობით მთელი ეს მანიაკალური ბოლვის ნაზავი და სხვათა დახავსებული თეორიები მოწოდებული იყო როგორც ახალი, ჭეშმარიტად მარქსისტული მოძღვრება ენის შესახებ. საბჭოთა რეალობის პირობებში, სადაც მავნებლობა ასე ხშირად ხვდება განმგრავულებლის სიმაღლეზე, ამ თეორიამ შეიძინა თავისებური მონაპოლიური უფლება. ამის შედეგად საბჭოთა ენათმეცნიერების განვითარება დიდი ხნით შეჩერდა. საბჭოთა ენათმეცნიერება მთელი ცივილიზებული სამყაროს მასხრად ასაგდები გახდა და რაც ყველაზე ცუდია, დაკარგა კონტაქტი ნამდვილად პროგრესულ და რევოლუციურ მიმდინარეობებთან, რომლებმაც გზა გაიკაფეს ეპროპისა და ამერიკის ენათმეცნიერებაში“.<sup>9</sup>

ბალიან საინტერესოა, რომ რედაქტრომა ეს ნაწილი ნ. ტრუბეცკოის სტატიიდან ამოიღო მაშინ, როცა ნიკო მარის იაფეტური თეორია უკვე მხილებული იყო და მისთვის თითო ქისტის წაკვრა ყველა საბჭოთა ენათმეცნიერის მოვალეობად ითვლებოდა.

როგორცა ჩანს, ნიკოლოზ ტრუბეცკოი მართლა ძალიან ცდილობდა, რომ იაკოვლევი არ გადასულიყო მარის თეორიის მომზრეთა რიგებში და ხშირად სწერდა მას წერილს ამ საკითხზე. 1922 წლის 20 დეკემბერს იაკობსონისადმი მიწერილი წერილის დანართში აღნიშნავს: „P.S. მე მივწერე უგრძესი წერილი იაკოვლევს, მისი პასუხი კი არ ჩანს. თუ მისწერთ, ჰკითხეთ, რაშია საქმე: ვაითუ, ეწყინა, რადგან მე ძალიან ვუგინე მარი და არ მოვუწონე მარით გატაცება. ნ. ტ.“ (ტრუბეც-

---

<sup>9</sup> В этом вопросе [on the development of different morphological types of languages] т.н. «новое учение о языке» Н. Я. Марра ничем не отличается от т.н. «буржуазной лингвистики». И если утверждение о большей «примитивности» агглютинирующего строя по сравнению с флектирующим в устах «буржуазных лингвистов» можно приписать «социальному заказу мирового империализма», то в устах Н. Я. Марра и его последователей оно является просто плодом раболепия перед европейской наукой (к тому же весьма поверхностно усвоенной). Дело в том, что поскольку теории Н. Я. Марра не являлись просто бредом параноика (как напр. его учение о «четырех элементах» *бер*, *сал*, *ион* и *руш*), они были просто повторением старых учений европейских лингвистов, притом, лингвистов не всегда первого сорта. С помощью трескучей рекламы и совершенно искусственно приделанной марксистской фразеологии (зачастую абсолютно лишенной всякого смысла) вся эта мешаница маниакального бреда и обветшавших чужих теорий была поднесена как новое, подлинно марксистское учение о языке и в условиях советской действительности, в которой вредительство так часто попадает на командные высоты, приобрела своего рода монопольные права. В результате развитие советского языкоznания оказалось задержанным надолго. Советская лингвистика стала посмешищем для всего цивилизованного мира и, что хуже всего, утратила контакт с подлинно прогрессивными и революционными течениями, пробивающими себе путь в языковедении в Европе и в Америке.

კო 2004:40).<sup>10</sup> ამ წერილთან დაკავშირებით რომან იაკობსონი მკითხველისთვის სქოლითში ასეთ მინაწერს აკეთებს: „1915 წლიდან ნე (ამ ინიციალებით მოიხსენიებს ნიკოლოზ ტრუბეცკოის, ანუ – ნიკოლოზ სერგეის ძე, – თ. ბ.) გამუდმებით აფრთხილებდა იაკოვლევს, რა საფრთხე შეიძლებოდა მოპყოლოდა მარის ლინგვისტური მოძღვრებისა და მისი აგანტიურისტული შედარებითი კვლევების განვითარებასა და გავრცელებას. 6. იაკოვლევი კავკასიური ენების სპეციალისტი იყო. იგი დიდად აფასებდა ნიკოლოზ სერგეის ძეს. მუდმივად (მათ შორის, მაგალითად, ჰავაში ლინგვისტთა საერთაშორისო კონგრესზე) სთხოვდა ნე-ს გამოსულიყო მარის ობსკურანტიზმის ფართო მეცნიერული კრიტიკით, მაგრამ იმავდროულად თავად ექცეოდა მარის გავლენის ქვეშ (ტრუბეცკო 2004:40).<sup>11</sup>

6. ტრუბეცკოის 1987 წელს გამოცემულ „რჩეულ ფილოლოგიურ შრომებში“ შესულ ამ სტატიას კომენტარები დაურთო ვიჩესლავ ივანოვმა, რომელმაც ფაქტობრივად გაიმტეორა 1958 წელს სტატიისთვის „ენათმეცნიერების საკითხების“ რედაქტორის წამდლვარებული მოსაზრებები, რომ ეს არის პოლემიკური ხასიათის წერილი და რომ ამით ტრუბეცკოი იღლაშქრებდა ინდოევროპული ფუძეების რეკონსტრუქციის უროპის ისტორიასთან დაკავშირების წინააღმდეგ. კონვერგენციული განვითარების შედეგად ინდოევროპულ ენათა ჯგუფის ჩამოყალიბების შესაძლებლობა ტრუბეცკოიმდე დაუშვა ე. პოლივანოვმა. ამავე აზრს ავითარებდა ვიტორე პიზნიცი, – წერს ვ. ივანოვი. „იგი გამოთქვამდა მოსაზრებას, რომ ინდოევროპულ ენათა ოჯახი სწორედ კონვერგენციის საფუძველზე შეიქმნა. პიზნიცი უშვებდა, რომ სხვადასხვა ინდოევროპულ ენაზე გავლენა მოახდინა სანსკრიტის მსგავსმა ენამ, ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, მოხდა თავდაპირველად ერთმანეთისაგან განსხვავებული ენების „სანსკრიტიზაცია“ (პიზნიცი 1958). შეძენილი ანუ „ალოგენეტური ნათესაობის“ (ამ ტერმინს ვ. ივანოვი სრულიად სამართლიანად გიორგი წერეთლის შემოტანილ ტერმინად თვლის) (ივანოვი 1987:415) თავდაპირველი ნათესაობისაგან გასარჩევად სწორედ მორფოლოგიის კვლევა საჭირო, რადგან მორფოლოგიური ელემენტები უფრო ნაკლებად არის შესწავლილი, ვიდრე ლექსიკური ერთეულები, რაც ძალიან გავრცელებულია მონათესავე ენებს შორის. თვითონ გამყრელიძე-ივანოვის ორტომეულში დაშვებულია ენობრივი კავშირის გზით დანათესავების შესაძლებლობა (უფრო დაწვრილებით ამის შესახებ იხ. ქვემოთ). ივანოვი ტრუბეცკოის სტატიისთვის დართულ კომენტარებში ხაზს

<sup>10</sup> «Я написал длиннейшее письмо Яковлеву, но ответа не получил. Если будете писать ему, спросите его, в чем дело: боюсь не обиделся ли он, т.к. я очень резко отзывался о Марре и упрекал Яковлева за увлечением Марром. Н.Т.» (ტრუბეცკო 2004:40)

<sup>11</sup> «Начиная с 1915 г., НС постоянно предупреждал об опасности, связанной с губительным развитием и распространением лингвистического учения Н. Я. Марра и его авантюристических сравнительных исследований. Н. Ф. Яковлев, специалист по кавказским языкам, высоко ценимы НС, постоянно (в том числе, например, на международном съезде лингвистов в Гааге) просил НС выступить с развернутой научной критикой марристского обскурантизма, но при этом нередко сам попадал под влияние Марра» (ტრუბეცკო 2004:40).

უსვამს იმ ფაქტს, რომ ტრუბეცკოი სწორი იყო, როცა უარყოფდა ინდოევროპელთა თავდაპირველი სამშობლოს აღდგენის ცდას მხოლოდ ერთი რომელიმე არქეოლოგიური მონაცემის, მაგალითად, კერამიკის საფუძველზე. მთავარი ამოცანა ისაა, რომ ლინგვისტური რეკონსტრუქცია თანამიმდევრულად უნდა შეესატყვისებოდეს არქეოლოგიურ რეკონსტრუქციას. ამის საილუსტრაციოდ სწორედ გამყრელიძესთან ერთად გამოცემულ წიგნს იმოწმებს. ილიჩ-სვიტიჩი ავითარებდა მოსაზრებას, რომ ინდოევროპული ენები და ზოგიერთი არაინდოევროპული ენა, კერძოდ, სამხრეთკავკასიური (ქართველური), სემიტური, ქამიტური, აფრაზიული, ურალური, ალათაური და დრავიდული წარმოიქმნენ ერთი წყაროდან, რომელიც მან ნაწილობრივ აღადგინა და „ნოსტრატული“ უწოდა.

კიდევ ერთხელ უნდა აღვნიშნოთ, რომ ტრუბეცკოი არ ცნობდა ჩრდილოდა სამხრეთკავკასიურ ენათა ნათესაობას. ნოსტრატული თეორიის ფარგლებშიც ეს ვითარება უცვლელი რჩება. სამხრეთკავკასიური ენები ამ თეორიის ფარგლებში ჰქონოւლი რჩება დასავლეთნოსტრატულ ენებში, ყოველ შემთხვევაში მიჩნეულია, რომ ბევრი საერთო აქვს ინდოევროპულთან, რაც ნაწილობრივ იხსნება ძველი კონტაქტებით). ჩრდილოეთკავკასიურ (რომლებსაც უდარებენ ენისეის და ჩინურ-ტიბეტურ ენებს) ენებს შორის მიმართება იხსნება „ალოგენეტური“ ანუ შეძენილი ნათესაობით. ეს თეორია იბერიულ-კავკასიური ენების ნათესაობის ჰოპეთებას ეჭვებეშ აყენებს (ივანოვი 1987:418). ვ. ივანოვი ტრუბეცკოის წერილში ინდოევროპული ერთობის წარსულის შესახებ „გლოტალური თეორიის“ ჩანასახსაც კი ხედავს. კერძოდ, იგი ყურადღებას ამახვილებს ტრუბეცკოის დაკვირვებაზე, რომ უძველეს ინდოევროპულ ენებში ბაგისმიერი \*ბ იშვიათად გვხვდება და სწორედ ამ თვისებას ავლენს ყელხშული პ თანამედროვე ჩრდილოკავკასიურ ენებში. სწორედ ასევე სემიტური ენების ლაპიალურ რიგში არ ჩანს ემფატიკური ხშული და შესაძლოა არც არსებობდა ფუძე სემიტურში ან ძალიან იშვიათად გამოიყენებოდა. ეს აზრი მიაჩნია ვ. ივანოვს ნ. ტრუბეცკოის მხრიდან თანამედროვე გლოტალურ თეორიასთან დაახლოებად. სწორედ ამ თეორიის მიხედვით ინდოევროპულში გლოტალიზებული პ ფასდება როგორც იშვიათი გამოყენების ბგერა და ამით ხაზს უსვამს ჩრდილოაღმოსავლურ კავკასიური ენების ფონემატურ სტრუქტურაში ამ მოვლენის ტიპოლოგიურ ანალოგს. ტრუბეცკოი ამით გახაზავდა ამ ენათა ოჯახების საერთო ბედს. ემფატიკური ნაპრალოვანი თანხმოვნები სემიტურში დიაქტონიული თვალსაზრისით შეიძლება შეფასდეს როგორც გლოტალიზებული. ამ ტიპოლოგიურ პარალელს გლოტალური თეორია იყენებს აქამდე მუღერად მიჩნეული ნაპრალოვნების გლოტალიზებულ ყელისმიერ ნაპრალოვნებად გადააზრებისათვის (ივანოვი 1987:419).

ვიაჩესლავ ივანოვის შეფასება ასახავს საბჭოთა ენათმეცნიერების დამკიდებულებას ტრუბეცკოის ენათა კავშირების თეორიის მიმართ მეოცე საუკუნის სამოციან წლებში. როგორც ვნახეთ, იძებნება ტრუბეცკოის დაკვირვებებსა და გლოტალურ თეორიას შორის საერთო შეხების წერტილები, რომ არაფერი ვთქვათ, ნოსტრატულ თეორიასთან კავშირზე, რომელიც, შეიძლება ითქვას,

ტრუბეცკოის რჩეული ფილოლოგიური ნაშრომების გამოსვლის დროს მხოლოდ თავისი ისტორიის საწყის პერიოდში იყო. იგი შემდეგ კიდევ უფრო განვითარდა და თუ რა სახე მიიღო, ამაზე მოგვიწევს მსჯელობა. თუმცა ახლავე უნდა ითქვას, რომ ტრუბეცკო ეჭვის თვალით უყურებდა დიდ მონათესავე ენათა შორის ნათესაობის დადგენას. ამის მიღწევა შეუძლებლად მიაჩნდა: „როცა საქმე ეხება ორი ენის ნათესაობის დადგენას, აუცილებელია მნიშვნელოვანი რაოდენობის მქონე ლექსიკური წყვილები, რომელთა შორის დგინდება რეგულარული ბგერითი შესატყვისობა. მაგრამ როცა საქმე ეხება დიდ მონათესავე ოჯახებს შორის ნათესაობის დადგენას, ამის მიღწევა შეუძლებლად მიმაჩნია. ძალიან მეტვება, რომ ოდესმე შესაძლებელი იქნება დამაჯერებლად და უეჭველად (მეცნიერული თვალ-საზრისით) დამტკიცდეს „იდოვევროპული ენების ნათესაობა სემიტურთან, ურალურთან ან ჩრდილოეთკავკასიურ ენებთან. ამ შემთხვევაში მე „ნათესაობა“ მესმის როგორც გენეალოგიური ენათმეცნიერების ტერმინი. სულ სხვა რამეა ტიპოლოგიური ნათესაობა, რომელიც უეჭველად არსებობს არამონათესავე ენებს შორის. ენათა ტიპოლოგიურ შედარებას მე კვლავ ენათმეცნიერების ძალიან მნიშვნელოვან სფეროდ მივიჩნევ. ამ სფეროში ბევრი რამის მიღწევა შეიძლება, მაგრამ აუცილებელია კვლევის განსაკუთრებული, აქამდე ნაკლებად შემუშავებული მეთოდების გამოყენება.“ ამ აზრს აკითარებდა ტრუბეცკო 1935 წელს ლინგვისტთა მესამე საერთაშორისო კონგრესზე. მის მოხსენებას გამოეხმაურა პედერსენი, რომელმაც ტრუბეცკოის მოსაზრება ძალიან პესიმისტურ დამოკიდებულებად შეაფასა. იგი დაეთანხმა ტრუბეცკოის მხოლოდ იმ ნაწილში, როცა მან ერთ-ერთ ასეთ სირთულედ ჩრდილოკავკასიურ ენათა ნათესაობა დაასახელა. პედერსენის აზრით, „მიუხედავად ჩრდილოკავკასიურ ენათა შორის აპრიორული მსგავსებისა, რეალური მტკიცებულებების იმედი ძალიან მცირეა. თუმცა ყველა წინასწარმეტყველება ამ საკითხზე ნამდვილად უადგილოა. როცა შეიქმნება ჩრდილოკავკასიურ ენათა შედარებითი გრამატიკა და შეუპირისპირდება სამხრეთკავკასიურ ენებს, მხოლოდ მაშინ გაირკვევა ეს საკითხი. სემიტურთან დაკავშირებით კი ამ პესიმიზმს ვერ გავიზიარებ“, – თქვა პედერსენმა ტრუბეცკოის მოხსენების განხილვისას (ტრუბეცკო 1935:326-327; ტრუბეცკო 1987:60-62).

სპეციალურად ვიმსჯელებთ იმაზე, თუ როგორ შეიცვალა დამოკიდებულება საბჭოთა ენათმეცნიერებაში „ენობრივი კავშირების“ თეორიის მიმართ 60-იან წლებში. სამოციან წლებამდე კი, როგორც უკვე აღინიშნა, ტრუბეცკოის ნაშრომები საბჭოთა კავშირში განიხილებოდა სტრუქტურალიზმის კრიტიკის ფარგლებში. მის საილუსტრაციოდ შეიძლება დავიმოწმოთ თინათინ შარაძენიძის შეფასება. იგი უარყოფითად აფასებს რომან იაკობსონის ნაშრომს „ევრაზიული ენობრივი კავშირის დახასიათებისათვის“. მეცნიერი სრულიად სამართლიანად მიუთითებს რ. იაკობსონის ნაშრომის ნაკლზე. აქ მხოლოდ ორი ფონოლოგიური ნიშანია გამოყოფილი ენათა ევრაზიული კავშირის საერთო მახასიათებლად. ესენია: რბილი და მაგარი კონსონანტების ოპოზიცია და მონოტონია ანუ ტონური დიფერენციაციის არარსებობა. თან ეს ნიშნები ევრაზიის ენებში ყოველთვის ერ-

თმანეთთან არ არის დაკავშირებული. მაგალითად, ორივე ეს თვისება ახასიათებს ირლანდიურს, მაგრამ იგი არ მიეკუთვნება ევრაზიულ ენათა კავშირს. სწორედ ამის გამო წერდა ანტუან მეიე იაკობსონის შრომის შესახებ დაწერილ სპეციალურ რეცენზიაში: „ეს ფაქტი არ უარყოფს თვით გამოკვლევას, მაგრამ ამცირებს მის მნიშვნელობას“ (მეიე 1931). ამ უზარმაზარ ტერიტორიაზე გავრცელებული ენები მხოლოდ მითითებული ირი ნიშნის გამო ენობრივ კავშირად ვერ ჩაითვლება. მნელია იმის თქმა, რა ინფორმაცია ჰქონდა თინათინ შარაძენიძეს პრაღის ლინგვისტური წრის რუსი წევრების პოლიტიკურ მიზნებზე, თუმცა გაოცება ნამდვილად იგრძნობა მის სიტყვებში: „ამგვარად, საბჭოთა კავშირის ტერიტორიის უდიდესი ნაწილი ევრაზის ენათა კავშირში შედის“ (შარაძენიძე 1958:462).

თინათინ შარაძენიძეს, ისევე როგორც მისი პერიოდის საბჭოთა ენათმეცნიერთა უდიდეს ნაწილს, ხელი არ მიუწვდებოდა 1931 წელს იაკობსონის რუსულად გამოცემულ ნაშრომზე „ევრაზის ენობრივი კავშირის დახასიათებისათვის“ («К характеристике евразийского языкового союза»). იგი აზრს გამოთქვამს იაკობსონის იმ წერილის მიხედვით, რომელშიც მოკლედ არის გადმოცემული მისი მოსაზრებები ევრაზიული ენობრივი კავშირის შესახებ და დაიბეჭდა პრაღის ლინგვისტური წრის შრომებში (იაკობსონი 1931:7). თ. შარაძენიძე ეჭვის თვალით უყერებს ამ თეორიას, რადგან რომან იკობსონი თვით ტრუბუკოს შემოტანილ მთავარ მახასიათებლებს არღვევს: ენობრივი კავშირის წევრებს უნდა ჰქონდეთ მსგავსი მორფოლოგიური და სინტაქსური სტრუქტურა და დიდი რაოდენობით საერთო სიტყვები. სწორედ ეს აკლია იაკობსონის მიერ გამოყოფილ ენობრივ კავშირს. თუმცა პრაღის ლინგვისტურ სკოლაში ეს საკითხი გადაჭრილად მიაჩნდათ და შრომები ამ საკითხზე კვლავ იწერებოდა. მაგალითად, ვ. სკალიჩა (სკალიჩა 1934) ევრაზიული ენობრივი კავშირის მახასიათებლად გამოყოფდა გრძელი და მოკლე ხმოვნების დაპირისპირებას და ამ ფაქტს აკავშირებდა თანხმოვანთა სირბილის კორელაციასთან იმ მიზეზით, რომ თითქოს მათი გავრცელების იზოგლოსები ერთმანეთს ემთხვევა. ეს კონკრეტული ენების მაგალითებით არ მტკიცდება, რაც კიდევ უფრო ასუსტებს ევრაზიული ენობრივი კავშირის თეორიას.

თინათინ შარაძენიძე ობიექტურად აფასებს ამ ვითარებას: „კიდევ უფრო ამცირებს ევრაზის ენათა კავშირის მნიშვნელობას სკალიჩას მსჯელობა იმის შესახებ, რომ ის ურალურ-ალათაური ენები, რომელიც ამჟამად ევრაზის კავშირის გარეთ დგანან, ავლენენ ევრაზიზმებს, რაც იმით აიხსნება, რომ ალბათ ეს ენები ოდესლაც ევრაზის კავშირში შედიოდნენ“ (შარაძენიძე 1958:464). ასევე მნელია სკალიჩას მტკიცების დაჯერება, რომ ენის მიდრეკილება სახელური წინადადებებისაკენ და haben ზმნის უქონლობა ერთმანეთთან დაკავშირებული მოვლენებია. გვხვდება უფრო უტობიური დაკვირვებებიც. მაგალითად, მალიან აბსტრაქტულია მსჯელობა, რომ პოლისინთეზური (სკალიჩას განმარტებით, კომპოზიტთა წარმოების მიხედვით) ენები – ლაპლანდიური, ბალტიისპირეთის ფი-

ნური ენები, გერმანული და ამერიკის ინდიელთა ენები, ევრაზიის გარეთ გავრცელებული აზიური ენები (ჩუქჩური, კორიაკული, კამჩადალური) ერთგვარ სარტყელს ქმნიან დედამიწის გარშემო და მეორე ასეთი სარტყელია ევრაზიის ენები, რომლებიც არ გამოირჩევიან კომპოზიტების წარმოებისადმი მიღრეკილებით (სკალიჩა 1935:64-65)

ენობრივი კავშირის მორფოლოგიური მახასიათებლებიდან თვითონ ტრუბეცკოი ყურადღებას ამახვილებს ბრუნების გრამატიკულ კატეგორიაზე (ტრუბეცკოი 1937:40-44), მაგრამ არც ამ მახასიათებლით გაერთიანებული ენები არ ემთხვევა იაკოსონის მოხაზულ ევრაზიულ ენათა კავშირს, რადგან მდიდარი ბრუნება აქვს ბევრ ისეთ ენას, რომლებიც ამ კავშირში არ შედიან (ასეთია ბალტური და ფინური ენები, უნგრული და პალეოზიური ენები: ჩუქჩური, კორიაკული, კამჩადალური. მდიდარი ბრუნება აქვს აგრეთვე იაპონურს). მეორე მხრივ, ტრუბეცკოი საბჭოთა კავშირის ენებს მდიდარი ბრუნების სისტემის მქონე ენებად მიიჩნევს, მაგრამ თვითონვე მიუთითებს, რომ, მაგალითად, დასავლეთკავკასიურ ენებს ბრუნება არ მოეპოვებათო. აშკარაა, რომ ბრუნების გავრცელების იზოგლოსა არ ემთხვევა იაკოსონის ევრაზიული ფონოლოგიური ენათა კავშირის გავრცელების არეს (შარაძენიძე 1958:465-466).

უნდა დავეთანხმოთ თ. შარაძენიძის დასკვნას, რომ „ევრაზიული ენათა კავშირი მითია. ამ კავშირს არ აღმოაჩნდა არც ერთი საყურადღებო მორფოლოგიური ან სინტაქსური ნიშანი. ავტორებმა ვერ მიუთითეს ვერც საერთო კულტურის სიტყვებზე. უნდა აღვნიშნოთ, რომ ასეთი მცდელობა იყო ნამდვილად“ (შარაძენიძე 1958:466).

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სწორედ ფოლკლორული ნიმუშების შესწავლამ აღუძრა ნიკოლოზ ტრუბეცკოის ენათმეცნიერული ონტერესები. იგი მოგვიანო ხანებშიც ფიქრობდა ამ საკითხზე. ასევე ამ სახის მცდელობაა პარალელიზმის, როგორც ევრაზიაში ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გამოყენებული პოეტური მოდელის, კვლევა, თუმცა ეს მახასიათებელი ტიპოლოგიურად უნივერსალურია პოეზიისათვის და მხოლოდ ამიტომ ახასიათებს მითიური ევრაზიული ენობრივი კავშირის პოეზიასაც. სამართლიანია თ. შარაძენიძის შეფასება, რომ „თვით ფონოლოგიური ნიშნებიც შემთხვევით და არადამაჯერებელია. არავითარი ევრაზიის ენათა კავშირის შესახებ არ შეიძლება ლაპარაკი ერთეული და არასარწმუნო ფაქტების მიხედვით“ (შარაძენიძე 1958:466).

განსაკუთრებით უარყოფით დამოკიდებულებას ამჟღავნებს თინათინ შარაძენიძე იმ ფაქტის მიმართ, რომ ნიკოლოზ ტრუბეცკოი კავკასიურ ენებს კავკასიის ენათა კავშირად მოიხსენიებს. „ტრუბეცკოი ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიის ენებს ერთმანეთის მონათესავედ არ თვლიდა. მისი აზრით, ამ ენებს შორის მსგავსება შეინიშნება, მაგრამ ეს ამ ენათა საერთო წარმოშობით კი არ აიხსნება, არამედ იმის შედეგია, რომ ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიის ენები ხანგრძლივი გეოგრაფიული მეზობლობის შედეგად დაუახლოვდნენ ერთმანეთს. ტრუბეცკოის ამ შეხედულებას ემყარებოდა და ამჟამადაც ემყარება ზოგი ენათმეცნიერი საზღ

ვარგარეთ (გრე 1951:32) მაშინ, როდესაც საბჭოთა კავკასიოლოგების მიერ ჩატარებულმა ისტორიულ-შედარებითმა კვლევა-ძიებამ აშკარა გახადა, რომ მთის (ჩრდ. კავკასიის) და ქართველურ (სამხ. კავკასიის) ენებს საერთო წარმოშობა აქვთ. ისინი მონათესავე ენათა ერთ ოჯახში – იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახში – „შედიან“ (შარაძენიძე 1958).

ცნობილია, რომ დღესაც აზრთა სხვადასხვაობაა სამხრეთკავკასიურ და ჩრდილოეთკავკასიურ ენათა მიმართებაზე. რა არის ეს – მხოლოდ ტიპოლოგიური მსგავსება, არეალური ერთობა თუ მონათესავე ენათა დიდი ოჯახი. ამ წერილის შემდეგ ნაწილში იქნება მსჯელობა, როგორ განვითარდება „ენობრივი კავშირის“ იდეა 60-იანი წლების საბჭოთა ენათმეცნიერებაში, რომელიც დიდწილად უკავშირდება კავკასიური ენების წარმომავლობისა და ურთიერთმიმართებების საკითხებსაც.

### ლიტერატურა

**ახმანოვა 1953:** О. С. Ахманова, Глоссематика Луи Ельмслева как проявление упадка современного буржуазного языкоznания, *Вопросы языкоznания*, №5 (Сентябрь-Октябрь), Институт языкоznания, Академия наук СССР, Издательство академии наук СССР, Москва, 1953, ст. 25-47.

**გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965:** თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტოა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში: სერთო სტრუქტურული ტიპოლოგია, გ. წერე-თლის რედაქციითა და წინასიტყვაობით, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადე-მია, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.

**გრე 1939:** L. H., Gray, Foundations of Language, The Macmillan Company, New York.

**ვუცინიჩი 1984:** A. Vucinich, *Empire of Knowledge*, The Academy of Sciences of the USSR (1917-1970), University of California Press, Berkeley.

**აუკობელი 1931:** R. Jacobson, Über die phonologischen Sprachbünde, *Travaux du Cercle linguistique de Prague*, Prague, IV, v. 32, part. 3 (#97).

**ივანოვი 1987:** Вяч. Вс. Иванов, Комментарии к статье Н. С. Трубецкого, Мысли об индоевропейской проблеме, в книге: Трубецкой Н. С., *Избранные труды по филологии*, Составление В. А. Виноградова и В. П. Нерознака, Переводы с разных языков под общей редакцией Т. В. Гамкрелидзе, Вяч. Вс. Иванова, В. Р. Нерознака и Н. И. Толстого; Прогресс, Москва, 413-419.

**ივანოვი 1987:** Вяч. Вс. Иванов, Комментарии к статье Н. С. Трубецкого, Проблема родства между большими языковыми семьями, в книге: Трубецкой Н. С., *Избранные труды по филологии*, Составление В. А. Виноградова и В. П. Нерознака, Переводы с разных языков под общей редакцией Т. В. Гамкрелидзе, Вяч. Вс. Иванова, В. Р. Нерознака и Н. И. Толстого; Прогресс, Москва, 419-420.

**ლეშკა 1953:** О. Лешка, К вопросу о структурализме (Две концепции грамматики в Пражском лингвистическом кружке), *Вопросы языкоznания*, №5 (Сентябрь-Октябрь), Институт языкоznания, Академия наук СССР, Издательство академии наук СССР, Москва, 88-103.

**დეკ 1931:** A. Meillet, (რუსეთის მ. იაკობის ნაშრომზე) R. O. Jakobson, к характеристике евразийского языкового союза, Bulletin de la Société de Linguistique de Paris, Paris.

**დეკემბერ 1955:** H. Mencken, Indo-European Languages and Archeology, «American Anthropologist [American Anthropological Association]», vol. 57, № 6, part 3, Memoir A° 84, 46-48.

**ნოემბერ, იაკობის 1949:** В. К. Никольский, Н. Ф. Яковлев, Основные положения материалистического учения Н. Я. Марра о языке, Вопросы Философии, №1, Академия наук СССР, издательство «Наука», Москва.

**პლიანი 1956:** В. Пизани, Общее и индоевропейское языкознание, сб. «Общее и индоевропейское языкознание», Москва.

**ცემობიქა 1934:** V. Skalička, Zur Charakteristik des eurasischen Sprachbundes, In: Archiv Orientalni, VI, Praha, 272-274.

**უკალიტე 1935:** V. Skalička, Zur ungarischen Grammatik, Prague, 64-65.

**სოლტა 1963:** G. R. Solta, Die armenische Sprache. Handbuch der Orientalistik, Herausgegeben von B. Spuler, VII Band, *Armenisch und kaukatische Sprachen*, Leiden-Köln.

**ტრუბეცკო 1921:** Н. С. Трубецкой, Верхи и низы русской культуры (Этническая основа русской культуры), в сборнике: «Исход к Востоку», София, 86-103.

**ტრუბეცკო 1923:** Н. С. Трубецкой, Вавилонская башня и смешение языков, Евразийский временник, Кн. 3, Евразийское книгоиздательство, Берлин, 107-124.

**ტრუბეცკო 1987/1935:** Н. С. Трубецкой, Проблема родства между большими языковыми семьями, Избранные труды по филологии, составление В. А. Виноградова и В. П. Нерознака, переводы с разных языков под общей редакцией Т. В. Гамкелидзе, Вяч. Вс. Иванова, В. Р. Нерознака и Н. И. Толстого; гл. 60-62 (იხ. აგრეთვე: Atti III Congresso Internazionale dei Linguisti, гл. 326-327);

**ტრუბეცკო 1937:** N. Trubetzkoy, Gedanken über die slowakische Deklination, Sbornik Matic Slovenskej. Časť Prvá. Jazykoveda, XV, гл. 40-44.

**ტრუბეცკო 1939:** N. Trubetzkoy, Gedanken über das Indogermanen problem, Acta Linguistica, Vol. I, fasc. 2, Copenhagen, 81-89 .

**ტრუბეცკო 1958:** Н. С. Трубецкой, Мысли об индоевропейской проблеме, Вопросы языкознания, № 1, Институт языкознания, Академия наук СССР, Издательство Академии наук СССР, Москва, ст. 65-77; იხ. აგრეთვე ინგლისური თარგმანი: Thoughts on the Indo-European Problem, pp. 87-99.

**ტრუბეცკო 1975//2004:** N. S. Trubetzkoy's Letters and Notes, Prepared for the publication by Roman Jacobson with the Assistance of H. Baran, O. Ronen, and Marta Taylor, Mouton, The Hague-Paris; რუსული თარგმანი : Письма и заметки Н. С. Трубецкого, Языки славянской культуры, Москва.

**ფრეიმანი 1947:** А. А. Фрейман, Хеттский язык в его отношении к индоевропейским, ПАН ОЛЯ, т. VI. вып. 3.

**შარამებიძე 1958:** თ. შარამებიძე, ენათა კლასიფიკაციის პრინციპები, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, ენათმეცნიერების ინსტიტუტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი.

**შალერი 1997:** Helmut W. Schaller, Roman Jakobson's Conception of «Sprachbund», Cahiers de l'ILSL, № 9, 199-204).

**ჩიკობავა 1945:** არბ. ჩიკობავა, ზოგადი ენათმეცნიერება, II ტომი, თსუ გამომცემლობა, თბილისი.

**ჩიკობავა 1952:** A. C. Чикобава, Введение в языкознание, часть I, Москва.

**წერეთლი 1965:** გ. წერეთლი, სონანტებისა და აბლაუტის თეორიის გამო ქართველურ ენებში, წიგნში: თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში: საერთო სტრუქტურული ტაბლოვია, გ. წერეთლის რედაქციითა და წინასიტყვაობით, საქართველოს სსრ მცნიერებათა აკადემია, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 09-053.

**წერეთლი 1968:** Г. В. Церетели, О языковом родстве и языковых союзах, Вопросы языкознания, № 1, Институт языкознания, Академия наук СССР, Издательство Академии наук СССР, Москва, ст. 3-18.

Tinatin Bolkvadze

### “Language Union” in Soviet Linguistics

#### **Part I: Drawbacks of “Language Union” against the Background of Criticism of Bourgeois Linguistics**

##### Summary

The term Language Union (Sprachbund) was coined by the Prague Linguistic Circle. The paper deals with the history of this term in Soviet Linguistics. Soviet linguists had no information about Nikolay Trubetzkoy's and Roman Jacobson's articles, but after the Soviet language discussion some articles of émigré linguists were published in Russian scientific journals. From the beginning the term Language Union was rejected by the official soviet linguistics, but from the 60s the situation changed. In this part of the paper are discussed the so-called drawbacks of “Language Union” against the background of criticism of bourgeois linguistics.

The notion of a linguistic union in soviet linguistics was considered to be *bourgeois linguistics*, particularly because of the reprehensive construction of structuralism. During this period, it was a commonly accepted opinion that the reactionary bourgeoisie was seeking to completely rid reality and public life of scientific research. If we continue down this path, science begins to act like a slave of class and political goals. The foundation of the Prague Linguistic Circle at precisely that time coincides with the period when the bourgeoisie prevailed over the Workers' Movement in Czechoslovakia. The proletariat picked up steam against the bourgeoisie later on in the struggle. Attitudes toward structuralism changed from the 1960s onward, i.e. when the concept of originally unconnected languages was qualified as allogenetic relationship by Giorgi Tsereteli and was used in Soviet linguistics. This notion is still actual in comparative and areal linguistics.

## ინტერვოკალური რედუპლიკაცია ქართველურ მენაზი<sup>1</sup>

### შესავალი

რედუპლიკაციის ცნება ზოგადად გულისხმობს გაორკეცებას, განმეორებას; თუმცა იმ ფაქტზე, რომ რედუპლიკირების ინვენტართან ანუ რედუპლიკატებთან დაკავშირებით განსხვავებული თვალსაზრისებია, კარგად მიუთითებს ამ ცნების განსხვავებული განმარტებები. რედუპლიკაცია (*ლათ. reduplicatio*) არის:

- „მორფოლოგიური პროცესი, რომელიც მიიღება ბერის, მარცვლის, სიტყვის და სიტყვის ნაწილის განმეორებით“.<sup>2</sup>
- „ხმოვნის ან მარცვლის გაორმაგება“; „ანლაუტის ან ანლაუტის მარცვლის გაორმაგება“ (მეტცლერი 1993:498).
- „ბერით სეგმენტის მორფოლოგიური განმეორება ან სრულად, ან ხმოვნით /თანხმოვნით აბლაუტთან ერთად კომბინაციაში“ (ანდერსონი 1998:340).
- ფონეტიკურ-მორფოლოგიური სახეცვლილება სიტყვისა, რომელიც შეიცავს თავკიდური ბერის ცვლილებას (ფონეტიკური რედუპლიკაცია), ძირის (მორფოლოგიური რედუპლიკაცია) ან მთლიანი სიტყვისა (განმეორება<sup>3</sup>) (ვინოგრადოვი და სხვ. 1995:98-99).
- მორფონოლოგიური მოვლენა, რომელიც გულისხმობს დასაწყისი სიტყვის განმეორებას (ნაწილობრივი რედუპლიკაცია) ან მთლიანი ძირის განმეორებას (სრული რედუპლიკაცია) (იარცევა 1998:408).
- ძირის გაორკეცება: „რედუპლიკაციის წესით მიღებული ყოველი ფუძე ორი სეგმენტისაგან შემდგარი ერთეულია. ზღვარი სეგმენტებს შორის ხშირად წაშლილია, ან იმგვარად არის ხოლმე სახეცვლილი რომელიმე მათგანი (ან ორივე ერთად), რომ ფუძეებში ორი ძირის დანახვა საერთოდ ჭირს...“ (ერთეულიშვილი 1970:181).
- „სიტყვის ან ფუძის (ფუძე ზოგჯერ შეიძლება ემთხვეოდეს ძირს), უფრო იშვიათად, ფუძის ნაწილის გაორკეცება“ (სანიკიძე 1976:35).<sup>4</sup>
- „...ამა თუ იმ ფუძის, მარცვლის, ძირის ან ძირის ნაწილის გაორკეცება“ (დათუკიშვილი 1990:4).

<sup>1</sup> წინამდებარე სტატია მომზადდა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაუფინანსებული პროექტის – „ფონისემანტიკური ლექსიკა ქართველურ ენგბში (სტრუქტურული, სემანტიკური და პრაგმატიკული ასპექტები)“ – ფარგლებში.

<sup>2</sup> <http://de.wikipedia.org/wiki/Reduplikation> – (Sprache).

<sup>3</sup> ივივე სრული რედუპლიკაცია.

<sup>4</sup> შდრ. „სიტყვის, ფუძის, ძირის ერთი ან რამდენიმე ელემენტის განმეორება“ (ლ. სანიკიძე: ქე 2008, 390)

ქართულ ლინგვისტიკაში რედუპლიკაციის საკითხები გაორკეცებულ სეგმენტში მომხდარი ფონოლოგიური ცვლილებების კვალდაკვალ განიხილება (ა. შანიძე, ვ. თოფურია, ფ. ნაისერი, ს. უღენტი, ლ. სანიკიძე...), შესაბამისად, რედუპლიცირებულ ფორმათა საკლასიფიკაციო ნიშნები ერთმანეთისაგან განსხვავებულ ოპზიციურ წყვილებს ქმნიან:

1. ფუძის რედუპლიკაცია<sup>5</sup> (კლასიფიკაციის საფუძველია სხვადასხვა პოზიციაში მომხდარი ფონოლოგიური პროცესები):
  - ფუძულებული და ფუძულილი (თოფურია 1979:110; შანიძე 1955: 85-87; სანიკიძე 1976:38).
2. მარცვლის რედუპლიკაცია (კლასიფიკაცია ემყარება მარცვლის სტრუქტურას და მასში განხორციელებულ ფონოლოგიურ ცვლილებებს):
  - ღია და დახურული მარცვლის რედუპლიკაცია ( ნაისერი 1953; უღენტი 1960)
  - მარცვლის პოზიციური – ანლაუტის ან აუსლაუტის – ფონოლოგიური ცვლილებებით (გ. ღევთერისი, ფ. ნაისერი ა. შანიძე, ს. უღენტი, ლ. სანიკიძე);
  - სრული და ნაწილობრივი რედუპლიკაცია: სრული – როდესაც ამოსავალი მარტივი ელემენტი (ფუძე, ძირი ან მარცვალი) ორკეცდება მთლიანად; ნაწილობრივი – ორკეცდება ამოსავალი ელემენტის რომელიმე ნაწილი (დათუკიშვილი 1990:10); სრული რედუპლიკაცია (Total reduplication) – ბგერის ან მარცვლის გაორკეცება; ნაწილობრივი რედუპლიკაცია (Partial Reduplication) – ანლაუტის ან აუსლაუტის მარცვლის გაორკეცება (მეტცლერი 1993:498).
3. ხლეჩადი<sup>6</sup> და არახლეჩადი: სეგმენტებს შორის სინტაქსური დაკავშირების პოტენციის („და“ კავშირის ჩართვის შესაძლებლობის, მაკავშირებელი სიტყვის ჩართვის) მიხედვით. ხლეჩადი მოიცავს მხოლოდ სრული რედუპლიკაციის შემთხვევებს (სამ-სამ-ი),<sup>7</sup> არახლეჩადი კი როგორც სრული (ბუტ-ბუტ-ი), ისე ნაწილობრივი რედუპლიკაციის (ქაჩ-აჩ-ი) შემთხვევებს (დათუკიშვილი 1990:10).

<sup>5</sup> ფუძის რედუპლიკაცია შეიძლება გავააზროთ როგორც ლექსიკური მნიშვნელობის მქონე ერთეულთა (= ფუძეთა), ასევე ლექსიკური მნიშვნელობის არქეონე ერთეულთა (= ძირი, როცა ის არ ემთხვევა ფუძეს) განმეორება, დუბლირება. შდრ. ერთი მხრივ, ჯაგაფა- ტიკტიკ-... მეორე მხრივი: ასევალ-დასავალი, მთქმა-მოთქმა, ეკა-ბეკა... ფუძის რედუპლიკაცია და რედუპლიკირებული ფუძე ორი სხვადასხვა ტერმინია, პირველი გულის სმობს რედუპლიკაციას, როგორც პროცესს, ხოლო მეორე – ამ პროცესის შედეგად მიღებულ მორფოლოგიურ და ლექსიკურ ოდენობას. რედუპლიკატებად წარმოდგება როგორც ძირი, ასევე თავად ფუძე.

<sup>6</sup> იგივეა, რაც „ტოლადშერწყმული“.

<sup>7</sup> ფ. ნაისერის მოსაზრებით, ამვარი ფორმები სიტყვაწარმოებაშია განსახილველი, ან სინტაქსისა და სტილისტიკის სფეროს წარმოადგენს (ნაისერი 1953); მაგრამ, რაღაც „და“ კავშირით შეერთებული სიტყვები სინტაქსურ წყვილად არ განიხილება (ჩიქობავა 1930:488), აღნიშნული თვალსაზრისი გაზიარებული არ არის (იხ. დათუკიშვილი 1990:9).

ამდენად, რედუპლიკაცია უნდა განვიხილოთ როგორც მორფოლოგიური მოვლენა, რომელიც არის ფუძის ან მისი სეგმენტის (ბერა, ძირი, მარცვალი) ფორმასთან დაკავშირებული მოვლენა და ენებში ახალი ლექსიკური ერთეულის / ახალი მნიშვნელობის წარმოქმნის საფუძველი. რედუპლიკაციას აქვს თავისი ფონოლოგია და მორფოლოგია (რამდ 2000). რედუპლიცირებული ენობრივი ერთეულის ფონოლოგიური და მორფოლოგიური ანალიზი გულისხმობს ფორმობრივ ანალიზს, ამიტომ საკლასიფიკაციო ნიშნები, რომლებიც ადგენენ რედუპლიცირებულ ფორმათა ჯგუფებს, არსებითად ემყარება მოცემული ენობრივი დონეების ანალიზს (შესაბამისად, ტერმინებს) და ამ ანალიზის შედეგად მიღებულ წესებს.

## 1. ფონოსემანტიკური სტრუქტურების რედუპლიკაცია და აფიქსაცია

ძირის რედუპლიკაცია, სუფიქსაციასთან ერთად, ქართველური ენების ფონოსემანტიკური ლექსიკის წარმოქმნის საკმაოდ მნიშვნელოვანი ხერხია.<sup>8</sup> ხმაბაძვით სიტყვათა დიდი ჯგუფი სწორედ ამ გზით არის ნაწარმოები. რედუპლიკაცია, სხვა ენათა მსგავსად, ქართველურ ენებშიც განვრმობითობისა და მრავალგზისობის, ობიექტთა და მოქმედებათა სიმრავლის გადმოსაცემად გამოიყენება.

რედუპლიცირებული ფორმების კლასიფიკაციისას, უპირველეს ყოვლისა, ყურადღება უნდა მიექცეს სეგმენტთა სახეს. ბერტერის მორფოლოგიურ ინვენტარად უნდა იქნეს მიჩნეული ძირი, ფუძე, აფიქსი. ხოლო ფონოლოგიურად – მარცვალი. ძირის რედუპლიკაცია და სუფიქსაცია მორფოლოგიური ხერხებია, ძირში ან მარცვალში მომხდარი ფონოლოგიური ცვლილებები კი რედუპლიცირების ფონოლოგიური გზაა.

### ა. ძირის რედუპლიკაცია

ქართველურ ენებში ძირის სტრუქტურის გათვალისწინებით არსებითად რედუპლიკაციის ორი ჯგუფის გამოყოფა არის შესაძლებელი:

1. (CVC)<sup>2</sup> – ტიპი
2. (CV)<sup>2</sup> – ტიპი

ორივე შემთხვევაში თანხმოვანთა სიგრძე შეიძლება გაიზარდოს როგორც ძირის ანლაუტში, ისე აუსლაუტში:  $(C_n V C_n)^2$ ,  $(C_n V)^2$

თუ რედუპლიცირებით მიღებულ უუძები მომხდარ ფონოლოგიურ ცვლილებებს გავითვალისწინებთ, მაშინ კლასიფიკაცია შესაძლებელია ამ ნიშნის მიხედვითაც:

1. უუძეცვლილი (არაიდენტურხმოვნიანი, არაიდენტურთანხმოვნ(ებ)იანი ძირები);
2. უუძეუცვლელი (იდენტურხმოვნიანი, იდენტურთანხმოვნ(ებ)იანი ძირები).

<sup>8</sup> „ძირითადად ხმაბაძვითი სიტყვების საწარმოებლად გამოიყენება“ (ნებიერიძე 1999: 236); „ბევრი არახლეჩადი რედუპლიკატი წარმოადგენს ხმაბაძვით ფორმას“ (დათუკიშვილი 1990:11).

## **ბ. მარცვლის რედუქტიური**

ძირის სტრუქტურასთან პირდაპირ კავშირშია მარცვლის სტრუქტურის საკითხიც. ქართველურ ენებში მარცვლის სტრუქტურას ბგერწერითი ღირებულება უნდა მიენიჭოს (ღია და დახურული მარცვლების დაპირისპირებას). გვაქვს ორი ტიპი მარცვლისა:

1. ღია მარცვლის გაორკეცება – (CV)<sup>2</sup>;
2. დახურული მარცვლის გაორკეცება – (CVC)<sup>2</sup>.

თანხმოვნობა სიგრძის გაზრდის შესაძლებლობა ეხება მარცვლის სტრუქტურასაც.

ღია მარცვლის გამეორება იძლევა გაგრძელებული, უწყვეტი ბგერისა და მოქმედების ეფექტს: სისინი, ზიზინი, წიწინი, ღიღინი...; დახურული მარცვლის გამეორება იძლევა მრავალგზისობის, განმეორებული მოქმედების ეფექტს: წიწწავი, ჯაგავი, ძიგძივი...

## **გ. აფიქსაცია**

1. სუფიქსაცია (CV) / (CV)<sup>2</sup> + CV<sub>SUF</sub>-; (CVC) / (CVC)<sup>2</sup> + VC<sub>SUF</sub>-
2. ინფიქსაცია (CVC)+V+(CVC)-<sup>9</sup>

მაშასადამე, ფონოსემანტიკური ფუძეები ქართულში ნაწაროებია „ერთი და იმავე (ა-ხმოვნიანი) ძირებისაგან სუფიქსაციისა და რედუქტიკაციის განსხვავებულ საშუალებათა გამოყენებით:

ტყაპ-უნ-ი ტყაპ-ტყაპ-ი ტყაპ-ა-ტყუპ-ი  
ლაწ-უნ-ი ლაწ-ან-ი ლაწ-ლაწ-ი ლაწ-ა-ლუწ-ი  
რახ-უნ-ი რახვ-ან-ი რახ-რახ-ი რახ-ა-რუხ-ი...“ (ქობალავა 1980:67)

## **2. „მაერთხმოვნიანი“ ანუ ინტერვოკალური რედუქტიკაცია**

ჩვენი ანალიზის ობიექტს წარმოადგენს რედუქლიცირებული ფონოსემანტიკური სტრუქტურის ერთი ტიპი – „მაერთხმოვნიანი“ რედუქტიკაცია, რომლის შესახებაც ქართულ ლინგვისტიკაში განსხვავებული მოსაზრებები არსებობს.

„მაერთებელ ხმოვნიანი“ სტრუქტურა (შესაბამისად, ცნებაც<sup>10</sup>) ქართულისათვის ცალკე ტიპად გამოყოფილია. ფონემატური სტრუქტურით გან-

<sup>9</sup> სუფიქსაციის ზოგადი, უნივერსალური წესიდან გამომდინარე, „სიტყვის სტრუქტურა თანხმობაშია ძირისა და მარცვლის სტრუქტურასთან. ძირისა და სიტყვის სტრუქტურათა ურთიერთკავშირსა და ერთი კანონზომიერებით შეპირობებულობას მოწმობს ის, რომ თუ ენაში ძირის კანონიკურ ფორმას ღია მარცვალი (CV) წარმოადგენს, მაშინ აფიქსისაც ასეთივე ფორმა აქვთ და შედეგობრივი ფორმა-სიტყვა კვლავ ღია მარცვალთა შეერთების სახეს იღებს: CV-CV..., ხოლო თუ ენაში ძირის კანონიკურ ფორმას დახურული მარცვალი წარმოადგენს (CVC), მაშინ სუფიქსური მორფების ფორმაც დახურული მარცვალია (-VC) და შედეგობრივი ფორმა-სიტყვაც დახურულ სტრუქტურას წარმოადგენს: CVC-VC... (მელიქიშვილი 1980:59).

<sup>10</sup> „მაერთხმოვნიანი“ (სანიკიძე 1976:36).

სხვავებულ ოთხ ტიპში (ბაგაბუგ-, ჩხარაჩხურ-, თხლაშათხლუშ-, რაწკარუწვ-) „ფუძეები ძირების გაორკეცების შედეგად არის მიღებული; ფუძის პირველ მარცვალში ა ხმოვანი გვაქვს, ბოლო მარცვალში უ მარტივ ძირების ერთმანეთთან აკავშირებს მარტობელი ხმოვანი ა და ი, უფრო ხშირად ა. დასტურდება მარტობელი ხმოვნის მიხედვით ფუძეთა პარალელური ვარიანტები“ (ერთელიშვილი 1970:78). აღნიშნული თვალსაზრისი გაზიარებულია შემდგომი პერიოდის ნაშრომებშიც (სანიკიძე 1976:36; ქობალავა 1980:67).

უ. ერთელიშვილის მიერ განხილული ოთხივე ტიპის ძირის სტრუქტურა დაიყვანება მარტივ CVC სტრუქტურაზე და ყველა შემთხვევა შეიძლება გაანალიზდეს როგორც მარტივი ძირის ან უფრო რთული ფონემატური სტრუქტურის მქონე C<sub>n</sub>VC<sub>n</sub> ძირის გაორკეცებად ა და ი ხმოვანთა ჩართვით; აღნიშნულ ხმოვნებს, ფაქტობრივად, აქვთ ინტერფონების ფუნქცია:

CVC-V-CVC

C<sub>n</sub>VC<sub>n</sub>-V-C<sub>n</sub>VC<sub>n</sub>

ამ ტიპის რედუქტივაციის ყველა შემთხვევა გულისხმობს კონსონანტური

C<sub>1</sub>V<sub>1</sub>C<sup>2</sup>-V-C<sub>1</sub>V<sup>2</sup>C<sup>2</sup>:

მიმდევრობის აბსოლუტურ განმეორებას ძირის სტრუქტურაში ა/უ ხმოვანთა ალტერნაციით:

ა-[ ა ]-უ	ა-[ ი ]-უ
ტაკ-ა-ტუკ-	ტაკ-ი-ტუკ-
ჭახ-ა-ჭუხ-	ჭახ-ი-ჭუხ-
ჩახ-ა-ჩუხ-	-----

ბაგაბუკი, ბაგაბუკი, ბაფაბუკი, ზაპაზუპი, კაპაპუპი, კაპაპუპი, ლაწალუწი, პაკაპუკი, უაპაუპი, რაპარუკი, რახარუხი, ფაჩაფუხი, ღაჭაჭუჭი, ჭახაჭუხი, ჯახაჭუხი... უფრო რთული კონსონანტური სტრუქტურით: ბრაგაბრუკი, ჩხარაჩხური, თქარათქური, წკაპაწკუპი, უდარაუღური, სხაპასხუპი, პრაკაპრუკი, ბათქაბუთქი, რაწკარუწი, პარტყაპურტყი... ზოგიერთი ფუძე ა-ს ნაცვლად ი-ხმოვანს ჩაირთვას: ბათქიბუთქი, ბაკიბუკი, ბრავიბრუკი, პაკიბუკი, პარტყიპურტყი, სხაპისხუპი, ტკაციტკუკი, ტყართხიფუკი, ფაჩიფუხი, წკაპიწკუპი, ჭახიჭუჭი, ჯახიჭუჭი, ჯახიჭუჭი... სტატისტიკით ამგვარი გაორკეცების 120-მდე ფუძე არსებობს ქართულში, მათი აბსოლუტური უმრავლესობა ხმაბაძითია (ერთელიშვილი 1970:78).

საპირისპირო თვალსაზრისით, „მაერთ-ხმოვნიანი კომპოზიცია ქართულში საერთოდ არ არსებობს“ (დათუკიშვილი 1990:44). ქ. დათუკიშვილი რედუქტივაციის ამ სახეობას რახა-რუხ-თ ტიპს უწოდებს და მის მიერ შერჩეული საკლასიფიკაციით ნიშნით განიხილავს „ხლეჩადთა“ რიგში საპირისპიროდ რახ-რახ-ტიპისა, რომელიც „არახლეჩადთა“; ანუ საანალიზო მოდელს ისეთ სტრუქტურად მიიჩნევს, რომლის შემადგენელ კომპონენტებს (resp. ფუძეებს) შორის „და“ კავშირის ჩასმა შესაძლებელია (დათუკიშვილი 1990:42). ამ თვალსაზრისით საქმე

გვაქვს არა ძირის, არამედ ფუძის რედუპლიკაციასთან. აქედან გამომდინარეობს, რომ ლექსიკური მნიშვნელობა უკავშირდება არა უკვე რედუპლიცირებულ ფუძეს, არამედ თავად რედუპლიკატებს; შესაბამისად, რედუპლიცირებული ფუძის პირველი კომპონენტის შემადგენლად ითვლება, ერთ შემთხვევაში, -ა- (ტკაცა-, ბათქა-, რახა), ხოლო მეორე შემთხვევაში – -ო ხმოვანი (ტკაცა-, ბათქა-, რახო-); ამიტომაც სეგმენტირების შემთავაზებული ვარიანტია: ტკაცა-ტუკ-, ტკაცა-ტუკ-; ბათქა-ბუთქ-, ბათქა-ბუთქ-; რახა-რუხ-, რახი-რუხ-... არგუმენტი ენის დიაქრონიულ ანალიზს ეყრდნობა: ისტორიულად „ხმის გამოშატველ მარცვლებს დაერთო სიტყვამაწარმოებელი სუფიქსი -ა და მივიღეთ ხმის აღმნიშვნელი სახელები: ლაწ- > \*ლაწ-ა, ბრახ- > \*ბრახ-ა, ტკაც- > \*ტკაცა, რომლებიც შემდგომ გაორკეც-და“... ამასთან, „ფუძის გაორკეცება და ხმოვანმონაცვლეობა ერთდროულად უნდა მომხდარიყო“ (დათუკიშვილი 1990:42). მაშასადამე, ინტერპოზიციური „-ა წარმოქმნის ელემენტია და არა კომპოზიციის მაერთი ხმოვანი“ (დათუკიშვილი 1990:44). ანალოგიური თვალსაზრისია გამოთქმული /ი/ ხმოვნის მიმართაც, ისიც წარმოქმნის ელემენტად არის ჩათვლილი, წარმოშობით – სახელობითი ბრუნვის ნიშნად (დათუკიშვილი 1990: 44). ამ დებულების მიხედვით ფუძის გაორკეცებით მიღებული კომპოზიტის შემადგენელი კომპონენტები შემდეგ სახეს იღებს: ხმოვანფუძიანი+თანხმოვანფუძიანი სახელი.

### 3. ქართველურ ენათა მონაცემების შედარებითი ანალიზი

სამეცნიერო ლიტერატურაში წარმოდგენილი მსჯელობის კვალდაკვალ შესაძლებელია საანალიზო ტიპის ფუძეთა სხვადასხვაგვარი სეგმენტირება და კვალიფიცირება:

	ი-ხმოვნიანი ვარიანტი	ა-ხმოვნიანი ვარიანტი
(1)	ბათქ-ი-ბუთქ-ი ბათქ-NOM.SG.-ბუთქ -NOM.SG	ბათქ-ა-ბუთქ-ი ბათქ-DERSUF-ბათქ -NOM.SG
(2)	ბათქ-ი-ბუთქ-ი ბათქ-V-ბუთქ-NOM.SG [V= „მაერთი ხმოვანი“]	ბათქ-ა-ბუთქ-ი ბათქ-V-ბუთქ-NOM.SG [V = „მაერთი ხმოვანი“]
(3)	ბათქი-ბუთქ-ი ბათქი-ბუთქ-NOM.SG	ბათქა-ბუთქ-ი ბათქა-ბუთქ-NOM.SG

რა შეიძლება ჩაითვალოს რედუპლიკანტად: ფუძე თუ ძირი? ამ საკითხის გარკვევას უკავშირდება ზოგადად მაერთი ხმოვნის ანუ ინტერფონების არსებობა; იგი მხოლოდ იმ შემთხვევაში დაჩნდება, თუკი რედუპლიცირებული სეგმენტი არის ძირი.

როგორია ვითარება სხვა ქართველური ენებში; თუკი საერთოდ დასტურდება სვანურში, მეგრულსა და ლაზურში მსგავსი მოდელები, რას იძლევა მათი შედარება როგორც სტუქტურული, ისე სემანტიკური თვალსაზრისით; ქმნიან თუ არა ისინი სისტემებს ქართული ენის მონაცემთა მსგავსად.

### 3.1. სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი

საანალიზო მოდელი წარმოადგენს ხმოვანმონაცვლე ანუ არაიდენტურხმოვნიანი რედუქტულიკაციის ტიპს. ქართულში ერთმანეთს უპირისიპირდება ძირისეული ა და უ ხმოვნები, აღნიშნული მონაცვლეობა ამ ენაში ძალზე ინტენსიურად არის გამოყენებული, ფაქტობრივად, ქმნის მთელ სისტემას მაშინ, როცა მეგრულისათვის ორიოდე მაგალითი მოჰყავს ვ. ოთფურიას: კირუ-კარუ „სალოცავი ნამცხვარი“, ზიკუ-ზაკუ „საქანელა“ (თოფურია 1979:118); ამ ჩამონათვალს მოგვიანებით დაემატა რამდენიმე მაგალითი: ჩიმუ-უ-ჩამუ „ჩამიჩუმი“, ფიჩუ-ფაჩუ „უგერგილო“, სხიუ-სხაუ „წვრილ-წვრილი“, ბირდლუ-ბარდლუ „ბავშვის მოფერება“ (resp. ბარდლუნა), ტირუ-ტარუ „ჭორიკნობა“, პინტი-პანტუ//პიტი-პატუ „ყოველგვარი წვრილმანი“, ღიუ-ღაუ//ღივ-ღავი //ღიმ-ღამი „რიურაუ“, ტირკუნ-ტარკუნი „ტლიკინი“, იწი-აწა „მოწიწებით“, ჭკიბ-ჭკაბი „ხმაურით ჭამა“, ძივ-ძავი „უშნოდ სიარული“ (არონია 2010:42), ფართი-ფურთი „ფაფხური, ფაციფუცი“, ხიპუჭხაბუჭი, იგივე ხირუ-ხარუ „წვრილმანი, უბრალო რამის გროვა“ (შდრ. ხარა-ხურა), ტკიბურ-ტკაპური,<sup>11</sup> ხიჩუ-ხაჩუ „ნაყარ-ნუყარი“ (ქირია და სხვ. 2015:225).

სპეციალურ ლიტერატურაში რამდენიმე მაგალითი სახელდება ასევე ლაზურისათვის: ჭაკა-ჭუკა „ჭრელაჭრულა“ (შდრ. თანდილავა 2013:857: ჭაკაჭუკა „ჭრელი, ჯაჭვა, ჯაჭვედა“) კრანჯ-კრუნუ „საცეხველის ხმის მიბაძვა“, ბრიწუ-ბრაწუ „ბრიწუ-ბრაწუ“ (resp. ფხრეწის ხმა), ყვილი-ყვალა „ძვალი“, ქჩინი-ქჩანი „ბებერ-ბებერი“, მჭიფე-მჭუფე „წვრილმანი“ (არონია 2010:44); აღნიშნული რიგი შეიძლება გაიზარდოს მაგალითებით ალი თანდილავს ამ ბოლო დროს გამოცემული „ლაზურის ლექსიკონიდან“ (2013): ბაგაბუვა „ბაგაბუვი“ (გვ. 46), ბარაბურა „კარტოფილი“ (გვ. 51), ღალაღულა „არეული, მოუწესრიგებელი“ (გვ. 808), ღაჭაღუჭუ „ერთხმად, ერთდროულად ყველას ლაპარაკი“ (გვ. 809), წაკარაწუურუ „რაც ხელში მოგხვდება ყველაფერი“ (გვ. 850), ხვიტი-ხვატა „ნაირნაირი, ჭრელჭრელი“ (გვ. 882).

უფრო გავრცელებული ჩანს რედუქტულიკაციის ეს ტიპი სვანურში: ტყივი-ტყავა „ბლაფუნი“, ბითქი-ბეთქა (ზს.) „ბათქაბუთქა“, ბიჭკურ-ბეჭკურა (ზს.) „სკდომა-ხეთქვა“, პილტი-პალტა (ჩოლ.) „უაზრო ლაპარაკი ბავშვის ან ლილი ასაქის გამხდარი ქალის“, შეტიფი-შეტაფა (ზს., ქს.) „ჯოხის დარტყმის ხმა“, რიყი-რყა (ბზ.), რიყი-რყა (ბქ.) „რახარუხი“, ჭიფხი-ჭაფხა (ჩოლ.) „პოხტად ჩაცმული ფეხებით სიარული, ხმის გამოცემით“... ლაშხური და ჩოლურული თქმებისათვის დამახასითებელი ფორმები: ბილი-ბულუ (ჩოლ.) „ლუღლღული, უაზრო საუბარი არმცოლნე ადამიანის“, ბირ-ი-ბურ-უ (ჩოლ.) „კრეტინის ლაპარაკი“, პიწი-პუწი (ჩოლ.) „უაზრო, ჩქარი, გაუთავებელი ლაპარაკი“, პიწი-პუწი (ჩოლ.) „განებივრებული გოგოს ხმაშეცვლილი, წვრილი ლაპარაკი“, ფირფი-ფურფუ (ჩოლ.) „უკბილოს ლაპარაკი, ენაჩლიფინას ლაპა-

<sup>11</sup> „ტიტყნა“.

რაკი“, ფიჩი-ფუჩუ (ლშხ., ჩოლ.) „ჩურჩული“, ფიცქი-ფუცქუ (ჩოლ.) „განებივ-რებული გოგო“<sup>12</sup>

სამეცნიერო ლიტერატურაში დადასტურებული ქართველურ ენების მონაცემთა ზედაპირული შედარებით ვიღებთ შემდეგ სურათს:

ქართ.	ა-უ	ა-ა-უ-*ი	ბათქა-ბუთქი	კნაწა-კნუწი	რახა-რუხი	ჩახა-ჩუხი	ჭახა-ჭუხი
		ა-ი-უ-*ი	ბათქი-ბუთქი	კნაწი-კნუწი,	-----	-----	ჭახი-ჭუხი
მეგრ.	ი-ა	ი-უ-ა-უ	ზიკუ-ზაკუ	კირუ-კარუ	ტირუ-ტარუ	პიტ[უ]-პატუ	ფიჩუ-ფაჩუ
ლაზ.	ა-უ	ა-ა-უ-ა	ჭაკა-ჭუკა	კრანქ-კრუნქ			
	ი-ა	ი-უ-ა-უ	ბრიწუ-ბრაწუ				
სვან.	ი-ა	ი-ი-ა/ჸ-ა	ბითქი-ბათქა	რიყი-რყყა	ჭიფხი-ჭაფხა	ტყიგი-ტყაგა	პილტი-პალტა
	ი-უ	ი-ი-უ-უ	ბირი-ბურუ	პირი-პურუ	პიწი-პუწუ	ყირი-ყურუ	ფიჩი-ფუჩუ

ცხრილიდან ჩანს, რომ ქართველურ ენებში რედუპლიცირებულ ფუძეებში ხმოვნური კონტრასტი ერთგვაროვანი არ არის; ასეთი შემთხვევისთვის ისმის კითხვა: საერთოდ რამდენად არის შესაძლებელი, რომ ქართველურ ენათა ეს მონაცემები ერთ პარადიგმაში განვიხილოთ?

რამდენად იდენტურია სტრუქტურულ-სემანტიკური თვალსაზრისით მეგრულისა და ლაზურის თუნდაც ძალზე მწირი მასალა ქართულ და სვანურ ენებში დადასტურებული მოდელებისა.

მეგრულში ორივე რედუპლიკატი და თავისთვალ რედუპლიცირებული ფუძეც ბოლოვდება უ-ზე. საგულისხმოა, რომ ხშირ შემთხვევაში იკვეცება როგორც პირველი, ისე მეორე სეგმენტის უ, რაც მეგრულისათვის დამახასიათებელი **ი** და **უ** ხმოვანთა დავიწროების წესით უნდა აისხნას: **ა/უ >გ>ი:** ჩიმ-ჩამუ < ჩიმუ-ჩა-მუ, პიტ-პატუ < პიტუ-პატუ, ტირ-ტარუ < ტირუ-ტარუ... (კარტოზია და სხვ. 2010:480). სრული ანუ უ-ხმოვნიანი ფორმები სემანტიკურად ასახავენ ორი დასრულებული მოქმედების ზედიზედ განმეორებას მოძრაობის მიმართულების ცვლით, ანუ თითოეული რედუპლიკატი შეიცავს ფინიტურობის გაგებას, მაშინ როცა **უ**-ს გარეშე, ნეიტრალური ხმოვნით ან ნულით წარმოდგენილი ფორმებს იგივე მნიშვნელობა ენიჭებათ რედუპლიცირებული ფუძის ბოლოს: ჩიმ-ჩამ (**უ/გ/ი**), პიტ-პატ (**უ/გ/ი**), ტირ-ტარ (**უ/გ/ი**)...

<sup>12</sup> სვანური ენის მასალა აღებულია ზემოხსენებული პროექტის ფარგლებში მ. სალლიანის მიერ განხორციელებული კვლევიდან.

მეგრულის ეს კონკრეტული შემთხვევა ანალოგიურია სხვა ქართველურ ენებში დადასტურებული ასევე არაიდენტურ ხმოვნიანი რედუქციის ტიპისა, მხოლოდ ინტერფიქსური ხმოვნის გარეშე. შდრ..

**სვანური** (ლაშტური და ჩოლურული):

**ბირი-ბურუ** (ჩოლ.) – „კრეტინის ლაპარაკი“;

**პირი-ცურუ // კირი-ცურუ** (ჩოლ.) – „უაზრო, ჩქარი, გაუთვებელი ლაპარაკი“;

**პიწი-ცურუ** (ჩოლ.) – „განებივრებული გოგოს ხმაშეცვლილი, წვრილი ლაპარაკი“;

**ფირფი-ფურფუ** (ჩოლ.) – „უბილოს ლაპარაკი, ენაჩლიფინას ლაპარაკი“;

**ფიჩი-ფუჩი** (ლშბ., ჩოლ.) – „ჩურჩული“;

**ფიცქი-ფუცქი** (ჩოლ.) – „განებივრებული გოგო“...

**ქართული:**

**ფანცი-ფუნცი<sup>13</sup>** – „კაბაგუბა, ჩასაცმელები“ (ქეგლ). შდრ. ფანცი „ფარჩა – ერთგვარი ძვირფასი აბრეშუმის ქსოვილი“;

**ფერი-ფური** „ფერი“ (ქეგლ);

**კაბა-ჯუბა** „კაბები, ქალის ტანსაცმელი საერთოდ“ (ქეგლ);

**წაღა-წუღა** „დაბალყელიანი წაღა“ (ქეგლ);

**ხარა-ხურა** – „ძველი, გამოუსადეგარი ნივთები; ნაყარ-ნუყარი“ (ქეგლ);

**ფარჩა-ფურჩა** – „ნაირნაირი ფარჩა; ფარჩეული“ (ქეგლ)

**ჭრელა-ჭრულა** – „იგივეა, რაც ჭრელ-ჭრელი“. ჭრელ-ჭრული „მრავალი ჭრელი; სხვადასხვა ფერისა, ნაირფერი“ (ქეგლ).

**ჭრა-ჭრა** „ჭიები, ჭიალუა“ (ქეგლ).

**ლაზური:**

**ბრიწუ-ბრაწუ** – „ფხრეწა“;

**ღაჭა-ღუჭა** – „ერთხმად, ერთდროულად ყველას ლაპარაკი“;

**წაკარა-წუკარუ** „რაც ხელში მოგხვდება ყველაფერი“;

**ყვილი-ყვალა** – „ძვალი“;

**ხვიტი-ხვატა** – „რაც ხელში მოგხვდება ყველაფერი“;

**ქჩინი-ქჩანი** – „ბებერ-ბებერი“;

**მჭიფე-მჭუფე** – „წვრილმანი“;

**ღაღლა-ღუღლა** – „არეული, მოუწესრიგებელი“;

**ჭაჭა-ჭუჭა** – „ჭრელი, ჯაჭვა, ჯაჭვედა“;

**ბარა-ბურა** – „გარტოფილი“.

ლაზურის მაგალითებიც არასისტემურობას ავლენენ. ზემოთ ჩამოთვლილთა-გან მხოლოდ პირველი სამის განხილვა არის შესაძლებელი ფონოსემანტიკურ

<sup>13</sup> ანალოგიური წარმოებისთვის შდრ. მეგრ. პინტი-პანტუ „ყოველდღიური წვრილმანი“, პინტი „უვარგისი ნაჭერი“ (კარტოზია და სხვ. 2010:460)

ფუძედ: ბრიწუ-ბრაწუ, ღაჭა-ღუჭუ (შდრ. მეგრ. ღა/იუჭი: იღაუჭუნა იმავე მნიშვნელობით), წაკარა-წუკურუ.<sup>14</sup>

მეგრულისა და სვანურის მაგალითები ხმოვნის ალტერნაციით მიღებული ხმა-ბაძვითი მნიშვნელობის მქონე **უ-ხმოვნიან** ფუძეთა სრული რედუპლიკაციის ნიმუშებია; ღაზურის ერთადერთი მაგალითიც (ბრიწუ-ბრაწუ) ამავე პარალიგმაში თავსდება,<sup>15</sup> დანარჩენი კი ბგერწერით მოდელებს არ წარმოადგენს, არამედ დუბლირებულ არამოტივირებულ ფუძეებს. ანალოგიური ვითარებაა ქართულის პარალიგმაშიც: აქ წარმოადგენილია როგორც არსებითი, ისე ზედსართავი სახელები, რომლებიც არ განეკუთვნებიან ფონოსემანტიკური ლექსიკის ტიპს. აუსლაუტის ხმოვნებიც განსხვავებულია: ინტერპოზიციაში **ი** და **უ** ხმოვნების გამოყოფა შეუძლებელია: **ა** ფუძისეულია, **ი** – სახელობითის ნიშანი. აქედან გამომდინარე, მეგრულის ზემოთ მოხმობილ მაგალითებში ინტერპოზიციურ **უ/გ** – ხმოვანს ვერ მივიჩნივთ ქართული **ა-სა** და **ი-ს** ან სვანური **ი-ს** ფუნქციურ ფარდად – მაერთ ხმოვნად.<sup>16</sup>

მაშასადამე, ინტერვოკალურ რედუპლიკაციაზე საუბარი შეიძლება მხოლოდ ორ ქართველურ ენაში: **ქართულსა და სვანურში.**

ქართულში ორი ტიპის მოდელი გვაქვს. ფუძისეული ხმოვნები ერთგვარი რჩება ძირის რედუპლიკაციის ორივე შემთხვევაში, განსხვავება ინფიქსურ ხმოვნშია, თუმცა ფუნქციურ-სემანტიკური სხვაობა -**ა** და -**ი-**ინტერფონიკისან ფუძეებს შორის რთული ასახსნელია:

ქართ.	ა-უ	ა-ა-უ-*	ბათქ-ა-ბუთქ-	კნაწ-ა-კნუწ-	ტკაც-ა-ტკუც	ჭახ-ა-ჭუხ-
		ა-ი-უ-*	ბათქ-ი-ბუთქ-	კნაწ-ი-კნუწ-	ტკაცი-ტკუც	ჭახ-ი-ჭუხ-

ინტერფონიქსური რედუპლიცირებული მოდელების ანალიზისას იკვეთება რამდენიმე მნიშვნელოვანი თავისებურება:

1. ინტერპოზიციაში **ა-ხმოვნიან** ყველა ფუძეს პარალელური **ი-ხმოვნიანი** გარიანტი არა აქვს (იხ. ცხრილი), ამ უკანასკნელთა რაოდენობა გაცილებით ნაკლებია.

<sup>14</sup> ამ შემთხვევაში დასაშვებია საუბარი არა მაერთ ხმოვნებზე, არამედ **სინპარმონიზმის** პრინციპზე რედუპლიკაციის დროს; აღნიშნული ენობრივი ფაქტის დადასტურებაა ამ ტიპის მაგალითები სვანურში.

<sup>15</sup> ღაზ. რიწელი/ბრიწე/ბრაწელი „დაფხრეწილი“ (თანდილავა 2013:67); ობრიწე „ხევა, ფხრეწა“; ობრიწაფუ „მოხევა, მოწყვეტა, მოცილება, ჩამოშორება“ (ივივე, გვ. 592).

<sup>16</sup> მეგრულში ეს არის ბოლოკიდური პოზიცია, რომელიც არასტაბილურია: **ი/უ-გ>მ**: ტირ-ტარ, ჩიმ-ჩამ. ქართულისა და მეგრულის მონაცემთა სხვადასხვაგვარობას ამტკიცებს მეგრულში არასტაბილური ინტერპოზიციისა და ბოლოკიდური პოზიციის გამომსატველი მაგალითი: **ღიუ-ღარუ//ღივ-ღავი//ღიმ-ღამი „რიურაჟი“; რედუპლიკაციის რიგის შეცვლაც პოზიციურ არამდგრადობაზე მიანიშნებს, რაც, ზოგადად, ქართულის მონაცემებს არ ახასიათებთ: ტარუ-ტირუ (კარტოზია და სხვ. 2010:460).**

2. აღნიშნულ ფუძეებს არა აქვთ ვარიანტები სტრუქტურაში იდენტური ხმოვნებით: \*რახარახ-, \*ლაწალაწ-, \*ბათქაბათქ-<sup>17</sup>...
3. აღნიშნულ ფუძეებს საერთოდ არა აქვთ პარალელური ხმოვნინაცვლე ვარიანტები ინტერფიქსური ხმოვნის გარეშე: \*ბაგ-ბუგ-, \*ტკაც-ტკაც-, \*ბათქ-ბუთქ-...
4. უგამონაკლისოდ ყველა ფუძეს არა აქვს პარალელური ფორმები სტრუქტურაში იდენტური ხმოვნებით ინტერფიქსური ხმოვნის გარეშე, დასაშვებია: ბაგ-ბაგ-, ბაგ-რაკ-, რახ-რახ, კაპ-კაპ-, ჭახ-ჭახ-, ჩქაფ-ჩქაფ-, ლაწ-ლაწ-, თქარ-თქარ-, ჯახ-ჯახ-; დაუშვებელია: \*ბათქ-ბათქ-, \*კნატ-კნატ-, \*ტკაც-ტკაც-, \*ღრაჭ-ღრაჭ-, \*თხლაშ-თხლაშ, \*ფხაკ-ფხაკ-, \*პაკ-პაკ, \*სხაპ-სხაპ-, \*წკლაპ-წკლაპ-, \*ჩხარ-ჩხარ-, \*ჭრაჭ-ჭრაჭ-...
5. ფუძეთა უმრავლესობას აქვს პარალელური ვარიანტები „შიშველი“ ანუ გრამატიკულად გაუფორმებელი ფუძის სახით: ბათქ-, ლაწ-, ჩხაკ-, ტკაც-, ბახ-, რახ-...
6. მხოლოდ პირველი, ა-ხმოვნიანი რედუქციკატი, დართავს -უნ ან -ან სუფიქსს, როცა უხმოვნიანი, რიგით მეორე, რედუქციკატი არასოდეს ირთავს მათ (იხ. ცხრილი):

ქართ.	ა-უ	ა-ა-უ-*ი:	ბათქ-ა-ბუთქ-	ნაწ-ა-კნუწ-	ტკაც-ა-ტკაც-	ჭახ-ა-ჭუხ
	ა-ი-უ-*ი:	ბათქ-ი-ბუთქ-	კნაწ-ი-კნუწ-	ტკაც-ი-ტკაც-	ჭახ-ი-ჭუხ-	
	ა-უ ა-ა	----- -----	----- -----	ტკაც-ტკაც ტკაც-ტკაც	ჭახ-ჭუხ ჭახ-ჭახ	
ა	-უნ/-ან	ბათქ-უნ/-ან-	კნაწ-უნ-	ტკაც-უნ/-ან-	ჭახ-უნ/-ან-	

7. CVC-V-CVC ტიპის ფუძეებისაგან ზმნის პირიანი ფორმები არ იწარმოება (ქობალავა 1980, 71)<sup>18</sup> (დაუშვებელია: \*რახარუხობს, \*არახარუხებს); ისინი არ წარმოადგენებ „პირველად მასდარებს“ (ჩიქობავა 1942:218-219), არამედ ამა თუ იმ ხმების გამოშხატველი აბსტრაქტულ სახელებს (დათუკიშვილი 1990:42), რომელთაგან ზმნური ფორმები არ იწარმოება.<sup>19</sup>

<sup>17</sup> აღნიშნულ ფაქტზე დაყრდნობით გამოოქმედია ვარაუდი, რომ საანადიზო ფორმებში ფუძის გაორკეცება და ხმოვნინაცვლეობა ერთდროულად უნდა მომხდარიყო (დათუკიშვილი 1990: 42).

<sup>18</sup> ზმნურ ფორმას ზოგადად ვერ აწარმოებენ ფუძემონაცვლე რედუქციიცირებული სახელები, მაგრამ ზოგჯერ მაინც თუ გახვდება მსგავსი წარმოება, ნაირფეროვნების სემანტიკა რამდენადმე იჩრდილება: ბაქიბუქობს (=ტრაბახობს), ფაცაფუცობს (=აჩქარებით საქმიანობს) (ქობალავა 1980:71 ს.ქ.).

<sup>19</sup> ჩვეულებრივ, მასდარი იწარმოება ზმნისგან: გრიალებს – გრიალი, კისკისებს – კისკისი... თუმცა ზმნური ფორმებისთვის ამოსავალი თავად ბგერწერითი შინაარსის მქონე ლექსიკური ერთეულებია. ამ შემთხვევაში „თვით ზმნა ჩანს მასდარისაგან ნაწარმოები... და ეს წდება იმიტომ, რომ ამ პირველადს სახელებს უკვე აქვთ ის მნიშვნელობა, რომელთა გამოსახატავადაც მასდარი იწარმოება... მსგავსი სახელები მდგომარეობა-

წარმოების თვალსაზრისით პროდუქტიულია რედუქტულიცირებული ფუძის პირგელი კომპონენტი, სწორედ ის არის წარმოდგენილი სხვადასხვა მორფოსტრუქტურული მოდელით: შიშველი ფუძით, სადერივაციო ან ფლექსიური სუფიქსით.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საანალიზო მოდელებში ინტერპოზიციური ა დააქრონიულად წარმოქმნის ელემენტად მიიჩნევა, ხოლო **ი** – ფლექსიურ სუფიქსად, ბრუნვის ნიშნად (დათუკიშვილი 1990:44); თითქოს ლოგიკური ჩანს თვალსაზრისი, რომ რედუქტულიკატები ერთ დროს ერთგვაროვანი და ერთჯერადი მოქმედების აღმნიშვნელი დამოუკიდებელი ფუძეები ყოფილიყო: \*ტკაცა, \*ბათქა, \*ლაწა... და მას ახალი სემანტიკა ჰქონდა თუნდაც „შიშველი“<sup>20</sup> ფუძეებისგან განსხვავებით, მაგრამ ენის განვითარების სინქრონიულ დონეზე ძალზე იშვიათია როგორც მარტივი **ა**,<sup>21</sup> ისე ი-სუფიქსიანი ფუძეები;<sup>22</sup> მათი სრულ პარადიგმად პოსტულირება მხოლოდ თეორიულად არის დასაშვები, მაშინ როცა „შიშველი“ ფუძეები ისევ რეალიზებულია; ამავე დროს, საკმაოდ პროდუქტიულია მარტივი ძირისგან სუფიქსაციოთ მიღებული ოდენობებიც, რომელთაც უსუფიქსო პარადიგმისგან, წარმოების გარდა, განარჩევს სემანტიკა:

ბათქ-	ბათქ-ი <sup>23</sup>	ბათქ-უნ-ი	ბათქ-ან-ი
ტკაც-	*ტკაც-ი	ტკაც-უნ-ი	ტკაც-ან-ი
წკაპ-	*წკაპ-ი	წკაპ-უნ-ი	წკაპ-ან-ი
ჭყაპ-	*ჭყაპ-ი <sup>24</sup>	ჭყაპ-უნ-ი	*ჭყაპ-ან-ი
თხლაშ-	*თხლაშ-ი	თხლაშ-უნ-ი	თხლაშ-ან-ი
ბრახ-	*ბრახ-ი	ბრახ-უნ-ი	ბრახ[ვ]-ან-ი
ღრაჭ-	*ღრაჭ-ი	ღრაჭ-უნ-ი	*ღრაჭ-ან-ი
ტლაშ-	*ტლაშ-ი	ტლაშ-უნ-ი	*ტლაშ-ან-ი
ტყლაშ-	*ტყლაშ-ი	ტყლაშ-უნ-ი	ტყლაშ-ან-ი
რახ-	*რახ-ი	რახ-უნ-ი	რახ[ვ]-ან-ი
ტყაპ-	*ტყაპ-ი	ტყაპ-უნ-ი	ტყაპ-ან-ი
ლაწ-	*ლაწ-ი	ლაწ-უნ-ი	ტყაპ-ან-ი

მოქმედების აღმნიშვნელი პირველი სახელებია ანუ პირველადი მასდარებია“ (ჩიქობავა 1942:218-219). ისინი არ წარმოადგენ ნაზმარ სახელებს, არამედ „პირველად სახელებს“ || „პირველად მასდარებს“; მათგან იწარმოება თავად ზმანა, ხოლო ზმინსგან ნაწარმოები მასდარი პირველადი სახელის ომოფორმაა: გრიალი (პირველადი მასდარი) – გრიალებს (ზმა) – გრიალი (მასდარი) (ჩიქობავა 1942:218-219).

<sup>20</sup> გრამატიკულად გაუფორმებელი ანუ ძირის სტრუქტურით წარმოდგენილი.

<sup>21</sup> ა/ე: ტყაპა/ტყეპა, ჩხარა/ჩხერა, \*ქლარა/ქლერა, \*ფათქა/ფეთქა, \*თქარა/თქერა...

<sup>22</sup> აუსლაუტის – ა ფუნქციური ელემენტია, საწყისის მაწარმოებელია ან აბლაუტის შედეგად მიღებულ აორისტის ფორმებში მესამე პირის ნიშანია მხოლობით რიცხვში: ტყაპ-ტყეპ-ა (MSD): გა-ტყე/იპა (AOR.S3.SG.); ბათქ- – ბეთქ-ვ-ა (MSD): ბეთქა: მი-ბეთქ-ა (AOR.S3.SG.); ლაწ- – ლეწ-ვ-ა: და-ლეწ-ა (AOR.S3.SG.); ტკაც- – ტყეც-ა (MSD): ს-ტკიც-ა (AOR.S3.SG.); თხლაშ- – თხლეშ-ა (MSD): თხლიშ-ა (AOR.S3.SG.)...

<sup>23</sup> „აფეთქების ან სხვა მიზეზის გამო პარის გამოტყორცინით გამოწვეული ხმა“ (ქეგლ).

<sup>24</sup> „გამდნარი თოვლისაგან ან წვიმისაგან დაყენებული ტბორი“ (ქეგლ), გრამატიკალიზაცია, კერძოდ, ნომინატივის ნიშნის დართვა გაარსებითებას ემსახურება.

„შიშველი“ ფუძეები ზედმიწევნით ასახავენ ბუნებრივ აკუსტიკას; მათი პირ-ველადობა ეჭვს არ იწვევს, გრამატიკალიზაცია მხოლოდ შემდგომი საფეხური ჩანს. ენის განვითარების დღევანდელ ეტაპზე ა-ფუძიანი სახელების „გაქრობის“ მიზეზთა ძიება, პირველ რიგში, სვამს საკითხს, რამდენად შეიძლება ყოფილიყო ინტერპოზიციური -ა დერივაციული სუფიქსი<sup>25</sup> ან ინტერპოზიციური -ი ბრუნვის ნიშანი; ხომ არ გაჩნდნენ ისინი თავიდანვე მაერთის ფუნქციით?

საკითხის გადასაწყვეტად სვანური ენის მონაცემთა ანალიზი და ქართულთან შედარება ნაწილობრივ ხსნის პრობლემას. როგორც ზემოთ აღინიშნა, სვანურში რედუპლიკაციის ინტერვოკალური ტიპი საქმაოდ გავრცელებული ჩანს და იგი პარადიგმას ქმნის გაუფორმებელ, ინტერვოკალის გარეშე რედუპლიცირებულ და სუფიქსაციის გზით მოღებულ ფუძეთა გვერდით:

რისტ	-----	რისტ-რასტ	რისტ-ი-რასტ-ა	
ჰკუიპ	ჰკუიპ-ჰკუიპ	ჰკუიპ-ჰკუაპ	ჰკუიპ-ი-ჰკუაპ-ა	
ჸიხ	ჸიხ-ჸიხ	ჸიხ-ჸახ	----	ჸგრხ- ნ
ბითქ	ბითქ-ბითქ	ბითქ-ბათქ	ბითქ-ი-ბათქ-ა	ბურთქ-უნ
ღრიფ	ღრიფ-ღრიფ	ღრიფ-ღრაფ	ღრიფ-ი-ღრაფ-ა	ღურჭ-უნ
შკუიფ	შკუიფ- შკუიფ	შკუიფ-შკუაფ	შკუიფ-ი-შკუაფ-ა	შკურფ-უნ
ჩხიკ	ჩხიკ-ჩხიკ	ჩხიკ-ჩხაკ	ჩხიკ-ი-ჩხაკ-ა	ჩხგრკგნ

საანალიზო მოდელებში, ქართულისაგან განსხვავებით, მაერთ ხმოვნად მხოლოდ ი არის წარმოდგენილი, ხოლო მირის სტრუქტურებში ი-ა ხმოვნები უპირისპირებიან ერთმანეთს:

ბითქ-ი-ბათქ-ა (ზს.) – „ბათქაბუთქი“;

ბიგურუ-ი-ბაგურუ-ა (ზს.) – „სკდომა-ხეთქვა“;

<sup>25</sup> „ქართული ენის მორფებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონში“ (ჯორბენაძე და სხვ. 1988) -ა სუფიქსის ცამეტი სხვადასხვა ფუნქცია არის დასხელებული (გვ. 11-20), მთ შორის ერთადერთი განსაზღვრება ახსენებს ხმაბაძვით ძრიშე დართული -ა-ს ფუნქციას, თუმცა სხვა მნიშველობით: „-ა სუფიქსმა შეიძლება გამოხატოს რამე თვისების მქონებლობა: ბარბაცა, ბრიალა (ის, რისთვისაც დამასახასიათებელი ბარბაცი, ბრიალი...)“ (იგივე, გვ.14). არც ა. შანიძის „წარმოქმნილ სახელთა კლასიფიკაცია“ გვაუწყებს რამეს -ა-ს სადერივაციო აფიქსად მიჩნევის შესახებ ისეთ მაგალითებში, როგორებცა: \*ბაოქ-ა, \*ლაწ-ა, \*ტკაც-ა. -ა სუფიქსს ვერც საწყისის მაწარმოებლად მივიჩნევთ, ვინაიდან ამგვარი სახელებისაგან მოქმედების აღმიშვნელი ფორმები ან -უნ სუფიქსის დართვის შეძლევა იწარმოება: ბათქუნი – ბათქუნებს/ ბათქუნოს (ქეგლ), ლაწუნი – ლაწუნობს (ქეგლ), ტკაცუნა – ტკაცუნობს (ქეგლ)... ან იდენტურბმოვნანი ძრების რედუპლიცირების შემდგომ: ბაგბაგი – ბაგბაგებს (ქეგლ), ლაწლაწი – ლაწლაწებს (ქეგლ), რახრახებს (ქეგლ)... -ა საწყისის მაწარმოებლად მაშინ დაჩნდება, როცა აღნიშნული ძრები გადაიქცვა მოქმედების გამოხსატველ სახელად; ამგვარი ფუძის სემანტიკური მოდელი იქნება: მოქმედება+თანმხლები ხმა. შდრ.: ერთი მხრივ, ტყაპ-, ტყაპატყუპი, ტყაპიტყუპი, მეორე მხრივ, ავე აღლუტით მიღებული ტყება „სახელი ტყებს ზმინს მოქმედებისა, – ცემა (ხელით)“ (ქეგლ): გა-ტყიპ-ა. AOR.S3.SG/მი-ტყებ-ა. AOR.S3.SG „ცემა“. ტყაპუნი: ტყაპუნებს, ატყაპუნებს „მოქმედება ხმის გამოცემით“.

პილტ-ი-პალტ-ა (ჩოლ.) – „უაზრო ლაპარაკი ბავშვის, ან დიდი ასაკის გამხდა-რი ქალის“;

რისტ-ი-რასტ-ა (ბქ.) – „გალაწუნება, მირტყმა-მორტყმის ხმა“;

რიყ-ი-რაყ-ა (ბზ.), რიყ-ი-რაყ-ა (ბქ.) – „რახარუხი“;

რიჭ-ი-რაჭ-ა (ზს., ქს.), „მითქმა-მოთქმა; ჭორიკნობა“;

სიტ-ი-სატ-ა (ბქ.) „ლაწალუწი“;

შეუიფ-ი-შეუიფ-ა (ზს., ქს.) – „ჯოხის დარტყმის ხმა; ბრახვანი“;

ჭიფხ-ი-ჭაფხ-ა (ჩოლ.) – „კოხტად ჩაცმული ფეხებით სიარული, ხმის გამოცე-მით“;

ჯიჯ-ი-ჯაჯ-ა (ლხმ.) – „ჯაჯგური“;

ჯიჯ-ი-ჯაჯ-ა (ლხმ.) – „ჯაჯგური; გარტყმის ხმა“ და სხვ.

აღნიშნულ ფუძეებში ძირისა და აფიქსის ხმოვნები ერთმანეთთან თანხმობა-შია, ფუძის სტრუქტურაში წარმოდგენილია ი-ი-ა-ა ხმოვანთა მიმდევრობა; რი-გით მეორე ინტერვოკალია, ფუნქციურად მაერთებული კავშირი. აუსლაუტის ა, ძირითადად, ძველი სვანური პოეზიის ენაში დაჩნდება და რითმის ზომით არის განპირობებული, ჩვეულებრივ მეტყველებაში კი უმეტესად მოკვეცილია (მ. საღ-ლიანი).

თუ სვანურის ინტერვოკალი სემანტიკურად „და“ კავშირის ფარდია, ასევე დასაშვებია ქართულის ინფიქსებისთვისაც მაერთის ფუნქციის მინიჭება. მ. საღ-ლიანის ვარაუდით, ქართულის რედუპლიცირებული ფუძეში ინფიქსური ხმოვანი ა სწორედ „და“ კავშირის ნაშთია, რედუპლიცირებული ფუძის ამოსავალში „და“-თი შეერთებული კომპოზიტები უნდა გვქონოდა. თანხმოვნის გაცვეთამ კი მხოლოდ ხმოვნითი ელემენტის დარჩენა და ფუძესთან შეზრდა გამოიწვია.<sup>26</sup> თუმცა ამ თვალსაზრისს ეწინააღმდეგება ის ფაქტი, რომ ამავე პოზიციაში მაერ-თის ფუნქციით, ა-ს გარდა, დაჩნდება ი ხმოვანიც; სემანტიკური სხვაობა ამ ფო-რმებს შორის დასადგენია.

ჩვენი აზრით, ქართულის არაიდენტურხმოვნიანი რედუპლიკაციის ამ ტიპში ა ან ი ხმოვნი იმთავითე მაერთის ფუნქციის უნდა ყოფილიყო. მათი გაჩენა მარტივ CVC სტრუქტურის ძირებს შორის განპირობებული უნდა ყოფილიყო სემანტიკით: გამოეხატა მოძრაობის მიმართულების ცვლა, საგულისხმოა, რომ ქართულში ინ-ტერფიქსის გარეშე შეერთებული არაიდენტურხმოვნიანი ფუძეები (\*ჯაგ-ჯუგ-, \*რაკ-რუკ-, \*რახ-რუხ-..) არ დასტურდება. სვანურში კი ორივე მოღელი გვაქვს – ინ-ტერვოკალური და მის გარეშე. თუკი ეს უკანასკნელი პოეზიის ენისთვისაა დამახა-სიათებელი, მაშინ ინტერვოკალის გარეშე წარმოდგენილი ფორმები უფრო ახალი ჩანს, რადგან პოეზიის ენაში შენარჩუნებულია სვანურის ძველი ვითარება.

ამასთან სარწმუნო ჩანს მოსაზრება, რომ ამ მოდელებში რედუპლიკაცია და ხმოვნის ალტერნაცია ერთდროულად უნდა მომხდარიყო (დათუკიშვილი 1990: 42), იმავდროულად უნდა გაჩენილიყო ინტერვოკალიც.

<sup>26</sup> აღნიშნული თვალსაზრისი გამორიცხავს ა-ს საღერივაციო აფიქსად მიჩნევას.

## დასკვნა

- ინტერვოკალური მოღელები ქართველურ ენათაგან მხოლოდ ქართულსა და სვანურში დასტურდება.
- ინტერვოკალური რედუპლიცირებული ფუძეების ზოგადი სტრუქტურაა CVC-V-CVC. ფუძის შემადგენელი ძირივე ენაში დახურული მარცვლით არის წარმოდგენილი და CVC სტრუქტურისაა.
- ქართულში ინტერვოკალად წარმოდგენილია **ა** და **ი** ხმოვნები, სვანურში მხოლოდ – **ო**.
- ინტერვოკალურ რედუპლიცირებულ ფუძეში ერთმანეთს უპირისპირდება: ქართულში **ა-უ**, სვანურში – **ი-ა** ხმოვნები.
- ფუძის აუსლაუტი ქართულში ფუნქციურ ელემენტს – სახელობითის ნიშანს ირთავს, სვანური კი ფუძის სახით არის წარმოდგენილი, აუსლაუტის -ა ხმოვანი მხოლოდ პოეზიის ენაში გვხვდება და რითმის ზომით არის შეპირობებული.
- მაერთი ხმოვნები ანუ ინტერვოკალები ფუნქციურად მაერთებელი „და“ კავშირის ფუნქციისაა და იდენტური სემატიკის ორი გაუფორმებელი ანუ „შიშველი“ ფონოსემატიკური ფუძის/ძირის შესაერთებლად გამოიყენება.
- ხმოვანთა დაპირისპირებით გადმოცემულია მოქმედების განმეორება მოძრაობის მიმართულების ცვლით.
- ინტერფიქსები არაიდენტურ ხმოვნიან რედუპლიკაციასთან ერთად იმთავითვე უნდა გაჩენილიყო სემანტიკის კარნახით.

## სტანდარტული ამრულიატურა

AOR – აორისტი

DER – დერივანტი

MSD – მასდარი

NOM – სახელობითი ბრუნვა

S3 – მე-3 სუბიექტური პირი

SG – მხოლობითი რიცხვი

SUF – სუფიქსი

## ლიტერატურა

**ანდერსონი 1999:** G. D. S. Anderson, Reduplicated Numerals in Salish, In: *International Journal of American Linguistics*, vol. 65

**არონია 2010:** ი. არონია, კომპოზიტები მეგრულ-ლაზურში, თბილისი.

**დათურაშვილი 1990:** ქ. დათურაშვილი, რედუპლიკაცია ქართულში, სადისერტაციო ნაშრომის ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად.

**დეეტერსი 1926:** G. Deeters, Armenish und Südkaufatisch, Ein Beitrag zur Frage der Sprachmischung, In: *Caucasica* 3, 37-82 and 4, 1-164.

- ერთეულიშვილი 1970:** ფ. ერთეულიშვილი, ზმნური ფუნქციის ფონემატური სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები ქართულში, თბილისი.
- ვინოგრაძე და სხვ. 1995:** В. А. Виноградов, Н. В. Васильева, А. М. Шахноровиц, Краткий словарь лингвистических терминов, Русский язык, Москва.
- თანდილავა 2013:** ა. თანდილავა, ლაზური ლექსიკონი, თბილისი.
- თოფურია 1979:** ვ. თოფურია, ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან, VI, კომპოზიტი, შრომები, ტ. 3, თბილისი.
- იარცვა 1998:** Большой энциклопедический словарь. Языкознание, Гл. ред. В.Н. Ярицева, Большая Российская энциклопедия, Москва.
- კარტოზია და სხვ. 2010:** გ. კარტოზია, რ. გერსამია, მ. ლომია, თ. ცხადაია, მეცნიერების ლინგვისტური ანალიზი, თბილისი.
- შელიქშვილი 1980:** ი. შელიქიშვილი, სონორ ფონემათა განაწილების ზოგადი კანონებისა და ძირის სტრუქტურა საერთო-ქართველურში, თანამედროვე ზოგადი ენათმეცნიერების საკითხები, V, თბილისი.
- შელიქშვილი 1999:** ი. შელიქიშვილი, ბერძნული ლექსიკისათვის ქართულში, ენათმეცნიერების საკითხები, 3, თბილისი.
- მეტცლერი 1993:** Metzler Lexikon Sprache, Herausgegeben von Helmut Glük, Verlag J. B. Metzler, Stuttgart-Weimar.
- ნაისერი 1953:** F. Neisser, Studien zur Georgischen Wortbildung, Abhandlungen fur die Kunde des Morgenlandes, XXXI, 2, Wiesbaden.
- ნებიერიძე 1999:** გ. ნებიერიძე, ენათმეცნიერების შესავალი, თბილისი.
- რაიმი 2000:** E. Raimy, The Phonology and Morphology of Reduplication (Studies in Generative Grammar 52), Mouton de Gruyter, Berlin-New York.
- ჭავჭავაძე 1960:** ს. ჭავჭავაძე, ქართველურ ენათა შედარებითი ფონეტიკა, I, თბილისი.
- სანიკიძე 1976:** ლ. სანიკიძე, გაორკეცება ქართულში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწლეული, III, თბილისი.
- სანიკიძე 1977:** ლ. სანიკიძე, რედუბლიკაცია სვანურსა და ზანურში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწლეული, IV, თბილისი.
- ქ 2008:** ქართული ენა, ენციკლოპედია. თბილისი
- ქირია და სხვ. 2015:** ჭ. ქირია, ლ. ეზუგბაია, ო. მემიშიშვი, მ. ჩუხუა, ლაზურ-მეცნიერების კრამატიკა, თბილისი.
- ქობალავა 1980:** ი. ქობალავა, ზოგიერთი ტიპის ხმაბაძვითი სიტყვების წარმოებისათვის ქართულში, თანამედროვე ზოგადი ენათმეცნიერების საკითხები, V, თბილისი.
- შანიძე 1955:** ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა I (მორფოლოგია), თბილისი.
- შტოლცი და სხვ. 2011:** Th. Stolz, C. Stroh. & A. Urdze, Total Reduplication, The Areal Linguistics of a Potential Universal, Universität Bremen.
- ჩიქობავა 1930:** არნ. ჩიქობავა, რა თავისებურებები ახასიათებს ქართული ენის აგებულებას? კულტურული აღმშენებლობა, №5, თბილისი.
- ჩიქობავა 1942:** არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი ავტულება, თბილისი.
- ჯორბენაძე და სხვ. 1988:** ბ. ჯორბენაძე, მ. კობაიძე, მ. ბერიძე, ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი, თბილისი.
- http://de.wikipedia.org/wiki/Reduplikation\_(Sprache).**

## Intervocalic Reduplication in the Kartvelian Languages

### Summary

In the Kartvelian languages, by means of doubling of a CVC structure, more exactly, of absolute repetition of a consonantal sequence, of vowel ablaut and inter-positional insertion of a vowel, reduplicated stems are composed. An inter-positional vowel performs a function of a link only and is devoid of any morphological meaning.

There are up to 120 such reduplicated stems in *Georgian*. Their number is quite large in *Svan* as well. As for *Megrelian* and *Laz*, this type of reduplication is not attested at all.

Intervocalic reduplicated stems have the following structural and semantic traits:

1. Their general structure is CVC-V-CVC. In both languages (Georgian and Svan), the roots in the stems are presented as closed syllables.
2. The number of consonants may increase within a structure; however, the number and position of vowels will be unchanged: CnVCn-V-CnVCn
3. In Georgian, the intervocalic elements are /a/ and /i/, while in Svan it is only /i/. Hence, Georgian has two sets of intervocalic reduplication, whereas Svan has one.
4. Within intervocalic reduplicated stems, Georgian has the /a-u/ contrast, while Svan has the /i-a/.
5. In Georgian, a stem auslaut takes on a functional element, that is, a nominative marker. In Svan, it is an unmarked stem; the auslaut vowel -a occurs only in the language of poetry and is conditioned by a rhyme size.

*Georgian*:

- (1) *rax + a + rux-i*
- (2) *rax + i + rux-i*

C<sub>1</sub>V<sub>1</sub>C<sub>2</sub>+link+C<sub>1</sub>V<sub>2</sub>C<sub>2</sub>-NOM

*Svan*:

- (1) *riq’+ i + rq’[-a]*

C<sub>1</sub>V<sub>1</sub>C<sub>2</sub>+link+C<sub>1</sub>V<sub>2</sub>C<sub>2</sub>.NOM

6. In Svan, the intervocalic vowel is functionally equal to the conjunction “and” and is used to conjoin two unmarked phonosemantic stems/roots of identical semantics.
7. Vowel contrasts convey repetition of an action with changing direction of motion.
8. Intervocalics might have emerged together with ablaut reduplication owing to semantic reasons.

This type of reduplication should be sharply delimited from a part of phonosemantic stems, in the middle of which a vowel does occur, though not in the function of a link but as a vowel element of a base; both constituents should be considered as stems and not as roots:

$[(CV_1C)V_2]^2 i / a$

*Megrelian*: *t’iru.t’aru* (|| *t’ir.t’ar*) [i-u.a-u]

CV<sub>1</sub>CV<sub>2</sub>.CV<sub>3</sub>CV<sub>2</sub>(NOM)

*Laz*: *bric’u.brac’u* [i-u.a-u]

C<sub>n</sub>V<sub>1</sub>CV<sub>2</sub>.C<sub>n</sub>V<sub>3</sub>CV<sub>2</sub>(NOM)

$[(CV_1C)V_2]^2 i / u$

*Svan*: *biri.buru* [i-i.u-u]

CV<sub>1</sub>CV<sub>1</sub>.CV<sub>2</sub>CV<sub>2</sub>(NOM)

In the Svan examples, the arrangement of vowels is based on the principle of vowel harmony. In Georgian, such a paradigm consists of non-phonosemantic stems.

რუსული ზეპალავილი, ქართველი კითხები

## ზოგი ენოლოგიზმის ქართულ არეალი დისკუსია

ლიტერატურის უმთავრესი იარაღი სიტყვაა, რომლისადმი დამოკიდებულებაც განაპირობებს მწერლის ენის გამომსახველობითს ძალას და ემსახურება მისი ჩანაფიქრის ხორცის შემადგრული ნაწარმოების ლექსიკას სწავლობენ არა მარტო ლიტერატურათმცოდნები, არამედ ლინგვისტებიც, რომლებიც იკვლევენ ენის დერივაციული საშუალებების შემოქმედებითად გამოყენების უნარს, მწერლის ლექსიკის მიმართებას საყოველთაოდ გავრცელებულ, ყოველდღიურ სიტყვებთან. ავტორისეული სიტყვათქმნადობა შემოქმედებითი პროცესის განუყოფელი ნაწილია და ავლენს ენის შინაგან ბუნებას, მის პოტენციას.

მნათგრულ ლიტერატურაში, განსაკუთრებით კი – პოზიტივი, მწერლები ხშირად ქმნიან ავტორისეულ ნეოლოგიზმებს ანუ ოკაზიონალიზმებს, რომელთა მეშვეობით მდიდრდება ენა. ოკაზიური (ლათ. „*occasio*“ – „შემთხვევა“) ნიშნავს კერძო, ცალკეული შემთხვევისათვის შექმნილს, ხოლო ოკაზიონალური არის (ლათ. „*occasionalis*“ – „შემთხვევითი“) სიტყვის უჩვეულო მნიშვნელობა, რომელსაც ინდივიდუალური ხასიათი აქვს (იხ. უსლ 1989:348). ლინგვისტურ ტერმინთა ლექსიკონის მიხედვით, „ოკაზიონალიზმი არის ინდივიდუალურ-ავტორისეული ნეოლოგიზმი, რომელსაც მწერალი ან პოეტი ქმნის ენაში არსებული არაპროდუქტიული სიტყვაწარმოებითი მოდელების მიხედვით და გამოიყენება მხოლოდ მოცემულ კონტექსტში, როგორც ხატვრული გამომსახველობის ან ენობრივი თამაშის ლექსიკური საშუალება“ (როზენტალი, ტელენკოვა 1976:543). ტერმინის სხვა განმარტების თანახმად, ოკაზიონალიზმი არის „ნეოლოგიზმი, რომელიც არსებული დერივაციული თუ ფლექსიური სისტემისათვის გამონაკლისია. ამგვარი წარმოებები, ჩვეულებისამებრ, შემოქმედთა ენისათვის არის დამახასიათებელი და პოეტიკურ ან სხვა სტილისტიკურ დანიშნულებას ასრულებენ“ (ქე 2008:349). იქვე აღნიშნულია, რომ ეს „ინდივიდუალური წარმოებები, ჩვეულებრივ, ენაში არ მკვიდრდება, როგორც არაკანონიერი, არასისტემური, არაუზუალური; თუმცა გამორიცხული არ არის ცალკეული ერთეულის გამოყენება-დამკვიდრება როგორც გაქვავებული, მყარი ფუძისა“ (მისივე 2008:349). ოკაზიონალური შეიძლება იყოს არა მარტო სიტყვაწარმოება, არამედ სიტყვის უჩვეულო მნიშვნელობაც, რომელსაც „ინდივიდუალური ხასიათი აქვს, რომელსაც იყენებენ გარკვეულ შემთხვევაში, სპეციალურ კონტექსტში“ (შანიძე 1956). ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ოკაზიონალიზმები არ შედის ენის ლექსიკურ შემადგენლობაში, ზოგი კი მათ ენის სიტყვაწარმოების წესების საწინააღმდეგოდ შექმნილადაც მიიჩნევს. ამიტომ უწოდებს მათ „კანონდამრღვევ“ და „კანონგარეშე სიტყვებსაც“

(иб. Энциклопедический словарь филолога – ფილ). аსეთი შეფასება გადაჭარბებული ჩანს, რადგან ამ მოსაზრებას ვერ განვაზოგადებთ ყველა ოკაზიონალიზმზე. ჩვენი აზრით, ავტორისეული ახალწარმონაქმნების გარეშე ვერ იარსებებს პოეტური სიტყვა და გაღარიბდება ენის ექსპრესიული ძალა. ოკაზიონალური სიტყვები ენის ლექსიკური მარაგის ნაწილად უნდა მივიჩნიოთ. მართალია, ეს სიტყვები უზუალური სიტყვებისაგან განსხვავებულია, მაგრამ ავლენს ენის დერივაციულ-ექსპრესიულ პოტენციას.

ავტორისეულ ნეოლოგიზმთა წარმოქმნა დასტურია ენის სიცოცხლისუნარიანობისა და მსგავსი სიტყვაწარმოება ჩვეულებრივი მოვლენაა არა მარტო მხატვრულ ლიტერატურაში, არამედ მასმედის ენასა და სასაუბრო მეტყველებაშიც. ამით ვლინდება ენის ამოუწურავი პოტენცია, ექსპრესიულობა, მწერლის, უკრნალისტის თუ ჩვეულებრივი მოსაუბრის შემოქმედებითი უნარი და ზოგჯერ გონებამახვილობაც კი. მართალია, ახალი სიტყვების შექმნით გატაცება გარკვეულწილად ენობრივ თამაშს ჰგავს, მაგრამ ეს მაინც მოწმობს ენის დინამიკურობასა და მოქნილობას. მხატვრული სიტყვის ოსტატი ენის წიაღში ეძებს ახალ-ახალ საშუალებებს სათქმელის გამოსახატავად, სიტყვათა ახალი სემანტიკურ-სტილისტიკური წახნაგების გამოსავლენად.

როგორც ყველა ენას, მათ შორის ქართულსაც, გააჩნია საშუალებები, რომელთა მეშვეობითაც იქმნება ნაწარმოები სიტყვები. ამ მხრივ განსაკუთრებული როლი აკისრია აფიქსებს. სამართლიანად ამბობენ, რომ „აფიქსაცია ქართული ენის გამდიდრების უშრეტი წყაროა“ (ლლონტი 1988:82). სიტყვაწარმოების დროს „დერივატებად გამოყენებულია როგორც საგანგებო დანიშნულების აფიქსები, ისე თანდებულები და ბრუნვათა ნიშნები“ (იქვე:129). ოკაზიონალიზმი ვერ შეიქმნება ენის დერივაციული სისტემის უგულებელყოფით. ახალი ელფერი სიტყვას შეიძლება შესძინოს ერთმა ნიუანსმაც კი: უჩვეულო ფუძის გამოყენებამ ამათუ იმ აფიქსთან, სიტყვამაწარმოებელი ყალიბის შეცვლამ, მოულოდნელმა კონტექსტმა და ა.შ.

ქართული ენის მდიდარი სიტყვაწარმოებითი პოტენციალი ნოყიერ ნიადაგს ქმნის ავტორისეული ნეოლოგიზმების საწარმოებლად და შესაძლებლობას აძლევს სიტყვის ოსტატს, შექმნას უამრავი ნაწარმოები სახელი, კომპოზიტი თუ ნასახელარი ზმნა. რა თქმა უნდა, ახალი სიტყვაფორმების შექმნით ზედმეტად გატაცებაც საზიანოა, მაგრამ პოეტური სიტყვა გულისხმობს ასეთ მიგნებებსა და ენის ექსპრესიული სიღრმეების გამოვლენას.

ენათმეცნიერები სამართლიანად უსვამენ ხაზს ქართულ სალიტერატურო ენაში ზმნურ ოკაზიონალიზმთა წარმოების დიდ ტრადიციას<sup>1</sup>. ნასახელარ ზმნათა საინტერესო ფორმები დადასტურებულია ქართულ სასულიერო თუ საერო მწერლობაში,

<sup>1</sup> ნასახელარი ზმნებისა და ოკაზიონალიზმების შესახებ აღსანიშნავია შრომები: შანიძე 1919; ქიკნაძე 1946; გოგოლაშვილი 1977; მუზაშვილი 1984; მისივე, 1993; უღვნტი 1986; შენგელა 1990; კობიაშვილი 1998; ლოლაძე 1998; ფეიქრიშვილი 2009; ჭიკაძე 2008; ტუსკია, ვაჭარაძე 2014 და სხვ.

ფოლკლორში, სამეცნიერო ტექსტებში, ასევე სასაუბრო მეტყველებაში (მათ შორის – ჟარგონიზმებში). მაგალითად, „ვეფხისტყაოსანში“ ხშირად ასახელებენ ზმნურ ნეოლოგიზმთა ვირტუოზულ ფორმებს: აზეწარებს, ასუდარებს, აწამწამეს, გააღაწვეს, გაიდარბაზეს, გასისხლმდინარდა, დარობს, ვარდობდე, იქედვოროს, მზეობს, მიაკვანე, მიაქვდნეს, სდებია, სდევდებია, უცხენმალეს და სხვ. (იხ. ქურდი-ანი 2007:176-180). გასაკვირი არაა, რომ რუსთაველის ენაშ დიდი ზეგავლენა მოახდინა ქართული სალიტერატურო ენის განვითარებაზე და უამრავი ლექსიკური ერთულით გააძლიდრა ის. ამ ნეოლოგიზმთა ნაწილი უკვე დამკვიდრებულია კი-დეც ქართულ ენაში, რაც სიტყვის დიდოსტატის დამსახურებაა.

ჩვენ ამჯერად შევეცდებით გამოვყოთ ზმნური პოეტური ნეოლოგიზმები და მათი წარმოების საშუალებები XX საუკუნის ქართული პოეზიის ენაში. ცხადია, ამ საკითხის შესწავლა მთელი სიღრმით, ყველა ასპექტის გათვალისწინებით, სცდება ერთი სტატიის ფარგლებს და სამომავლო საქმეა, რადგან ქართული პოეტური ლექსიკის სრულყოფილად განხილვა ხანგრძლივ კვლევას მოითხოვს.

გასული საუკუნის პოეტებმა გააცოცხლეს ავტორისეულ ნეოლოგიზმთა წარმოების ძველ და საშუალ ქართულში ჩამოყალიბებული ხერხები, მათი მოშველი-ებით შექმნეს ახალი ლექსიკური ერთულები და გაამდიდრეს ენა, ამასთან, გააგრძელეს წინა საუკუნეების ქართული მწერლობის სიტყვაწარმოების ტრადიცია.

XX საუკუნის ქართველი პოეტების ენა ავტორისეული ნეოლოგიზმების მრავალფეროვნებით გამოირჩევა. პოეტები ლექსების მუსიკალური ქლერადობის გასამრავალფეროვნებლად და სათქმელის ექსპრესიულად გამოსახატავად იშველიებდნენ ოკაზიონალიზმებს, თუმცა მხოლოდ ახალი სიტყვების შექმნა არ იყო მათი თვითმმიზანი, რადგან მაშინ პოეზია დაქმსგავსებოდა ფორმალურ ექსპერიმენტთა ლაბორატორიას.

ჩვენ შევეცადეთ, რომ გამოვეყო ზმნურ ნეოლოგიზმთა ძირითადი სიტყვა-წარმოებითი მოდელები გაღაკტიონ ტაბიძის, გიორგი ლეონიძის, იოსებ გრიშაშვილის, ტერენტი გრანელის, ლადო ასათიანის, ალექსანდრე საჯაიას, შოთა ნიშნიანიძის, მუხრან მაჭავარიანის, ანა კალანდაძის, მურმან ლებანიძის, ვახტანგ ჯავახაძის, ტარიელ ჭანტურიას და სხვათა პოეტური ენის საფუძველზე.<sup>2</sup>

უპირველეს ყოვლისა, ყურადღება გავამახვილეთ ერთ საინტერესო ხერხზე, რომელიც გვხვდება რუსთაველის პოემაში. გაბუნდოვანებული ოკაზიონალიზმის ასახსნელად და ამოსაცნობად, სემანტიკური იდენტიფიცირებისა და ტექსტში მათი ადაპტირებისთვის პოეტი ხშირად იყენებს ერთგვარ პარონომაზიულ მოდელს. ამ ხერხს მ. ქურდიანი უწოდებდა ადაპტირებას სემანტიკური სინტაგმის საშუალებით.

მაგალითად, „შენ გენუკვი, შემაჯერო, დმერთი დმერთო, ცაცა ცცო“ (რუსთ. 1957:664,3);

,მზე აღარ მზეობს ჩვენთანა, დარი არ დარობს დარულად“ (იქვე:820,4).

<sup>2</sup> ტ. ჭანტურიას პოეტური ლექსიკის თავისებურებების შესახებ საინტერესო ნაშრომებია: ომიაძე 1995; მისივე 1998.

ამ ტიპის პოეტურ ნეოლოგიზმებს უწოდებენ „ორწევრა ერთეულებსაც“, რომლებშიც პირველ კომპონენტად ის სახელია აღებული, რომლის მეორე ნაწილი ამ სიტყვისგან ნაწარმოები ზმნაა: „ჩემმან ქედმან მიიქცინეს“, „აზავრები ვაა-ზავრე“ (ტუსკია, ვაჭარაძე 2014:64).

ზმნურ ნეოლოგიზმთა დასახელებული მოდელი მართლაც ორიგინალური მიგნებაა. პარონომაზოული სინტაგმები ნასახელარ ზმნასთან დასტურდება XX საუკუნის ქართულ პოეტურ ენაში, უფრო ხშირად კი — მ. მაჭავარიანისა და ვ. ჯავახაძის პოეზიაში:

„ერი გაერდა!“

ხალხი გახალხდა!

ვაი, დედასა, —

რა დროს აღარ ხარ!“ (ძავ. 1991:9).

„არც მუზარადი ეხურა,

არც ქოლგა გადაქოლგოდა“ (ჯავ. 1986:29).

აღმერთსაც გააღმერთებდ და

წიგნსაც გააწიგნებ“ (ჯავ. 1986:126).

„ცოტას წაიხუმრებ და

ცოტას წაიციგნებ,

სახელოვან ჭორიკებს

ისევ აჭორიკებ“ (ჯავ. 1986:126).

ატაშებით ნუღარ მეტაშტაშები:

შეგჰამენ ტაშის მეტასტაზები!“ (ჯავ. 1986:288).

„ოღონდ აკრობატებივით წაიაკრობატონო!“ (ჯავ. 1986:78).<sup>3</sup>

ასეთი წარმოება შეიძლება ჩაითვალოს პარონომაზოულ ოკაზიონალიზმად, მაგრამ მას ვერ მივიჩნევთ პარონომაზოულ შემასმენლად, რომელშიც გამოყენებულია ერთი და იმავე ფუძის მასდარი და ზმნა (მდრ. ცეკვით კი ცეკვავს). ზემოთ დასახელებული მაგალითები ერთგვაროვანი არაა: ნასახელარ ზმნასთან დგას იმავე ფუძის სახელი, რომელიც შეიძლება იყოს როგორც ქვემდებარე, ისე პირდაპირი დამატება ან წინადაღების სხვა წევრი.

განვიხილოთ ზმნურ ნეოლოგიზმთა წარმოების სხვა საშუალებები. ახალ ზმნათა შესაქმნელად მე-20 საუკუნის ქართველი პოეტები იყენებენ თითქმის ყველა მეტყველების ნაწილს: არსებით და ზედსართავ სახელებს, რიცხვით სახელსა და ზმნიზედებს. ამ შემთხვევაში ზმნის ახლებური ფორმა მიღებულია სხვა მეტყველების ნაწილებისგან აფიქსების მოშველიებით; ზმნაში შეიძლება ჩანაცვლებული იყოს ზმნისწინი ან თემის ნიშანი, იყოს შეცვლილი ფუძე (შეკუმშული, გავრცებილი, ხმოვანგამოცვლილი) ან პირიანობა.

<sup>3</sup> ჩვენთვის საინტერესო მაგალითს ვხვდებით ლაშა გახარის ლექსში: „სულ სხვა ქარაგმად მემცხეთა მცხეთა“ (იხ. ტუსკია, ვაჭარაძე 2014:64).

მაგალითად, საკუთარი და საზოგადო არსებითი სახელებისგანაა ნაწარმოები ზმნური ნეოლიგიზმები:

დაითერგება: „გულის ნაწური ნაკადი ზეირთებად დაითერგება“ (ლეონ.1).

წავიდავითოთ: „შოთას არაკი ვახსენოთ, გზადაგზა წავიდავითოთ“ (ჯავ. 1986:158).

ვიამირანო: „მინდარის ვიამირანო“ (მაჭ. 1991:65).

გამადალტონიკე: „ფერს ფერისგან ვეღარ ვარჩევ,  
ისე გამადალტონიკე“ (ჯავ. 1986:396).

შემოამძივებს: „გზებს ალით შემოამძივებს“ (ტაბ. 2011:131).

გაიაპრილებს: „როცა გაზაფხულდება, როცა გაიაპრილებს...“ (ჯავ. 1986:106).

ასევე: განადვერდალვ (შალ. 1985:3), ყანაობს (გრიშ. 1989:171), ამოჭიაკო-  
კონდა (ჯავ. 1986:264), შემოკარავდნენ (ჯავ. 1986:401), შემოშიკრიკდა (ჯავ. 1986:365), ამთვარებულიან (ავარ. 1985:16), ვემგოსნები (შალ. 1985:43) და სხვ.

ზედსართავი სახელია ამოსავალი: „გომბორიდან ამოთეთრა კავკასიონმა“  
(ლეონ. 2008:54), გაუტოლადდი (გრიშ. 1989:232), გამუდმივდება (ავარ. 1985:  
19), ქსაკადრისა (ჯალ. 1978:148), აშარშანდელებს (ჯავ. 1986:17) და სხვ.

იშვიათად გვხვდება რიცხვითი სახელისაგან ნაწარმოები ზმნებიც: „და ის  
ცრემლი შენის ღიმით ცისარტყელად ავაშვიდვ“ (გრიშ. 1989:148), გაორმოცდა-  
ორდები (ჯავ. 1986:124).

ზმნიზედაა ამოსავალი: „თითქო სადღაცა გაქრა საუნჯე და შეღამებამ ითან-  
დათანა“ (ტაბ. 2011:199), ავარტოვდი (გრიშ. 1989:157) და სხვ.

ზმნური სიტყვაწარმოება განვიხილოთ გვარების მიხედვით.

### მოქმედებითი გვარის ზმნური ნეოლიგიზმები

თვალში საცემია ნაწარმოებ ზმნებში მოქმედებითი გვარის ფორმათა სიმრავ-  
ლე სამივე სერიაში. გამოვყოფთ რამდენიმე ყალიბს:

(pr)+ა – გ:

I სერიის მოქმედებითი გვარის ზმნათაგან იშვიათად გამოიყენება აწმყოს  
მწერივი, ჭარბობს მყოფადის ფორმები:

აზამბახებს: „მაისი ალით აზამბახებს“ (ტაბ. 2011:58).

აცეცხლებს: „აცეცხლებს თათრის თვალებს“ (საჯ. 1978:242).

გაგაბუტებს: „გთხოვ, ნუ გაწყენს-გაგაბუტებს“ (გრიშ. 1989:21)<sup>4</sup>.

ბოლო მაგალითში ორპირიანი აქტიური ზმნა გავაბუტებს (ის შენ) ჩაენაც-  
ვლა გავრცელებულ პასიურ ფორმებს: გაიბუტება, გაებუტება.

შემდეგ ლექსში მოშველიებულია გრაფიკული ხერხიც – დეფისი სახელისა  
და გვარის გამოსაყოფად, ამასთან, ოკაზიონალური ზმნა მხატვრულ ეფექტს ამ-

<sup>4</sup> ისევე გრიშაშვილის თხზულებათა ლექსიკა და სიტყვაწარმოება შესწავლილია სტატიის  
ერთ-ერთი ავტორის სადისერტაციო ნაშრომში, რომელიც არ გამოქვეყნებულა (იხ. რ. შა-  
მელაშვილი 1980).

ძაფრებს ბგერწერით და თითქოს გამოჩენილი შსახიობის თავისებური სიარულის მანერაზეც მიანიშნებს: **ჩაგა-ჩარლი-ჩაპლინებს:**

„მეტროს ესკალატორის  
პაწაწინა ჭრამპლინებს  
ჩაჰყე, ჩაგა-ჩიქ-ჩიქებს,  
ჩაგა-ჩარლი-ჩაპლინებს“ (ჯავ. 1986:106).

**pr+o – ავ(ხ):**

**დაისისხლავებ:** „სქელ ბაგებს რომ დაისისხლავებ“ (ასათ. 1979:168). ეს ფორმა ოემის ნიშნის ჩანაცვლებითაა მიღებული (შდრ. დაისისხლიანებს: -ავ თე- მის ნიშანი -ებ-ის ნაცვლად).

**(pr)+a – (ე):**

**მეორე სერიის** ზმნებთან ყველაზე გავრცელებულია **მაზმნავებელი** ელემენტი ა- და მოქმედებითი გვარის ზმნათა უმრავლესობა წყვეტილის ფორმით გახვდება: **აათილისმებს:** „სიჩუმის ხმებმა აათილისმებ“ (გრიშ. 1989:192).

**აგარითმებ:** „ო, რა ტყვილად გიგალობდი! ო, რა ტყვილად აგარითმებ“ (გრიშ. 1989:142).

**ვანალვერდალე:** „სადაც ტკივილი ვანალვერდალე“ (შალ. 1985:3).

**რიცხვითი სახელისაგან** ნაწარმოები ზმნით „ავაშვიდე“ პოეტი გამოხატავს ცრემლის ციმციმს შვიდფეროვანი ცისარტყელას მსგავსად: „და ის ცრემლი შენის ღიმით ცისარტყელად ავაშვიდე...“ (გრიშ. 1989:148).

ზოგ ზმნაში ჩანაცვლებულია **ზმნისწინი:**

**ავაფერადე:** „რომ მხოლოდ შენთვის ავაფერადე  
ჩემი სიმღერა და მუხამბაზი!“ (ასათ. 1979:109).

შდრ. გავაფერადე და ავაფერადე. ა- ზმნისწინი ზმნას მატებს ექსპრესიას და ხახს უსვამს პოეტის სიმღერის მრავალფეროვნებას. ააფერადებ-ს შეტანილია ქართული ენის განმარტებითს ლექსიკონში (ქეგლ, I:28), მაგრამ ლ. ასათიანის ჩვენ მიერ მოხმობილ ლექსში ყურადღებას იპყრობს მისი გამოყენება პირველი პირის ფორმით.<sup>5</sup>

**გადმოიღერა:** „ორთავ დამ ყელი გადმოიღერა“ (საჯ. 1978:209). გამოთქმას „ყელი მოიღერა“ ახლებური ელფერი მიანიჭა **გადმო-** ზმნისწინმა და შექმნა პლასტიკური ხატი: დები გადმოიხარნებ (აქეთ) და ყელი მოიღერეს.

**სასხვისო** ქცევის ფორმით გვხვდება ზმნური ნეოლოგიზმი **დაუფარჩოს** (გზა ფარჩად უქციოს, ფარჩა დაუფინოს ფიანდაზად): „მანამ შენს თანადარს გზები დაუფარჩოს“ (გზა. 2011:215).

იმავე ფორმას ვხვდებით გ. ლეონიძესთანაც:

„და რაც იღვიძებს – მას გაუმარჯოს!

მას გაზაფხულმა გზა დაუფარჩოს!“ (ლეონ.2).

<sup>5</sup> ქეგლ-ში ამ სიტყვის საილუსტრაციოდ დამოწმებულია მაგალითები ს. მგალობლიშვილის, ა. წერეთლის, შ. არაგვისპირელისა და ე. ნინოშვილის ნაწარმოებებიდან.

II კავშირებითში გამოყენებულ ზმნაში „გადაარეკოს“ სიახლე შეაქვს ა-პრე-ფიქსის დამატებას, რაც სამპირიანად აქცვს მას (შდრ. გადარეკოს მან ის, გადა-არეკოს მან მას ის):

„რომ სიძლერა მთა და ველად  
გრგვინვით გადაარეკოს“ (ტაბ. 1977:91).

ასეთივე წარმოებაა ზმნაში გადააგუშმათონ: „წრე შეკრან და ოკეანე გადა-გუშმათონ“ (ჯავ. 1986:78).

გარდაქცევითობის ნიუანსს შეიცავს ოკაზიონალიზმი „დამისაგნა“ (მან მე ის) და მიღებულია არსებით სახელზე და-ზმნისწინის დართვით:

„ვადიდებ –

ეს გზა ვინც დამისაგნა...“ (მაჭ. 1991:555). ე.ო. ვინც ეს გზა საგნად მიქცია (დამიგო).

ზოგ ფორმაში უცხო დერივაციულ-სემანტიკური ელფერი მიღწეულია იმავე მნიშვნელობის სხვა მაწარმოებლის ჩანაცვლებით. მაგალითად, ზმნაში „მოამშვე-ნიანა“ გამოყენებულია ყოლა-ქინების სუფიქსი -იან (ნაცვლად -იერ-ისა):

„მოვარის შუქმა ბაღი მოამშვენიანა“ (შალ. 1985:83).

-იან სუფიქსიან წარმოებას ვხვდებით გ. ლეონიძისეულ ზმნაში მოირთვლიანა: „მსოფლიო შენგან მოირთვლიანა!“ (ლეონ. 3). სათავისო ქცევის ზმნა ნაწარმოებია სიტყვისგან რთველი → რთველ-იან-ი.

ზმნური ნეოლოგიზმით „ჩააბალღამა“ ი. გრიშაშვილმა გამოხატა მწარე რეალობა: ოცნებისა და სინამდვილის მკვეთრი დაპირისპირება: „ოცნება სინამდვილეზე ჩააბალღამა“ (გრიშ. 1989:74) (=ბალღამად, დარღად და შხამად აქცია). ჩა-ზმნის-წინით ფრაზას შეემატა სიმბაფრე, მოქნილობა და ტრაგიკული ქლერადობა.

მოქმედებითი გვარის ახალწარმოქმილ ზმნებში პოეტები იშვიათად იყენებენ III სერიის ფორმებს:

აუკუნთია: „შეხედავ, უხმოდ სამივეს მქლავები აუკუნთია“ (ლეონ. 4). აქ ახლებური ელფერი მიღწეულია ზმნისწინით: შდრ. დაუკუნთია – აუკუნთია.

დამეპატიმრა: „დამეპატიმრებინას“ უთემისნიშნო ფორმაა II თურმეობითში: „მინდოდა ცრემლი დამეპატიმრა“ (გრიშ. 1989:194). თითქოს ამ ზმნით უფრო გამჭვირვალეა სათქმელი, რომ ცრემლი პოეტს პატიმრად ექცა.

### ვნებითი გვარის ზმნური ნეოლოგიზმები

ვნებითი გვარის ზმნებში, ცხადია, ჭარბობს დ-სუფიქსიანი ფორმები, რადგან ეს წარმოება ყველაზე პროლექტიულია ნასახელარი ზმნებისთვის და დადასტურებულია აწმყოს, ხოლმეობითის, მყოფადის, წყვეტილის, I თურმეობითის მწკრივებში.

(pr) – დ+ებ(ა) ყალიბის ზმნა ხშირად გამოხატავს გარდაქცევითობას და ნაწარმოებია საკუთარი ან საზოგადო არსებითი სახელისაგან:

აგიწალვერდა: „ალბათ ეხლა თვალი აგიწალვერდა“ (გრიშ. 1989:216).

ათინათინდა: „ათინათინდა ვარსკვლავთ ჭავლეთი“ (ასათ. 1979:67).

ვერცხლდება: „ტყე განათდება ქედზე – ირემზე,

ვერცხლდება არე“ (ტაბ. 2011:67).

**თავთავდება:** „იმედებით თავთავდება“ (შალ. 1985:16).

**გაქარბუქდა:** „გაქარბუქდა,

აიწყვიტა აღვირი და არტახი“ (ჯავ. 1986:327).

**შემოშიკრიკდა:** „დაუკითხავად შემოალაჯვა

და შეუმჩნევლად შემოშიკრიკდა“ (ჯავ. 1986:365).

**ამთვარებულან:** „ამთვარებულან ვნებინად ასულო ბორცვები“ (ავარ. 1985: 16).

ზოგჯერ პოეტი საწარმოებელ ფუძე ირჩევს სახელის ბრუნვის ფორმას და ქმნის ახალ სიტყვას. მაგალითად, ზმნა „გაუტოლადი“: „გულო! მებრძოლებს გაუტოლადი“ (გრიშ. 1989:232): შდრ. „გაუტოლდი“ (ტოლი → ტოლადი → გაუტოლადდი).

**ზედსართავი** სახელისგანაა ნაწარმოები **გამუდმივდება:** „გამუდმივდება სიმღერები სამგლოვიარო“ (ავარ. 1985:19).

იშვიათად ზმნის ამოსაგალი ფუძე მიმღეობაც არის:

**ავმღელვარდი:** „...სჩანს კიდევ ავმღელვარდი!“ (გრიშ. 1989:185): შდრ. „ავ-ღელდი“.

**ზმნისწინა** შეცვლილი ზმნაში „ავმარტოვდი“ (შდრ. „განვმარტოვდი“):

„ძლივს ავმარტოვდი!“

ძლივს მელირსა ამ მთების ხილვა!“ (გრიშ. 1989:157).

პოეტისეული ზმნური ნეოლოგიზმი ხაზს უსვამს სიმარტოვის იღუმალებას. ამ ფუძის ორპირიანი აქტიური ფორმა დადასტურებულია ქეგლ-ში: „შავი ფიქ-რები... აცარიელებდნენ და ამარტოვებდნენ ესმას გულს“ (წერეთ.) (ქეგლ I:293), მაგრამ მას მარკირებულად ვერ მიგრინეთ.

ზმნა „ასაღამურდა“ მიღებულია სახელისაგან „სა-ღამ-ურ-ი“ ა- ზმნისწინის დართვით, -ურ სუფიქსი აქ დაღამების გამორჩეულობასა და დაბინდული თვალების სინაზეს უსვამს ხაზს:

„ასაღამურდა... და შენს თვალებში,

და შენს თვალებშიც ასაღამურდა“ (გრიშ. 1989:114). ქეგლ-ში შეტანილია ასაღამურდება ფორმა: „ნუ დაგიმონებს მგლოვიარება, თუ ულოდნელად ასაღა-მოვდეს“ (ტაბ.). (ქეგლ, I:598).

აღსანიშნავია ზმნა „დაგნანდები“: „მწამს სხვაზე მეტად შენ დაგნანდები“ (გრიშ. 1989:203). პოეტმა პრეფიქსიანი წარმოება დაგენანები ჩაანაცვლა სუფიქსიანით და ამგვარად მიიღო ნეოლოგიზმი.

როგორც მოსალოდნელი იყო, ი- და ე-პრეფიქსიანი, ასევე უნიშნო ვნებითი გვარის ზმნები უფრო იშვიათად გვხვდება პოეტების ენაში:

**pr+o - ებ:** ა- ზმნისწინის ჩანაცვლებით მიღებულია **ი-პრეფიქსიანი** ვნებითის ფორმა „აიწება“ (შდრ. „დაიწება“, „გადაწება“), ეს ზმნისწინი ტაებში ცისკენ სწრაფ-ვას მიუთიოებს: „მზის ეშხზე აიწება. მზის ეშხზე ამდნარა“ (გრიშ. 1989:109).

**„დასისხლულა“** (ნიშნავს: სისხლად ქცეულა-ს): „პა, უცქირე, ცა დასისხ-ლულა“ (გელ. 1978:155). „დასისხლიანებულა“-ს ნაცვლად პოეტმა გამოიყენა „და-სისხლულა“ (I თურმეობითი).

## Ø + ე – ებ(ა):

გამოყოფთ რამდენიმე წეოლოგიზმს ე-პრეფიქსიანი ვწებითის ფორმითაც. მაგალითად, გ. ტაბიძე რამდენჯერმე იყენებს ნასახელარ ზმნას ეალუბლება, მაგრამ ყოველთვის განსხვავებულ ელფერს ანიჭებს:

„ვისაც იმედის შუქი ეალუბლება“ (ტაბ. 1) – ალუბალივით ესახება;

„მას მომავალი ეალუბლება“ (ტაბ. 1977:207) – ალუბლისფრად ეჩვენება;

„დროს ისე ღიმილით არ ეალუბლება თავისუფლება“ (ტაბ. 2011:168) – ალუბალივით უღიმის.

რაც შეეხება ზმნას ემგოსნება, ნიშნავს, რომ ვინმეს მგოსანივით ეუბნება ლექსებს: „დღეს პირველად ვემგოსნები“ (შალ. 1985:43).

უკარდიანებს ან უკარდიანდება მარკირებული ზმნური ფორმებია, მაგრამ იმავე ფუძის ე-პრეფიქსიანი ზმნა კიდევ უფრო ექსპრესიული ჩანს: „პირი მოევარდიანა“ (ლეონ. 3) – ვარდისფერი/ვარდის მსგავსი გაუხდა. ეს ზმნა ერთ ქართულ საწესო ლექსშიც დასტურდება:

„გუშინ ბიჭმა დედისერთამ

ზეცის კარი გადიარა –

ტანსა ეცვა თეთრი ჩოხა,

ქუდი მოევარდიანა“ ნიშნავს, რომ ქუდი ვარდებით მოურთავს, რაც მეტაფორულად მიგვანიშნებს გაზაფხულის დადგომაზე (იხ. სიხარულიძე 2006).

ზმნისთვის „მეტიმილება“ („იქიდან მეტომილება“, ლეონ. 5) ამოსავალია მას-დარი „ლიმილი“. ავტორმა ამ სიტყვისგან ხელახლა აწარმოა ორპირიანი ზმნა: მეტიმილება (ის მე), შდრ.: მიღიმის (ის მე).

ე-პრეფიქსიანი ზმნური წეოლოგიზმი შეიძლება მიღებული იყოს შეუგუშმავი ფუძისგან. მაგ., „მომესალამა“: „მუხიდან მომესალამ“ (კალ. 1985:19), შდრ. „მომესალამა“. ცხადია, მსგავს შემთხვევებში გადამწყვეტია ლექსის რიტმისა და მარცვალთა რაოდენობის დაცვის აუცილებლობა.

ეწ. მიჩნევის ვნებითები ხაზს უსგამს დასახელებული საგნის ან მოვლენის სუბიექტურ აღქმას:

ეჯადოსნება: „ყურს რა რიგ ეჯადოსნება“ (ლეონ. 3)

გებადაგება: „ძმარიც კი როცა გებადაგება“ (შავ. 1991:53).

მებულბულება: „ფრინველებში შაშვი მიყვარს,

შაშვი მებულბულება“ (ნიშ.).

უნიშნო ვწებითის ფორმაა აჭინარა: „მზის ეშხზე აიწვა, მზის ეშხზე აჭინარა“ (ვრიშ. 1989:109), სიახლე მიღწეულია ზმნისწინის შეცვლით: შდრ. „გა-მდნარა“, „და-მდნარა“, შდრ. ა-მდნარა.

საშუალი გვარის ზმნური წეოლოგიზმები

## Ø – (ა)ობ(ს):

მედიოაქტივებში ჭარბობს -ობ თემის ნიშნიანი წარმოება და იქმნება შეკუმშელი შედარება:

„ნიავობდა“: „ნიავობდა ვარდი...“ (ვრიშ. 1989). პოეტი საუბრობს ვარდზე და სურს გამოხატოს, როგორ ირწეოდა ის ნიავის მობერვაზე.

ყანაობს: „და შუბლის წინამო ნიავზე ყანაობს!“ (კრიშ. 1989:171).

მერცხლაობდნენ: „მერცხლაობდნენ და მათ ტუჩზე აღუბლების ბაღი სჩან-და“ (კრიშ. 1989:185).

„შოლტაობდა“ გრიშაშვილისეული ფორმაა, ომელიც დადასტურებულია ქეგლ-შიც: შოლტივით ირხეოდა (ქეგლ., VII:1426):

„ოქროს ცოცხად იშლებოდა ბრილანტის შადრევანი

და მის ქვეშე ცისარტყელად შოლტაობდა შენი ტანი“ (კრიშ. 1989:138).

ფერწითლობს, ფერჭრელობს: „ზეცა ფერწითლობს...

მიწა ფერჭრელობს“ (ძაჲ. 1991:385).

წყვეტილში ამ ტიპის მედიოაქტივი გამოხატავს გარდაქცევითობის პროცესის დასრულებას:

იცისარტყელა: „ცამ გაუსხივა არწივებს,

იცისარტყელა უცებ“ (კალ. 1985:55), ე.ო. ცისარტყელად იქცა (ცაზე ცისა-რტყელა გამოისახა).

ზუსტად ეს ფორმა გვხვდება თანამედროვე პოეტების ენაშიც:

„ჩამოიარეს დასჯილმა და მოკლულმა

ნისლის ღმერთებმა, ნიადაგი არ მოქმედნათ.

იცისარტყელებს:

შენ დაგრჩი სადმე უღელტეხილზე“ (ნატა ვარადა: იხ. ქვეპ.).

ამ მაგალითში სიტყვის მნიშვნელობაა ცისარტყელად იქცნენ.

მეორე შემთხვევაში კი ზმნას მეტაფორული დატვირთვა აქვს: ცისარტყელა-სავით დიდებული, სახელოვანი გახდა:

„ვინც ისახელა, იცისარტყელა,

შენს ტერფებზეა მტვრად შენაფშვენი“ (ზ. კანდიდაშვილი).

ზოგიერთი ზმნის ნეოლიგიზმად მიჩნევის საფუძველი შეიძლება იყოს პი-რიანობის ზრდა ან კლება. მაგალითად, ერთპირიან ზმნაზე „კელაპტარობს“ ირი-ბობიექტური პირის ნიშნის დამატებით მიიღება ექსპრესიული ორპირიანი ფორმა: „მიკელაპტარონ“ (=კელაპტრად ამენთონ): „მომიგონონ და მიკელაპტარონ“ (საკ. 1978:212).

ლაკონიური და მოქნილია მ. მაჭავარიანისეული „იხელახლებს“ (მიღებული ზმნიზედისაგან ხელახლა) და აღნიშნავს ხელახლა დადგვომას:

„ერთხელ რომ იდგა, —

იხელახლებს იმგვარი დრო და...“ (ძაჲ. 1991:301).

pr – ის:

დამსხივის: „გრძნობა ფრთასა შლის, სევდა დამსხივის!“ (კრიშ. 1989:73). ეს ფორმა ნაწარმოებია დამნათის ზმნის ანალოგით და ნიშნავს: „სევდა სხივით დამნათის“, რითაც ხაზი ესმება სევდის სიძლიერეს.

ახლებური ელფერი შეიძლება მიენიჭოს ზმნას ფუძისეული სმოვნის ცვლი-თაც. მაგალითად, „უინავს“, ნაცვლად ფორმისა „უინავს“ (=წვეთავს):

„შემოღვომის წვიმა

მწუხარებით უინავს“ (ავარ. 1985:12).

**თემის** ნიშნის ცვლითა (-ავ ნაცვლად -ი-სა) და ფუძეში ა- ხმოვნის ჩამატებით არის წარმოქმნილი „**სცარავს**“ ფორმა (შდრ. ცრის). შესაძლებელია, პოეტმა ეს რიტმის შესანარჩუნებლად გამოიყენა:

„წვიმს. **სცარავს.** ცივა.

კნესის გული, მტკიგა“ (აგარ. 1985:12)<sup>6</sup>.

ზმნა „**ცარავს**“ სხვა მნიშვნელობითაა დადასტურებული **ქველ-ში**: უკუღმა ტრიალით შლის, არღვევს (დაძახულ, დაგრეხილ ძაფს, თოკს). საილუსტრაციო მასალად მოხმობილია ნაწვეტები აკაკი წერეთლის ტექსტებიდან: „ერთი რომ ართავს, მეორე **ცარავს**“. ფიგურალური მნიშვნელობით: საუკუნე... „უკუღმას წაღმა აბრუნებს და წაღმას **უკუღმა ცარავს**“. ეს სიტყვა გვხვდება აკაკი წერეთლის გამოუქვეყნებელ ლექსში „ხმა“:

„ბოლოს ვერ აბამს ხელსაქნარს,

რაღაცა უშლის სიწმინდეს,

უკუღმა **სცარავს** თითისტარს“ (იხ. ქვეკ)

გ. აგარელის ზემოთ დასახელებულ ტაეპში ფორმა ოკაზიონალურია და ნიშნავს, რომ წვიმა ცრის.

ფურადებას იპყრობს მ. მაჭავარიანისეული ზმნური ნეოლოგიზმები, როგორც ორსიტყვიანი ფრაზების ჩამნაცვლებელი:

„მოიპარიზა, **მოირომა**, **მოისტიმბოლა**,

**მომოსკოვება** არ ადროვა ყინვამ ძლიერმა“ (მაჭ. I).

**მოიპარიზა** იგივეა, რაც მოიარა პარიზი, **მოირომა** – მოიარა რომი, **მოისტიმბოლა** – მოიარა სტამბოლი, **მომოსკოვება** – მოსკოვის მოვლა. ამით პოეტმა ფრაზა უფრო ლაკონიური და დინამიკური გახადა, რადგან ერთი ზმნით გადმოსცა ორსიტყვიანი ფრაზის აზრი.

„**მაკალმახა**“ ნატვრითობის შემცველი ერთპირიანი მედიოაქტიური ზმნაა, რომელიც შექმნილია იმავე ყალიბით, როგორითაც **მათვეზავა** (თუვზაობს ზმნის ანალოგით მიღებულია **კალმახობს** ფორმა, აქ კი გამოყენებულია წყვეტილში ნატვრითობის შინაარსით):

„აქ რომ ერთი **მაკალმახა**“ (მაჭ. 1991). ანუ: ნეტა აქ კალმახი დამაჭერინა.

უნდა შევეხოთ **ირონიული** ელფერის კალაბბურულ ნეოლოგიზმებს, რომელებიც შექმნილია სხვა სიტყვასთან ასოციაციური კავშირის საფუძველზე. ასეთი ფორმები განსაკუთრებით ხშირად დასტურდება ვ. ჯავახაძის ენაში.

მაგალითად, პოეტმა ფრანგული სიტყვისგან „პარდონ“ (უკაცრავად, ბოდიში) აწარმოა სინონიმური ზმნა, რომელიც ფორმის გამო ასოციაციურად უკავშირდება სიტყვებს: მიეპირფერა, მიელაქუცა:

„შვეიცარს მოუბოდიშა

და ბარმენს **მიეპარდონა**“ (ჯავ. 1986:255).

<sup>6</sup> ჟინაგს და **სცარავს** ფორმები არაა დადასტურებული დიალექტურ ტექსტებში (იხ. ქდკ.). შდრ. ჟინელავს, წვიმა ცრის.

სიტყვა „ჩააფულფულა“ დასცინის გამოცდის ფულითა და ნაცნობობით ჩაბარებას, ფორმითა და უღერადობით მოგვაგონებს სიტყვას: „ჩააბულბულა“, რომელიც ნიშნავს გამოცდაზე ან გაკვეთილზე სხაპასხუპით რამის მოყოლას, მაგრამ ახლავს უარყოფითი ელფერი: ასე მხოლოდ დაზუთხულსა და დაზეპირებულს ჰყვებიან, ამიტომაც ამძაფრებს სათქმელის ირონიულობას:

„მამიკო ჰყავდა ბობოლა,

გამოცდაც

ჩააფულფულა“ (ჯავ. 1986:290).

ზმნისწინი გამო- „გამოაკადემიკოსდა“ ზმნას ასოციაციურად უკავშირებს ნებატიური სემანტიკის ვულგარულ სიტყვებს: გამოჩერჩეტდა, გამოტვინდა, გამოსულელდა, გამოლენჩდა... და ხაზს უსვამს პოეტის ირონიულ დამოკიდებულებას ფსევდომეცნიერებისადმი:

„დრო იკითხა,

ჩუმად რაღაც

ჩაილაპარაკა,

გამოაკადემიკოსდა“ (ჯავ. 1986:139).

დასასრულ უნდა აღვინიშნოთ, რომ, მართალია, პოეტური ნეოლოგიზმები ხშირად ერთჯერადი გამოყენებისაა, მაგრამ მათი ნაწილი მაინც ამდიდრებს ენის ლექსიკურ და ექსპრესიულ შესაძლებლობებს. ამიტომ ოკაზიონალიზმთა წარმოება ენის გამდიდრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა. ოკაზიონალური ლექსიკური ერთეული იქმნება კონკრეტულ კონტექსტში გარკვეული მხატვრული ეფექტის მისაღწევად და მას ე.წ. ერთჯერად სიტყვასაც უწოდებენ, თუმცა ზოგჯერ სალიტერატურო ენაშიც იმკვიდრებს ადგილს. აღნიშნული ხერხი ფართოდ არის გავრცელებული მხატვრულ ლიტერატურაში, განსაკუთრებით კი – პოეტურ დისკურსებში.

ამ მხრივ უაღრესად საინტერესოა XX საუკუნის ქართველი პოეტების ენა. ზმნური ნეოლოგიზმები შევისწავლეთ გალაკტიონ ტაბიძის, იოსებ გრიშაშვილის, გიორგი ლეონიძის, ლადო ასათიანის, მუხრან მაჭავარიანის, გახტანგ ჯავახაძისა და სხვათა პოეზიაში. განხილული მასალა საშუალებას გვაძლევს გამოყოთ ამგვარ ნეოლოგიზმთა წარმოების ყველაზე გავრცელებული საშუალებები.

აქტიურ ზმნათა საწარმოებლად პროდუქტიულია ყალიბი: (pr+)ა – ებ(ს);

პასიურ ზმნებთან – (pr+) – დ+ებ(ა), გვხვდება ასევე: ი – ებ(ა) და ე – ებ(ა) წარმოებაც;

**საშუალი** გვარის ზმნებთან: Ø – ობ(ს).

ზმნურ ნეოლოგიზმთა წარმოსაქმნელად ქართველი პოეტების ენაში გამოვყავთ რამდენიმე გავრცელებული ხერხი:

1. პარონომაზიული სინტაგმები ნასახელარ ზმნასთან: „ხალხი გახალხდა“, „ღმერთსაც გააღმერთებ“, „ტაშებით მეტაშტაშები“;
2. უზუალურისაგან განსხვავებული ზმნისწინების გამოყენება ზმნურ ფუძესთან: „ამდინარა“, „ავმარტოვდი“;

3. თემის ნიშნის შეცვლა ზმნასთან: „სუარავს“;
4. სინონიმური სემანტიკის სწვა მაწარმოებლის გამოყენება: „მოამზებენიანა“;
5. ფუძისეული ზმნის შეცვლა: „უინავს“;
6. ამოსავალი ფუძის შეკუმშვა ან გავრცობა რიტმის შესანარჩუნებლად: „მომე-სალამა“;
7. არსებული ფორმის ანალოგით ასოციაციურად ირონიული ელფერის გაძლიერება: „ჩაფულფულა“.

მოძიებული ფორმებით კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ ქართულ ენას აქვს უნარი თითქმის ყველა მეტყველების ნაწილისაგან აწარმოოს ზმნა, განსაკუთრებით ხშირად კი – არსებითი და ზედსართავი სახელებისაგან, ამასთან, რომელიმე კატეგორიის ან მაწარმოებლის ცვლა ანიჭებს ზმნას ახლებურ სემანტიკურ ნიუანსს.

ზმნური პოეტური ნეოლიგიზმები მე-20 საუკუნის ქართული პოეზიის ენაში უმეტეს შემთხვევაში აძლიერებს ენის ექსპრესიულობასა და მოქნილობას, ასევე მატებს ლექსს მუსიკალობას.

## **ლიტერატურა**

**კოვოლაშვილი 1977:** გ. გოგოლაშვილი, ვნებითი გვარის ნასახელარ ზმნათა საყრდენი ფუძის შესახებ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 187, თბილისი, 5-12.

**კიკნაძე 1946:** ლ. კიკნაძე, ძირული და ნასახელარი ზმნები ქართულში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 28, თბილისი, 163-178.

**კობიაშვილი 1998:** ლ. კობიაშვილი, ნასახელარი ზმნები საშუალ ქართულში (XVI-XVIII სს. ლიტერატურული ძეგლების მიხედვით), თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის შრომები, №4, თბილისი, 103-126.

**ლოლაძე 1998:** ნ. ლოლაძე, ნასახელარ ზმნათა მოდელები თანამედროვე ქართულში, საენათმეცნიერო ძეგბანი, ტ. VII, თბილისი, 80-83.

**მუზაშვილი 1984:** ნ. მუზაშვილი, ზმნისწინთა ფუნქციები ნასახელარ ზმნებში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 10, თბილისი, 123-129.

**მუზაშვილი 1993:** ნ. მუზაშვილი, ნასახელარი ზმნები ქართულ ენაში, საკანდ. დისერტაცია (ხელნაწერი), თბილისი.

**ომიაძე 1995:** ს. ომიაძე, სიტყვათა სემანტიკური ჯგუფები და „შეუძლებელი შეხამბანი“ თანამედროვე პოეზის ენაში, საკანდ. დისერტაცია (ხელნაწერი), თბილისი.

**ომიაძე 1998:** ს. ომიაძე, პოლისემიის, ომონიმიისა და პარონიმიის ფუნქციები მხატვრულ ტექსტში (ტარიელ ჭანტურიას პოეზიის მიხედვით), ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, XI, თბილისი, 207-228.

**ჯღენტი 1986:** D. Shghenti, Denominale Verben im modernen Georgisch, *Sprachbau und Sprachwandel* (wissenschaftliche Bearbeitung, Heinz Fähnrich), Friedrich-Schiller-Universität Jena, 110-125.

*რობერტალი, ტელეგრაფი 1976:* Д. Э. Розенталь, М. А. Теленкова, Словарь-справочник лингвистических терминов, Пособие для учителей, Изд. 2-е, испр. и доп., издательство “Просвещение”, Москва.

*სიხარულიძე 2006:* ქ. სიხარულიძე, იმერიულ-კავკასიური მითოლოგია, გამომცემლობა „გავგასიური სახლი“, თბილისი, <http://astroblogi.com>.

*ტუსეკა, კაჭარაძე 2014:* გ. ტუსეკა, თ. კაჭარაძე, ნასახელარ ზმნათა წარმოქმნის თავისებურებანი ქართულში, არჩ. ჩიქობავას საკითხავები, XXV, 63-65.

*უნდ 1989:* უნდ სიტყვათა ლექსიკონი (შემდგ. გ. ჭაბაშვილი), მე-3 შესწორებული და შევსებული გამოცემა, „განათლება“, თბილისი.

*ფერქინშვილი 2009:* ე. ფერქინშვილი, ენათმეცნიერული ძიებანი, თბილისი, 287-302.

*ულ:* Энциклопедический словарь филолога (ფილологიის ენციკლოპედიური ლექსიკონი), <http://slovarfilologa.ru/131/>.

*ქ 2008:* ქართული ენა. ენციკლოპედია (შემდგენელი ი. ქობალავა, რედაქტორი გ. კვარაცხელია), გამომცემლობა „ეროვნული მწერლობა“, თბილისი.

*ქაბლ:* ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I, თბილისი, 1950; ტ. V, 1958; ტ. VII, 1962.

*ქურდიანი 2007:* მ. ქურდიანი, სამი სემიოტიკური ეტიუდი „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ, სემიოტიკა, №1, თბილისი, 164-180.

*ღლონტი 1988:* ალ. ღლონტი, ქართული ლექსიკოლოგის საფუძლები, „განათლება“, თბილისი.

*შამელაშვილი 1980:* რ. შამელაშვილი, ოსურ გრიშაშვილის თხზულებათა ლექსიკა, საკანდ. დისერტაცია (ხელნაწერი), თბილისი.

*შანიძე 1919:* ა. შანიძე, ნასახელარი ზმნები ქართულში, ტფილისის უნივერსიტეტის მთაბეჭ, 1, I ნაკვეთი, სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი, 87-96.

*შანიძე 1956:* ა. შანიძე, ვეფხისტყაოსნის სიმფონია, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 3, თბილისი.

*შენგელია 1990:* დ. შენგელია, ნასახელარ ზმნათა სტრუქტურულ-სემანტიკური თავისებურებანი XVII-XVIII საუკუნეების ქართული ენის წერილობითი ძეგლების მახასიათ, საკანდიდატო დისერტაცია (ხელნაწერი), თბილისი.

*ჭიკაძე, 2008:* ნ. ჭიკაძე, ზმნური სიტყვათწარმოება და ნასახელარ ზმნათა სემანტიკური დიფერენციაცია მხატვრულ ტექსტში ქართულში, საენათმეცნიერო ძიებანი, ტ. XXVII, თბილისი, 260-273.

## წყაროები

*აგარ. 1985:* გ. აგარელი, უნილუვი ზარები (ლექსები), გამომც. „საბჭოთა საქართველო“, თბილისი.

*ასათ. 1978:* ლ. ასათიანი, მ. გელოვანი, ა. საჯაია, ლექსები, ბალადები, პოემები, ზღაპრები, „ნაკადული“, თბილისი.

*გვლ. 1978:* ლ. ასათიანი, მ. გელოვანი, ა. საჯაია, ლექსები, ბალადები, პოემები, ზღაპრები, „ნაკადული“, თბილისი.

*გრიშ. 1989:* ი. გრიშაშვილი, ჩემი აღმართი (ლექსები), „მერანი“, თბილისი.

*კალ. 1985:* ა. კალანდაძე, ლექსები, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი.

**ლეონ. 2008:** გ. ლეონიძე, 100 ლექსი, „ინტელექტი“, თბილისი.

**მაჭ. 1991:** გ. მაჭავარიანი, ოხზუღებანი სამ ტომად, ტ. I (ლექსები, პოემები), „მე-რანი“, თბილისი.

**რუსთ.** 1957: შოთა რუსთაველი, კეფხისტყაოსანი (სარედაქციო კოლეგია: ალ. ბარა-მიძე, ქ. ქმპელიძე, ა. შანიძე), სახელგამი, თბილისი.

**საჯ.** 1978: ლ. ასათიანი, მ. გელოვანი, ა. საჯაია, ლექსები, ბალადები, პოემები, ზღაპრები, „ნაკადული“, თბილისი.

**ტაბ.** 1977: გ. ტაბიძე, რეკული, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი.

**შალ.** 1985: ო. შალაბერიძე, თუ შეიძლება... (ლექსები), „მერანი“, თბილისი.

**ჯავ.** 1986: ვ. ჯავახაძე, სხვადასხვა (ლექსები), „საბჭოთა საქართველო“, თბილისი.

### ინტერნეტ-რესურსები

**ლეონ.1:** გ. ლეონიძე, <http://litklubi.ge/biblioteka/view-nawarmoebi.php?id=14858>

**ლეონ.2:** გ. ლეონიძე, <http://litklubi.ge/biblioteka/view-nawarmoebi.php?id=13044>

**ლეონ.3:** გ. ლეონიძე, <http://www.geocities.ws/komblege/poem.htm>

**ლეონ.4:** გ. ლეონიძე, <http://litklubi.ge/biblioteka/view-nawarmoebi.php?id=13084>

**ლეონ.5:** გ. ლეონიძე, <http://www.bu.org.ge/x2889?lang=geo>

**ნიშ.** : შ. ნიშნავანიძე, <https://litklubi.wordpress.com/category>

**ტაბ.1:** გ. ტაბიძე, <http://galaktion.ge/?page=Translations&year=1931&p=1&id=3170>

**ქმპ:** ქრონიკი ქნის ეროვნული კორპუსი, <http://clarino.uib.no/gnc/concordance>

**ქც:** ქრონიკი დალექტური კორპუსი, <http://www.mygeorgia.ge/gdc/Default.aspx>

Rusudan Zekalashvili, Elene Kiknadze

### Verbal Neologisms in the Georgian Poetic Discourse

#### Summary

Creative process along with some other means involves word derivation. The masters of poetic art often produce neologisms or so-called occasionalisms. The derivation of occasionalisms is one of the main sources for enriching the language. It is also a way to increase expressiveness of poetry and fine literature. A lexical unit is occasional if it is created to reach a certain artistic effect in a particular context. Such units are also named as “one-time words” (for one occasion only), but they often take root in the literary language. This method is widely spread in fiction.

Despite the fact that some linguists do not consider occasionalisms independent lexical units, we suppose that they are lexical components of the language. Those words differ from usual ones but their derivation reveals the derivational-expressive potential of the language and confirms its viability. Such derivation is a usual phenomenon we come across not only in literature but in mass media and colloquial speech.

The rich word-derivational potential of the Georgian Language creates a fertile ground for the derivation of the authors' neologisms and enables outstanding writers to create lots of derivatives: nouns, adjectives, composites or verbals.

The long-time tradition of derivation of the verb occasionalisms developed in the Georgian literary language. Many forms of verbals are acknowledged in the Georgian religious and secular literature, in folklore and scientific literature, as well as in colloquial speech. The Georgian poets of the last century revived the techniques of derivation of neologisms used by Old and Middle Georgian authors and created new lexical units enriching the language.

The lexis of the 20<sup>th</sup>-century Georgian poets is especially rich in the authors' neologisms. They used the neologisms which helped them to emphasize and enrich the melodiousness and expressiveness of their poetry. However, creating new words was not their goal in itself. They were well aware that if it were so, poetry would turn into a formal experimental laboratory.

From this viewpoint, the article deals with the language of XX century Georgian poetry, namely, the poetry of Galaktion Tabidze, Ioseb Grishashvili, Giorgi Leonidze, Terenti Graneli, Alexandre Sajaia, Lado Asatiani, Mukhran Machavariani, Shota Nishnianidze, Ana Kalandadze, Vakhtang Javakhadze, Tariel Chanturia and others. As a result, basic derivational models of neologisms were marked out.

The obtained material confirms once again that the Georgian Language is capable of transforming any part of speech into a verb, most frequently – nouns and adjectives.

For the derivation of **active** verbs the following model is the most productive: **(pr)+a – eb;**

With **passive** verbs: **(pr)+ – d+eb** (there also exist models: **i – eb, e – eb**);

With the **medium** verbs we have: **Ø – ob**.

Georgian poets use the following means to derive verb occasionalisms in their poetry by:

1. Creating a **paronomastic model** with a verbal: “*xalxi gaxalxda*” (“people turned into people”), “*tašebit meťaštašebi*” (“with clapping hands you play hand-clapping with me”); “*ymertsac gaaymerteb*” (“will worship the God”);
2. Using **preverbs** with the verb stems differently: “*amdnara*” (“has melted (up)”), “*avmarłovdi*” (“began isolating myself (up)”);
3. Replacing the **theme marker** with a verb: “*scaravs*” (“drizzles”);
4. Using the word of the same semantics but another **derivational** stem: “*moamšveniana*” (“made it look beautiful”);
5. Altering the **stem-sound**: “*žinavs*” (“percolates/a very fine rain drops”);
6. **Contracting** or **extending** the original stem in order to maintain the rhythm: “*momesalama*” (“greeted me”);
7. Making a neologism through **analogy** with the existing form, providing **ironic** color: “*čaapulpula*” (puli – money < čaapulpula – “gave much money for exams”).

Verb occasionalisms usually strengthen the expressiveness and flexibility of the Georgian poetic discourse, provide additional melodiousness and reveal new semantico-stylistic nuances.

მართვადის საკითხები

ხელშეკრულობის, ურთისესობის, მომრავლის, განვითარების და სახელმწიფო მიზანების შესახებ

მცენარეთა სახელები, მათი მნიშვნელობები და ამ სახელებთან დაკავშირებული რეალური ბოტანიკური სახელები შეიძლება განვიხილოთ როგორც ერთმანეთზე დამოკიდებულ სისტემათა სიმრავლე. ამ სისტემათა ბუნება და ერთმანეთზე დამოკიდებულება აიხსნება სამი მიღების გაერთიანების საფუძველზე.

პირველი მიღები არის ლინგვისტური, უპირველეს ყოვლისა, ფონოლოგიური და მორფოლოგიური, რომლის საფუძველზე გვეძლევა ძირითადი ინფორმაცია პროტოფუძების (ძირების) ფონოლოგიური და მორფოლოგიური შედგენილობის შესახებ. პროტოფონოლოგიასა და მორფოლოგიას უფრონება პროტოსემანტიკური ინტერპრეტაციები. ამ შემთხვევაში სინტაქსი ნაკლებ მნიშვნელოვანია პროტოტექსტების არარსებობის გამო, გარდა იმ მცირე გამონაკლისებისა – პროტოსინტაგმებისა, რომლებიც ხეთა სახელებს შეიცავენ. ფონოლოგიური და მორფოლოგიური პარამეტრები შეადგენენ ლინგვისტურ სისტემას.

მეორე, პროტოფონომათა მნიშვნელობა უნდა აიხსნას, ერთი მხრივ, სიტყვისა და სიტყვათა ოჯახების ტრადიციული მეცნიერული ეტიმოლოგიებისა და, მეორე მხრივ, თანამედროვე ლინგვისტური ეთნოგრაფიისა და სტრუქტურული სემანტიკის მონაცემების კომბინაციის საფუძველზე. ეს უკანასკნელი ემყარება მორფემათა და სიტყვათა სიმრავლეებსა და ამ სიმრავლეთა განსაზღვრულ სემანტიკურ ნიშანთა შორის არსებულ კონტრასტულ და ვარიანტულ მიმართებებს. აღნიშნული ფილოლოგიური და ეთნოგრაფიული პარამეტრები შეადგენენ სემანტიკურ სისტემას.

მესამე, რეკონსტრუირებული ლექსიკონი შეიძლება მიემართებოდეს მონაცემებსა და სისტემებს, რომლებიც არც ლინგვისტურია და არც სემანტიკური. ამგვარი მონაცემები შეიძლება იცვლებოდეს არქეოლოგიური აღმოჩენებიდან (მაგ., მუხის ძელის შედგენილობა), პალეობოტანიკური მტგრის დიაგრამებამდე. არალინგვისტურ და არასემანტიკურ მთლიან ინფორმაციულ ველს კუსტურნალურ სისტემას უწოდებენ.

ასეთი კომპლექსური მიღები მომდინარეობს იქიდან, რომ ლინგვისტიკა სწავლობს ბერებისა და მნიშვნელობების სისტემებს ბუნებრივ ენაში და რეალობის ამ ორ დონეს შორის კავშირს; ივარაუდება, რომ ლინგვისტური (აქ ლექსიკური) მნიშვნელობა დაკავშირებულია ადამიანის ყოფასა და კულტურასთან. კომპლექსური მიღები ეფუძლა ლირებულ საბუთს იმისათვის, რომ მოგვცეს სრული ინფორმაცია წინარე ენის მატარებელთა ყოფისა და კულტურის შესახებ (Friedrich 1970).

მცენარეთა სახელები პარადოქსულ სურათს ქმნიან. ერთი მხრივ, ისინი არიან ბაზისური სემანტიკური პრიმიტივები (საწყისი ერთეულები), მეორე მხრივ, მათი რეფერენტების ბუნებიდან გამომდინარე, იცვლებან ეკოლოგიური ვითარებისა და ამა თუ იმ ენაზე მეტყველთა ერთობის ახალ რეგიონებში მიგრაციასთან ერთად.

ამიტომ მცენარეთა სახელების შესწავლა, ერთი შეხედვით, თითქოს არ უნდა იძლეოდეს იმგვარი უნივერსალური, გაფართოებადი მოდელების აგების შესაძლებლობას, როგორიც ნათესაობის ტერმინების, ან ფერთა აღმნიშვნელი სახელების შემთხვევაში გვაქვს (Berlin, Kay 1969; სოსელია 1979, 1999) და თავდაპირველად შეიძლება მხოლოდ ენის ისტორიის, ან ამა თუ იმ ენის მატარებელთა პირველსაცხოვრისის დამახასიათებელი მცენარეული სამყაროს დადგნისა და იდენტიფიცირების საშუალებად მიგვეჩნია. მაგრამ სწორედ ამ რიგის საკითხების კვლევისას წარმოჩინდება ის უაღრესად საინტერესო პრობლემატიკა, რომელიც ადამიანის აზროვნების უმნიშვნელოვანეს სფეროს – გარე სამყაროს კატეგორიზაციის მექანიზმს უკავშირდება. ენის კონტიური ფუნქცია, რომლის შესახებ ჯერ კიდევ გ. აზვლედიანი წერდა (ახვლედიანი 1949), ყველაზე ნათლად სწორედ ამ მიმართულებით იჩენს თავს.

ამ თეორიული წანამძღვრების საფუძველზე ვიძლევით ნეკერჩალი-, ურთხელი-, ძმერხლი-, წყავა- – ფუძეების ანალიზს ქართველურ ენებში.

## 1. „ნეკერჩალი“

ნეკერჩალი ფოთლოვანი ხეა; აქვს სამ-ხუთნაკვთიანი ფოთლები და ორფრთანი ნაყოფი. იზრდება ტყეებში. მერქანს ფართო გამოყენება აქვს სახარატო საქმეში (ქეგლ).

ა. მაყაშვილის „ბოტანიკურ ლექსიკონში“: ნეკერჩალი (*Acer*) სა. ნეკერჩალი; გურ. ლეკერჩალი; სვან. ფიხვა, ბიკინჩალ; (*Acer campestre* L.) ქართლ. და კახ. ნეკერჩალი, ნაკერჩალი; მთიულ. ნაკენჩალი; ფშ. კემერჩალი; ხევს. კიმერჩალი, ხემავარა; ფშ., ხევს. კენერჩალი; ზმ.-იმ. ძეკერჩალი; გურ. ლეკერჩალი; ინგილ. ნეკერჩალ; აჭ. ლეკმაკენჩა; მეგრ. ლაკინჩხა, მეხიკალი; სვან. ბიკინჩალ.

ქართ. ნეკერჩე-ალ-ი; მეგრ. ლაკინჩე- ლაკინჩე-ა „ნეკერჩალი“ ფუძეების შეპირისპირების საფუძველზე \*ნეკერჩა- არქეტიპი ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისათვის აღადგინა გ. კლიმოვა (Klimov 1998:140).

ქართულ ნეკერჩე- ფორმას შესატყვისება მეგრული ლაკინჩე- (<\*ნაკინჩე- <\*ნაკირჩე-; რჩ>ნჩ გადასვლა პოზიციურია, იხ. ულენტი 1953:123-124; ნ-ნ>ლ-ნ დისიმილაციით, რაც ახასიათებს დასავლურ ქართველურ არეალს. ჩ-ს შემდეგ ქ არ განვითარდა ხ-ს დისიმილაციური ზეგავლენით; ამ მოვლენის შესახებ მიუთითა გ. მაჭავარიანმა, იხ. გამყრელიძე 1959:21; ქართ. ე: მეგრ. ი: ლაზ. ი პოზიციური შესატყვისობისათვის იხ. მელიქიშვილი 1975:122-128).

სავარაუდებელია, ნეკურჩხ- რთული შედგენილობის ფუძე იყოს (ფენრიხი, სარჯველაძე 2000).

ზემოთ მოხმობილ მასალაში სვანური ეკვივალენტის შესახებ არაფერია ნათქვამი. არს. ონიანის ლექსიკონში აღნიშნული ფუძე შემდეგნაირად არის განმარტებული: ბეკურჩხალ- მეცემ ლი ი ბალას ი თოთ კელს ლგჯე ხივ, კლენ- ნეკურჩხალი ხე არის და ნორჩ ლეროში რძე უდგას. ბიკურჩხალ- ხოჩა მეცემ ლი. ამშა ფაუ ლახ ჯერუქნი, მათხევ ლოქ დეშ ხეთხვენი - ნეკურჩხალი კარგი ხე არის, მისი ჯოზი თუ გიჭირავს (გაქვს), მოჩვენება (ავი სული) არ გავნებს (ონიანი 1917).

ვ. თოფურიასა და მ. ქალდანის „სვანურ ლექსიკონში“ ბიკურჩხალ-ისა და მისი ვარიანტების შესახებ ვკითხულობთ: ბიკურჩხალ (-იშ, -ხალპრ) ბზ., ბიკურჩხალ, ბიკურჩხალ, ბიკურჩხალ (-იშ, -არ) ლაშხ., ბიკინჩხალ (-იშ, -ხალპლ ლნტ.) - ნეკურჩხალი. ბიკურჩხალ ხოჩა მეცემ ლი (ლაშხ., ხორ.5) - ნეკურჩხალი კარგი ხეა, შდრ. ნაკურუცხ.

ბიკინჩ იგივეა, რაც ბიკ. ბიკინჩხალ იგივეა, რაც ბიკურჩხალ იგივეა, რაც ბიკურჩხალ.

ბიკ (-იშ, -არ ზს., ლნტ., -არ ლშხ.), ბიკინჩ ლნტ. - კუნძი, ჯირკი. ბიკ ჯიცხახ? (ბზ) - კუნძი გირჩევნიათ?... და სხვ. გადატ. ზარმაცი, შეუგნებელი, უჯათი, გაუგებარი ადამიანი. იმერ ბიკ ხი? (ბზ.) - რა გაუგებარი ხარ? (თოფურია, ქალდანი 2000).

როგორც ზემოთ აღნიშნეთ, გ. კლიმოვის, ჰ. ფენრიხისა და ზ. სარჯველაძის ვარაუდით, ნეკურჩხ- რთული შედგენილობის ფუძე უნდა იყოს, ამ მოსაზრებას მხარს უჭერს სვანური ფუძეც; ქართ. ნე-კურჩხ-ალ: სვან. ბი-კურჩხ-ალ. აქაც, როგორც მეგრულში, რჩხნი გადასვლა პოზიციურია, ხოლო ჩს შემდეგ ქ არ განვითარდა ხს დისიმილაციური ზეგავლენით (შდრ. \*კრჩხ-, \*ჩხ-, \*ჩხამ-, \*ჩხართუ- და სხვ.).

ამგვარად, შესაძლებლად მიგვაჩნია ქართულ და მეგრულ შესატყვისებს და- ემატოს სვანური ფუძეებიც და \*ნეკურჩხ- არქეტიპი აღდგეს უკვე საერთო-ქართვე- ლური ფუძეების დონეზე.

## 2. „ურთხელი“

ურთხელი მაღალი, წიწვოვანი ხეა; აქვს მეტად ძვირფასი მოწითალო ფერის გამძლე მერქანი, მობრტყო წიწვი და მაგარი თესლი, რომელიც თითქმის მთლიანად დაფარულია კაშკაშა-წითელი, მოტკბო რბილობით; იზრდება მთის ტყიან სარტყელში, უმთავრესად წიფლნარებში (ქეგლ).

ა. მაყაშვილის „ბოტანიკურ ლექსიკონში“ ურთხელის შესახებ შემდეგი ცნობებია მოტანილი. ურთხელი (Taxus baccata L.), კახ., ფშ., ხევს. უთხოვარი; რაჭ., ლეჩხ., იმერ., გურ. ურთხმელა, ურთხველა; აჭ. მაღა, ურთხმელა, სატილია; ქ- რაჭ. წუთული (ნაყოფი); ქართლ. ურთხლი; სბ. საჯი; მეგრ. ურთხელი; სვან. ურთხელ, შაირა.

აღნიშნული ფუძე დასტურდება სულხან-საბასთან: ურთხლი (ურთხლი ABCDE) (ხე) ძელი ულპოლველი ZAB. ურთხლიარი, საჯი CD.

მეგრულში, როგორც ჩანს, ქართულიდან ნასესხები ფუძეა: ურთხლი-ი/-ა: ურთხლიში ოფირალი, ჯორი გეგ ბზაქალიში: ქს, I გვ. 339 – ურთხლის საფარველი (აქვს), ჯორი უდგას ბზისა (ქაჯაია 2002).

რაც შეეხება სვანურ ფუძეს, არს. ონიანის ლექსიკონში: ურთხლ ლეჩხ. „ურთხლა“ (негной дерево); ურთხლა ბიბილავ, ურთხლა მეგემს ხეშან წგრი ბიბილარ, მეგარ მუჭხურ ლი ლეზობდ. ჩულუქპელუში უგ ლოგ ლი – ურთხლის ხეს ასხია წითელი ბიბილები. ძალიან ტკბილია საჭმელად. გაციების წამალი არის (ონიანი 1917).

იგივე ფუძე აქვს მოტანილი კ. დონდუასაც: ურთხლ – ურთხლი (Тис) (დონდუა 2001).

ქართულ და სვანურ ძირთა საერთო-ქართველური სტრუქტურა გვავარაუდე-ბინებს საერთო-ქართველურ \*ურთხლ- არქეტიპიდან მათ წარმომავლობას.

### 3. „მმერხლი“

ქვევრებისა და ჭურების გასარეცხად აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართვე-ლოში დღემდე ხმარობენ სარცხლოს, სარცხს (შდრ. მეგრ. ორჩხაშე, ორჩხეში || ორჩხიში, „რეცხა“ ზმინისგან ნაწარმოები ტერმინი: ორჩხუში = სარცხ-ის-ი), რო-მელიც წარმოადგენს გრძელ, მაგარ, სწორ სარს, ბოლოში წამოცმული და ორი-ვე მხრიდან დამაგრებული ალუბლის მრავალკეცი ქერქით (ჯავახიშვილი 1986:659).

სამეგრელოსა და გურიაში სარს ბოლოში მმერხლის ფოთლების კონა აქვს წამოცმული.

„ბოტანიკურ ლექსიკონში“: მმერხლი (*Ruscus hypophyllum L.*) იმერ. ჯმერხლი, რაჭ., ლეჩხ. ჯილმეხი; ლაზ. ზერმეხი, ზურმეხი; მეგრ. ზორმეხი; სვან. ზგმეხ.

ო. ქაჯაიას „ქართულ-მეგრულ ლექსიკონში“: ზორმეხი – ბოტან. მმერხლი, შდრ. ლაზ. ზერმეხი, ზურმეხი (ნ. მარი, ა. მაყაშვილი).

ქართ. მმერხლ- : მეგრ. ზორმეხ- : ლაზ. ზერმეხ- || ზურმეხ- : სვან. ზგმეხ-, მმერხლი “ შესატყვისობის საფუძველზე შესაძლებელია აღვადგინოთ ს.-ქართველური \*მმერხლ- არქეტიპი შემდეგი გარდაქმნების საფუძველზე: ს.-ქართ. \*მმერხლ- ფუძემ ქართულში მოგვცა ძმერხლ-, -ლ სუფიქსური ელემენტია, რაზეც მეგრულის, ზანურისა და სვანურის შესაბამისი ფუძეები მიგვანიშნებს.

მეგრულსა და ლაზურში ადგილი პქონდა შემდეგ გარდაქმნებს: ს.-ქართ. \*მმერხლ- : ზან. ძმერხლ-, რომელმაც მოგვცა მეგრ. ზორმეხ- და ლაზ. ზურმეხ-; ანუ განხორციელდა შემდეგი ფონეტიკური პროცესები: σ > ζ დეზაფრიკა-ტიზაცია, სონანტი რ-ს მეტათეზისი და რ > ორ (Σ > VS) გარდაქმნა.

სვანურში ძ>ზ დეზაფრიკატიზაციისა და ძირის შემდგომი გამარტივების (რ>Ø) შედეგად, გვაქვს ზგმეხ- „მმერხლი“ ფუძე.

#### 4. „წყავი“

მწყავი (ხე) – ბალს ჰეგავს. ZABCDE – ასე განმარტავს სულხან-საბა. „ბოტანიკურ ლექსიკონში“: წყავი (Laurocerasus officinalis Roem). ქართლ. ჩქერი; ქვ. რაჭ., ლეჩხ. შქერი; ზმ. რაჭ. ლეშქერი, ლეშკა; სბ. მწყავი, ლაზ. მწკო, მწკოლი, წუ; მეგრ. წყოლი, წყი, წყივი, წყოვი, წყო; სვან. წყავ, წყევ.

მეგრულში: წყი, წყი (Кипшиძე 1914); წყიო – წყავი (ჭარაა 1997); წყე-ი, წყი-ი, წყი, წყილი, წყოვი, წყო; მდრ. ლაზ. მწკო, მწკოლი, წუ (მაგაშვილი 1961): თუნთის წყიშა ვემკალენია: ხალხ. სიბრძნე 1994:56 – დათვი წყავს გვერდს ვერ აუვლისო (ქაჯაა 2002).

სვანურში: წყეტ(-იშ, -არ) ზს., წყაუ (-არ) ლაშხ., ბოტან. 1. ბზ. ძალლყურ-მენა. 2. ბქ. წყავი. ნენხას ხავ წყეტ (ბქ. 228) – ტყეში წყავი არის (დგას).

ქართველ სტუდენტებთან მუშაობის დროს ცვლილობით, მსგავსი სიტყვები გამომეუწებინა არაბული ენის სწავლების პროცესში, დაწყებული ისეთი მაგალითებით, რომლებმაც უმნიშვნელო ცვლილებები განიცადეს (როგორებიცაა სათი, კალამი, სურათი, ჯარიმა, კანონი, მოედანი, თაღლითი, თარჯიმანი, ხათრი, მეჯლისი და სხვ.), დამთავრებული უფრო მეტად შეცვლილი სიტყვებით. კიდევ ერთხელ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ და არაბულ ენებს შორის არსებობს ღრმა ისტორიული კავშირი. ამიტომ, ჩვენი აზრით, კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს არაბული ენის სწავლებას ქართულ უნივერსიტეტებში, საჭიროა არაბულ უნივერსიტეტებთან მშენდორ თანამშრომლობა, ქართველი სტუდენტებისა და მასწავლებლების გაგზავნა იქ ახალი გამოცდილების მისაღებად.

წარმოადგინა ასოცირებულმა პროფესორმა დარუჯან გარდავაძემ

იზორ პეპელია

**პიებანი აფხაზეთის ტოპონიმიდან  
(დალი, კოდონი)**

აფხაზეთის ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმის საკითხებით არაერთი მეცნიერი დაინტერესებულია. უკანასკნელ წანებ საგრძნობლად გაიზარდა ინტერესი ამ თემატიკისადმი. გამოქვეყნდა მრავალი მონოგრაფია თუ სტატია, მაგრამ, ასეთი მზარდი ინტერესის მიუხედავად, შეიძლება დაბეჭითებით ითქვას შემდეგი: რა კუთხითაც არ უნდა განვიხილოთ ეს საკითხები, აფხაზეთის ტოპონიმთა ლინგვისტური, ექსტრა-ლინგვისტური თუ ისტორიული ანალიზისადმი მიძღვნილი, დღემდე გამოცემული და ჩვენ ხელთ არსებული რამდენიმე მონოგრაფიისა და გამოკვლევის შემთხვევაშიც კი, საბოლოოდ მაინც იმ აპრობირებული შეხედულების აღიარება მოგვიწევს, რის თანახმადაც ბევრი რამ გამოსამზეურებელია და კვლავ საგანგებო კვლევას საჭიროებს. შესასწავლია მრავალი ტოპონიმის ისტორია-ეტიმოლოგიასთან დაკავშირებული, ბურუსით მოცული არაერთი საკითხი. აფხაზეთის საისტორიო გეოგრაფია და ტოპონიმია კვლავ ერთგულ მჩხრეკელსა და გამომცემელს ელის...

წინამდებარე ნაშრომში წარმოვადგენთ აფხაზეთის ორი ტოპონიმის – დალისა და კოდონის ისტორიასა და ეტიმოლოგიურ ანალიზს.

ისტორიული მისიმიანეთის ფარგლებში შემავალი კოდორის ხეობის ზემო წელი დალის ხეობის, ხოლო ხეობაში მდებარე სოფელი დალის სახელით არის ცნობილი. იგი დასავლეთიდან ხვარაშ-ჯერილის მთაგრეხილით ესაზღვრება მესტიის რაიონს. დალ-სვანეთიდან ყარაჩაი-ჩერქეზეთში გადასვლა კი შესაძლებელია კლუხორისა და მარუხის უღელტეხილებით (მარგაიანი 1998:134). დალის სვანეთი მოიცავს მდ. კოდორის ოთხი შენაკადის – ამგარის, ყულუჩის, გვანდრისა და საკენის აუზში მდებარე ტერიტორიას. მისი ფართობია 650 ჰა. აქედან 350 ჰა საკარმიდამო და სახნავ-სათიბი მიწებია, დანარჩენი კი – ტყის მასივები და აღმური საძოვრები (მარგაიანი-დადვანი 2005:40). „ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის“ ცნობით, დალი ეწოდება ისტორიულ მხარეს კოდორის სათავეებში, ახლანდელ გულრიფშის რაიონის ტერიტორიაზე, რაც წებელდის ნაწილს წარმოადგენს. XIX ს-ში დალი მარშანიების ფეოდალური საგვარეულოს ერთი შტოს გამგებლობაში ყოფილა. 1832 წელს ეს მხარე ფორმალურად, ხოლო 1837 წლიდან, ფაქტობრივად, რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში იყო.... 1867 წელს ცარიზმა დალის მთელი მოსახლეობა წებელდის სხვა მცხოვრებლებთან ერთად ოსმალეთში გაასახლა. შემდგომში აქ დასახლებულან ზემო სვანეთიდან გადმოსული მოახალშენენი (ქსე III, 1978: 350).

თანამედროვე აღმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით დალი მოიცავს აუზისა და ლათის აღმინისტრაციულ ერთეულებში შემავალ სოფლებს.

XIX საუკუნის 30-იან წლებში აფხაზეთის ოლქში დასახელებულია სოფ. დალი (ხორავა 2004:106, და იქვე მითითებული ლიტერატურა). გ. გასვიანის თქმით, XIX ს-ის 30-იან წლებამდე დალი უშუალოდ სვანეთის მთავარ დადეშქელიანთა მფლობელობაში იყო. ამ მიწა-წყლით მოსარგებლები მარშანიები მათ მნიშვნელოვან იჯარას უზღდნენ, მაგრამ იმავე საუკუნის 40-იანი წლებისთვის მეფის რუსეთმა ყველაფერი წართვა ჩრდილო კავკასიასა და დალში (გასვიანი 1991:26-32; მისივე 2011:197). დალის თემის სოფ. დალიდან 1867 წელს, აფხაზთა პირველი მასობრივი გადასახლების დროს, თურქეთში გადაუსახლებიათ 106 სული. აფხაზ მუჭავირთა სიაში დასახელებულია შემდეგი გვარები: აგაბაშ-იუა, კოჯბაი (კუჯბა), ცვაცვა, ლამხაშ, სათირგია, თერში, ახბა, გუნბა, არგუნ, კაბბა, ახუბა, ბიგუა, ყურდგელ, ყურდგელია, ამჭიბა, მაზუა, აჰმეთ, აძიბბა, ბიგბა, რაფა-იუა, კვაბბა, მატუა, ფინბაჩა, მარშანია, ბარჩან, აბსაბაშ-იუა, ჩოლია, შვერაწაა, ჯანბერ, ბალლია, თარბაი, ბუთ, ბადია, ჰავიძიმ, აგრუა (ხორავა 2004:157-159). ბესარიონ ნიუარაძის თქმით, აფხაზეთის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე დალის ხეობა ბუნებას ყოველგვარი სიუხვით აუვსია. აფხაზების გადასახლებამდე ეს ხეობა მარღანიების თუ მარშანიების საკუთრებას წარმოადგენდა; მათ შემდეგ ამ ხეობაში ხან მეგრელები დასახლებულან, ხან – რუსები. 1878 წელს ბ. ნიუარაძეს უნახავს აქ მოსახლე ერთი მდიდარი რუსის ოჯახი. ჩუბეხევის საზოგადოების სოფ. ცალერში მცხოვრები გვარმიანები ირწმუნებიან, რომ მათი წინაპრები დალის ხეობიდან ჩამოსახლებულან (ციტირება იხ. ჩანტლაძე, მარგარიტ-დავანი 2007:16). XX ს-ის დასაწყისში დალის ხეობაში სვანების ხელახალი გადმოსახლების პროცესი დაიწყო (იხ. უბილავა 1948: 3-4; მიბჩუანი 1989:130-131).

მისიმანეთში სუანო-კოლხების შერული მოსახლეობის არსებობის გათვალისწინებით სვანური წარმოშობის ტოპონიმთა გავრცელებას ამ მხარეში პ. ინგოროვა ბუნებრივად მიიჩნევდა და ხეობისა და სოფლის სახელწოდებას – დალ, სვანთა წარმართული პანთეონის ქალღმერთის სახელს – დალს უკავშირებდა (ინგოროვა 1954:159). ეს მოსახრება მოგვიანებით გაიზიარა გ. გასვიანმა, რომელიც წერს: „სვანური ტოპონიმია აგრეთვე კოდორის ხეობის სახელი „დალ“ (აფხაზეთის სვანეთის სახელი), რომელიც მისიმანთა ნასახლარია. დალზე, როგორც ნადირობის ქალღმერთზე, სვანურ ფოლკლორში არაერთი მითი და თქმულებაა გავრცელებული. „დალ“, როგორც წარმართული ღვთაება, ღრმადაა ჩამჯდარი სვანურ რწმენა-წარმოდგენათა პანთეონში“ (გასვიანი 1991: 208).

დალის შესახებ ვრცელი მსჯელობა მოცემულია თ. მიბჩუანის გამოკვლევაში. მატრიარქატის ეპოქის დროინდელი ქალღმერთის, სილამაზისა და მშვენიერების განსახიერების, მიუვალ კლდეებში მცხოვრები ოქროსნაწავებიანი დალის სახე ფართოდ აისახა სვანურ ხალხურ პოეზიასა და მითოლოგიაში. VIII საუკუნის შემდეგ ისტორიის არქითერ გამქრალი სვანთა ერთ-ერთი ტომის – მისიმანების განსახლების ადგილს კოდორის ხეობაში დღემდე შემორჩა აღნიშნული წარმართული ქალღმერთის სახელწოდება „დალ“. სვანეთში ამ კულტის მოსახლე გეოგრაფიული სახელწოდებების – დალი თანალ, დალია კოჯარ და სხვ., გავრცელება სვანებში დალის კულტის განსაკუთრებული ადგილის მაუწყებელია (მიბჩუანი 1989:343-344). კოდორის ხეო-

ბის ზემო წელის – დალის სახელს ნადირობის მფარველი ღვთაების სახელს უკავშირებენ აგრეთვე გ. გასვიანი, თ. განცელაძე, ბ. ხორავა და სხვანი (გასვიანი 1998:83-134; მისივე 2011:192, გვანცელაძე 2013:132; ხორავა 2004: 106-107). აფხაზი მეცნიერი ვ. კვარჭია ხეობის სახელს დალ მარშანიას პირსახელს უკავშირებს (კვარჭია 2002:64). თ. გვანცელაძე აკრიტიკებს ამ ოვალსაზრისს და შენიშვნას, რომ ვ. კვარჭიას ვარაუდი რაიმე რეალურ საფუძველს არ ემყარება და მიზნად ისახავს სრულიად გამჭვირვალე ქართველური ეტიმოლოგის მქონე ტოპონიმთა გააფხაზურებას (გვანცელაძე 2013:131).

მისიმიანებისათვის დალი ერთ-ერთ უმაღლეს და უმთავრეს ღვთაებას რომ წარმოადგენდა, ამის მიმანიშნებელია თვით მათი განსახლების ტერიტორიის დღემდე მოღწეული სახელწოდება. ამ მხარეს დალი უნდა რქმეოდა XX ს-ის დასაწყისამდე, ანუ სვანების აქ ხელმეორედ დასახლებამდე. XIX ს-ის 50-იანი წლების ცნობით (ლ. ლიული), ამ მხარეს დალ ეწოდება. ამასთანავე, ჩვენ ზემოთ დავიმოწმეთ XIX ს-ის 30-იანი წლების ცნობაში სოფ. დალის დასახელების შესახებ (ხორავა 2004:106). მაშასადამე, თ. მიბჩუანის აზრით, ისტორიული მისიმიანეთი დალის სახელს ატარებს უძველესი დროიდან და არა XX ს-ის დასაწყისიდან. „ამ კუთხის ასეთი სახელი მისიმიანთა სვანურობის ხელშეუვალი არგუმენტია, მით უმეტეს რომ დალ ტერმინი უცხოა აფხაზურისათვის. შ. ინალ-იფა დალ ტოპონიმთან დაკავშირებით არაფერს ამბობს“ (მიბჩუანი 1989:137). სვანურში დალ დედოფალს, ხოლო დალოდ დედოფალას ნიშნავს. სვანურში არსებული ისტყვა დედოფალ „დედოფალი“ ქართულიდან უნდა შემოსულიყო. მაშასადამე, სვანთა შორეული წინაპრებისთვის დალი ცნობილი იყო როგორც დედოფალი, სილამაზისა და მშვენიერების განსახიერება, რისთვისაც დროთა განმავლობაში გააკულტეს. სვანთა განსახლების ტერიტორიაზე უძველესი დროიდან დალის კულტი წარმართულ ღვთაებათა პანთეონში ერთ-ერთ უმთავრეს ადგილს იკავებდა (იქვე: 345-346).

ქ. დონდუა წერს: „დალი, ნადირობის ქალღმერთი... ლახვს ი თანალს ხაყლუნის დალიშდ ი ალიშდ... = საძოვარ მთებსა და დიდ მთებში ეშინიათ დალის და ალის“ (დონდუა 2001:74).

ქ. მარგარის დაკვირვებით, დალ-სვანეთში სოფლებისა და უღელტეხილების სახელწოდებანი აგრეთვე მიკროტოპონიმია, ძირითადად სვანურუნოვანია. სვანურ ენაზე აიხსნება ბერძნულ-ბიზანტიურ წყაროებში მოხსენიებული ამ სექტორის გეოგრაფიული სახელწოდებანი. გვხვდება რამდენიმე ათეული აფხაზურენოვანი ტოპონიმი. სამ ათეულმდე სახელწოდება აფხაზური ტოპორომანტებით (-რა, ბა, -უა) არის გაფორმებული. ერთეულების სახით დამოწმებულია მეგრული და რუსულენოვანი ტოპონიმებიც (იქვე:136). დალ-სვანეთის ტოპონიმის ყველაზე მრავალრიცხოვანი ჯგუფი სვანურუნოვანია, რაც ქრონოლოგიურად შესაძლებელია ორ შრედ, ორ ფენად გაიმიჯნოს: ახალი და ძველი. ახალ ფენას მიეკუთვნება ძირითადად მიკროტოპონიმები, რაც უკავშირდება დალის ხეობაში სვანთა მეორედ თუ მესამედ ჩამოსახლების პერიოდს, ე. ი. XIX-XX სს. მივნას. ძველ ფენას მიეკუთვნება ანტიკური პერიოდის ბერძენ თუ რომაელ ავტორებთან, აგრეთვე შუა საუკუნეების წერილობით წყაროებში დაფიქსირებული

ტოპონიმები: ფუსდა//ფუსტა, კლუხორ, დარენ, ჩხალთა (ჩახარ// ჩიხარი), კოდორი (კვარჭა 1985:67; მარგანი 1998:137-138).

ქ. მარგანიც იმ აზრისაა, რომ ხეობის სახელწოდება დალ მომდინარეობს ნადირობისა და მონადირეთა მფარველი სვანური ღვთაების, ულამაზესი ქალღმერთის – დალის სახელისაგან. ამ სახელს იმოწმებენ შეუ საუკუნეების მოგზაურები – ღულიე და ნორდმანი. საისტორიო მეცნიერებაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ კოდორის ხეობას ეს სახელი უხსოვარი დროიდან, თვით მატრიარქატის ეპოქიდან უნდა ეტარებინა (იქვე: 138).

ადმინისტარციულ-ტერიტორიული დაყოფისა და კუთვნილების თვალსაზრისით საგულისხმოა სვანთა შემდეგი განმარტება: „ალას ხაჟხა დალეშ ხეობა, ლითხუეშრი ღერბეთ – დალ იცაუდა ალ ხეობას. დალ ლეშგრ ჩიგარუ ლახშხედა ამჩუ მეზგე მძრას, ამჩუ მერდე მძრას, ხოშამ ი ხოხამ!.. ალა ლი დალეშ ხეობა, დედ სამეგრელო-ზემო სუანეთ... მუშტნენქა ამჩუ იუალადედ დას ხოჩდა... – ამას ჰქვია დალის] ხეობა, ნადირობის] ლმერთი დალი იცავდა ამ ხეობას. დალის] სალოცავი მუდამ შეეწიოს აქ მცხოვრებ კაცს, აქ მყოფ კაცს, უფროსსა და უმცროსს... ეს არის დალის] ხეობა, არავითარი სამეგრელო-ზემო სვანეთია... სვანის გარდა, აქ არავინ ყოფილა არასოდეს...“ (მარგანი-დადგანი 2007:41-42).

დალელი სვანები მიიჩნევენ, რომ დალის ხეობა არც აფხაზეთია და არც სვანეთი. ისინი თავიანთ თავს სვანებს კი არ უწოდებენ, არამედ „დალელს“ (მგ-დალ) და „დალელებს“ (დალ-ბრ). „ფეტვს დალში აღარავინ თესავს, სვანეთიდან გვიგზავნიან“, – იტყვიან ხოლმე ხეობაში. ქართველმა მეცნიერებმა საველე სამუშაოების დროს გაარკვის, რომ სვანები დღესაც კი არ აღიქამენ კოდორის ხეობას აფხაზეთის ტერიტორიად. ამიტომაც უწოდებიათ ხეობისთვის მათთვის უფრო ახლობელი, სვანური სამყარო-სათვის ბუნებრივი ტოპონიმი დალ და არა კოდორ (ჩანტლაძე, მარგანი-დადგანი 2007:17; ჩანტლაძე 2010: 82).

სვანების მიერ დალის ხეობის კუთვნილების საკითხის ასეთი გააზრების მიუხედავად და ტოპონიმ „დალის“ წარმომავლობაზე მსჯელობისას ჩვენი ყურადღება მიიპყრო დალი, დალუ სიტყვის მეგრულმა მნიშვნელობებმა. ესაა „დასავლეთი, დასავალი, დაისი; სერის მომიჯნავე დაბალი და წაგრძელებული გავაკება“ (ქობალია 2010:233).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დალის მეგრული წარმომავლობის ოროგრაფიულ ნომენად, კერძოდ, სერის მომიჯნავე დაბალ და წაგრძელებულ გავაკებად გააზრება შესაძლებელი იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუკი დალის ხეობაში ფიქსირებულ გეოგრაფიულ სახელწოდებებში გამოიკვეთებოდა მეგრულენოვანი ტოპონიმთა შედარებით მრავალრიცხოვანი ჯგუფი. ზოგადი სურათით თუკი ვიმსჯელებთ, სადღეისოდ ის გარემოება იკვეთება, რომ ხეობის ტოპონიმურ ფონდში ყველაზე მრავალრიცხოვნი ჯგუფი მაინც სვანურენოვანია. ამის მიუხედავად, უაღრესად ჰიპოთეტურ დონეზე ტოპონიმ „დალის“ ჩვენ მიერ წარმოდგენილ განმარტებას არსებობის უფლება მაინც აქვს, თუკი გავითვალისწინებთ მისიმიანთა ეთნიკური ვინაობის შესახებ დღემდე არსებულ მოსაზრებებს შორის ერთ-ერთს. კერძოდ, მხედველობაში გვაქვს პ. ინგოროვებას მოსაზრება, რომელიც მისიმიანეთის მხარის მოსახლეობის ეთნოგრაფიული

შემადგენლობის შესახებ წერს: ძვ. წ. VI-IV სს-ში ჰეკატე მიღეტელისა და სკილაქს კარიანდელის გეოგრაფიულ ტექსტებში მოხსენიებული კოლაულნი ეკუთვნოდნენ კოლხურ შტოს და იყვნენ აბორიგენი მოსახლენი მისიმიანეთის მხარისა. შემდეგ ხანებში, არაუგიანეს ძვ. წ. I საუკუნისა, აქ სვანები ჩამოსახლებულან (სტრაბონის ცნობა). უფრო გვინ ამ ორი ტომის შერევით წარმომდგარა ნარევი ტომი სვან-კოლხებისა (სუანო-კოლხნი) ანუ ეგერ-სვანებისა, მეგრულ-სვანებისა... „ხოლო რაც შეეხება მისიმიანებს (ე.ი. მისიმიანეთის მხარეში მოსახლე სვან-კოლხთა ნარევ ტომს), მათი ენა, როგორც პირდაპირ აღნიშნავს აგათია, არ იყო კოლხური (მეგრულ-ლაზური); ამის მიხედვით მისიმიანეთის მხარის მოსახლეობის ენა ყოფილა ან სვანური, ან ადგილობრივი მისიმიანური დაიალექტი, რომელიც სვანური და მეგრული ენის შერევის ნიადაგზე წარმოშობილა“ (ინგოროვა 1954:145).

მაშასადამე, სტრაბონის მიხედვით „კავკასიონის მთიან მხარეში, დიოსკურიის ზე-მოთ“, ე.ი. ისტორიული მისიმიანეთის ტერიტორიაზე „სუანო-კოლხების“, იმავე სვანების, ჩამოსახლებამდე მისიმიანეთში სახლობდა კოლხური (მეგრული) მოსახლეობა – კოლა-ელნი. ტოპონიმ დალის გაჩენაც სწორედ ძვ. წ. I ს-ძეე პერიოდ უნდა უკავშირდებოდეს.

### კოდორი

XVIII ს-ის დიდი ქართველი ისტორიკოსის, გეოგრაფისა და პოლიტიკური მო-ლვაწის – ვახუშტი ბატონიშვილის აღწერა კოდორის ხეობის შესახებ ლაკონიურია, მაგრამ შეიცავს ზოგიერთ უზუსტობასაც: „...მოქვის მდინარის დასავლით დის კო-დორის მდინარე. ამ წყალზედ არს ეკლესია დრანდას, მთაში, გუმბათიანი, შუენი-ერი, დიდშენი. ზის ეპისკოპოზი, მწყემსი კოდორსა და ანაკოფიის შორისისა ად-გილთა. არამედ აწ აფხაზთაგან არღარა არიან ორთა ამათ შინა ეპისკოპოზნი. გარნა მდინარე კოდორი დრანდამდის დის აღმოსავლიდამ დასავლეთად, გამომდი-ნარე კავკასიოდამ, და დრანდიდამ ზღუამდე დის ჩდილოდამ სამხრით. მოიგო სა-ხელი დაბის კოდორისაგან, რომელი არს დრანდას ზეით, ამ წყალზედ, მთაში“ (ვახუშტი 1973:781).

კოდორის დინების მიმართულება „აღმოსავლიდამ დასავლეთად“ ახლანდელი გულრიცხვის მუნიციპალიტეტის სოფ. ამზარამდეა და არა დრანდამდე. ამზარიდან მდინარე სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით მიედინება და სოფ. აძიუბჟას სამხ-რეთით, კოდორის კონცხთან შეერთვის შავ ზღვას. კოდორი თანამედროვე აფხა-ზეთის ტერიტორიაზე ყველაზე დიდი მდინარეა, რაც წარმოიქმნება ორი მდინა-რის – გვანდრისა და საკნის სოფ. მარცხენა გენწვიშთან შეერთებით. სათავეს იღებს კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის სამხრეთ კალთაზე, ზღვის დო-ნიდან 740 მ-ზე. მდინარის სიგრძე გვანდრის სათავიდან 110 კმ-ია, უშუალოდ კო-დორად სახელდებული მონაკვეთისა – 84 კმ. აუზის ფართობი 2030 კმ<sup>2</sup>-ს შეად-გენს. კოდორის უმთავრესი შენაკადებია ჩხალთა, მრამბა, ჯამპალი ამტყელით და სხვ. (აფხაზავა ქსე 1980:570).

კოდორის აუზის ქვემო ნაწილი (ტერასისებური ხეობით) კოლხეთის დაბ-ლობში შედის, უმეტესი, ზემო ნაწილი კი, მასში შემავალი მირითადი ოროგრა-ფიული ერთეულებით (მთავარი წყალგამყოფი ქედი, ჩხალთისა და კოდორის (ფა-

ნავის) გამყოლი ქედები, ჩხალთა-საკენის გასწვრივი ხეობა, საკუთრივ კოდორის ხეობა), კავკასიონის მთიანეთის შემადგენელი ნაწილია (მარუაშვილი 1961:3).

გახუმტი შენიშნავს, რომ მდ. კოდორმა „მოიგო სახელი დაბის კოდორისა-გან, რომელი არს დრანდას ზეთ, ამ წყალზედ, მთაში“. მაშასადამე, დაბის სახე-ლი დარქმევია მდინარეს. კოდორის სახელწოდებით დასახლებული პუნქტი ამჟა-მად კოდორის ხეობის მთიან ნაწილში არ არის. პ. ინგოროვგამ გამოთქვა მოსაზ-რება, რომ ვახუმტისეული დაბა კოდორი უნდა შეესაბამებოდეს ანასტასი აპოკ-რისიარის წერილში მოხსენებულ სკოტორის ციხეს (ინგოროვგა 1954:56; ბერაძე 1971:65; მუსხელიშვილი 1977:119).

კოდორის სათავედ ვახუმტი „კავკასეს“ („გამომდინარე კავკასიიდამ“) მიიჩ-ნევდა. აფხაზეთის კავკასიონის სამხრეთი ტოტი კოდორის ქედია. აღნიშნული ქე-დი ენგურის, ღალიგის, მოქვისა და სხვა მდინარეთა აუზების წყალგამყოფს წარმოადგენს და შედგება ხოჯალის მთის მასივში ერთმანეთთან დაკავშირებული ორი მონაკვეთისაგან. ერთი მონაკვეთი აფხაზეთის ქედის სახელწოდებითაა ცნო-ბილი. მისი სიგრძე 30 კმ-ია და მიმართულია სამხრეთ-დასავლეთისაკენ, კავკასი-ონის მთური წყალგამყოფი ქედიდან ხოჯალის მთამდე. ამ ქედზეა მოგუაშირხის მწვერვალი, ხოლო შუა ნაწილში, მდინარეების – საკენისა და ნენსკრის წყალ-გამყოფზე – ხიდის უღელტეხილი. ფანავის ქედის სახელით ცნობილი მეორე მო-ნაკვეთის სიგრძე 51 კმ-ია, რაც მიმართულია განედურად, ხოჯალის მთიდან მდ. კოდორის ქვემო დინებამდე (მარუაშვილი ქსე 1980: 570).

ანასტასი აპოკრისიარი გვამცნობს: „უფალი ამბა ანასტასი და ამ წერილის და-მწერი შესხეს ცხენებზე და ასე გაამგზავრეს და ჩამწყვდიეს: პირველი – აბაზ-გიის მახლობლად ერთ ციხეში, რომელსაც სკოტორი ეწოდება“; კოტორი მოიხსე-ნიება აგრეთვე გიორგი მთაწმინდელის დიდ სვინაქსარში. ანასტასის წერილიდან მოტანილი ციტატის ქართული ვერსიის შესაბამისი ადგილი ასე იკითხება: „და მმა ანასტასიოს საეგრითა წარიყვანეს და შეაყენეს ციხესა აფხაზეთისასა, რო-მელსა ეწოდების კოტორი“ (იქვე: 43; ბერაძე 1971:65).

მდ. კოდორი გამოსახულია არქნჯელო ლაშტერტის 1654 წლის რუკაზე (Coddars Feolim Corax), მას მოიხსენიებს თავის ნაშრომშიც („სამეგრელოს აღ-წერა“) და აღნიშნავს, რომ კოლხიდამი (ოდიშ-სამეგრელო) „ყველაზე უკანასკ-ნელი მდინარე არის კოდორი, რომელიც უნდა იყოს (ძველთა) კორაქსი, რაღაც კოლხიდის საზღვრებია (ძველთა სიტყვით) ერთის მხრით ფაზისი და მეორეს მხრით – კორაქსი“ (ლამბერტი 2011:201).

გერმანელი მოგზაურის – იაკობ რაინგსის ცნობით, აფხაზეთის დაბლობებსა და ღია ველებს მდინარეები – კოდორი და გერჩისი (?) რწყავს (რაინგსი 2002:112). ელუარდ აიხვალდი შენიშნავს, რომ „კოდორი სათავეს იღებს კავკასიის უმაღლეს მთებში და მოედინება ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთისაკენ ღრმა ხეობაში, ის დიდი რაოდენობით იერთებს მთის ნაკადულებს და სოფელ უხობის ანუ დრანდის უკან ერთვის ზღვას ორ ტოტად, რომელთაგან სამხრეთისა ძალზე ნელა მოედინება და პატარა ნავებისთვის სანაოსნოა“ (აიხვალდი 2005:221-222).

კოდორი გამოსახულია XIII ს-ის ვენეციურ რუკაზე, ვენეციელი კარტოგრაფების, მმების – პიციგანების მიერ 1367 წელს შედგენილ რუკაზე, სოლერის ხმელთაშუა ზღვის რუკაზე (1385 წ.), პორტუგალიელი კარტოგრაფის, დიეგო ომენის 1559 წელს შედგენილ რუკაზე, (დაცულია პარიზის ეროვნულ ბიბლიოთეკაში) იაკობ დე მაიოლოს 1563 წელს შედგენილ რუკაზე (დაცულია პარიზის ეროვნულ ბიბლიოთეკაში), იტალიელი მისიონერის – უნ შარდენის 1672 წელს შედგენილ რუკაზე (საზღვარი აფხაზეთ-სამეგრელოს შორის), გერმანელი აღმოსავლეთცილინის, რუსეთის უცხო ენათა კოლეჯის პროფესორ რ. კერის მიერ 1732 წელს შედგენილ რუკაზე და ა.შ. (გამახარია, გოგია 1997:312; ზუბაძა, „მახარია“, 2002:19). კოდორი გამოსახულია ლიხთ-იმერეთის 1737 წელს შედგნილ რუკაზეც (ბურჯანაძე 1959: 194).

ბ. კვარაცხელია გამოთქმაშს ვარაუდს, რომ ანასტასი აპოკრისიარის წერილში მოხსენიებული „სკოტორი“ და ვახუშტისეული დაბა კოდორი ავსილეთის იმ სექტორში მდებარეობდა, „სადაც აფსილეთის მხარე აღგება მდინარე კოდორს, ე.ი. წებელდის აღმოსავლეთით“ (კვარაცხელია 2003:187). ჩანს, რომ მკვლევარი იზიარებს პავლე ინგოროვას თვალსაზრისს, მაგრამ არ მიუთითებს ამ უკანასკნელის ნაშრომზენ შესაბამის გვერდს. პ. ინგოროვა წერს: დაბა კოდორი... მდებარეობას აბსილეთში, იმ სექტორში, სადაც აბსილეთის მხარე აღგება მდ. კოდორს, ე. ი. წებელდის აღმოსავლეთით“ (ინგოროვა 1954:156).

ვახუშტის აღწერის გაანალიზება გვაძლევს შემდეგი დასკვნების გამოტანის შესაძლებლობას:

1. კოდორის დინების მიმართულება აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ ახლანდელი გულრიფშის რაოთის სოფ. აშხარამდეა და არა დრანდამდე, როგორც ფიქრობს მეცნიერი ბატონიშვილი. აშხარიდან მდინარის დინება სამხრეთ-დასავლეთისკენაა მიმართული და სოფ. აძიუბჟას სამხრეთით, კოდორის კონცხთან უერთდება შავ ზღვას;
2. ვახუშტის აზრით, დრანდის ზემოთ, მთაში მდებარე დაბის სახელი დარქმევია მდინარეს. კოდორის სახელწოდებით დასახლებული პუნქტი ამჟამად კოდორის ხეობის მთიან ნაწილში არ გვხვდება.

კოდორის ეტიმოლოგით არაერთი მკვლევარი დაინტერესებულა. როგორც აღვნიშნეთ, შეუა საუკუნეების ქართულ და ბერძნულ-ლათინურ წყაროებში (გიორგი მთაწმინდელი, ანასტასი აპოკრისიარი) მოხსენიებული დაბა კოდორი მდებარეობდა აფშილეთის იმ სექტორში, სადაც აფშილეთის მხარე ემიჯვნება მდ. კოდორს, ანუ წებელდის აღმოსავლეთით. იქვე, კოდორის ხეობაში დამოწმებულია სახელწოდების კოდა, კერძოდ, სოფლები – დიდი კოდა და პატარა კოდა წებელდის რაიონში. პ. ინგოროვა სახელწოდებაში გამოყოფდა ფუძე-სიტყვას – კოდი, კოდა, და ქართული გეოგრაფიული სახელების ჩვეულებრივ დაბოლოებას, ბოლოკიდურ გრამატიკულ ფორმანტს -ორ. ამ სიტყვების შემცველი გეოგრაფიული სახელწოდებია კოდი და კოდა – სოფლები ქართლში; კოდიანი – მთა ქართლისა და მესხეთის საზღვარზე; კოდმანი – სოფელი ქართლში (ინგოროვა 1954:156). იმავე ნაშრომში, სხვაგან, მკვლევარი შენიშნავს, რომ XIV-XVI საუკუნეთა იტალიურ

რუკებზე მდ. კოდორის დელტაში დატანილია პუნქტი კოდოს//კოდას სახელწოდებით, ხოლო დელილი 1738 წელს შედგენილ რუკაზე მიუთითებს იმავე პუნქტს კოდორის ფორმით (იქვე:173). სახელწოდების აფხაზური ვარიანტია კგ ღდრ.

პროფ. იზა ჩანტლაძე არ იზიარებს საანალიზო ტოპონიმის ქ. მარგაიანი-დადვანისა და ზ. ჭუმბურიძისეულ გააზრებას. კერძოდ, ისინი ფიქრობენ, რომ კოდორი მომდინარეობს სვანური სკოდო „ღრმა“ ლექსემიდან (ჩანტლაძე 2007:17; მისივე 2010: 82). სკოდ- ფუძის შემცველია აგრეთვე სვანეთის შემდეგი ტოპონიმები: სკოდიარ – 1. ტყე ბეჩოში; 2. გზა კახურაში; სკოდიარ – გზა მურშეკლში; სკოდი ღელ – ღელე ლუჯში; სკოდი ღელა – ღელე ღობში; სკოდი ღელი მაჩხაფ – ჩანჩქერი ლუჯში...

ი. ჩანტლაძის მოსაზრებით, კოდორ სვანური წარმომავლობისა რომ იყოს, მაშინ უმდაუტიანი ფორმა „კოდურ უნდა გვქონდა. „ამასთანავე, აუქსნელი რჩება, აგრეთვე, როგორც ძირისეული ო ხმოვნის სიგრძის დაკარგვის, ისე ანლაუტის ს თანხმოვნის უკალოდ გაუჩინარების საკითხი. ესეც რომ არ იყოს, რაჭული სკოდორის (მდინარე რიონის ერთი მონაკვეთის სახელწოდება ონსა და ამბროლაურს შორის) ანალოგიური ტოპონიმები დასტურდება საქართველოს სხვადასხვა კუთხეში“ (ჩანტლაძე და სხვ. 2007:17; მისივე ჩანტლაძე 2010:82). მკვლევარი იმოწმებს მსგავსი წარმოების ტოპონიმებს: სკინდ-ორ-ი, სკანდ-ე (ჭიათურა), კუდ-არ-ო (რაჭა), კკად-ო-ურ-ა (მცირე მდინარე სოფელ ღორეშაში) და კოდ-ა-ურ-ა (ტყე ზემო იმერეთში), და ასლან ლიაპარტელიანის განმარტებას, რომ კოდორ „ღრმა, მორევიანი მდინარეა“ (იქვე:18; მისივე ჩანტლაძე 2010:83). ი. ჩანტლაძე, ქართველურ ენათა ქრესტომათიული ხმოვანთშესატყვისობის (ქართ. ა: ზან. ა: სვან. ა), აგრეთვე კად- ძირის სემანტიკისა და -ორ სუფიქსის მეგრულში განსაკუთრებულად ფართოდ გავრცელების გათვალისწინებით, შეეცადა კოდორე ლექსემისათვის საერთო-ქართველურ დონეზე აღვევინა \*კად- ძირი, რაც აგრეთვე წარმოდგენილია ნა-კად- და ნა-კად-ულ- ფუძეთა სახით. მისი ზანური შესატყვისი უნდა ყოფილიყო კოდ-ორ-, ხოლო სვანურში – ლა-კად-ა. მკვლევარი შენიშვნას, რომ კოდორი არა სვანური კადარ („მშრალი, ხმელი ადგილი, ხმელეთი“) სიტყვის ზანიზებული ფორმა. იგი შეიცავს ქართველურ კად- ძირს, რაც ალბათ თავის დროზე „წყლის“ აღმნიშვნელი იყო, ისეთი წყლისა, მზისგულზე მდებარე მთისძირა გორაკ-ფერდობებიდან რომ იღებდა სათავეს. კოდორის „წყლის“ სემანტიკის შემცველ სახელწოდებად გააზრების დასტურად მიიჩნევს ი. ჩანტლაძე სამეგრელოს ტერიტორიაზე, კერძოდ, აბაშაში დამოწმებულ ტოპონიმ კოდორფონს (ჩანტლაძე 2010:83).

კოდორა, კოდორუ, კოდორი ლექსემები სამეგრელოში ფართოდ ყოფილა გავრცელებული, რასაც მოწმობს წერილობით წყაროებში ამ ვარიანტების ტოპონიმების სახით დამოწმებაც. კერძოდ, მხედველობაში გვაქს ოდიშის მთავარ ბეჟან დადიანის მიერ 1714 წელს შედგენილი „შეწირულების წიგნი“, რაშიც ვკითხულობთ, რომ ანგელი და „კოდორა გაღმართი“ ჭილაძეებს საჭყონდიდლოსთვის შეუწირავთ (კაკაძე 1921:113). 1753 წელს შედგენილ „წყალობის წიგნში“ გვხვდება „გამოღმა კოდორი“: გაბრიელ ჭყონდიდლს რობაში მცხოვრები, მიქელაძეებისგან შეწუხებული სამი გლეხი წამოუყვანია და გამოღმა კოდორში დაუსახლებია. მაშასადამე, გაღმა კოდორი და გამოღმა კოდორი ტოპონიმებად დასტურდება ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში.

გამოღმა კოდორი სოფელია აბაშის რაიონის ნაესაკაოს ადმინისტრაციულ ერთეულში, რომის მარჯვენა ნაპირას. ქალაქ აბაშას დამორებულია 5 კმ-ით, ხოლო ნაესაკაოს – 3 კმ-ით. სოფლის სახელწოდების ამჟამინდელი ადგილობრივი ვარიანტი პირველი კოდორი უწინ თვითმმართვულ სახელწოდებას წარმოადგენდა. სოფ. გაღმა კოდორი მდებარეობს რაიონის მარცხნა მხარეს და კეთილარის ადმინისტრაციულ ერთეულში შედის. მისი უწინდელი სახელწოდებაა ძეორე კოდორი (კეკლია, ოდიშარია 2012:7, 10, 15).

პ. ცხადადი შენიშნავს, რომ სამეგრელოს ტოპონიმიაში კოდორი ყოველთვის წყლისპირა ბექობს მიემართება. მკვლევარი იქვე იმოწმებს კ. კაჭარავას განმარტებას: კოდორი, იგივე კოდები მდინარის ხაბოა, მაღალი ნაპირია (ცხადადია 2013:45).

აქვე მოვიხმობთ საილუსტრაციო მასალას სვანეთ-სამეგრელოს მიკროტოპონიმი-იდან:

კოდარ – სათიბ-საძოვარი უიბიანში;

კოდარა – ადგილი სოფ. გეზათში, სადაც გადიოდა თურმე სამეგრელო-იმერეთის საზღვარი (ელიავა 19 77:19).

კოდორა – გ. ელიავა „ქალაქ აბაშისა და მისი მიდამოების“ ტოპონიმთა ნუსხაში მიუთითებს დაზუსტებული ლოკალიზაციის გარეშე“ (ელიავა 19 77:39).

კოდორე – 1. ადგილი გეზათში. გ. ელიავას თქმით, მსგავსი მიკროტოპონიმი ამ სოფელში სხვაგანაც გვხვდება. იქვე მოცემულია შემდეგი ხალხური განმარტება: „ტყიანი, მაგარი მიწა, უნაყოფუ“ (იქვე: 19); პ. ცხადადი შენიშნავს, რომ კოდორე//კოდორა ეწოდება სახნავებს ონტოფოსა და გეზათის საზღვარზე, და იქვე აზუსტებს: გეზათში ადგილს კოდარა ჰქვია, ხოლო ონტოფოში – კოდარე. წარმოდგენილია რესოდენტის განმარტებაც: „კოდარა ქართული ფორმაა, კოდორე კი – მეგრული“ (იქვე: 159); 2. ადგილი ძველ აბაშაში. გ. ელიავას წიგნში დასახელებულია დაზუსტებული ლოკალიზაციის გარეშე (იქვე: 27). უთუოდ ეს კოდორე უნდა იგულისხმებოდეს პ. ცხადადის მიერ ვაკე-საძოვრების სახელწოდებად დამოწმებულ ტოპონიმში, რაც მდებარეობს სოფ. ონტოფოს საზღვართან, ცუდლარის მარცხნა მხარეს (ცხადადი 2013: 158). მკვლევარი გაღმა კოდორშიც, კერძოდ, ანჯერში, რიონის მარცხნა მხარეს მდებარე სახნავის სახელწოდებად ასახელებს კოდორას// კოდორეს (იქვე:158); 3. სახნავი რიონისა და ტეხურის შესართავს შიგნით, სოფ. გამოღმა ზანათში. პ. ცხადადის ცნობით, ამ ადგილას „უწინ ყოფილა უღრანი ტყე, მუხნარი, სადაც გარეულ ღორსაც ხშირად მოინალირებდნენ ხოლმე (ცხადადი 2013:158). ტოპონიმ კოდორეს სოფ. ზანათში გ. ელიავა მიუთითებს რიონისა და ტეხურის შესართავთან (იქვე:57); 4. სახნავი ტეხურისა და რიონის შესართავთან არსებულ სამკუთხედში, სოფ. სუჯუნაში. მის გაღმა ისულა და ძონძირია. აქაც უღრანი ტყის არსებობას მიუთითებენ; 5. ამაღლებული ვაკე სოფ. გამოღმა პირველ ხორგის უბან საღოლბაიოში, მდ. სკვიის მარცხნა მხარეს (ცხადადი 2007:143); 6. სახნავები ეტორჩინები, ტარჩენის ორივე ნაპირზე. სახელდებული ობიექტი მდებარეობს სოფ. ჯოლევში (ცხადადი 2010:202); 7. ადგილი ნაესაკაოში. გ. ელიავას მიერ დაზუსტებული ლოკალიზაციის გარეშე დამოწმებულ ტოპონიმს ახლავს ხალხური განმარტება: „დარიბი ხალხი – კოდორები ჩა-

მოსახლებულან“. მკვლევარი იქვე შენიშნავს, რომ ეს სახელი სოფელში კიდევ ერთ ადგილს ჰქვია (იქვე:51).

**კოდორუშოლური – ნაგზაური**, რაც აბაშიდან გადიოდა გეზათში, ნოღელის გაღმა (იქვე:159).

**კოდორიშ რჩქონი – ტყე, კუნძული რიონზე, სოფ.** გაღმა კოდორში (ცხადაია 2013:159);

**კოდორობა – სახნავები გაღმა კოდორში, ანჯერში.** ეს ტერიტორია უწინ დასახლებული ყოფილა. კოდორობა მრავლობითი რიცხვის ფორმაა. აკონკრეტებენ: ტიფონიაშ დაბალი, მესხიაშ დაბალი, გალენკოდორუ, დინახალენკოდორუ, საღლამო... (იქვე: 159).

**კოდოროუ – ჭალა და სახნავი; მდ.** აბაშის მარცხენა ნაპირი ინჩხიას შესართავთან მარტვილში (კეკელია 2008:32; მისივე 2009:73). ასახელებს გ. ელიავაც (ელიავა 1977: 103). პ. ცხადაია გვთავაზობს ტოპონიმის შემდეგ ლოკალიზაციას: „კოდოროუ – სახნავი მდ. აბაშის მარცხ. ნაპირზე, სტადიონის უკან“ (ცხადაია 2010:25).

**კოდორფონი – გ. ელიავას ცნობით, ასე ეწოდება კოდორის თავთხელს რიონზე, სოფელ ნაესაკაოში** (იქვე:52). პ. ცხადაია იმოწმებს ტოპონიმს კოდორფონის ფორმით, და აღნიშნავს, რომ ასე ეწოდება ტყეს და საძოვარს ოჩარულის წყაროსთან, სოფ. სამიქაოში (იქვე: 159).

**კოდორქალაქი – გ. ელიავას მიერ „ნაესაკაოს სასოფლო საბჭოს“ ტოპონიმთა ნუსხაში დაზუსტებული ლოკალიზაციის გარეშე მითითებულ გეოგრაფიულ სახელწოდებას ახლავს ავტორის მიერ ნ. მიმინოშვილისგან ჩაწერილი განმარტება: კოდორი, ვიდრე რიონი სოფელს შუაზე გაყოფდა, წინათ სულ ერთიანი ყოფილა. რიონი მაშინ ფიჩორასთან მიედინებოდა, მაგრამ გურულებს დღევანდელ კალაპოტში გადმოუყდიათ. წინათ ამ ადგილას ქალაქი ყოფილა. კოდორი უწინ იქ ყოფილა, სადაც დღეს გაჭედილია, მაგრამ შემდეგ გადაუტანიათ (იქვე:51). პ. ცხადაიას ცნობით, კოდორქალაქი გამოღმა ანუ პირველი კოდორის სახელწოდებაა და მდებარეობს რიონისა და ცხენისწყლის შესართავთან (ცხადაია 2013:159; იხ. აგრეთვე კეკელია, ოდიშარია 2012:13).**

**კოდორჭუ – გ. ელიავა დაზუსტებული ლოკალიზაციის გარეშე ასახელებს „კეთილდარის სასოფლო საბჭოს“ ტოპონიმთა ნუსხაში, ჭალა-საძოვრისა და საყანის სახელწოდებად (იქვე:64).**

**გალენკოდორე „გარეკოდორე“ – სახნავი საღლამოს ნაპირზე, დინახალენკოდორეს პირდაპირ, კოდორობაში.** სახელდებული ობიექტი მდებარეობს სოფ. გაღმა კოდორში (ცხადაია 2013:124).

**დინახალენკოდორე „შიგნითა კოდორე“ – ლოკალიზაციისათვის იხ. ზემოთ გალენკოდორე.**

**მულენკოდორი – სოფ.** გაღმა კოდორის სახელწოდების მეგრული ვარიანტი.

**სვანურში კადარ, კადარ იგივეა, რაც „ხმელი, მშრალი ადგილი; ხმელეთი“.** ასევე მეგრულშიც კადარი ეწოდება მზისკენ მიქცეულ ფერდობს, მზიან მხარეს. ო. ქაჯაია იმოწმებს საილუსტრაციო მასალას: კადარი დიხა „ფერდობი აღვილი“ (ქაჯაია 2002: 97). ა. ქობალიას განმარტებით კადა//კადარი იგივეა, რაც კედელი, კლდის ტე-

რასა; ხოლო კადარის განმარტებისას რამდენიმე მნიშვნელობას გვთავაზობს: „კადარი კლდოვანი ადგილი, ქვიანი ფერდობი; კენჭიანი, კუდარი; უგენახო, უნაყოფო მთიანი ან წყლისპირა ქვიანი ადგილი; მზვარე, მზიანი ადგილი, მთის სამხრეთი კალთა“ (ქობალია 2010:351). მისივე ლექსიკონში დამოწმებულია კადარლალის შემდეგი განმარტება: „კლდისლელე, კლდე-ღრუ“ (იქვე). რამდენადაც ბერათშესატყვისობა სვან. -ა: მეგრ. -ო არ დასტურდება, მაშასადამე, კადარი, კადარა იგივე არაა, რაც კოდორი, მაგრამ კოდორ სიტყვა კოდმე სიტყვის მნიშვნელობის შემცველია, თუმცა სიტყვის ამ მნიშვნელობის მასალობრივი დამთხვევა არ დასტურდება (ცხადაა 2013:45).

კოდორი მეგრულში აღნიშნავს კლდოვანს, მდინარის კლდოვან ნაპირს, წყლის კალაპოტს, ხევის კლდოვან ძირს. მდინარის სახელწოდება კოდორი, ჩვენი აზრით, სწორედ კლდოვანი კალაპოტის, ან ქვალოდებიანის შინაარსის ამსახველი უნდა იყოს.

## ლიტერატურა

**აიხვალდი 2005:** კდუარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ (*XIX საუკუნის პირველი ძესამედი*), გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და სამიებლები დაუწიო გია გელაშვილმა, გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი.

**აფხაზავა ქსე 1980:** ო. აფხაზავა, კოდორი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, V, „მთავარი სამეცნიერო რედაქცია“, თბილისი.

**ბერაძე 1971:** ო. ბერაძე, ვახუშტი ბაგრატიონი და ოდიშის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, IV, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.

**გასვიანი 1991:** გ. გასვიანი, ნარკვევები შუა საუკუნეების სკანეთის ისტორიდან, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.

**გასვიანი 2011:** გ. გასვიანი, აფხაზეთი ისტორიული საქართველოს, გამომცემლობა შპს „პოლიგრაფ თბილისი“, თბილისი.

**გვანცელაძე 2013:** ო. გვანცელაძე, აფხაზეთის ტოპონიმის ისტორიის გაყალბების მორიგი მცდელობის შესახებ, კრ. „ქართველური ონომასტიკა“, VI, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი.

**დონდუა 2001:** კ. დონდუა, სვანურ-ქართულ-რუსული ლექსიკონი, ს-ს. ორბელიანის სახელობის თსპუ გამომცემლობა, თბილისი.

**ელიავა 1977:** გ. ელიავა, აბაშისა და გევეგჲორის რაიონების ტოპონიმიკა, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.

**გახუშტი 1973:** ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.

**ზუბანა 2000:** ვ. ზუბანა, ქართული გვარ-სახელები და ტოპონიმები აფხაზეთში, თბილისი.

**ბურჯანაძე 1959:** შ. ბურჯანაძე, ლიხთ-იმერეთის 1737 წლის რუკა, როგორც ფეოდალური საქართველოს ისტორიის პირველწყარო, ხელნაწერთა ინსტიტუტის „მოამბე“, I, თბილისი.

- ინგოროვა 1954:** პ. ინგოროვა, ვიორვი მერჩულე, ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა, გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი“, თბილისი.
- კვარაცხელია 2003:** ბ. კვარაცხელია, ზოგი რამ გულრიფშის რაიონის ისტორიულ წარსულზე, კრ. „საისტორიო ძეგანი“, 6, თბილისი.
- ჯაბაძე 1921:** ს. ჯაბაძე, დასავლეთ საქართველოს საკლესიო საბუთები, I, ტფილისი.
- შეჯლია 2008:** ო. კეგელია, მარტვილის რჩეული გეოგრაფიული სახელწოდებანი, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი.
- შეჯლია 2009:** ო. კეგელია, მარტვილის ტოპონიმია (ეტიმოლოგიურ-განმარტებითი ღეგესიკონი), გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი.
- შეჯლია, ოდიშარია 2012:** ო. კეგელია, დ. ოდიშარია, ნაესაკოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, ქუთაისი.
- ლამბერტი 2011:** არქანჯელო ლამბერტი, სამეცნიეროს აღწერა, გამომცემლობა „მთაწმინდა“, თბილისი.
- მარგარითა 1998:** ქ. მარგარითა, დალ-სვანეთის ტოპონიმია, კრ. „ქართველური მექანიდრუმა“, I, თსუ გამომცემლობა, თბილისი.
- მარგარი-დადვანი 2007:** ქ. მარგარი-დადვანი, ზოგი რამ დალის ხეობის ტოპონიმიდან, წიგნში: ო. ჩანტლაძე, ქ. მარგარი-დადვანი, ქ. მარგარი-სუბარი, მ. საღლიანი, რ. ოსელიანი, კოდორული ქრონიკები (გამოკვლეულითურთ), ტ. I, გამომცემლობა „გლობალ-პრინტი“, თბილისი.
- მარუაშვილი ქსე, 1980:** ლ. მარუაშვილი, კოდორის ქსე, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, V, „მთავარი სამეცნიერო რედაქცია“, თბილისი.
- მამჩავანი 1989:** თ. მიბჩავანი, დასავლეთ საქართველოს ქართველი მთიელთა ეთნოგრაფიული განსახლებისა და კულტურის ისტორიიდან, თსუ გამომცემლობა, თბილისი.
- მუსხელიშვილი 1977:** დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, I, „მეცნიერება“, თბილისი.
- რაინგისი 2002:** ო. რაინგისი, ძოვზაურობა საქართველოში, გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საბიექტები დაურთო გია გელაშვილმა, გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი.
- უბილავა 1948:** ე. უბილავა, დალის ხეობა (ნარკვევი), „ლიტერატურა და ხელოვნება“, 18 იანვარი. თბილისი.
- ქაჯაა 2002:** ო. ქაჯაა, მეგრულ-ქართული ღეგესიკონი, ტ. II, თბილისი.
- ქობალია 2010:** ა. ქობალია, მეგრული ღეგესიკონი, გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი.
- ქსე III, 1978:** ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. III, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.
- ჩანტლაძე და სხვ. 2007:** ი. ჩანტლაძე, ქ. მარგარი-დადვანი, ქ. მარგარი-სუბარი, მ. საღლიანი, რ. ოსელიანი, კოდორული ქრონიკები (გამოკვლეულითურთ), ტ. I, გამომცემლობა „გლობალ-პრინტი“, თბილისი.
- ჩანტლაძე 2010:** ი. ჩანტლაძე, კვლავ „კოდორ“-ის ეტიმოლოგიისათვის, არნოლდ ჩიქობავას საკითხები, არნოლდ ჩიქობავას სახელის ენათმეცნიერების ინსტიტუტის XXI სამეცნიერო სესია, მასალები, თბილისი.

**ცხადას, ჯოჯუ 2003:** პ. ცხადაია, ვ. ჯოჯუა, სამურზაფანოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, თბილისი.

**ცხადას 2007:** პ. ცხადაია, სამურზელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, ხობის რაიონი, ქ. ფოთი, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი.

**ცხადას 2010:** პ. ცხადაია, სამურზელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, მარტვილის რაიონი (სამხრეთი ნაწილი), გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი.

**ცხადას 2013:** პ. ცხადაია, სამურზელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი. აბაშის რაიონი, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი.

**ხორავა 2004:** ბ. ხორავა, აფხაზთა 1867 წლის მუკაჯირობა, გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი.

**Кварчия 1985:** В. Кварчия, *Ойконимы Абхазии в письменных источниках*, Сухуми.

Igor Kekelia

## **Research into the Toponymy of Abkhazia (Dali, Kodori)**

### Summary

Some scientists were interested in Abkhazian historical geography and toponymy. This interest has increased lately. A lot of articles have been published regarding this topic. But despite this we can firmly say that Abkhazian toponyms still require a lot of attention, and special linguistic, extra linguistic and historical analyses should be conducted in this field. Abkhazian historical geography and toponymy still need a devoted researcher and publisher.

The presented work is an attempt to investigate Abkhazian toponyms *Dali* and *Kodori* historically and etymologically. The researcher analyses Georgian *Dali*, *Kodori* and foreign authors' opinions about these geographical names and, at the same time, offers his own, diverse views. All the toponyms given in this article are explained in Megrelian.

In the author's viewpoint, when discussing the origin of the place name "Dali", the Megrelian meanings of the word *dali* are noteworthy. These are: "*West*", "*Sunset*", "*low and elongated place adjacent to a hill*". The explanation of the place name "Dali", suggested as a cautious assumption by the author, has a right to exist bearing in mind one of the opinions concerning the ethnicity of the Misimians. In particular, according to Strabo, in the mountainous region of the Caucasus, above Dioscuria, i.e. on the territory of historical Misimianeti, prior to the settlement of the "Svano-Colchians", the same as the Svans, there lived the Colchian/Megrelian population – the Kolaeans. And the place name "Dali" too must have appeared before the 1<sup>st</sup> c. BC.

When discussing the etymology of the hydronym "Kodori", the researcher takes into account the fact that the word *kodori* in Megrelian denotes "rocky", "cliffy river bank", "river bed", "rocky bottom of a ravine". In the author's view, the name of the river "Kodori" must be denoting the semantics of "rocky bed", or "stony, cliffy place".

## INTERPRETATION OF THE COMMON KARTVELIAN LINEAR A SCRIPT SEQUENCES *ku-ro* AND *ki-ro*

‘The meaning of one Linear A word is certain:  
*ku-ro* is the word which introduces totals, and  
 must mean something like ‘*total*’ or ‘*so much*’.  
 If we could find such a word in a known language,  
 the problem of Linear A might be solved.’  
 J. Chadwick (1970:154 ff)


The sign-sequences (words) denoting arithmetic operations in Linear A inscriptions: **✚** [ku-ro] – ‘to gather, to collect’; and **⊖** [ki-ro] – ‘decrease, reduce’ were presented by me earlier (Kvashilava 2011:266-267).

Below these sequences are studied in detail.

### 1.1. Reading the sign-sequence **✚** [ku-ro]

According to GORILA (1976, I:18-19, 22-23, 26-27, 44-45, 48-51, 138-141, 150-153, 164-165, 168-171, 176-179, 192-203, 206-213, 218-219, 318-319; 1976, III:182-185; see also Younger 2000-2011) the sign-sequence **✚** has been attested on clay tablets HT 9 (HM 13), HT 11 (HM 29), HT 13 (HM 7), HT 25 (HM 34), HT 27 (HM 36+53), HT 88 (HM 1312), HT 89 (HM 1313), HT 94 (HM 1316), HT 100 (HM 1306), HT 102 (HM 1310), HT 104 (HM 1317), HT 109 (HM 1333), HT 110 (HM 1319), HT 116 (HM 1361), HT 117 (HM 1364), HT 118 (Pigorini 83734), HT 119 (HM 1362), HT 122 (HM 1366), HT 123 (HM 1367+1371), HT 127, PH(?) 31 (HM 1609), ZA 15 (HM 1627); these were found at Hagia Triada, Phaistos (?) and Zakros in Crete, and dated back to LM IB period (GORILA 1976, I:XXI, XXX; 1976, III:XIV, XVI, XXII; 1985, V:83-86, 113).

The following two inscriptions have been chosen for my study:



Inscription on side b of clay tablet HT 9  
 (GORILA 1976, I:18, 19)

### HT 9b

- .1 𠂔目𢚤 ]  
 .2 𠂔 𠂔  
 .3 𠂔 𠂔  
 .4 𠂔 𠂔  
 .5 𠂔 𠂔  
 .6 𠂔 𠂔

Inscription on side b of clay tablet HT 9  
 (GORILA 1976, I:19)

### HT 11b

- .1 ]𢚤 𠂔 𠂔 :  
 .2 𢚤 𢚤 𢚤 𢚤 𢚤 𢚤 :  
 .3 𢚤 𢚤 𢚤 𢚤 𢚤 𢚤 :  
 .4 𢚤 𢚤 𢚤 𢚤 𢚤 𢚤 :  
 .5 𢚤 𢚤 𢚤 𢚤 𢚤 𢚤 :  
 .6 𢚤 𢚤 𢚤 𢚤 𢚤 𢚤 :

### HT 11b



.4 ]𢚤 𢚤 𢚤 𢚤 𢚤 𢚤 :  
 possibly impossible.

### HT 11b

- .1 ]𢚤 𠂔 :  
 .2 𢚤 𢚤 𢚤 𢚤 𢚤 𢚤 :  
 .3 𢚤 𢚤 𢚤 𢚤 𢚤 𢚤 :  
 .4 𢚤 𢚤 𢚤 𢚤 𢚤 𢚤 :  
 .5 𢚤 𢚤 𢚤 𢚤 𢚤 𢚤 :  
 .6 𢚤 𢚤 𢚤 𢚤 𢚤 𢚤 :

Inscription on side b of clay tablet HT 11  
 (GORILA 1976, I:22, 23)

The sign-sequence 𢚤 is attested at the end of the inscriptions on HT 9b and HT 11b.

The Linear A (LA) script signs LA081 **ἢ** and LA002 **+** are considered to be identical (or similar) to the corresponding signs of Linear B (LB) and the Cypriot syllabic (CS/LC) script, as shown on the table below (see Kvashilava 2011:239; 2012:165-167):

LA						ku	+ ro
LB						ku	+ ro
CS (LC)						ki	+ lo

The table is compiled according to Evans 1952, II:15, 6;  
Bennett 1966:298, 299, 304, 305; Chadwick 1970:24;  
GORILA 1985, V:XXXIV, XXVIII; CoMIK 1986, I:54;  
Duhoux 1983:34; Raison, Pope 1994:25; Douros 2008:29, 25

According to rule 5.2.2 of my algorithm for reading the signs of the Phaistos Disk and Linear A scripts (Kvashilava 2008:253, 254), the LA081 sign **ἢ** and LA002 sign **+** are read as [ku] and [ro/\*lo] syllables (see Kvashilava 2011:252, 266; 2012:174-176), which coincides with the phonological values of the corresponding LB signs (see Chadwick 1970:165), and consequently the LA sequence of signs **ἢ+** is read as [ku-ro/\*ku-lo].

The meaning of **ἢ+** [ku-ro/\*ku-lo] is supposed to be ‘total’ (Evans 1952, II:16, 52; Pope 1958:21; Nagy 1963:202, 203; Packard 1974:26; Platon, Brice 1975:73; Chadwick 1975:144; Hooker 1990:181 / Chadwick 1987; Palmer 1995:136, 137, 151; Duhoux 2000:598; 2004:217; Schoep 1999:208; 2002:160-162; Facchetti, Negri 2003:169; Younger 2003:309<sup>12</sup>; Owens 2007:317; Montecchi 2008:314); Indo-European \*ger- ‘to collect, to gather’; Greek ἀγείρω<sup>1</sup> ‘to come together, to assemble; to gather, to collect’ (SOS 1976:91 / Pope 1964; comp. Bomhard 2014, II:538, №486D); Kartvelian \*kar-/kr- – ‘bind, bind together, tie’; Kartvelian \*kr-eb- – ‘to gather; sum up’ (Gordeziani 2000:117; 2007, II:211; Chotalishvili 2003:100; comp. Bomhard 2014, II:538, №486C); Semitic \*kull-‘all’<sup>2</sup> (Gordon 1958:249; 1975:153, 156; Packard 1974:26 ff.).

The above materials show the connection of **ἢ+** [ku-ro] with the Common Kartvelian (CK) archetype \*զր-օր [<sup>1</sup>\*kr-oj] < \*զր-Շ-յօր/<sup>2</sup>\*զր-Շ-օր [<sup>1</sup>\*kr-w-ej/<sup>2</sup>\*kr-w-aj]<sup>3</sup>.

<sup>1</sup> Comp.: Indo-European \*h₂ger- ‘to gather, to collect; to come together, to assemble’ (see Bomhard 2014, II:538, №486D); Mycenaean Greek Α-ΚΕ-ΡΕ [a-ke-re] (see PY Cc 660.a tablet) – ἀγείρει (Jorro, Adrados 1999, I:38); ΤΡΑ-ΚΟ-ΡΑ [a-ko-ra] (see PY Cn 453.1 tablet) – ἀγορά (Jorro, Adrados 1999, I:46); ἄγορας, ‘gathering’ (see Beekes 2010, I:10; comp.: Chadwick, Baumbach 1963:166; Pokorny 2007:1029-1030).

<sup>2</sup> Comp. Semitic \*kull-‘all’ (see Bomhard 2014, III:569-570, №512A); Sumerian 𒂗-𒂗-𒂗 [kul] ‘to collect’ (PSD 2005:150).

<sup>3</sup> The following notations are used in this paper: C – any simple consonant or harmonic group of decessive order; Շ/j/ stands for a frontal sonant phoneme; կ=կ=կ'; Կ=կ/կ'; լ=լ/լ', ի

## 1.2. Reconstruction of the CK archetype \*გრ-ო [\*[kr]-oj]

As mentioned above, the theory of morphological structure and typology of CK presented by Th. Gamkrelidze and G. Machavariani (1965:366-368), the comparative study of Kartvelian languages allows the inner and comparative reconstruction of Later CK archetypes.

According to the ‘Principle of Monovocalism’ (Gamkrelidze, Machavariani 1965:183, 243), if to one-morpheme verbal root – in our case {\*გრ-/\*გარ- [\*ker-/\*kar-]} – a normal grade suffixal morpheme, such as {\*-ეუ/-აუ [\*-ew/\*-aw]} is added, then in a bimorphic stem only one morpheme is presented at the normal vocalic grade, and the normal vocalic grade of the root changes to the zero or reduced grade (comp.: Gamkrelidze, Machavariani 1965:311, 238; Gamkrelidze 2008:35):

*Normal vocalic grade root*

*გრ-/*გარ-	[*ker-/*kar-] <sup>4</sup>
*-ბ/*-იბ	*-b/*-ib
*-ნ/*-ინ	*-n/*-in

*Zero vocalic grade stem*

*გრ-/[გრ-ეუ/-აუ-]	[*kr-/kr-ew/-aw-]
*-ებ/*-აბ	*-eb/*-ab <sup>5</sup>
*-ევ/*-ავ	*-ej/*-aj
*-ენ/*-ან	*-en/*-an

These archetypes are of the phonemic structures of the CK morphemes (comp. Gamkrelidze, Machavariani 1965:227, 239):

*გრ-/*გარ-	[*ker-/*kar-] ∈ CVS-;
*გრ-ეუ/-აუ-	[*kr-ew/-aw-] ∈ CS-VS-;
*გრ-ეუ/-აუ-	[*kr-ew/-aw-] ∈ CS-VS-.

CK \*გარ- [\*kar-] root morpheme is manifested in the 1<sup>st</sup> and 2<sup>nd</sup> subjective person forms of athematic (zero) aorist on the normal vocalic grade (comp.: Gamkrelidze 1966: 74; Gamkrelidze, Machavariani 1965:239):

*being a palatal (or palatalized) lateral sonant, and լ – a postalveolar (cacuminal or retroflex) lateral sonant; զ=զ=զ; պ=պ=պ; ս=ս=շ; Տ denotes any non-syllabic sonant; Ծ denotes any syllabic sonant; տ=տ; Վ=Վ, Վ denotes any vowel phoneme; Շ /w/ denotes a labial non-nasal sonant phoneme; 'ա'=ա or similar, 'ա, =ա or nothing; Օ – a null phoneme; \* denotes the reconstructed phoneme; # denotes a pause; / denotes a parallel phoneme or form; a>b means that a changes to b; b∈C means: b belongs to C. Syllabic Թ /r/ is denoted as Թ [r], Թ [r] is non-syllabic (Gamkrelidze, Machavariani 1965:80<sup>2</sup>).*

<sup>4</sup> \*Ջ/\*Ձ [\*e/\*a] occurred after the \*Ջ [\*e] and \*Ձ [\*a] allophones of the CK vocalic \*Ձ /\*Ձ/ phoneme acquired phonological values (Gamkrelidze, Machavariani 1965:372).

<sup>5</sup> In Modern Georgian the suffix -ებ [-eb] substituted the earlier \*-ეւ [\*-ew]. Comp. Old Georgian ձ-ցյրთხ-ց-վ [a-kurt<sup>h</sup>x-ev-s]: Modern Georgian ձ-ցյրთხ-ց-վ [a-kurt<sup>h</sup>x-eb-s] (Gamkrelidze, Machavariani 1965:263<sup>1</sup>) – ‘the act of blessing’ (DGL 1950, I:259).

*A o r i s t*

*Singular*

- I. \* $\hat{\text{g}}\text{-}\text{gər}$  [\*w- $\dot{\text{k}}\text{ar}$ ]
- II. \* $\check{\text{g}}\text{-}\text{gər}$  [\*h- $\dot{\text{k}}\text{ar}$ ]

*Plural*

- I. \* $\hat{\text{g}}\text{-}\text{gər-}\omega$  [\*w- $\dot{\text{k}}\text{ar-t}^h$ ]
- II. \* $\check{\text{g}}\text{-}\text{gər-}\omega$  [\*h- $\dot{\text{k}}\text{ar-t}^h$ ]

As for the CK zero-grade root morpheme \* $\text{gər}$ - [\* $\dot{\text{k}}\text{r}-$ ], it is manifested in the 1<sup>st</sup>, 2<sup>nd</sup> and 3<sup>rd</sup> subjective person of thematic present forms, as well as in the 3<sup>rd</sup> person forms of the athematic aorist (comp.: Gamkrelidze 1966:74; Gamkrelidze, Machavariani 1965:239):

*P r e s e n t*

*Singular*

- I. \* $\hat{\text{g}}\text{-}\text{gər-}\delta\hat{\text{g}}$  [\*w- $\dot{\text{k}}\text{r-aw}$ ]
- II. \* $\check{\text{g}}\text{-}\text{gər-}\delta\hat{\text{g}}$  [\*h- $\dot{\text{k}}\text{r-aw}$ ]
- III. \* $\text{gər-}\delta\hat{\text{g}}\text{-}\mathfrak{b}$  [\* $\dot{\text{k}}\text{r-aw-s}$ ]

*Plural*

- I. \* $\hat{\text{g}}\text{-}\text{gər-}\delta\hat{\text{g}}\text{-}\omega$  [\*w- $\dot{\text{k}}\text{r-aw-t}^h$ ]
- II. \* $\check{\text{g}}\text{-}\text{gər-}\delta\hat{\text{g}}\text{-}\omega$  [\*h- $\dot{\text{k}}\text{r-aw-t}^h$ ]
- III. \* $\text{gər-}\emptyset\hat{\text{g}}\text{-}\mathfrak{b}$  [\* $\dot{\text{k}}\text{r-}\emptyset\text{w-en}$ ]

*A o r i s t*

*Singular*

- III. \* $\text{gər-}\delta$  [\* $\dot{\text{k}}\text{r-a}$ ]

*Plural*

- III. \* $\text{gər-}\mathfrak{g}\mathfrak{b}$  [\* $\dot{\text{k}}\text{r-es}$ ]

If the thematic zero-grade {\*- $\emptyset\hat{\text{g}}$  [\* $\emptyset\text{w}$ ]}) and normal grade {\*- $\mathfrak{g}\mathfrak{a}$ /\*- $\delta$  [\*-ej/\*-aj]} suffixal morphemes are added to the one-morpheme root {\* $\text{gər}$ /\* $\text{gər}$ - [\* $\dot{\text{k}}\text{r-}$ ]}, the normal vocalic grade of the root is changed to the reduced grade (comp. Gamkrelidze, Machavariani 1965:226):

\* $\text{gər-}/\text{gər-}\hat{\text{g}}\text{-}\mathfrak{g}\mathfrak{a}/-\delta$  [\* $\dot{\text{k}}\text{r-}/\dot{\text{k}}\text{r-w-ej/-aj-}$ ]  
 \*- $\delta$    \*-b  
 \*- $\mathfrak{g}\mathfrak{b}$ /\*- $\delta\mathfrak{b}$                                    \*-en/\*-an

CK archetypes \* $\text{gər-}\hat{\text{g}}\text{-}\mathfrak{g}\mathfrak{a}/-\delta$  [\* $\dot{\text{k}}\text{r-w-ej/-aj-}$ ] and \* $\text{gər-}\hat{\text{g}}\text{-}\mathfrak{g}\mathfrak{a}/-\delta$  [\* $\dot{\text{k}}\text{r-w-ej/-aj-}$ ] are of the CS-S-VS- and CŞ-S-VS- phonemic structures (comp. Gamkrelidze, Machavariani 1965:203).

Consequently, the inner and comparative analysis allows the reconstruction of the CK archetypes:

\***კერ**-/\***კარ**- [\*ker-/\*kar-] (comp. Gamkrelidze, Machavariani 1965:311);

\***კერ-ბ**-/\***კარ-ბ**- [\*ker-b-/\*kar-b-], \***კრ-ებ**-/\***ბ**- [\*kr-eb/-āb-];

\***კრ-ბ-ევ**-/\***ა**- [\*kr-b-ej/-aj-], \***კრ-იბ-ევ**-/\***ა**- [\*kr-ib-ej/-aj-] (comp.: Gamkrelidze, Machavariani 1965:182, 271, 308, 309, 356<sup>1</sup>; Gamkrelidze 1966:74; Gamkrelidze 2008:35; Gamkrelidze, Ivanov 1995, I:227, 228);

\***კრ-/კრ-ევ**-/\***ა**- [\*kr-/kr-ej/-aj-];

\***კრ-/კრ-ეუ**-/\***ა**- [\*kr-/kr-ew/-aw-];

\***კრ-/კრ-ენ**-/\***ა**- [\*kr-/kr-en/-an-];

\***კრ-/კრ-ევ**-/\***ა**- [\*kr-/kr-w-ej/-aj-].

Below are presented the Kartvelian materials connected to these archetypes.

### 1.2.1. One-morpheme root \***კარ**-/\***კერ**-/\***კრ**-/\***კრ**- [\*kar-/\*ker-/\*kr-/\*kr-]

The CK root \***კარ**-/\***კრ**- [\*kar-/\*kr-] (Gamkrelidze, Machavariani 1965:311) is attested in the following Georgian words:

- Georgian შე-გ-კარ(-ი) [še-v-kar(-i)] (Shanidze 1973, I:427, 428; Gamkrelidze, Machavariani 1965:226, 235, 311, 354; Fähnrich, Sarjveladze 2000:263; comp. Mtskheta Manuscript 1985:343 / Ezekiel 34.4) – ‘ich verknüpfe’ (Fähnrich 2007:222), ‘I bound’;

Old Georgian პ-კრ-ევ-დ-ით<sup>h</sup><sup>6</sup> (Mtskheta Manuscript 1981:114 / Genesis 37.7; Fähnrich, Sarjveladze 2000:263; Abuladze 1973:202) – ‘ihr bandet’ (Fähnrich 2007:222), ‘you bound’;

Old Georgian შე-კრ-ვ-ა [še-kr-v-aj]<sup>7</sup> (Iakob Tsurtaveli, Martyrdom of St Shushanik, VI, VIII) – ‘to bind’;

Georgian კრ-უ-ა [kr-ú-aj], კრ-უ-ა [kr-ú-a] (Anton I, 1753; 1767, VI; comp. Gamkrelidze, Machavariani 1965:52), კრ-ვ-ა [kr-v-a] – ‘verbinden, verknüpfen’ (Fähnrich 2007:222), ‘to knot together; connect’;

Georgian შე-კრ-ვ-ა [še-kr-v-a] (Abuladze 1973:476) > შე-კვრ-ა [še-kvr-a] (see Zhgenti 1960, I:34-35, 34<sup>2</sup>, 35<sup>2</sup>; comp.: Shanidze 1973, I: 493; Orbeliani 1993, II:287) – ‘1. to bind, tie, knot together with a strip, rope, cane; 2. bunch, collection, pack’ (DGL 1962, VII:866-867);

Georgian შე-კურ-ა [še-kür-a] (Shota Rustaveli 1712:255; Zurab Shanshovani 1737) – ‘knot; bunch pack’.

CK\***კარ**-/\***კრ**- [\*kar-/\*kr-] is traced in Svan:

- Svan ლი-ჭარ-ნ-ე [li-čär-n-e]<sup>8</sup> (The Lentekhian dialect), ლი-ჭრ-ენ-ი [li-čr-en-i] (Upper Svan and Lashkhanian dialects) – ‘to bind, add’ (Topuria, Kaldani 2000: 1068; Klimov 1998:86); ‘to tie to’ (Chukhua 2000-2001:375);

<sup>6</sup> CK unstressed syllabic \***რ** [\*r] is non-syllabic in #C-V position Georgian რ [r] (comp.: Gamkrelidze, Machavariani 1965:108 ff., 111-112, 121; Gamkrelidze 1966:73; Gamkrelidze, Mačavariani 1982:44).

<sup>7</sup> CK unstressed syllabic \***რ** [\*r] is non-syllabic in #C-S position Georgian რ [r] (comp.: Gamkrelidze, Machavariani 1965:104-105, 99; Gamkrelidze 1966:72; Gamkrelidze, Mačavariani 1982:44).

Svan ხ-ა-ჭირ-ნ-ე [x-a-čär-n-e] (The Lentekhian dialect), ხ-ა-ჭირ-ენ-ი [x-a-čr-en-i] (Upper Svan and Lashkhian dialects) – ‘tie, sew to’ (Topuria, Kaldani 2000:183);

Svan ა-ჭირ-ენ-ი [a-čr-en-i] (Upper Bal and Lashkhian dialects), ა-ჭირ-ი [a-čr-i] (Lower Bal dialect), ა-ჭარ-ე [a-čar-e]<sup>9</sup> (Lashkhian dialect) – ‘to make smth whole’ (that was torn) (Topuria, Kaldani 2000:183);

Svan ჭარ-ა [čar-a] (Upper Bal, Lower Bal and Lashkhian dialects) – ‘to lengthen’ (Lashkhian dialect), ‘adding’ (Topuria, Kaldani 2000:1925);

Svan ან-ჭურ-ე [an-čür-e] (Upper Bal), ან-ჭურ-ე [an-čur-e]<sup>10</sup> (Lower Bal) – ‘collects, gets together’ (Topuria, Kaldani 2000:88);

  - \*კრ-ოდ [\*ქრ-oj] – „შეკრა“; „ლშეკრება“; „ლაპკრევა“; „შეგროვება“, „მოგროვება“, „დაგროვება“;
  - \*კილ-ოდ/\*კირ-ოდ [\*kil-oj/\*kir-oj] – „კილვა“; „ნაკლი“; „ნაკლებობა“; „გამოკლება“; „კლება“, „დაკლება“; „ჩამოჭრა“;
4. {\*კრ- [\*ქრ-]} და {\*კილ-/\*კირ- [\*kil-/\*kir-]} ძირეული მორფები შესაბამისად განეკუთვნებიან CS- და CoS- სტრუქტურულ ტიპებს, ხოლო {\*-ოდ [-oj]} სუფიქსური მორფება განეკუთვნება -VS სტრუქტურულ ტიპს. ეს ფონემატური სტრუქტურები საერთო-ქართველურ მორფებთა კანონიკურ ფორმებს წარმოადგენს;
5. თ. გამყრელიძისა და გ. მაჭავარიანის (1965, 1982) მიერ საერთო-ქართველური ენისთვის დადგენილი „მონოვოკალიზმის პრინციპით“ აიხსნება შემდეგი კანონზომიერი გარდაქმნები:
  - საერთო-ქართვ. \*კრ-ოდ [\*ქრ-oj] < \*კრ-უ-ედ/\*კრ-უ-ად [\*ქრ-w-ej/\*kr-w-aj];
  - საერთო-ქართვ. \*კილ-ოდ/\*კირ-ოდ [\*kil-oj/\*kir-oj] < \*კილ-უ-ედ/\*კირ-უ-ად/\*კირ-უ-ედ/\*კირ-უ-ად [\*kil-w-ej/\*kil-w-aj/\*kir-w-ej/\*kir-w-aj].
 ეს არქეტიპები რეგულარულ ფონოლოგიურ და სემანტიკურ მიმართებაშია შესაბამის ქართველურ მასალასთან;
6. ქართველური მასალის შესწავლა ადასტურებს A კლასის ხაზოვანი დამწერლობის **ჸ+** [*ku-ro*] და **ჷ+** [*ki-ro/\*ki-lo*] ნიშანთა მიმდევრობების საერთო-ქართველური ენაზე ამოკითხვის მართებულებას.

ივანე ლეშავა

**ფინანისმის ნაპრალოგათა არტიკულაციის  
მრთი თავისებურება**

XIX საუკუნის ენათმეცნიერი ოტო ბრემერი,<sup>1</sup> ითვალისწინებდა რა ისტორიას გერმანული შიშინა ნაპრალოგნისა, რომელიც მიღებულია სისინა [s] და ველარული [x] ნაპრალოგნების შერწყმით, თვლიდა, რომ შესაძლებელია შიშინა თანხმოვნების ორფოკუსიანი წარმოება. ასეთი თანხმოვნების არტიკულაციის თავისებურება ის არის, რომ მათი წარმოთქმის დროს ნაპრალი წარმოიქმნება არა მარტო წინა ენის აწევით, არამედ შუა და უკანა ენის ნაწილების აწევითაც. ამდენად, ორივე შესაძლო ნაპრალის ერთგვარი შერწყმით ხდება ნაპრალის ზომის გადიდება და ამის საფუძველზე ხახუნის ჩქამის – „შიშინა“ გაძლიერება.<sup>2</sup>

ეს მოსაზრება შემდგომში განავითარა ლ. შჩერბამ. მისი აზრით, შიშინა სიბილანტების არტიკულაციისათვის დამახასიათებელია ე.წ. მეორე ჩქამწარმომქედი ფოკუსის შექმნა ენის უკანა ნაწილის აწევით რბილი სასისაკენ და შუა ენის ჩაზექით. სწორედ ამ დროს წარმოიშვება ერთგვარი ხ-სებრი ჩქამი და ამით ისინი (შიშინა ნაპრალოგნები) უპირისპირდებიან ყველა სხვა ნაპრალოგანს.<sup>3</sup> ამ შეხედულებას ეთანხმებოდა ს. ჟღენტიც და ხაზს უსგამდა ქართული შიშინა ნაპრალოგნების ლაბიო-ველარიზებულ ხასიათს. ლ. შჩერბა კიდევ უფრო შორს წავიდა და თანხმოვნების მირითადი ტიპების ცნობილ ცხრილში შიშინა ნაპრალოგნები ერთდროულად წინაენისმიერებშიც მოათავსა და უკანაენისმიერებშიც (ზინდერი 1979:150).

ვ. ბოგოროდიცკის თვალსაზრისით, სისინა და შიშინა ნაპრალოგნების არტიკულაციისათვის ღირებული და მირითადი განმასხვავებელი ნიშანია წინა ენის არტიკულაციის ადგილი და არა თვით არტიკულატორი (ბოგოროდიცკი 1939).

ჯ. კეტფორდისთვის კი არტიკულაციის ადგილის გარდა – განსხვავებაა ნაპრალის და დაბრკოლებისწინა რეზონატორების ზომებშიც.<sup>4</sup> ეს მოსაზრება გაზიარებულია მეტყველების წარმოქმნის თანამედროვე თეორიაში.

კავკასიური და ზოგიერთი სხვა ენების სისინა და შიშინა ნაპრალოგნების ექსპერიმენტული კვლევის საფუძველზე შ. გაფრინდაშვილმა დაადგინა, რომ შიშინის ეფექტი მიიღება ე.წ. „მეორე ფოკუსის“ უქონლობის შემთხვევაშიც; მეტიც

<sup>1</sup> Otto Bremer, Deutsche Phonetik, Leipzig 1928.

<sup>2</sup> Л. Р. Зиндер, Общая фонетика, Москва 1979.

<sup>3</sup> Л. В. Щерба, Фонетика французского языка, Москва 1953.

<sup>4</sup> J. C. Catford, Fundamental Problems in Phonetics, Edinburgh University Press, Edinburgh.

— ამ ფოკუსის არსებობა ფიქსირდება სისინა თანხმოვნების არტიკულაციის დროსაც.<sup>5</sup>

ლ. გამსახურდიას აზრით, ქართულში შიშინა ნაპრალოვნებისა და აფრიკატების ორფოკუსიანობა ფაკულტატიურია, ამ თანხმოვნებისთვის ასევე ფაკულტატიურია შუა ენის ჩაზნექაც (გამსახურდია 1959).

ჩვენ მიერ ჩატარებულმა კვლევებმა ცხადყო, რომ ადილეელი ცდისპირის წარმოთქმით როგორც შიშინა, ისე სისინა და აგრეთვე სისინ-შიშინა ნაპრალოვნების არტიკულაციისათვის თანაბრადაა დამახასიათებელი უკანა ენის ზურგის აწევა რბილი სასისკენ (ლეჟავა 1967).

აღსანიშნავია, რომ სხვა ადილეელი ცდისპირის მიერ წარმოთქმული სისინ-შიშინა ნაპრალოვნების რენტგენოგრამებზე დადასტურებული იყო უკანა ენის ზურგის მაქსიმალური დაწევა სწორედ შიშინებისათვის ნავარაუდევ ე.წ. „მეორე ფოკუსის“ მიღამოში (გაფრინდაშვილი 1959).

პალატოგრაფიული და რენტგენოგრაფიული მონაცემების საფუძველზე შესაძლებელია სიბილანტი ნაპრალოვნების განმასხვავებელი ძირითადი საარტიკულაციო ნიშნების ჩამოყალიბება:

- საარტიკულაციო ნაპრალის ზომა;
- არტიკულაციის წერტილის წინამდებარე სარეზონანსო არის მოცულობა;
- ენის წვერის მდგომარეობა ქვედა საჭრელი კბილების და ნუნების მიმართ;
- ბაგეების მონაწილეობა.

ამასთანავე, საყურადღებოა, რომ გ. დოლიძისა და ლ. გამსახურდიას რენტგენოგრაფიული სურათების მიხედვით სისინა თანხმოვნების წარმოთქმის ღროს ენის ძირი უფრო ახლოსაა ხახის უკანა კედელთან, ვიდრე შიშინა თანხმოვნების წარმოთქმის ღროს.

მაშასადამე, მიუხედავად იმისა, რომ სისინა ნაპრალოვნები უფრო წინა წარმოებისაა, ვიდრე შიშინები, პირის ღრუში ენის მთლიანი მასა შიშინა ნაპრალოვნების შემთხვევაში უფრო წინ არის წაწეული.

გ. ახვლედიანის მოსაზრების თანახმად, რუსული მაგარი შიშინა თანხმოვნები განსხვავებულია ქართული რბილი შიშინებისაგან: მაგრისთვის ენა ჩაიზნიქება, ხოლო რბილისთვის — არა (ახვლედიანი 1999:86-87), რადგან რუსული შიშინების წარმოთქმისათვის დამახასიათებელია კაკუმინალური არტიკულაცია შუა ენის ჩაზნექით (ზინდერი 1979:148).

თუმცა არსებობს ს. უღენტის განსხვავებული მოსაზრებაც, რომ ქართულ შიშინებს ფრანგულთან შედარებით „უფრო ველარული და, ამდენად, უფრო მეტი მაგარი ელფერი აქვს, დაახლოებით ისეთი, როგორიც რუსულში“ (უღენტი 1956:170).

ამავე მოსაზრებას ნაწილობრივ ემსრობა გ. დოლიძე, როდესაც ჟ-ს რენტგენოგრამაზე შუა ენის უმნიშვნელო ჩაზნექას აფიქსირებს (აღსანიშნავია, რომ ჟ

<sup>5</sup> შ. გაფრნდაშვილი, სისინა და შიშინა სპირანტთა წარმოების თავისებურებისათვის, იქნ. ტ. XI, თბილისი 1959.

ბგერის რენტგენოგრამაზე ეს თავისებურება არ ჩანს): „შუა ენის ჩაზნექილობის მომენტი თითქოს არ უნდა გამოდგეს ჟ შ თანხმოვნების მაგარი და რბილი ვა-რიანტების გასარჩევად“ (დოლიძე 1954:35).

ქართული წინაენისმიერი ნაპრალოვნების სპექტრულმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ შუა და უკანა ენის სხვადასხვაგარი არტიკულაცია გავლენას ახდენს სიბი-ლანტი ნაპრალოვნების მხოლოდ ფორმანტულ სურათზე და, ფაქტობრივად, ვერ ცვლის სპექტრის ჩქამიერ შემადგენლებს. გაირკვა ისიც, რომ ქართული შიშინე-ბის მეორე ფორმანტი 500 ჰერცი მაღალია რუსულ შიშინებთან შედარებით.

მეტყველების აკუსტიკური თეორიის თანახმად, ცნობილია, რომ მეორე ფორ-მანტის სიხშირეს განსაზღვრავს შუა ენის მდგომარეობა მაგარი სასის მიმართ და უკანა ენისა და ენის ძირის მდგომარეობა შესაბამისად რბილი სასისა და ხა-ხის კედლის მიმართ (ფანტი 1973:28-29). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ველა-რიზაცია და ფარინგალიზაცია ადაბლებს მეორე ფორმანტს (F2), ხოლო პალა-ტალიზაცია – ამაღლებს.

რუსულ შიშინებთან და ქართულ სისინებთან შედარებით ქართული შიშინა თანხმოვნების უფრო მაღალი მეორე ფორმანტი მიუთითებს მათ პალატალიზე-ბულ არტიკულაციაზე და შეესაბამება რენტგენოგრაფიულ მონაცემებს, რომელთა მიხედვითაც ქართული შიშინა თანხმოვნების წარმოთქმის დროს ენის მასა უფრო წინ არის, ვიდრე სისინების წარმოთქმისას და შუა ენის ფაკულტატიური ჩაზნე-ქა კი გავლენას ვერ ახდენს ფორმანტულ სურათზე და, შესაბამისად, აკუსტი-კურ სილბო-სიმაგრეზე; განსხვავებით რუსული შიშინების არტიკულაციისაგან, სადაც კაკუმინალური არტიკულაციის გამო შუა ენა ჩაიზნიქება, ხოლო რბილი სასის მიდამოში უკანა ენის მიახლოება შეინიშნება.

ჩვენი აზრით, ენის ჩაზნექა (დეპალატალიზაცია) და ე.წ. „მეორე ფოკუსის“ შექმნა (ველარიზაცია, ფარინგალიზაცია) აკუსტიკურად ერთსა და იმავე ეფექტს – მაგარ ელევრს – იძლევა. ამიტომ, ლ. შჩერბას მოსაზრება – თითქოს „მეორე ფოკუსი“ იწვევს წინაენისმიერი ნაპრალის უკან გადაწევას ს-თან შედარებით (გაშიშინებას), არ უნდა იყოს მართებული.

ამასთანავე ისიც აღსანიშნავია, რომ აეროდინამიკის კანონების თანახმად, ე.წ. „მეორე ფოკუსის“ ზომების გათვალისწინებით, რომელიც რამდენჯერმე აღემატება ალვეოლებთან არსებულ საარტიკულაციო ნაპრალს, გამოირიცხება რაიმე სა-ხის ჩქამის შესაძლებლობა.

მაშისადამე, პალატოგრაფიული და რენტგენოგრაფიული მეთოდების გამოყე-ნებით მიღებული შედეგების საფუძველზე გაკეთებული დასკვნები სიბილანტი ნაპრალოვნების ბუნების თაობაზე სავსებით შეესაბამება სპექტრული ანალიზის მონაცემებს და ე.წ. „მეორე ჩქამწარმომქედი ფოკუსი“ სიბილანტთა არტიკულა-ციის მხოლოდ ერთ-ერთ მოდიფიკაციად შეიძლება განიხილებოდეს.

## ლიტერატურა

- ახვლედიანი 1999:** გ. ახვლედიანი, ზოვადი ფონეტიკის საფუძლები, სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.
- ბოვორდიცი 1939:** В. А. Богородицкий, *Очерки по языкоznанию и русскому языку*, Москва.
- ბრემერი 1893:** O. Bremer, *Deutsche Phonetik*, Leipzig.
- გამსახურდია 1959:** Л. К. Гамсахурдия, Шумные смычные фонемы грузинского языка, *Фонетический сборник*, I, Тбилиси.
- გაფრინდაშვილი 1959:** შ. გაფრინდაშვილი, სისინა და შიშინა სპირანტთა წარმოების თავისებურებისათვის, იქ, ტ. XI, თბილისი.
- დოლიძე 1954:** გ. დოლიძე, ქართული ენის თანხმოვნები (ექსპერიმენტული გამოკვლევა), სადისერტაციო ნაშრომი ფილოლოგიის მეცნიერებათა სამეცნიერო ხარისხის მოსაბოვნებლად.
- ზინდერი 1979:** Л. Р. Зиндер, *Общая фонетика*, Москва.
- კატფორდი 1977:** J. C. Catford, *Fundamental Problems in Phonetics*, Edinburgh University Press, Edinburgh.
- ლეჟავა 1967:** ი. ლეჟავა, ადილეური ენის სისინ-შიშინა ნაპრალოვანი თანხმოვნები, ქრ.-ში: მეტყველების ანალიზის, სინთეზისა და სტატისტიკის საკითხები, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.
- ჯანგი 1956:** ს. ჯანგი, ქართული ენის ფონეტიკა, თსუ გამომცემლობა, თბილისი.
- ფანტი 1973:** G. Fant, *Speech Sounds and Features*, The MIT Press, Massachusetts.
- შერბა 1953:** Л. В. Щерба, *Фонетика французского языка*, Москва.

Ivane Lezhava

### One Peculiarity of Articulation of Coronal Fricatives

#### Summary

Otto Bremer, a 19<sup>th</sup>-century linguist, taking into consideration the history of the German hushing fricative which resulted from the merging of the hissing [s] and velar [x], regarded that a two-focus production of hushing consonants was possible. This viewpoint was subsequently developed by L. Shcherba. In his opinion, the articulation of hushing sibilants was characterized by the creation of the so-called “second back focus” (secondary narrowing) by means of raising the back part of the tongue to the soft palate and lowering the middle of the tongue. Exactly at this time, a certain x-type noise is produced and this peculiarity distinguishes them (hushing fricatives) from all other fricatives.

The spectral analysis of Georgian coronal fricatives has shown that different articulations by the middle and the back of the tongue affect only the F-pattern of

sibilant fricatives, and in fact do not change the noise components of the spectrum. It has also been identified that the second formant of Georgian hushing sounds is 500Hz higher than the Russian hushing consonants.

In our view, lowering the middle of the tongue (depalatalization) and creation of the so-called “second focus” (velarization, pharyngealization) produces acoustically one and the same –“hard” (dark) – effect. Therefore, the viewpoint according to which the “second focus” causes moving of the articulatory location to the back as compared with [s] (turning the sound into that of a hushing type) does not seem correct.

The conclusions concerning the nature of sibilant fricatives, drawn on the basis of the results obtained by palatographic and roentgenographic methods, are in compliance with the evidence of spectral analysis, and the so-called “second focus” can be regarded only as one of the modifications of the articulation of sibilants.

## დროის აღმციველი ლაზური ლექსიკის სტრუქტურული და სემანტიკური ანალიზი<sup>1</sup>

შესავალი

წინამდებარე სამეცნიერო სტატია ეხება დროის აღმნიშვნელი ლექსიკის სტრუქტურულ-სემანტიკურ ანალიზს ლაზური მასალის მიხედვით. ცნობილია, რომ ლაზური სპეციფიკური ვითარების მაჩვენებლია – ის ძირითადად თურქულ ენიბრივ არეალშია მოქცეული; საქართველოს ტერიტორიაზე რამდენიმე ლაზური სოფელია მთოლოდ, მათ შორის ყველაზე კომპაქტურად დასახლებულია ს. სარფი. სარფული მეტყველება, შესაბამისად ლექსიკაც, არ არის დაცული თურქიზმებისგან, ასევე დასტურდება ქართული ლექსიკური ერთეულები.

საანალიზო მასალა აღებულია:

- გამოცემული ლაზური (ჭანური) ტექსტებიდან
- ალი თანდილაგას ლაზური ლექსიკონიდან (თანდილაგა 2013)
- ს. სარფსა და თურქეთის ლაზეთში (ქემალთაშა, ნოღა, ზოფა, არქაბი) 2013-2014 წლების საექსპედიციო ჩანაწერებიდან, რომლებიც სპეციალური კითხვარებისა და ტესტების საშუალებით განხორციელდა.

რამდენადაც სივრცე და დრო უნივერსალური კატეგორიებია, ქართველური ენების მასალის ანალიზი (რასაც ითვალისწინებს პროექტი მთლიანად) ზოგად-თეორიული სამეცნიერო ლიტერატურის გათვალისწინებით ხდება. კვლევის სტრატეგია, კონცეპტუალური ჩარჩო, საერთოდ და ამ კონკრეტულ შემთხვევაშიც, შემუშავებულია პროექტის ერთ-ერთი ხელმძღვანელის, პროფესორ ქობალავას მიერ [დაწვრილებით იხ. ამ ნომერში: იზაბელა ქობალავა, დროის სემანტიკა მეცნიერები (ლექსიკურ-სემანტიკური ანალიზი)].

ჩვენ, ცხადია, ვეყრდნობით მას და ლაზური მასალა წარმოდგენილია იმავე საკლასიფიკაციო ერთეულებით შესაბამის მსჯელობასთან ერთად.

ლინგვისტური დრო ერთ-ერთია ასტრონომიულ, ბიოლოგიურ, ფიქოლოგიურ და სხვა დროებს შორის. იგი ადამიანის შემცნების გამოხატულებაა, ამიტომ დროის დანაწევრება ხდება ციური სხეულების მოძრაობისა და გადაადგილების, სხვა ცოცხალი არსებების გამოღვიძებისა (მამლის ყივილი) და დაძინების (ძაღლის დაძინება) მიხედვით. ენობრივ ასახვაში, სივრცისგან განსხვავებით, დროს აქვს მთოლოდ ცალმხრივი მიმართულება – წარსულიდან მომავლისკენ, მაგრამ,

<sup>1</sup> ნაშრომი შესრულებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის – „სივრცე და დრო ქართველურ ენებში” (№ 13/20) – ფარგლებში.

სივრცის ანალოგიურად, ენობრივი დროც დეიქტური კატეგორიაა, რაც იძლევა მისი დანაწევრების შესაძლებლობას და განსაზღვრავს დროულ ლოკალიზაციას.

რამდენადაც აღნიშნულ სივრცულ-დროულ ზღვარს აწესებს მხოლოდ მოლაპარაკე თავის შეხედულებისამებრ, მისთვის მნიშვნელოვანი სიტუაციების მიხედვით, დროის უწყვეტ დინებაში ათვლის წერტილიც – **აქ ახლა** – შეიძლება იყოს მისი ნებისმიერი მონაკვეთი, რომელთან მიმართებაში ყოველთვის იარსებებს შესაბამისი წარსულიც და მომავალიც. ამის მიხედვით (თუმცა არა ყველა ენაში!) დრო სამია: **ახლანდელი (აწმყო), წარსული (ნამყო), მომავალი (მყოფადი).** ამგვარ განაწილებას იმეორებს ქართველური ენები, მათ შორის ლაზურიც.

დროის გამოსახატავად გამოიყენება არსებითი და ზედსართავი სახელები, ჩეკებითი ნაცეპალსახელები, ზმინზედები, ნაწილაკები, თანდებულები. რამდენადაც დროული დანაწევრება ემყარება სივრცულ დანაწევრებას, ბუნებრივა, საკუთრივ დროულ ლექსიკასთან ერთად, იგი იყენებს სივრცულ მიმართებათა აღმნიშვნელ ლექსიკასაც (ჩიქობავა 1945). ეს შეიძლება იყოს ზმები, ზმნისწინები, ზმნისართები...

ლაზური მასალის ლექსიკურ-სემანტიკური ანალიზი წარმოგვიდგენს შემდეგ ტემპორალურ სტრუქტურას:

ზოგადი დროის საპირისპიროდ კონკრეტული დრო აღნიშნავს როგორც გარკვეულ, მუდმივად მონაცემე (დათვლად) მოვლენათა (წელი, თვე, კვირა, დღე...) მიმდინარეობის დროს, რომლის განსაზღვრა შესაძლებელია დამოუკიდებლად, სხვა დროსთან მიმართების გარეშე, ისე სიტუაციურად მნიშვნელოვან დროულ მონაკვეთებს, რომლებიც განისაზღვრებიან მხოლოდ სხვა მოქმედების დროებთან მიმართებით. შესაბამისად, ანალიზის სისრულისათვის (სივრცულ მიმართებათა ანალოგით) შეიძლება ვილაპარაკოთ ვითარებით და მიმართებით დროებზე.

ვითარებითი დრო გამოიხატება დროის აღმნიშვნელ სიტყვებზე რიცხვითი სახელების დართვით:

➤ რაოდენობითი რიცხვითი სახელების საშუალებით კონკრეტდება დროის ერთეულთა თველადი რაოდენობა – არ თუთა, უკუ თუთა..., რომელსაც შეიძლება დაემატოს ნათესაობითი ბრუნვის თანდებული -ჯულე. მაგალითები დასტურდება შე/შე/ჟე ვარიაციებით:

**არ თუთაშეულე** მაჟვანი ჯიმა ქომოხთუ (კარტ. ლაზ. 29, 26): „ერთი თვის შემდეგ მეორე მდა მოვიდა“. **არ წანაშეულე** თექრარ ხოფაშა ქომოფითი (ყიფშიძე 1911. 8, 12): „ერთი წლის შემდეგ კიდევ ხოფაში მოვედი“.

ლაზურში -ჯულე თანდებული ერთვის ზმნა-შემასმენელსაც ისეთივე წესით, როგორიც სახელთან არსებობს და დროის გაგება შენარჩუნებულია: **ქეჭოფუშეკულე** = აიღოს შემდეგ, „რომ აიღო მერე“... როგორც აღნიშნავენ, ასეთი ფორმა უტოლდება დამოკიდებულ წინადადებას (ჩიქობავა 1936:64; ჯიქა 1967:369; ყიფშიძე 1911:6); სემანტიკურად ამავე შინაარსის შემცველია შემასმენლისა და -შა/შაქის ნაწილაკის შერწყმა: **ვორტი-შა** = სანამ ვიყავი.

მა საღი ვორტი-შა, წალენი გზაშე ვულურტი (ჭან. II, 87, 27): „მე სანამ ცოცხალი ვიყავი (ცოცხალ ვიყავამდის), ქვემთ გზით დავდოოდი“.

სპეციალურ ლიტერატურაში მითითებულია, რომ ამგვარი კონსტრუქცია თურქული სინტაქსური კალკია ლაზურში იმ განსხვავებით, რომ თურქულში ნაზმარი სახელია თანდებულიანი (ჯიქა 1967:369). ამთ ლაზური უპირისპირ-დება სხვა ქართველურ ენებს.

მიმართებითი დრო გამოხატულია დროის აღმნიშვნელი სიტყვებით:

ჰაწი/აწი „ახლა“, ღომან „გუშინ“, წოხლე „წინათ“, ეკულე/ოკულე/უკულე „შემდეგ“, ჭუმანი „ხვალ“ და ა.შ.

ჰაწი ჰემ გუნძე ყუჯონიქ ოხოიშე ოგნამს (ჭან. II, 38,4): „ახლა ეს გრძელ-ყურიანსაც სახლიდან ესმის“. ღომან ჯუმა ჩქიმი მოხთეეტუ (ჭან. I, 121, 12): „გუშინ ჩქიმი ძმა მოსულიყო“. ეკულე ბერგითე ხაჩქუფან (ჭან. I, 137, 25) : „შემდეგ თოხით თოხნიან“. ოკულე დიდი დუღუნი იქომან (უღ. ჭან. 112, 8) : „შემდეგ დიდ ქორწილს გადაიხდიან“.

## წლები

კონკრეტულ დროთა შორის, რომელთაც ენა გამოხატავს როგორც დამოუკი-დებელ ერთეულებს, ყველაზე დიდი ერთეული არის წელი. ზოგადად წელის აღ-ნიშნავს ლაზურში წანა (თანდ. 850) : არ წანა „ერთი წელი“, უკრ წანა „ორი წელი“, ოთხო წანა „ოთხი წელი“... დროის სამი ძირითადი პერიოდი – წარსუ-ლი – ახლანდელი – მომავალი წარმოდგენილია დროის ზმნიზედებით. მათ მი-მართებაში ამოსავალია არა ახლანდელი დროის გამომხატველი ანწი „წელს“ (თანდ. 29),<sup>2</sup> არამედ ზოგადი მნიშვნელობის წანა, რომელსაც წარსული დროის გამოსახატავად დაერთვის ბერძნული პროკლიტიკა პრო-, რაც „წინას“ ნიშნავს: პროწანა „შარშანწინ“ (თანდ. 717).<sup>3</sup>

## წლის დროები

წლის დროები, ჩვეულებრივ, წარმოდგენილია ოთხი განსხვავებული პერიო-დით, ანუ არეებით (ივ. ჯავახიშვილი), თუმცა ლაზურ მასალებში მხოლოდ ორი ლექსიკური ერთეული დასტურდება – ზამთრისა და ზაფხულის აღმნიშვნელი. მათ შორის ზამთარი გადმოიცემა როგორც თურქული, ისე საერთო-ქართველური ლექსიკის საშუალებით:

ზამთარი – კიში (თურქ.) (თანდ. 375); კიშიმცხული „ზამთრის მსხალი“, კიშლული „საზამთრო“; ლივოზი „თოვლის დნობის პერიოდი“ (თანდ. 398), ყინ-ვა „ზამთარი; ცივი ამინდი“ (თანდ. 816), ინი „ზამთარი“, „ცივი 2“ (თანდ. 819).

<sup>2</sup> ჰდრ.: მეგრულისთვის ამავე მნიშვნელობის ამოსავალი ფორმა – წი/უ „წელს“. ანწი მეგრულში ატარებს მხოლოდ მომავალი დროის სემანტიკას.

<sup>3</sup> ჰდრ.: ლაზურში შესული ბერძნული მაქვემდებარებელი კავშირი, ქართული რომის ბადალი ოტი.

### **ზაფხული – დაზი „ზაფხული“ (თანდ. 323)**

როგორც დროთა სახელწოდებებიდან ჩანს, ძირითადი ოპოზიციური დროები, რომელთაც შესაბამისად მინიჭებული აქვთ დამოუკიდებელი სახელწოდებებიც, არიან ზარხული vs. ზოთონჯი – ზაფხული vs. ზამთარი. მათ შორის დაპირისპირება ეტყვარება მკვეთრად გამოხატულ კლიმატურ მახსინათებელს – სიცხვი vs. სიცივე. რაც შეეხება გაზარხულსა და დამორჩილს, ისინი ზაფხულიდან ზამთრისაკენ და ზამთრიდან ზაფხულისაკენ გარდამავალი პერიოდის არებია, რასაც ადასტურებს ამ არეთა კლიმატური თავისებურებები.

### **თვე და თვეები**

თვე, როგორც წლის შემადგენელი დამოუკიდებელი დროული ერთეული, დაკავშირებულია მთვარის მოძრაობასთან: მთვარის ერთი მოქცევა თავისი ღერძის გარშემო შეადგენს 28 დღეს.

თვეების სახელწოდებები ლაზურში შერეულადაა წარმოდგენილი – დასტურდება როგორც სხვა ქართველურ ენებთან საზიარო ფუძეები, ასევე თურქული ლექსიკა:

### **თვეების სახელები**

I იანვარი – წანაღანი (თანდ. 11).

II თებერვალი – თებერბალა (თანდ. 292), კუჭულა (თანდ. 11)

III მარტი – მარტი (თანდ. 413).

IV აპრილი – აპრილი (თანდ. 30).

V მაისი – მაისი (თანდ. 405), მაისი (იქვე, 405).

VI ივნისი – მგიმურა „მკათათვე“ (თანდ. 419), ქერეზარი (თურქ.) (თანდ. 796) ქირეზად (თანდ. 11).

VII ივლისი – ჩურულად (თანდ. 11)/ჩურუქ (თურქ.) „ივლისი (დამპალი თვე)“ (თანდ. 840).

VIII აგვისტო – აღუსთოზი/აღუსთოზი/აღუსტე (თანდ. 40), აგუსტე „აგვისტო“ (თანდ. 11), მარაშინა „აგვისტო“ (თანდ. 413), მარიაშინა „აგვისტო, (მარიობის თვე)“ (თანდ. 414) ერთი და იგივე მაგალითი მოჰყავს ი. ყიფშიძისა და ს. ულენტის ნაშრომების მიხედვით; „მარაშინაშ თუთას“ თარგმნის „აგვისტოს მთვარედ“. ხცალა თუთა „აგვისტო; 13 ივლისიდან 13 აგვისტომდე (პვ. სტილი)“ (თანდ. 891) ხცალა „ლპობა“, ხცაფერი „დამპალი“, ხცერი-ც იგივეა (თანდ. 891).

IX სექტემბერი – ეკენია (თანდ. 235), სტაროშინა „სექტემბერი“ (თანდ. 743), ჩხალვა „სექტემბერი“ (თანდ. 842).

X ოქტომბერი – მეგუმუ კალოობა, კალო (თანდ. 423) ტახვა „თვის სახელი“ ოქტომბერი????<sup>4</sup> ყიფშიძიდან აქვს მაგალითი (თანდ. 753). შდრ: (მეგრ. გიმუ „ცეხვა“, „ლომის გმერვა“ (ქობ. 152; ჭარ. 50) მწიფობის, ღვინობის თვე, მკის, ტეხის თვე (ქაჯ. 340)

<sup>4</sup> კითხვის ნიშნითაა შეტანილი თავად ა. თანდილაგას ლექსიკონში.

XI ნოემბერი – ახირსთველი (თანდ. 43) ნოემბერი (ქართ.) „ნოემბერი“ (თანდ. 576), წილვა „ნოემბერი“ (თანდ. 852).

XII დეკემბერი – ზისტანა/ზისტონა/ხრისტონა „დეკემბერი“ (თანდ. 884) შდრ. ზისტიანი/ხრისტიანი (თურქ.) „ქრისტიანი“, ხრისტა „დეკემბერი“ (თანდ. 888).

აღნიშნული სახელები მიცემით ბრუნვის ფორმით გამოსატავენ დროის ზმნი-ზედებს.

### კვირეული

კვირა – შვიდი დღე. მათი გამოყოფა თვის შემადგენლობაში დაკავშირებულია მთვარის თვის ოთხ შვიდდღიან ციკლთან. შვიდდღიანი მონაკვეთები – კვირები უგველესი დროიდანვე ცნობილი ფაზებთან (თანდ. 28 დღე).

### კვირის დღეები

კვირის დღეები, გარდა შაბათისა, სახელდებულია როგორც საქართველოში გავრცელებული ბერძნული პლანეტარული სისტემის კალენდრის საფუძველზე, ისე თურქული ლექსიკის მიხედვით. „საბატონი“ – შაბათი, ბიბლიური ტრადიციით – „დღე განსურნებისა“.

ორშაბათი (მთვარისა) – თუთაჩხა (თანდ. 306)/ბაზარერთესი (თურქ. azartesi) (თანდ. 47), სამშაბათი (არიასი) – თახაჩხა (თანდ. 292)/ურშაბათი „სამშაბათი“ (თანდ. 719), იკინაჩხა „სამშაბათი“ (თანდ. 313), ჭიკინაჩხა „სამშაბათი“ (თანდ. 755).

ოთხშაბათი (ერმისა) – ჯუმაჩხა „ოთხშაბათი“ (თანდ. 903).

ხუთშაბათი (აფროდიტისა) – ცაჩხა/ჩაჩხა (თანდ. 844), ომქისერი „ხუთშაბათი“ (თანდ. 631), ფერჩებე/ფერჩენბე (სპარს.-თურქ.) „ხუთშაბათი“ (თანდ. 778) ხუთშაბათი (ქართ.) (თანდ. 889).

პარასკევი (დიონისისა) – ობიჩხა; ობი (თანდ. 591); პარასკე „პარასკევი“ (თანდ. 710); ჯუმაპა „პარასკევი“ (თანდ. 903).

შაბათი – საბატონი/საპატონი/საპატონ (თანდ. 724).

კვირა – ჟაჩხა/მჟაჩხა (თანდ. 47)/ბჟაჩხა (თანდ. 67) ბაზარჯუნი (თურქ. Bazar gunu) „კვირადღე“ შდრ. აზარი (თანდ. 47).

### დღეთა თანმიმდევრობა

დღეთა თანმიმდევრობა დეიქტური პრინციპით არის აგებული:

ამდღა (თანდ. 24) ანდღა (თანდ. 27) – „დღეს“

ღომა/ღომან – „გუშინ“

ღომანერი „გუშინდელი“ (თანდ. 812).

ჭუმე/ჭუმენ – „ხვალ“ (თანდ. 867).

პიშინ-ღლა „გუშინწინ; წინადღე“ (ღომაში წოხლენდე) (თანდ. 714); ტოქსერი/ტოქსეიი, ტოცხერი „გუშინწინ, რამდენიმე დღის წინ“ (ათინ.), „გუშინ“ (თანდ. 759) – გუშინწინ.

გენდღანი/გენდღანე „ზეგ“ (თანდ. 102), ჯენდღანი (თანდ. 897) – ზეგ.

ჭუმე-გენდღანი – „ხვალ-ზეგ“ (თანდ. 867).

## **დღე და ღამე**

დღე-ღამის ციკლი, რომელიც თანამედროვე ასტრონომიული სისტემით განისაზღვრება 24-სათიანი დროული მონაკვეთით, ენობრივ ასახვაში წარმოდგენილია სხვა, არასაათობრივი კომპონენტებით. კერძოდ, დღე-ღამის, როგორც ერთი მთლიანობის, გამოსახატავად იხმარება დღა/ნდღა „დღე“ (თანდ. 230), (თანდ. 569). ამ ციკლში ძირითადად იგვეთება ორი ურთერთდაბირისპირებული დროული კომპონენტი – დღა/ ნდღა – სერი (თანდ. 733), „დღე და ღამე“. მათი სფეროების გადანაწილება ხდება „სინათლე – სიბრუნვის“ თვისებების მიხედვით.

დღე და ღამეს შორის გამოიყოფა გარდამავალი დროული მონაკვეთები, რომლებშიც ასახულია ღამიდან დღეზე და დღიდან ღამეზე გადასვლის საფეხურები. ღამიდან დღეზე გარდამავალი პერიოდი აღნიშნულია სიტყვით „გათენება.“ იგი მოქმედების სახელია და გამოხატავს ღამიდან გამოსვლის, გათენების პროცესს. მასში რამდენიმე საფეხური შეიძლება გამოიყოს.

### **1. გამთენებელი ვარსკვლავი**

გამთენებელი ვარსკვლავი, ცისკრის ვარსკვლავი (პლანეტა ვენერა), გათენების მაუწყებელი პირები სიგნალი, რომელიც გათენებამდე ჩნდება ცაზე: **თანურა** „ცისკრის ვარსკვლავი“ (თანდ. 291).

### **2. ადრეული დილა**

ჭუმანდარი „გამთენისას“ (თანდ. 866).

შეფა (თურქ.) „ალიონი“ (თანდ. 882).

ოდრო/ორდო (თანდ. 596).

ორდო/ყორდო „ადრე, ჩქარა, სწრაფად, საჩქაროდ“ (თანდ. 651)

ორდონალი/ორდონარი „ადრეული“ (თანდ. 651)

ოდროშენ „ადრიანად“ (თანდ. 651)

ორდო-ხოლო „მაშინათვე, ადრევე“ (თანდ. 651)

### **3. დილა**

გიეთანაფვ/გიეთანუ – „დათენება“ (თანდ. 123).

ჭუმანი – „დილა“ (თანდ. 866).

ჭუმანერი – „დილანდელი“ (თანდ. 866).

ჭუმანდელე – „დილიდან, დილადრიანად“ (თანდ. 866).

ჭუმანიგელე – „დილისკენ“ (თანდ. 866).

ჭუმანიში – „დილას, დილით (თანდ. 866).

საბაილე (თურქ.) – „დილით“ (თანდ. 724).

საბახ (თურქ.) „დილა“ (თანდ. 724) საბახთან (თურქ.) „დილით“.

### **4. შუადღე**

ვემა „შუადღე“ (თანდ. 332), ონდღე/ონდღერი „შუადღე“ (თანდ. 637).

ონდღერი გელაქთერი „შუადღეგადასული“ (თანდ. 637).

ონდღერიშაკადარ „შუადღემდე“ (თანდ. 637).

ონდღეიშაქის „შუადღემდე“ (თანდ. 637).

## 5. საღამო

ოკოლუმჯინუ „შეღამება“ (თანდ. 614) ოლემჯინუ (თანდ. 624), ოლუმჯუ „მოსაღამოება, დაღამება“ (თანდ. 625 აქვე იხ. სხვაც) გელამჯინუ (თანდ. 96), გელუმჯინუ (თანდ. 101), „შეღამება“ (თანდ. 125).

გელუმჯინაფა, გელუმჯინერი (თანდ. 100).

ლიმჯაფა/ლუმჯაფა „დაღამება“, ლიმჯერიშე „მოსაღამოებულზე, საღამოს“, ლიმჯი/ლუმჯი/ლუნჯი „საღმო“ (თანდ. 399; 402).... ლიმჯიკელე, ლიმჯინე(რ)ი /ლუმჯინე

ლუმჯი-ჭუმანი „დილა-საღამო“ (თანდ. 402).

ახშამი/ახჩამი „საღამო“ (თანდ. 43).

ახჩამდა „საღამოზე, საღამოხანი“ (თანდ. 43).

ახჩამიკონარი (თურქ.-ლაზ. ksam+ikonari) „საღამოხანი“ (თანდ. 43). იხ. აგ-რეთვე სხვა ნაწარმოები ლექსიკა.

აცხამი (თურქ. Aksam აკსამ) „საღამოს“ (თანდ. 41).

## 6. ღამე

ღომასერი „გუშინ ღამე“ (თანდ. 812).

ღომამჯი „წუხელი“ (თანდ. 812).

სერი გვერდი „შუაღამე“ (თანდ. 733) სერიშგვერდი/სერიში გვერდი „შუაღმე, ნაშუაღამე“ (თანდ. 733).

სერსერით სერი-სერი „ღამღამობით“ (თანდ. 733).

\*\*\*

აწი/ჰაწი – „ახლა“ (თანდ. 41).

აწითი

აწინერი

აწიღი „ამ დრომდე, აქამდე, აქობამდე“ (თანდ. 41).

აწიშე

აწიშეულე (თანდ. 42).

ტორა „ახლა“ (თანდ. 758).

ამრიგად, თურქული ენის გავლენის მიუხედავად, ლაზურში დასტურდება დროის აღმნიშვნელი საერთო-ქართული ლექსიკაც.

## ლიტერატურა

**კიზირია 1982:** ა. კიზირია, მარტივი წინადაღების შედეგნილობა ქართველურ ენებში, თბილისი.

**ქობალავა 2014:** ი. ქობალავა, დროის სემანტიკა მეცნიერები (ლექსიკურ-სემანტიკური ანალიზი) (ხელნაწერი).

**კუჭმები 1911:** И. Кипшидзе, Дополнительные сведения о чанском языке (из лингвистической экскурсии в Русский Лазистан), СПб..

**ჩიქმავა 1936:** არნ. ჩიქმავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, თბილისი.

**ჩიქობავა 1945:** არნ. ჩიქობავა, ზოგი სიტყვის მნიშვნელობის განვითარებისათვის ქართულში (სივრცისა და დროის მომენტთა ურთიერთობის ასპექტში), ფსიქოლოგია, III, თბილისი.

**ჯიქა 1967:** ს. ჯიქა, თურქულ-ლაზური ენობრივი ურთიერთობიდან, „ორიონი“, თბილისი.

### შემოყვებათა განმარტებანი

თანდ. — ა. თანდილავა, ლაზური ლექსიკონი, თბილისი 2013.

კარტ. ლაზ. — გ. კარტოზია, ლაზური ტექსტები, I, თბილისი 1972.

ჭან. I — არნ. ჩიქობავა, ჭანური ტექსტები, I, თბილისი 1929.

ჭან. II — არნ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, II, ტექსტები, თბილისი 1936.

ჟღ. ჭან. — ს. ჟღენტი, ჭანური ტექსტები, ტფილისი 1938.

ქაჯ. — ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, I-III, „ნეკრი“, თბილისი 2001, 2002.

ქობ. — ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, „არტანუჯი“, თბილისი 2010.

ჭარ. — პ. ჭარაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბილისი (1918) 1997.

*Maia Lomia, Rusudan Gersamia*

### Structural and Semantic Analysis of Laz Vocabulary Denoting Time

#### Summary

The analysis of vocabulary denoting time according to Laz material is especially topical and interesting, as Laz reflects a specific situation – it is mostly located within the Turkish linguistic area. On the territory of Georgia there are only a few Laz villages, of which the most densely populated is Sarpi. In the speech of Sarpi both Georgian lexical units and Turkisms are attested. The analysed material has been taken from: 1. Published Laz (Chan) texts; 2. Laz Dictionary, published by Ali Tandilava (Tbilisi, 2013); 3. Expedition notes made on the basis of special questionnaires collected in 2013-2014 in Sarpi and several villages of Lazeti within Turkey.

To denote time in Laz, as in other Kartvelian languages, nouns and adjectives, demonstrative pronouns, adverbs, particles and prepositions are used. As temporal division is based on spatial division, naturally, along with the temporal vocabulary proper, it also uses the vocabulary denoting spatial relations. These can be verbs, adverbs, preverbs...

The lexico-semantic analysis of the Laz material demonstrates the following temporal structure: as opposed to **general** time, **specific** time denotes the occurrence of countable events (year, month, week, day...), which can be defined independently; however, specific time, similar to spatial relations, can also be divided into time of **manner** and **relative** time. Time of manner is expressed by adding numerals to the words denoting time: *two years, three months*, etc., whereas relative time is expressed by lexical units denoting time, such as: *now, previously, afterwards*, etc.

It is noteworthy that *time* in Laz is expressed by common Kartvelian vocabulary as well as by words introduced through Turkish and Turkish word-forms proper, including loan translations of Turkish syntactic constructions.

## კვლავ „მყოფადუსრულის“ შესახებ სვანურში

სვანურში, ქართულთან შედარებით, ერთ-ერთი „მეტი“ (ა. შანიძე) მწკრივი მყოფადუსრულია. სვანურშივე ის სრული მყოფადისაგან მხოლოდ ასპექტით ან ზმნისწინის დართვა-დაურთველობით კი არ განირჩევა (როგორც ეს მოსალოდნელი იყო ერთი მწკრივის ფარგლებში), არამედ სტრუქტურითაც: „მყოფადუსრული იწარმოება აწმყოს ფუძისაგან, რომელსაც ბოლოსართები (-ე, -ი) მოკვეცილი აქვს და, სამაგიროდ, ერთვის სუფიქსები: -უნ-ი (>-გნ-ი, -ნ-ი) და -ინ-ი (>ნ-ი). ლაშეურ დიალექტში ორივეს ნაცვლად იხმარება -გნ-ი“ (თოფურია 1967:112-114).

სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია არაერთი მოსაზრება იმის შესახებ, რომ მყოფადუსრული ისტორიულად აწმყოა: „სვანური მყოფადუსრულის მაწარმოებელი სუფიქსები (-უნ-ი, -გნ-ი, -ინ-ი) შედგენილია და -ი, ეჭვს გარეშეა, იგივე მონაცემი უნდა იყოს, რაც აწმყოს -ი, წარმოშობით ზოლმეობითის სუფიქსი“ (ჩიქობავა 1948:102-103); „ეს მწკრივი (მყოფადუსრული) არის „გამყოფადებული აწმყო“, რომელშიც -უნ-ინ სუფიქსები (ასევე კაუზატივის -უნ-||-ენ-ინ) წარმოშობით აწმყოს ფუძის საწარმოებელი ფორმანტებია“ (მაჭავარიანი 1974:138).

ჩვენი აზრით, „უსრული მყოფადი“ (ტრადიციული ტერმინოლოგიით) არა მარტო ისტორიულად არის აწმყო, არამედ არც „გამყოფადებულა“ – ასეთ შემთხვევაში მას აწმყოს ფუნქცია უნდა დაეკარგა, სინამდვილეში საანალიზო ფორმები ენის განვითარების ამ საფეხურზეც უმთავრესად ახლანდელ დროს გულისხმობებ – ზოგად თუ კონკრეტულ აწმყოს, ოღონდ ინფერენციულს, პირობითს; მყოფადის გამოხატვას კი ისინი ფუნქციურად ითავსებენ, რის დადგენაც მხოლოდ კონტექსტით ან სათანადო ზმნიზედის მიხედვით ხდება შესაძლებელი:

**ბზ.: მგხმარ ალ მბრე ჯა იჯნუნი ი ჟანბრს მაშ გრუდიანი – „ხვალ ეს კაცი ალბათ თვითონ ზნავს (/ზნავდეს იქნება – ვ. თოფურია) და ხარებს არ გვათხოვდის“;**

**ბაზი ამჟი გარ იშდუუნი, მგხმარ ქორ ლელლპჰი ჸედნი – „ამაღამ 『თუ』 სულ ასე ითოვებს, ხვალ სახლი გადმოსათოვლი გახდება“;**

**ბქ.: ამეჩუ ეჯგუბრ ბიქუ ლი, ერე შრებნს ათხე იშდუუნი – „აქ ისეთი ქარია, რომ სვანეთში ახლა ალბათ თოვს“ („თოვს იქნება“)...**

აღნიშნული სემანტიკა მრავლად იძებნება სვანური ენის ყველა კილოს ტექსტების გამოცემებში; შდრ.:

(1) ცხურითგდ ხექუ: „მერბლს მი ცგჲემბდს ხუბფშუდუნი, ეჩქა ცხუბრ ჩუმიშდხენის (სვან. პროზ. ტ. 1939:25) – „ცხვითაგმა უთხრა: ღრუბლებს მე [თუ] მშვილდ-ისარს ვესვრი ხოლმე („ვესვროდე იქნება“), მაშინ ისრები გამითავდება“;

(2) სი ლემზგრბლს ხანკუნი იღუდული ხატრატი ჩილგნუი, მაღადა? (ჩანტ-ლაძე და სხვ. 2010:726) – „შენ შესალოცებს (სეფისკვერებს) აკახობ ალბათ ყოველ დღესასწაულზე და მამაკაცებს ატან [ხოლმე], ალბათ, არა?“

(3) ბეფშ იმეგ პრი ამზუქა? – „ბავშვი სად არის ამდენ ხანს?“ პასუხი: **იშ-დრალური შენიშვნა** შეტრისგა – „ალბათ თამაშობს ეზოში“ (ჩანტლაძე და სხვ. 2010);

პირველ წინადადებაში ზმნა თითქოს მყოფადის გაგებითაა, თუმცა ზოგად აწ-მყოდაც შეიძლება ჩაითვალოს; მეორეში თვალნათლივ ჩანს, რომ სიტუაცია კონკრეტულ დროს არ მოიაზრებს, საქმე გვაქვს ინფერენციულ ზოგად აწმყოსთან და გულისხმობს ალბათობას, მთქმელის ვარაუდს; მესამე კონტექსტის პასუხის ნაწილში კი, რა თქმა უნდა, საუბრის მომენტი, კონკრეტული აწმყო იგულისხმება (შდრ. კატეგორიული კონკრეტული აწმყოს ფორმა: **იშ-დრალური „თამაშობს“**);

უნდა აღინიშნოს, რომ სტატიკურ ზმნებში, რომლებიც მიჩნეულია უფრო ადრინდელ ფორმებად (სვანურში კი ისინი გაცილებით მრავლადაა სალიტერატურო ქართულთან შედარებით), ასევე ფიქსირდება ოპოზიცია – **ნეიტრალური აწ-მყო: ინფერენციული აწმყო** (ხ-ბ-მრ-ა „წერია/აწერია“: ხ-ე-მრ-ი „ალბათ წერია/აწერია“); სპეციალურ ლიტერატურაში მიღებულია მოსაზრება, რომ ქართულში სტატიკურ ზმნას მყოფადის წრის მწერივთა ფორმები ნასესხები აქვს ენიანი დინამიკური ვნებითისგან, ოღონდ ისე, რომ დინამიკური აწმყო სტატიკურისთვის მყოფადია, უწყვეტლის ფორმას ხოლმეობითის გაგება ენიჭება და აწ-მყოს კავშირებითი კი მყოფადის კავშირებითად არის გამოყენებული: **აფენია – ეფინება, ახატია – ეხატება, აწერია ან წერია – ეწერება და სხვ.** (შანიძე 1973:464-466; ჭუშბურიძე 1986:172-179; ონიანი 1998:178-181). გ. მაჭავარიანს კი მიაჩნია, რომ „გამორიცხული არ არის შესაძლებლობა, უსრული მყოფადის ფორმები სვანურში თავდაპირველად სტატიკურ ზმნებს განვითარებინათ, ხოლო შემდეგ მათი ანალოგით – დინამიკურ ზმნებსაც“ (მაჭავარიანი 1974:139). ჩვენ ამ მოსაზრებას ვიზიარებთ, ვინაიდან, როგორც აღვნიშნეთ, მიგვაჩნია, რომ ეწ-მყოფადუსრული დიაქრონიულადაც და სინქრონიულადაც მოქმედების სავარაუდო-ობის, შესაძლებლობის სემანტიკის აწმყოა; ვვარაუდობთ, რომ ის ჩვეულებრივი (მოქმედების შესახებ მყარი ცოდნის აღმნიშვნელი, დადასტურებული) აწმყოს პარალელურად არსებობდა და მყოფადის გამოხატვა მისი მხოლოდ დამატებითი ფუნქციაა ვრცელ კონტექსტში; ხოლო, თუკი ენას ჯერ კიდევ ოდენ მდგომარეობის გადმომცემი, სტატიკური ზმნური ფორმების არსებობის დროს ჰქონდა სემანტიკური მოტივაცია კატეგორიულობა-არაკატეგორიულობის, რეალურობა-ირეალურობის, დადასტურებულობა-სავარაუდობის მიხედვით დოფერენციაციისა, ცხადია, ზმნების გადინამიკურების შემდეგ იგივე მოვლენა უკვალოდ არ გაქრებოდა და, სემანტიკიდან გამომდინარე, დაწყებდა აღვილის დამკვიდრებას მორფოლოგიურად, რის შედეგადაც მივიღეთ საანალიზო -უნ-სუფიქსიანი ზმნური ფორმები. გ. მაჭავარიანი ასევე შენიშნავს, რომ „ნათელი არაა -უნ-ი, -ინ-ი სუფიქსებით გაფორმებული ზმნების ისტორიული ურთიერთობა იმავე ფუძის, მაგრამ სხვა თემის ნიშნის მქონე ზმნებთან (ა-მ რ-უნ-ი, ა-მ რ-ე): გვქონდა თუ არა მათ შო-

რის რაიმე ფუნქციური სხვაობა და, თუ არა გვქონდა (თუ ორივე ჩვეულებრივს აწმოს გამოხატავდა), მაშინ რით იყო შეპირობებული განსხვავებულ ფორმათა არსებობა?“ (მაჭავარიანი, იქვე);

თუ ჩვენ მიერ წარმოდგენილი მსჯელობა საანალიზო საკითხის შესახებ სწორია, მაშინ მკვლევრის მიერ დასმულ კითხვასაც პასუხი გაეცემა, ვინაიდან გამოდის, რომ ისტორიულად სვანურ ენაში არსებობს ორი აწმო: ნეიტრალური, კატეგორიული, დადასტურებული) და ინფერენციული (საეჭვო-სავარუდო ინფორმაციის გამომხატველი), რომელიც ასევე ახასიათებდა სტატიკურ ზმნებს: ხალფარა („აფარია“) – ხელფში („ალბათ, აფარია/ეჭაროს იქნება...“), ხახტავა („ახატია“) – ხეხტიშუ („ალბათ, ახატია/ეხატოს იქნება“) და რომელიც შემდგომ განავითარეს დინამიკურებმაც: ხალფში („აფარებს“) – ხელფარუნი („ალბათ, აფარებს/აფარებდეს იქნება...“), ხახტიშუ („ახატავს“) – ხეხტაუნი („ალბათ, ახატავს/ახატავდეს იქნება“)...; ა-დგბრ-ი „კლავს“ – ა-დგბრ-უნ-ი „შესაძლოა (ალბათ) კლავს, კლავდეს იქნება“, ა-ნუ-ე „აცხობს“ – ა-ნუ-უნ-ი „ალბათ აცხობს, აცხობდეს იქნება“, ი-გუნ-ი „ტირის“ – ი-გუნ-უნ-ი,, ალბათ ტირის, ტიროდეს იქნება“...; როგორც ვხედავთ, დინამიკურ ზმნებში ფორმალურ განსხვავებას ამ მხრივ -უნ- სუფიქსი ქმნის;

აღნიშნულ საკითხთან მიმართებით საყურადღებოა მეგრულის ჩვენება, სადაც ასევე გამოყოფენ მყოფადის ორ სახეობას: მყოფადუსრულსა და მყოფადსრულს (მარგველაშვილი 1980:163-168), რომლებიც, ზ. ჭუმბურიძის აზრით, „ზმნისწინის დართვა-დაურთველობით კი არ გაირჩევა, როგორც ეს ხდება II-III სერიის მწკრივებში. ასე რომ ყოფილიყო, ერთ მწკრივთან გვექნებოდა საქმე და არა ორთან. სინამდვილეში ზმნისწინით მყოფადუსრული უპირისპირდება არა მყოფადუსრულს, არამედ აწმოს (ხაზი ჩვენია – ქ.მ.). ამ მხრივ ვითარება სავსებით ქართულის მსგავსია. მყოფადუსრულით კი მეგრული განსხვავდება ქართულისაგან და სვანურის გვერდით იკავებს ადგილს“ (ჭუმბურიძე 1986:135). განსხვავებული მოსაზრებაა წარმოდგენილი „მეგრული ენის ლინგვისტურ ანალიზში“: „სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებულია თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც იგი მომავალ დროს გამოხატავს (მარგველაშვილი 1980:164; ჭუმბურიძე 1986:135), რაც მხოლოდ ნაწილობრივ ჩანს გასაზიარებელი. აღნიშნული ფორმები ახლანდელი დროის ფორმებია. მომავალი დროის გამოხატვა – ტექსტს ენიჭება და იგი ხშირად დამოკიდებულია ზმნისწედებზე, რომლებიც შეიცავენ მომავალი დროის სემანტიკას: ჭუმე „ხვალ“, გლანი „ზეგ“... მყოფადუსრული I სერიის მწკრივა, რომელიც ახლანდელ დროს გამოხატავს“ (კარტოზია და სხვ. 2010:268);

ჭარუნდას ძუუფუ/ძი „წერდეს იქნება“ ტიპის ფორმები, როგორც ჩანს, სვანურის ინფერენციული აწმოს (მყოფადუსრულის) იდენტური სემანტიკისაა, ვინაიდან თავად ამ ენის წარმომადგენლები, წიგნის ავტორები ასევე განმარტავნ, რომ „ეს ფორმები გამოხატავენ უპე დაწყებულ, ახლანდელ დროში თქმის პარალელურად მიმდინარე პროცესს“, სქოლიოში კი მითითებულია, რომ თარგმანი („წერდეს იქნება“) ზუსტად ვერ ასახავს მეგრული ფორმის სემანტიკას; სა-

ერთოდაც, საანალიზო ზმნურ ფორმათა გადმოქართულებისას ან ზოგიერთ ინდო-ევროპულ ენაზე თარგმნისას სემანტიკური თანხვედრის მიღწევა შეუძლებელია მოდალური ლექსემების („ალბათ“, „შესაძლოა“, „ეტყობა“...) გამოყენების გარეშე, რაც დასტურია მოსაზრებისა: „თუ თარგმანში მოდალური სიტყვები აუცილებელია, ეს იმას ნიშნავს, რომ წყარო-ენაში (ძირითად მეტყველებაში) ზმნური ფორმა კომპლექსურად გამოხატავს ინფერნციულობას და გამონათქვამის არასრულფასოვანი სარწმუნობის (სანდოობის) მოდალურ მნიშვნელობას. წყარო-ენაში ასეთი ფრაზები უშვებს მინიმუმ ორი ალტერნატიული სიტუაციის არსებობის შესაძლებლობას“ (Храковский 2007:616-618). საანალიზო მეგრული ფორმებიც, თავისთავად ცხადია, ინფერნციულია. მაშასადამე, ზმნური ინფერნცია ორივე უშწერლობო ენაში მორფოლოგიურად არის ჩამოყალიბებული; ამასთან, დადასტურებულობა-სავარაუდობის მხრივ დაპირისპირებული ფორმები აწმყოს მწერივშივე აღინიშნება, რაც შედარებით იშვიათი მოვლენაა; მაგალითად, „ბაგვალურში, სადაც ეს კატეგორია დასტურდება, მართალია, ინფორმაციის წყაროზე მითითების ერთადერთი საშუალება ზმნაა, მაგრამ გრამატიკული გამოხატვა შემოსაზღვრულია წარსული დროებით“ (Татевосов 2007:351). „ახლანდელ დროში კი ოპოზიცია: დადასტურებულობა: სავარაუდობა დაფიქსირებულია ლაკურ ენაში“ (Friedman 1984).

სვანური ზნის საანალიზო მწერივის ფორმები, სწორედ მათი სემანტიკის გამო, მარტივად ქმნიან უკავშირო ჰიპოტეტიკულიას (განსაკუთრებით პირობითდამოკიდებულიან როლი წინადაღებას): ალ ჭყინტ ამჟი გარ იჩმუნი, ხოლომ მგრჩმ ხედა – „ეს ბიჭი სულ ასე თუ გააგრძლებს (იზამს), ცუდ რამეს გადაეყრება“.

შევნიშნავთ, რომ რუსული თარგმანი საანალიზო მწერივის ფორმებისა (ნუდუ პლაკატ, ნუდუ ჩიტატ...), რომელიც სპეციალურ ლიტერატურაშია შემოთავაზებული (თოფურია 1967:112) სემანტიკურად ზუსტად ასახავს ქართულ უზმნის-წინო მყოფადს: ვიტირებ, ვიკითხავ..., მაგრამ ნაკლებად შეესაბამება სვანური ხუიგნუნი („ვტიროდე იქნება“), ხუიჭუდანნი („ვკითხულობდე იქნება“) ფორმებს, ვინაიდან მყოფადუსრულის უმთავრესი მნიშვნელობა – მოქმედების საეჭვოობა-სავარაუდობა რუსულ სინტაგმაში სრულებით არ ჩანს; ნუდუ ჩიტატას ვიქმ“) სვანურ მყოფადუსრულს სრულებით ვერ ფარავს. ვ. თოფურიასეული ქართული აღწერითი განმარტება „ვტიროდე იქნება“, „ვკითხულობდე იქნება“ კი გაცილებით ზუსტია იმ შემთხვევაში, თუკი მკვლევარი ლექსემა „იქნებაში“ გულისხმობს ნაზმნარ ნაწილაკს („იქნება“), ვინაიდან ეს ნაწილაკი ძირითად სიტყვასთან ერთად სავარაუდობის მნიშვნელობის სინტაგმას ქმნის.

შესაბამისად, ჩვენი აზრით, არც ტერმინი „მყოფადუსრული“ შეესატყვისება სრულად მის მიერ აღსანიშნავი მწერივის მნიშვნელობას, მაგრამ ვინაიდან ტრადიციულად დამკვიდრებული ტერმინოლოგიის ცვლაც და რეინტერპრეტაციაც საკმაოდ პრობლემურია, ამიტომ, ვფიქრობთ, რომ „მყოფადუსრულის“ პარალელურად აუცილებლად უნდა დამკვიდრდეს კვალიფიკაცია „resp. ინფერნციული

აწმყო“ (მისაღები იქნებოდა „პირობითი აწმყოც“, მაგრამ ეს ლექსემა, როგორც ტერმინი, ისედაც დატვირთულია ქართულ მორფოლოგიასა თუ სინტაქსში და კიდევ ერთი დეფინიციისთვის მისი გამოყენება უმართებულოდ მიგვაჩნია), განსაკუთრებით, თუ ნაშრომი უცხოელი ლინგვისტებისთვისაც არის განკუთვნილი, რადგანაც შემოთავაზებული ტერმინით ენის ფლობის გარეშეც მათვის გაცილებით გასაგები ხდება ზმნის მნიშვნელობა, ვიდრე თუნდაც აღწერითი განმარტებებით („წერდეს /კითხულობდეს იქნება“ ან „აღბათ წერს“ ...).<sup>1</sup>

## ლიტერატურა

**თოფურია 1967:** ვ. თოფურია, შრომები, I, სვანური ენა I, ზმა, მეცნიერება, თბილის. **კარტოზია და სხვ. 2010:** გ. კარტოზია, რ. გერსამია, მ. ლომია, თ. ცხადაია, მეცნიერის ლინგვისტური ანალიზი, მერიდიანი, თბილისი.

**მარგველაშვილი 1980:** მ. მარგველაშვილი, მყოფადის წარმოებისათვის მეცნიერები, თსუ-ს ძეგლი ქართული ენის კათედრის შრომები, 23, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.

**მაჭავარიანი 1974:** გ. მაჭავარიანი, ასპექტის კატეგორია ქართველურ ენებში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, IV, მეცნიერება, თბილისი.

**ონანი 1998:** ა. ონანი, სვანური ენა, სულხან-საბა ორბელიანის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.

**სვან. პროზ. ტ. 1939:** სვანური პროზაული ტექსტები, ტ. I (ბალსზემოური კილ, ტექსტები შეკრიბეს ა. შანიძემ და ვ. თოფურიამ), სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის გამომცემლობა, თბილისი.

**შანიძე 1973:** ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.

**ჩანტლაძე და სხვ. 2007-2010:** ი. ჩანტლაძე, ქ. მარგარიტა დადვანი, ქ. მარგარიტა-სუბარი, ქ. საღლიანი, რ. იოსელიანი, კოდორული ქრონიკები, გლობალ-პრინტი+, თბილისი.

**ჩიქობავა 1948:** არნ. ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, I, მეცნიერება, თბილისი.

**ჭუმბურიძე 1986:** ზ. ჭუმბურიძე, მყოფადი ქართველურ ენებში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.

**Friedman 1984:** V. Friedman, Status in the Lak Verbal System and Typological Significance, *Folia Slavica*, Vol. 7, №1-2.

**Татевосов 2007:** С. Г. Татевосов, Эвиденциальность и адмиратив в багвалинском языке, Эвиденциальность в языках Европы и Азии, Наука, Санкт-Петербург.

<sup>1</sup> ჩვენი ჯგუფი ამჟამად მუშაოს რესოურცების სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებულ პროექტზე „ზემოსვანური ტექსტების მორფონოლოგიური სეგმენტაცია (გამოკვლევა და სიმფონია-ლექსიკონი)“, რომლის ბაზაზე იგეგმება პირველი „სვანური ენის მორფო-მული ლექსიკონის“ გამოცემა. ამავე ნაშრომში პირველად ფიქსირდება როგორც ევროპურიალობის სპეციალური მორფება, ასევე აღნიშნული მწკრივ(ებ)ის დაზუსტებული ქართული განმარტებები.

**Храковский 2007:** В. С. Храковский, Эвиденциальность, эпистемическая модальность, (ад)миративность, Эвиденциальность в языках Европы и Азии, Наука, Санкт-Петербург.

*Ketevan Margiani-Subari, Rusudan Ioseliani*

### Once Again on the “Future Imperfect” in Svan

#### Summary

In the paradigm of conjugation of the Svan verb the number of screeves is greater as compared with Georgian. One of the different screeves is ‘მოვალესტული’ – Future Imperfect (V. Topuria’s terminology), which differs from the Future Perfect not only in Aspect or addition of a preverb (as was predictable within a single screeve), but also in its structure and semantics.

In the specialist literature a number of views are expressed concerning the genesis of this screeve, according to which, **Future Imperfect historically is Present** – the Present “turned into the Future”, and its forming *-i* ending is the suffix of the current Present, by its origin – Iterative (Arn. Chikobava; G. Machavariani). However, the following question posed in the specialist literature remains unanswered: Was there a functional difference between them, and if there was not (if both denoted ordinary present), what was the reason for the existence of different forms? (G. Machavariani).

We believe that the screeve under study remains Present to date, which, in contrast to Georgian-like Present, does not express categoricalness, perceptive knowledge concerning an action or a state, but – presumptive. It is the opposition of exactly the Present, not that of the Future, as semantically the oppositional feature of these forms is not Aspect, but uncertainty/presumption. From the viewpoint of time, without a relevant adverb, it, as an independent unit, denotes the present, however, it expresses (inferential) information based on logic concerning a presumable present action or event; functionally, depending on the requirement of the context, it can also express the future, also with uncertain/presumable semantics.

Thus, the term does not seem well-suited to the meaning of the screeve it denotes, but as both the change and reinterpretation of the traditionally established terminology are quite problematic, we think it reasonable to qualify it, in parallel with the traditional Future Imperfect, as “Inferential Present” (“Conditional Present” would also be acceptable, but this lexeme as the term in Georgian morphology and syntax is overloaded and its use for one more definition seems problematic). This is especially so when a work is intended for foreign linguists, as the meaning of a verb becomes much clearer for them by the offered term than by descriptive explanations (*წერდეს/კომუნიკაციებს აქვთ...* maybe he is reading/writing). In addition, in the Georgian explanation, we think, it would be more appropriate to use instead of modal ‘*აქვთ*’ the lexeme ‘*აღმართ*’ as a Georgian syntagma of this form fully covers the Svan meaning, at the same time, the main verb is in the Present, whereas in the traditional explanation, the verb is in the Subjunctive (perhaps, exactly due to the fact that the time of the action is not specified), which is to a certain extent confusing for a linguist not speaking Svan.

## „გვეჯვება“ ტიპის ზენები და მათი სემანტიკური ინტერარეტაცია

ბუნებრივ ენებში ინფორმაციის სტრუქტურირება, როგორც წესი, ფორმალური ოპოზიციების საშუალებით მიმდინარეობს, რომელთა საფუძველზეც ერთმანეთისგან ვარჩევთ სხვადასხვაგვარ კატეგორიას. ამ კატეგორიების ჩამოყალიბება გარკვეული სემანტიკური განსხვავებულობის დაფიქსირებას ემსახურება.

ფუნქციონალურ მიმართებათა გრამატიკის თეორიის მიხედვით აქტივ-პასივის დაპირისპირება ფორმალურად გამოიხატება კონკრეტული ზმნის აქტიური ფორმის (იმავე, კონსტრუქციის) პასიურ ფორმად (იმავე, კონსტრუქციად) გარდაქმნით, რომლის დროსაც აქტიური კონსტრუქციის პაციენსი დაწინაურებულია და ქცეულია სუბიექტად, ხოლო აგენსი ტრანსფორმირებულია წინდებულიან/თანდებულიან ფორმად. ამგვარ ტრანსფორმაციას უწოდებენ კონვერსიას, ანუ კონსტრუქციის ისეთ გარდაქმნას, როდესაც ერთი წარმოადგენს მეორის „მობრუნებულ“ სახეს. აქტიურიდან პასიურში გადაყვანაც არსებითად არის ფორმის მობრუნება. თუ ამოსავლად აქტივი იქნება მიჩნეული, მაშინ პასივი მისი მობრუნებული სახეა, ხოლო თუ ამოსავლად პასივს მივიჩნევთ, მაშინ, პირიქით, აქტივი იქნება კონვერსიული ფორმა.

ქართული, ძირითადად, აქტიური ფორმების ენაა, სადაც ამოსავალი (ანუ, უნიშნო, არამარკირებული) ფორმა არის აქტიური, ე.წ. მოქმედებითი გვარისა, რომელიც უპირისპირდება ე.წ. კონვერსიულ ვნებითს, რომელიც ფორმალურად გარკვეული მორფოსინტაქსური ნიშნებით მარკირებულ კონსტრუქციას წარმოადგენს (შანიძე 1973:293).

ვნებითის ფორმათა წარმოების მიხედვით, ქართულ ზმნებში გამოიყოფა რამდენიმე ჯგუფი: ერთს ეკუთვნის ზმნები, რომელთაც ვნებითის ნიშანი ფუძის წინ დაერთვის (კერძოდ, მ- პრეფიქსი გვცვდება ერთპირიან (აბსოლუტურ) ზმნებთან, ხოლო ორპირიან ზმნებთან ფიქსირდება უ- პრეფიქსი), მეორეს კი ის ზმნები, რომელთაც ვნებითის ნიშანი ფუძის შემდეგ მოუდის (კერძოდ, ჯ- სუფიქსი); გარდა ამისა, გვაქვს ე.წ. უნიშნო ვნებითიც.

შესაძლებელია გამოვყოთ პასიური წარმოების ზმნათათვის დამახასიათებელი სხვა მორფოლოგიური ნიშნებიც:

1. აქტიური ფორმებისთვის აწმყოში სუბიექტური მესამე პირის ნიშანი არის -ს, ხოლო პასიურთათვის – ა სუფიქსი;
2. აწმყოში სუბიექტური პირები ან მეორე პირის ვნებითის დაბოლოება არის თ;
3. წყვეტილშიც გვაქვს დაპირისპირება: აქტიურის სუბიექტური მესამე პირის მრავლობითს ახასიათებს დაბოლოება უს, პასიურისას კი თენებ;

4. უწყვეტელში აქტიურ ფორმები ძირითადად გამოიხატება და სუფიქსით, ვნებითის ფორმები კი მხოლოდ თავით;
5. I სერიის ვნებითის ფორმებისთვის, როგორც წესი, დამახასიათებელია უბ თემის ნიშანი.

სინტაქსური კონსტრუქციების თვალსაზრისით, აქტიური ფორმები მიჰყებიან დრო-კილოთა მიხედვით განსხვავებულ ან ნომინატიურ (I სერია), ან ერგატიულ (II სერია), ან დატიურ (III სერია) მოდელს მაშინ, როდესაც ვნებითი ფორმები მხოლოდ ნომინატიურ კონსტრუქციებს ქმნიან.

ზემოთ წარმოდგენილი ნიშნები არ არის მხოლოდ აქტიური-პასიური შინაარსების ფორმალიზებისათვის ნიშანდობლივი; მაგ., უბ თემის ნიშანი, დინამიკური ვნებითის პარალელურად, საცმალ პროდუქტიულია აქტიურ ზმნათა I სერიის ფორმებშიც; ხმოვანპრეფიქსები, ვნებითის გარდა, აწარმოებს ქცევასაც (სასხვისო – უ-, სათავისო – ო-); უწყვეტლის თავისი ზოგიერთ აქტიური შინაარსის ზმნასაც შეიძლება ახასიათებდეს (ასათიანი 2009).

ამდენად, აქტიურ-პასიურ ფორმალურ მოდელთა ცალსახა სემანტიკურ-ფუნქციური ინტერპრეტაცია გართულებულია და პრობლემის მოსაგვარებლად ადეკვატური ჩანს ზმნური ფორმების შემდგომი, სემანტიკური თვალსაზრისით, უფრო გამოწვლილვითი ანალიზი.

ჩვენი ყურადღება მიიპყრო ეწ. „ენიანი“ ვნებითების ერთ-ერთმა სემანტიკურად გამორჩეულმა ჯგუფმა, რომელიც გარკვეულ კონტექსტში რეციპროკულ (იგივე, საურთიერთო) შინაარსს გადმოგვცემს.

საზოგადოდ, საურთიერთო მოქმედების სემანტიკა ქართულში უმეტესად გადმოიცემა კონსტრუქციებით, რომლებშიც ძირითადი ერთეული უშუალოდ საურთიერთო მოქმედების გამოხატვას უკავშირდება. მსგავსი ტიპის წინადაღებებში გამოიყენება ურთიერთობითი ნაცვალსახელები: ერთმანეთი, ერთურთი, ერთიმეორე (იხ. სოსელია 2010).

საურთიერთო კონსტრუქციებში ბირთვული ელემენტის (იგივე, ზმნის) მორთოლოგიური სტრუქტურის მიხედვით შეიძლება გამოიყოს ორი ჯგუფი:

1. ერთი, რომელშიც ზმნა ხმოვანი პრეფიქსული ელემენტების (ეწ. მაქცევრების) გარეშე (მაგ., ხოუ და ნინო ერთმანეთს ხატავენ); და
2. მეორე, რომელშიც ზმნა ხმოვანი პრეფიქსული ელემენტებით (ა- და უ- პრეფიქსებით) არის გაფორმებული (მაგ., მუზობრები ერთმანეთს ამშეიდებენ. ისინი ერთმანეთს სახლს უშენებენ).

საურთიერთო მოქმედებას შეიძლება გამოხატავდეს დატიური კონსტრუქციებიც. ასეთ წინადაღებებში მოქმედების სუბიექტი მიცემით ბრუნვით გადმოიცემა. ასეთია, ძირითადად, კონსტრუქციები ეწ. ინვერსიული ზმნებით, რომლებიც სემანტიკურად გრძნობა-აღქმისანი არიან (იგივე, აფექტური ზმნები) (მაგ., ბავშვებს ერთმანეთი უყვართ. ლადოს და დათოს ერთმანეთი სტულთ).

მნიშვნელოვანია ისიც, რომ საურთიერთო მოქმედება გარდაუვალი ზმნის კონსტრუქციითაც შეიძლება იყოს გადმოცემული და რამდენადაც საურთიერთო მოქ-

მედება მინიმუმ ორ აქტანტს გულისხმობს, ამგვარი გარდაუვალი ზმნაც ორპირი-ანი უნდა იყოს (მაგ., ბავშვები ერთმანეთს ჰყვანან).

ამ სახის კონსტრუქციების პარალელურად, საურთიერთო შინაარსის გამოსახულად გავრცელებულია **ე-პრეფიქსიანი** ორპირიანი ე.წ. ვნებითის კონსტრუქციებიც. საზოგადოდ, ასეთი სემანტიკური „ომონიმია“ ვნებითისა და რეციპროკის ფორმებს შორის ტიპოლოგიურად უცხო მოვლენა არ არის და მეტ-ნაკლებად გავრცელებულია მსოფლიოს ენებში, რომლებშიც, ქართულის მსგავსად, პასიური წარმოების ზმნები გამოხატავენ რეციპროკულ მიმართებებსაც. მაგალითად, ასეა რუსულში: *Книга читает-ся* („წიგნი იკითხება“) – *Они влюблены-ся* („მათ ერთმანეთი უყვარდებათ“). ხშირია რეციპროკის და რეფლექსივის ერთგვაროვანი გაფორმებაც (იხ. ასათიანი 2010).

ჩვენი ინტერესი ამ ეტაპზე სწორედ ამ ტიპის რეციპროკებით შემოიფარგლა. მაგალითად განვიხილოთ ორი ფორმა ცეკვა ზმნისა:

- (1) „**კურავდით რევთამბს, ამ მუხიკაზე ხომ ღმერთი ცხმავს, როდესაც არავინ ხედავს“**  
(ალესანდრო ბარიკო, ნოვებენტო: მონოლოგი  
<http://gnc.gov.ge/gnc/document-element?session-id=239637447213255&cpos=11285211>).

- (2) არის ერთი, რომელის ფოლკლორშიც ქალი ცხმავს და მამაკაცი **ჯიხავძე** (სტატია: „ლეგენდარულმა სუხიშვილებმა ქართულ ცეკვაში ქალი გაქტიურეს“, ნიო ივანიაძე, მაია ამირეზაშვილი).

მეორე წინადადებაში პასიური წარმოების ზმნა **ე-ცხავ-უბა** გულისხმობს ორ პირს: მას, ვინც ცეკვავს (ანუ მოქმედების უშუალო შემსრულებელს) და მას, ვინც ამ ცეკვის პროცესში ჩართულია. პირველი აქტანტის გარკვეული აქტივობა გულისხმობს საპასუხო მოქმედებას მეორის მხრიდან (ანუ მასგან, ვისაც ჯიხავძებიან) და ამ პირის მოქმედებაში ჩართულობასა და აქტივობას. ამდენად, ამ შემთხვევაში რეციპროკულ შინაარსზე შეიძლება ვილაპარაკოთ. მსგავსადვე, მაგ., ე-თამაშ-უბა ნიშნავს, რომ ორივე – ვინც თამაშობს და ვისაც ეთამაშებიან – ერთად თამაშობენ.

თამაშობს, ცეკვავს ზმნები ერთპირიანია. ორიბი ობიექტის დამატებას კონსტრუქციაში შემოაქვს რეციპროკული შინაარსი. როდესაც ვამბობთ, რომ მამაკაცი ცეკვავს და ქალი მას უცხავება, ვგულისხმობთ ამ მოქმედებაში ორივე პირის ჩართულობას. არც მამაკაცი და არც ქალი, კონტექსტის მიხედვით, თავის თავს არ უცხავება. იგივე შეიძლება ითქვას ზმნაზე ეთამაშება. **ე-**პრეფიქსი აშკარად მიგვანიშნებს, რომ ორივე პირი აქტიურად არის ჩართული მოქმედების პროცესში. აღნიშნული პრეფიქსი იმავე ფუნქციას ასრულებს ზმნებში: **ე-თამაშება, ე-მეგობრება, ე-ამხანავება, ე-ბურთავება, ე-წუწავება, ე-ჭიდავება, ე-გუნდავება** და სხვა.

აქვე შეიძლება განვიხილოთ **ე-ჩურჩულება, ე-ლაპარაკება, ე-ბაასება** მეტყველების აღმნიშვნელი ზმნებიც, მაგალითად:

- (3) ამის გარდა, ბატონი ვალერი რალაც დამსახურებებზე ლაპარაკობს, ეს გავაკეთოთ, ის გავაკეთეთო  
(სტატია: „თემურ მირიანაშვილის კონცეფცია“, მიხეილ ჯაში).  
(4) ხანდახან სარედლიდან ელაპარაკება კაცს და თან განუწყვეტლივ ხტუნაობს  
(სტატია: „... ჯერ ჩამოიხრჩოს და მერე გამოტყდეს...“, ნოდარ გურგენიძე).

მეორე წინადაღებაში პასიური წარმოების ზმნა ე-ლაპარაკება გულისხმობს ორ პირს: მას, კინც ლაპარაკობს (ანუ მოქმედების უშუალო შემსრულებელს), და მას, კინც ამ საუბარს ისმენს. მიუხედავად იმისა, რომ ეს პირი, თავის მხრივ, შეიძლება არ ლაპარაკობდეს, მისი საკომუნიკაციო აქტში ჩართულობა აუცილებლად იგარაუდება. ლაპარაკე გამოხატავს პირველი აქტანტის გარკვეულ აქტივობას, რაც გულისხმობს საპასუხო მოქმედებას მეორე აქტანტისგან, მის მონაწილეობას საკომუნიკაციო აქტში და, ამდენად, ამგვარ შემთხვევებშიც შესაძლოა მეტაფორიზაციით მიღებულ რეციპროკულ შინაარსზე ვისაუბროთ.

ამგვარად, ე-პრეფექტისით ნაწარმოები ამ ტიპის ზმნურ ფორმებში აშკარად ჩანს, რომ მოქმედება მოითხოვს ორივე პირის აქტივობას, რასაც ვერ ვიტყვით, ვთქვათ, ზემოთ განხილული ცხვავს ზმნური ძირიდან ნაწარმოებ უ-პრეფექტისან ფორმაზე; მაგალითად:

##### **(5) ერისონი რუსებს უხმავს**

- (Forum.ge-ზე განთავსებული ვიდეოკლიპის სათაური).  
(6) ... და ცალი წარბი ავად უხმავს  
(ქართული პრესის ელექტრონული არქივი).

ზმნის არგუმენტულ სახელებს შორის მსგავს მიმართებას გვიჩვენებენ სხვა ზმნებიც; მაგალითად:

- (7) ამირანი მდევრის, სხვებსაც ამღერებს, თვითონაც იცინის და სხვებსაც აცინებს.  
(„პატარა დედაკაცი“:  
<http://gnc.gov.ge/gnc/document-element?session-id=239637447213255&cpos=7727453>).  
(8) ნასიმი თავის ლუქსებში უძღვრის ადამიანის სიდიადეს...  
(აზერბაიჯანული პოეზიის ათასხუთასწლოვანი ისტორია:  
<http://gnc.gov.ge/gnc/document-element?session-id=239637447213255&cpos=9661668>).

ამ მაგალითებში წარმოდგენილია ორგვარი მოქმედების დაპირისპირება. მაგ., მდევრის ზმნა გამოხატავს სუბიექტის აქტივობას, რაც კონკრეტულად არავისკენ არ არის მიმართული. უძღვრის ფორმაში კი სასხვისო ქცევის ნიშანი უ-აშკარად მიგვითითებს, რომ აგენსის აქტივობა მიმართულია, ამ კონტექსტის მიხედვით, ქალისკენ. თუმცა აღსანიშნავია ის, რომ ამ ზმნაში არ იგულისხმება ორივე პირის მოქმედება: კაცი უძღვრის ქალს და ქალი, ანუ ის, ვისთვისაც ის მღერის, სიმღერის პროცესში ჩართული არაა.

ჩვენ მიერ გამოთქმული მოსაზრება რომ უფრო დამაჯერებელი გავხადოთ, განვიხილოთ სხვა ამავე რიგის ზმნები, მაგალითად:

კვირის → უ-კვირის

(9) ხდება კოლექტივის სხვადასხვა ხერხით პოპულარიზაცია, ხოლო მოსულ საზოგადოებას არავინ **უკვირის** და დამატებირებლად არ მოუწოდებს...

(სტატია: „ეროვნული მუზეუმი: შედეგები და სურვილები ერთი წლის შემდეგ“, სიკო კილასონია).

კბენ → უ-კბენს

(10) ძღვრდნელები თუ შემოაკლდება, ანუ ირგვლივ გაწყდება ყველა თავვი და ვირთხა, ამ შემთხვევაში უკვე ადამიანს უკბენს და ეს ადამიანი დაავადდება (სტატია: „რა უფრო საშიშია...“, სოფიო თოდუა).

მაგალითებიდან ნათლად ჩანს, რომ უ- სასხვისო ქცევის ნიშანი არ იძლევა საურთიერთო მოქმედების შინაარს. უძლერის ის მას, უკბენს ის მას – ამ შემთხვევებში არ ჩანს ორიგე პირის მოქმედებაში აქტიური ჩართულობა: ერთი პირი აქტიურია, მეორე კი პასიური. ამავე ტიპისაა ზმნები: უ-დუღხს, უ-კვირის, უ-ცინის, უ-ღიმის და სხვა.

როგორც ე-, ისე **უ-პრეფიქსიანი** ფორმები არის ნაწარმოები, დერივაციული ფორმები და ორივესთვის ამოსავალი ფორმაა ე.წ. საშუალ-მოქმედებითი გვარის ერთპირიანი ზმნები (ივანიშვილი, სოსელია 2002). ორივე დერივაციულ ფორმა-ში ამოსავალ საშუალ-მოქმედებითოა მიმართებით დამატებულია ირიბობიერებური პირი, რომლისკენაც მიმართულია სუბიექტის მოქმედება. მოუხდავად იმისა, რომ ორივე მოდელის (**უ-პრეფიქსიანი** და **უ-პრეფიქსიანი**) ამოსავალია ერთპირიანი საშუალ-მოქმედებითი გვარის ზმნები, ირიბობიერებური პირის დამატებისას ნაწილი ზმნებისა უპირატესობას ანიჭებს **უ-პრეფიქსიან** მოდელს, მეორე ნაწილი კი – **უ-პრეფიქსიანის**.

ჩვენი ვარაუდით, ამ დერივაციული მოდელების ფორმალური განსხვავების განმაპირობებელი უნდა იყოს სწორედ მათ შორის არსებული გარკვეული სემანტიკური სხვაობა – ანუ, დამატებული ირიბობიერებური პირი, სავარაუდოდ, სხვადასხვაგვარი სემანტიკური როლის მატარებელია, რაც ქმნის საფუძველს ფორმალური მოდელების გამიჯვნისა.

ქვემოთ შევეცდებით ამ სემანტიკური ნიუანსის მოძიებას.

საშუალ-მოქმედებითი გვარის ზმნების ერთი ჯგუფი, რომელიც ირიბი ობიექტის დამატებისას ირჩევს **უ-პრეფიქსიან** მოდელს; მაგალითად, დუღხს→უდუღხს, გორავს→უგორავს, ბიბინებს→უბიბინებს, ციმციმებს→უციმციმებს და სხვა, სემანტიკური ანალიზისას გვიჩვენებს, რომ აღნიშნულ ფორმებში დამატებული ირიბობიერებური პირი ადრესატ-პოსესორია: მოქმედების „ავტორი ეკუთვნის მას“; მაგ., მისი ჩაიდანი დუღას = მას ჩაიდანი უდუღს, მისი თვალები ციმციმებს = მას თვალები უციმციმებს, მისი შვილი ტირის = მას შვილი უტირის, და სხვა ამგვარი. ასეთი პირი არ გულისხმობს აქტიურ, რეციპროკულ უკუჩართულობას

ზმნის სემანტიკით ნაგულისხმებ მოქმედებაში. მსგავსადვე არ არის აქტიურად ჩართული მოქმედებაში ადრესატ-ბენეფაქტივ-რეციპიენტი ზმნებთან: ძღვრის→უძღვრის, იცინის→უცინის, ექიმობს→უექიმებს, გარბის→გაურბის, ყვირის→უყვირის, შუამავლობს→უშუამავლებს, კივის→უკივის, სარდლობს→უსარდლებს, ხელმძღვანელობს→უხელმძღვანელებს და სხვა. ე.რ. როდესაც ირიბობიექტური პირის დამატება კუთვნილების და/ან დანიშნულების სემანტიკას (იგივე, ქცევის კატეგორიას) გულისხმობს, ზმნურ ფორმაში კანონზომიერად ჩნდება სასხვისო ქცევის **უ-პრეფიქსით**. აღსანიშნავია, რომ ამგვარ უ-პრეფიქსით ფორმებში უფრო ადვილად ხდება პაციენტის აქტუალიზება და ორპირიანი გარდაუვალი ფორმის გადაზრება სამპირიან გარდამავალ კონსტრუქციად. ეს, როგორც წესი, ხდება იმ შემთხვევებში, როდესაც ზმნურ ფორმაში მატერიალიზებული მოქმედების „განზოგადებული“ ობიექტი კონკრეტდება, რაც პაციენტის როლის მქონე პირდაპირობიექტური პირის აქტუალიზებას ახდენს; მაგ., დილიდან უძღვრის (\*სიძღურას) თავის სატრუნს→დილიდან სერენადებს უძღვრის თავის სატრუნს, ანუ: ძღვრის (\*სიძღერას)→უძღვრის (\*სიძღერას)/სერენადას. მსგავსადვე, უცნკვას (\*ცნკვას)→უცნკვას (\*ცნკვას)/დავლეურს.

საშუალ-მოქმედებითი გვარის მეორე ჯგუფის ზმნების შემთხვევაში კი, რომელიც ირჩევს **უ-პრეფიქსით** მოდელს, დამატებული ადრესატული პირი არ ამყარებს ზმნასთან კუთვნილებისა და/ან დანიშნულების მიმართებას, არ არის არც ბენეფაქტივი, არც პოსესორი და არც რეციპიენტი, მისი მოქმედებაში უკუჩართულობა და გარკვეული აქტივობა აუცილებელი ჩანს და, ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ისინი საურთიერთო შინაარსს გამოხატავნ. მაგალითად, ცნკვას→უცნკვას, გუნდაობს→უცნკვას, თამაშობს→უთამაშება, ბურთაობს→უბურთავება, მეობრობს→უმეობრება, და სხვა.

დღიდი ნაწილი ამ მეორე ჯგუფის ზმნებისა არის მეტყველების სემანტიკურ ველიდან; მაგ., ლაპარაკობს→ელაპარაკება, ტიტინებს→ეტიტინება, საუბრობს→ესაუბრება, ბუზღუნებს→ებუზღუნება და სხვა. მიუხედავად იმისა, რომ რომელიმე კონკრეტულ სიტუაციაში ის, ვისაც ელაპარაკებით, შეიძლება არ გაპასუხობდეთ და არ იყოს ჩართული დიალოგში, საკომუნიკაციო ველის ეს ადრესატული პირი სიტუაციურად მოქმედებაში უკუჩართულ, აქტიურ პირად სტრუქტურირდება და, შესაბამისად, რეციპიროკთან კონცეპტუალური გათანაბრებით შეირჩევა **უ-პრეფიქსითი** მოდელი.

მაშასადამე, პირველ შემთხვევაში, როდესაც რეციპიროკული შინაარსი არ ივარაუდება, კონსტრუქციაში ირიბობიექტური პირის დამატება გადმოიცემა **უ-პრეფიქსითი** აქტიური მოდელით, მეორე შემთხვევაში კი, როდესაც რეციპიროკული შინაარსი მოიაზრება, ირიბობიექტური პირის დამატება გადმოიცემა **უ-პრეფიქსითი** ვნებითის მოდელით.

**უ-**პრეფიქსით ნაწარმოები ზმნების უმეტესობაში ჩანს ორივე პირის მოქმედებაში ჩართულობა და აქტივობა, ეს კი ქმნის ინვერსიისათვის, ანუ სუბიექტ-ობიექტის ფუნქციების შეპრუნებისათვის, შესაფერის პირობებს; შედეგად, ზემოთ

განხილული რეციპროკული შინაარსის გადმოსაცემად გამოყენებული **უ-პრეფიქსიანი** ვნებითის ფორმა ქმნის ახალ მოდელს ე.წ. „გუნების ვნებითების“ გამოსახატად. მაგ., ჩვეკვება (ის, მას) → ჩვეკვება (მას) = ცაკვის გუნებაზეა, ეთამაშება (ის, მას) → ეთამაშება (მას) = თამაშის ხასიათზეა, ემასლაათება (ის, მას) → ემასლაათება (მას) = მასლაათის ხასიათზეა, და სხვა. ამდენად, წარმოიქმნება ფორმათა ომონიმია, რომელიც გამოხატავს ორ განსხვავებულ შინაარსს: რეციპროკს და გუნების ვნებითს. პირველი ორპირიანი პირდაპირი წყობისაა, მეორე კი ძირითადად ერთპირიანი, ინვერსიული.

„გუნების“ გამომხატველი მოდელი, რომელიც თანამედროვე ქართულში საკმაოდ პროდუქტურულია, დამოუკიდებლად იწყებს ფუნქციონირებას და გუნება-განწყობის შინაარსის მქინე ინვერსიული ფორმები, ფაქტობრივად, ნებისმიერი სახელური თუ ზმნური ძირიდან იწარმოება, მათ შორის, მედიოაქტიურ ზმნათა პირველი ჯგუფის ზმნებისგანაც; მაგ., ძღვერის (ის) → ეძღვერება (მას), ნატრობს (ის) → ენატრება (მას), ზარობს (ის) → ეზარება (მას), ტირის(ის) → ეტირება (მას), და სხვა. ეს კი, თავის მხრივ, ზედაპირული ფორმების დამთხვევის გამო, მოდელთა ავტომატურ მორფოლოგიურ გამიჯვნას ართულებს, თუმცა სინტაქსურ დონეზე სხვაობა სახეზეა: „გუნების ვნებითების“ ინვერსიული სუბიექტი ყოველთვის მიცემით ბრუნვაშია, მაშინ როდესაც ენიანი რეციპროკის სუბიექტი – სახელობითში.

ამდენად, მედიოაქტიური ფორმებიდან ირიბობიერებური პირის დამატების შედეგად წარმოქმნილი კონსტრუქციებიდან იმიჯნება ორი ტიპის დერივაციული წარმოება: **უ-** და **ე-** პრეფიქსით ნაწარმოები ზმნები. მათგან ეპრეფიქსიანი ზმნები ავლენენ რეციპროკულ მნიშვნელობას.

ამ წინასწარი ანალიზის შედეგად მიღებული დასკვნის ვერიფიკაციისათვის ვაწარმოეთ კორპუსული კვლევა. ამასთანავე, დავეყრდენით დ. მელიქიშვილის ნაშრომში (მელიქიშვილი 2001) დიათეზებისა და პარადიგმების საფუძველზე გამოყოფილ ქვეჯგუფებში დაღაგებულ ზმნათა სიას. ამ ნაშრომში პირველ უსრულ დიათეზას ქმნიან საშუალ-მოქმედებითი (იგივე, მედიოაქტიური) ზმნები და ამ დიათეზაში გაერთიანებულია 1465 ზმნა. ჩვენი მიზნებიდან გამომდინარე, მასალა გაიცხრილა და საანალიზოდ შეირჩა 180 ფორმა – ეს ის ზმნებია, რომლებიც, კონკრეტული სემნატიკიდან გამომდინარე, საერთოდ უშეგებენ ირიბი ობიექტის დამატებას, რამდენადაც ერთპირიან მედიოაქტიურ ზმნათა დიდი ნაწილი სემანტიკურად ვერ ჰგუობს ირიბობიერებური პირის დამატებას, მაგ., ცხოვრობს, ფიქრობს, ბევრს, ხერხშის, რბის, ცდის და ა.შ. შერჩეული ზმნებისგან 115 ირიბობიერებური პირის დამატებისას ირჩევს **უ-პრეფიქსიანი** სახვისო ქცევის აქტიური მოდელს, 65 კი **ე-პრეფიქსიანი** ვნებითის მოდელს. გვაქვს ზმნათა გარკვეული რაოდენობა, რომლებიც ორივე მოდელით იწარმოებან. ასეთებია: რქენს/უ-რქენს/ე-რქენება, ბრვერს/უ-ბრვერს/ე-ბრვერება, ღრენს/უ-ღრენს/ე-ღრინება, ბარბაცებს/უ-ბარბაცებს/ე-ბარბაცება, ჭყვიტინებს/უ-ჭყვიტინებს/ე-ჭყვიტინება, ამხანავობს/უ-ამხანავებს/ე-ამხანავება და სხვა. დასახელებული მასალა გადავამოწმეთ ქართული ენის ეროვნული კორპუსის მონაცემთა ბაზაშიც და მასალა გავცხრილეთ,

ამოვილეთ რა მოძველებული და ნაკლებად ხმარებული ზმნები. მოპოვებული მასალა ქლასიფიცირებულია ქვემოთ მოცემული ცხრილების სახით:<sup>1</sup>

### ცხრილი 1

**მუდიოაქტიური ერთპირიანი ზმნები, რომლებიც ირიბი ობიექტის  
დამატებისას მიჰყებან უ-პრეფიქსიან მოდელს**

ამოსავალი ფორმა	უ-პრეფიქსიანი დერიგაცია
1. ბზუის	უ-ბზუის
2. ილხენს	უ-ლხენს
3. ბგერს	უ-ბგერს
4. გლოვს	უ-გლოვს
5. ღუმს	უ-ღუმს
6. ღუღს	უ-ღუღს
7. თოვს	უ-თოვს
8. ქუხს	უ-ქუხს
9. ჭექს	უ-ჭექს
10. უღერს	უ-უღერს
11. ჩქეფს	უ-ჩქეფს
12. ძგერს	უ-ძგერს
13. სტვენს	უ-სტვენს
14. ჭვრეტს	უ-ჭვრეტს
15. ფრენს	უ-ფრენს
16. ქშენს	უ-ქშენს
17. კვნესის	უ-კვნესის
18. ჭყვირის	უ-ჭყვირის
19. ხვნეშის	უ-ხვნეშის
20. ბწექნს	უ-ბწექნს
21. კბენს	უ-კბენს
22. ბღავის	უ-ბღავის
23. ბღუის	უ-ბღუის
24. ზმუის	უ-ზმუის
25. კივის	უ-კივის
26. ქნავის	უ-ქნავის
27. ფრთხის	უ-ფრთხის
28. ყვავის	უ-ყვავის
29. ყივის	უ-ყივის

<sup>1</sup> ცხრილებში ზმნები დალაგებულია დ. მელიქიშვილის პარადიგმების მიხედვით (მელი-ქიშვილი 2001).

30.	ჩივის	უ-ჩივის
31.	ჩხავის	უ-ჩხავის
32.	ჯლავის	უ-ჯლავის
33.	თრთის	უ-თრთის
34.	კრთის	უ-კრთის
35.	ქრის	უ-ქრის
36.	ძრწის	უ-ძრწის
37.	მიიმღერის	მი-უ-მღერის
38.	მიხტის	მი-უ-ხტის
39.	ბდლვინავს	უ-ბდლვინავს
40.	ბზინავს	უ-ბზინავს
41.	ბოლავს	უ-ბოლავს
42.	ბორგავს	უ-ბორგავს
43.	ბჟუტავს	უ-ბჟუტავს
44.	ბრუნავს	უ-ბრუნავს
45.	ბრწყინავს	უ-ბრწყინავს
46.	ბრჭყვინავს	უ-ბრჭყვინავს
47.	გორავს	უ-გორავს
48.	გრგვინავს	უ-გრგვინავს
49.	ტოკავს	უ-ტოკავს
50.	ფეთქავს	უ-ფეთქავს
51.	ღოლავს	უ-ღოლავს
52.	ბაბანებს	უ-ბაბანებს
53.	ბაგბაგებს	უ-ბაგბაგებს
54.	ბჟღვრიალებს	უ-ბჟღვრიალებს
55.	ბრიალებს	უ-ბრიალებს
56.	ბრახუნებს	უ-ბრახუნებს
57.	ბრჭყვიალებს	უ-ბრჭყვიალებს
58.	ბუყბუყებს	უ-ბუყბუყებს
59.	გიზგიზებს	უ-გიზგიზებს
60.	გუგუნებს	უ-გუგუნებს
61.	დგრიალებს	უ-დგრიალებს
62.	ვარვარებს	უ-ვარვარებს
63.	ზიმზიმებს	უ-ზიმზიმებს
64.	თამთამებს	უ-თამთამებს
65.	თუხთუხებს	უ-თუხთუხებს
66.	თქარუნებს	უ-თქარუნებს
67.	კავკავებს	უ-კავკავებს
68.	კანკალებს	უ-კანკალებს
69.	კაშკაშებს	უ-კაშკაშებს

70.	ლაპლაპებს	უ-ლაპლაპებს
71.	ლივლივებს	უ-ლივლივებს
72.	პრიალებს	უ-პრიალებს
73.	რაკრაკებს	უ-რაკრაკებს
74.	ტრიალებს	უ-ტრიალებს
75.	ფამფალებს	უ-ფამფალებს
76.	ფუცხუნებს	უ-ფუცხუნებს
77.	ქათქათებს	უ-ქათქათებს
78.	დაქლაჟებს	უ-დაქლაჟებს
79.	ყანყალებს	უ-ყანყალებს
80.	ყიუინებს	უ-ყიუინებს
81.	შრიალებს	უ-შრიალებს
82.	შუშხუნებს	უ-შუშხუნებს
83.	ჩხაკუნებს	უ-ჩხაკუნებს
84.	ცახცახებს	უ-ცახცახებს
85.	ცომციმებს	უ-ცომციმებს
86.	წკარუნებს	უ-წკარუნებს
87.	წკრიალებს	უ-წკრიალებს
88.	ხრიგინებს	უ-ხრიგინებს
89.	ათენებს	უ-თენებს
90.	იქვეითებს	უ-ქვეითებს
91.	ასწრებს	უ-სწრებს
92.	ძლებს	უ-ძლებს
93.	აქიმობს	უ-აქიმებს
94.	ბოროტობს	უ-ბოროტებს
95.	გამგებლობს	უ-გამგებლებს
96.	დირიჟორობს	უ-დირიჟორებს
97.	დოსტაქრობს	უ-დოსტაქრებს
98.	ერთგულობს	უ-ერთგულებს
99.	ექიმობს	უ-ექიმებს
100.	ეშმაკობს	უ-ეშმაკებს
101.	ვაჟკაცობს	უ-ვაჟკაცებს
102.	თარჯიმნობს	უ-თარჯიმებს
103.	ლაწუნობს	უ-ლაწუნებს
104.	მუხთლობს	უ-მუხთლებს
105.	ღრაჭუნობს	უ-ღრაჭუნებს
106.	შუამავლობს	უ-შუამავლებს
107.	მოძრაობს	უ-მოძრავებს
108.	ბდლვიალებს	უ-ბდლვიალებს
109.	ბზრიალებს	უ-ბზრიალებს

110.	ბიბინებს	უ-ბიბინებს
111.	მეტყველებს	უ-მეტყველებს
112.	მძვინვარებს	უ-მძვინვარებს
113.	ღრიალებს	უ-ღრიალებს
114.	წერიალებს	უ-წერიალებს
115.	წოოკობს	უ-წოოკობს

## ცხრილი 2

**ძელიოაქტიური ერთპირიანი ზშნები, რომლებიც ირიბი ობიექტის  
დამატებისას მიჰყებიან ეპრეფიქსიან მოდელს**

ამოსავალი ფორმა	ეპრეფიქსიანი დერივაცია
1. ცეკვას	ე-ცეკვება
2. ბანცალებს	ე-ბანცალება
3. ბარბაცებს	ე-ბარბაცება
4. ბუზდუნებს	ე-ბუზდუნება
5. ბუტბუტებს	ე-ბუტბუტება
6. გოგმანობს	ე-გოგმანება
7. კუნტრუშებს	ე-კუნტრუშება
8. კუსკუსებს	ე-კუსკუსება
9. ლიკლიკებს	ე-ლიკლიკება
10. ლუდლუდებს	ე-ლუდლუდება
11. ტატანებს	ე-ტატანება
12. ტიპტიკებს	ე-ტიპტიკება
13. ტიტინებს	ე-ტიტინება
14. ტუნტულებს	ე-ტუნტულება
15. ტუსტუსება	ე-ტუსტუსება
16. ქაქანებს	ე-ქაქანება
17. ქირქილებს	ე-ქირქილება
18. ქოთქოთებს	ე-ქოთქოთება
19. ყაყანებს	ე-ყაყანება
20. ჩიფჩიფებს	ე-ჩიფჩიფება
21. ძიგძიგებს	ე-ძიგძიგება
22. ხვანცალებს	ე-ხვანცალება
23. წუწუნებს	ე-წუწუნება
24. ჭიკჭიკებს	ე-ჭიკჭიკება
25. ჭიჭყინება	ე-ჭიჭყინება
26. ჭუაჭუაქებს	ე-ჭუაჭუაქება
27. ჭყიპინებს	ე-ჭყიპინება

28.	ჯაჯღანებს	ე-ჯაჯღანება
29.	ჯიჯღინებს	ე-ჯიჯღინება
30.	ჯლოფინებს	ე-ჯლოფინება
31.	ჯუჯღუნებს	ე-ჯუჯღუნება
32.	არტისტობს	ე-არტისტება
33.	არშიფობს	ე-არშიფება
34.	აშიკობს	ე-აშიკება
35.	ბაასობს	ე-ბაასება
36.	ბინდობს	ე-ბინდება
37.	ბობორობს	ე-ბობოქრება
38.	ბოდიალობს	ე-ბოდიალება
39.	გოგმანობს	ე-გოგმანება
40.	დავობს	ე-დავება
41.	ზლუქუნობს	ე-ზლუქუნება
42.	პეპლუცობს	ე-პეპლუცება
43.	კუნტრუშობს	ე-კუნტრუშება
44.	ლაპარაკობს	ე-ლაპარაკება
45.	ლაქლაქობს	ე-ლაქლაქება
46.	ლაფბობს	ე-ლაფება
47.	ლიკლიკებს	ე-ლიკლიკება
48.	მასლაათობს	ე-მასლაათება
49.	მგზავრობს	ე-მგზავრება
50.	ომობს	ე-ომება
51.	უონგლიორობს	ე-უონგლიორება
52.	ტიკტიკობს	ე-ტიკტიკება
53.	ჩხუბობს	ე-ჩხუბება
54.	ცულლუტობს	ე-ცულლუტება
55.	ძიგძიგობს	ე-ძიგძიგება
56.	წიწმატობს	ე-წიწმატება
57.	ჭიჭყინობს	ე-ჭიჭყინება
58.	ხვანცალებს	ე-ხვანცალება
59.	ხმიანობს	ე-ხმიანება
60.	გუნდაობს	ე-გუნდავება
61.	კინკლაობს	ე-კინკლავება
62.	წუწაობს	ე-წუწავება
63.	ჭიდაობს	ე-ჭიდავება
64.	ჭორაობს	ე-ჭორავება
65.	ღრუტუნებს	ე-ღრუტუნება

კვლევის შედეგად გამოყოფილი მოდელების ჩვენ მიერ წინასწარი ვარაუდის სახით ჩამოყალიბებული სემანტიკური ინტერპრეტაცია ნაწილობრივ დადასტურდა: **უ-პრეფიქსიანი** აქტიური ყალიბი გამოიყენება პოსესორ-ბენეფიაქტიურ-რეციპიენტული შინაარსის მქონე ირიბობიექტური პირის დამატებისას, როდესაც არგუმენტებს შორის კუთვნილება-დანიშნულების მიმართება მყარდება; **ე-პრეფიქსიანი** ვნებითის ყალიბი კი გამოიყენება ძირითადად იმ შემთხვევებში, როდესაც დამატებული ირიბობიექტური პირი არ ამყარებს მოქმედ პირთან კუთვნილება-დანიშნულების მიმართებას. ამ უკანასკნელ შემთხვევაში უმტკესი ზმნები გამოხატვენ რეციპიროკულ შინაარსს და რეციპიროკთან კონცეპტუალურად გათანაბრეულ სამეტყველო აქტივობას. ერთგვარი „გამონაკლისებია“: ამპარტავნობს-უამპარტავნება, ანცობს-უანცება, ბუნტობს-უბუნტება, დარბაისლობს-უდარბაისლობს-უდიღულება, თაყვანობს-უთაყვანება, ურჩობს-უურჩება, უხეშობს-უუხეშება, ყოყოჩობს-უყოფიჩება, ძირის-უძირება, წინააღმდევობს-უწინააღმდევება, ჯიუტობს-უჯიუტება, ჯიქობს-უჯიქება, ბუტიაობს-უბუტიავება, მოქებს-უმოქება, მსახურობს-უმსახურება და სხვა. დასახელებულ ზმნებში გამოხატულია მოქმედი პირის ერთგვარი აქტივობა, რომელიც მიმართულია ირიბობიექტური პირისაკენ იმგვარად, რომ კუთვნილება-დანიშნულებითი მიმართება არგუმენტებს შორის არ მყარდება, მაგრამ ეს ფორმები არც საურთიერთო მოქმედებაზე მიგვანიშნებენ. ის, რომ ისინი მისდევთ **უ-პრეფიქსიანი** მოდელს, შეიძლება გამოწვეული იყოს შემდგი გარემოებით: ამ ზმნებთან, დამატებული ირიბობიექტური პირი არ არის უშუალოდ ჩართული მოქმედებაში, თუმცა შესაძლოა ვიფიქროთ, რომ იგი „აქტიურია“, რამდენადაც მოქმედების გამომწვევ მიზეზად შეიძლება გავიაზროთ – ირიბობიექტური პირის „რაღაც“ ქმედება ან მდგომარეობა იწვევს/აპროვოცირებს მოქმედი პირის შესაბამის მოქმედებას.

რაც შეეხება ზმნებს, რომლებთანაც ორივე ტიპის წარმოება დასტურდება, მათი სემანტიკა ჰგულის რა ორივე სახის – როგორც რეციპიროკული, ისე პოსესორ-ბენეფიაქტივ-რეციპიენტული – ირიბობიექტური პირის დამატებას, შესაბამისად, კანონზომიერად იყენებს ორივე მოდელს ამ სემანტიკური განსხვავებულობის ფორმალური დაპირისპირებისათვის; მაგ., ნარნარებს/უ-ნარნარებს/ე-ნარნარება, მეგობრობს/უ-მეგობრებს/ე-მეგობრება, მეზობლობს/უ-მეზობლებს/ე-მეზობლება. ამ მაგალითებში **უ-პრეფიქსიანი** ფორმებში ჩანს აგნენის მოქმედება, რომელიც მიმართულია მეორე პირისაკენ იმგვარად, რომ მის აქტივობას, უკუჩართულობას არ გულისხმობს; ხოლო **ე-პრეფიქსიანი** ზმნურ ფორმებში იგულისხმება მეორე პირის გარკვეული უკუჩართულობა. მაგალითად, **უ-მეგობრებს** ზმნური ფორმა მიგვითოთებს იმაზე, რომ აგნენი ადრესატს დაეხმარება მეგობრულად, მისთვის გააკეთდს რაღაცას ისე, რომ მისგან უკუჩართულობას ამ მოქმედებაში არ მოითხოვს; მაგრამ, როდესაც ვამბობთ **ე-მეგობრება**, ამგვარი ფორმით აღვნიშნავთ მეორე პირის გარკვეულ „ჩართულობასაც“ მათ ურთიერთობაში.

ამგვარად, ორი მოდელის არსებობა განპირობებულია დამატებული ირიბობიექტური პირის სემანტიკით: თუ ეს დამატებული ირიბობიექტური პირი არ არის

ჩართული მოქმედებაში და მხოლოდ კუთვნილება-დანიშნულებით მიმართებას ამყარებს მოქმედ პირთან, გამოიყენება **უ-პრეფიქსიანი** მოდელი, ხოლო თუ ეს დამატებული ირიბობიექტური პირი გარკვეულწილად ჩართულია მოქმედებაში და ან რეციპროკულ მიმართებას ამყარებს მოქმედ პირთან, ან სამეტყველო აქტში თავის ჩართულობაზე მიგვანიშნებს, ან ნებსით ან უნგბლიერ „იწვევს/აპროვოცირებს“ მოქმედებას, გამოიყენება **უ-პრეფიქსიანი** მოდელი.

წარმოადგინა ასოცირებულია პროფესორმა რუსუდან ასათიანმა

### ლიტერატურა

**ამირიძე 2006:** N. Amiridze, *Reflexivization Strategies in Georgian*, Published by LOT, Utrecht.

**ასათიანი 2010:** რ. ასათიანი, ქართულში ვნებითი გვარის ფორმათა სემანტიკურ-კოგნიტიური ინტერპრეტაცია: ენანი ვნებითის ერთი თავისებურება, ტაბოლოგიური ძეგბანი, V, თბილისი, 135-144.

**ივანიშვილი, სოსელია 2002:** მ. ივანიშვილი, ე. სოსელია, ქართული პასური კონსტრუქციის ზოგიერთი მორფოსინტაქსური და სემანტიკური თავისებურება, ენათმეცნიერების საკითხები, IV, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 133-140.

**ნოზაძე 2008:** ლ. ნოზაძე, ქართველურ ენათა ისტორიული ძორფოლოგის საკითხები, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი.

**სოსელია 2010:** საურთიერთო მოქმედების გამომხატველი კონსტრუქციები ქართულში, ენათმეცნიერების საკითხები, I-II, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 107-113.

**შანიძე 1973:** ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძლები, I. ძორფოლოგია, თსუ გამომცემლობა, თბილისი.

### გამოყენებული წყაროები

**ქართული ენის ეროვნული კორპუსი:** <http://gnc.gov.ge/gnc/simple-query?session-id=239637447213255>

**მელიქიშვილი 2001:** დ. მელიქიშვილი, ქართული ზმნის უდღების სისტემა, გამოცემლობა „ლოგოს პრესი“, თბილისი.

*Nino Nozadze*

### Semantic Interpretation of the *ecek'veba* Type Verbs

#### Summary

Within the theory of functional grammar passive constructions are considered as conversive ones of corresponding active constructions, where a Patient is promoted to the subject position along the string of hierarchically organized functional relations – S>DO>IO, while an Agent is demoted and transformed into a prepositional phrase. Therefore, it no longer represents a core argument defined by the verb valency.

In Georgian, in some cases, such kind of active-passive functional opposition is expressed by special morphosyntactic signs, where the passive construction is represented as the marked member of the opposition. Active, transitive constructions (1-a) are opposed to conversive, passive ones (1-b); e.g.:

- (1-a) *k'ac-i*                  *xat'-av-s*                  *surat-s*  
       man-NOM              paint-THM-ACT.PRS.S.3.SG      picture-DAT  
       ‘The man paints the picture.’
- (1-b) *surat-i*                  *i-xat'-eb-a*                  *k'ac-is*                  *mier*  
       picture-NOM              PASS-paint-THM-PASS.PRS.S.3.SG      man-GEN      by  
       ‘The picture is painted (=is in a process of painting) by the man.’

The morphosyntactic features defining and creating the models can be summarized as follows (Sanidze 1973).

**Table: Morphosyntactic Features of Active and Passive Formal Models**

	Active	Passive
Special markers	—	<i>i-, e-, -d, Ø</i>
S.3.SG suffix (in Present)	<i>-s</i>	<i>-a</i>
S.3.PL suffix (in Aorist)	<i>-es</i>	<i>-nen</i>
Present tense marker	<i>Ø</i>	<i>-i</i>
Thematic marker (in I-series)	<i>-eb-, -ob-, -op-, -av-, -am-, -i-, -Ø-;</i>	<i>-eb-</i>
Imperfective marker	<i>-d-, (-od-)</i>	<i>-od-</i>
Subject case	NOM (in Present)/ERG (in Aorist)/DAT (in Perfect)	NOM
Direct Object case	DAT (in Present)/NOM (in Aorist and Perfect)	DAT
Indirect Object case	DAT	DAT

But, the formal models cannot be interpreted as unequivocal ones inasmuch as the constructions pointed out as ‘Active’ or ‘Passive’ can actually represent a variety of verb semantics: non-conversive passives (dynamic as well as static), active (intransitive/dynamic), reciprocals, potentials, deponents, etc. The problem with the paradigm is that it is difficult to predict the meaning from the form and to such an extent traditional terms ‘Active’ and ‘Passive’ actually have a conventional character. Thereby, the semantic and/or functional analysis of the models definitely requires further investigation.

In this respect, the specific group of the so-called passive verbs formed with *e*-prefix attracted our attention (2-a). These verbs do not have an active counterpart and can produce corresponding active semantics only by special derivational models (2-c). The initial, basic forms for them are intransitive verb forms (2-b) (Ivanishvili, Soselia 2002), while for the conversive-passive forms, on the contrary, the initial forms must be transitive ones.

(2-a)	<i>k'ac-i</i>	<i>kal-s</i>	<b><i>e-cek'v-eb-a</i></b>
	man-NOM	woman-DAT	PASS-dance-THM-PASS.S.3.SG
‘The man dances with the woman; they dance together.’			

(2-b)	<i>k'ac-i</i>	<b><i>cek'v-av-s</i></b>
	man-NOM	dance-THM-ACT.S.3.SG
‘The man dances.’		

And not:

(2-c)	<i>k'ac-i</i>	<i>kal-s</i>	<b><i>a-cek'v-eb-s</i></b>
	man-NOM	woman-DAT	CAUS-dance-THM-ACT.S.3.SG
‘The man makes the woman dance.’			

To such an extent, in the process of defining basic forms, intransitive, monopersonal verbs (so-called Medio-actives according to Ak. Shanidze’s terminology) appeared in the field of our investigation.

When the valency of medioactive verbs is increased and an indirect object is added to the argument structure, the verb form besides the *e*- prefix shows the prefix *u*- as well (3):

(3)	<i>k'ac-i</i>	<b><i>myer-i-s</i></b> → <i>k'ac-i</i>	<i>kal-s</i>	<b><i>u-myer-i-s</i></b>
	man-NOM	sing-PRS-ACT.S.3.SG	man-NOM	woman-DAT OV-sing-PRS-ACT.S.3.SG

‘The man sings.’ → ‘The man sings for/to the woman; his singing is oriented at the woman.’

So, on the basis of our observation two formal models were discovered: *the increase of valency of medioactive verbs by the addition of IO is expressed either by a passive model with e- prefix (2-a) or by an active model with u- prefix (3).*

In virtue of semantic analysis the main hypothesis appeared: *e-model represents the reciprocal (2-a) while u-model expresses possessive-benefactive (3) relationship among the verb arguments* (Asatiani 2010).

To verify this supposition we observed the Georgian National Corpus data using the list of Georgian verb paradigms given in Damana Melikishvili’s work (Melikishvili 2001).

Our presupposition has been confirmed: *The choice between the e- and u-models is determined by the semantics of the added IO so that if IO is benefactive, then a u-model is used, if not – an e-model.*

In conclusion, it is important to mention that: *the ecek'veba type verbs mostly show the reciprocal relationship among verb arguments.*

*Presented by Prof. Rusudan Asatiani*

## სამთავრელის სარგოს ფიგირისა და საკანონის პალეოგრაფიული და ენობრივი თავისებულებანი

ზემო და შიდა ქართლის შესახებ რამდენიმე ღოკუმენტი პირველხარისხოვანია. ესენია წარწერები, ხელნაწერები, საისტორიო ღოკუმენტები, რომლებსაც დღეს და კვლავაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან ოკუპირებულ მხარეში შესვლა გამოიყენებულია კვლევების ჩასატარებლად.

ერთი მათგანია „სამთავრელის სარგოს წიგნი და საკანონის“ (სამთავრელის სარგოს წიგნი X საუკუნის და სამთავრელის საკანონის XIV-XV საუკუნის მიჯნის ახლოს), რომელიც ნუსხურით არის შესრულებული. ის ყოფილი საეკლესიო საბუთების კოლექციაში აღმოაჩინა ცნობილმა მეცნიერმა სარგის კაკაბაძემ და მანვე გამოაქვეყნა საისტორიო კრებულში (კაკაბაძე 1929).

როგორც ტექსტიდან ჩანს, სამთავრელის, ანუ სამთავისის, ეპარქიაში შედიოდა მდინარეების ლეხურის, მეჯუდისა და ქსნის ხეობების მთელი რიგი სოფლები, რომლებიც ვალდებული იყვნენ სამთავრელისათვის გარკვეული გადასახადები მიერთმიათ. ეს იყო საშემოსავლო სარგო აღნიშნული ეპარქიისათვის და არსებობდა ძველი ნუსხა, რომელიც მეათე საუკუნეში ყოფილა გადაწერილი. ეს საბუთი შემონახული ყოფილა მეფე ვახტანგ V-ის (შაპნავაზი) დროს 1673 წელს შედგენილი პირის მიხედვით და მას განუხლებდა. ე.ი. ქრონოლოგიურად პირველი წარმოადგენს ძველი დროის ნუსხას, მეორე კი XIV-XV საუკუნეებისა და შემდგომი დროის მიჯნისას. ძველ ნუსხას აქვს მინაწერი, რომელიც ეკუთვნის ვახტანგ V-ს „...მეფეთ-მეფემან ხელმწიფემან, პატრონმან შაპნავაზ და თანამეცხედრემან ჩვენმან ზღუათა მეფის ასულმან დედოფალთ-დედოფალმან პატრონმა მარიამ და ძეთა ჩვენთა ბატონის შვილმან ბატონმან გიორგი, ბატონმან ლევან, ლუარსაბ, სოლომონ. სამთავისის სამწყსოს დრამისა და შესავლის წიგნი და გუჯარი ჰქონდა, დიახ დამკელებული იყო და როგორც იმ ხატის სიგელში ეწერა იმავე წესით განვახლეთ და დაუმტკიცეთ სიგელი ესე“ (კაკაბაძე 1929).

ძეგლი, რომელიც სხვადასხვა ეპოქაშია შესრულებული და ორი ქრონოლოგიისაგან შედგება, ბუნებრივია, ენობრივადაც ნაირგვარი იქნება. განსხვავება ჩანს ორთოგრაფიაში, ლექსიკაში, გრამატიკულ წყობაში, ცვლილებებია ზმნასა და მის ფორმებშიც, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ტექსტის ენა არქაიზებულია, ბევრია ახალი ქართულისათვის დამახასიათებელი ფორმებიც.

სამთავრელის სარგოს წიგნის ტექსტში, როგორც ძეგლ წერილობით ძეგლებს ახასიათებს, გვხვდება შემოკლებული სიტყვების თავზე დასმული კლაკნილი ხაზი (—), რასაც ქარაგმა, ანუ პატივი ეწოდება. აქ გვხვდება: „წყალობითა ღათა – (ანუ ღმრთისათა), სახელითა ღთისათა, ხატისა ღთებისათა, ქსა – (ქრონიკონსა), გვხვდება დაუქარაგმებელი სიტყვებიც, მაგალითად, რმზ და სხვ.

ც (ეი), რადგან ანბანში მერვე ადგილზე იყო, ემერვესაც უწოდებენ. ც მიღებულია ე-სა და ე-ს შეერთებით ე+ე=ც და გადმოსცემს ემ დიფთონგს. ანტონ კათალიკოსის გრამატიკაში – ეს ნიშანი ასეა დახასიათებული: „ც ქმა კორპისა რაიმე ჭირსე ყოფითა ე-სთან შეერთებული უბრჯგუესი“... (ანტონ I 1885).

ტექსტში ძირითადად გვხვდება (უც) ბერათკომპლექსი: შევიყარენით ჩუშნ, ჩუშნ ცვა ფარგათა, ძუშლითგან დამტკიცებულ არს, განკუთოს, უკუეთუ შეაჩუშნოს.

ჟ (ვი) ბერა, რომელიც მიღებულია უ-სა ი-ს შეერთების შედეგად, ტექსტში ხშირად არის წარმოდგენილი, როგორც ვი სხვადასხვა პოზიციაში:

ბატონიშვილმან, მისთვის სააღაპოდ შე დის საპალნის ჩასავალი შემოვსწირეთ.

გვხვდება გეოგრაფიულ სახელებთან: სოსხვტო – დღევანდელი ნასოფლარი სოსხვიტო, კუცხოეთ – დღევანდელი კუცხოეთი, ხუთი – დღევანდელი ნასოფლარი ხვითი და სხვები.

ცნობილია რომ ჟ (ხარი) ბერა ძველ ქართულში გამოიყენებოდა გარკვეულ ძირებში, მაგრამ მის გამოყენებას გარკვეული წესი არა ჰქონია. ჟ-სა და ხ-ს გამოყენება-დაპირისპირება იმდენად გამოკვეთილი იყო, რომ სემანტიკურ სახესხვაობასაც კი ქმნიდა.

აღნიშნული ბერა ტექსტში გვხვდება როგორც სიტყვის თავში, ისე ბოლოში, მათ შორის გეოგრაფიულ სახელებთანაც. მაგალითები:

მერი, რომელიც იყო საგადასახადო ერთეული და ეს ტერმინი გვხვდება ორმოცდაოთხში სოფლიდან ოცდაათში. „მოვკენეთ, ქელითა კარის წინამძღვრითა აღაპი გარდიკდებოდეს“. ჟ (ხარი) გვხვდება ასევე გეოგრაფიულ სახელებთან: კარბელი, დღევანდელი ხარბალი, ქარჩუქი – დღევანდელი ქარჩოხის ხეობა.

ტექსტში ხშირია ხ-ს გამოყენების შემთხვევები, განსაკუთრებით გეოგრაფიულ სახელებში: ზოდეხი, ცხავატი, მახიურეთი, ჭორჭოხი, ახალდაბა, ჯავახთა და სხვები.

უმარცვლო უ ფართოდაა გავრცელებული ძველ და საშუალო ქართულში, რომლებიც გრაფიკულად არ არიან განსხვავებული. ანტონ კათალიკოსმა შემოიღო სპეციალური ნიშანი ^, რომელიც, მისი ახსნით, არის „მნიშვნელობისათვის“ (ანტონ I 1885).

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ უმარცვლო უ წარმოადგენს ვ ფონემის სახესხვაობას ანუ ალოფონს (ჩიქობავა 1923).

ჟ (უბრჯგუს) მაგალითები:

ღოთების საყდარი

ლარგუს ჟამის წირვისა.

ქუიტკირითა პური.

ტექსტში ვ (იოტა) ნახევარხმოვანი (სუსტი) ბერაა, რომელიც ძირითადად გამოყენებულია რა საკავშირებელ სიტყვასთან. ანტონ I-ს მიაჩნია, რომ ვ (იოტა) ნიშანი, რომელიც წარმოადგენს „კმოვანთა თანა შეერთებითა და ხმოვანთა მაკეთ მარცუალთ და მაულლებელ ზმნათა (ანტონ I 1885:117).

ტექსტში გვხვდება: დგიმს რად ხუცეს ტყავი.

სოსმალეს რად ხუცეს ტყავი.

ბეღლეთს რად ხუცეს ტყავი.

ყველდაბას რად ხუცეს ტყავი და სხვა.

საკუთარი სახელები ძირითადად გვჭვდება ფუძის სახით, სახელობითი და მოთხრობითი ბრუნვების ფუნქციით:

შემოვიდა ეპისკოპოზი გრიგოლ.

განვაახლეთ პატრონმან მარიამ, ბატონმან, პატრონმან შაპნავაზ, ძეთა ჩუენთა: ლევან, ლუარსაბ, სოლომონ...

ტექსტში ძირითადად დომინირებს ნარიანი და თანიანი მრავლობითი:

მოუგებნენ წინა ძმანი, კრებულნი, მონაზონნი, დედაბერნი.

სამსავე ხევის კრებულნი და მამასახლისნი.

სვინდიკინოზმანთა ანუ მეყვისთა.

მოთხრობითი ბრუნვა წარმოადგენილია თანხმოვანფუძიანებთან არქაული მან, ხოლო ხმოვანფუძიანებთან **მ** დაბოლოებით:

- ხელმწიფებან პატრონმან შაპნავაზ და თანამეცხდრებან ჩვენმან ზღუათა მეფის ასულმან პატრონმან მარიამ...
- ერუფაელმან და საქორელმან ნასოვს პური.
- რამანცა ხუცესმან...
- მღუდელმან ამგვარად მოქმედს...
- ჩუენ სამთავნელ ეპისკოპოზმან...

ტექსტში რამდენჯერმეა გამოყენებული ეს ნაცვალსახელი გავრცობილი ფორმით ესე: დაუმტკიცეთ სიგელი ესე.

ესე პირი მოვახსენეთ.

ესე წიგნი მოგეცით

ესე არ გაათაოს...

ეს-ესე აღნიშნავს პირველ პირთან ახლოს მყოფ საგანს. გვხვდება ზმისწინები არქაული ფორმით:

- იმავე წესით განვაახლეთ.
- განიკუთოს.
- წარდგომა გენებოს.
- აღარ გარდიხდებოდეს.

მეტი ოდენობით გვჭვდება ზმისწინები გამარტივებული სახით: დაძველებულიყო, დაუმტკიცეთ, მოვახსენეთ, დასწერნეს, დაურევბინოს, მიიცვალა, ჩავდგით, გაათაოს და სხვა.

სამთავნელის სარგოს წიგნში სულ შეტანილია 44 სოფელი ქსნის, ლეხურისა და მეჯუდის ხეობებიდან, ასევე თრუსოს ხეობიდან, რომლებიც სამთავისის ეპარქიაში შედიოდნენ. ისინი გვჭვდება მიცემით ბრუნვაში. საუკუნეების განმავ-

ლობაში ტოპონიმები თითქმის უცვლელად არის შემორჩენილი, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი მათგან უცხოტომელთა შემოსევებით, ასევე მიგრაციით ნასოფლარებად იქცა. უცვლელად არის შემორჩენილი: ქსნის ხეობაში: ცხავატი, დაბაკნეთი, ბელლეთი, ახალდაბა, ჭორჭოხი, უამური, გავაზი, ჭურთა, საღორეთი, საბარკლეთი. ფონეტიკურად სახეცვლილია: ლარგუ დღეს ლარგვისია, ლოგობეთი – ლოგოშეთია, დადანეთი – დადიანეთია, მთხოთა – თოხთაა, სოსმალე – სოსმალეთებია, ქარბელი – ხარბალია, ქარჩუხი – ქარჩხია, ძაღვეთი – ძაბოეთია;

მეჯუდის ხეობაში: წალდევი – წოლდია, შოტროვან – შატროვანია, ჩრდილათთა – ჩრდილეთია.

ლეხურის ხეობაში ძველიდან ახლაც ხმარებაშია შემდეგი ტოპონიმები: წინზახორი, უკანწირი, წირი, ქვემო წირი, ქარტისი, ტბეთი, ქოლოთი, ქვიტორი და სხვები.

სამთავრულის სარგოს წიგნი არის ძვირფასი ისტორიულ-ფილოლოგიური ძეგლი, რომელიც გვეხმარება, თვალი მივადეენოთ ზემო და შიდა ქართლის ძველი და ახალი ვითარების ენობრივ მონაცემებს, რომელთა გამოვლენა და სამეცნიერო სფეროში ჩართვა გააძლიდრებს ჩვენი ენის ისტორიას. ჩვენი მიზანიც ეს არის.

## ლიტერატურა

**კაკაბაძე 1929:** ს. კაკაბაძე, ორი საშემოსავლო ნუსხა, თბილისი.

**ანტონ I 1885:** ქართული ღრამმატიკა, შედგენილი ანტონ I-ის მიერ, ტფილისი.

**ჩიქობავა 1923:** არნ. ჩიქობავა, ვინის რეფლექსები ფერეიდნულში, ჩვენი მეცნიერება, №2-3.

**საღინაძე 2008:** რ. საღინაძე, ძველი ქართული ენა (V-XI საუკუნეებში), თბილისი.

**მაკალათია 1964:** ს. მაკალათია, ლეხურის ხეობა, თბილისი.

Nikoloz Otinashvili

## Paleographic and Linguistic Peculiarities of Samtavneli Sargo Book and Sakanono

### Summary

The document under consideration is one of the most important official papers which was first published by the historian S. Kakabadze. It was compiled in the tenth century. Then in 1673 was renewed by King Vakhtang V of Kartli. The altered list has a note belonging to the above mentioned king.

During the centuries the monument underwent some linguistic changes in orthography, lexis, grammar and verb forms, but the text itself is still archaic.

The text contains such old graphemes as – **vini**, **ubrjgu** as well as the old case ending **man**. Preverbs exist in both old and modern, simplified forms. Geographical names, which have partly undergone some phonetic changes, are presented in the Dative Case. Proper names are mainly represented by stems in the Common Case.

In the Samtavneli Sargo book are included 44 villages from Ksani, Lekhuri and Mejuda gorges and from Trusi Gorge as well which belonged to the Samtavisi Eparhy. Many of them disappeared but some still exist.

The research of the language data of this document is very important from the scientific point of view as it will enrich the history of the Georgian literary language.

გელეა საღლიანი

**სივრცული ლოკალიზაციისათვის სკანურში**

III. ცხოველთა, ვრიცელთა, მურათა და ქვეშარმავალთა  
მღვარობის აღმნიშვნელი ზრდის სივრცული ლოკალიზაცია  
და გათი ურთიერთიანობართული „გეოზოგის“ ზოგადობა<sup>1</sup>

**§1. ადამიანის სხეულის ნაწილთა აღმნიშვნელი სიტყვების  
სივრცული ლოკალიზაცია**

ადამიანის სხეულის ნაწილთა აღმნიშვნელი სიტყვები XX საუკუნის დასასრულსა და XXI საუკუნის დასაწყისში ლინგვისტთა ფურადღების ცენტრში მოექცა. სომატური ლექსიკისადმი ინტერესი შემთხვევითი ნამდვილად არ არის, რადგან სომატური ლექსიკა ყოველი ენის ლექსიკური სისტემის უძველეს ფენას მიეკუთვნება. მათ ბაზაზე კი ხშირია ფრაზელოლოგიური ერთეულების წარმოქმნის შემთხვევები. ცხადია, ამ მხრივ გამონაკლისს არც სვანური ენა წარმოადგენს, სადაც საკმაოდ საინტერესო და მრავალფეროვანია სომატური იდიომები, თუმცა ამჯერად საკითხის კვლევას სულ სხვა მიმართულებით წარვმართავთ, კერძოდ, ამ ლექსიკური ერთეულების ძიებარუბის (ანუ სივრცული ლოკალიზაციის) თვალსაზრისით.

როგორც ცნობილია, ადამიანის სხეულის ნაწილების აღმნიშვნელ სახელებს ყოფენ გარეგანი (თავი, ხელი, ფეხი, თითო, ყური და ა.შ.) და შინაგანი ორგანოების (გული, ღვიძლი, კლენთა, კუჭი, ნაწლავი და სხვ.) სახელწოდებებად, რომელთა სივრცული ლოკალიზაცია მეტად საინტერესო სურათს წარმოგვიდგენს სვანური ენის დიალექტ-კილოკავებში. ვინაიდან ქართველ მეცნიერთა ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ სომატიზმების შემადგენლობაში მართიბულია არა მარტო ადამიანის სხეულის ნაწილთა აღმნიშვნელი ლექსების შეყვანა, არამედ იმ სიტყვებისაც, რომლებიც უშეალოდ დაკავშირებული არიან ადამიანის ორგანიზმთან (ძვალი, კანი, სისხლი, ნერვი, კუზთი და ა.შ.) (რუსაძე, ყიფანი 2011:220), აქედან გამომდინარე, აუცილებლად ჩავთვალეთ აღნიშნული ლექსიკური ერთეულების სივრცული ლოკალიზაციის შესწავლა. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში მიუთითებენ, სწორედ ისინი აღნიშნავენ მატერიალური სუბსტანციის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ელემენტებს, რომელთა გარეშეც ვერ იარსებებს ცოცხალი ორგანიზმი.

საინტერესოა, როგორ ასახავს სვანური ენა სხეულის გარეგანი და შინაგანი ორგანოების სივრცულ ლოკალიზაციას?

<sup>1</sup> საშრომი შესრულებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამუნიცირო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის – „სივრცე და დრო ქართველურ წებრი“ (№13/20) – ფარგლებში.

ადამიანის სხეულის შინაგანი ორგანოების მდებარეობა სვანური ენის თითქმის ყველა დიალექტში ძირითადად ერთი საერთო, მქონებლობის აღმნიშვნელი, პრედიკატით ხარხარ „აქვს“ (მაგ., გური ხარ (ბზ., ჩოლ.), გური ხარ (ბქ., ლნტ.), გუ ხარ (ლშხ.) „გული აქვს“; კურიჭ ხარ (ბზ., ჩოლ.), კურიჭ ხარ (ბქ., ლნტ.), კუჭ ხარ (ლშხ.) „კუჭი აქვს“; ყუიჟუ ხარ (ბზ., ლშხ., ჩოლ.), ყუიჟუ ხარ (ბქ., ლნტ.) „ლვიძლი აქვს“; ჯიჯუ ხარ (ბზ., ლშხ., ჩოლ.), ჯიჯუ ხარ (ბქ., ლნტ.) „ძვალი აქვს“ და ა.შ.) გამოიხატება, თუმცა ზოგიერთი შინაგანი ორგანოს (გულის, ღვიძლის, ნაწლავების...) და, ასევე, მატერიალური სუბსტანციის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ელემენტების (ტვინისა და სისხლის...) მდებარეობის სივრცული ლოკალიზაცია დიალექტების მიხედვით მეტ-ნაკლებად განსხვავებულია:

თუელ ხოზ (ბზ., ჩოლ.), თუელ ხოზ (ბქ.) „ტვინი აქვს (ზედმიწ. – უ-ძ-ევ-ს)“, ჭინჭლბრ ხოზ (ბზ.), ჭინჭლბრ ხოზ (ბქ.) „ნაწლავები აქვს (ზედმიწ. – უ-ძ-ევ-ს)“, ბგრმანწლაუ ხოზ (ბქ.) „ბრმა ნაწლავი აქვს (ზედმიწ. – უ-ძ-ევ-ს)“, გურ ხოზ (ჩოლ.) „გული აქვს („უ-ძ-ევ-ს“)“, ზისხ ხოგ (ბზ., ლშხ., ჩოლ.), ზისხ ხოგ (ბქ., ლნტ.) „სისხლი აქვს (ზედმიწ. – უ-დგ-ა-ს)“ და მისთ.

ლაშხურში ტვინისა (თუელ) და გულის (გუ) სივრცული ლოკალიზაცია ხოზ „უძევს“ პრედიკატით არ გადოიცემა. იგი ამ შემთხვევაშიც ქონა-ყოლის აღმნიშვნელ ზმნებს მიმართავს: ტურ ხუტა (ლშხ.) „ტვინი აქვს“, გუ ხარ / ხუტა (ლშხ.) „გული აქვს“ და ა.შ.

მსგავსი ვითარებაა ლენტეხურშიც, სადაც ნებისმიერი შინაგანი ორგანოს სივრცული ლოკაცია მქონებლობის აღმნიშვნელი ხულტა „აქვს“ პრედიკატით გაღმოიცემა (მაგ., გური ხულტა „გული უდევს („აქვს“)“; წიკანტპრ ხულტა „ნაწლავები უდევს („აქვს“)“). იშვიათად მყოფობის აღმნიშვნელი ხორი „ჰყავს, აქვს“ ზმნური ფორმაც იხმარება (მაგ., წიკანტპრ ხორი „ნაწლავები აქვს („უ-ვ-ი-ს“)“ ...), რაც ლაშხურ-ჩოლურულისთვის მიუღებელია.

რაც შეეხება ადამიანის სხეულის გარეგანი ნაწილების სივრცულ ლოკალიზაციას, ამ მხრივ სვანური ენის დიალექტ-კილოკავები მეტად საინტერესო და განსხვავებულ სურათს წარმოგვიდგინენ.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ განსხვავებულია თვით სხეულის გარეგანი ნაწილების, მაგალითად, სახის ნაწილის შემადგენლი ელემენტების, ხელისა და ფეხის კიდურების და ა.შ. სივრცული ლოკალიზაცია.

სანამ მასალის ანალიზზე გადავიდოდეთ, მანამდე თვალსაჩინოებისათვის სრულად წარმოვადგენთ ერთ-ერთი ცნობილი სვანური უძველესი ხალხური ლექსის – თამარ დედფალ „თამარ დედოფალი“ ორ ვარიანტს, რომელთაგან პირველი, კერძოდ, ბალსზემოური ვარიანტი ჩაწერილია მ. ნიგურიანის მიერ სოფ. მულახში (მურშეელში) კასიანა გიგანისგან 1936 წელს, მეორე ვარიანტი, კერძოდ, ბალსქემოური კი ჩავიწერეთ 1992 წელს სოფელ ცხემარში 78 წლის აბაშა გოშუანი-საღლიანისგან. რაღა თქმა უნდა, აღნიშნული ლექსის ორივე ვარიანტი მეტად საინტერესო მასალას გვაწვდის განსახილველ საკითხთან დაკავშირებით:

## ბალსზემოური ვარიანტი (სვან. პოეზ., I, ობ., 1939)

ო, ხიადულ, თამარ დედფებლ,	ო, სიხარულო, თამარ დედოფალო,
ჩინ მაჩენე თამარ დედფებლ!	ყველაზე უკეთესო თამარ დედოფალო!
ფშთოშარ ჯაგანდა ყრტყრყრლაი,	თმები გქონდა („გედგა“) ხუჭუჭი,
თერტლ ჯისგურდა გიშრიშე,	თვალები გქონდა („გევდა“) გიშრისა,
შდგებრ ჯადდა მარგლიტიშე;	კბილები გქონდა მარგალიტისა;
სგაშხან ჯაქუდა ატლასე,	შიგნით გეცვა ატლასი,
ქაშხან ჯაქუდა აბჯარე,	გარეთ გეცვა აბჯარი,
ჰეშხას ჯასდანდა, ო, ჩექმარე,	ფეხზე გეცვა, ო, ო, ჩექმები,
თხუმს ჯაგანდა ზურჩია;	თავზე გეღგა ზუჩი;
ჩაუილდ ჯეყად ქუიშმიშ ფერიშ,	ცხენი გყავდა ქვიშისფერისა,
ჰენგრილ ჯიგანდა, ოდ, ლეშქებდი,	უნაგირი გეღგა, ოი, მოჭედილი,
ჰენგრილ ჯისდანდა ლუნცროუე,	აღვირი გეღგა („გედო“) მოვერცხლილი,
მადრაქ ჯულტებნდა ოქტრიში,	მათრახი გქონდა ოქროსი,
თამარ დედფებლ, თადამარპლისი,	თამარ დედოფალო, თამარს,
ჩიდ მაჩენე თადამარპლის!	ყველაზე უკეთეს თამარს!

## ბალსქემოური ვარიანტი

თამარ დედფებლ ანიტა <sup>2</sup> სგუეჯდა,	თამარ დედოფალი ბრძანდებოდა,
ჩიდუილდ ხორდა ქუიშმებ ფერიშ,	ცხენი ჰყავდა ქვიშისფერისა,
ჰინგრილ ხაგან ოქრეშ ლეშქებდ,	უნაგირი ედგა მოქროვილი („ოქრო-ს მოჭედილი“)
ჰენგრილ ხოსდა ტარჩხლიშ ლეშქებდ,	აღვირი ედგა („ედო“) მოვერცხლილი („გერცხლ-ის მოჭედილი“),
ფაფულდ ხაგან ზურჩია,	ქუდი ედგა ზუჩის,
ფათურარ ხაგან ყალყმიშ,	თმები გქონდა („ედგა“) ყალმუხის,
ნექჭარ ხაგან წაწიკუეტიშ,	წარბები ჰქონდა („ედგა“) წაწიკვეტის („გაწიკეპილი?“),
შდგებრ ხაგან მარგალიტიშ,	კბილები ჰქონდა („ედგა“) მარგალიტის,
სგაშხენ ხაქუდა ატილასი,	შიგნით ეცვა ატლასი,
ქაშხენ ხაქუდ ჰაბიჯარი,	გარედან ეცვა აბჯარი,
ჩაფლარ ხასდა პოლიასკები.	ფეხსაცმელი ეცვა პოლიასკები („პოლიაპოშკები“).

როგორც სვანურ ემპირიულ მასალაზე დაკვირვებამ აჩვენა, ადამიანის სხეულის (კერძოდ სახისა და თავის) ნაწილებს მიემართება ძირითადად ხაგ/ხაგ „ადგას“,

<sup>2</sup> სამწუხაროდ, ამ ფორმის სვანური მნიშვნელობა ვერ გავარკვიეთ, შესაბამისად კი ვერც ქართულად განვმარტეთ.

**ხოსგურ** „ჩასმული აქვს“, **ხალჯა** „აბია („არგია“)“, **ხაყა** „აქვს (აბიას მნიშვნელობით)“ და **ხაბ** „აბია“ პრედიკატები:<sup>3</sup>

### **ხაგ/ხაგ „ადვას“**

ადამიანის სხეულის (კერძოდ, სახისა და თავის) ნაწილების სივრცული ლოკალიზაციის გამოსახატავად **ხაგ „ადგას“** პრედიკატი სვანური ენის თითქმის ყველა დიალექტში დასტურდება, თუმცა აშკარაა, რომ მას თანდათან ენაცვლება „მქონებლიბის“ გამომხატველი **ხარ „აქვს“** პრედიკატი, რაც განსაკუთრებით იგრძნობა ქვე-მოსვანურ დიალექტებში:

#### **ბ ა ღ ს ზ ე მ ო უ რ ი**

... ჟიქნ ლელგუიდარ ჩე ხაგ (სვან. ქრესტ., 139:36) „ზედა მხარეს საძირე კბილები აქვს („ჟე ა-დგ-ა-ს“);

ეჩის **ხაგ ოქტრა ლუსდგუარ** (სვან. პროზ. ტექსტ., I, 229:25) „იმას აქვს („ა-დგ-ა-ს“) ოქროს ნაწინვები“;

ხელწიფი ხეხუს ჯრდი ლუსდგუარ **ხაგ** (სვან. პროზ. ტექსტ., I, 272:17-18) „ხელმწიფის ცოლს გრძელი ნაწინვები აქვს („ა-დგ-ა-ს“);

ალ ხელწიფი დინას ლერსგუან ბარჯუინ ფატუ ხაგ ლაპნშპნდ (სვან. პროზ. ტექსტ., I, 425:17) „ამ ხელმწიფის გოგოს მარჯვენა მხარზე თმა აქვს („ა-დგ-ა-ს“) სანიშნად“;

დინას ხოჩა ნექჭარ **ხაგ „გოგოს კარგი წარბები აქვს („ა-დგ-ა-ს“);**

დინას ყუტრყულაი ფატუ ხაგ „გოგოს ხვეული თმები აქვს („ა-დგ-ა-ს“)“ და ა.შ.

#### **ბ ა ღ ს ქ ვ ე მ ო უ რ ი**

... მიჩა ხახუ ეჯგუარ როქ გეზალ ოხთატ'ერე ეშხუ ესერ მგჭ ხაგ თხუმჟი, ეშხუ თე როქ **ხარ ნებგრადესგა** (სვან. პროზ. ტექსტ., II, 1957, 193:26-27) „შენმა ცოლმა იმისთანა შვილი გააჩინაო, რომ ერთი რქა თავზე ადგასო, ერთი თვალი აქვს შუბლზეო“;

ეჯარდ ოხუმბატებ: „მინ ესერ ლიხ დატუშ ანდატა, ეჯი დატუს ესერ ხორი ეშხუ ხოჩა დინაგეზალ, ოქრაშ ესერ ლუსდგუარ **ხაგ** ი პაგუთეჩუ ესერ ხეპოლიხ“ (სვან. პროზ. ტექსტ., II, 1957, 46:5-7) – ისინი მოუყვნენ: „ჩვენ ვართო დევის მწყემსები, იმ დევს ჰყავსო ერთი კარგი ქალიშვილი, ოქროს ნაწინვები აქვსო („ა-დგ-ა-ს“)“ და ქუსლებამდე წვდებათ“;

ალტე, დადაღლო, ეჯის ბიქტიშ რაშ ხაყა ი ისგუ რაშს ჩრაფალტე ი ჟი ჯაშრე. სი ნათხურაშ კეშ ოხოშხბ ისგრა რაშს, ეჯი მგშეიდთ ათხა ი ოშა ფატუ ხაგ, ამშელდ ჯინჯილ ახრეკინ (სვან. პროზ. ტექსტ., II, 170:25-27) „აბა, ბებია გენაცვალოს, იმას ქარის რაში ჰყავს და შენს რაშს დააშინებს და

<sup>3</sup> იშვიათად, მაგრამ მაინც **ხაბ „აბია“** პრედიკატიც ფიქსირდება, რაც შედარებით ახალი მოვლენა ჩანს.

მოგერევა. შენ ნანადირევის ქურქი შეუკერე შენს რაშს, ის მჭედელთან წაიღე და რამდენი თმაც აქვს („ა-დგ-ა-ს“), იმდენი ჯინჯილი ჩამოაკიდებინე“;

ჩარჩის ოგნე, ეჯ ამსტალდ ცდილობს, ერე ლგდგშრს ეჩერუ ოხტეხეს ეჯი ღერმათ სგბინჩუ, ერე მიჩემდა უი იტეშშნი ალ ამსტალდ, ფურინერუტემდ ლადელს ჩარჩ ხაგ, ამნოშ ჩუ იწუალუტი ი ალი ეჯის ეჩქა ქა ხეზზნი (ეპ-ლინგის მასალები) „წვერს რომ უშვებს („ი-დგ-ა-მ-ს“), ის ადამიანი ცდილობს, რომ მიცვალებულს იქ დახვდეს („მოუბრუნდეს“) ის ღვთის წინაშე, რომ მისთვის წუხდება ეს ადამიანი, ორმოც დღეს წვერი რომ აქვს მოშვებული („ა-დგ-ა-ს“), ამით წვალდება და ეს იმას მაშინ იქ დახვდება“;

სი ეჯგუპრ შდიქ ჯაგ, ეჯის ბაჩუ ხცკდე, ბაჩ გეზალს ჯითაუე (სვან. პროზ. ტექსტ., II, 169:125-13) „შენ იმისთანა კბილი გაქვს („გ-ა-დგ-ა-ს“), იმას რომ ქვას დაარტყამ, ქვა შვილს გაგიჩენს“;

ბეფშტუს ჯურდი თანაფვლაშრ ხაგ „ბავშვს გრძელი წამწამები აქვს („ა-დგ-ა-ს“);

ალ ღუაუმარეს ხოშა შხიული ნექჭაშრ ხაგ „ამ მამაკაცს უზარმაზარი, უშნო წარბები აქვს („ა-დგ-ა-ს“);

ბიძილს ტყეფრი შდიქილდაშრ ხაგ „ბიჭუნას ბრტყელი კბილები აქვს („ა-დგ-ა-ს“)“ და სხვ.

### ლ ა შ ხ უ რ ი

... ზურალს ... ხოჩა ოქრე ლგსდგუარალ ხაგ (ლშხ., სვან. პროზ. ტექსტ., IV, 123:29-30) „ქალს კარგი ოქროს ნაწნავები აქვს („ა-დგ-ა-ს“);

ჩაჩ ხაგ „სამგლოვიარო წვერი აქვს („ა-დგ-ა-ს“)“ ... ;

მაგრამ ლგსდგუარალ ხარ / ზუტა „ნაწნავები აქვს“ და ა.შ. გამოკითხულ ლა-შხელ რესპონდენტთა უმრავლესობა ადამიანის სხეულის (კერძოდ სახისა და თა-ვის) ნაწილების სივრცული ლოკალიზაციის გამოსახატავად მქონებლობის აღმნიშვ-ნელ ზმებს – ხარ „აქვს“, ხულტა „აქვს“ იყენებს. ხაგ „აქვს („ა-დგ-ა-ს“)“ პრედი-კატი მხოლოდ სამგლოვიარო წვერის მქონებლობას გამოხატავს, რაც საგმაოდ ბევრ კითხვას აჩენს.

### ლ ე ნ ტ ე ხ უ რ ი

მელოთერს ხოქტა, ერ „სემი ლეთ ი ლადელ ლოქუ არდა მინე მარშნისა ტინტრიკ ი ეჩქა ქა ლოქ ლახეისნბტი, მა ლოქ ხერა ბაც ი მიჩა დეხტს ნომა ლოქუ ლახოქტიშ, ედო ეჯის შტიქ ლოქ ხაგ ეჯპლი, ერ ეჯი ლოქ ხოშტრი“ (სვან. ქრესტ., 343:15-18) – მყითხავს უთქვამს, რომ „სამი დღე და ღამე იყოსო ჩვენს მარანში ტინტრიკა და მაშინ დაგესიზმრებაო, თუ რა მოგელი-სო და შენს მეუღლეს არ გაუმხილოო, თორემ იმას იმისთანა კბილი აქვსო („ა-დგ-ა-ს“), რომ ზიანს მოგაყენებსო“;

ხოჩა ფასტუ ხაგ „კარგი თმა აქვს („ა-დგ-ა-ს“);

ნიქეჭ ხაგ „წარბი აქვს („ა-დგ-ა-ს“)“ და ა.შ.

თუმცა, როგორც მასალაზე დაკვირვებამ აჩვენა, ნებისმიერი სახის ნაკვთის აღსანიშნავად ლენტებური მქონებლობის ზნებს – ხარ „აქვს“, ხულტა „აქვს“ მიმართავს. მაგ.: ნიქეჭ ხარ / ხულტა „წარბი აქვს“, თალაფა ხარ / ხულტა „წამ-წამი აქვს“, ხოჩა ფატურ ხარ / ხულტა „კარგი თმა აქვს“, მაკად წიგრი ძაგუარ ხარ „როგორი წითელი ბანჯგვლები აქვს“, ჯრდი ფატურ ხარ „გრძელი თმები აქვს“, ხოჩა ლესდი შდიქარ ხარ (ლაშხ.) „კარგი შესახედი კბილები აქვს“ და სხვ., რაც, ჩვენი აზრით, მეორეული მოვლენა უნდა იყოს.

### ჩ ო ლ უ რ უ ლ ი რ

ეჭებ ჯრდი ჩაჩ მადლენა ხაგ ალე მარას, ეჭებ ჯრდი, ერე ძირს ხამარი ი კუმაშ მაგ ხეზელნლ „იმისთანა გრძელი სამგლოვიარო წიგრი აქვს („ა-დგ-ა-ს“) ამ კაცს, იმისთანა გრძელი, რომ ძირს ღორები და საქონელი ზედ გადადიან“;

მექარი ნანგრი ლუსდგუარ ხაგ „მკლავის სიმსხო ნაწნავები აქვს („ა-დგ-ა-ს“)“;

მეშხე ნიქჭარ ხაგ „შავი წარბები აქვს („ა-დგ-ა-ს“)“ და მისთ.

ჩოლურული მეტყველება, რომელიც სვანური დიალექტებისაგან მრავალი თავი-სებურებით გამოიჩინება, აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში მეტწილად ლაშეურსა და ლენტეურს მიჰყება და მქინებლობის აღმნიშნელი ზმნების (მაგ.: ლენტეულ თალაფარ ხარ (ჩოლ.) „სანატრელი წამწამები აქვს“, მექარი ნანგრი ლუსდგუარ ხარ (ჩოლ.) „მკლავის სიმსხო ნაწნავი აქვს“, მეშხე ნიქჭარ ხარ „შავი წარბები აქვს“ ...) პარალელურად, როგორც ვნახეთ, ხაგ „აქვს („ა-დგ-ა-ს“)“ პრედიკატსაც იყენებს.

ხოსგურ „აქვს (ზედმიწ. უსკია, უზის)“

აღნიშნული პრედიკატის გამოყენება ადამიანის სხეულის (კერძოდ სახისა და თავის) ნაწილების სივრცული ლოკალიზაციისათვის ძირითადად დამახასიათებელია ზემოსვანური დიალექტებისათვის, ქვემოსვანურ დიალექტებში კი მისი გამოყენების შემთხვევები არც გამოქვეყნებულ ტექსტებში და არც თანამედროვე ცოცხალ მეტყველებაში არ დაგვიდასტურებია. შესაბამისად, საილუსტრაციო მასალა მხოლოდ ზემოსვანური დიალექტებისთვის იქნება წარმოდგენილი:

თერალ ჯისგურდა გიშრიშე (ბზ., სვან. პოეზ., I, თბ., 1939, 2:6) „თვალები გქონდა („გეჯდა“) გიშრისა“;

შმირმ ლაშჭედიუ მიჩა ლახტას: „მ'ესერ ლი, მინე მუს ეშხუ გარ თე იმდა ხოსგურ?“ (სვან. პროზ., ტექსტ., II, 257:38, 258:1) „მირანი შეეკითხა თავის მმებს: „რა არისო, მამაჩვენს მხოლოდ ერთი თვალი რატომ აქვსო („უზის“)?“;

ნეცინ თერალ ესტას ხოსგურ, ლაშგიდპრიეთ მუგურდა აშ ხოსიპ, ჩიგურაშუაშუ თეს ხაფხრე ი გუმი უჰტედად დემგუაშ ცტირე, ეკდა რაგდის: „ქაჯოშ ესერ თერალ ხოსგურ (ბქ.) „წვრილი თვალები გისაც აქვს, ხედვის დროს თითქოს უტრიალებს, ყველაფერს თვალს ავლებს და დაუკვირვებლად

არაფერს ტოვებს, იმაზე ამბობენ: ქაჯის თვალები აქვსო („წვრილი თვალ-ები ვისაც უყენია, ხედვისას თითქოს ა-ს-ე უტრიალებს, ყველაფერს თვალ-ს ახელს და გულ-ისა} მიუცემლად არა საქმეს ტოვებს, იმისთვის ლაპარაკობენ: „ქაჯ-ის-ო თვალ-ები უყენია“);

აღ დინას ობურიშ თერპრ ხოსგურ (ბქ.) „ამ გოგოს ეშმაკის თვალები აქვს („უზის“);

აღ მარეს ხორა შდიქპრ ხოსგურ<sup>4</sup> (ბქ.) „ამ კაცს კარგი კბილები აქვს ჩასმული („უზის“)“ და ა.შ.

### ზალჯა „აბია („არგია“)“

ზალჯა „აბია, არგია“ პრედიკატი ადამიანის სხეულის ნაწილების სივრცული ლოკალიზაციის აღსანიშნავად მხოლოდ ზემოსვანურ დიალექტებში დაფიქსირდა:

ბ ა ლ ს ზ ე მ ო უ რ ი

ქრისდე ღერბათ ხოქუა: „.... თხუიმ ესერ იმხსნ ხარ მარა, ამიშ ესერ მამგუეშ ხომქერა ი არ ლალთბრს ესერ ერუშა ქა ლახთუენი, ეჩი პრთგუილ ესერ ... ირა“. ეჩქას აღ მარემ ხაქუ ესნარ: „დალუ ესერ მიჩა თასდუებ ქაუ ლახუებ ი ეჩქას ესერ ჯა ქა ლახთუენი, ამსტალდს თხუიმ იმხსნ ზალჯა“ (ბზ., სვან. ქრესტ., 103:18-23) – ქრისტე ღმერთს უთქამს: „თავი რომელ მხარეს აქვს ადამიანს, ამისი არაფერი გამეებაო და ამას ვინც ამიხსნისო, იმისი ერთგული ვიქნებიო“. მაშინ ამ კაცმა უთხრა თურმე: „აბა, შემპირდიო (,მისი თავსდება მისცამცა“) და მაშინ მე გასწავლიო, ადამიანს თავი რომელ მხარეს აბია („არგია“)“;<sup>5</sup>

ეჩქას აღ მარ' ათხარა: „დალუესერ ლგდარუინ მამ ხოხალ მარა თხუიმ იმედო ზალჯა ი ლგდგარუნდუესერ იმ პნმქრი?“ (იქვე 103:25-26) – მაშინ ამ კაცს უთქამს: „აბა, სიცოცხლეში არ იცისო ადამიანმა, თავი სად აბია და გარდაცვალების მერე რას გაიგებსო?“;

ნებგუა, ჩუქერის, თემი გალუანპრ, შდგმრარე კურუშპრ, მუჭურუშპრ ი აღ თხუიმ სვა ზალჯა კანჩის (იქვე 139:37-38) „შუბლი, ცხვირ-პირი, თვალის გუ-გბი, ყურის ხვრელები, რქები და ეს თავი მიბული აქვს („არგია“) კისერს“ ...

ბ ა ლ ს ქ ვ ე მ ო უ რ ი

აღ მარა ხოშა ნეფხუნა ზალჯა (ბქ.) „ამ კაცს დიდი ცხვირი აქვს (ზედ-მიწ. – აბია, არგია);“

<sup>4</sup> შდრ. მანქანას ბარბლპრ ხოსგურ (ბქ.) „მანქანას ბორბლები აქვს ჩასმული“, მანქანას ნაწილპრ ხოსგურ (ბქ.) „მანქანას ნაწილები უკეთია („უსვია“)“.

<sup>5</sup> საინტერესოა, რომ ერთსა და იმავე ტექსტში ზალჯა „აბია“ პრედიკატის პარალელურად დადასტურდა მქონებლობის აღმნიშვნელი ხარ „აქვს“, რაც ამჟამად ბალსზემოურში უფრო გავრცელებულია. უფრო მეტიც, მან თითქმის მთლიანად გამოიღვნა ზალჯა „აბია“ პრედიკატი, რომელიც ადამიანის სხეულის ნაწილების სივრცულ ლოკალიზაციას გამოხატავდა სადღაც ნახევარი საუკუნის წინ.

დინას ხოჩა თუალბშ შდგმრაზ ხალჯა (ბქ.) „გოგოს ძალიან ლამაზი („კარგი თვალ-ის“) ყურები აქვს (ზედმიწ. – აბია, არგია“;

მაშრი ნებგურა ხალჯა (ბქ.) „ფართო შებლი აქვს (ზედმიწ. – აბია, არგია“

ამიცხლ თხურიმ მეტარ ხალჯადა?! (ბქ.) „ეს თავი ტყუილა აბია (ზედ-მიწ. – არგია)?!“, 6

ჯურდი ნინ ხალჯა (ბქ.) „გრძელი ენა აქვს (ზედმიწ. – აბია, არგია)“ ...

იმ შემთხვევაში, როცა ჭორიკანა ქალზეა საუბარი, მაშინ მეტაფორული გადა-აზრებით ბალსქემოურში ხოზ „უდევს („უ-ძ-ევ-ს“) პრედიკატი გამოიყენება. მაგ., ალ ზურალს ხოლა ნინ ხოზ „ამ ქალს ცუდი ენა აქვს (ზედმიწ. – უ-ძ-ევ-ს“).

შესაძლოა, ენის მდებარეობის აღსანიშნავად გამოყენებული იყოს ხაბ „აბია“ პრედიკატიც: მშესახტ ჯურდი ნინ ხაბ, პილშრისგა დეშ ხოსკდა (ბქ.) „რამხელა ენა აქვს, პირში ვერ იტევს“, მაგრამ მეტაფორიზაციით – ჯურდი ნინ ხაბ (ბქ.) „ენაგრძელია („გრძელი ენა ა-ბ-ი-ა“), ჯოდი ნინ ხაბ (ჩოლ.) „გრძელი ენა აქვს“, ლგხშმე ნინ ხაბ / ხარ (ჩოლ.) „ბინძური ენა აბია აქვს“, ლგწერ ნინ ხარ (ლშხ.) „აყროლებული ენა აქვს“ და ა.შ., თუმცა ბალსქემოურში ენის მდებარე-ობის გამოსახატავად უფრო გავრცელებულია ხალჯა „აბია, არგია“ პრედიკატი.

აღნიშნული პრედიკატის ნაცვლად დღეს სვანური ენის თითქმის ყველა დიალე-ქტში, და მათ შორის ბალსქემოურშიც, გამოყენებულია მქონებლობის გამოშატ-ველი ხარ „აქვს“ პრედიკატი, რაც, ჩვენი აზრით, ინოვაციის ელიტერს ატარებს.

**ხაყა „აქვს (ზედმიწ. – აბია)“**

რაც შეეხება ხაყა „აქვს („აბია)“ პრედიკატს, იგი ადამიანის სხეულის ნაწი-ლების სიგრცული ლოკალიზაციის გამოსახატავად მეტ-ნაკლებად სვანური ენის ყვე-ლა დაილექტში გამოიყენება, თუმცა გამოკითხულ რესპონდენტთა უმრავლესობა მა-ინც ხარ „აქვს“ პრედიკატს ანიჭებს უპირატესობას:

**ბ ა ღ ს ზ ე მ ო უ რ ი**

მიშგუ ღახტუბა, ალა მშვ ირა, გუიშგუედ ბაბას ეშხუ თე მამა ხაყა? (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., I, 93:4) „ჩემო მებო, ნეტა ეს რა არის („ეს რა იქნება, ა“), მამაჩვენს ერთი თვალი არა აქვს („აბია“)?;

ალას ეშდერუ თხურიმ ხაყა (იქვე 94:31) „ამას თორმეტი თავი აქვს („აბია“);

ღერქედა ხაყა თერაზლ, მარე მიზეზ ხულუე: მგრთენ თე მურსგუენხან ხოვ<sup>6</sup>, მურსგუენ თე მგრთენხან ხოვ (იქვე 122:27) „ორივე თვალი აქვს

<sup>6</sup> მაგრამ მეტაფორული გადააზრიანებით ასეთ კონტექსტშიც დასტურდება საანალიზო პრედიკატი, მაგ., ალ მარა ხოჩა თხურიმ ხალჯა (ბქ.) „ეს კაცი ჭკვიანია (ზედმიწ. – ამ კაცს კარგი თავი აბია, არგია)“.

<sup>7</sup> ადამიანის სახის ერთ-ერთი ნაწილის, კერძოდ თვალის მდებარეობას, როგორც აღნიშ-ნული ილუსტრაციიდან ჩანს, ლგგ „დგას“ ზმინს მაქცევრიანი (მარკირებული) ხოვ „უდგას (შდრ. ძვ. ქართ. უდგს)“ პრედიკატიც მიემართება, რაც აშკარად მქონებლობას გამოხატავს და უძველეს ვითარებას უნდა ასახავდეს.

(„აბია“), მაგრამ ერთი ნაკლი („მიზეზ-ი“) აქვს: მარცხენა თვალი მარჯვენა მხარეს აქვს („უ-დგ-ა-ს“), მარჯვენა თვალი კი მარცხენა მხარეს აქვს („უ-დგ-ა-ს“);<sup>8</sup>

ზურალს ნინ მაშ ზაფა (იქვე 430:25) „ქალს ენა არა აქვს („აბია“)“ ...

ბ ა ლ ს ქ ვ ე ძ ო უ რ ო

დინილს ხოხრა ნეფხუნა ზაფა (ბქ.) „გოგონას პატარა ცხვირი აქვს (ზედ-მიწ. – აბია)“;

ნაღუშურს ხოშა პილშრ ზაფა (ბქ.) „ბიჭს დიდი ტუჩები აქვს (ზედმიწ. – აბია)“;

ზურალს სკერტ კაპრა ზაფა (ბქ.) „ქალს წვეტიანი ნიკაპი აქვს (ზედმიწ. – აბია)“ და მისთ.

სვანურ მასალაზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ ზემოთ წარმოდგენილ სივრცული ლოკალიზაციისა და კუთვნილების გამომხატველ ზმნებს ძალზე ხშირად ენაცვლება „მქონებლობის“ აღმნიშვნელი ზარ „აქვს“ ზმნა (მაგ., ბქ. თხუმი ზარ „თავი აქვს“, ნებგუა ზარ „შუბლი აქვს“, ნეფხუნა ზარ „ცხვირი აქვს“, პაყუბპრ ზარ „ლოყები აქვს“ და სხვ.), თუმცა ქვემოსვანურ დიალექტებში ძირითადად სწორედ ზარ „აქვს“ ზმნა გამოხატავს ადამიანის სხეულის (კერძოდ სახისა და თვალის) ნაწილების სივრცულ ლოკალიზაციის (მაგ.: ლშხ. ჯოდი შტიმრალ ზარ<sup>8</sup> „გრძელი ყურები აქვს“, სკერი კაპრად ზარ „წვეტიანი ნიკაპი აქვს“; ლნტ. თერალ ზარ „თვალები აქვს“, ნეფხუნა ზარ „ცხვირი აქვს“; ეშხუ თე გარ ზულუა „მხოლოდ ერთი თვალი აქვს“; ჩოლ. ლეგ ლეგჩოპე გაგდად ზარ „ნამეტანი მოღრეცილი ნიკაპი აქვს“, მიჩა მუეშშალ მასგუენ ლეგხუნა ზარ (ჩოლ.) „მამამისივით ლამაზი ცხვირი აქვს“...), რაც, როგორც უკვე ითქვა, შედარებით ახალ მოვლენად მიგვჩნდა. საინტერესოა, რომ ლენტეხურში აღნიშნულ შემთხვევაში ზარ „აქვს“ პრედიკატის პარალელურად ზუღუა „აქვს“ ფორმაც გამოიყენება (მაგ., ეშხუ თე გარ ზუღუა „მხოლოდ ერთი თვალი აქვს“ ...).

არანაკლებ საინტერესოდ გვესახება ადამიანის სხეულის დანარჩენი ნაწილების სივრცული მიმართებების შესწავლა სვანურში. როგორც დიალექტოლოგიურ მასალაზე დაკვირვებამ აჩვენა, სვანური ენის თითქმის ყველა დიალექტში ადამიანის სხეულის სხვადასხვა ნაწილის მქონებლობა ზარ „აქვს“ (ლშხ.: ძღვდ მუჭოდ ზარ „დიდი მკერდი აქვს“, მაღზუმ განთხარ ზარ „რამზელა ფეხები აქვს“...; ჩოლ.: მაშრი ჯაჭარ ზარ (ჩოლ.) „ფართო ზურგი აქვს“, მაშრი ბარჯალ ზარ (ჩოლ.) „ფართო ბეჭები აქვს“, ნეცინ ფხულოლარ ზარ (ჩოლ.) „წვრილი თითები აქვს“, ლუგუარ მაყუშდაგარ ზარ (ჩოლ.) „მსუქანი ბარმაყები აქვს“...) პრედიკატით გადმოიცემა, თუმცა გამონაკლისები აქაც იჩენს თავს, რაც განსაკუთრებით ხელშესახებია ბალსქვემოურ დიალექტში, სადაც სხეულის ამა თუ იმ ნაწილებს მიემართება – ზალვა „აბია („არგია“)“, ზაფა „აქვს (აბიას მნიშვნელო-

<sup>8</sup> იშვიათად ზაბ „აბია“ ფორმაც გამოიყენება.

ბით)“ და ზაბ „აბია“ პრედიკატები: კინჩხ სალჯა „კისერი აქვს (ზედმიწ. – კინჩხი არგია)“, მეცრარ სალჯა „მკლავები აქვს (ზედმიწ. – არგია)“, ჟგშხარ სალჯა „ფეხები აქვს (ზედმიწ. – არგია)“, ფხულარ სალჯა „თითები აქვს (ზედმიწ. – არგია)“; მუჭულე საყა „მკერდი აქვს (ზედმიწ. – აბია)“, კად საყა „მუცელი აქვს (ზედმიწ. – აბია)“, ფოტრ საყა „თემოები აქვს (ზედმიწ. – აბია)“ და ა.შ.

ბალსზემოური დიალექტი, რომელიც სივრცული მიმართებების აღნიშნისას ძირითადად მქონებლობის ზმნებს ანიჭებს უპირატესობას, იშვიათად, მაგრამ მაინც ზაბ „აბია“ პრედიკატსაც იყენებს (მაგ.: ჭიშხ ზაბ „ფეხი აქვს („აბია“)“, მეცრარ ზაბ მკლავი აქვს („აბია“), ფხულე ზაბ „მკლავი აქვს („აბია“)“ და მისთ.).

რაც შეეხება ჩოლურულ მეტყველებას, იგი მქონებლობის აღმნიშვნელი ზარ „აქვს“ ზმნის პარალელურად სალჯა „აბია („არგია)“ და სასგურ „აქვს („აზის)“ პრედიკატებსაც მიმართავს (მაგ.: მეგრე კინჩხ სალჯაზასგურ (ჩოლ.) „მსხვილი კისერი აბია („არგია/აზის)“, ჩიგარ ნათუნ მაღზუმ ფაშ სასგურ (ჩოლ.) „მუდ-მივი სმისგან რამხელა მუცელი აქვს („აზის)“...).

მასალაზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ ზემოსვანურ დიალექტებში ადამიანის სხეულის ნაწილების სივრცული მიმართებების გამოსახატავად გამოყენებულია რამდენიმე პრედიკატი. შეიძლება დაისვას კითხვა იმის შესახებ, თუ რა პრინციპით არის შერჩეული ესა თუ ის პრედიკატი და არის თუ არა სავსებით ნათელი პრედიკატის შერჩევის პრინციპი? ვფიქრობთ, ჩვენ მიერ ადამიანის სხეულის (შინაგანი და გარევანი) ნაწილების სივრცული მიმართებების აღსანიშნავად გამოყენებული პრედიკატის შერჩევის პრინციპი ნათელია: აქ, ჩვენი აზრით, არ არის დაჩრდილული ტოპოლოგიური კომპონენტი, ვინაიდან ეს პრედიკატები ზედმიწევნით ასახავენ ადამიანის სხეულის ნაწილების სივრცულ ლოკალიზაციას მათი ფორმიდან, აღნაგობიდან გამომდინარე. მაგ., თვალსა და კბილს მიემართება ხოს-გურ „უზის (ანუ ჩასმული აქვს)“ პრედიკატი, რაც სავსებით მიესადაგება მათ სივრცულ ლოკაციას, ვინაიდან თვალიც და კბილიც შესაძლოა ამოვარდეს თავისი ბუდიდან და კვლავ მოხდეს მათი ჩასმა სათანადო ადგილას. ასევე, ტოპოლოგიურად სწორად არის შერჩეული ხელის, ფეხის, თითის, ყელის... მდებარეობის გამომხატველი სალჯა „აბია (ანუ ჩარგული აქვს)“ პრედიკატი. ე.ი. რისი გადახსნაც სახსარში შეიძლება, მას ზედმიწევნით შეესაბამება აღნიშნული პრედიკატი და ა.შ. რაც შეეხება ქვემოსვანურ დიალექტებს, იქ პრედიკატთა ასეთი მრავალფეროვნება არ შეინიშნება და სხეულის თითქმის ყველა ნაწილის სივრცულ ლოკალიზაციას სალჯა „აქვს“ პრედიკატი მიემართება, თუმცა არც საყა „აბია“ პრედიკატს გამორიცხავენ. ქვემოსვანურისებური ტენდენცია ვლინდება თანამდროვე ბალსზემოურ დიალექტშიც, რაც, ვფიქრობთ, ინოვაციის იერს ატარებს, რასაც სწორედ ჩვენ მიერ ზემოთ წარმოდგენილ ლექსში – თამარ დედფალ „თამარ დედოფალ“ დაფიქსირებული არქაული ფორმების არსებობა გვავარაუდებინებს.

## §2. ცხოველებისა და ფრინველების სხეულის ნაწილების სივრცული მიმართებები

ცხოველებისა და ფრინველების სხეულის ნაწილებს თითქმის იგივე პრედიკატები მიემართება, რაც ადამიანის სხეულის ნაწილებს. ეს პრედიკატებია: **ზაგ „ადგას“, ხოსტურ „ჩასმული აქვს“, ხალჯა „აბია“ („არგა“), ხაყა „აქვს (აბიას მნიშვნელობით)“, ხაბ „აბია“, ხოზ „უდევს („უძევ-ს“)“:**

**ზაგ „ადგას“**

**ბ ა ლ ს ზ ე მ ო უ რ ი**

ტულუაისგა თუეთნე ჭან პრი, ოქტომ მუჭუშრ ჟი ხაგ (სვან. პროჩ. ტექსტ., I, 129:4-5) „ზღვაში თეთრი ხარი არის, ოქროს რქები აქვს („ა-დგ-ა-ს“);

ალ ჯუეგს ესერ ეშხუ ბოტა ხონქრი, ეჩზუმ უერ-ესერ ხაგ, ერე ალამბგ ჯუეგს ი მეჯუეგს ჰატდარენ ... სგა ისტმე (სვან. პროჩ. ტექსტ., I, 415:15-17) „ამ ჯოგს ერთი ვაცი ახლავსო, იმხელა წვერი აქვსო („ა-დგ-ა-ს“), რომ ამდენ მეჯოგეს და ჯოგს ცუდი ამინდისას ქვეშ იფარებსო“;

ჩაჩ ხაგ მიშგუ ბაბას „სამგლოვიარო წვერი აქვს („ა-დგ-ა-ს“) ბაბუაჩემს“...

**ბ ა ლ ს ქ ვ ე მ ო უ რ ი**

გიცარს ხოშა კირკოზ მუჭუშრ ზაგ „ვერმს დიდი ხვეული რქები აქვს („ა-დგ-ა-ს“);

განს ეშხუ მიჭ გარ ზაგ „ხარს მხოლოდ ერთი რქა აქვს („ა-დგ-ა-ს“);

ჩაქს ტყეფრი შეღებრ ზაგ „ცხენს ბრტყელი კბილები აქვს („ა-დგ-ა-ს“)“ ...

**ლ ა შ ხ უ რ ი**

ფურს თხუმეი მიჭ ზაგ „ძროხას თავზე რქა აქვს („ა-დგ-ა-ს“)“

კანს მიჭუ დესა ზაგ „ხარს რქა არა აქვს („ა-დგ-ა-ს“)“ ...

**ლ ე ნ ტ ე ხ უ რ ი**

დატუ ლოქ ლი ძღუდ ლეფტოტუ, ... თხუმეი ძღუდ მუჭუშრ ლოქ ზაგ, ხულუა ლოქ ძღუდ ქილალ (ლნტ., სვან. პროჩ. ტექსტ., III, 70:5-8) „დევი არისო ძალიან თმიანი, თავზე დიდი რქა ადგასო, აქვსო დიდი ეშვები“;<sup>9</sup>

განს მუჭუშრ ზაგ „ხარს რქები აქვს („ა-დგ-ა-ს“)“ ...

**ჩ ო ლ უ რ უ ლ ი**

კანს ძღდდ მუჭუარ ზაგ „ხარს დიდი რქები აქვს („ა-დგ-ა-ს“);

დინას ხოჩა ლუსლეუტანალ ზაგ „გოგოს კარგი ნაწნავები აქვს („ა-დგ-ა-ს“);

მგნგლოტს ჯრდი ჩაჩ ზაგ „მგლოვიარეს გრძელი სამგლოვიარო წვერი აქვს („ა-დგ-ა-ს“)“ ...

<sup>9</sup> ზაგ „აქვს“ პრედიკატის გამოყენების არე რომ შეზღუდულია, ამ ილუსტრაციიდანაც კარგად ჩანს. მთქმელი ერთსა და იმავე წინადაღებაში ზაგ „აქვს“ ზმნის პარალელურად მქონებლობის გამომხატველ ხულუა „აქვს“ ფორმასაც ხმარობს.

## ხალჯა „აბია („არგია“)“

ცხოველის სხეულის ნაწილების სივრცული ლოკალზაციის გამოსახატავად ბალსზემოური დიალექტი მქონებლობის აღმნიშვნელი ხარ „აქვს“ პრედიკატის გარდა ხალჯა „აბია („არგია“)“ პრედიკატსაც იყენებს, რაზეც მეტყველებს „სვა-ნური ენის ქრესტომათიაში“ ერთ-ერთ ტექსტში – მანგრი ლიდსენი, ლიტფური ი ლიდსურე „საქონლის დაკვლა, გატყავება და ასოებად აქნა“ წარმოდგენილი მასალა:

### ბ ა ღ ს ზ ე მ ო უ რ ი

თხურის ხარ: ჩარბარ, კაპრაშ, კაკაფ, ჩუბე შდგებრ, უიბე შდგებრ. მანგბრს იმპნცინს მამა ხარს, მარე უიქნ ლელგურიდბრ ჩუ ხაგხ. კაპრაშ ი თხურიმ უშხტარ ხელჯიხ, ეჯას ლაღარჭა ხაუხა. ნებგუა, ჩუენჩხ, თემი გალურანბრ, შდგმრარე წურუტბრ, მუჭურაშ ი აღ თხურიმ სგა ხალჯა კინჩხს. კინჩხს ცხაპ ხალჯა ი ცხაპს – ჰაკურად. სგანჩხუნ ლახსას ხოზ: ყუიუე ი პერშუდა. ალდარს ხალჯა ყაყრინჯ. ფაშს ხალჯა გური, ყუან, მევრე ჭინჭ-ლაშ ი ნეცინ ჭინჭლარ, ლავარ... ალა ჰოკერ ხარს (ბზ., სვან. ქრესტ., 139:37-38) „თავს აქვს: დრუნჩხები, ნიკაპი, თავის ქალა, ქვედა კბილები, ზედა კბილები. მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელს არა აქვს, მაგრამ ზემოდან საძირე კბილები აქვთ („ა-ღ-ა-თ“). ნიკაპი და თავი ერთმანეთს რომ უერთ-დება, იმას ყბა ჰევია. შუბლი, ცხვირ-პირი, თვალის გუგები, ყურის ხველები, რქები და ეს თავი მიბმული აქვს („არგია“) კისერს. კისერზე ხერხემალი არის მიბმული („კისერს ხერხემალი არგია“) და ხერხემალს – კუდი. შიგნით საკლავს აქვს („უ-ღ-ევ-ს“): ღვიძლი და ფილტვი. ამათ აქვს მიმაგრებული („არგია“) ყანყრატო. ფაშვს აქვს მიმაგრებული („არგია“) გული, მსხვილი ნაწლავი, წიგნარა. ესენი ბოლოში („ფსკერზე“) აქვთ“;

ტოტებრ იმნარ ჯალჯა? „ხელები რისთვის გაბია?“...

თითქმის მსგავსი ვითარებაა ბალსქვემოურშიც, სადაც ერთმანეთს ენაცვ-ლება ხარ „აქვს“ და ხალჯა „აბია („არგია“)“ პრედიკატები ცხოველთა და ფრინველთა სხეულის ნაწილების მქონებლობის გამოსახატავად.

### ბ ა ღ ს ჯ ვ ე მ ო უ რ ი

მამურილს ... ხოშა ჰაკედ ხაყა (ხარ) (ლხმ., სვან. ქრესტ., თბ., 1978, 206:38) „მამალს დიდი კუდი აქვს (ზედმიწ. – აბია)“;

მუჭდურას ხოკედს გუჭეს, კაპრა სგა ხაყა, ეჯუ (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ., II, თბ., 1957, 71:10-11) „მკერდის წინა ნაწილს უღებენ გოჭს, ნიკაპი აქვს (მიბმული აქვს“), ისე“;

ძიკუს (თხუმ) ნაცხტუნბრ (მგჭებრ) ისგა ხაყა, ეჯუ შესგხ ქორთე (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ., II, თბ., 1957, 235:23-24) „ნანადირევის თავს რქები ისევ აქვს (მიბმული აქვს“), ისე მიაქვთ სახლში“, თუმცა ხაყა „აბია“ პრედიკატს ხშირად ბალსქვემოურ დიალექტში ხალჯა „აბია, არგია“ პრედიკატი ენაცვლება.

ქვემოსვანურ დიალექტებში ამ შემთხვევაშიც მქონებლობის აღმნიშვნელი ხარ „აქვს“ პრედიკატი დომინირებს (მაგ.: ყუიჩის ხენსგა ჭინჭორ გარ ხარ (ლშხ.), „მამალს მხოლოდ ნახევარი ბიბილო აქვს“, ფურს აკუედ ხარ (ლშხ.) „ძროხას კუდი აქვს“, ფერუნოლს ხოხრა ჭიშხ ხარ (ლშხ.) „ლეგვს პატარა ფეხი აქვს“, ღოღლიაქს ძღვდ ღუმად ხარ (ლშხ.) „ცხვარს დიდი ღუმა აქვს“, ღუნ ქათლარს ჩის მეშენ ბუნტფულ ხარს (ლშხ.) „ღუნას ქათმებს ყველას შავი ბუნტფლი აქვთ“; მგშად კანს მეგრე მუჭუარ ხარ (ჩოლ.) „მუშა ხარს მსხვილი რქები აქვს“, თხერას სგობნე ქილარ სკრი ხარ (ჩოლ.) „მგელს წინა ეშვები წაწვეტებული აქვს“; კანს ეშხუ მუჭ გარ ხარზულუა (ლნტ.) „ხარს მხოლოდ ერთი რქა აქვს“ ...), თუმცა იშვიათად ხაბხშბ „აბია“ პრედიკატიც გამოიყენება (მაგ.: ხოხრა ნეპოლარს მეკუშტე აკუდარ ხაბხ (ჩოლ.) „პატარა ჩიტებს მოკლე კუდები აქვთ („ა-ბ-ი-ა-თ“)“, მალზუმ აკუად ღესიამ ხაბ (ჩოლ.) „მელიისხელა კუდი არაფერს აქვს („ა-ბ-ი-ა“)“...). რაც შეეხება ხაყა „აქვს (აბიას მნიშვნელობით)“ პრედიკატს, იგი მოცემულ კონტექსტში არ დასტურდება.

ცხოველთა და ფრინველთა სხეულის შინაგანი ორგანოების სივრცული ლოკალიზაცია სვანურში დიდად არ განსხვავდება ადამიანის სხეულის შინაგანი ორგანოების სივრცული ლოკალიზაციისაგან. სვანური ენის თითქმის ყველა დიალექტში ერთი საერთო, მქონებლობის აღმნიშვნელი პრედიკატი ხარ/ხარ „აქვს“ მიემართება ცხოველთა და ფრინველთა სხეულის შინაგან ორგანოებს (მაგ., გუი ხარ (ბზ., ლშხ., ჩოლ.), გუი ხარ (ბქ.) „გული აქვს“, კუიჭ ხარ (ბზ., ლშხ., ჩოლ.), კუიჭ ხარ (ბქ.) „კუჭი აქვს“, ყუიუ ხარ (ბზ., ლშხ., ჩოლ.), ყუიუ ხარ (ბქ.) „ღვიძლი აქვს“ და სხვ., თუმცა ხარ/ხარ პრედიკატის ადგილს ღუნტეხურ დიალექტში უმეტესად ზულუა „აქვს“ იკავებს (მაგ.: გუი ზულუა „გული აქვს“, კუიჭ ზულუა „კუჭი აქვს“ და ა.შ.) და ის არც ბალსხემოური დიალექტისათვის არის უცხო. რაც შეეხება ხოზ/ხოზ „აქვს („უ-ბ-ევ-ს“) პრედიკატს, იგი ზოგიერთი შინაგანი ორგანოს (გულის, ნაწლავების) და, ასევე, ტვინისა და სისხლის, მდებარეობის სივრცულ ლოკალიზაციას სვანური ენის ყველა დიალექტში გამოხატავს (მაგ.: გუი ხოზ (ბზ., ლშხ., ჩოლ.), გუი ხოზ (ბქ., ლნტ.) „გული აქვს („უ-ბ-ევ-ს“)“, ჭინჭლარ ხოზ (ბქ.) „ნაწლავები აქვს („უ-ბ-ევ-ს“)“, თუელ ხოზ (ბზ., ლშხ., ჩოლ.), თუელ ხოზ (ბქ.) „ტვინი აქვს („უ-ბ-ევ-ს“)“, ლგგრე ხოზ (ბზ., ლშხ., ჩოლ.) „პვერცხი უდევს („უ-ბ-ევ-ს“)“, ლგგრე ხოზ (ბქ., ლნტ.) „კვერცხი უდევს („უ-ბ-ევ-ს“)“; ზისხ ხოგ (ბზ., ლშხ., ჩოლ.), ზისხ ხოგ (ბქ., ლნტ.) „სისხლი აქვს („უ-ღვ-ა-ს“)“ და ა.შ.

მაშასადამე, როგორც მრავალფეროვან სვანურ მასალაზე დაკვირვებამ აჩვენა, ადამიანის, ცხოველისა და ფრინველის სხეულის როგორც გარეგანი (თავი, ხელი, ფეხი, თითი, ყური და ა.შ.) ნაწილების, ისე შინაგანი ორგანოების (გული, ღვიძლი, ელუნთა, კუჭი, ნაწლავი და სხვ.) სივრცული მიმართებების გამოსახატავად გამოყენებულია რამდენიმე პრედიკატი: ხაგ/ხაგ „ადგას“, ხოსგურ „ჩას-

მული აქვს“, ხალჯა „აბია („არგია“)“, ხაყა „აქვს (აბიას მნიშვნელობით)“, ხაბ „აბია“, ხოზ/ხოზ „აქვს (ზედმიწ. – უ-ძ-ევ-ს)“, ხოგ/ხოგ „აქვს (ზედმიწ. – უ-ლგ-ა-ს)“, რომელთაც ხშირად ენაცვლება მქონებლობის აღმნიშვნელი პრედიკატი – ხარ/ხარ „აქვს“.

ადამიანის, ცხოველებისა და ფრინველების სხეულის ნაწილების  
აღმნიშვნელ ზმათა სივრცული განაწილება სვანური ენის  
დიალექტ-კილოკავების მიხდვით



## **ლიტერატურა**

**რუსაძე, ყოფიანი 2011:** ი. რუსაძე, ს. ყიფიანი, სომატური ლექსიკა, საენათმეცნიერო ძიებანი, XXXII, თბილისი, 2011

### **ლექსიკონები**

**თოფურია, ქალდანი 2000:** ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური ლექსიკონი, თბილისი.

**ლიპარტელიანი 1994:** ა. ლიპარტელიანი, სვანურ-ქართული ლექსიკონი (ჩოლორული კილო), თბილისი.

**ნიუარაძე 2007:** ბ. ნიუარაძე, ქართულ-სვანურ-რუსული ლექსიკონი.

### **წყაროები**

**სვან. ენის ქრესტ. 1978:** სვანური ენის ქრესტომათია, ტექსტები შეკრიბეს ა. შანიძემ, მ. ქალდანმა და ზ. ჭუმბურიძემ, თბილისი.

**სვან. პოეზ. 1939:** სვანური პოეზია, I, სიმღერები შეკრიბეს და ქართულად თარგმნებს ა. შანიძემ, ვ. თოფურიამ, მ. გუჯეჯიანმა, თბილისი.

**სვან. პროზ. ტექსტ. 1939:** სვანური პროზაული ტექსტები, I, ბალსტემოური კილო, ტექსტები შეკრიბეს ა. შანიძემ და ვ. თოფურიამ, თბილისი.

**სვან. პროზ. ტექსტ. 1957:** სვანური პროზაული ტექსტები, II, ბალსტემოური კილო, ტექსტები შეკრიბეს ა. დავითიანმა, ვ. თოფურიამ და მ. ქალდანმა, თბილისი.

**სვან. პროზ. ტექსტ. 1967:** სვანური პროზაული ტექსტები, III, ლენტეხური კილო, ტექსტები შეკრიბეს და რედაქცია გაუკეთეს ვ. თოფურიამ და მ. ქალდანმა, თბილისი.

**სვან. პროზ. ტექსტ. 1979:** სვანური პროზაული ტექსტები, IV, ლაშხური კილო, ტექსტები შეკრიბეს არს. ონიანმა, მ. ქალდანმა და ალ. ონიანმა, რედაქცია გაუკეთეს მ. ქალდანმა და ალ. ონიანმა, თბილისი.

*Medea Saghliani*

### **On Spatial Localization in Svan**

### **III. Spatial Localization of the Verbs Denoting Location of Animals, Birds, Insects and Reptiles and their Interaction with Verbs of “being”**

sammury

The basic verbs denoting location, which express three different locations of a human in space, are used to express the location and pose of animals too. Their condition from the viewpoint of changes of spatial interactions in comparison with a human in Svan dialects and sub-dialects is even more different, and it may be noted that in most cases rather limited, though, as observation on the materials shows, verbs denoting location of animals are often used interchangeably with verbs of “*being*”.

As for birds, insects and some reptiles, mainly the locative predicate **xag** “adgas” is used with them. However, the spatial interaction of lexis denoting birds, as well as some

insects and reptiles, in Svan differs according to dialects, to which indicate different predicates and the verb **äri** (“it is”) denoting “being” used in some dialects for expressing spatial localization of birds towards the location of one and the same object.

According to our observation, in all the dialects of Svan the locative predicate **xag** (“adgas”) is used with insects which can fly (e. g.: butterfly, fly, gnat, locust and so on), while the spatial localization of crawling insects is expressed by the predicate **xabola** (“it crawls on it”); though in the Upper Bal and partially in Lower Svan dialects the afore mentioned predicates are in most cases substituted by the verb **äri** denoting “being”.

Spatial localization of reptiles is expressed by several predicates: **xabola** “it crawls on it”, **xaporexa** “it crawl on it”..., though in the dialects of Upper Bal and Lower Svan (rarely Lower Bal) the location if reptiles is mainly denoted by the verb **äri** expressing “being”.

It is noteworthy that the mentioned verbs somehow realize the classification of the world (in its broadest sense) of animals, birds, insects and reptiles according to their forms and spatial condition, the location characteristic of them – their topology, but the principle of choosing this or that predicate is not always clear.

## იზაპელა ქობალავა

### ღრმის სემანტიკა მემკულებელი<sup>1</sup>

#### 1. ლექსიკურ-სემანტიკური ანალიზი

1.1. რა არის დრო? „თუ ვინმე მკითხავს, რა არის დრო, მე შემიძლია ვილაპარაკო მასზე, მაგრამ თუ მომთხოვენ მის განსაზღვრას, პასუხს ვერ გავცემ“ – წმინდა ავგუსტინეს (354-430) ამ სიტყვებს დღეისთვისაც არ დაუკარგავთ აქტუალურობა. თანამედროვე მეცნიერებაში ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული განმარტება, რომლის თანახმად დრო სივრცესთან ერთად არის „მატერიის არსებობის ფორმა“, მხოლოდ ზოგადად მიანიშნებს სივრცისა და დროის კავშირზე, მაგრამ ამავე დროს ავლენს საკითხებს სივრცისა და დროის შესახებ, რომელთა გარშემო კამათი არისტოტელების დაწყებული თანამედროვეობის ჩათვლით არ შენელებულა. უფრო მეტიც, არსებობს დროის მიმართ საუკუნეთა განმავლობაში შეუწელებელი ინტერესი მეცნიერების განსხვავებული დარგების, მითოლოგიის, ხელოვნების და ა.შ. მხრიდან. შესაბამისად არსებობს კვლევის განსხვავებული მიზნები და მიდგომები, რის შედეგადაც შესაძლებელი ხდება ლაპარაკი მითოლოგიურ, ფილოსოფიურ, მათემატიკურ, ფიზიკურ, კოსმოლოგიურ, ანთროპოლოგიურ, ბიოლოგიურ, ფინანსობრივ და სხვ. დროებზე, მათ შორის ღინგვის სტურ დრო ზეც. ეს დროები ხასიათდებან როგორც საერთო, ისე სპეციფიკური ნიშნებით. ლინგვისტური დროისათვის სპეციფიკურად მიიჩნევა, პირველ ყოვლისა, მისი არსებობის ფორმა: თუ სხვა დროები ემყარებიან ანალიზისათვის მეტ-ნაკლებად მისაწვდომ მახასიათებლებს (შდრ. ბიოლოგიური დრო, რომელიც ცოცხალ ორგანიზმებში მიმდინარე დღე-ღამურ ცვლილებებს განსხვავებული სასიცოცხლო პროცესებით ასახავს), ლინგვისტური დრო აბსოლუტურად მოკლებულია ნებისმიერი სახის სუბსტანციურ თვისებებს (კლაინი 1994:62; 2009:28). როგორც ასეთი, იგი არსებობს შხოლოდ ადამიანის „მენტალურ თესაურუსში“ (კასევიჩი 2013:42). მაგრამ დროის მენტალური ხასიათი არ ქმნის დაბრკოლებას მისი, როგორც ენობრივი რეალობის, ობიექტური ანალიზისათვის: ცნობიერებაში კოგნიტიური პროცესების<sup>2</sup> გზით ჩამოყალიბებული მენტალური დროითი (ისევე

<sup>1</sup> მეგრული შედის ქართველურ (ბერიულ, სამხრეთკავკასიურ) ენათა ჯგუფში ქართულთან, სვანურთან და ლაზურთან (ჭანურთან) ერთად.

<sup>2</sup> კოგნიცია გაგებელია როგორც ადამიანის შემცირებითი მოღვაწეობის გზით მიღებული ინფორმაციის მენტალურ სტრუქტურებად გადამუშავების ფინანსური პროცესი. ამასთანავე, სპეციალისტები თვლიან, რომ კოგნიცია დამოუკიდებელი შეალედური ფენაა სინმდვილესა და ენას შორის (სვოროვ 1994:3; კასევიჩი 2013:57-67). ეს გაგება არსებითად ცვლის სამყაროს ასახვის ჰუმბოლდტისეულ, შემდეგში – სოსიურის, ნეო-ჰუმბოლდტიანელებისა და სხვათა სქემას, რომლის მიხედვით, სამყაროში ენობრივი წესრიგი შეაქვს უშალოდ ენას, რომელიც მიჩნეული იყო შუალედურ ფენად გარესინამდვილესა და ცნობიერებას შორის.

როგორც სხვა ენობრივი) მოდელები განსხვავებულ ენებში (resp. განსხვავებულ გულტურებში) რეალიზდებიან როგორც საერთო, უწივერსალური თვისებების, ისე კონკრეტული მრავალფეროვნების გამომსატველი ენობრივი სისტემებით. სწორედ ეს რეალიზაციები წარმოადგენენ ლინგვისტური კვლევის საგანს, რომლის ამომწურავი, არაწინააღმდეგობრივი ანალიზი უზრუნველყოფს შედეგების მიღწევას, რომელთა ობიექტურობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს. ენობრივი მენტალური მოდელების არსებობას ემყარება აგრეთვე ლინგვისტური კვლევის ერთი თავისებურებაც, რომელიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძნეს დროითი მოვლენების ანალიზის პროცესში. იგულისხმება შემთხვევები, როდესაც „ობიექტური“ ლინგვისტური მეთოდებით შეუძლებელია შედეგის მიღწევა და ანალიზის პროცედურაში გადამწყვეტი ხდება ისეთი არალინგვისტური წმინდა ადამიანური ფაქტორი, როგორიცაა მოლაპარაკის გ ა ნ ც დ ა. სხვა სიტყვებით, გარკვეულ შემთხვევებში ანალიზური პროცედურა ემყარება იმას, რაც მშობლიურ ენაზე მოლაპარაკებ არაცნობირად იცის.<sup>3</sup>

**1.1.1.** თუ როგორ უნდა მომხდარიყო დროის მენტალური, resp. კოგნიტიური მოდელების ჩამოყალიბება, ამ კითხვაზე პასუხი ერთმნიშვნელოვანია: დინამიკური სამყაროს პირის მდგომი ადამიანისათვის დროის „აღქმა“ შესაძლებელია მხოლოდ არაპირდაპირი გზით – სივრცეში მიმდინარე, განსაკუთრებით ვიზუალურად აღქმად, მოვლენებზე დ ა კ ვ ე ბ ი თ. ციურ სხეულთა ხილულ გადაადგილებაზე, მკაცრი პერიოდულობით განმეორებად ბუნების მოვლენებზე – დღისა და ღამის, ზამთრის ყინვებისა და ზაფხულის მცხუნვარების, მწვანე მცენარეული საფარის გამოჩენისა და შემდეგ მისი გაქრობის და ა.შ. ციკლურ მონაცელებობაზე [ანუ დროში – რიტმულ ცვლილებებზე (კასევიჩი 2013:44)] დაკვირვებები და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ადამიანთა არსებობის პირობებთან მათი დაკავშირება გახდა დროითი მონაცელების იდენტიფიკაციისა და მათი სახელდების საფუძველი. ასე, ცაზე პლანეტა ვენერას გამოჩენა აღმოსავლეთის მხარეს ქართველურ (და არა მხოლოდ ქართველურ) ცნობიერებაში უკავშირდება გათვენებას, რაც ენობრივად ასახულია მის სახელწოდებებშიც: ქართ. „ცისკრის ვარსკვლავი“, მეგრ. გუმოთანე მურიცხა „გამოწებელი ვარსკვლავი“, სვან. მგრჰილ „მნათობი, გამოწებელი.“ ცნობილია, რომ კაშკაშა ვარსკვლავის, სირიუსის, პერიოდული გამოჩენა ძველი ეგვიპტელებისათვის მოაწვავებდა უმნიშვნელოვანების სასისოცხლო მოვლენის – ნილოსის ადიდების დასაწყისს, რაც მათ კალენდარშიაც არის ასახული: წლის სამი თოხოვიანი პერიოდიდან პირველს სწორედ წყალდი-

<sup>3</sup> ასეთი მიღვომა ენობრივი ანალიზის პრაქტიკაში უცხო არ არის (მაგ., ამას ემყარებოდა ფონეტიკური ერთეულების იდენტიფიკაცია, რომელიც წმინდა ფონეტიკური მეთოდებით ფაქტობრივად მიუღწეველია). ისეთი „ემპირიული ობიექტის ვერიფიკაციისათვის“, როგორიც არის ენა, მშობლიურ ენაზე მოლაპარაკეთა ლინგვისტური აღქმის მნიშვნელობაზე ენობრივ ერთეულთა იდენტიფიკაციისათვის და მისი ლიგვისტურ კვლევაში შემოტანის აუცილებლობაზე თავის დროზე ყურადღებას ამახვილებდა ლ. იელმსლევი (იელმსლევი 1954:170 და შემდ.).

დობის პერიოდი ეწოდება. მსგავსი მაგალითები მრავლად სახელდება, მაგრამ ყველა ასეთი შემთხვევა თანაბრად წარმოაჩენს სივრცულ მოვლენათა როლს დროის რიტმულად განმეორებადი მონაკვეთების იდენტიფიკაციაში.<sup>4</sup> და მაინც, საგანგებოდ აღნიშნულია ის მნიშვნელობა, რომელიც საერთოდ ენობრივ (და შეძლომ მეტრიკულ) ასახვაში ენიჭება წელიწადის, თვისა და დღე-დამის მონაკვეთებს. მათი სასიცოცხლო მნიშვნელობისა და, ამასთანავე, პერიოდული მონაცვლეობის განსაკუთრებული თვალსაჩინოების გამო ისინი, ფაქტობრივად, უშუალო ასტრონომიული დაკვირვებების გზით ითვლებიან შემოსულად ადამიანის ცნობიერებაში და გვევლინებიან დროითი სტრუქტურების განმსაზღვრელ მომენტებად.

ამგარად, დასკვნა, რომელიც შეიძლება გამომდინარეობდეს სივრცისა და დროის ურთიერთმიმართების ხასიათიდან, გულისხმობს, რომ დროითი კონტინუუმის ენობრივი დანაწევრება მეტ-ნაკლები ხანგრძლივობის მონაკვეთებად უკავშირდება სივრცეში მიმდინარე მოვლენების იდენტიფიკაციას. სხვა სიტყვებით, დროითი მონაკვეთები, გარკვეული აზრით, „მიბმულია“ სივრცულ მოვლენებზე და მხოლოდ ამდენად შეიძლება ლაპარაკი სივრცული ლოკალიზაციის კავშირზე **ტემპორალურ ლოკალიზაციასთან**. მაგრამ სივრცისა და დროის კავშირში სივრცულ მოვლენათა თვალსაჩინოება არ შეიძლება ნიშნავდეს შემცნების პროცესში მათი მკაცრი ლოგიკური თანმიმდევრობით არსებობას – ჯერ სივრცე და მხოლოდ ამის შემდეგ დრო, როგორც ამის მტკიცებას, სხვაგვარად რომ ვთქათ, დროის **სპეციალიზაციას** – „გასივრცებას“ [ტერმინისათვის იხ. (გურევიჩი 1984: 165)] ხშირად ვწვდებით სპეციალისტებთან. რომ არაფერი ვთქათ თვით სივრცული მოვლენების იდენტიფიკაციის შეუძლებლობაზე დროითი (თუნდაც იმპლიციტური) კომპონენტის გარეშე, ენობრივი მონაცემებიც არ ადასტურებენ მათი სტრუქტურობას: დრო ენობრივ გამოხატულებაში, სივრცესთან კავშირის მიუხედავად, ავლენს მისგან განსხვავებულ, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ თავისებურებებს, რაც ქმნის დროით მიმართებათა **სპეციფიკურ სტრუქტურას**. აღნიშნულის გათვალისწინებით **ტემპორალულური ლოკალიზაცია** განიხილება როგორც მენტალური დროის დანაწევრება მეტ-ნაკლები ხანგრძლივობის სეგმენტებად – ტემპორალურ მონაკვეთებად, რომლებშიც მიმდინარეობს რაიმე თვალსაზრისით ადამიანური აღქმისათვის (საზოგადოებისათვის) მნიშვნელოვანი მოვლენები. სხვაგვარად, სეგმენტირება ემყარება როგორც ციკლურ ბუნებრივ მო-

<sup>4</sup> რიტმი, როგორც გარკვეულ მოვლენათა პერიოდული მონაცემლეობა დროში, მრავალუნქციურია და მნიშვნელოვან როლს ასრულებს ადამიანის სასიცოცხლო პროცესების მოწესრიგებაში. ბუნების მოვლენათა (წლის, თვის, დღის) რიტმული მონაცემლეობა არეგულირებს ცოცხალ ორგანიზმებში მიმდინარე უმნიშვნელოვანეს პროცესებს, მათ „შინაგან საათს“; ბუნებრივი რიტმი ხელს უწყობს ადამიანის ფსიქიკის ფუნქციონირებას. ადამიანებზე მსგავსი ზემოქმედების ძალა, რომ არაფერი ვთქათ მუსიკაზე, მიეწერება „არაბუნებრივ“ რიტმულ მონაცემლეობასაც, რომელიც ვლინდება სახვითი ხელოვნების ნიმუშებსა და ლიტერატურაში (შნოლი, ზამიატნინი 1974:189-194).

ნაცვლეობას – რიტმებს, ისე კულტურულ ფაქტორებს, რაც არ არის დამოკიდებული ბუნებრივ რიტმებზე და ენათა მიხედვით განსხვავებულია.

**1.1.2.** ენათა შედარებითი შესწავლა ცხადყოფს, რომ ტემპორალური ლოკალიზაციის შესაძლებლობა არსებობს უკლებლივ ყველა ენაში და გამოიხატება ლექსიკური და გრამატიკული საშუალებებით. ენებს შორის განსხვავებას, ჩემულებრივ, ქმნის ის განსხვავებული მნიშვნელობა, რომელიც სხვადასხვა ენაში დროითი ლოკაციის დადგენისას ამ საშუალებებს ენიჭებათ (კომრი 1985:7). კერძოდ, ერთ შემთხვევაში დროის ლოკაცია ხდება ლექსიკური ერთეულებით, მირითადად ზმნისართებით. ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნეს სახელები, თანდებულები, ნაწილაკები. გრამატიკული ლოკალიზაციის შემთხვევაში შესაბამისად გამოყენებულია გრამატიკული კატეგორიები. კლასიკურ ნიმუშად მიჩნეულია დროის ზმნური კატეგორია – Tense, რომლის დანიშნულებაა ზმნის ფორმებით გამოხატულ დინამიკურ და სტატიკურ პროცესთა მიმდინარეობის დროის გამოხატვა მუახლა დეიქტიკურ ცენტრთან მიმართებით.<sup>5</sup> სწორედ ეს მიმართება ედება საფუძვლად დროის კონტინუუმის დაყოფას სამ დროით სივრცედ ანუ სამ ძირითად ადამიანურ ფაქტორზე. დროის ლოკალიზაციისა და სტრუქტურირების პროცესები, რომლებიც ვლინდებან კონკრეტულ ენობრივ გამოხატულებებში, უკვე ექვემდებარებიან ობიექტურ ლინგვისტურ აღწერას.

**1.2.** ზოგადად ლინგვისტური დროის დახასიათება რთული ამოცანაა. და ეს არა მარტო და არა იმდენად თვით დროის მენტალურობის, რამდენადაც კონკრეტულ ენობრივ სტრუქტურათა მრავალფეროვნების გამო. რეალურად ენებს შორის (იმავე მენტალური თვისებებით გამოწვეულ) მნიშვნელოვან მსგავსებასთან ერთად, წარმოდგენილია კულტურული ფაქტორებით განპირობებული განსხვავებული სტრუქტურული ვარიანტები. მაგრამ იმ შედეგებზე დამყარებით, რომლებიც მიღწეულია ლინგვისტური დროის ხანგრძლივი, მრავალმხრივი კვლევების შედეგად და არსებითად აღიარებულია თანამედროვე მეცნიერებაში, იკვეთება საერთო ნიშნები, რომელთა მიხედვით ადამიანურ განცდაში და ამდენად ენობრივ ასახვაში წარმოდგენილი დრო, სტატიკური სივრცისაგან განსხვავებით, მოძირავი –

<sup>5</sup> თუმცა აღნიშნულია ის მოსალოდნებლი სირთულეებიც, რომლებიც ორივე შემთხვევაში თან ახლავს დროის კონტინუუმის დანაწევრებას. დროის გრამატიკალიზაციის დროს დგება ზოგადად დროისა (Time) და მისი მორფოლოგიური ვარიანტის (Tense) ურთიერთობისათვის. მეორე შემთხვევაში სირთულეები დგება დეიქტიკური ცენტრთან დაკავშირებით. კერძოდ, გარდა იმისა, რომ ამ ცნების ინტერპრეტაციას თან ახლავს მნიშვნელოვანი სემანტიკური სირთულეები (სათანადო აღილები ის. ქვემოთ), აღნიშნულია სხვა მოსალოდნებლი სირთულეებიც, მაგ., ლაპარაკია იმაზე, რომ ზოგჯერ ენებში მნელდება დროთა აღეპვატური ლექსიკური სუბსტიტუტების დაძებნა (კომრი 1985:11).

რ ა ვ ი ა .<sup>6</sup> შესაბამისად იგი შეიძლება დახასიათდეს როგორც ერთგანზომილებიანი, ცალმხრივ მიმართული (შეუქცევადი), უწყვეტი პროცესი. ეს ნიშნები ემყარება როგორც აღნიშნულ პერიოდთა შიდასეგმენტურ, ისე თვით ამ პერიოდებს შორის არსებულ მიმართებებს.

**1.2.1. ერთგანზომილებიანობა.** დრო, როგორც უწყვეტი კონტინუუმი, თავისთვად არ გულისხმობს რაიმე მონაკვეთებად დაშლა-დანაწევრებას, რაიმე პროცესის დასაწყისისა ან დასასრულის განსაზღვრას და ა.შ. მაგრამ ენობრივ ასახვაში იგი ექვემდებარება სხვადასხვა სანგრძლივობის, ადამიანისათვის (resp. მოცემული კულტურისათვის) რელევანტურ სეგმენტებად ანუ ტემპორალურ მონაკვეთებად დანაწევრებას, მათ შორის, დასაწყისისა და დასასრულის აღნიშვნასაც. დროით სეგმენტებს შორის არსებული კავშირები შეიძლება განისაზღვროს სივრცული პროცესებისათვის დამახასიათებელი მიმართებებით – წინ, უკან, თან, მაგრამ დროით პერიოდების მიხედვით განსხვავებული განაწილებითა და მნიშვნელობებით. კერძოდ, სივრცული მიმართება წინ /უკან დროში გამოიხატება მიმართებებით – უმოს ადრე „უფრო ადრე“, როდესაც დროითი მონაკვეთების მიმდევრობაში რომელიმე ერთი მონაკვეთი წინ უსწრებს სხვა მონაკვეთს და უმოს გვიანო, როდესაც ერთი მონაკვეთი მოსდევს მეორეს; მიმართება „თანადროულად“ გულისხმობს გარკვეული მონაკვეთების (სრულ ან ნაწილობრივ) დამთხვევას. სწორედ აღნიშნული მიმართებები ქმნიან დროით სტრუქტურებს (ფილმორი 1997:45). მაგრამ აღნიშნული მიმართებები, ამასთანავე, დროის მოძრაობას წარმოგვიდგენენ მხოლოდ ერთ, ჰ ო რ ი ზ ო ნ ტ ა ლ უ რ, განზომილებაში (დაწვრ. ქვემოთ).

თანამედროვე ენებში გავრცელებულია დროის წრფივი მოდელი, მაგრამ ძველი კულტურის ხალხებში ამ თვალსაზრისით სიტუაცია არაერთგვაროვანია. მაგ., მესოპოტამიის კულტურაში [რომლის არაპირდაპირი გავლენა დასტურდება ქართველურ კოსმოლოგიურ აზოვნებაზეც (კეკლიძე 1956:101 და შემდ.)] მიღებული იყო თვალსაზრისი დროის სწორხაზოვან დინებაზე აშკარად გამოხატული ციკლურობის გარეშე (კლოჩკოვი 1983:21). მაგრამ მრავალ მაღალგანვითარებულ კულტურაში (ძვ. ეგვიპტეში, ჩინეთში, ინდოეთში, აცტეკების, მაიას ტომებში და სხვ.), სადაც, გაბატონებულ რელიგიურ-ფილოსოფიურ შეხედულებათა თანახმად, სამყაროში ყველაფერი არსებული მეორდება, მათ კალენდარულ სისტემებში წარმოდგენილი დროც ციკლურია და გამოიხატება როგორც წრიული მოძრაობა (შდრ. მაგ., ინდუისტური სანსარას ბორბალი, რომელიც გამოხატავს სამყაროთა წარმოშობისა და დაღუპვის წრებრუნვას). დროის მიმდინარეობა მსგავს ციკლებში, ჩვენი აღქმისათვის მისაწვდომი ბუნებრივი ციკლებისაგან დამოუკიდებლად,

<sup>6</sup> დროის მოძრაობა-უძრაობის საკითხი სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვაგვარად წყდებოდა. მაგ., ჩვენი აღქმისათვის დამახასიათებელი მოძრავი დრო მკვეთრად განსხვავდება მითოლოგიური დროისაგან. ეს უკანასნელი „იყო არა იმდენად დრო, რამდენადც დროის არარსებობა, რომელიც სწორედ ამ არარსებობით, ცვლილებების, მოძრაობის, განვითარების, საერთოდ აქციდენციის გარეშე ახასიათებდა სინამდვილის უძრავ და ფასეულ მდგომარეობას“ (ქნაგე 1991:279).

შინაგანი წინაღმდევობების გამო, დროდადრო წყდება, ჩვეულებრივ, კაცობრიობისათვის გამანადგურებელი კატაკლიზმების თანხლებით. მაგრამ ძველის ნაცვლად იქმნება განახლებული ციკლი, რომელშიც ყველაფერი თავიდან იწყება.<sup>7</sup>

დროის წრფივ მოდელზე გადასვლა განპირობებული ჩანს რამდენიმე ფაქტორით, როგორიცაა: მეცნიერების განვითარება, კულტურათა მიგრაცია, ყოფითი პირობების შეცვლა, სხვა ენიდან სესხება და მისთ. მათ შორის უნდა აღინიშნოს დროისათვის უმნიშვნელოვანესი – ადამიანის განცდა, რომელიც ემყარება მოვლენათა შეცვლილ, ახლებურ აღქმას. ეს ცვლილებები მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია მეცნიერების განვითარებაზე. კერძოდ, მიჩნეულია, რომ დროის კლასიკური კონცეფციები საუკუნეთა განმავლობაში არა მხოლოდ მუშაობისა, არამედ განსაზღვრაულებები ადამიანის შეგრძნებებს სამყაროზეც. მაგრამ რეალობის სურათების შეცვლა იწვევს ცვლილებებს ადამიანის აღქმაში<sup>8</sup> (გრინი 2006. აღქმათა შესაძლო ცვლილებების შესახებ იხ. აგრეთვე გურევიჩი 1984:II თავი). თუმცა სახელდება შემთხვევებიც, როდესაც კლასიკური კონცეფციების რღვევას ენობრივ ასახვაში ცვლილებები არ მოჰყოლია: მზე ახლაც ისევე „ამოდის“ და „ჩადის“, როგორც მაშინ, როცა ასე ეგონათ (შდრ. ინგლ. Sunrise/ Sunset, რუს. Восход / Заход „, მზის ამოსვლა-ჩასვლა“ და მისთ).

**1.2.2. ცალმხრივი მიმართულება.** მოძრავი დროის წრფივი ხასიათი გულისხმობს მოძრაობის მიმართულებას ანუ დროის ისარს. თუ სივრცეში წრფივ გადაადგილებას შეიძლება პქნონდეს ორმხრივი მიმართულება: უკან>წინ/წინ>უკან (↔), ან ზევით >ქვევით/ქვევით>ზევით, დროის ისარი გვიჩვენებს მხოლოდ ერთ, შეუქცევად მიმართულებას წარსულიდან მომავლისაკენ, ანუ როგორც პირობითად ითვლება – მარცხნიდან მარჯვნივ (→).

<sup>7</sup> მაგ., მაის კულტურის „წმინდა კალენდარი“, ცოლკინი, სინქრონიზებული გალაქტიკური კოდით, რომელიც, ფაქტობრივად, აკონტროლებს სიცოცხლისათვის უმნიშვნელოვანეს ყველა სახის ენერგიისა და გამოსხივების რეზონანსულ სიხშირეებს, გრძელდებოდა 5000 წელზე მეტ ხანს – 3113 (ბერტ.) წლიდან 2012 წლამდე (ას.წ.) და განწირული ყოფილი დასრულებისთვის, რამდენადცაც მასში კაცობრიობა ცხოვრიბდა არასწორად – ერთიანი კანონის გარეშე (მაგრამ ციკლი დასრულდა მშვიდებიანი გადასვლით).

<sup>8</sup> ადამიანის აღქმაში მსგავსი ცვლილებები, როგორც თანამედროვე ფიზიოლოგიური კვლევებიდან ხდება ცნობით, განპირობებულია კოგნიტიური პერფორმანსის დაფიციტითაც (შიშით, შეშუოთებით და მისთ.), რაც იწვევს ყურადღების კონტროლის მიღებულასა და შედეგად ზევით/ქვევით ან მაღლა/დაბლა/ მიმართულებებს შორის განსხვავების შესუსტებასაც (ბარ-ჰაიმ... 2010:255 და შემდ.).

<sup>9</sup> დროის ისრის მარჯვენა მიმართულების მიჩნევა მთლიანად პირობითად არ შეიძლება ჩაითვალოს ადეკვატურად. თუ გავითვალისწინებთ ტეინის ლატერალიზაციის შედეგად ადამიანის მარჯვენა ხელის გაქტიურებასა და ადამიანთა პრაქტიკულ მოღვაწეობაში მის წამყვან როლს. ენობრივ ასახვაში ეს რეალობა ლექსიკურად გამოსხატულია მარჯვნა და მარცხენა მხარეების მკვითრად დაპირისპირებული თვისებებით: თუ მარჯვენა მხარესთან, გამოყენებული განსაზღვრებების მიხედვით, დაკავშირებულია ისეთი თვისებები, როგორიცაა – სიკეთე, სამართლიანობა, ჭეშმარიტება, წესრიგი, გამარჯვება და მისთ., მარცხენა მხარე წარმოდგენილია როგორც ყოველგვარი უკეთურების სათავე, რომელიც კლინიდება თვისებებში: მარცხანობა, უკავშირობა და მისთ. შდრ. ქართ. მარჯვე, ხელმარჯვე, გამარჯვება, ... / მარცხი, ხელმარცხნიანი, დამარცხება, ...; მეგრ. მორძგვი „მარჯვენა“, „წაღმა, წაღმაპირი“ / კვარჩხი „მარცხენა“, „უკუღმართი“ და

ცალმხრივად მიმართული წრფივი დროის გაგება გამართლებულია როგორც ინდივიდის ცხოვრებისეული, ისე საზოგადოების ისტორიული გამოცდილებით. ყოველივე ამის უკან დგას ჩვენი მ ე ხ ს ი ე რ ე ბ ა, რომელიც საშუალებას გვაძლევს, დავაფიქსიროთ მოვლენათა თანმიმდევრობა, როგორც აწმყოში, ისე წარსულში და განვჭრიტოთ იგი მომავალშიც. სახელდობრ, ყურადღებას იქცევს ჩვენ გარშემო მუდმივად მიმდინარე და აღქმისთვის ადვილად მისაწვდომი ბუნებრივი თუ ანთროპოგენური პროცესები, რომლებიც იწვევენ შეუქცევად ცვლილებებს: ეს არის ხებიდან ფოთოლტკვენა, ღრუბლებიდან ნალექების ჩამოსვლა, მთიდან ზვავის ჩამოწოლა, სახლის დანგრევა, ჭურჭლის დამსხვრევა, ხანძარი, ორგანიზმებში სასიცოცხლო პროცესების – ზრდის, დაბერების და ა.შ. მიმდინარეობა. მაგრამ არ ხდება ჩამოსული ნალექების უკან აბრუნება, ფერფლიდან სხეულის, საგნის აღდგენა, ზრდის პროცესის შემობრუნება ემბრიონის მდგომარეობისაკენ და ა.შ. ამ მხრივ განსაკუთრებით თვალსაჩინოა ადამიანის ენა, რომლის კოდირების სამივე სახე (სამეტყველო, წერითი, უსტური) გვიჩვენებს ერთ უცვლელ თანმიმდევრობას – წინისკენ. ყოველივე ეს ერთმნიშვნელოვნად ქმნის განცდას მოვლენათა მიმდინარეობის დროის შეუქცევადობაზე. და ამდენად მხოლოდ ერთი დროითი ისრის არსებობაზე (კლაინი 2009:18).<sup>10</sup>

**1.2.3. უწყვეტობა.** ზემოთ აღნიშნული იყო, რომ ერთგანზომილებიანი და ცალმხრივად მიმართული დრო ექვემდებარება სეგმენტებად დანაწევრებას. ეს პრინციპი ეხება ნებისმიერ მეტ-ნაკლები ხანგრძლივობის დროით ერთეულს, მათ შორის ყველაზე დიდ, ენობრივი თვალსაზრისით უმნიშვნელოვანეს (და ლინგვისტური დროისათვის სპეციფიკურ) დროით პერიოდებს, როგორიცაა წარსული (ნამყო), ახლანდელი (აწმყო), მომავალი (მყოფადი). ისინი ხასიათდებიან როგორც საკუთარი ლექსიკით, ისე გრამატიკული ნიშნებით, მაგრამ ეს ვითარება ხელს არ უშლის მათი უწყვეტობის განცდას. ეს გასაგებია, რამდენადაც სივრცის მსგავსად ენობრივი დროც დეიქტური კატეგორიაა, მაგრამ ორიენტაციის განსხვავებული პრინციპებითა<sup>11</sup> და შესაბამისად განსხვავებული სტრუქტურებით.

მისთ.; რუს. Правый „მარჯვენა“, право „სამართლი“, правота „სიმართლე“/ левый „მარცხენა“, „არაკანონიერი“, левак „არაკანონიერად მშოვნელი“; ინგლ. right „მარჯვენა, სამართლიანი, სწორი“... / left „მარცხენა: left handed, „მოუხერხებელი, პირვერი, საეჭვო“. მარჯვენა ხელის წამყვანი როლი იკვეთება დამწერლობის სისტემებშიც.  
<sup>10</sup> დროის სკლის ცალმხრივი მიმართულება (უახლესი მონაცემებით) ივარაუდება ფიზიკურ სამყაროშიც. შემოთავაზებულია სამი სახის შეუქცევადი მიმართულება, დროის ისრები: თერმოდინამიკური (ენტროპიის ზრდა), ფსიქოლოგიური (გვახსოვს წარსული და არა მომავალი), კოსმოლოგიური (მატერიის გაფართოება). მათ მიეწერებათ სხვადასხვა მახასიათებლები, მაგრამ საერთოა ის, რომ ასახავენ დროის ცალმხრივ მიმდინარეობას (პოკნიგი 2001).

<sup>11</sup> სივრცისა და დროის ლოკაციებს შორის ერთ-ერთი განსხვავება, ბ. კომრის მიხედვით, ვლინდება სწორედ დროსა და სივრცეში დეიქტურობასთან დაკავშირებით: 1. დეიქტური არა-აქ თუ სივრცეში მოიცავს ყველაფერს, რაც არ შედის მოლაპარაკის სიტუაციაში, ერთგანზომილებიანი დროის არა-ახლა შემოფარგლულია მხოლოდ აწმყოთი გათიშული წარსულითა და მომავლით; 2. განსხვავებულია I და II პირთა პოზიციებიც: თუ I და II

იგი წარმოგვიდგება მოლაპარაკე პირის სივრცესთან ერთად: **აქ – ახლა – მე** (ბიულეტი 2000:94). სწორედ ა ს ლ ა გვევლინება ათვლის წერტილად მის წინმსწრებ – ნამყო და **მომდევნო** – მყოფად დროთა იდენტიფიკაციისათვის. მაგრამ რა არის ახლა? ისევე როგორც სივრცისათვის მნიშვნელოვანი აქ – პირველი პირის სივრცე – განისაზღვრება მხოლოდ მოლაპარაკე სუბიუქტის მიერ, მისი შეხედულებისამებრ, სპეციალისტები ერთსულოვანნი არიან იმის აღიარებაშიც, რომ ენობრივი საშუალებებით შეუძლებელია დაგვინდეს, სად იწყება და სად მთავრდება ახლა და, მაშასადმე, სად გადის ზღვარი დროით პერიოდებს შორის. რამდენადაც დროულ ზღვარს აწესებს მხოლოდ მოლაპარაკე სუბიუქტი (resp. ენობრივი კოლექტივი), დროის უწყვეტ დინებაში ათვლის წერტილიც – **ახლა** შეიძლება იყოს დროის ნებისმიერი მონაკვეთი, წარმოთქმის მომენტიდან დაწყებული დღეების, თვეების, წლების და ა.შ. ჩათვლით, რომლებთან მიმართებით ყოველთვის იარსებებს შესაბამისი წარსულიცა და მომავალიც. ასე რომ, თუ აღნიშნულ სამ ენობრივ დროდ დაყოფა ბუნებრივი ჩანს ენებისათვის (ყოველ შემთხვევაში, მათი უძრავლესობისათვის მაინც),<sup>12</sup> **ახლა-ს** ენობრივი საზღვრების დადგენა გარკვეულ, თითქმის გადაულახავ, სირთულეებთან არის დაკავშირებული. აღნიშნული სირთულის ასაცილებლად **ახლა-ს** ჩვეულებრივ აკაგშირებენ ლაპარაკის მომენტთან, რაც არსებითად ახალ სირთულეებს ქმნის. შდრ. მაგ., მეგრ. ასე ვაგიწიო? „ახლა არ გითხარი“? ან ასე ქოგიწინქ „ახლა გეტყვი“, სადაც აწმყოს აღმნიშვნელი ასე „**ახლა**“ გამოყენებულია როგორც წარსულ, ისე მომავლის აღმნიშვნელ ზმნებთან. ასევე არაადეკვატური ჩანს მეტი სიზუსტისათვის **ახლა-ს** დაკავშირება უშუალოდ წარმოთქმის მომენტთან, რასაც, ფაქტობრივად, მიყვავართ საერთოდ აწმყოს „გაქრობაძე“. მაგრამ „ობიექტური“ ენობრივი კრიტერიუმების არარსებობის პირობებშიც კი მოლაპარაკემ (და მასთან კომუნიკაციის პროცესში ჩართულმა მსმენელმაც) ი ც ი ს, რა არის **აწმყო**. ეს ბუნებრივია: ადამიანი ცხოვრობს არა მხოლოდ წარმოთქმის მომენტში, არამედ **მუხდივად აწმყოში**, რომლის ნებისმიერი მომენტი შეიძლება იყოს „ახლა“. სხვა სიტყვებით, ადამიანს განუყრელად თან სდევს აწმყოს გ ა ნ ც დ ა. ამ კონტექსტში

პირი – მოლაპარაკე და მსმენელი (თანამედროვე ტექნიკური საშუალებების გამოყენებით) შეიძლება იყვნენ სხვადასხვა სივრცეში, მოლაპარაკე – მსმენელისათვის არსებობს მხოლოდ ერთი ტექნიკოლური დეიტტური ცენტრი (კომრი 1985:15-16).

<sup>12</sup> მაგ., კუნძულ ტრობრიანდის (წყნ. ოკეანე) მგვიღრთა ენაში არ არის ტემპორალური კავშირი მოვლენებს შორის: მოქმედება განიხილება არა დროული მიმდევრობის ტერმინებით – წარსული, აწმყო, მომავალი (რომელთა შორის ამ ენაში ენობრივი განსხვავება არ არსებობს), არამედ უფრო მოქმედების მიზეზის ან მოტივაციის ტერმინებით. ტრობრიანდელს შეუძლია აღნიშნოს, რომ მოქმედება შესრულდა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ეს მოხდა წარსულში: ის შეიძლება დასრულდეს აწმყოში, ან აღინიშნოს უდროო ზმნებით. როდესაც ჩვენ ვამბობთ მოვლენაზე, რომ იგი მოხდა „მრავალი წლის წინ“ და შესაბამისად ვიყენებთ ნამყოს ფორმებს, ტრობრიანდელი ამბობს: „ჩემი მამის ბავშვობაში“. როდესაც ჩვენ ვხედავთ დროში განვითარების ხაზს, ტრობრიანდელისათვის ეს არის წერტილი, რომლის ღირებულება განისაზღვრება განმეორებადი მოდელების მსგავსებაში (ლი 1971:81-9 5).

განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს დეიქტური ორიგოს (ლათ. *Origo „წარმოშობა“*, „საწყისი“) ცნება (ბიულეტი 2000:94; კლაინი 2009:28). კურძოდ, ტემპორალურ მიმართებათა დადგენისას მოლაპარაკისათვის (და მსმენელისთვისაც) ორიგო წარმოგვიდგება როგორც **ერთადერთი** საშუალება, „გამყოფი წერტილი“, მეტალური ორიგულირი წარსულს, აწმყოსა და მომავალს შორის.<sup>13</sup> სახელდობრ, აწმყო, რომლის კონკრეტული წარმომადგენელიცაა „ახლა“, დროითი მიმართულების გამოხატვის თვალსაზრისით, ნულოვანია, მაგრამ მეხსიერება საშუალებას გვაძლევს, „დავინახოთ“ წარსული, რომელსაც „ახლასთან“ მიმართებით უკავია პოზიცია – **უფრო აღრე**, წინ. ჩვენ ვიცით ჩვენი წარსული, რომელთანაც ერთად მოვდივართ. მაგრამ ჩვენ ვიცით საერთოდ წარსული, რამდენადაც არსებობს ისტორიული მეხსიერება, საზოგადოების გმოცდილება<sup>14</sup> და ჩვენი ე ნ ა, რომლებიც ინახავენ წარსულს. ისინი შესაძლებლობას იძლევიან არა მხოლოდ „დავინახოთ“ წარსული, არამედ დავადგინოთ წარსულის მონაკვეთებიც. ეს ხდება როგორც კალენდარული საზომით (ქრისტიანობა საქართველოში ოფიციალურ რელიგიად ითვლება V საუკუნიდან; დავით აღმაშენებელი გარდაიცვალა 1125 წელს), ისე ენობრივადაც. ეს უკანასკნელი, ჩვეულებრივ, გამოიხატება მორფოლოგიურად – გრამატიკული დროებით და ლექსიკურად – ზმნისართებით. ორივე შემთხვევაში წარსული დგინდება ფარდობითად, რამდენად ახლოს ან შორს თავსდება ის დეიქტურ ორიგოსთან მიმართებით (დაწვრ. ქვემოთ).

ანალოგიური სურათია მომავლის შემთხვევაშიც, რომელსაც „ახლასთან“ მიმართებით უკავია პოზიცია – **უფრო გვიან, შემდეგ.** მეხსიერება, წარსულის გამოცდილება, კოგნიტიურ პროცესებთან ერთად, საფუძველს ქმნის მომავლის „ცოდნისათვის“, მისი პროგნოზირებისა და დაგეგმვისათვის.<sup>15</sup> დეიქსისისა და


<sup>13</sup> ორიგო უმნიშვნელოვანებს როლს ასრულებს ტემპორალურ მიმართებათა ენობრივ კოდირებაში. ამის ნიმუშია დროის გრამატიკული კატეგორია – Tense, რომელიც კლასიფირი გაგებით ნებისმიერ დროით მოვლენას ათავსებს დეიქტურ ორიგოსთან (პირობითად – ლაპარაკის მომნტან) მიმართებით. ასევე არსებობს დროის ორიგოსთან მჭიდროდ დაკავშირებული ზმნისართები, თუმცა ამ უკანასკნელთა მნიშვნელობა ზუსტად არ ემთხვევა ორიგოს.

<sup>14</sup> წარსულისაკენ ხედვა დამახასიათებლად არის მიჩნეული ძველი და შუა საუკუნეების კულტურულებისათვის. მაგ., ძველი ბერძენი ცნობდნენ დროის ცალმხრივად მიმრთულ დინებას – ზურგსუკინდან მომდინარე წარსულიდან წინ მომავლისაკენ ანუ ცნობილი-დან უცნობი უსასრულობისაკენ. ასევე წარსულის მაღალი შეფასება დამახასიათებელი იყო მესოპოტამიის კულტურისათვის, სადაც წარსული მუდამ რჩებოდა მისაბად მაგალითად. ამიტომაც „ფიქტოლოგიურად ბაბილონელები, ისევე როგორც შუმერები, ორიენტირებული იყნენ წარსულ დროზე. თუ თანამედროვე ადამიანისათვის „მომავლისკენ ყურება“ ნიშნავს „წინ ყურებას“, შუმერი ან ბაბილონელი წინ ყურებისას ხედავდა წარსულს; მომავალი თავსდებოდა მის ზურგს უკან“ (კლოჩკოვი 1983:29).

<sup>15</sup> დროის წინასწარმეტყველებას აქვს მყარი ფიზიოლოგიური საფუძველი. დროითი წინასწარხედვა („იმპლიციტური ტაიმინგი“) დგება მაშინ, როდესაც სენსორული სტიმულებისა და მოტორული რეაქციების რეგულარული ტემპორალური მოდელი აუმჯობესებს, აჩქარებს არატემპორალური ამოცანების გადაწყვეტას (მაგ., გზის უსაფრთხო გადაჭრა ტრანსპორტის ინტენსიური მოძრაობის პირობებში). მაგრამ აღნიშნული

დროის ზმინისართების საშუალებით შეგვიძლია გამოვხატოთ მომავალიც, განვსაზღვროთ მასში მიმდინარე მოვლენათა თანმიმდევრობაც.<sup>16</sup>

დროითი კონტინუუმის გამოსახატავად შეიძლება მივმართოთ ო. იესპერსენის (1958:300) კლასიკურ სქემას, რომელიც სხვადასხვა თვალსაზრისით კრიტიკის საგანი გახდა (კომრი 1985:100; ლაიონზი 1978:322), მაგრამ დროითი პერიოდების საილუსტრაციოდ სავსებით აღეკვატურია:



## 2. დროითი მიმართებებების ენობრივი სტრუქტურა მეგრულში

2.1. დროის აღსანიშნავად მეგრულში გამოყენებული გრამატიკული და ლექსიკური საშუალებებიდან გრამატიკულთა წილი შედარებით შეზღუდულია. სახელდობრ, ასეთ საშუალებათა კლასიკურ ნიმუშად მიჩნეული Tense – „გრამატიკული დრო“, ფაქტობრივად, წარმოდგნილია დეიქტური პრინციპით დაგენილი, გრამატიკულად განსხვავებული დროითი პერიოდებით – **აწმეო, ნამყო, მყოფადი**. მაგრამ თითოეული ამ პერიოდის შემდგომი დაყოფა უფრო მცირე გრამატიკულ-სემანტიკურ მონაკვეთებად, ქართველურ ენათა შემთხვევაში, **მწკრივებად** (შანიძე 1973:215 და შემდ.) ემყარება არა დროის, არამედ სხვა კატეგორიებს: მოდალობას (სამივე დროით პერიოდში), უნახაობას [თურმეობითები აწმყოს ჯგუფში (როგავა 1953: 17-31)], მოქმედების წყვეტა /უწყვეტელობას (ნამყო დროში, აორისტისა და ნ.-უწყვეტლის ფორმებში). გამონაკლისს ქმინან ნამყო დროის ე.წ. I და II თურმეობითის ფორმები, რომლებიც, ერთი მხრივ, უპირისპირდებიან აორისტის, როგორც ნამყო-წყვეტილის ფორმებს და, მეორე მხრივ, ერთმანეთს, როგორც ნამყო დროის ფარგლებში თხრობითი კილოს განსხვავებული დროითი მონაკვეთები: ნამყო სრული, **პერფექტი** და მისგან ნაწარმოები წი-

ტემპორალური მოდელი არა მხოლოდ ეფექტური სტრუქტეგიაა წინასწარ განჭვრეტადი შემთხვევებისათვის, არამედ გამოყენებულია ისეთი მოვლენისთვისაც, რომელიც ჯერ არ შემდგარა, მაგრამ იქნება. ეს ტემპორალური მოლოდინი ილუსტრაციაა „რისკის ფუნქციის“ ფენომენისა, ანუ მზარდა ალბათობისა, რომ მოვლენა, რომელიც ჯერ არ არსებულა, მომავალში იარსებებს. ობიექტურად მზარდი ალბათობა (და, მაშასადამე, სუბიექტურად მზარდი განცდა ტემპორალური მოლოდინისა) ემყარება დროის ცალ-მხრივ მიმართული დინების ანუ დროის ისრის წინასწარ განჭვრეტად ძალას. რამდენადაც დრო განუხრელად მიედინება წინ, მოსალოდნელი მოვლენა, რომელიც ჯერ არ შემდგარა, აუცილებლად შედგება მომავალში. ეს გამოწვეულია არა სესსორული სიგნალებით, არამედ თვით დროის მიმდინარეობით (კოული... 2011:4-5).

<sup>16</sup> ასეთ განცდას ხელს უწყობს აგრეთვე ადამიანის თვითიდენტიფიკაცია: ადამიანის იდენტურობა (როგორც ეს ერიქსონის ეგოფსიქოლოგიური გამოკვლევებიდან ხდება ცხადი), გარდა პირადი იგივეობისა სივრცეში, გულისხმობს აგრეთვე პიროვნების მიერ იდენტურობის განცდას დროშიც.

ნარე წარსული, პლუსკვამპერფექტი. შდრ. აორისტი – მიღართუ „წავიდა“, ნამყო სრული, პერფექტი – მიღურთუმუ „წასულა“; წინარე წარსული, პლუსკვამპერფექტი – მიღურთუმუ-დუ „უფრო ადრე წასულა“ (საკითხის შესახებ იხ. ყიფშიძე 1914:086; მელიქიშვილი ო. 1998:127-142; ქობალავა 2001:127).

დროის აღმნიშვნელი ლექსიკური რეპერტუარი მეგრულში მოცავს ენობრივ საშუალებათა ფართო სპექტრს: დროის აღმნიშვნელ არსებით და ზედსართავ სახელებს, ნაცვალსახელებს; ზმნებს; სიმრავლითა და სემანტიკური მრავალფეროვნებით განსაკუთრებულ ადგილს იკავებს ზმნისაროტები: გვხვდება როგორც მარტივი (ლუმა „წუხელ“, წილ „წელს...“) და წარმოქმნილი (გოლა „გუშინ“, თიმ-წკუმა „იმ დროს, მაშინ“, ართიშახ „ერთხელ“...), ასევე რთული შედგენილობის ზმნისართული კონსტრუქციები (გოთანა პის „გათენების უამს“, აკოსერუა ბორჯის „საღამო უამს“და მისთ.). ამასთანავე, დროის სეგმენტაციისათვის, საკუთრივ დროით ლექსიკასთან ერთად, გამოყენებულია (იდენტური ან შეცვლილი მნიშვნელობით) სივრცულ მიმართებათა გამომზატველი ლექსიკური და გრამატიკული საშუალებებიც (ჩიქობავა 1961:489; კიზირია 1982: 252-272; გაბუნია 1993: 138-129).

**2.2.** ზოგადად მოძრაობის ანუ, როგორც ის გამოხატულია ენობრივ ასახვაში, დრო ი ი ს დ ი ნ ე ბ ი ს აღსანიშნავად გამოყენებული ეპითეტების მიხედვით, დრო ხასიათდება როგორც მუდმივი, უსასრულო და უწყვეტი, კარგი ან ცუდი, რომელიც მიედინება თავისთავად. იგი არ ექვემდებარება გაზომვას და საერთოდ არ გამოხატავს ლოკალიზაციასთან ანუ დროით სეგმენტაციასთან დაკავშირებულ რაიმე ნიშანს. ეს უფრო პოეტური ან ფილოსოფიური დახასიათებაა და ამიტომ კონკრეტული დროითი მონაკვეთებისათვის მიღებული კითხვები – მუჟანს „როდის, რა დროს“, მუსხანს „რა დროში, რამდენ ხანს“, სოიშახ „სანამდე“ და მისთ. მის მიმართ არაადეკვატურია.

ზემოაღნიშნული ზოგადი მნიშვნელობით დროის გამომზატველი სიტყვა წინადაღებაში გამოიყენება სახელური ფუნქციით და გადმოსცემს სუბიექტს ან ობიექტს (შესაბამის ბრუნვებში) და არ მონაწილეობს ტემპორალურ მიმართებათა სტრუქტურების შექმნაში. ამ ფუნქციით გვხვდება ზოგადად დროის აღმნიშვნელი სიტყვები: ქართულიდან (ან ქართულის გზით) შედარებით გვიან შესული – დრო, /დროება, ხანი/ხანია, უამი და საკუთრივ მეგრულში გავრცელებული ბორჯი.<sup>17</sup> ისინი (გარდა უამისა) გვევლინებიან სინონიმებად და, როგორც ასე-

<sup>17</sup> ბორჯი „დრო, უამი, დროება, ვადა...“ მეგრულში დროის აღმნიშვნელ სიტყვათა შორის ყველაზე გავრცელებულია. ამავე მირიდან არის ნაწარმოები ბორჯალი „დათებული დრო, ვადა“ და ზმნა „აბორჯება „აბნევა, მხრის ქცევა.“ ბორჯალი „პაემნის უამი“ დადასტურებულია ძვ. ქართულში (ორბ. 4:115). ქართულის დიალექტებში – გურულსა და იმერულში დადასტურებული ბორჯი და ბორჯალი აშკარად მეგრული ნასესხობა ჩანს. რაც შეეხება სვანურში იმავე მნიშვნელობით დაფიქსირებულ ლექსებას – ბორჯ „ვა-და“ (ნიჟ. 44), მისთვის უშეალოდ ქართულის გზა არის ნავარაუდევი (მ. საღლიანი).

თები, ენაცვლებიან ერთმანეთს.<sup>18</sup> დროის დინების აღსანიშნავად ჩვეულებრივ გამოყნებულია მოძრაობის აღმნიშვნელი ფინიტური ზმნები: „ულა „სვლა, სიარული“, გიშულა „გამოსვლა, გასვლა“, მიქულა „გავლა, ჩავლა“, გეცუნა „უკან მიყოლა“, გეთხოზინი „უკან მიღევნება“ და მისთ.:

ბორჯი, ირფელი სი გობარუ, ულირ რენ დო მუმალუ, მირსიოლუქ უმუნარცქო, ირო ართინერო მალუ – „დრო ყველაფერი შენ გაბარია, წარსულია თუ მომავალი, მისრიალებ შეუწყვეტლად, მუდამ ერთნაირად მავალი“ (ქს I:157);

მიშეს ბორჯეფი, ბორჯეფც გეცუნდეს – „მიდიოდნენ დროები, დროებს მიყვებოდნენ“ (ქაჯ. I)

დრო დო ხანქ გიშართუ – „დრო და ხანი გავიდა“ (ხუბ. 301,12);

მუკირთუ დრო დო ხანქ – „გავიდა დრო და ხანი“ (ყიფშ. 56,15);

„ჯვრი დრო დუუგორუ – „ძრგი დრო მოუძებნა“ (ქაჯ. I:506)...

**2.3.** განხილული დროითი მონაკვეთებისაგან განსხვავებით, კონკრეტულად ითვლება დრო, როდესაც შესაძლებელი ხდება ენაში მისი იდენტიფიკაცია როგორც დროითი ერთეულისა, ე.ი. განისაზღვრება ლინგვისტური დროისათვის და-მახასიათებელი ნიშნებით.<sup>19</sup>

დროითი ერთეულებისათვის დამახასიათებელი საერთო ნიშნების დადგენა, ბუნებრივია, სირთულეებთან არის დაკავშირებული. ერთ-ერთ მათგანზე, კერძოდ, ადეკვატურად გაანალიზებული მასალის სიმცირეზე, ყურადღებას ამახვილებს ვ. კლაინი და გვთავაზობს მხოლოდ კარგად შესწავლილ ენათა (ბერძნულის, ლა-თინურის, ინგლისურის) ანალიზის საფუძველზე დადგენილ აუცილებელ ნიშნებს, როგორიცაა: A. სეგმენტურობა, B. ინკლუზია, C. მიმდევრობა, D. ხანგრძლივობა, E. ორიგო, F. პროქსიმალურობა, G. კვალიტატიური თვისებების არქონა (კლაინი 1994: 61-62; 2009:27-28). დასახელებული ნიშნები, მართალია, თვით ავტორისავე განცხადებით, არ შეიძლება ჩაითვალოს უნივერსალურად, მაგრამ ის სრული ინფორმაცია, რომელსაც იგი გვაწვდის აღნიშნულ ენათა მონაცემებზე დამყარებით, სერიოზული დასაყრდენია შედარებითი კვლევისათვის.

<sup>18</sup> დრო, ხანი და ჟამი სიტყვების მნიშვნელობები თვით ქართულშიც არ არის მკვეთრად გამოჯნული. ს.ს. ორბელიანის განმარტებათა მიხედვით, დრო [„ჟამთა კეთილ-ავობისა სახელი... გნა: დრო არს ანუ უდროო და ესევითარნი“ (ორბ. 4:229)] და ხანი („ჟამთ გამოყლობან“ ibid. 4:2413) უპირისპირდებინ ჟამს იმ ნიშნთ, რომ მათ არა აქვთ „საზომი“. მათგან განსხვავებით, ჟამი თვლადა, იგი დროის ნაწილია („ერთი დღე და ღამე არს ოცდაოთხი ჟამი“ ibid. 4:435). აღნიშნულ სიტყვათა სემანტიკისათვის ვრცლად იხ. აბულაძე 1988:154-164; მელიქიშვილი დ. 2009.

<sup>19</sup> დროის ამგვარი გაგება ახლოსაა ნიუტონის „რელატიურ“, „ყოველდღიურ“ დროსთან, როდესაც ეს „უკანასკნელი „აბსოლუტური, ჭეშმარიტი და მათემატიკური“ დროისაგან განსხვავებით განიხილება როგორც „რელატიური“ და „ყოველდღიური“, რომელიც არის „რამდენადმე სწნორული და გარეგანი (ზუსტი ან არამდგრადი) განსაზღვრა დიურაციისა მოძრაობის მეშვეობით და ის ჩვეულებრივ გამოიყენება ჭეშმარიტი დროის ნაცვლად; ასეთებია საათი, დღე, თვე, წელი“ (კლაინი 2009:9-10).

თუ მხედველობაში არ მივიღებთ ს ე გ მ ე ნ ტ უ რ ო ბ ა ს – დროითი კონტინუუმის დანაწევრების ანუ ტემპორალური ერთეულების დადგენის შესაძლებლობას, რომელიც უნივერსალური თვისებაა დროითი ერთეულებისათვის, მეგრულისათვის (resp. ქართველური ენებისათვის) ძირითად ნიშნებად შეიძლება ჩაითვალოს: მიმდევრობა (პოზიციურობა), ხანგრძლივობა, სიხშირე, დინების ტემპი. აღნიშნული თვისებები ენობრივად გამოხატულია ზმნისართებით.

**2.3.1.** იმ უწყეციების მიხედვით, რომელსაც ზმნისართები ასრულებენ დროითი მონაკვეთების აღნიშნული პირველ ყოვლისა, შეიძლება განვასხვაოთ ორი ჯგუფი:

1. ზმნისართები, რომლებიც საერთოა სამივე დროითი პერიოდისათვის;
2. ზმნისართები, რომლებიც სპეციფიკურია რომელიმე ერთი პერიოდისათვის.

კონკრეტული დროის გამოხატვის თვალსაზრისით, განსხვავებას ავლენენ დროითი მონაკვეთებიც. გარჩეულია აგრეთვე ორი ჯგუფი:

- a. პირველ ჯგუფში ერთიანდებიან დროის მონაკვეთები, რომლებიც კონკრეტულ დროს გამოხატავენ სხვა დროითი მონაკვეთებისაგან დამოუკიდებლად, მარტივი წინადადების ფარგლებში და, ამასთანავე, შეიძლება განისაზღვრონ მიმდინარეობის პროცესისათვის დამახასიათებელი ნიშნებით.
- b. მეორე ჯგუფს განეკუთვნებიან დროითი მონაკვეთები, რომელთა დადგენა ხდება მხოლოდ სხვა დროით მონაკვეთებთან მიმართებით. აღნიშნული მიმართებები ქმნიან დროის ღერძს, აგებენ დროით სტრუქტურებს.

**2.3.2.** დამოუკიდებელი დროის აღსანიშნავად კითხვაზე მუჟანს? „როდის, რა დროს“ გამოყენებულია პირველ (არასპეციფიკურ) ჯგუფში შემავალი ზმნისართები. აյ ერთიანდებიან საკუთრივ დროის ზმნისართები (ამდღა „დღეს“, ჭუმე „ხვალ“, წილ „წელს“...) ან დროის გამომხატველი სიტყვები ( ბორჯი, ზარხული და მისთ.) ზმნისართული ფუნქციით. ამ უკანასკნელებს დროის განმსაზღვრულად ერთვიან ჩვენებითი ნაცვალსახელები – ‘ა’თე „ამ“, ‘ე’თი, თიმ „იმ“. <sup>20</sup> მათი საშუალებით გამოიხატება კონკრეტული დრო, რომელშიც ადგილი აქვს/ქონდა/ექნება ნებისმიერ მოქმედებას: თე/თი/თიმ დროს, ბორჯის, ხანგას, უამს „ამ/იმ დროს“, თე/თი მარას „ამ/იმ კვირას“, თე/თი/თიმ დღას „ამ/იმ დღეს...“

წანა თე ბორჯის საბატონ დღას ... კარც გუვონჯანქ – „გაისად ამ დროს შაბათ დღეს ... კარს გავაღებ“ (ყიფშ. 76:31-32);

მითი ღურაშა რინას ისხუნუანს, ათაქ იქი წანა თე უძმიშაგა – „ვინც სიკვდილს ამჯობინებს, აქ იქნება გაისად ამ დროისათვისო“ (ყიფშიძე იქვე);

ხათე ოკო ბზირათ თიმ დღაში დასაბალ ფარა – „მაშინვე უნდა შევაგროვოთ იმ დღის სამყოფი ფული“ (ქხს 11:185);

ი ბორც თე როკითი სქვამი ჭყონი რდუ – „თიმ დროს ეს გამხმარი ტოტიც ლამაზი მუხა იყო“ (ქაჯ. I:254);

<sup>20</sup> აღნიშნული ნაცვალსახელები თანაბრად გამოიყენებიან როგორც სივრცულ, ისე დროით კონსტრუქციებში, გარდა თიმ ფორმისა, რომელიც მხოლოდ დროის აღმნიშვნელ სახელებთან ჩნდება. ი. ყიფშიძის მიხედვით, თიმ ფუტე შეიძლება განვიხილოთ როგორც თი ნაცვალსახელის ირიბი ბრუნვის ფორმა (შდრ. ქართ. ის – თი) (ყიფშიძე 1914:43).

ათე შვანს გერქ მოლართუ – „ამ დროს მგელი წამოვიდა“ (ხუბ. 10:7).

...თი ზოთონს დიდი თირობა ცოფე – „იმ ზამთარს დიდი თოვლობა ყოფილა“ (საუბ.).

ჩვენებითი ნაცვალსახელის ფუნქციით მოქმედების დროის აღსანიშნავად გა-მოყენებულია აგრეთვე დროის რომელიმე კონკრეტული მონაკვეთის (დილა, სა-ლამო...) ან დროსთან დაკავშირებული რაიმე რეგულარული ხასიათის – სადი-ლობა, ვახშმობა და მისთ. (ან საერთოდ ქმედების) აღმნიშვნელი სიტყვები, რომ-ლებიც საკუთრივ დროის გამომხატველ სიტყვებთან – ბორჯი, შედარებით იშვი-ათად – დრო, უამი, ხანი/ხანობა წარმოქმნიან არამეტრიკულ დროით მონაკვე-თებს: გოთანა ბორჯი „გათენების დრო, გამოწვია“, ონდღე ბორჯი „შუადღე“, ონჯუა ბორჯი „საღამო ხანი“, აკოსერუა ბორჯი „დაღამების დრო“, ოსორშობა ბორჯი „ვახშმობის დრო“, წირუა უამი „წირვის დრო“ და ა.შ.:

„ონჯუა ბორჯის ართი ჯიმა ქუმოურსუ – „საღამო ხანს ერთი ძმა მო-დის“ (ქს 11: 170);

‘თექი’ ონჯუა დროც კაკურეზი დემი მოურც – „იქ საღამო ხანს გადაბე-რებული დევი მოდის“ (ქს 11:172);

გოტება ბორჯის ჭკვერი კოჩქ ბოში ქიმიჭანუუ დო ათაშ დოზოკულუ – გაშვების დროს ჭკვიანმა კაცმა ვაჟი დაიბარა და ასე დაარიგა (ცაგ. 3); ‘ქოთომიშ სახე’ შქასერ ბორჯის ქიმუჯლონუ აჯიაქ თი ახალგაზრდას – „‘ქათმის სახე’ შუაღამის დროს გაუგზავნა აჯიამ იმ ახალგაზრდას“ (ხუბ. 220:2)...

კონკრეტული დროის დაზუსტებას ემსახურება აგრეთვე რიგობითი რიცხვი-თი სახელები: მაჟირა მარა „მეორე კვირა“, მასუმა თუთა „მესამე თვე“, მაჩხორა დღა „მეცხრე დღე“ და ა.შ.:

მასუმა სერსით ქუმურუ მასუმა ცხენი – „მესამე ღამესაც მოუყვანა მესამე ცხენი“ (ცაგ. 56);

მაჟირა ოჭუმარეს ბოშიქ შვიდობა დუჩინუ ‘ოსურს’ – „მეორე დილას ვაჟმა მშვიდობა დაუბარა ‘ქალს’“ (ხუბ. 1,7:8);

მაჩხორა დღას ქიმერთეს თუნთიშა – „მეცხრე დღეს მივიდნენ დათვთან“ (ხუბ. 10:29).

აღნიშნული მონაკვეთები შეიძლება განისაზღვრონ აგრეთვე დროის დამახა-სიათებული ნიშნებიდან (იხ. ზემოთ) – ხანგრძლივობით, შეხვედრის (გამეორების) სიხშირით, მიმდინარეობის ტემპით.

ა) დროითი მონაკვეთების ხანგრძლივობის გამოსახატავად დროის აღმნიშვნელ სიტყვებს – დრო, ხანი დაერთვის სიდიდე/სიმცირის აღმნიშვნელი ვითარები-თი ზედსართავები ან განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები. შესაბამისად გვაქვს: დიდი დრო / ხანი, ჭიჭე დრო / ხანი „მცირე დრო“, „ცოტა ხანი“, კუნტა ხანი „ცოტა (მოკლე) ხანი“, ბრელი ხანი „საკმაო ხანი“, ართი ხანი // ართ ხანობას „რაღაც ხანი//რაღაც დროს“ და ა.შ.:

ჭე სანქ მუკიილუ – „ცოტა ხანმა გაიარა“ (ყიფშ. 57,1);  
 ართი ორდოს ოზეს გინილუ – „ერთ დილას ეზოდან გავიდა“ (ყიფშიძე 23...);  
 ბრელ სანიშ გოლოფას დიდი ტაროზუბადობა მოცუნისა – „დიდი ხნის  
 გვალვას დიდი ავდარი მოჰყვება“ (ხალხ. სიბრძნე I).

თვლადი (მეტრიკული) დროითი მონაკვეთები წანა „წელი“, მარა/მარუა „კვირა“, დღა „დღე“ განისაზღვრებან რაოდენობითი რიცხვითი სახელებით: სუმი თუთა „სამი თვე“, ხუთი წანა „ხუთი წელი“ და ა.შ.:

გიშელუ ართი წანაქ – „გავიდა ერთი წელი“ (ხუბ. 219,17);

იდუ სუმ წანას დო სუმ თუთას დო ქიმერთუ – „იარა სამი წელი და  
 სამი თვე და მივიდა“ (ყიფშ. 100).

ბ) დროის მონაკვეთების გამოჩენის სიხშირე აღინიშნება ზმნისართებით, რომ-  
 ლებიც გამოხატავენ გზისობის განსხვავებულ ინტენსივობას: **ირო//ირიათო,**  
**დღამუშის,** **ოსოგ'ითე//ოსოქთე//ოსოკოთე** – „დღენიადაგ, მუდამ, სულ, ყოვე-  
 ლოვის“:

ქიანა **ირო** მითინს ვეგესქილადუნია – „ქვეყანა მუდამ არავის შერჩენიალ“  
 (ანდაზა);

ჭურა **ირო** წყარს ვემიღანს – „კოკა ყოველთვის წყალს ვერ მოიტანს“  
 (ყიფშ. 178);

აწი ისოკოთე რაგადუე, კოჩი ვადაიჯერს – „აწი სულ რომ ილაპარაკო,  
 არავინ დაგიჯერებს“ (საუბ.)...

რაც შეეხება ჯერობის ზუსტი რაოდენობის გამოხატვას თვლად დროით ერთე-  
 ულებთან, გამოყენებულია რთული ბოლოსართი -შა’ბ’ (მიმართულებითი ბრ. შა+ბ  
 თანდებული), რომელიც სივრცესა და დროში გამოიყენება ქართული -ძე  
 თანდე-  
 ბულის მნიშვნელობით (კიზირია 1982:256; გაბუნია 1993:50): შდრ. ცუდეშა’-ბ’  
 „სახლამდე“, მაგრამ გოთანაშა’ბ’ „გათენებამდე“, აკოსერუაშა’ბ’ „დაღამებამდე“,  
 ჟაშხაშა’ბ’ „კვირამდე“ და ა.შ.

თვლად დროით მონაკვეთებთან იგივე მაწარმოებელი გამოყენებულია ჯერო-  
 ბის გამოსახატავად: **აკაშა’ბ’//ართიშა’ბ’** „ერთხელ“, ჟირშა’ბ „ორჯერ“, ოშიშახ  
 „ასჯერ“, ათასიშა’ბ „ათასჯერ“...; **კალკალეშა’ბ’** „ზოგჯერ, ხანდახან“; **ბრელშა’ბ’**  
 „ბევრჯერ, მრავალჯერ“. სემანტიკურად ამავე ჯგუფში ერთიანდება აგრეთვე მოქ-  
 მედების განმეორებადობის აღმნიშვნელი ზმნისართები კინი და **ხოლო** (ერთ-ერთი  
 მნიშვნელობით) „კიდევ, ისევ, კვლავ“:

**აკაშა’ბ** გარა ქოგიკითხირუნო მუჭო რექიავა – „ერთხელ მაინც გიკითხავს  
 როგორ ხარო?“ (საუბრ.);

კოჩი **ართშა’ბ** დებადებუ დო ართშა’ბ დურუნია – „კაცი ერთხელ დაიბა-  
 დება და ერთხელ მოკვდება“ (ხალხ. სიბრძნე 70);

**კალკალეშა’ბ** ქოგაშინუ პატო-ჭყორალაში ხანა – „ზოგჯერ ახსენდება  
 ბატონჭმობის დრო“ (ქს 1,36);

**ბრელშახ** ვოპექ გაჭირებას, მარა მითინიშა ვეგემბრალებუ – „ბევრჯერ ვყოფილვარ გასაჭირში, მაგრამ სხვისთვის არ დამიბრალებია“ (საუბ.); დირთუ კონი სოდე დინორთუნი თექინების – „ვაჟი“ ისევ დაბრუნდა იქ, სადაც ჩავიდა“ (ხუბ. 3:26);

გედირთუ ბოშიქ დო კინი ულა მინდომუ... – „ადგა ვაჟი და კვლავ წასვლა მოინდომა“... (ყიფშ. 30, 22);

ქიმერთუ ზღვაშა, მარა მიდართუ, ... კინი ქომორთუ თაქ, კინი მიდართუ, კინი ქომორთუ – „მივიდა ზღვასთან, მაგრამ წავიდა, ... ისევ მივიდა, ისევ წავიდა, ისევ მოვიდა“ (ხუბ. 108:4-5);

მაჟირა დღას ოკოდუ ხოლო გამორსუკო დიდა „მეორე დღეს უნდოდა კვლავ გამოეცადა დედა“ (ქსე 11,44).

დროში მოქმედების გზისობის საპირისპიროდ, აღინიშნება სიტუაციებიც, როდე-საც გარკვეული ქმედება 1. ჯერ არ მოშედარა, მაგრამ მოლოდინი არის ან 2. არა-სოდეს მოხდება. პირველი შემთხვევა აღნიშნულია ზმნისართით დიო და დინამი-კურ ზმნებთან, ჩვეულებრივ, გამოხატულია უარყოფითი ფორმებით.<sup>21</sup> უარყოფითი მნიშვნელობა „არასოდეს“ გამოხატულია ზმნისართით დღას „დღეს“ ზმნის უარ-ყოფით და კითხვით ფორმებთან:

დიო დიდაში ბჟა გაგოსქირაფუნია – „ჯერ დედის რძე არ შეშრობია“ (ხალხ. სიბრძნე I:39;

მორაგადე დოლურუ, ნარაგადუ დღას ვალურუ – „მთქმელი მოკვდება, ნათქვამი არასოდეს მოკვდება“ (ყიფშ. 180:118);

დღას მის გუგონებუ მარგალიშ (ყაზახიშ) სამართალი, კამბეშიშ კამან-წყარი – „აბა ვის გაუგონია მეგრელის (გლეხის) სამართალი და კამეჩის ხორცის წვენი“ (ხალხ. სიბრძნე I:41)...

გ) დროის მიმდინარეობის ტემპი შეიძლება იყოს ჩქარი ან ნელი. უმეტესად გა-მოყენებულია ზმნისართები: ჩქარას „ჩქარა“, ნერას/ნერათ „ნელა, მდორედ“ (შდრ. ნერი „მდორე წყალი“), წყნარას//წყინარას „ნელა, წყნარად“, ვალიშ მამალას „ელვის სისწრაფით“.<sup>22</sup>

<sup>21</sup> ზმნისართი დიო „ჯერ“ კომბინაციაში დროის აღმნიშვნელ ზმნისართან უკული „შემ-დეგ“ გამოხატავს მოქმედებათა თანმიმდევრობას: დიო სი ეშელი დო უკული მა გიშა მიტონია – „ჯერ შექ ადა და მერე მე ამიგვანეო“ (ხუბ. 13).

<sup>22</sup> მიმართებითი დროის გამოხატვასთან სემანტიკურად ახლოს დგას აგრეთვე ზმნისართი ხათე. იგი აღნიშნავს დროს, რომელშიც სრულდება რაიმე მოქმედების მომდევნო (მას-ზე დამოკიდებული) მყისიერი ქმედება: ენა ბოშიქ ქიგეგონუნი, ხათე ... ეშელუ – „ეს რომ ვაჟმა გაიგონა, მაშინვე ავიდა“ (ყიფშ. 38,14); ნდიქ მიკორააფა დო ვიშო ეკირთუ ხათე ხოლო – „დევი მიკარებისთანავე უმალ წაიქცა“ (ხუბ. 5,4). აღნიშნული მნიშვ-ნელობით გამოიყენება ზმნისართი მალას: მუჭოთ ქეგეგუ, მალას მიდართუ – „რო-გორც კი გაიგო, მალე (უმალ) წავიდა“.

**2.4.** მეორე ჯგუფს განეკუთვნებიან დროითი მონაკვეთები, რომელთა დადგენა ხდება მხოლოდ სხვა დროით მონაკვეთებით მიმართებით. ეს უკანასკნელები გამოხატულია როგორც დროის ზმნისართებით, ისე დეიქტური და არადეიქტური, ანაფორული მიმართებით.<sup>23</sup>

იმ მონაცემთა საფუძველზე, რომელსაც გვაწვდის კონკრეტული საანალიზო მასალა, დრო მეგრულში (resp. ქართველურ ენებში) შეიძლება დახასიათდეს საერთოდ ენობრივ ასახვაში მიღებული ნიშნების მიხედვით, როგორც ერთვანზობილებაანი,<sup>24</sup> ცალმხრივად მიამრთული, უწყვეტი თანმიმდევრობა. მოცემული ანალიზი ამ ნიშანთა გათვალისწინებით არის წარმოდგენილი.

**2.4.1. ერთგანზომილებიანობა.** დროით მონაკვეთთა თანმიმდევრობაში დროითი მიმართება უმოს ადრე/უმოს გვიანო „უფრო ადრე/უფრო გვიან“ გვხვდება ნამოსა და მყოფადში. რაც შეეხება თანადროულობას, იგი ვლინდება ყველა დროით პერიოდში, მაგრამ აწმყოში, მისი სემნატიკიდან გამომდინარე, ერთადერთია.

1) **თანადროულობა,** როგორც ტემპორალური მიმართების ფორმა, გამოხატავს მოვლენათა მიმდინარეობას ერთსა და იმავე დროში, თუმცა ამ დროის საზღვრების ზუსტად დადგენა საკმაოდ რთულია: იგი მოიცავს განსხვავებულ სიტუაციებს, რომლებშიც ერთი და იმავე საშუალებებით აღინიშნება როგორც დროითი ონტერვალების სრული (I) ან ნაწილობრივი (II) დამთხვევა, ისე სიტუაციებს, როდესაც ინტერვალები, ფაქტობრივად, არ ემთხვევიან ერთმანეთს, თუმცა მოიაზრებიან ერთ დროით სივრცეში (III).<sup>25</sup>

თანადროულობა მეგრულში გამოხატულია გრამატიკულად, ძირითადად სინტაქსურად. შეიძლება ვილაპარაკოთ მორფოლოგიურ გამოხატვაზეც.<sup>26</sup>

სინტაქსურად თანადროულობა რეალიზდება როთულ ქვეწყობილ წინადადებაში, სადაც მთავარ წინადადებაში გამოხატული მოქმედების დრო, კითხვებზე მუჟანს, მუ დროს//მუდოს, მუ ბორჯის „როდის?“, სიიშაზ „სანამდე“, მუჟანიშაზ, სინდარო „რა დრომდე“, მუჟანიშე „რა დროიდან“ და ა.შ., ზუსტდება დაქვემდებარებულ წინადადებაში შესაბამისი მიმართებითი ზმნისართებით: მუჟანისთ

<sup>23</sup> ანაფორული რელატუმი ემყარება არა დეიქტურ ცენტრს, არამედ ანაფორულს. ანაფორულია რელატუმი, ანუ ნებისმიერი დროითი მონაკვეთი, რომელთან მიმართებითაც განისაზღვრება სხვა დროითი მონაკვეთები (კლაინი 2009:34-35).

<sup>24</sup> დროის ერთგანზომილებიანობისათვის მეგრულში იხ. აგრეთვე გაბუნია 1993:135.

<sup>25</sup> საკითხზე სპეციალური მსჯელობა ივარაუდება ცალკე. აქ მხოლოდ დასახელებულია რამდენიმე ტიპური შემთხვევა.

<sup>26</sup> იყულისხმება აწმყოსა და მყოფადში გამოყენებული აღწერითი ფორმები – აწმყოს კავშირებითი + იცუაფე//იციი „იქნება“ წარმოება, რომელსაც ყიფშიძე თვლიდა „აწმყო-მყოფადის“ ფორმებად (ყიფშიძე 1914:059). უფრო გვიან აღნიშნული ფორმები მხნეულ იქნა მყოფადი უსრულის ფორმებად (მარგელაშვილი 1980:164, ჭუმბურიძე 1986:138). აღნიშნული წარმოება აწმყოში გამოყენებულია მოქმედების თანადროულობის აღსანიშნავად: ასე თინა მიშას იცუაფე – „ახლა ის მიდიოდეს იქნება“; თინეფი ასე ოსორშოს მიეკუთხდან იცუაფე – „ისინი ახლა ვახშამს უსხედან იქნება“ (მდრ. ქართ. ახლა ისინი შეა ვახშმობაში იქნებიან).

„როდესაც“, თეიშან „მანამდე“ და ა.შ. (დაწვრ. იხ. კიზირია 1982:252-272; ლომია 2005:66-89). დროის დაზუსტების ფუნქციით გამოყენებულია აგრეთვე თე/თი/თიმ ჩვენებითი ნაცვალსახელები, რომელთაც ერთვის სივრცეში თანაობის აღმნიშვნელი თანდებული წეუმა//წელა/წკალა „თან“.<sup>27</sup> წარმოქმნილი ზმნისართები ა'თეწკუმა, 'ე'თიწკუმა, თომ-წკუმა/კელა/წკალა წევრ-კავშირის ფუნქციით გვხვდებან მთავარ წინადადებებში და გამოხატავენ ფარდობით დროს, რომელიც თანადროულია დაქვემდებარებულ წინადადებაში აღნიშნული მოქმედების დროისა. ამგვარად გვაქვს:

- (I) მუჟანსითი ირი კოც რხინი უღუდუნი, ხეწიფექ ზოჯუ მხიარულება – „როცა ყველას ლხინი ჰქონდა, ხელმწიფემ მხიარულება ბრძანა“ (ქხს:II, 308, 31-32);  
 მუ დროს სი ვავორწყებინი, მისხუნ რინაშა დინაფა მისხუნუ – „როდესაც (რა დროსაც) შენ ვერ გხედავ, ყოფნას მირჩენია დაკარგვა“ (ხუბ. 329:10);  
 სონდარო თენენს ჟირხოლოს ვაბძირუნქუნი, სი შური გადგვენუნია დო  
 მა მითინც ოსურო ვავაცუნუქია – „სანამ ამათ ორივეს არ ვნახავ, შენ  
 ცოცხალი იქნები და მე არავის ცოლად არ გავყვბიო“ (ქხს:II, 174,15);  
 ათე კოჩი ღურული ღური, თიწკუმა გიასიზმარუ მუდგაქირენი – „ეს კაცი  
 მკვდარი რომ იყო, მაშინ დაესიზმრა რაღაც“... (ხუბ. 169, 28)...  
 (II) მა ცვანას ფხაჩქუნდი, მუდოსით ოსურქ ქომმაკითხუ დო მიწუ... –  
 „მე ყანას ვთოხნიდი, როდესაც ცოლმა მომაკითხა და მითხრა“ (საუბ.);  
 (III) ოსურქ კითხუ, მუჟანსით კოჩქ გაათუ რაგადინი – „ქალმა ჰკითხა, როცა  
 კაცმა გაათავა ლაპარაკი“ (ხუბ. 17:11);  
 ნამუ შეანს გვერშაპი დოკვილულუსუნი, ე ძლაბიქ გეხარუ – „როცა  
 გველეშაპი მოკლეს, ამ გოგომ გაიხარა“ (ქხს:II, 102, 33-34);  
 მუ ბორჯის ქუმნომსხაპანქიუ, ეფერი-ეფერი მართახი ქეგიმაშქვია, ნამდა  
 ართი შორტი ტყები ართი ცურუ გემონწყია – „როცა / დამასტებიო,  
 მათრახი ისე („ისეთ-ისეთი“) დამარტყიო, რომ ერთი შოლტი ტყავი ერთ  
 მხარეზე ამბვრესო“ (ქხს:II, 54, 23);  
 შემოსავალს ქიმიღანსინ, თიწკუმა მაჩქვენუ მუ რე –  
 „შემოსავალს რომ მოიტანს, მაშინ მეცოდინება რა არის“;  
 კიბოს მუჟამს დოჭუნანი, ფერი თიწკუმა მალენია – „კიბოს რომ  
 შეწვავენ, ფერი მაშინ მოუკაო“ (ხალხ. სიბრძნე:67,593 )...

აღნიშნული მიმართებები (ისევე როგორც მათი სივრცული კორელატები) მოქმედებენ ენის ყველა დონეზე და კლინდებიან ნებისმიერ მიმდევრობებში, დაწყ-

<sup>27</sup> აღნიშნული თანდებულებისათვის ამოსავლად მიჩნეულია კუმა/კელა/კალა ფორმები, რომლებმაც ნათესაობითი ბრუნვის შელემნტთან კომბინაციით მოგვცა წ. (კიზირია 1982:242).

ებული უმარტივესი ფონემური კომბინაციებიდან, დამთავრებული გრამატიკულ დროთა მიხედვით განსხვავებული ხანგრძლივობის მონაკვეთებით. მაგრამ არსებითაა, რომ ყველა შემთხვევაში ისინი გამოხატავენ მხოლოდ დროის ერთ ისარს – პორიზონტალურ მიმართულებას.

**2.4.2. ცალმხრივი მიმართულება.** ზემოთ (1.2.2.) აღნიშნული იყო, რომ დროის მიმდინარეობა, როგორც პროცესი, გულისხმობს დროის ისარს – მოძრაობის ცალმხრივ მიმართულებას, რომელიც ენობრივ ასახვაში გამოიხატება მიმდევრობით წოხოლე/უკახალე „წინ/უკან“. სივრცეში აღნიშნული მიმდევრობა გულისხმობს პოზიციებს, რომლის მიხედვით ყოველი მონაკვეთი შეიძლება უკან მიჰყებოდეს რომელიმე მონაკვეთს და იმავდროულად წინ უსწრებდეს რომელიმე სხვა მონაკვეთს. აღნიშნული თანმიმდევრობა ენობრივად გამოხატულია პორიზონტალური მოძრაობის აღმნიშვნელი ზმინიშინებით – ეწო „წინსწრება“, ეპო „უკან მიყოლა“:<sup>28</sup>

ეწოცუნს/ეკაცუნს – „წინ მიუძღვის/უკან მიჰყება“ (აწმყო)  
ქეწაცუნუ / ქ'ეკაცუნუ – „წინ გაუძღვა/უკან გაჰყება“ (აორისტი)  
ქეწაცუნუ/ქ'ეკაცუნუ – „წინ გაუძღვება/უკან გაჰყება“ (მყოფადი)

თუ ამ მოძრაობას განვიხილავთ დეიქტურ სივრცეში, მაშინ იგი შეიძლება წარმოვადგინოთ ორ ეტაპად – 1. უკანა სივრციდან აშო „აქეთ“ დეიქტური ცენტრისაკენ (მე-სგან) და 2. ამ ცენტრიდან (მე-სგან) საპირირისპირო მიმართულებით – ‘გ’იშო „იქით, წინ, წინისკენ“.

პირველ მიმდევრობაში, მე-ს პოზიციიდან, ყოველი სეგმენტი, რომელიც სივრცეში მოხდებს სხვა სეგმენტს, ვიზუალურად განისაზღვრება როგორც უკახალენი „უკანა“ და მისი ადგილიც შესაბამისად აღინიშნება ზმინისართით – „უკახალე „უკან“, ე.ი. დეიქტური ორიგოდან „უფრო შორს“. პირიქით, სეგმენტი, რომელიც წინ მოუძღვის მეორე სეგმენტს, განისაზღვრება როგორც წოხოლენი „წინა“ და მისი ადგილიც შესაბამისად აღინიშნება ზმინისართით წოხოლე „წინ“, ე.ი. ცენტრთან „უფრო ახლოს“. მეორე შემთხვევაში (‘გ’იშო) სივრცული მიმართება წინ-უკან უცვლელად არის შენარჩუნებული, მაგრამ შეცვლილია დამკვირვებლის პოზიციიდან სიშორე-სიახლოვის შეფასება: ის მონაკვეთი, რომელიც არის უკან, ე.ი. უკახალენი „უკანა“ უფრო ახლოსაა მასთან, ვიდრე წინა „წოხოლენი“, რომელიც ცენტრიდან უფრო შორს თავსიდება. (მდრ. მო-ურს აშო „მოდის აქეთ, დეიქტური ცენტრისაკენ“/ მე-ურს ‘გ’იშო „მიდის იქით, ცენტრიდან“).

ეს ვითარება გამოსახულია წარმოდგენილი სქემით, სადაც ისრებით გამოხატულ მიმართულებაში ვიზუალურად განსხვავებული წინა (უფრო დიდი ფიგურები) და უკანა (უფრო პატარა ფიგურები) გამოხატავენ სივრცითი მონაკვეთის პოზიციას დეიქტური ორიგოს მიმართ:

(წარსული) .... > > > > > > > > > > > > .... (მომავალი)

<sup>28</sup> ეკო- ზმინიშინი ვერტიკალურ სივრცეში გამოხატავს მოძრაობას ქვევიდან ზევით დამრეციბრტყეზე, მაგ., აღმართზე (მდრ. ანტონიმი დიკო-).

შებრუნებული სურათია წარმოდგენილი დროით სივრცეში. აღნიშნული მი-  
მართებები, ორიენტირებულები აწმყოზე, როგორც დეიქტურ ორიგოზე, შესაბამი-  
სად ემყარებიან კონცეპტებს უმოს ადრე „უფრო ადრე“/უმოს გვიანო „უფრო  
გვიან“, „შემდეგ“. თანმიმდევრობის თვალსაზრისით, ეს არის პოზიცია წოხოლე-  
/უკასალე „წინ/უკან“. მაგრამ დამგვირვებლისათვის აშო „აქეთ“ მიმართულების  
დროს პოზიცია უფრო ადრე, ე.ი. წოხოლე „წინ“ მოთავსებულია მისგან უფრო  
შორს, ხოლო უფრო ახლოს მყოფი მოვლენების პოზიცია უმოს გვიანო განი-  
საზღვრება როგორც უფრო ახლოს. ანალოგიური სიტუაციაა დამგვირვებლისაგან  
ვიშო „იქით“ მიმართულების შემთხვევაშიც, როდესაც დროითი მონაკვეთების პო-  
ზიცია უმოს ადრე ანუ წოხოლე „წინ“ განისაზღვრება როგორც უფრო შორს,  
ხოლო უკასალე – როგორც უფრო ახლოს (შდრ. კვირა დღის პოზიციიდან გან-  
ხილული პარასკევი, რომელიც დროით მიმდევრობაში უფრო ადრეა, ვიდრე შაბა-  
თი, მოთავსებულია უფრო შორს, ხოლო შაბათი, დროით მიმდევრობაში უფრო  
შორეული, უფრო ახლოს). შესაბამისად, სქემა ასეთ სახეს იღებს:

(წარსული) .... > > > > > **აწმყო** > > > > > .... (მომავალი)

**2.5. უწყვეტობა.** ზემოთ განხილული იყო დროითი მიმართებების ხასიათი  
ცალკეული პერიოდების მიხედვით. მაგრამ როცა ლაპარაკია დროის უ წ ყ ვ ე -  
ტ ო ბ ა ზ ე, პირველ ყოვლისა, ეს ექება ძირითადი დროითი პერიოდების –  
წარსული, აწმყო, მომავალი – მთლიანობას, ანუ დროის დინების უწყვეტობას. ეს  
არის დეიქტური პრინციპით აგებული სივრცე დეიქტური ცენტრით ასე „ახლა“.<sup>29</sup>

აღნიშნულ მიმდევრობაში ათვლა იწყება მოლაპარაკე პირისათვის ანუ აწ-  
მყოს დროული ვითარებით, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება წარსული –

- 
- <sup>29</sup> აღნიშნული დროითი თანმიმდევრობა მეტყველებაში ირღვევა, როდესაც აწმყოს ფორმა  
იცლება დროითი შინაარსისაგან და შეიძლება უდროო ფორმად მოგვევლინოს. იგული-  
სხმება „ისტორიული აწმყოს“ (vivid narration) შემთხვევები. ა. შანიძე აწმყოს ჩარჩო-  
ებიდან გასვლის რამდენიმე გზას განიხილავს (1973:203-204), რომელთა შიხედვით  
მეგრულში ასეთი ვითარება წარმოგვიდგება:
- ა) მეგრულში აღნიშნული „უდროობის“ გამოხატვის ერთ-ერთი საშუალებაა გილა- ზმნი-  
სწინი, რომელიც პრიზიტატულურ სივრცეში აღნიშნავს უმისამართო სიარულს, აქტო-  
იქტ ხეტიალს, მაგრამ ამასთანვე გამოხატვას მუდმივად მიძინარე, სისტემატური ხასი-  
ათის მოძრაობებს: ჩიტი ჰაერს გილა-ფურინუნს „ჩიტი ჰაერში დაფრინავს“ და მისთ.
  - ბ) აწმყოს ფორმები გამოყენებულია ნაყოფ დროის ფორმათა გვერდით თხრობის დროს:  
ტყას მითოვხედი დო მიკივვინი, ამარ ვამურსო თუნთი – „ტყეში ვიჯექი (ვიყავი) და  
მივიხედე, აგერ დათვი არ მოღის?!”;
  - გ) შანიძე ლაპარაკობს იმ შემთხვევებზედაც, როცა ზოგჯერ ფორმობლივი ზღვარი იშ-  
ლება მომავალობაც, შდრ. ამდღა თაქ ვორუქ ჭარე თექ ვორუქ – „დღეს აქ ვარ,  
ხვალ იქ ვარ“;
  - დ) დროებს აერთიანებს აგრეთვე შესაბამისი სემანტიკის ზმნისართები. მეგრულში ასეთია  
ზმნისართი ირთ „ყოველთვის“, „მუდან“: რომელიც თავსდება აწმყოს ფორმებთან და  
ზოგადი აწმყოს მნიშვნელობით ქმნის უწყეტობის განცდას: ირთ ვმუშენქ, ვგილურქ,  
მლურს ... „ყოველთვის ვმუშაობ, დავდივარ, მძინავს“ ...

დრო, რომელიც წინ უსწრებდა „ასე“-ს და **მომავალი** – დრო, რომელიც მოსდევს „ასე“-ს. ასე შეიძლება იყოს წარსულისა და მომავალის ნებისმიერი დროითი მონაკვეთი, რომელიც მოლაპარაკე პირის თვალსაზრისით მიჩნეულია როგორც **ახლანდელი:** ასე „ახლა“, ამჭუანი „ამ დილით“, ამდღა „დღეს“, ამსერი „ამ საღამოს“, წილ „წელს“...

აღნიშნული სამწევრა ოპოზიციაც შეიძლება წარმოვადგინოთ ორი ურთიერთდაკავშირებული ბინარული ოპოზიციის სახით: 1. **წარსული** – აწმყო; 2. **აწმყო – მყოფადი.** ორივე შემთხვევაში დეიქტური მიმართება ვლინდება დღეებსა და წლებში, ყველაზე მცირე და ყველაზე დიდ ტემპორალურ მონაკვეთებში. დეიქტური მიმართების აღსანიშნავად გამოყენებულია დროის ზმინისართები: მარტივები (თუ ასეთები დადასტურებულია ენაში) ან წარმოქმნილები, რომლებიც თავის მხრივ იწარმოებიან სივრცის აღმნიშნებილი გო- და გე- ზმინისწინებისგან; ორივე შემთხვევაში აღნიშნულია ათვლის წერტილიდან დაშორების, პროქსიმაციის, მხოლოდ ორ-ორი საფეხური, რომელთაგან პირველი დეიქტურია, მეორე კი – არადეიქტური, ანაფორული. ამგვარად გვაქვს:

**წარსული – აწმყო.** წარსული დროის ზმინისართების საწარმოებლად გამოყენებულია გო- ზმინისწინი, რომლითაც პორიზონტალურ სივრცეში გამოხატულია:

1) წრიული მოძრაობა, მოქმედება რაიმეს გარშემო (გო-ლაფა „ორგვლივ შემოვლა, შემოვლება“); 2) სწრაფი, მყისიერი მოძრაობა რაიმე პუნქტიდან წინ, ადგილიდან გასვლა (გო-ლაფა „გავარდნა, ადგილიდან მოწყვეტა“). დროის აღმნიშნელ სიტყვებთან გო- გამოყენებულია მეორე მნიშვნელობით – „ადგილიდან გასვლა“.

ა) პირველი საფეხური, უახლოესი პოზიცია, განისაზღვრება დეიქტურ ცენტრთან ასე „ახლა“ – მიმართებით. ასე განსაზღვრავს წარსული დროის აღმნიშვნელი ზმინისართების მნიშვნელობას როგორც უმოს აღრე „უფრო ადრე“, ე.ი. მიმდინარეობის პროცესში – წოხოლე „წინ“, „ანუ ისინი გამოხატავენ დროს, რომელიც უშაულოდ წინ უსწრებდა დეიქტურ „ახლას“: რაც დღევანდელთაან მიმართებით გამოდის „გასული დღე“, „წინა დღე, გუშინ“. ამგვარად გვაქვს:

**გოლა < გო- და (< დღა „დღე“), ე.ი. გასული დღე, ანუ დღე,**

**რომელიც წინ უსწრებდა დეიქტურ „ახლა-ს“: „, ე.ი. „გუშინ“.**

ბ) მეორე საფეხურიც გამოხატავს გასულ დროს, მაგრამ ორიზნტირებულია არა დეიქტურ ცენტრზე, არამედ უკვე სხვა ცენტრზე – **გოლა „გუშინ“** და უკავია პოზიცია – გუშინდელზე წინ, გუშინდელზე უფრო ადრე, გუშინდღლამდე. შესაბამისად, იყი გამოხატულია არა დეიქტური, არამედ ანაფორული ზმინისართით: **გოლაწოხ < გოლა + \* შ (ნათ. ბრ.) + წოხ < წოხოლე „წინ“ – „გუშინ(ის) წინ“, ე.ი. დრო გუშინდელზე უფრო ადრე, მასზე წინ.**

ანალოგიური სურათია **წანა „წელი“** მონაკვეთის შემთხვევაშიც:

ა) პირველი საფეხური წილ < \*წუ (ჩიქობავა 1938:205)) „წელს“ განისაზღვრება როგორც დეიქტურ ცენტრთან უახლოესი პოზიცია:

**გოწოს < გო + წო (< \*წუ „წელს“) + ს (მიც. ბრ.) – წლევანდელთან მიმართებით „გასულ წელს“, „შარშან“.**

- ბ) მეორე საფეხური განისაზღვრება არა უშუალოდ წი „წელს“ პოზიციასთან მიმართებით, არამედ ანაფორულად, შარშანთან მიმართებით, როგორც შარშანდელზე უფრო ადრე, მასზე წინ:

**გოწოხ < გოწო + ხ (=თანდ. -მდე – „შარშან(-ის)წინ“, „შარშანდლმდე“).**

წარსულის აღმნიშვნელ სხვა ზმნისართებიდან წარმოდგენილია როგორც დეიქტური ასეშახ < ასე „ახლა“ + შა (მიმართ. ბრ.) + ხ თანდ. -მდე – „აქამდე, ამ დრომდე“, ისე არადეიქტური, მაგრამ ამ პერიოდისათვის სპეციფიკური ზმნისართები – ადრე, კინოხ – ადრე, უწინ, წინათ; წიმოხ, წიმახ, ოწმახ – ადრე, წინათ, პირველად, თავდაპირველად, წინასწარ, წინდაწინ; ჯვეშო „ძველად“, მითაქამს – ოდესლაც, ძველად, უხსოვარ დროს.

მუზარბიშ ღურაქ ახიოლუ იში ოსურცუ, თეშენი ნამუდა ბრელი ხანი დუკაუნდემიშა გური აფულენი, მარა ასეშა მუთა აქიმინედუ – „მუზარბის სიკვდილი გაუხარდა მის ცოლს, რადგან დიდი ხანი იყო რომ კაუნდევი მოსწონდა, მაგრამ აქმდე ვერაფერს იზამდა“ (ქხს II, 380);

**აწმყო – მყოფადი.** მიმართება უმოს ადრე / უმოს გვიანო ენობრივად გამოიხატება მომავლის აღმნიშვნელი ზმნისართებით, რომელთა ორიენტირებიც განსხვავებულია პროქსიმაციის საფეხურების მიხედვით, მაგრამ ზმისართები ყველა შემთხვევაში გამოხატავენ უკული „შემდეგ, მერე“ მნიშვნელობას. პირველი საფეხური აღინიშნება სპეციალური ლექსემებით, მეორე საფეხურის ზმნისართითა საწარმოებლად გამოყენებულია გე- ზმნისწინი, რომელიც სივრცულ სტრუქტურებში აღნიშნავს:

1. ვერტიკალური მიმართულების აღმნიშვნელ ზმნებთან – მოძრაობის დასრულებას რაიმე (სწორ) ზედაპირზე: გე-დვალა „დადება რამე-ზე“. გე-ნთხაფა „დაცემა, დავარდნა რამე-ზე...; 2. ჰორიზონტალური მიმართულების აღმნიშვნელ ზმნებთან – ვინეს, რამის უკან მიყოლას, მიდევნებას: გე-თხოზინი „უკან მიდევნება“. დროის აღმნიშვნელ სიტყვებთან იგი გამოყენებულია მეორე მნიშვნელობით. ამგვარად:

- ა) პირველი საფეხურის დროითი მონაკვეთები – „შემდეგი დღე“ და „შემდევი წელი“ ორიენტირებული არიან დეიქტურ ცენტრზე – ასე „ახლა“. შესაბამისად მათი მნიშვნელობა განისაზღვრება როგორც დრო, რომელიც უშუალოდ მოსდევს ასე-ს: ჭუმე/ჭუმან „ხვალ“, „დღეის შემდევი დღე“, „მომდევნო დღე“;
- ბ) მეორე საფეხური გელან „ზეგ“ < გე + ღა (< დღა) + ხ (მაწარმ. შდრ. ჭუმან) – ე.ი. ხვალის შემდეგი, ხვალის მომდევნო.<sup>30</sup> გამოხატულია არადეიქტური, ანაფორული ზმნისართით.

<sup>30</sup> გამოთქმულია მოსაზრება, რომ „ქართულ ენაზე მოლაპარაკეთათვის დამახასიათებელი ჩანს აგრეთვე დროის ღერძის ვერტიკალური წარმოდგენაც“ (აბულაძე 1986:9). მაგრამ ენობრივი მასალა, რომელსაც ემყარება აღნიშნული დებულება, ამას არ აღასტურებს. სახელდობრ, ამ მიზნით განხილული ლაზური გენდლანი „ზეგ“, ისევე როგორც მნიშვნელობით და მორფომული შედგენილობით იდენტური მეგრული გელანი „ზეგ“ (მთ შორის განსხვავება მხოლოდ ფონეტიკურია), სრულიად აშკარად თავსძება დროის ჰორიზონტალური ღერძის გასწვრივ (იხ.ზევით). ანალოგიური სურათია ქართულშიც. ხვალზევით

2. ანალოგიურია ვითარება **წანა „წელიწადი“** შემთხვევაშიც:
- პირველი საფეხური წარმოდგენილია დეიქტური ზმნისართით: **წანას < წანა „წელი“ + ს (მიც. ბრ.) – „წლევანდელის შემდეგ წელს“, „გაისად“;**
  - მეორე საფეხური გეწანას < გე + წანას „გაისის შემდეგ წელს“, წარმოდგენილია არადეიქტური, ანაფორული ზმნისართით.

სპეციალურად მომავლის აღმნიშვნელია ზმნისართები: დეიქტურები – **აწი/აწი „აწი, „წინ“, „დღეის ამას იქით“, „ამიერიდან“, „მომავალში“; ჰუმე „ხვალ“, წანას „გაისად“;**

დროთი მონაკვთების აღმნიშვნელი სხვა ზმნისართები: **გედან „ზეგ“, „გეწანას“, „გაისის შემდეგ წელს“; წიმი „წინ“, „შემდგომ“, „მომავალში“; უკული „შეძეგ“, „მერე“; გვიანო „მერე“, „შემდეგ“;**

### 3. მეტრიკული დრო

**3.1.** დროის ზემოგანხილული მონაკვეთებისაგან განსხვავებით, დროის მეტრიკული მონაკვეთები აღნიშნავნ არაფარდობით, თვლად ერთეულებს – წელი, არე, თვე, კვირა, დღე. ისინი წარმოგვიდგებიან როგორც დროით ბუნებრივ მოვლენათა რიტმულ ცვალებადობაზე დამყარებული დროითი ერთეულები, რომელთა რიგი, ჩვეულებრივ, თავისუფალია და შეიძლება დამოკიდებული იყოს გარეგან, კონვენციურ, ფაქტორებზე (შდრ. წლის დასაწყისი თვის ვარიანტები სხვადასხვა კულტურაში და მისთ.). ქვემოთ წარმოდგენილია მიკროციკლური დროითი მონაკვეთები შემადგენელი კომპონენტების იმ თანმიმდევრობით, როგორც ეს მიღებულია მოცემულ კულტურულ-ენობრივ საზოგადოებაში.

#### წანა „წელი“

**3.2.** კონკრეტულ დროთა შორის, რომლებიც მეგრულში გამოხატულია როგორც დამოუკიდებელი დროითი ერთეული, ყველაზე დიდია **წანა „წელი“**,<sup>31</sup> რომელთან მიმართებითაც განისაზღვრება დროის სხვა მონაკვეთები – წლის დროები, თვეები, დღეები.

„ზეგ“ ფორმაში „ზევით“ იმავე სივრცით განზომილებაში მოიაზრება, რომელშიც თავს-დება დღეს, ხვალ (იხ. შანიძე 1973:590). ამასვე ადასტურებს ზედ, ზედა ზმნისართითა მნიშვნელობა ძველ ქართულში. საბას განმარტებით, ზედ ნაშავს „კიბეთა, ხეთა, ერდოთა ასვლასა და ესევითარსა, ანუ ფერხით რაზედაც შეჰდეს, ანუ ზეიდამ რამე რას(ა)ც დაადგა, განა თანამობმულსა რასმე ზედ კიტჭით (ორბ. I:282). თანაბმა, თავის მხრივ, განმარტებულია როგორც „მიბმა“: „თანაპევეს ორნი ცხენი: ერთსა ზედა თვით მჯდომარე იყო მწენე მკედარი ქრისტესი და ერთი თანაბა“ (სარჯველამე 1995:86). ზედა-აღნიშნული (მესამე) მნიშვნელობა იგულისხმება აგრეთვე ძველ ქართულ ლექსემბმში: ზედა-დართვა „შემატება, დამატება“, ზედა-მძღვობა „მისვლა“, ზედა-მიწვნა „შენება, შეტყობინება“, ზედ-მიხლობა „თავდასხმა“ და მისთ. (აბულაძე 1973:164).

<sup>31</sup> მეტყველებაში გვხვდება ქართული მეტრიკული ერთეულიც, საუკუნე = 100 წ., მაგრამ იგი მეგრული კალენდარული სისტემის ერთეული არ გამხდარა. წელთა სიმრავლის აღსანიშნავად გვხვდება საკუთრივ მეგრული არამეტრიკული ზმნისართი ირო „მუდამ, მარადის“ და მისგან ნაწარმოები ფორმები – იროიანი „მუდმივი, მარადიკული“ და იროიანობა „მუდმივობა, მარადისობა“.

დროის წლებად დაყოფის ისტორია ათასწლეულებს ითვლის. მეტრიკულ დროით ერთეულად მისი გამოყოფა დაკავშირებულია ბუნებრივ მოვლენათა რიტ-მულ ცვალებადობასთან (მზის უმაღლესი და უდაბლესი მდებარეობა, მთვარის მიმძევება, წელიწადის დროთა მონაცემებია, ვარსკვლავების პერიოდული გაქრობა და გამოჩენა და მისთ.), რაც უძველესი დროიდანვე მათზე უშუალო დაკვირვების შესაძლებლობას იძლეოდა. წელიწადის ერთ-ერთი ადრინდელი სისტემა, რომელიც შემდეგში წინა აზის ქვეყნებშიც გავრცელდა, შექმნილია მესოპოტამიურ კულტურაში. ეს იყო მთვარის წელიწადი – 360-დღიანი, თორმეტოვანი, თითოეული ოვე 30 დღით (კლოჩკოვი 1983:12).

ქართველურ ენებში წელიწადის სისტემამ თანამედროვე ვითარების დამკვიდრებამდე სერიოზული ცვლილებები განიცადა. ითვლება, რომ ქართველურ სამყაროშიც თავდაპირველად წელიწადი მთვარის (ქართველური მოდგმის ხალხთა უზენაესი ღვთაების (თუთა, თთუე) მიმოქცევაზე უნდა ყოფილიყო აგებული. მთვარის წელიწადს შემდეგში ჩაენაცვლა (საგარაუდოდ ძვ. წელთაღიცხვის დამლევისათვის ან ახლის პირველ საუკუნეებში) 30-დღიანი 12 თვისაგან შედგენილი მზის მოძრავი წელიწადი, რომელიც (თვეთა სახელწოდებების მიხედვით) საქართველოში წინა აზიდან (ირანულისა და სომხურის გზით) ჩანს შემოსული. უფრო გვიან (საფიქრებელია ქრისტიანობის დამკვიდრებამდე) არსებული კალენდარი შეცვალა რომაულმა (იულიუსის) 365-366-დღიანმა კალენდარმა (კეკელიძე 1956:101 და შემდ.), რომლის შემოღებასთან ერთად საქართველოში მკვიდრდება ამჟამად მოქმედი მზის უძრავი წელიწადის სისტემა, თვეთა თანმიმდევრობასა და სახელწოდებებში გარკვეული ცვლილებებით (იხ. თუთა „თვე“). მეგრული სახელწოდება წანა „წელი“ ქართულ-ზანურ ერთიანობის პერიოდს განეკუთვნება (კლიმ. 1964:212-213). წელთა სიმრავლე გამოიხატება რაოდენობითი და განუსახლვრელობითი რიცხვითი სახელებით: ხუთი წანა „ხუთი წელი“, ვითი წანა „ათი წელი“, ოში წანა „ასი წელი“, ბრელი წანა „მრავალი წელი“. მხოლოდ ერთი წლის მნიშვნელობით გვხვდება წამოწანა, რომელიც რაოდენობის განმსაზღვრელ რიცხვით სახელს არ საჭიროებს: წამოწანაქ მიკითლუ „ერთი წელი გავიდა“.

### წლის დროები

**3.3. წლის შემადგენელი ე.წ. სეზონური დროითი მონაკვეთები – არები მეგრულის თანამედროვე მეტრიკულ სისტემაში წარმოდგენილია ოთხარიანი სისტემით:<sup>32</sup>**

**ზაფხული//ზარხული//ბზარხული „ზაფხული“**

**ზოთონჯი „ზამთარი“**


**გაზაფხული // გაზარხული, აფუნი „გაზაფხული“**

<sup>32</sup> ძვ. ქართულში არე გვხვდება როგორც საკუთრივ გაზაფხულის, ისე საერთოდ წელიწადის დროთა აღსანიშნავად (ჭუმბურიძე 1988:93-96). ამ უკანასკნელი მნიშვნელობით მას იყენებდა ივ. ჯავახიშვილი (1950:151 და შემდ.).

## დამორჩილი, მუჯლირი „შემოდგომა“

როგორც დროთა სახელწოდებებიდან ჩანს, ძირითადი ოპოზიციური დროები, რომელთაც შესაბამისად მინიჭებული აქვთ დამოუკიდებელი სახელწოდებებიც, არის „ზარხული vs ზოთონჯი – „ზაფხული vs ზამთარი“ (მარი, ჯავახიშვილი). მათ შორის დაპირისპირება ემყარება მკვეთრად გამოხატულ კლიმატურ მახასიათებლებს – სიცხვე vs სიცივე. ძირითად არეთა კავშირი კლიმატურ ფაქტორთან ჩანს მათ აღმნიშვნელად გამოყენებულ სახელწოდებებშიც (ჭუმბურიძე 1988:91). რაც შეეხება გაზარხულსა და დამორჩილს, ისინი ზამთრიდან ზაფხულისაკენ და ზაფხულიდან ზამთრისაკენ გარდამავალი პერიოდის არებია, რასაც გვაფიქრებინებს მათი კლიმატური თვისებურებები: გაზაფხულზე ზამთრის თვისებებიდან თანდათანობით ხდება გადასვლა ზაფხულიკენ, ხოლო ამ უკანასკნელიდან მისი თვისებების შესუსტებასთან ერთად ძალას იკრებს ზამთარი.<sup>33</sup>

ზემოთქმულის შესაბამისად არეთა მონაცელების წლიური ციკლი შეიძლება გამოიხატოს შემდეგი სქემით:



ძირითად არეთა აღმნიშვნელ გარდამავალი პერიოდების სახელწოდებებიდან მეგრული გაზარხული//გაზარხული „გაზაფხული“ ქართულიდან გვიან შესული სიტყვაა, რაც ნიშნავს ზაფხულის დაწყებას, გაზაფხულებას (აფრიდონიძე 1980:88-89). ამ მნიშვნელობას უსვამს ხაზს ჯავახიშვილიც (1950:153)). მეორე სახელწოდება აფუნი, რომელიც მხოლოდ სამურზაყანულშია გავრცელებული, გაზაფხულის მნიშვნელობით აფხაზურიდან არის შესული (ჭარ. 37; ყიფშ. 228).

**დამორჩილის „შემოდგომის“** აღმნიშვნელი საკუთრივ მეგრული სიტყვისათვის შემოთავაზებულია განსხვავებული ეტიმოლოგიები:

1. **დამორჩილი** < ქართ. და-მორჩვა „ფოთლებისაგან, ტოტებისაგან გაწმენდა“ (ყიფშ. 1914:228).
2. **დამორჩილი** < მეგრ. დღა მორჩილი „დღე მოკლე“ (გ. როგავა). თუ გავთვალისწინებთ, რომ დამორჩილის სინონიმებად გამოყენებული სახელწოდებები ძი-

<sup>33</sup> გამოთქმული მოსაზრება სავსებით ეხმაინება გრ. ნაზიანზელის XII-XIII საუკუნეში გადაწერილი ხელნაწერის ქართველი მთარგმნელის კომენტარს „რომელობისამებრ უამთაისა და მოქცევისაებრ მზისა განპყოფენ წელიწადსა, რამეთუ როთა მათ კიდეთა მეტობისათვის, – ერთისა მის სიგრილისა და მეორისა სიცხისა; ხოლო ამათთა საშუალოთა მათ ორთა, რომელთა კიდენი ორთავე ზიარ იქმნებიან, – ერთისა მის სიცხისა და მეორისა სიცივისა, – თვისაგან დააწესებენ“ (ჭუმბურიძე 1988:92).

რითადად დაკავშირებულია მოსავლის აღებასთან, ჭირნახულის დაბინავებასთან: ეჭოფუა – აღება; მოსავლის აღება (ქაჯ. 1, ), მოწა – მოსავლის მოწევა, მოსავალი; დონალაგენი – დანალაგები, გადატ. შემოდგომაზე ჭირნახულის მილა-გება; დონოლაგენის – ჭირნახულის მილაგების შემდეგი დრო (ქაჯ. I:485), მაშინ მეტი საფუძველი არსებობს გავიზიაროთ პირველი ეტიმოლოგია.

რაც შეეხება შემოდგომის მეორე სახელწოდებას მუჟლირი. ო. ქაჯაიას მიზედვით, იგი მეგრული ფორმაა და მომდინარეობს სიტყვიდან ქლირუა „ჭენობა“ (ქაჯაა II,338); გ. მაჭავარიანის აზრით, მეგრ. მუჟლირი მომდინარეობს სვან. მუჟლუერ <\* მ-ჟლუ-ერ <\* მ-ჟლუ-არ (= ქართ. მ-ძლუ-არ „წინამძღვარი, წინამძღლობი“) ფორმისაგან (მაჭავარიანი 1985:128-130). მოსაზრება საფუძვლიანი ჩანს, თუ გავითვალისწინებთ, რომ სვან, მუჟლ ერ აღნიშნავს შემოდგომას, ე.ი. დროს, „რომელიც ზამთარს (ან წელიწადს) წინ უძღვის“ (შდრ. გაზაფხული ანუ დრო, რომელიც აღნიშნავს ზაფხულის დასაწყისს, გაზაფხულებას).

#### თუთა „თვე“

**3.4.** თუთა, როგორც წლის შემადგენელი დამოუკიდებელი დროითი ერთეული, დაკავშირებულია მთვარის მოძრაობასთან და მომდინარეობს მთვარის კალენდრიდან (კეკელიძე 1956:100). მთვარის ერთი მოქცევა თავის ღერძის გარშემო – თუთაშ მორთა საშუალოდ შეადგენს 29 დღეს.

წლის შემადგენლობაში 12 თვის დაღვენა, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, მესოპოტამიური კულტურიდან მომდინარეობს. წლის დასაწყის თვედ იანვრის დაკანონება დაკავშირებულია რომაულ კალენდარულ სისტემასთან, რომელსაც მიჰყვება ქართული კალენდარი. მეგრულში თვეთა მიმდევრობა იმეორებს ამ სისტემას, მაგრამ ნაწილობრივ შეცვლილია თვეთა სახელწოდებები: I–V და VIII თვეები წარმოდგენილია რომაული კალენდარული სისტემის მიხედვით; ზაფხულის თვეებიდან ივნისი, ივლისი, შემოდგომის თვეები და ბოლო დეკემბერი კი – შეცვლილი სახელწოდებებით:

I იანვარი	იანარი
II თებერვალი	ფრევალი
III მარტი	მარტი
IV აპრილი	აპრილი
V მაისი	მესი
VI ივნისი	ივანობა – იოანე ნათლისმცემლის სახელობის (დაბადების ) თვე
VII ივლისი	კვირკვე – კვირიკობის თვე
VIII აგვისტო	არგუსო // მარაშნა – მარიამობის თვე
IX სექტემბერი	ეკენია (ბერძნ.) ენკენის თვე // ღვარალა თუთა წვიმიანი თვე
X ოქტომბერი	გიმათუთა – ღომის მკის თვე (მეგრ. გიმუა „ცეხვა“, „ღომის გმერვა“ (ქობ. 152; ჭარ. 50), მწიფობის, ღვინობის თვე, მკის, ტეხის თვე (ქაჯ. 340)

XI ნოემბერი გერგება/გერგობათუთა – გიორგობის თვე. წმ. გიორგის  
სახელობის თვე

XII დეკემბერი ქისეთუთა – ქრისტეშობის თვე

აღნიშნული სახელწოდებები მიცემითი ბრუნვის ფორმით გამოხატავენ დროის  
ზმისართებს კითხვაზე მუჟანს „როდის“?

**მარა / მარუა „კვირა“**

**3.5. მარა / მარუა კვირეული, მსგეფის; წორული (ქბ. 700).** კვირის შვიდ-  
დღიანი პერიოდი – sapattu ჯერ კიდევ შუმერულ და ბაბილონურ ტექსტებშია  
მოხსენიებული და მთვარის მოქცევის ფაზებს უკავშირდება. სპეციალისტების აზ-  
რით, იგი აღნიშნავდა შვიდდღიან პერიოდს მისი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი  
მეშვიდე დღით. ითვლება, რომ იუდეველებმა სწორედ ბაბილონელებისაგან გად-  
მოიღეს sapattu-ს ინსტიტუცია და ტერმინიც. შეძეგში შვიდდღიანი პერიოდი  
მთავარი დღით – შაბათით დაკანონდა უკვე ებრაული ბიბლიის გავლენით ქრის-  
ტიანობის გავრცელებასთან ერთად სხვა ქვეყნებშიც. ქართულში იგი V საუკუნი-  
დან ჩანს შემოსული, მაგრამ არა უშუალოდ ებრაულიდან, არამედ სირიულის  
გზით, რამდენადაც ქართული სახელწოდებები წარმოადგენს სირიულ სახელწო-  
დებათა კალკირების შედეგს (ნედოსპასოვა 2008:512). მეგრულში კვირების გა-  
მოყოფა თვის შემადგენლობაში დაკავშირებულია მთვარის მოქცევის ფაზებთან:  
მთვარის თვე – სავსე მთვარიდან (ეფშა/გოფშა თუთა) სავსე მთვარემდე – შედ-  
გება ოთხი შვიდდღიანი მონაკვეთისაგან, ოთხი მარა-სგან, თუმცა ენობრივად  
ასახულია მხოლოდ ორი ფაზა:

1. მთვარის რყალის გამოჩენიდან სავსე მთვარემდე – მორთელი თუთა „მოქცე-  
ული მთვარე“, ახალი მთვარე.
2. სავსე მთვარეობიდან მთვარის მიღებამდე – თუთადალური „მიღევადი მთვარე“.

**კვირის დღეები**

**3.6. საქართველოში კვირეულის ამჟამად მიღებული შვიდდღიანი სისტემი-**  
სათვის, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ამოსავლად ითვლება ებრაული (წარ-  
მოშობით შუმერულ-ბაბილონური) შაბათის სისტემა, უფრო ზუსტად, მისი სირი-  
ული ვარიანტი, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოში ქრისტიანობის გავრცე-  
ლების შემდეგ მკვიდრდება. კერძოდ, ქართულში მან შეცვალა ქრისტიანობამდე  
გავრცელებული ბერძნული პლანეტარული სისტემა. უცვლელი დარჩა მხოლოდ  
მზის დღე – კვირა. დასავლეთ საქართველოში – მეგრულში (ასევე სვანურში)  
შემონახულია ქრისტიანობამდე გავრცელებული ბერძნული პლანეტარული სისტე-  
მა, მაგრამ მნიშვნელოვანი ცვლილებებით. სახელდობრ, უცვლელი დარჩა კვირის  
პირველი და მეორე დღეების სახელწოდებები: ჟაშა „მზის დღე“, კვირა და თუ-  
თაშა „მთვარის დღე“, ორშაბათი. ეს გასაგებია, რამდენადაც მზისა და მთვარის  
კულტი ქართველური ტომებისათვის უკვე ცნობილი იყო. დანარჩენ დღეთა სა-  
ხელწოდებები ჩანაცვლებულ იქნა არაბერძნული, მოცემული არეალისათვის უფ-

რო ცნობილ და მისაღებ ღვთაებათა თუ მნიშვნელოვან საკულტო მოვლენათა სახელწოდებებით (ჯავახიშვილი 1950:187). რაც შეეხება კრონოსის დღეს, მას ჩაენაცვლა შაბათი. ბერძ. „საბატონი“ – „შაბათი“, ბიბლიური ტრადიციით მეშვი-დე დღე ანუ „დღე განსუენებისა“, როგორც ქრისტიანობისათვის მნიშვნელოვანი დღე, უცვლელად შევიდა ქრისტიანული აღმსარებლობის ხალხთა, მათ შორის ქართველურ, ენებშიც.<sup>34</sup>

ქვემოთ წარმოდგენილია კვირის დღეთა ბერძნული, ქართული და მეგრული სახელწოდებები (ორძ. (IV<sub>1</sub>, 405; ჯავახიშვილი 1950:I, 187):

**ბერძნული ქართული მეგრული**  
 კვირია ეუფლისა, მზისა კვირა ჟაშხა მზის დღე  
 მთვარისა ორშაბათი თუთაშხა მთვარის დღე  
 არიასი (არესის) სამშაბათი თახაშხა თახას დღე  
 ერმისა (ჰერმესის) ოთხშაბათი ჯუმაშხა  
 აფროდიტისა ხუთშაბათი ცაშხა ცის დღე  
 დიოსისა პარასკევი ობიშხა  
 კრონოსისა შაბათი საბატონი (ბერძნ.).

აღნიშნულ სახელწოდებათა მიცემითი ბრუნვის ფორმები გამოიყენება დროის ზმინისართების მნიშვნელობით.

### დღე – ღამე

**3.7.** მეტრიკული დროის უმცირესი მონაკვეთი<sup>35</sup> – დღე-ღამის ციკლი, რომელიც თანამედროვე ასტრონომიული სისტემით განისაზღვრება როგორც 24-საათიანი ინტერვალი დღისა და ღამის ზუსტი დროითი შეფარდებებით, ენობრივ ასახვაში წარმოდგენილია არამეტრიკული ერთეულებით – **დღაშ'** დო სერი. დროის ეს მონაკვთები (ადამიანთა, საერთოდ ბიოლოგიურ ორგანიზმთა) ცხოვრებაში განსაკუთრებული სასიცოცხლო მნიშვნელობის გამო, ენაში წარმოდგენილია ყველაზე მეტი სემანტიკური შემადგენლებით. დღე-ღამის, როგორც მთლიანი დროითი მონაკვთის, აღსანიშნავად იხმარება **დღა „დღე“** (იშვიათად – **დღა დო სერი**):

ხუთ დღაქ მიკილუ „ხუთმა დღემ გაიარა“;

მასუმა დღაქით გოთანდუ „მესამე დღეც გათენდა“.

მაგრამ როდესაც იგულისხმება კონკრეტულად დღე-ღამური ციკლის ნათელი მონაკვეთი, ჩვეულებრივ გამოყენებულია **დღა** სახელის ნათ. ბრ. ფორმა – **დღაში „დღე“, ზმის. დღაშით „დღისით“**:

<sup>34</sup> თუ როდის და როგორ, რის საფუძველზე უნდა მომხდარიყო ასეთი მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომელთა შესახებ განსხვავებული მოსაზრებებიც არის გამოიქმნელი, სპეციალური მსჯელობის საგანია და მათზე აქ ვერ შევჩერდებით.

<sup>35</sup> დღე-ღამეზე მცირე მეტრიკული ერთეულების აღსანიშნავად მეტყველებაში გამოყენებულია ქართ. საათი/სათი, წუთი, წამი, რუს. მინუთი/ნომუტი; უმცირესი ერთეულებისათვის გამოიყენება არამეტრიკული დროითი მონაკვეთები: თოლიშ მერქას, თოლიშ დოვალაფას „თვალის დახამხამებაში“, ვალიშ მამალას „ელვის სისწრაფით“...


**დღაშ დო სერით ქომუბშენქ „დღე და ღამე ვმუშაობ“** (ყიფშ. 16);  
**დღაშის სერი მოცუნისა „დღეს ღამე მოჰყვებაო“** (ხალხ. სიბრძნე 41).

**დღა – სერი „დღე – ღამის“** სფეროების გადანაწილება ხდება **სინთე – უკუმე-ლა** „სინათლე – სიბრძლე“ თვისებების მიხედვით, სადაც **სინთე** არის დღის, **უკუმელა** კი – ღამის თვისება და თუმცა არსებობს ნათელი ღამეებიც – **თუთა-რჩელა** „მთვარიანი, უღრუბლო ღამე“, ღამის ძირითად ატრიბუტად მარც **უკუმე-ლა** რჩება:

ინა წანამოწანაში ოლუს სათის მეურს დღაში რდას ოკონდა სერი. უგუ-მელა, თუთარჩელა არა ართი აფუ „ის წლის სავალს საათში გადის დღე იქნება თუნდ ღამე. ბნელი, მთვარიანი ყველა ერთა“ (ხუბ. 6, 32, 19); დი-სერუ ამსერი დო თუთარჩელა ვარე, უკუმელა სერქ ოკო იცუას „დაღამდა, ეს ღამე მთვარიანი არ არის. ბნელი ღამე უნდა იყოს“ (ხუბ. 17, 75,3).

დღე-ღამის ციკლი აღნიშნული ორი მონაკვეთით არ ამოიწურება. დღისა და ღამის მონაცვლეობაში არსებობს გარდამავალი დროითი მონაკვეთები, **ოჭ'უმარე „დილა“ და ონჯუა „საღამო“**, რომლებიც აღნიშნავენ ასევე მნიშვნელოვან პერი-ოდებს – ღამიდან დღისკენ და დღიდან ღამისკენ გადასვლას. აღნიშნული ოთხი-ვე პერიოდი **ენობრივად კოდირებულია**: მათ აქვთ „დღევანდელი დღის“ მონაკვე-თების აღმნიშვნელი დამოუკიდებელი სახელწოდებები: **დღა „დღე“ – ამდღა „დღეს“, შდრ. გოლა/ჭუმე „გუშინ/ზვალ“; სერი „ღამე“ ამსერი „ამაღამ“, შდრ. გოლა/ჭუმე სერი „გუშინ/ზვალ ღამე“; ოჭუმარე „დილა“ ამჭუანი „ამ დილას“, შდრ. გოლა/ჭუმე ოჭუმარეს „გუშინ/ზვალ დილას“; ონჯუა „საღამო“ ამნიჯი „ამ საღამოს“, შდრ. გოლა/ჭუმე ონჯუას „გუშინ/ზვალ დილას“. მაგრამ როგორც და-მოუკიდებელი დროითი მონაკვეთები, მათთვის სპეციფიკური ლექსიკით ხასიათ-დებიან მხოლოდ **დღა** და **სერი**. მაგ., ისინი შეიძლება დახასიათდნენ ხანგრძლი-ვობის ნიშნით: **კუნტა დღა „მოკლე დღე“, გინდე სერი „გრძელი ღამე“.****

დღე-ღამის მონაცვლეობა შეიძლება გამოისახოს სქემით:



თავის მხრივ, აღნიშნული პერიოდებიც წარმოგვიდგებიან არა როგორც სტატი-კური, არამედ როგორც გარდამავალი საფეხურებისაგან შედგენილი მონაკვეთები.

საერთოდ ღამიდან დღისკენ გარდამავალ პერიოდად შეიძლება მივიჩნიოთ დრო, რომელიც იწყება **ნაშეალამევის** „ნაშეალამევის“ შემდეგ და გრძელდება დღის

დადგომამდე. ამ პერიოდის დასაწყისის აღმნიშვნელ ზოგად სახელად შეიძლება მიკიჩნიოთ გოთანა/გონთუ/გონათუ „გათენება“, დამიდან გამოსვლისა და სინათლის დადგომის პროცესი.

გოთანასთან დაკავშირებული დროითი მონაკვეთები განისაზღვრება ფიზიკურად აღქმადი ბუნებრივი მოვლენებით:

**მუმულიშ ციონი** – მამლის მეოთხე (გამთენის) ყივილი (ქობ. 494)

**გუმრთანე** (<გომათანე>) **მურიცხი** – ვენერა, გამთენებელი ვარსკვლავი, ცისქრის ვარსკვლავი – გათენების მაუწყებელი სიგნალი, რომელიც ჯერ კიდევ ბინდისას ჩნდება ცის აღმოსავლეთით; გათენების მაუწყებელია აგრეთვე დროის მონაკვეთები, აღნიშნული სპეციალური ლექსემებით, როგორიცაა: **მურუჟი**, **რიუჟ-რაჟუ**, **მოღი/მორღია**, **ღუჟ-ღაჟ**, რომელიც გამოხატავენ დაახლოებით ერთსა და იმავე პერიოდს: გარიურაჟს, ოდნავ სინათლეს, ბინდ-ბუნდს, პირველ სხივს, განთიადს, ცისკარს (ქაჯ. II, 500; III, 189; ქობ. 475, 500).

ადრეული დილის შემადგენელია აგრეთვე დრო, რომელიც აღინიშნება, როგორც გოთანაშა'ხ' „უთენია, გათენებამდე“, გოთანა პიჟი „გათენების პირი“ ანუ „გათენების დასაწყისი, გამთენია“, გოთანა ბორჯი „გათენების დრო“, ალონი, ღია-ღონი – ალიონი, ადრეული დილა, ორდო „დილა“:

**ართი ოჭუმარეს გეიოლუ ალონიშა**

„ერთ დილას წამოგარდა გათენებამდე“ (ყიფშ. 57,9);

**მაჟირა დღას, მუჭო ალონქ ქუურაცუუნი, გეიოლუ ბოშიქ**

„მეორე დღეს, როგორც ირიურაჟა, წამოგარდა ბიჭი“ (ყიფშ. 58)

**გოთანდუ ორდოქ „გათენდა დილა“** (ცაგ. 15).

**ოჭუმარე** – „დილა“, როგორც ზოგადი სახელი, უკვე დღის შემადგენელი ნაწილი, დღის დასაწყისი, უპირისპირდება დღის დასასრულს – **ონჯუა-ს „საღამოს“**:

ოჭუმარეს ოთხი კუჩით გილურც, ონდღეს – უირით, ონჯუას – სუმით – „დილას ოთხი ფეხით დადის, შუა დღეს ორით, საღამოს – სამით“ (გამოცანა);

მიღურცუ ოჭუმარეს, ონჯუას ქუმურც ქინითუ ხარგელი – „წაგა დილით, საღამოს მოვა ნანადირევით დატვირთული“ (ქხს II,40).

დილის შემდეგ დგება ღღა/ღღაში „დღე“, რომლის მონაკვეთებია:

**ონდღეშა'ხ'** „შუადღემდე“. გრძელდება მანამ, სანამ დღე თავის პიკს არ მიაღწევს, ე.ი. არ დადგება ონდღე „შუადღე“.

**ონდღე, შეადღა ონდღე ბორჯი/დრო** (ქობ. 540; ხუბ. 70), **ონდღეშ გური** (ქობ. 539), ღღა-ონდღე, ონდღე კაპანია – შუადღე, დრო, როდესაც მზე ზენიტზეა:

ონდღე ჩხე თოლენს ორიუნუანს – „შუადღე ცხელ (ანთებულ, გაცეცხლებულ) თვალებს აბრიალებს“ (ქაჯ. II,437);

**ართი დღა ონდღეშ გურც ჭიჭე ღალიშა ქიმერთუ** – „ერთ დღეს, შუა დღის გულზე პატარა ღელესთან მივიდა“ (ხუბ. 181:24).

შუადღის შემდეგ როგორც ამას დროის სახელწოდებები წარმოგვიდგენენ, დღე მიღის საღამოსაკენ:

**ნაონდღუ/ნაონდღერი** – „ნაშუადღევი“

ღორონთი ონდღეშა თაურე იჯინე, ნაონდღერს ვიშო

„ღმერთი შუადღემდე აქეთ იყერება, ნაშუადღევს იქით“ (ხალხ. სიბრძ. 150).

**გილართა** – „მზის ჩასვლის წინ“ (ქართ.ზეპ. 52)

**ა/იკო-ონჯუა//აკომანჯუა** – „მოსალამოება, შებინდება) საღამოს პირი“

დღა დო სერიშ აკონთხაფა/მოონჯუა – „დღე და ღამის შეყრა/ მოსალა-მოება“ (ქხს 2,72);

**ონჯუა** „საღამო, ვახშმობის დრო“ (ქობ. 540); **აკოსერილი** „მოსალამოე-ბული; **ონჯუა ბორჯი/გეონჯუათ** „საღამო ხანი“;

**სერიშ დუღი** „შეღამება, ღამის პირველი მეოთხედი, მამლის პირველი ყივი-ლის დრო“ (ქობ. 591); **გური ნაშკასერუ** „შუაღამის გადასვლის შემდეგ“; **თუთაშ გენჭაფა** „მთვარის ჩასვლის მოწევნა, გამთენია“ (ქობ. 320).

## ლიტერატურა

**აბულაძე 1986:** ლ. აბულაძე, დროის სემანტიკური ველის შესახებ, „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“ *XXV*, „მეცნიერება“, თბილისი.

**აბულაძე 1988:** ლ. აბულაძე, ჟამი, დრო და ხანი ძველ ქართულში, „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“ *XXV*, „მეცნიერება“, თბილისი.

**აფრიდონიძე 1980:** შ. აფრიდონიძე, გა(6)- და და- ზმნისწინები ქართულში, „იბე-რიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეული“, *VII*, „მეცნიერება“, თბილისი.

**აფრიდონიძე 1983:** შ. აფრიდონიძე, ორი საათის წინ თუ ორი საათის უკან?, „ქარ-თული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, *I*, თბილისი.

**ბარ-ჰაიმ... 2010:** Y. Bar-Haim, A. Kerem, D. Lamy, D. Zakay, When time slows down: The influence of threat on time perception in anxiety, In: *Cognition and Emotion* 24 (2), 255-263.

**ბიულენი 2000:** К. Бюлер, Теория языка. Репрезентативная функция языка, пер. с нем. „Прогресс“, Москва.

**გაბუნა 1993:** კ. გაბუნა, ზმნისართის წარმოება და ფუნქციები ქართველურ ენებში, „მეცნიერება“, თბილისი.

**გრინი 2006:** Б. Р. Грин, *Ткань космоса: Пространство, время и структура реальности*, пер. с англ., Москва.

**გურევიჩი 1984:** А. Я. Гуревич, *Категории средневековой культуры*, Москва.

**იელმსლევი 1954:** L. Hjelmslev, La stratification du langage, *Word* 1954, V.10, n. 2-3.

**იესპერსენი 1958:** О. Есперсен, *Философия грамматики*, пер. с англ., Москва.

**კასევიჩი 2013:** В. Б. Касевич, *Когнитивная лингвистика: в поисках идентичности*, Издательство: Языки славянской культуры, Москва.

- კავულიძე 1956:** პ. კავულიძე, ძველი ქართული წელიწადი [ქართული წელთაღრიცხვა და თვეების სახელწოდებები], წიგნში: ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიდან: ტ. 1. თბილისი.
- კიზირია 1982:** ა. კიზირია, მარტივი წინადაღების შედეგების ქართველობა ქართველურ ენებში, „მეცნიერება“, თბილისი.
- კლაინი 1994:** W. Klein, *Time in Language*, London-New York.
- კლაინი 2009:** W. Klein, Concepts of time , *The Expression of Cognitive Categories*, Ed. W. Klein, St. Levinson, Berlin 2009.
- კლოჩკო 1983:** И. С. Клочкив, *Духовная культура Вавилонии: человек, судьба, время*, „Наука“, Москва.
- კნაბე 1991:** Г. С. Кнабе, *Материалы по общей истории культуры и истории культуры Древнего Рима*, Москва.
- კომრი 1985:** B. Comrie, *Tense*, Cambridge University Press.
- კოული... 2011:** J. T. Coull, R-K. Cheng, W. H. Meck, Neuroanatomical and Neurochemical Substrates of Timing. In: *Neuropsychopharmacology REVIEWS* (2011) 36: 3-25.
- ლაიონზი 1978:** Дж. Лайонз, *Введение в теоретическую лингвистику*, пер. с англ., Москва.
- ლომთაძე 1987:** ა. ლომთაძე, ბრუნების თავისებურებათა ისტორიისათვის მეგრულში, თსუ გამომცემლობა, თბილისი.
- ლომთაძე 2003:** მ. ლომთაძე, პიპოტაქესის საკითხები მეგრულში, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი.
- მაჭვარიანი 1985:** გ. მაჭვარიანი. სვანური მ უ ჟ ღ ჲ ე რ („შემოდგომა“) სიტყვის ეტიმოლოგისათვის, „აბერიულ-კაგკასიური ენათმეცნიერება“ XXIV, „მეცნიერება“, თბილისი.
- მელიქიშვილი ო. 1998:** ო. მელიქიშვილი, ზმნურ ფორმათა I, II და III სერიის ურთიერთმიმართებისათვის ქართველურ ენებში, ქართული ენის კათედრის შრომები 4, სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი, თბილისი.
- მელიქიშვილი დ. 2009:** დროის ცნება, კრებულში: ფილოლოგიური ძებანი, „ლოგოსი“, თბილისი.
- ნედონსკასოვა 2008:** – მ. ნედონსკასოვა, ქართული კვირეულის დღეთა სახელწოდები: ქართული ენა, ენციკლოპედია. თბილისი.
- როგავა 1953:** გ. როგავა, დრო-კილოთა მეოთხე ჯგუფის ნაკვთები ქართველურ ენებში, „აბერიულ-კაგკასიური ენათმეცნიერება“ V, თბილისი.
- სვოროუ 1994:** S. Svorou, *The Grammar of Space*, John Benjamins Publishing Company, Amsterdam -Philadelphia.
- ფილმირი 1997:** Ch. Fillmore, *Lectures on Deixis*, Stanford-California, 1997.
- ქობალავა 2001:** ი. ქობალავა, კავშირებითი კილო მეგრულში, „უნათმეცნიერების საკითხები“, 4, თბილისი.
- ქობალავა 2002:** ი. ქობალავა, გე- ზმნისწინის მნიშვნელობისათვის მეგრულში, „უნათმეცნიერების საკითხები“, 4, თბილისი.

**ყფზები 1914:** И. Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматией и словарем, С. Петербургъ.

**შანიძე 1973:** ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძლები I. მორფოლოგია, თურ გამომცემლობა, თბილისი.

**შხოლი, ზამთარინი 1974:** С . Э. Шноль, А. А. Замятнин, Возможные биохимические и биофизические основы творчества и восприятия ритмических характеристик художественных произведений, в кн.: *Ритм, пространство и время в литературе и искусстве*, Ленинград.

**ჩიქობავა 1961:** არნ. ჩიქობავა, ზოგი სიტყვის მნიშვნელობის განვითარებისათვის ქართულში, კრებულში: ფსიქოლოგია, ტ. 2, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ფსიქოლოგიის ინსტიტუტი.

**ჭუმბურიძე 1988:** ზ. ჭუმბურიძე, წელიწადის დროთა სახელდებისათვის ქართველურ ენებში, I საერთაშორისო ქართველოლოგიური სიმპოზიუმის მასალები, თბილისი.

**ჯავახიშვილი 1950:** ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, ქართველი ერის ისტორიის შესავალი, 1, თბილისი.

**ჰუკინგი 2001:** С. Хокинг, *История времени от большого взрыва до черных дыр*, амфора С.- Петербург.

### გამოყენებული ლექსიკონები

**ნიუ. 2012:** ბ. ნიუარაძე, ქართულ-სვანურ-რუსული ლექსიკონი, „უნივერსალი“, თბილისი.

**ორბ.: ს.-ს. ორბელიანი, თხზულებანი IV<sub>1</sub>, IV<sub>2</sub>, ლექსიკონი ქართული, ტექსტი მოამზადა ი. აბულაძემ, თბილისი 1991, 1993.**

**სარჯვე. 1995:** ზ. სარჯველაძე, ტექსტი ქართული ენის ლექსიკონი. მასალები, თბილისი.

**ქჯ.:** ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, I-III, „ნეკერი“, თბილისი 2001, 2002.

**ქობ.:** ა. ქობალია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, „არტანუჯი“, თბილისი, 2010.

**ყფზე:** И. Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматией и словарем, С. Петербургъ 1914.

**ჭარ:** პ. ჭარაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბილისი (1918) 1997.

### გამოყენებული ტექსტები

**ყფზ:** И. Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматией и словарем, С. Петербургъ 1914.

**ხუბ.:** მ. ხუბუა, მეგრული ტექსტები, ტფილისი 1937.

**ქხს:** ქართული ხალხური სიტყვიერება, მეგრული ტექსტები, II, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს კორნელი დანელიაძ და აპოლონ ცანავამ, თბილისი 1991.

**კარტ.:** გ. კარტოზია, მეგრული და ლაზური ტექსტები, თბილისი 2008.

## Time Semantics in Megrelian

### Summary

The article deals with the structural-semantic analysis of temporal relations according to the evidence of Megrelian (one of the Kartvelian languages). The first part of the paper discusses general issues related to the concept of linguistic time. The survey is based on the concept of linguistic time as a mental reality. With respect to the interrelation of space and time, the viewpoint is shared that time in linguistic expression, although it has many common features with space, also reveals the peculiarities (*determined by cultural factors*) that are totally independent, characteristic only of it, which creates a *specific structure* of temporal relations. Taking into account the above mentioned, **temporal localization** is regarded as a *division of mental time into segments of various durations – temporal units, during which events, significant for human perception from a certain viewpoint, take place*. On the basis of the data obtained as a result of longstanding studies of linguistic time, which are essentially recognized in modern scholarship, *common features* are identifiable according to which time represented in linguistic reflection can be in general characterized as a **one-dimensional, one-way (irreversible), continuous sequence**.

The second part of the article discusses structural peculiarities of temporal relations of Megrelian according to the above-mentioned features.

On the basis of the features demonstrated by temporal segments from the viewpoint of expression of a specific time, two different groups are distinguished:

1. segments that denote a specific time independent of other temporal segments, within a simple sentence, and at the same time, can be defined by features typical of the process of occurrence – *duration* of time, *frequency* of occurrence (recurrence), *rate* of occurrence. These features are coded linguistically and are expressed by preverbs.
2. temporal segments that can be identified only by their relation to other temporal segments. Accordingly, the following relations are discussed: *simultaneity, succession, continuity*.

The paper also offers the vocabulary denoting metric time. Temporal segments denoting years, seasons, months, weeks and days are discussed separately.

## ნინო შარაშვილი

### ევიდენციალობის (უნახაობის) კატეგორია ქართული ენის დასავლურ დიალექტებში: ნა-პრევიძისიანი ფორმების ფუნქციურ-სემანტიკური ანალიზისათვის

ევიდენციალობის კატეგორია უნივერსალური კატეგორიათა რიგს განეკუთვნება და იგი ყველა ენაში გამოიხატება. მისი გადმოცემა სხვადასხვა ენობრივი ფორმით ხდება: იგი შეიძლება კლინდებოდეს დისკურსული ანალიზის შედეგად, შეიძლება გადმოცემული იყოს სინტაქსური, ლექსიკური ან მორფოლოგიური საშუალებებით. ევიდენციალობა ფართო გაგებით არის ტექსტში გადმოცემულ ინფორმაციასა და ინფორმატორს/მოლაპარაკეს შორის არსებული მიმართების გამოხატვა – რა გზით იქნა მიღებული ინფორმაცია, პირდაპირი აღქმის შედეგია, თუ მოსმენილი ან გაგებული სხვა წყაროდან, ჭეშმარიტებას მოიცავს იგი, თუ სავარაუდო ან მოსალოდნელია მოლაპარაკისათვის. ამ კატეგორიის ზოგად დახასიათებაში ჩანს, რამდენად ფართოა ევიდენციალობის ცნება და რამდენად მრავალფეროვანია ენებში მისი გამოხატვის საშუალებები.

ევიდენციალობის კატეგორიის კვლევა დიდ ისტორიას არ მოიცავს. ამ სემანტიკაში და მისი გამოხატვის ფორმებმა ლინგვისტთა ყურადღება მეოცე საუკუნიდან მიიქცა. ევიდენციალობის კატეგორიის პირველი მინიშნება გულისხმობდა ინფორმაციის დადასტურებულობის გამოკვეთას ენაში. ეს ნიშნავდა იმ ენობრივი ფორმების ანალიზს, რომლებიც მიუთითებდნენ გადმოცემული ფაქტის წყაროზე. ქართული ენის გრამატიკაში ამ ფუნქციით დახასიათებულია სხვათა სიტყვის ნაწილაკები, ხოლო მორფოლოგიაში გამოიყო აქტის კატეგორია.

ევიდენციალობის კატეგორიის კვლევა განსაკუთრებით სიღრმისეულად წარიმართა მეოცე საუკუნის ბოლოს. ეს კატეგორია გამოიკვეთა ბევრ ენაში, აღიწერა მისი გამოხატვის გრამატიკული თუ ლექსიკური საშუალებები და გამოიყო ევიდენციალობის სახეები (ვილეტი 1988; აიხენვალი 2004).

ევიდენციალობა გამოხატავს მოლაპარაკის დამოკიდებულებას ინფორმაციის წყაროსადმი. ევიდენციალობის მთავარ განმსაზღვრულ კრიტერიუმად მიიჩნევა ის, თუ როგორაა მიღებული ინფორმაცია: პირდაპირ თუ არაპირდაპირ, ანუ ირიბად. პირდაპირი ევიდენციალობა გულისხმობს, რომ მოლაპარაკე თვითმხილველია და მას ინფორმაცია პირდაპირ აქვს მიღებული. ირიბი ევიდენციალობა კი ნიშნავს, რომ მოლაპარაკე არაა თვითმხილველი, მან ეს ინფორმაცია სხვისგან მიიღო. თავის მხრივ, ირიბი ევიდენციალობა შეიძლება იყოს შეტყობინებითი (ვერბალური), ანუ იგი სხვისაგან მიიღო, ან დასკვნითი (ინფერენციული) – ანუ მოლაპარაკემ თავად გამოიტანა დასკვნა შედეგის ან სხვა მოვლენისა და ფაქტის მიხედვით. ამ მსჯელობის საფუძველზე აშკარად იკვეთება კავშირი რეზულტატიურო-

ბასა და ევიდენციალობას შორის. ფაქტობრივად, რეზულტატიურობამ მისცა ბიძგი ევიდენციალობის განვითარებას. რეზულტატიურობა მიუთითებს, რომ ვთარება არსებობს წარსული მოქმედების გამო, ესაა შედეგის მიხედვით გაკეთებული, გამოტანილი დასკვნა. ფორმა – **წასულის** – გულისხმობს, რომ ის აქ არ არის, ის წავიდა. ეს, ერთი მხრივ, რეზულტატია, შედეგია ქმედებისა, ხოლო, მეორე მხრივ, მდგომარეობა იმას გამოხატავს, რომ რადგან ის წავიდა და აქ აღარ არის, მოლაპარაკებ გამოიტანა დასკვნა. ფაქტობრივად, ხდება რეზულტატიურობის გარდასახვა ევიდენციალად. გარკვეულ ენებში (თურქული, ბულგარული...) და მათ შორის ქართულშიც ეს კავშირი რეზულტატიურობასა და ევიდენციალობას შორის თვალსაჩინოა (ბაიბი და სხვ. 1994:95-97).

თავდაპირველად ევიდენციალობა განიხილებოდა მოდალობის კატეგორიის ერთ-ერთ სახეობად, რამდენადაც იგი გამოხატავს მთქმელის დამოკიდებულებას გამონათქვამისადმი. იგი განიხილებოდა როგორც ირეალური კატეგორია. მოსაუბრის მიერ გამოტანილი დასკვნა კი ხასიათდებოდა იმის მიხედვით, თუ რის საფუძველზე გამოიტანა მან ეს დასკვნა: ფიქრით, თვითმხილველი იყო, სხვისგან მიღებული ინფორმაციით თუ მატტკიცებელი საბუთის ნახვით (პალმერი 2011:35-52). ევიდენციალობისა და ეპისტემიკის ერთ კატეგორიად გაანალიზება განაპირობა, ერთი მხრივ, გამონათქვამისადმი მთქმელის დამოკიდებულების სემანტიკამ, ხოლო მეორე მხრივ, იმ ფაქტორმა, რომ ზოგიერთ ენაში (დანიურში, ინგლისურში, გერმანულში...) ევიდენციალობა შეიძლება გამოიხატოს ეპისტემური მოდალობის გამომხატველი ზმნური ფორმებით. მოგვიანებით ჩატარებულმა კვლევებმა ეს ორი კატეგორია გამიჯნა, რადგან გამოიკვეთა მათ შორის არსებული მნიშვნელოვანი განსხვავება: განსხვავებულია სემანტიკა – ევიდენციალობა ავლენს გამონათქვამის წყაროს, მის სიცხადეს, ეპისტემური მოდალობა კი აფასებს მოსაუბრის დამოკიდებულებას გამონათქვამისადმი. ასევე განსხვავებულია წარმოგება – ევიდენციალობა უმეტესად მორთულოგიური ნიშნებით გამოიხატება, ხოლო მოდალობა – ლექსიკური საშუალებებით. ზოგიერთ ენაში შესაძლებელია იყოს ნაწილობრივი დამთხვევა, მაგრამ ეს დამთხვევა არაა უნივერსალია (დე პანი 1999:83-101).

ამდენად, მიუხედავად წარმომავლობისა და მისი სემანტიკური სიახლოვისა, ევიდენციალობის კატეგორია თანამედროვე ლინგვისტიკაში ცალკე, დამოუკიდებელ კატეგორიად განიხილება და შეისწავლება როგორც ცალკეულ ენებში, ასევე ტიპოლოგიურადაც. ევიდენციალობის კატეგორიის სიღრმისეულმა შესწავლამ ენათა კლასიფიკირების ახალი სისტემა წარმოშვა: ენები ჯგუფება იმის მიხედვით, სავალდებულოა თუ ფაკულტატიური ევიდენციალობის გამოხატვა უნებში (დე პანი 1999:83-101).

ენათა უმრავლესობაში პირდაპირი ევიდენციალობა არამარკირებულია, ხოლო ირიბი ევიდენციალობა მარკირებული (კოზინცევა 2007). ამასთანავე, პირდაპირი ევიდენციალობა ძირითადად გამოიხატება აორისტით, ირიბი ევიდენციალობა კი პერფექტული ფორმებით (მარგიანი-სუბარი 2012).

ქართულ ენათმეცნიერებაში ეს კატეგორია უნახაობის ტერმინითაა დამკვიდრებული და შესწავლილი. ქართულში უნახაობის მნიშვნელობა თურმეობითის მწკრივის ფორმებსა და თურმე ნაწილაკს უკავშირდება. ა. შანიძემ აქტის სახელით გამოყო უნახაობის კატეგორია, რომელსაც უპირისპირდება ნანაზი აქტი, მაგრამ როგორც ძველ, ისე ახალ ქართულში აქტის კატეგორია დაუკავშირდა თურმეობითის მწკრივს. „დაუსწრებელი მოქმედების შესახებ შესაძლოა ორგარად გაიგოს მოუბარმა: სხვისგან გაიგოს ამის შესახებ ან თვით ნახოს მოქმედების შედეგი და ამის მიხედვით გაითვალისწინოს, თუ რა უნდა მომხდარიყო“ (შანიძე 1973:212). მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ თურმეობითის ფორმის სემანტიკა მხოლოდ უნახაობით არ შემოიფარგლება, იგი გამოხატავს შეტყობინებას, მოულოდნელობას ან ლოგიკურ დასკვნას (მარგაიანი-სუბარი 2012).

უნახაობა სამივე ქართველურ ენაში დასტურდება, თუმცა იგი მორფოლოგიურ კატეგორიად არ მიიჩნევა. ეს დებულება განპირობებულია იმით, რომ „მას საკუთარი ნიშანი არა აქს, ის არის ძირითადად პერფექტული დროების ერთერთი ფუნქცია – თანაფუნქცია“ (გოგოლაშვილი 2012:759).

ქართულ ენათმეცნიერებაში უნახაობის კატეგორიის შესახებ განსხვავებული მოსაზრებები არსებობს: მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ უნახაობა გვიან განვითარებული სემანტიკა და ფუნქციაა და იგი თურმეობითის ფორმებმა შეითავსეს (ჩიქობავა 1962; ქავთარაძე 1956; ფხაკაძე 1984; ბოედერი 2000). ამ მოსაზრების მიხედვით ძველ ქართულში თურმეობითის ფორმები მხოლოდ რეზულტატივის გამომხატველია, რომლებმაც მხოლოდ მოგვიანებით შეიძინეს ახალი ფუნქცია და მნიშვნელობა. ა. არაბულის აზრით, „პირველი თურმეობითის ძირითადი მნიშვნელობაა რეზულტატიურობა, შეძენილი და ისტორიულად განმტკიცებული ფუნქცია (თანაფუნქცია) – უნახაობა, თურმეობითობა“ და „პერფექტის ბაზაზე უნახაობის მოდელის აღმოცენება, რაც დასტურდება სხვადასხვა ჯგუფის ენებში, კანონზომიერი ფაქტია, ის ერთგვარი უნივერსალია“ (არაბული 1984).

მეორე მოსაზრება კი გულისხმობს, რომ უნახაობა ძველ ქართულშივე დასტურდება. ამის შესახებ მიანიშნებს ა. შანიძეც. გარკვეული ფორმების ანალიზმა კი გაამყარა მოსაზრება, რომ უნახაობის აქტის სემანტიკური ნიუანსები კარგადაა გამოხატული ძველსავე ქართულში (სარჯველაძე, ნინუა 1985). მ. ბერიძე შენიშნავს, რომ ძველი ქართულის გარკვეული „ფორმებისათვის მთავარ სემანტიკურ მახასიათებლად გამოყოფილი უნახაობისა და უნდღლიობის მნიშვნელობები... მიღებულია აორისტულ ფორმებში ევიდენციალობის მოდალობის განვითარების შედეგად“ (ბერიძე 2009:102).

გ. შაბაშვილის მოსაზრებით, „უნახაობის პერფექტის ასახვა და განვითარება უკვე ძველ ქართულში იწყება და ფართო სახეს ახალ ქართულში იძენს, როცა საბოლოოდ ვითარდება ე.წ. ანალიტიკური პერფექტი, მაქს გაკეთებული ტიპის, რომელიც პერფექტის ასპექტობრივ მახასიათებლებს იძენს და და ამით პირველი თურმეობითის მწკრივს მოდალური შინაარსის განვითარებისთვის სრულ თავისუფლებას აძლევს.“ ამ ცვლილების მიზეზად კი მიჩნეულია ის გარემოება, რომ მესამე

სერიის ფორმებმა დაკარგეს ასპექტური მახასიათებელი და მხოლოდ დროული მასასიათებელი დარჩათ, რამაც სერიის პრაგმატული სიმყარე დაარღვავა და გზა გაუხსნა ახალი სემანტიკის განვითარებას. მკვლევარი იქვე შენიშნავს, რომ „მეგრულმა ამ თვალსაზრისით მყარად შეინარჩუნა მწკრივის ფუნქციურ-სემანტიკური მახასიათებლები და უნახაობისთვის ენამ ცალკე სერია განვითარა, ისიც პერფექტული მიმღეობის საფუძველზე“ (შაბაშვილი 2009:101-102).

რაც შეეხება ევიდენციალობის კატეგორიის გენეზის, დადგენილია, რომ იგი თავად ქართული ენის სისტემაში განვითარებული კატეგორია და სხვა ენების გავლენის საკითხი ამ ეტაპზე მოხსნილია. სვანურ ენაში ამ კატეგორიის საფუძვლიანმა შესწავლამ ბევრი მნიშვნელოვანი ასპექტი წარმოაჩინა ქართველურ ენებში ამ კატეგორიის გამოვლენისა და რეალიზაციის შესახებ (მარგანი-სუბარი 2012).

ევიდენციალობის, უნახაობის კატეგორიის გამოხატვის თვალსაზრისით ქართული ენის დიალექტებში სხვადასხვაგვარი ვითარებაა. აღმოსავლური დიალექტები ძირითადად ძველ ვითარებას ასახავენ – თურმეობითის მწკრივები უფრო შედეგობითობას, რეზულტატიურობას გამოხატავენ, თუმცა ნარატიულ ტექსტებში I თურმეობითის ფორმების თანმიმდევრობითი ხმარება განაპირობებს პერფექტის რეზულტატიური მნიშვნელობის რღვევას და უნახაობითი, თურმეობითი მნიშვნელობის ასახვას (შაბაშვილი 2010: 163).

განსხვავებული ვითარებაა დასავლურ დიალექტებში. უნახაობის კატეგორიის გამოხატვა სრულიად ბუნებრივია მესამე სერიის ფორმებისათვის. გარდა ამისა, რამდენიმე დიალექტში არსებობს სპეციალური ფორმები ირიბი ევიდენციალობის გადმოსაცემად. მიჩნეულია, რომ ეს ფორმები მეგრულის გავლენის შედეგადაა ჩამოყალიბებული. ესაა ნა-პრეფიქსიანი წარმოება, რომლებიც სახელდებულია მეოთხე სერიის ფორმებად.

მეოთხე სერიის ფორმები ქართველურ ენებში პირველად გამოყო გ. როგავამ.

ნო- პრეფიქსიანი ფორმებს მეცნიერმა უწოდა აწმყოს თურმეობითის ნაკვეთები და ცალკე ჯგუფად გამოყო ისინი აორისტის თურმეობითის ნაკვთებისაგან. ახალი ნაკვთების სახელდებისათვის იგივე ტერმინები იქნა გამოყენებული, რაც მესამე სერიის ფორმებში იყო: თურმეობითი მესამე, თურმეობითი მეოთხე, კავშირებითი მეოთხე და პირობითი მეოთხე. ო- პრეფიქსიანი თურმეობითების გამოყოფას ჰქონდა როგორც მორფოლოგიური, ისე სინტაქსური საფუძველი – იკვეთებოდა წარმოების დამოუკიდებელი სისტემა და მათ ახასიათებდათ ნომინატიური კონსტრუქცია. ამ ფორმებს გ. როგავა ამგვარად ახასიათებს: „ზმნებს, რომელთაც ხილულ დრო-კილოებშიც მოქაოვებათ ორივე (I და II) ჯგუფის ნაკვთები, უხილავ დრო-კილოებშიც გააჩნდათ ორივე (III და IV) ჯგუფის ნაკვთები“ (როგავა 1953:17-18). მეოთხე სერიის ყოველი ფორმის ანალიზისას ავტორი იყენებს თურმე ნაწილაკს, რათა მისი სემანტიკა ქართულად უფრო ზუსტად გადმოეცა. მეცნიერი შენიშნავს, რომ „დრო-კილოთა მეოთხე ჯგუფის ნაკვთებში უფრო ხშირად იხმარება თურმეობითი III. უკანასკნელია გამოხატავს როგორც აწმყო-მყოფადის თურმეობითს, ისე ნამყო უსრულის თურმეობითებსაც...“ (როგავა

1953:21). წარმოების თვალსაზრისით ეს ფორმები აღწერილობითია, იწარმოება ნო- პრეფიქსითა და -უ სუფიქსიანი მიმღეობური ფორმით, თუმცა მეცნიერი აღნიშნავს იმის შესახებაც, რომ ნო- პრეფიქსიანი წარმოება მეგრულში შეზღუდა ქართულიდან შეთვისებულმა ნა- პრეფიქსმა (როგავა 1953:23). ქართულის კილოებში უფრო ხშირად თურმეობითის ორი ნაკვთი გვხვდება – მონავალა და მონავალიყო. შედარებით იშვიათია მეოთხე კავშირებითი, როგორც მესამე კავშირებითი. მეცნიერის მინიშნებით, „მეოთხე ჯგუფის ნაკვთები ჩვეულებრივ მესამე პირის ფორმით გვხვდება“, რაც მას იმ დასკვნის გამოტანის საშუალებას აძლევს, რომ „ეს ნაკვთები, როგორც ჩანს, მესამე პირის საფუძველზეა ჩამოყალიბებული“ (როგავა 1953:29).

მეცნიერს მესამე და მეოთხე სერიის ჯგუფები ისტორიულად სხვადასხვა დროის წარმოაქმნად მიაჩნდა. IV სერიის ნაკვთები უნდა ჩამოყალიბებულიყო დრო-კილოთა მესამე ჯგუფის ჩამოყალიბების შემდეგ, ხოლო დასავლურ კილოებში (ქვემომერულში, რაჭულსა და ლეჩუმურში) ეს ფორმები უფრო გვიანდელი მოვლენა ჩანს. მეცნიერს აწმყოს თურმეობითის ნაკვთა ჩამოყალიბება ქართველურ ენებში ენათა მორფოლოგიის განვითარების შინაგან კანონად მიაჩნია, რაც განპირობებული იყო იმით, რომ საჭირო იყო უხილავი დრო-კილოთა ნაკვთების გაჩენა ნამყო უსრულისათვის. მეგრულის ისეთ ზმნებს, რომლებსაც მხოლოდ აწმყო-მყოფადის ნაკვთები გააჩნიათ, არ განუვითარებიათ სათანადო თურმეობითის ნაკვთები. იმ გარემოებას, რომ ამგვარი ფორმები არ განვითარდა სალიტერატურო ქართულში, მეცნიერი იმით ზსნის, რომ მეგრულს უფრო მეტი საჭიროება ჰქონდა, გამოეხატა აწმყოს ჯგუფის თურმეობითის ფორმები, რადგან სტატიკურ ზმნებს მხოლოდ პირველი ჯგუფის ფორმები ჰქონდათ (როგავა 1953:30-31).

წიგნში „მეგრულის ლინგვისტური ანალიზი“ მეოთხე სერიის ფორმები უნახავი აქტის ფორმებად არის დახასიათებული, ხოლო ამ ფორმების სემანტიკა ამგვარად არის ახსნილი: „ისინი გადმოსცემენ მოქმედებას, რომელიც უშუალოდ მოლაპარაკეს არ უნახავს, მაგრამ მისთვის ცნობილია სხვათა ნათქვამის (ან უნახავი მოქმედების შედეგის) მიხედვით. ასეთი ფორმები ყოველთვის შეიცავს „თურმეს“ გაგებას და ამიტომ მისი ხმარება სავალდებულო არც არის. მაგრამ „თურმეობითობას“, გარდა უნახაობის გადმოცემისა, კიდევ სხვა მნიშვნელობაც აქვს: აღნიშნავს ნახულს, განცდილ მოქმედებას, რომლის შესახებ (ან რომლის შედეგების შესახებ) მოქმედმა ბოლომდე ყველაფერი არ იცის. ამგვარად, თურმეობითის შინაარსისათვის არსებითია მოქმედების შესახებ ზუსტი ცოდნის არქონის მომენტი. სწორედ არცოდნის სემანტიკა იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ თურმეობითის მნიშვნელობას დაუკავშირდეს პოტენციალისის მნიშვნელობაც (რათქმა უნდა, იგულისხმება მხოლოდ ის ზმნები, რომელთაც ეწარმოებათ პოტენციალისის ფორმები)“ (კარტოზია და სხვ. 2010:262).

მეგრულში აწმყოს თურმეობითები წარსული დროის გადმოსაცემად გამოიყენება და ამ სემანტიკის წარმოჩენას ხელს უწყობს ნო- (< ნა-) პრეფიქსი, რომე-

ლიც წინავთარების სახელებისა და წარსული დროის მიმღების მაწარმოებელი აფიქსია (ქობალავა 2001:134).

მეგრულის ფორმების სემანტიკური ანალიზისას ჩვეულებრივ წიგნში **თურმე** ნაწილაკია გამოყენებული, მაგრამ ერთ ადგილას (კარტოზია და სხვ. 2010:263) „ნაწერავა“ ფორმა გამოუყენებიათ ავტორებს, რადგან ამ ფორმაში უფრო კარგად იგრძნობა ის დამახასიათებელი სემანტიკური ნიუანსი, რომელსაც ეს ფორმა გულისხმობს, ვიდრე ეს ჩანს აღწერით, **თურმე** ფორმადართულ წარმოებაში.

როგორც უკვე აღინიშნა, ევიდენციალობის ორი სახე გამოიყოფა: **პირდაპირი ევიდენციალობა** და **ირიბი ევიდენციალობა**. პირდაპირი ევიდენციალობის მარკირება არ ხდება, მაგრამ მარკირებულია ირიბი ევიდენციალობა. ირიბი ევიდენციალობის სემანტიკური კლასიფიკაციისას კი მნიშვნელოვანია ინფორმაციის წყარო და მისი მიღების გზა, ანუ როგორია მიღებული ინფორმაცია – **ვერბალური ანუ შეტყობინებითი, თუ ინფერნციული ანუ დასკვნითი, რომელიც მოქმედს გამოაქვს თავისი ცოდნისა და გამოცდილების ფონზე.**

**ნა-** პრეფიქსიანი ფორმები ქართული ენის ოთხ დიალექტში დასტურდება: ქეყოიმერულში, გურულში, ლეჩეუმურსა და რაჭულში (ჯორბენაძე 1989). ამ ფორმათა არსებობა, როგორც უკვე აღინიშნა, მეგრულის გავლენას მიეწერება, რაც ბუნებრივია ამ არეალისათვის. შენიშნულია, რომ ქართულის კილოებში მეოთხე სერიის ნაკვთები, ჩვეულებრივ, მესამე პირის ფორმით გვხვდება, რაც ხელს უწყობს იმ დასკვნას, რომ ეს ნაკვთები მესამე პირის საფუძველზეა ჩამოყალიბებული (როგავა 1953:29). ამის მიზეზი კი შეიძლება იყოს ის, რომ პირველი პირი დაკავებულია როგორც შემგრძნობი, მიმღები, აღმქმელი ინფორმაციისა. იგი ერთგვარად დისტანცირებულია ფაქტისა და მოვლენისაგან და, ფაქტობრივად, ინფორმაციის მიმღები ან გამტარებელი ხდება.

ამ დიალექტებში, ისევე როგორც სალიტერატურო ქართულში, ევიდენციალური სემანტიკა I და II თურმებითის მწყრივებსაც მოეპოვებათ. დგება საკითხი, რა სემანტიკური სხვაობაა „ყვარება“ და „ნაყვარება“ ფორმებს შორის, რამაც ამ დიალექტებში **ნა-** პრეფიქსიანი ფორმების დამკვიდრებასა და შენარჩუნებას შეუწყო ხელი?

**ნა-** პრეფიქსიანი ფორმების სემანტიკურმა ანალიზმა რამდენიმე ჯგუფის გამოყოფის შესაძლებლობა შექმნა. ეს ფორმები ირიბი ევიდენციალობისაა და გარკვეული სემანტიკური ნიშნით ხასიათდება:

**1. ადმირატიულობა, ანუ მოულოდნელი შედეგი – ნახული, რომლის შედეგი მოულოდნელი იყო მოლაპარაკისათვის:** (1) „ნადუღება ე წყალი რა ხანია...“ – მოლაპარაკისათვის ნახული ფაქტი მოულოდნელია. ფორმაში არა მარტო წინააღმორწეული **თურმეს** გაგება, არამედ იგი გარკვეული ექსპრესიულობის ნიუანსის მატარებელიცაა, კერძოდ, იგრძნობა გაოცება, გაკვირვება ნახულის გამო. „ნადუღება“ ფორმის შინაარსი მნიშვნელოვნად განსხვავდება „აღუღებულა“ ფორმისაგან, რომელშიც უფრო რეზულტატიურობის სემანტიკაა წინ წამოწეული. ადმირატიული ევიდენციალობა ვრცელი კონტექსტიდან კიდევ უფრო კარგად ვლინ-

დება. ფრაზაში შესაძლოა არსებობდეს ექსპრესიულობის გამომხატველი „რა“ ან „არ“ ნაწილაკი, რაც ხაზს უსვამს მოულოდნელი შედეგით მიღებულ განწყობას:

- (2) „ავერ **არ** ნავდება ერ?! ვეძებ რახანია“...
- (3) „**მე** კყვირი აქანე და ეგერ ნაუდობა ბუხართან ევი, კარქა სითფოში“...
- (4) „**რა** კარგა ნაქარგავა ერ ვოვო, კარ ვიცო მე“...
- (5) „შეხედუ, **რა** კაი სკამეჯს ნაკეთება დათიკო, კარ ვიცო მე“...

2. ინფერნცია, ანუ ლოგიკური დასკვნა – ლოგიკურ დასკვნაზე დაფუძნებული ინფორმაცია, რომელიც ძირითადად ემყარება მთქმელისთვის ცნობილ ფაქტებს. ესაა მთქმელის დასკვნა, რომელიც მას გამოაქვს თავისი ზოგადი ცოდნის და გამოცდილების საფუძველზე. დასკვნა შეიძლება გამოტანილი იყოს წარსული გამოცდილების ფონზე (6), ან გულისხმობდეს გარკვეული ეჭვის არსებობას და მასზე დაფუძნებულ დასკვნას (7), ან ვარაუდს, რომელიც არსებობდა და ახლა დასკვნით გამყარდა (8), ან ფაქტის ხილვის შედეგად გამდიდრებულ გამოცდილებას (9), (10).

- (6) „ბაღნებმა მოკრიფებ გუშხამ, სუსკელე ფუტურეა... აღბათ თოული მონახთენა // ნახთენა მავას.“
- (7) „მივერ და ქე აღარ იყო რამე ხეზე, მაის ბაღანე ნაკრეფავა უმათე... რაღაი იქნებოდა“...
- (8) „მაჯავა უფრო ე წითელი ქათმები... ისე დიდი ნაზარდა ევი, კაცო!“...
- (9) „რაფერ დანაქონა ტყემალი ასაბარებლათ, სა შოულია ამდონი“...
- (10) „ქე ნაბამა ე თხილი და რათ გინდა“...

ნა- პრეფიქსიანი ფორმების სემანტიკა განსხვავებულია ამავე ზმნების I თურმეობითის ფორმებისაგან: რეზულტატიურობის გამომხატველი ფორმებია – მოხდენია, მოუკრეფია, ვაზრდილა, მოუბამს (/მოუბამა...), ხოლო ნა- პრეფიქსიანი ფორმებით კი ირიბი ევიდენციალობა, უნახაბა ვლინდება, რომელიც ფაქტის შემდგომ ლოგიკური დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას გულისხმობს.

3. ხმებზე დამყარებული ინფორმაცია – ნა- პრეფიქსიანი ირიბი ევიდენციალობის ყველაზე გავრცელებული სემანტიკაა. ეს შეიძლება **დაუზუსტებელი ინფორმაციის სახელდებითაც დახასიათდეს, თუმცა ტერმინი „ხმებზე დამყარებული ინფორმაცია“ ამ სემანტიკის მთავარ მახასიათებელს წამოსწევს წინა პლანზე (ინგლ.: Hearsay). იგი, ფაქტობრივად, გულისხმობებს არსებულ, გავრცელებულ ხმებზე დამყარებულ ინფორმაციას, რომელიც შეუმოწმებელი ან გადაუმოწმებელია, მაგრამ მოლაპარაკე მას მაინც იყენებს, ანუ ამ აზრის გამტარი ხდება. სწორედ ამ სემანტიკურ ნიუანსს უნდა გულისხმობდნენ, „მეგრულის ლინგვისტური ანალიზის“ ავტორები, როცა წერენ: „მეოთხე სერიის ფორმები უნახავი აქტის ფორმებია. ისინი გადმოსცემენ მოქმედებას, რომელიც უშუალოდ მოლაპარაკეს არ უნახავს, მაგრამ მისთვის ცნობილია სხვათა ნათქვამის (ან უნახავი მოქმედების შედეგის) მიხედვით. ასეთი ფორმები ყოველთვის შეიცავს „თურმეს“ გაგებას და ამიტომ მისი ხმარება სავალდებულო არც არის. მაგრამ „თურმებითო-**

ბას“, გარდა უნახაობის გადმოცემისა, კიდევ სხვა მნიშვნელობაც აქვს: აღნიშნავს ნახულს, განცდილ მოქმედებას, რომლის შესახებ (ან რომლის შედეგების შესახებ) მოქმედმა ბოლომდე ყველაფერი არ იცის (ხაზგასმა ჩვენია 6.შ.). ამგვარად, თურმეობითის შინაარსისათვის არსებითია მოქმედების შესახებ ზუსტი ცოდნის არქონის მომენტი“ (კარტოზია და სხვ. 2010).

მეგრულის წარმოება თავისი სემანტიკური ნიუანსით გადმოვიდა ქართული ენის დასავლურ დიალექტებში და სწორედ ამ სემანტიკის შენარჩუნებამ შეუწყო ხელი ამ ფორმების დამკვიდრებასა და გავრცელებას. ამ სემანტიკას, რა თქმა უნდა, I თურმეობითის ფორმები ვერ ჩანაცვლებდა.

- (11) „ვირგოლიე სახს ნაყიდავა და ყიდულოფს მაგიორს პუტერას“...
- (12) „ნაწუმარა იქინე“...
- (13) „ხშირათ მონავალა მა ქალი მაქანე, დანავალა“...
- (14) „ანიკოს გოულეთ კარები. ქე ნაწყენა მარშინა, მარა არ უწყენია ახლა“...
- (15) „ქალები დანარება იქინე“...
- (16) „თვითან ვერ ნაჭამა თხილს და აწი რაღათ უნდა“...
- (17) „ვაღოლიეს გოგო ნაყვარება მაგას და მას მერე არც მოუყვანია ცოლი“.
- (18) „მაი, ჯარში რო იყო ნაწერა და ნავ ზავნა წერილებს ი გოგოსან“...
- (19) „მაის რძალი სახს ნაშენება თურმე ქუთაიში“...
- (20) „იქინე ყოფილა ახლოს და იქიდვან ნაყურება ამ ამბავს“...
- (21) „უნდა ვიყიდო ახალი ქრანი, კარ ნაღირალა ბევერი“...
- (22) „ნაპარავა მაი ბიჭი ყორფელის“...
- (23) „ახალი წლიშა ნასუქება ი ღორს ანიკო და კარ დებუარექა?!“
- (24) „ნანდომა მაგას კაი ხანია“...

საყურადღებოა ნა- პრეფიქსიანი ფორმების დაფიქსირების შემთხვევები თანამედროვე ქართულ მედიასა და ინტერნეტსივრცეში. მათი რაოდენობა საკმაოდ დიდია.<sup>1</sup> რა თქმა უნდა, ეს ფორმები უფრო მეტად დასავლური დიალექტების წარმომადგენელთა მეტყველებაში ფიქსირდება, მაგრამ აქ მნიშვნელობა მაინც ფაქტს ენიჭება: ამ ფორმების გამოყენებით სწორედ იმ თავისებურ სემანტიკურ ნიუანსებზე ხდება ყურადღების გამახვილება, რაც სალიტერატურო ენის თურმეობითების ფორმებით სრულად ვერ გადმოიცემა. გარდა ზემოთ განხილული სემანტიკური ნიუანსებისა, კონტექსტების უმრავლესობა მკვეთრ ირონიასაც შეიცავს, რაც ზოგადად დიალექტური მეტყველების არაპირდაპირი გამოყენების მასასიათებელია, მაგრამ ამ შემთხვევაში საინტერესოა ისიც, რომ სალიტერატურო ენის ჩვეულებრივი ფორმები ვერ წარმოაჩენს იმ ირონიულ ქვეტექსტს, რაც მნიშვნელოვანია მათი გამოყენებლისათვის. ეს ამ ფორმათა ანალიზის პრაგმატული ასპექტებია და ცალკე კვლევას მოითხოვს.

<sup>1</sup> ამისათვის უბრალოდ საკმარისად საბიექტო ერთეულად მიეცეს ფორმები: ნაყვარება, მონავალა, ნაცხოვრება... და მასალა უხვად იქნება წარმოდგრილი ინტერნეტსივრციდან, რომელიც მოიცავს მედიას, ფორუმებს ან ფეისბუქის კომენტარებს.

## ლიტერატურა

- არაბული 1984:** ა. არაბული, მესამე სერიის ნაკვთეულთა წარმოება და მნიშვნელობა ძველ ქართულში, „მეცნიერება“, თბილისი.
- აიხენვალი 2004:** A. Aikhenvald, *Evidentiality*, Oxford University Press, Oxford.
- ბაიბი და სხვა 1994:** J. Bybee, R. Perkins, W. Pegliuca, *The Evolution of Grammar*, Chicago, London.
- ბერიძე 2009:** მ. ბერიძე, პერფექტულობის გამოხატვის ზოგი საკითხისათვის ქართულში, გურამ კარტოზია 75, მთავარი რედაქტორი თ. გამყრელიძე, „სეზანი“, თბილისი.
- ბოედე 2000:** W. Boeder, *Evidentiality in Georgian*, In: Johanson & Utas, Berlin.
- გოგოლაშვილი 2012:** თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია, თანამდროვე სალიტერატურო ენა, ვიორგი გოგოლაშვილის საერთო რედაქციით, თბილისი.
- ვილეტი 1988:** T. Willet, A Cross-linguistic Survey of Grammaticalization of Evidentiality, *Studies in Language*, 12 (1).
- კარტოზია და სხვ. 2010:** გ. კარტოზია, რ. გერსამია, მ. ლომია, თ. ცხადაია, მეგრულის ლინგვისტური ანალიზი, „მერიდიანი“, თბილისი.
- კოზინცევა 2007:** Ч. Козинцева, Типология категории засвидетельствованности, Эвиденциальность в языках Европы и Азии, Санкт-Петербург.
- კორდი 2007:** E. Corde, Категория эвиденциальности во французском языке, Эвиденциальнаяность в языках Европы и Азии, Санкт-Петербург.
- მარგარიტა-სუბარი 2012:** ქ. მარგარიტა-სუბარი, უკიდებიალობის კატეგორია სვანურ ენაში, „გლობალ-პრინტი+“, თბილისი.
- პალმერი 2011:** F. R. Palmer, Mood and Modality, Cambridge University Press, (1986).
- როგავა 1953:** გ. როგავა, დრო-კილოთა მეოთხე ჯგუფის ნაკვთები ქართველურ ენებში,
- იუ Ⅴ, თბილისი.
- სარჯველაძე, ნინუა 1985:** ზ. სარჯველაძე, გ. ნინუა, უნახაობის გამოხატვისათვის ძველ ქართულ წერილობით მეგლებში, მაცნე, ელს, № 1, თბილისი.
- ფხაკაძე 1984:** დ. ფხაკაძე, I თურმეობითის ფუნქციები ქართულში, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.
- ქვთარაძე 1956:** ი. ქვთარაძე, დრო-კილოთა მესამე სერიის წარმოების ერთი თავისებურება ახალ ქართულში, იუ Ⅶ, თბილისი.
- ქობალავა 2001:** ი. ქობალავა, კავშირებითი კილო მეგრულში, უნაიმუნიურების საკითხები, № 4, თბილისი.
- შაბაშვილი 2009:** გ. შაბაშვილი, პერფექტის კატეგორიის ფუნქციურ-სემანტიკური მახასიათებლები I, „უნივერსალი“, თბილისი.
- შაბაშვილი 2010:** გ. შაბაშვილი, აწმყოს პერფექტის ფუნქციურ-სემანტიკური მახასიათებლები ქართული დიალექტების მიხედვით (მთის დიალექტების მონაცემებზე დაყრდნობით), იუნე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტის პუბლიტარულ მუნიციპალიტეტის ქართული ენის ინსტიტუტის შრომები 1, თბილისი.

**შანიძე 1973:** ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძლები, თბილისი.

**ჩიქობავა 1962:** ა. ჩიქობავა, ქართული ზმნის ნაკვთეულთა დაჯგუფების პრინციპისათვის, ეკი XIII, თბილისი.

**ჯორბეგაძე 1989:** ბ. ჯორბეგაძე, ქართული დააღუქტოლოვა, I, თბილისი.

**ჰაან 1999:** F. De Haan, Evidentiality and Epistemic Modality: Setting Boundaries, *Southwest Journal of Linguistics*, 18, Garland Publishing, New York, pp. 83-101.

Nino Sharashenidze

### **The Category of Evidentiality (the Unseen) in the Western Dialects of the Georgian Language: On the Functional-Semantic Analysis of Forms with prefix ნა-**

#### Summary

Evidentiality is a universal category expressed in every language. It may be expressed by means of diverse linguistic forms: it may either be revealed as a result of discourse analysis or expressed by syntactic, lexical or morphological means. Evidentiality in a broad sense is an expression of relation between the information given in the text and the informer/speaker: it expresses the way of obtaining information, either directly perceived or obtained indirectly from some source; it also expresses whether the information is genuine, probable or anticipated by the speaker.

Evidentiality is present in all the three Kartvelian languages, although it is not considered a morphological category.

The situation with regard to the expression of evidentiality varies among the dialects of Georgian. The eastern dialects mostly reflect the existing situation – the resultative screeves express a result, outcome. However, in narrative texts the sequence of Resultative I destroys the resultative meaning in the perfect and emphasizes the meaning of the unseen.

In the Western dialects the situation is different. The category of evidentiality is expressed naturally by the forms of the Third Series. Besides, in some dialects there are special forms for expressing indirect evidentiality. It is considered that these forms have appeared as a result of the influence of Megrelian language and are characterized by the usage of ნა- prefix, which is considered a form of the Fourth Series.

Forms with ნა- prefix are found in the four dialects of Georgian: those of lower Imereti, Guria, Lechkhumi and Racha. The semantic analysis of forms with ნა- prefix has made it possible to distinguish several groups. These forms express indirect evidentiality and are characterized by certain semantic features. The paper is an attempt of functional-semantic analysis of constructions with ნა- prefix: admiration – or unexpected result, inference – or logical conclusion, information based on rumour, sharp irony.

კვლევაზე ძირი გადასცემი

## ნეტარი ავგუსტინეს სემიოტიკური იდეაბი

ადრეული შუა საუკუნეების ქრისტიანულ ფილოსოფიასა და ლვოსმეტყველებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ქრისტიანული ეკლესიის ერთ-ერთი ფუძემდებლის, ნეტარი ავგუსტინეს (354-430), ნაწერებს, რომლებიც შეიცავენ სემიოტიკური საკითხებისადმი მიძღვნილ ერთ-ერთ პირველ ნაშრომებს. ავრელიუს ავგუსტინე დაიბადა ჩრდილოეთ აფრიკის პროვინცია ნუმიდიაში (ახლანდელი ალჟირის ტერიტორია), დარიბი რომაელი მოხელის ოჯახში. მისი მამა წარმართი იყო, დედა – ქრისტიანი, წმინდა მონიკა (მიჩნეულია გათხოვილი ქალების მფარველად). ჭეშმარიტების ძიებაში ავგუსტინემ რამდენჯერმე შეიცვალა მსოფლმხედველობა: იგი ჯერ მანიქეველი იყო (სექტა, რომელიც სამყაროს სიკეთისა და ბოროტების ბრძოლის ველად მიიჩნევს), მერე – სკეპტიკოსი, შემდეგ კი ნეოპლატონიკოსი. საბოლოოდ იგი ქრისტიანობას მიერჩო და აქტიურად იბრძოდა იმსანად გავრცელებული სექტების წინააღმდეგ, რასაც მრავალი ტრაქტატი მიუძღვნა. 395 წ. ავგუსტინე დაინიშნა ქალაქ პიპონის (თანამედროვე ანაბა, ალჟირი) ეპისკოპოსის თანამდებობაზე, რომელზედაც იგი სიკვდილამდე იმყოფებოდა – იგი გარდაიცვალა 430 წ. 28 აგვისტოს ვანდალების მიერ აღყაშემორტყმულ პიპონში. ავგუსტინე შერაცხულია წმინდანად როგორც კათოლიკურ, ისე მართლმადიდებლურ ეკლესიებში.

ნეტარი ავგუსტინეს მრავალი ნაშრომი ეძღვნება მთლიანად საღვთისმეტყველო საკითხებს. მათთან კავშირში განიხილება სემიოტიკური პრობლემატიკაც. მისი შეხედულებები ჩამოყალიბდა ელინისტური ფილოსოფიისა და ქრისტიანული მისტიციზმის ზეგავლენით, ხოლო შემოქმედება წარმოადგენს ერთგვარ მიჯნას ანტიკურ და ქრისტიანულ ეპოქებს შორის. ლვთისმეტყველი მიიჩნევს, რომ მთელი სამყაროს რეალიების ერთობლიობა არის ნიშანთა სისტემა, რომელიც უნდა შეისწავლებოდეს წმინდა წერილისა და ლვთის განვების უკეთ შეცნობის მიზნით. ნიშანთა თეორიას ავგუსტინე ავითარებს ტრაქტატებში „დიალექტიკის შესახებ“ (“De dialectica” 387 წ.), „მასწავლებლის შესახებ“ (De Magistro 388-89 წწ.), „ქრისტიანული მოძღვრების შესახებ“ (De doctrina christiana 396-427წწ.), „სამების შესახებ“ (De Trinitate 400-416 წწ.), „ლვთის ქალაქის შესახებ“ (De civitate Dei 412-426 წწ.)და სხვ.

ტრაქტატში „ლვთის ქალაქის შესახებ“ ავგუსტინე კაცობრიობის ისტორიას განიხილავს როგორც ორი ქალაქის – ზეციურისა და მიწიერის – დაპირისპირებას. ეს ქალაქები განასახიერებენ სიკეთესა და ბოროტებას, ლვთაებრივსა და ეშმაკისეულს; მათ შორის დაბაბულობა, ზემოქმედებს რა ადამიანების ყოველდღიურ ცხოვრებაზე, განსაზღვრავს გლობალური ისტორიის მსვლელობის მიმართულე-

ბას, რომელიც, ავგუსტინეს მიხედვით, წარმოადგენს არა მოვლენებისა და თარიღების მოუწესრიგებელ და შემთხვევით კრებულს, არამედ იძენს ღმერთის მიერ წინასწარ დადგნილ ვექტორს, საბოლოო მიზანს. ისტორიულ პროცესს, როგორც ღვთის ჩანაფიქრის თანმიმდევრულ განხორციელებას, მხატვრული ნაწარმოების ან დრამის მსგავსად, აქვს დასაწყისი (ცოდვით დაცემა), მოქმედების მიმდინარეობა (ზეციური და მიწიერი სამეფოების ბრძოლა) და დასასრული (ქრისტეს მეორედ მოსვლა და საშინელი სამსჯავრო). ეს კონცეფცია დასაბამს უდებს დროის ახალებულ, „სემიოტიკურ-ესქატოლოგიურ“ გაგებას (Руднев 1999:60), რომელშიც ისტორიული მოვლენები იძენენ სემიოტიკურ სტატუსს მათ შორის მიზეზშედევობრივი მიმართებების დადგენისას, რისთვისაც საჭიროა მათვის გრკვეული მნიშვნელობების მინიჭება და, შედეგად, ერთიან ნიშნობრივ სისტემაში მოთავსება. ამრიგად, ავგუსტინეს დოქტრინიდან გამომდინარეობს, რომ სემიოზისისა და ნიშნის ცნებების წარმოქმნა თან სდევს ისტორიისა და წმინდა წერილის გააზრების პროცესს.

ნიშნის რაობასა და ბუნებაზე თავისი წარმოდგენების შესახებ ავგუსტინე მრავალ ნაშრომში მსჯელობს. სწორედ მისი ნაწერების წყალობითაა შემონახული სტოიკოსების ნიშნის თეორია, რომელმაც, როგორც ჩანს, დიდი გავლენა იქნია ავგუსტინეს საკუთარ სემიოტიკურ თეორიაზე, რომელიც, თავის მხრივ, ანტიკური და ადრეულქრისტიანული ნააზრევის ერთგვარი შეჯამებაა.

თეოლოგი-ფილოსოფოსი განმარტავს ნიშანს როგორც ისეთ რაიმეს, რაც ალიქმება გრძნობათა ორგანოებით და თავისი თავის გარდა კიდევ რაღაც სხვას წარუდგენს გონებას: „ნიშანი არის საგანი, რომელიც საკუთარი სახის ან ფორმის გარდა, რომლებიც ჩვენს შეგრძნებებზე ზემოქმედებენ, აღმრავს ჩვენს გონებაში სხვა ცნობილი საგნების შესახებ წარმოდგენას, მაგალითად, კვალის დანახვისას ჩვენ წარმოვიდგენთ ცხოველს, რომელმაც ეს კვალი დატოვა, კვამლის დანახვისას – ცეცხლს, რომელმაც იგი წარმოშვა“ (Христ. Наука II, 1). ამრიგად, ავგუსტინე ამკვიდრებს ნიშნის ტრიადულ მოდელს: ნიშანი – დენოტატი – რეციპიენტი/ნიშნის მოშხმარებელი (ნიშანი წარუდგენს საკუთარ თავს შეგრძნებებს და კიდევ რაღაც თავისი თავისგან განსხვავდულს – გონებას (De dialectica V)).

ნიშანი (signum) თვითონაც არის საგანი, რადგან „რაც საგანი არ არის, ის სრულებით არაფერია, მაგრამ ყოველი საგანი ნიშანი არაა“ (Христ. Наука I, 2). საკუთრივ საგნებს ან ნივთებს (res) წარმოადგენენ ისეთი არსები, რომლებიც არ გამოიყენება სხვა რამის აღსანიშნად. ამასთან, ერთადერთი არსი, რომელიც მართლაც არაფერს აღნიშნავს, არის წმინდა სამება, ვინაიდან იგი ყოველივეზე მაღლა დგას და წარმოადგენს ტკბობის უმაღლეს ობიექტს, მაშინ როდესაც ყველა დანარჩენ საგანს აქვს ფუნქციონალური, გამოყენებითი დატვირთვა, კერძოდ, ღვთისა და ერთიმეორის აღნიშვნა. ავგუსტინეს ამ შეხედულებამ დასაბამი დაუდო მთელს შეა საუკუნეებში გაბატონებულ წარმოდგენას პანსემიოტიზმის შესახებ, როდესაც ყოველი ამქევენიური მოვლენა და საგანი მოიაზრებოდა როგორც ღვთაებრივი რეალობის ნიშანი.

მეტყველების შემთხვევაში ნიშანი წარმოიქმნება და აღიქმება დანაწევრებული ბგერის დახმარებით. „სიტყვა არის რომელიმე საგნის ნიშანი; იგი შეიძლება გაგებული იყოს მსმენელის მიერ, როდესაც მას მოლაპარაკე წარმოთქვამს“ (De dialectica V).

ნიშნის ფუნქცია შეიძლება შეასრულონ ასევე უსტებმა, მოძრაობებმა ან მიმიკამ, თუმცა გამოხატვის ეს საშუალებები დიდად ჩამოუვარდებიან სიტყვებს, რომელთაც ავგუსტინე უპირატესობას ანიჭებს ნიშანთა შორის, რადგან „ნიშანთა ყველა სახეობის... გამოხატვა შესაძლებელია სიტყვებით, მაგრამ სიტყვების ამ ნიშნებით გამოხატვა შეუძლებელია“ (Христ. Наука II,4).

ნეტარი ავგუსტინე ასე აღწერს მეტყველების წარმოქმნის პროცესს: ადამიანის სულს, წამიერი ნათების მსგავსად, ასხივოსნებს ინტუიციური წარმოდგენა ზეციური ჰეშმარიტების შესახებ, რომელიც ძალიან მალე ქრება, მაგრამ მეხსიერებაში ტოვებს ანაბეჭდს. მეტყველება ხორციელდება სწორედ ამ ანაბეჭდის გახსენების წყალობით, მაშინ როდესაც გამოსათქმელი აზრი, რომელსაც ავგუსტინე შინაგან სიტყვას (verbum mentis, verbum interius) უწოდებს, უკვე დიდი ხანია გამქრალია გონებიდან. თვით მეტყველება შეიძლება სხვადასხვა ენაზე მიმდინარეობდეს, მაგრამ სულიერი ანაბეჭდი „არ მიეკუთვნება არც ბერძნულ, არც ლათინურ, არც რომელიმე სხვა ენას“ (О троицე XV,19). ხმამაღლა გამოთქმული სიტყვა (verbum vocis) არის ამ შინაგანი სიტყვის ნიშანი, გამოხატულება. შინაგანი სიტყვა წარმოდგენს სულის იმანენტურ თვისებას, აზრს, რომელიც ჯერ არ არის სიტყვებში შემოსილი; მისგან უნდა განვასხვავოთ უხმოდ, გონებაში გამოთქმული სიტყვები და ბგერები, რომლებიც მიეკუთვნებიან გარეგან სიტყვებს: „სიტყვა, რომელიც უღერს გარეგანად, არის შინაგანად დანახული სიტყვის ნიშანი; და სწორედ ამ უკანასნელს შეეთანადება სიტყვის დასახელება“ (О троицე XV, 20). ავგუსტინეს თქმით, როგორც შინაგანი სიტყვა გამოხატება გარეგანით, ისევე შეიმოსება სხეულით დვთაებრივი ლოგოსი, რათა იგი ადამიანებმა შეიმეცნონ, ამავე დროს, დვთის სიტყვის გარეგანი გამოვლინებაა მთელი სამყარო.

წმ. ავგუსტინეს მიხედვით, ენობრივი ნიშნის (signum), ანუ გარეგანი სიტყვის, შემადგენელი ნაწილებია dicibile (აღსანიშნი), dictio (აღმნიშვნელი), res (საგანი). Dicibile აღნიშნავს სიტყვას, რომელსაც შეიძლება ჩავწედეთ გონებით მის წარმოთქმამდე, dictio არის ხმის მეშვეობით წარმოთქმული სიტყვა, გამოსახულება: „Dicibilia (გამოსათქმელები) გონებაში მეტყველების წინ ჩნდებიან, როდესაც ისინი მეტყველებაში გამოითქმებიან რამის შესახებ, ისინი გადაიქცევიან dictions (გამონათქვამებად)“ (De dialectica V). ერთი შეხედვით, dicibile და შინაგანი სიტყვა არ განსხვავდებან ერთომეორისგან. მაგრამ შინაგანი სიტყვა მთლიანად ფიქიცურ სფეროს განეკუთვნება, ხოლო dicibile არის ლინგვისტურ-სემანტიკური მოვლენა; შინაგან სიტყვაში აღბეჭდილია ის, რაც იგულისხმება მოსაუბრის მიერ, მისი თავდაპირველი აზრი, dicibile კი აღნიშნავს ამ აზრის გამოხატვის საშუალებებს, სიტყვების შინაარსს კონკრეტულ საკომუნიკაციო სიტუა-

ციაში. განსხვავება ამ ორ ცნებას შორის ნათლად ჩანს, როდესაც ერთი და იგი-ვე აზრი სხვადასხვა სიტყვითაა გამოთქმული, რომელთაც აქვთ საკუთარი სიგნიფიკაციური და კონოტაციური მნიშვნელობები და ამის შედეგად გამოსათქმელ აზრში განსხვავებული ნიუანსები შეაქვთ. მაშასადამე, ტერმინით „შინაგანი სიტყვა“ ავგუსტინე აღნიშნავს აზრს როგორც ფსიქიკურ მოვლენას, ხოლო ტერმინით „dicibile“ – გამონათქვამის მნიშვნელობას, იმას, რაც შეიძლება გამოიხატოს სიტყვებით. რაც შეეხება საგნებს, ისინი ორნაირია: შეგრძნებების ორგანოებით აღსაქმელი (sensibilia), მაგალითად, „რომი, რომულუსი ან მდინარე“ (Об учитеle IV), და ისინი, რომელთაც წვდებან გონების მეშვეობით (intelligibilia), მაგალითად, „სიმამაცე“ (Об учитеle IV). ენობრივი ნიშნის კიდევ ერთი შემადგენელი ნაწილია თვითონ ნიშანი, verbum (სიტყვა), რაც ასევე გულისხმობს სიტყვის მეტალინგვისტური ფუნქციით გამოყენებას მისივე დასახელების მიზნით, და არა რაიმე საგნის აღსანიშნად (მაგალითად, როდესაც მასწავლებელი ეკითხება ბავშვს, რომელ მეტყველების ნაწილს მიეკუთვნება სიტყვა arma „იარაღი“, ეს სიტყვა ნახმარია სწორედ ამ აზრით).

рванной от жизни своего народа кабинетной наукой, полностью зависимой от буржуазной лингвистики», «наукой, творимой в тиши кабинетов горсткой ученых» (Ошанин 1959, стр. 408), то после революции все изменилось: «С началом практической работы китайских языковедов после победы революции 1949 г. совпало опубликование в Советском Союзе материалов лингвистической дискуссии в «Правде». Работа И. В. Сталина «Марксизм и вопросы языкоznания», немедленно переведенная на китайский язык, явилась важнейшим звеном, связавшим теоретическую работу китайских языковедов с работой лингвистов СССР, и оказалась китайским ученым большую помощь в деле развития в Китае нового, марксистско-ленинского языкоznания» (*ibid.*, стр. 411).

Что же касается советской китаистики, то, естественно, как писал в 1960 году В.И. Горелов в обзоре работ, посвященных «вопросам китайского языка в работах советских лингвистов» в 1945-1959 годах, «исследования, написанные после лингвистической дискуссии 1950 г., содержат критику теории Н.Я. Марра» (Горелов 1960, стр. 344).

Как можно видеть, заинтересованность Советского Союза в дружеских отношениях с Китаем в конце сороковых годов прошлого века могла стать одним из факторов, повлиявших на решение Сталина изменить ситуацию в советской лингвистике в 1950 году, раскритиковать марристов, считавших китайский язык (а следовательно, и китайский народ) навсегда застывшими на древнейшей стадии развития. «Китайский фактор» дискуссии получил определенное отражение и в романе Солженицына *В круге первом*.

## **Библиография**

- Алпатов 1991 [2004]** : В. М. Алпатов, *История одного мифа: Марр и марризм*, УРСС, Москва.
- Андреев 1930** : А. П. Андреев, *Язык и мышление. Опыт исследования на базе материалистической яфетической теории*, ЦК СЭСР, «Интернациональная» 39-я типография «Мосполиграф», Москва.
- Ахвледиани 1950** : Г. С. Ахвледиани, *Боевая программа построения марксистского языкоznания*, *Правда*, 27.06.1950, стр. 3.
- Вельмезова 2014** : Е. В. Вельмезова, *История лингвистики в истории литературы*, Индрик, Москва.
- Горбаневский 1991** : М. В. Горбаневский, *В начале было слово... : Малоизвестные страницы истории советской лингвистики*, Издательство Университета дружбы народов, Москва.
- Горелов 1960** : В. И. Горелов, *Вопросы китайского языка в работах советских лингвистов (1945-1959 гг.)*, *Известия Академии наук СССР, Отделение литературы и языка*, 1960, т. XIX, вып. 4, стр. 344-352.
- Гумбольдт 1848 [1859]** : В. фон Гумбольдт, *О различии организмов человеческого языка. О влиянии этого различия на умственное развитие человеческого рода. Посмертное сочинение Вильгельма фон-Гумбольдта. Введение во всеобщее языкоzнание*, В типографии Императорской Академии наук, Санкт-Петербург.

- Заключительная речь... 1950:** Заключительная речь Мао Цзе-дуна на сессии Национального комитета Народного политического консультативного совета Китая, *Правда*, 25.06. 1950, стр. 6.
- Илизаров 2012:** Б. С. Илизаров, *Почетный академик Сталин и академик Mapp*, Вече, Москва.
- Капанцян 1950:** Г. А. Капанцян, О некоторых общелингвистических положениях Н. Марра, *Правда*, 30.05.1950, стр. 3-4.
- Копелев 1981 [2011]:** Л. З. Копелев, *Утоли моя печали*, Права людини, Харьков.
- Ломтев 1950:** Т. П. Ломтев, За ленинско-сталинский путь развития советского языко-знания, *Правда*, 27.06.1950, стр. 4.
- Mapp 1936 [1933-1937]:** Н. Я. Марр, Язык», *Mapp N. Я., Избранные работы*, т. I-V, Издательство государственной академии истории материальной культуры (т. I) – Государственное социально-экономическое издательство (т. II-V). Т. II, Москва – Ленинград, стр. 127-135.
- На сессии... 1950:** На сессии Национального комитета Народного политического консультативного совета Китая, *Правда*, 22.06.1950, стр. 5.
- Ошанин 1959:** И. М. Ошанин, Языковое строительство в Китайской Народной Республике, *Известия Академии наук СССР, Отделение литературы и языка*, 1959, т. XVIII, вып. 5, стр. 407-418.
- Переписка... 1950:** Переписка советской и китайской молодежи, *Правда*, 27.06.1950, стр. 2.
- Санжеев 1950:** Г. Д. Санжеев, Либо вперед, либо назад, *Правда*, 23.05.1950, стр. 3.
- Советское языкознание на подъеме 1951:** Советское языкознание на подъеме, *Известия Академии наук СССР, Отделение литературы и языка*, т. X, вып. 3, стр. 209-217.
- Солженицын 1968 [1999]:** А. И. Солженицын, *В круге первом* (Солженицын А. И. Собрание сочинений в девяти томах, т. II), Терра, Москва.
- Чемоданов 1950:** Н. С. Чемоданов, Пути развития советского языкознания, *Правда*, 16.05.1950, стр. 3.
- Чикобава 1950:** А. С. Чикобава, О некоторых вопросах советского языкознания, *Правда*, 9.05.1950, стр. 3-5.

თ ა რ გ მ ა ნ ი

პილკელგა ვორცესტრლიდტი

სხვადასხვა ეპოქის მიხედვით ენათა განვითარების  
შედარებითი შესფავლა<sup>1</sup>

1. შედარებით ენათმეცნიერებას მხოლოდ მაშინ შეუძლია მიგვიყვანოს სანდო და მნიშვნელოვან დასკვნებამდე ენის, ერთა განვითარებისა და ადამიანის ჩამოყალიბების შესახებ, თუკი ის წარმოდგენილი იქნება, როგორც თავისთავადი, დამოუკიდებელი კვლევა, რომელსაც საკუთარი მიზნები და მიღწევები აქვს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი მიდგომის შემთხვევაში როგორდება ერთი ენის აღწერაც კი. ყოველი ენის ზოგადი სურათი ადვილად აღიქმება, მაგრამ თუკი შევეცდებით ამ ზოგადი წარმოდგენის საფუძვლების გამოკვლევას, ერთი შეხედვით უმნიშვნელო წვრილმანების აღურიცხავ სიმრავლეში ჩავიკარგებით და მალევე შევამჩნევთ, რომ ენით გამოწვეული შთაბეჭდილება იმდენადვეა დამოკიდებული გარკვეულ, უფრო ფართო და მნიშვნელოვან თვისებებზე, რამდენადაც ეყრდნობა თანაბარ, ცალ-ცალკე ძლივს შესამჩნევ შთაბეჭდილებას, რომელსაც ახდენს ენის ცალკეული ელემენტის აგებულება. სწორედ აქ იჩენს თავს ენათმეცნიერება, როგორც ამ ფაქტზე ნაქსოვი ორგანიზმის ჩვენი ცნობიერებისთვის წარმოდგენის საშუალება, რადგანაც მრავალფეროვანი მოვლენების მთლიანობაში ერთიანი ფორმის დადგენა ამარტივებს ამ ორგანიზმის კვლევას.

2. ისევე როგორც ჩვენმა დედამიწამ განიცადა დიდი გარდაქმნები, სანამ ზღვები, მთები და მდინარეები ახლანდელ სახეს მიიღებდნენ, შემდეგ კი ნაკლებად შეიცვალა, ასევე ენებსაც აქვთ დასრულებული ორგანიზაციის რაღაც წერტილი, რომლის შემდეგაც ორგანული აგებულება, მყარი სახე უკვე აღარ იცვლება. მაგრამ, ამის საპირისპიროდ, მათში, როგორც გონის ცოცხალ წარმონაქმნში, უფრო ფაქტი სრულყოფა მოცემული საზღვრების ფარგლებშიც შეიძლება უსასრულობამდე გაგრძელდეს. როდესაც ენა თავის სახეს იძენს, არსებითი გრამატიკული ფორმები უცვლელი რჩება; ენები, რომელთაც სქესი, ბრუნვა, პასივი ან სამუალო გვარი არ განურჩევიათ, ამ ხარვეზებს აღარ ივსებენ; ასევე, სიტყვათა დიდი ჯგუფები და სიტყვაწარმოების მთაგარი ფორმები აღარ იზრდება. მხოლოდ ცნებათა უფრო ფაქტი განშტოებებში – სიტყვაწარმოებისა და კომპოზიტების წარმოქმნით, სიტყვათა შინაარსის შინაგანი სრულყოფითა და გააზრებული შეკავშირებით, მათი თავდაპირველი მნიშვნელობების გამდიდრებით, ცალკეუ-

<sup>1</sup> Wilhelm von Humboldt, Über das vergleichende Sprachstudium in Beziehung auf die verschiedenen Epochen der Sprachentwicklung, წაკითხულია მოხსენებად 1820 წლის 29 ივნისს, ბერლინში.

ლი შემთხვევებისათვის გარკვეული ფორმების სწორად გამოყოფით, ჭარბის აღ-მოქმედით, უხეში ჟღერადობის შერბილებით – აღმოცენდება ხოლმე დარიძ და მოუქნელ ენაში ცნებათა ახალი სამყარო და მჭევრმეტყველების მანამდე არნახუ-ლი ბრწყინვალება, თუკი მას ბედმა გაულიმა.

3. ყურადღებას იმსახურებს ის მოვლენაც, რომ სრულყოფილი გრამატიკის ჩამოყალიბების საზღვრებს გარეთ არც ერთი ენა არაა აღმოჩენილი, არც ერთი ენა არ არის მოხელთებული თავისი ფორმების დინებად ქმნადობაში. ეს დებულე-ბა ისტორიულად უფრო უნდა განმტკიცდეს – ველური ტომების დიალექტების შესწავლისას ერთ-ერთ მთავარ მისწრაფებად ენის წარმოშობის უმდაბლესი მდგომარეობის განსაზღვრა უნდა დაისახოს, რათა, გამოცდილებიდან გამომდინა-რე, ენის ორგანიზაციის კიბის ქვედა საფეხური მაინც ვიცოდეთ. ჩემმა წინა გა-მოცდილებამ დამიდასტურა, რომ ე.წ. უხეში და ბარბაროსული დიალექტებიც კი უკვე ყველაფერს ფლობენ, რასაც კი მათი სრულყოფილად გამოყენება მოითხ-ოვს, და გააჩნიათ ფორმები, რომლებსაც საუკეთესო და ყველაზე შესანიშნავი ენები ფლობენ; დროთა განმავლობაში კი შესაძლებელი ხდება მათ მიერ მთელი სულიერი სამყაროს ასახვა და ამგვარად მეტ-ნაკლები სრულყოფილებით ყველა სახის იდეის გამოხატვა.

4. ენას არც შეეძლო წარმოშობილიყო სხვაგვარად, თუ არა ერთბაშად; ანუ, უფრო ზუსტად რომ კოქათ, ის თავისი არსებობის ყოველ წამს უნდა ფლობდეს იმას, რაც მას მთლიანობად აქცევს. ორგანული არსების ამ უშუალო ამოსუნ-თქვას, მისი გრძნობადი და სულიერი მნიშვნელობით, ყოველგვარ ორგანულ ბუ-ნებასთან საერთო ის გააჩნია, რომ მასში ერთი მხოლოდ მეორის საშუალებით წარმოჩნდება და ყველაფერი მხოლოდ მთლიანობის გამსჭვალვი ძალის წყალო-ბით არსებობს. ენის არსი მასში მუდამ უწყვეტად მეორდება, ხან უფრო ვიწრო და ხან უფრო ფართო წრების სახით; ის (არსი) სრულ ერთიანობაშია წარმოდ-გენილი უკვე მარტივ წინადადებაშიც კი, რამდენადაც ის გრამატიკულ ფორმას ემყარება და რამდენადაც ყველაზე უბრალო ცნებათა დაკავშირებაც კი აზროვნე-ბის კატეგორიათა მთელ ქსოვილში იწვევს: დადებითი – უარყოფითს, ნაწილი – მთელს, ერთეული – სიმრავლეს, ქმედება – მიზეზს, სინამდვილე – შესაძლებ-ლობასა და აუცილებლობას, გაპირობებული – უპირობოს, სივრცის ან დროის ერთი განზომილება – მეორეს; ანუ შეგრძნების ყოველი საფეხური მოითხოვს მასთან უახლოეს მეზობლობაში მყოფს. ამიტომ, როგორც კი ხერხდება ნათლად და მკაფიოდ იღების ყველაზე მარტივი შეკავშირების გამოხატვა, ამასთან ერთად უკვე სახეზეა ენის მთლიანობა სიტყვათა სიმდიდრის თვალსაზრისითაც. ყოველი წარმოთქმული ართქმულს წარმოშობს, ან მას ნიადაგს უმზადებს.

5. ამრიგად, ადამიანში ერთიანდება ორი სფერო. ამ სფეროების გამიჯვნა--დაშლა მყარი ელემენტების მოხილვად რაოდენობამდე შესაძლებელია ისევე, რო-გორც ამ ელემენტთა უსასრულობამდე შეკავშირება. ამასთანავე, ყოველი ნაწილი თავის სპეციფიკურ ბუნებას მუდამ იმასთან მიმართებაში ავლენს, რაც მას ეკუ-ვნის, ახასიათებს. ადამიანს ამ სფეროთა დანაწევრების უნარი აქვს, გონებრივად

– რეფლექსის, ფიზიკურად კი – არტიკულაციის საშუალებით; ასევე, შეუძლია ამ ნაწილების ხელახალი გაერთიანება გონებრივად – განსჯის სინთეზირებისა, ხოლო ფიზიკურად – აქცენტების საშუალებით, რაც მარცვლებს სიტყვებად და სიტყვებს მეტყველებად აერთიანებს. ამგვარად, როგორც კი ცნობიერება საქმაოდ ძლიერი ხდება იმისათვის, რომ ორივე სფეროში მძლავრად შეაღწიოს, რაც მსმენელში იმავე სფეროებში შეჭრას იწვევს, ის მაშინვე ხდება ამ ორივე სფეროს მათ მთლიანობაში მფლობელი. მათი (სფეროების) ურთიერთშეღწევა შეიძლება მოხდეს მხოლოდ ერთი და იმავე ძალის საშუალებით, ეს კი მხოლოდ გონებიდან შეიძლება მომდინარეობდეს. შეუძლებელია ბერათა არტიკულაცია – ეს საოცარი განსხვავება პირუტყვსა და ადამიანის მეტყველებას შორის – მხოლოდ ფიზიკურ საფუძველზე აკმნათ. მხოლოდ ცნობიერების სიძლიერე იწვევს ფიზიკურ ბუნებაში ბერათა იმ მკვეთრ დაყოფას და მტკიცე გამიჯვნას, რომელსაც ჩვენ არტიკულაციას ვუწოდებთ.

6. საეჭვოა, რომ ენა წარმოშობის საწყის ეტაპზე ყოფილიყო თავიდანვე დახვეწილი და სრულყოფილი, ამას ერები მხოლოდ მრავალი წლის განვითარების შედეგად აღწევნ, დიალექტებისა და ენების ურთიერთგავლენის პირობებში. მრავალი დიალექტისა თუ ენის ამგვარი შერწყმა ენათა წარმოშობის ერთ-ერთ მთავარ მომენტს წარმოადგენს. ეს ხდება მაშინ, როდესაც ახლად შექმნილი ენა იმენს მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან ელემენტებს იმათვან, რომლებთანაც ის ინტეგრირდება, ან კიდევ შერწყმა-შერევის ისეთ შემთხვევაში, როდესაც დახვეწილი ენების გაუხეშება და გადაგვარება იწვევს მათი განვითარების წყნარი მსვლელობის წყვეტას, დახვეწილი ფორმების უგულებელყოფას, დამახინჯებას, სხვა კანონების მიხედვით ჩამოყალიბებასა და გამოყენებას.

7. მართალია, საზოგადოდ ვერ უარვყოფთ მრავალი, ერთმანეთთან ყოველგვარი ურთიერთობის გარეშე წარმოქმნილი, დიალექტის შესაძლებლობას, თუმცა არავითარი საფუძველი არ არსებობს ყველა ენის საერთო ურთიერთკავშირის ჰიპოთეტური დაშვების უგულებელყოფისთვის. დედამიწის არც ერთი კუთხე არ არის იმდენად მიუვალი, რომ არ შეიძლებოდეს მოსახლეობისა და ენის რომელიმე სხვა ადგილიდან იქამდე მიღწევა; იმის უფლებაც არ გვაქვს, უარვყოთ დღევანდელისაგან სრულიად განსხვავებული, ადრინდელი შესაძლო განაწილება ზღვებისა და ხმელეთის. თვით ენის ბუნება და ადამიანთა მოდგმის მდგომარეობა, სანამ ის ჯერ არ არის ფორმირებული, ხელს უწყობს ამგვარ კავშირს. ურთიერთგავებინების მოთხოვნილება წარმოშობს საჭიროებას, მოიძებნოს ორივე მხარის-თვის უკვე არსებული და გასაგები საკომუნიკაციო ფორმა, და ვიდრე ცივილიზაცია ერებს უფრო გააერთიანებს, ენები დიდი ხნის განმავლობაში მცირერიცხოვანი ხალხების კუთვნილება იქნება, რომელთაც არც მათი ადგილსამყოფელის ხანგრძლივად დაკავების მიღრეკილება აქვთ და არც მისი წარმატებით დაცვის უნარი. ხშირად ისინი ერთმანეთს ავიწროებენ და იპყრობენ, ერთმანეთში ირევიან, რაც, ბუნებრივია, მათ ენაზეც ახდენს გავლენას. თავიდან ენათა ერთიანი წარმოშობა რომ არც დავუშვათ, მაინც ადვილი წარმოსადგენია, რომ შემდგომ არც

ერთი ტომი შეურეველი არ დარჩებოდა. ამიტომაც ენის კვლევისას ძირითადი პრინციპი უნდა იყოს განსხვავებული ენების კავშირების დადგენა მანამ, სანამ მათი რაიმე კვალი შესამჩნევი გახდება; ყოველი ცალკეული ენა კარგად უნდა შემოწმდეს, არის ის დამოუკიდებლად ჩამოყალიბებული, თუ მის გრამატიკულ ან ლექსიკურ წყობაში შეიმჩნევა თუ არა სხვა ენასთან შერევის გვალი და, კერძოდ, როგორია ეს შერევა.

8. ამგვარად, ენათა ანალიზის შემოწმების მიზნით, შეიძლება განვასხვაოთ სამი მომენტი:

- პირველადი, მაგრამ ბოლომდე დასრულებული, ენის ორგანული აგებულება;
- უცხო შერევის შედეგად მომხდარი ცვლილებები, სანამ ისინი (ენები) კვლავ მიაღწევენ მდგრადობას;
- ენის შინაგანი და უფრო ფაქიზი დახვეწა (innere Ausbildung), როდესაც სხვა ენებისაგან გამიჯვნა და მისი აგებულება მთლიანობაში უცვლელი რჩება.

პირველი ორი პუნქტის ზუსტად გამიჯვნა შეუძლებელია, მაგრამ მესამე ეფუძნება არსებით და გადამწყვეტ განსხვავებულობას. დროის იმ ზღვრულ მომენტს, რომელიც ენას დანარჩენებისაგან გამოყოფს, წარმოადგენს ორგანიზაციის დასრულებულობა, როდესაც ენა ყველა თავის ფუნქციას ეუფლება და თავისუფლად იყენებს. ამ ზღვრული მომენტის შემდეგ, ენის სტრუქტურა არავითარ ცვლილებებს აღარ განიცდის.

ლათინურიდან მომდინარე ენების, ახალბერძნულისა და ინგლისურის ფაქტებზე დაყრდნობით, რომლებიც ერთი ენის ჰეტეროგენული ნაწილებისაგან წარმოქმნის შესაძლებლობის ერთ-ერთ ყველაზე ყურადსალებ მოვლენას და ენის კვლევის ერთ-ერთ ყველაზე ხელსაყრელ მაგალითს წარმოადგენს, შესაძლებელია ამგვარი ორგანიზაციის პერიოდს ისტორიულადაც კი გავადევნოთ თვალი და ამ პროცესის დასრულების მომენტიც რამდენადმე დავადგინოთ; ბერძნული ენა პირველსავე გამოჩენასთან ერთად გვევლინება დასრულებულობის არნახულ დონეზე, მაგრამ ამ მომენტიდან დაწყებული, ჰომეროსიდან ალექსანდრიილებამდე, ის შემდგომი სრულყოფის გზას ადგება; ჩვენ ვხედავთ, რომ რომაული ენა რამდენიმე საუკუნის მანძილზე არ იცვლება, ვიდრე მასში უფრო დახვეწილი კულტურის კვალი არ გახდება შესამჩნევი.

9. ენათა გამიჯვნის ჩატარებული ამგვარი მცდელობა ენათა შედარებითი შესწავლის ორ განსხვავებულ ასპექტს წარმოაჩინს, რომელთა თანაბარ დამუშავებაზეც არის დამოკიდებული ამ შესწავლის სრულყოფა. ენათა განსხვავება წარმოადგენს თემას, რომელიც უნდა დამუშავდეს გამოცდილების საფუძველზე და ისტორიის დახმარებით, სახელდობრ, მისი ისტორიის მიზეზებისა და პროცესების თვალსაზრისით, ბუნებასთან, კაცობრიობის ბედოთან და მიზნებთან მის მიმართებაში. მაგრამ ენათა განსხვავება ორმაგი სახით გვევლინება: ჯერ ერთი, ესაა ბუნებრივი ისტორიული მოვლენა, როგორც ტომების განსხვავებისა და გან-

ცალკევების გარდაუვალი შედეგი, როგორც დაბრკოლება ხალხთა უშუალო ურთიერთობისა; შემდეგ კი, ესაა ინტელექტუალურ-ტელეოლოგიური მოვლენა, როგორც ერების წარმოქმნის საშუალება, როგორც უფრო მრავალფეროვანი და მეტი თავისებურების მქონე ინტელექტუალური პროდუქტის შექმნის იარაღი, როგორც შემოქმედი ხალხთა ისეთი ერთობისა, რომელიც დაფუძნებულია კულტურის ერთიანობის გრძნობაზე და სულიერი კვანძებით აკავშირებს ერთმანეთთან კაცობრიობის განათლებულ ნაწილებს. ენის გამოვლენის ბოლო ფორმა მხოლოდ ახალი დროისთვისაა დამახასიათებელი. ძველ დროში ის მხოლოდ ბერძნული და რომაული ლიტერატურის კავშირებისთვის არის ცნობილი და ისიც არასრულყოფილად, რამდენადაც მათ აყვავების სხვადასხვა პერიოდი ჰქონდათ.

10. გადმოცემის სიმოკლისათვის გვერდს ავუკლი მცირე უზუსტობას, რაც მდგომარეობს იმაში, რომ სრულყოფის პროცესი ჩამოყალიბებულ ენის ორგანიზმზეც ახდენს გავლენას და მას ამ მდგომარეობის მიღწევამდეც უკვე შეეძლო ეს გავლენა განეცადა; და ენათა შედარებითი შესწავლის ორ მხარეს აღვნიშნავ: ენათა ორგანიზმის კვლევა და ენათა კვლევა მათი სრულყოფის მდგომარეობაში.

ენის ორგანიზმი ადამიანის საერთო უნარისა და ლაპარაკის მოთხოვნილებისაგან წარმოიქმნება და მთელი ერისაგან მომდინარეობს; ცალკეული ერის კულტურა დამოკიდებულია მის განსაკუთრებულ მიღრეკილებებსა და ბედზე და უმთავრესად ერში ინდივიდთა პერმანენტულად გამოვლენილ წელილს ემყარება.

ენის ორგანიზმი ინტელექტუალური ადამიანის ფიზიოლოგიის სფეროს მიეკუთვნება, კულტურა კი – ისტორიული განვითარების სფეროს. ენის ორგანიზმის ანალიზს მივყავროთ ადამიანის ენისა და ენობრივი უნარის სფეროს შეფასებასა და შემოწმებამდე; ენის განვითარების უფრო მაღალი დონის კვლევას კი მივყავართ იმის შემეცნებამდე, თუ რის მიღწევა შეუძლია ადამიანის მიზან-სწრაფვას ენის მეშვეობით.

ენის ორგანიზმის შესწავლა მოითხოვს, რამდენადაც ეს შესაძლებელია, შორს (ისტორიულ სიღრმეში) მიმავალ ფართო შედარებას, დახვეწის პროცესში წვდომა კი ერთი და იმავე ენით შემოფარგვლას და მის უფაქიზეს თავისებურებებში შეღწევას. აქედან გამომდინარე, ანალიზის პირველი ეტაპი მოითხოვს კვლევის გაფართოებას, მეორე – კი სიღრმეს. ამგარად, ენათმეცნიერების ეს ორივე ნაწილი ერთმანეთს რეალურად რომ დავუკავშიროთ, სასურველია მრავალ ან შეძლებისდაგვარად ყველა ენას შევეხოთ, მაგრამ ყოველთვის უნდა ამოვიდეთ ერთადერთის, ან მცირე რაოდენობის ენათა უფრო ზუსტი ცოდნიდან. ასეთი სიზუსტის უკმარისობა უფრო დიდი ნაკლია, ვიდრე სისრულის თვალსაზრისით ხარვეზები აღწერაში, რის ბოლომდე მიღწევაც შეუძლებელია.

ენათა შედარების ემპირიულმა შესწავლამ ამგვარი გადამუშავებისას შეიძლება გვიჩვენოს, თუ რაოდენ განსხვავებული გზებით აყალიბებდა ადამიანი ენას და მასში აზროვნების სამყაროს რა ნაწილის არეკვლა მოახერხა, როგორ გავლენას ახდენდა ამაზე ერების ინდივიდუალობა და რა უკუგავლენას ახდენდა (ამ ინდივიდუალობაზე) ენა. სწორედ ენა, ადამიანის მიერ ენის საშუალებით მისაღწევი

მიზნები, ადამიანთა მოდგმა საერთოდ მის პროგრესულ განვითარებაში და ცალკეული ერები წარმოადგენენ თთხ მბიქტს, რომლებსაც ენათა შედარებითი კვლევა მათ ურთიერთდამოკიდებულებაში უნდა განიხილავდეს.

11. მე ვტოვებ ყველა ზემოთ ნათქვამ მოსაზრებას ენის ორგანიზმთან დაკავშირებით, რომელიც გამოვიყენე ამერიკული ენების შესწავლისას უფრო საფუძვლიანი კვლევისთვის. ამ დღი კონტინენტის ენები, სადაც მრავალი განსხვავებული ხალხი ბინადრობს და სხვა კონტინენტებთან მათი კავშირის შესახებ რაიმეს მტკიცება შეუძლებელია, წარმოადგენს ნაყოფიერ ნიადაგს ენათმეცნიერების-თვის. ეს ეხება 30-მდე სრულიად უცნობ ენას, რომლებიც შეიძლება განხილული იქნენ როგორც ბუნების ამდენივე ახალი სახეობა და მათ შეიძლება დაემატოს გაცილებით მეტი რაოდენობის ენა, რომელთა შესახებაც მწირი ცნობები მოგვეპოვება. მნიშვნელოვანია ყოველი მათგანის ზუსტი ანალიზი, რადგან ზოგადი ენათმეცნიერება მხედველობიდან უშვებს იმას, რომ თუ ცალკეული ენების ცოდნას საკმაოდ ვერ ჩავწყდით, მაშინ ესოდენ მრავალ ენათა შედარება ნაკლებად სასარგებლო იქნება. ისიც საკმარისად მიაჩნდათ, რომ გრამატიკის ცალკეულ, დანარჩენებისაგან განსხვავებულ თავისებურებებს შენიშნავდნენ და სიტყვათა მეტ-ნაკლებად მრავალრიცხოვან მწკრივებს ერთმანეთს ადარებდნენ. მაგრამ ყველაზე პრიმიტიული ერის დიალექტიც კი ბუნების მეტად კეთილშობილი ქმნილებაა იმისთვის, რომ ასეთ შემთხვევით ნამსხვრებად ქცეული – ფრაგმენტულად წარდგეს დაკირვების ობიექტად. ენა ორგანული არსებაა და ამიტომაც, უნდა მოვეპყრათ როგორც ასეთს. სწორედ ამიტომ უპირველეს წესად უნდა მივიჩნიოთ ყოველი ცნობილი ენის პირველადი შესწავლა მის შინაგან მიმართებში, რათა მასში არსებულ ყველა ანალოგიას თვალი გავადევნოთ და სისტემურად მოვაწესრიგოთ იმ მიზნით, რომ მივიღოთ ცოდნა ამ ენებში იღების გრამატიკული დაკავშირების, აღნიშნულ ცნებათა მოცულობის, ამ აღნიშვნის ბუნებისა და დაწვეწისაკენ მათთვის დამახასიათებელი, მეტ-ნაკლებად ცოცხალი, სულიერი მისწრაფების შესახებ. ცალკეული ენებისადმი მიძღვნილი მონოგრაფიების გარდა, შედარებითი ენათმეცნიერება მოითხოვს სხვაგვარ შესწავლასაც, რაც ენის აგებულების ცალკეულ ნაწილებს ეხება, მაგალითად, ზმნის განხილვას ყველა ენაში ერთდროულად. შედარებითმა ენათმეცნიერებამ დამოკიდებულების ყველა ძაფი უნდა მოძებნოს და ერთმანეთს დაუკავშიროს, მათ შორის კი ზოგი, თითქოს ყველა ენის მსგავსი ფრაგმენტების მეშვეობით ფართოვდება, ზოგიც, ყოველი ენის განსხვავებული ფრაგმენტებით მიღის სიღრმეში. პირველი თავის მიმართულებას ყველა ენის ენობრივი მოთხოვნილებისა და უნარის იგივეობისაგან იძენენ, მეორენი კი ყოველი ცალკეული ენის ინდივიდუალობისაგან. ამ ორმაგი დამოკიდებულების საშუალებით პირველად შევიცნოთ, კაცობრიობა განსხვავებათა რა მოცულობით, ცალკეული ერი კი რა თანმიმდევრულობით ქმნის თავის ენას. და, ამდენად, ორივე, ენაც და ერების ენობრივი ხასიათიც, უფრო ნათლად წარმოჩინდება მაშინ, როდესაც ენის იღება დანახული იქნება მრავალფეროვან ინდივიდუალურ ფორმაში გატარებული, ერების ენობრივი ხასიათი კი ერთდროულად ზო-

გადობასა და სხვა მსგავს სახეობებთან დაპირისპირებაში. მხოლოდ ამგვარად შეიძლება საფუძვლიანი პასუხი გაცემთ მნიშვნელოვან კითხვას, შესაძლებელია თუ არა და როგორ არის შესაძლებელი ენების დაყოფა მათი შინაგანი აგებულების მიხედვით მცენარეთა ოჯახების მსგავს კლასებად. ყველაფერი, რაც ამის შესახებ მანამდე თქმულა, როგორი გამჭრიახობითაც არ უნდა ყოფილიყო ის წვდომილი, მკაცრი ფაქტობრივი შემოწმების გარეშე ვარაუდად რჩება.

ენათმეცნიერება, არა ცალმხრივად, არამედ მხოლოდ სრულყოფილად დაგროვებულ ფაქტებს შეიძლება დაუყრდნოს. ამასთანავე, ენების მიხედვით ერტების ერთმანეთისაგან წარმოშობის შესახებ მსჯელობასაც საფუძვლად უნდა დაედოს ისეთი ენებისა და დიალექტების ჯერ კიდევ ჩასატარებელი ზუსტი ანალიზი, რომელთა ნათესაობა სხვა დროს ისტორიულად არის დამტკიცებული. სანამ ამ დარგშიც ცნობილიდან უცნობზე გადასვლა არ მოხდება, ჩვენ მოლიპულ და სახიფათო გზას ვადგავართ.

12. მაგრამ რა სიზუსტითა და როგორი სრულყოფილებითაც არ უნდა იქნეს შესწავლილი ენები, მაინც მხოლოდ მათი გამოყენება განსაზღვრავს მათ ფუნქციონირებას, რადგანაც ის, რასაც ენათა მიზანდასახული გამოყენება იძენს ცნებათა სფეროდან, უკუგავლენას ახდენს მათზე – ამდიდრებს და აყალიბებს ენებს. ამიტომაც კაცობრიობის მიზნების მისაღწევად მხოლოდ ის კვლევა შეიძლება იყოს ღირებული, რომელიც სრულყოფილად დახვეწილი ენების მასალაზე ხორციელდება. ასე რომ, ეს არის ენათმეცნიერების ქვაკუთხედი, მეცნიერებასა და ხელოვნებასთან მისი შეხვედრის წერტილი. თუკი ეს კვლევა აქამდე არ მიდის, თუკი ორგანიზმის მრავალსახეობას მისი საშუალებით ენობრივი უნარის უმაღლეს და უმრავალფეროვანეს გამოყენებაში წვდომის მიზნით არ განიხილავენ, მაშინ ენათა დიდი რაოდენობის ცოდნა, საუკეთესო შემთხვევაში, საზოგადოდ ენის აგებულების შესწავლისაგან, რასაც, ბოლოს და ბოლოს, ერთსა და იმავე მიზნისკენ მივყართ და რაც ერთსა და იმავეს აღნიშვნას, თუმც განსხვავებული ჟღერადობით. თუ უშუალოდ ცხოვრებისეულ გამოყენებას გამოვრიცხავთ, მაშინ მხოლოდ ლიტერატურის მქონე ენების შესწავლა იძენს მნიშვნელობას. ეს შესწავლა ლიტერატურას ექვემდებარება, რაც ფილოლოგიის სავსებით სწორად გაგებულ თვალსაზრისს წარმოადგენს. ფილოლოგია შეიძლება დავუპირისპიროთ ენათა ზოგად შესწავლას, რომელიც ზოგადი ენათმეცნიერების სახელს ატარებს, რადგანაც ცდილობს გამოიკვლიოს ენა ზოგადად; ამასთანავე, ზოგადი ენათმეცნიერება ამას ცდილობს არა იმიტომ, რომ უბრალოდ სურვილი აქვს მოიცვას ყველა ენა – ეს უფრო ძმულებითია და მხოლოდ მისი მიზნით არის გაპირობებული.

13. მაგრამ თუ იძულებულები ვართ, განვითარებული ერების ენებს მივმართოთ, პირველ რიგში, ისმის კითხვა, აქვს თუ არა ყოველ ენას მსგავსი ან თუნდაც რაღაც მნიშვნელობის მქონე კულტურის შექმნის უნარი? ანდა, ხომ არ არსებობს ენობრივი ფორმები, რომლებიც ჯერ უნდა აუცილებლად დაიყოს, გამო-

ცალკევდეს, რომ ერგბმა მეტყველების საშუალებით კაცობრიობის უმაღლეს მიზნებს მიაღწიონ? ეს უკანასკნელი ყველაზე მეტად ჰქონდა სინამდვილეს. თუმცა, ჩემი ღრმა რწმენით, ენა უნდა განვიხილოთ, როგორც ადამიანში უშუალოდ ჩადებული, რამდენადაც მას ვერ მივიჩნევთ ადამიანის გონიერი მიერ შექმნილად. ვერაფერს შველის მისი წარმოშობის ათასწლეულებით უკან გადაწევა. ენის გამოგონება შეუძლებელი იქნებოდა, რომ მისი (ენის) ტიპი ადამიანის გონიერად უკვე არ ყოფილიყო ჩადებული. ადამიანმა თუნდაც ერთი სიტყვა რომ გაიგოს, როგორც არა გრძნობადი სტიმული, არამედ როგორც ჭეშმარიტად არტიკულირებული, რაღაც ცნების აღმნიშვნელი ყდერადობა, ამისათვის ენა უკვე მთლიანად და ერთიანად უნდა არსებობდეს მასში. ენაში არ არსებობს არაფერი განცალკევებული, ყოველი მისი ელემენტი თავს იჩენს მხოლოდ როგორც მთელის ნაწილი. რაოდენ ბუნებრივიც არ უნდა იყოს ენათა თანდათანობითი ჩამოყალიბების ვარაუდი, მათი გამოგონება მაინც შეიძლება მხოლოდ ერთბაშად მომხდარიყო. ადამიანი ადამიანია მხოლოდ ენის საშუალებით, მაგრამ ენა რომ გამოეცნებინა, ის უკვე ადამიანი უნდა ყოფილიყო. ვისაც პგონია, რომ ეს თანდათანობით და საფეხურებრივად, თითქოს მონაცემებით ხდებოდა – ენის დაუფლებული ნაწილის წყალობით ადამიანი თანდათან ყალიბდებოდა ადამიანად, ხოლო ამ ზრდის შედეგად ენის გამოგონების მეტ შესაძლებლობას იძენდა – ის ვერ ხედავს ადამიანის ცნობიერების განუყოფლობას ადამიანის ენისაგან და გონიერის იმ აქტივობის ბუნებას, რომელიც აუცილებელია ერთადერთი სიტყვის გასაგებად და ამასთანავე, საკმარისია მთელი ენის გასაგებად. მაგრამ, ამის გამო, არ უნდა ვიფიქროთ ენაზე, როგორც მზა სახით მოცემულზე, რადგანაც ამ შემთხვევაშიც ასევე გაუეტარი დარჩებოდა, როგორ შეძლებდა ადამიანი მოცემულის გაგებას და მის გამოყენებას. ენა აუცილებლად თვით ადამიანისაგან ჩნდება და, რა თქმა უნდა, მხოლოდ თანდათანობით, მაგრამ არა ისე, რომ ენის ორგანიზმი სულის წყვდიადში უსიცოცხლო მასის შეგავსად იმყოფებოდეს, არამედ ის ჩნდება როგორც კანონი, რომელიც აზროვნების ძალის ფუნქციებს განაპირობებს, და, ამგვარად, პირველივე სიტყვა მთელ ენას აქლერებს და წინასწარ, იმპლიკაციურად მოიცავს. ამრიგად, თუკი იმის, რასაც აზროვნების მთელ სფეროში ბადალი არ გააჩნია, სხვა რამესთან შედარება დასაშვებია, მაშინ შეიძლება ცხოველთა ბუნებრივი ინსტინქტები გავიხსენოთ და ენას გონიერის ინტელექტუალური ინსტინქტი ვერწოდოთ. ისევე, როგორც ცხოველთა ინსტინქტი ვერ აიხსნება მათი სულიერი შესაძლებლობების საფუძველზე, ასევე შეუძლებელია ენათა გამოგონება გავიაზროთ ამ ენების შექმნელი ველური ერების ცნებათა და აზროვნების უნარზე დაყრდნობით. ამიტომაც არასოდეს შემეძლო წარმომედგინა, რომ რომელიმე ენის თანმიმდევრული და თავის მრავალფეროვანებაში დახვეწილი წყობა აზროვნების დიდ ჩვევას უნდა გულისხმობდეს წინაპირობად და რაღაც გამქრალ კულტურაზე უნდა მიუთითებდეს. ასეთი ენა შეიძლება ყველაზე პრიმიტიული ბუნებრივი მდგომარეობიდან აღმოცენდეს, რადგანაც თვითონ ბუნების, ოღონდ ადამიანის გონიერის ბუნების, პროდუქტის. თანმიმდევრულობა და ერთგვაროვნება, რთულ სტრუქტურაშიც კი, ყველგან ასახულია ბუნების ქმნილებებში და მათი

წარმოქმნის სიძნელე არაა უმთავრესი. ენის გამოგონების ნამდვილი სიძნელე მდგომარეობს არა იმდენად მრავალრიცხვანი ურთიერთმიმართებების დალაგებასა და დაქვემდებარებაში, რამდენადაც გონების იმ უბრალო მოქმედების მიუწვდომელ სიღრმეში, რომელიც საერთოდ ახლავს ენის გაგებასა და წარმოქმნას მისი ერთადერთი ელემენტის შემთხვევაშიც კი. ეს თუ მოცემულია, ყველაფერი დანარჩენი მას თავისით მოსდევს, მისი შესწავლა კი შეუძლებელია – ის იმთავითვე უნდა იყოს ადამიანში. მაგრამ ადამიანის ინსტინქტი ნაკლებად არის შეზღუდული და ადგილს ტოვებს ინდივიდუალობის გამოყლენისათვის. ამიტომაც გონების ინსტინქტის ქმნილებას (ენას) შეუძლია მეტ ან ნაკლებ სრულყოფამდე განვითარდეს მაშინ, როდესაც ცხოველური ინსტინქტის წარმონაქმნი უფრო მდგრადი ერთგვაროვნებით გამოირჩევა; ამასთანავე, ენის ცნებას არ ეწინააღმდეგება ის, რომ ზოგ ენას იმ მდგომარეობაში, რომელშიც ჩვენ მათ ვხედავთ, განვითარების დასრულებულ ეტაპამდე არ მიუღწევია. მართალია, მრავალი ენიდან თარგმანთან დაკავშირებული გამოცდილება – ყველაზე პრიმიტული და განუვითარებელი ენის გამოყენება რელიგიის საიდუმლო მოძღვრებათა სწავლების გადმოცემისათვის – გვიჩვენებს, რომ ყოველ ენაში, თუმცა სხვადასხვა წარმატებით, მაგრამ მაინც, შეიძლება გამოიხატოს სხვადასხვა იდეა, მაგრამ ეს უბრალოდ ყველა ენის საერთო ნათესაობის და მათ ცნებათა და ნიშანთა მოქნილობის შედეგს წარმოადგენს. თვით ენების და მათი ერებზე გავლენის სასარგებლოდ მოწმობს მხოლოდ ის, რაც მათ წიაღში ბუნებრივად წარმოიშობა, რისკენაც ისინი მოგვიწოდებენ და რასაც შთაგვაგონებენ, და არა ის, რასაც მათ იძულებით ვაწვევთ თავს.

14. ზოგიერთი ენის არასრულყოფილების მიზეზების დადგენას, ცალკეულ შემთხვევებში, ისტორიულ დაკვირვება იძლევა. მე კი აქ სხვა საკითხი უნდა განვიხილო: სახელდობრ, შესაძლებელია თუ არა რომელიმე ენის სრულად ჩამოყალიბება და მომწიფება ისე, რომ მან არ გაიაროს მრავალი გარდამავალი მდგომარეობა, თანაც სწორედ ისეთი, რომლის გამო წარმოადგენის პირვანდელი სახე იმდენად დამსხვრეულია, რომ ელემენტთა საწყისი მნიშვნელობა უკვე აღარაა სავსებით ნათელი? ეს რომ სინაძღვილეს ჰგავს, ამას ადასტურებს ნიშანდობლივი დაკვირვება, რომ განუვითარებელი ენების დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს თანმიმდევრულობა, ხოლო ჩამოყალიბებული ენებისას – ანომალია მათი აგებულების მრავალ ნაწილში და, ასევე, საგნის ბუნებიდან მიღებული საბუთებიც. ენაში გაბატონებულ პრინციპს არტიკულაცია წარმოადგენს; ყოველი ენის უმნიშვნელოვანესი ღირსება არის მყარი და ადვილი დანაწევრება, ეს კი გულისხმობს მარტივი და თავის თავში განუყოფელი ელემენტების მანამდე არსებობას. ენის არსი ისაა, რომ საგანთა და მოვლენათა სამყაროს მატერია აზრების ფორმაში ჩამოყალიბოს; მთელი მისი მისწრაფება ფორმალურია და რაკი სიტყვები საგნებს ენაცვლება, მათაც, როგორც მატერიას, რაღაც ფორმა უნდა დაუპირისპირდეს, რომელსაც ისინი დაექვემდებარებიან. მაგრამ პირვანდელი ენები მარცვალთა ერთსა და იმავე ჯგუფს მრავალი შინაარსით ტკირთავენ და ფორმით გაგებინების აშკარა უკმარისობას განიცდიან. მათი საიდუმლოების ამოსახსნელად

უნდა დავადგეთ გზას, რომელიც, პირველ რიგში, სრულად უგულებელყოფს გრამატიკის ცოდნას, მეორე მხრივ, თვალისწინებს, რომ ენაში მნიშვნელობის მქონე სიტყვები ერთმანეთის გვერდით უნდა მოთავსდნენ. ფორმა აზროვნებაში ფიქსირდება რომელიმე თავისთავადი მნიშვნელობის მქონე სიტყვის მეშვეობით, რომელიც, აგრეთვე, როგორც ასეთი — ე.ი. როგორც მასალა — ისე აღიმება. განვითარების მეორე დიდ საფეხურზე მატერიალური ხასიათის მნიშვნელობა ფორმალიზაციას უთმობს ადგილს და აქედან ჩნდება ბრუნება-უღლების გრამატიკა და გრამატიკული, ე.ი. ფორმალური, მნიშვნელობის მქონე სიტყვები. მაგრამ ფორმა მხოლოდ იქ მოინიშნება, სადაც მას ცალკეული გარემოებები, მეტყველების სფეროდან, ასე ვთქვათ, მატერიალურად მოითხოვს, და არა იქ, სადაც მას იდეების შეკავშირება ფორმალურად საჭიროებს. მრავლობითი, თუმცა როგორც სიმრავლე გაიაზრება, მაგრამ მხოლობითი გაიაზრება არა როგორც ცალკეული, არამედ როგორც ცნება საერთოდ; ზმნა სახელს თანხვდება, თუკი პირი ან დრო არ მოითხოვს გამოხატვას. გრამატიკა ენას ჯერ კი არ განაებს, არამედ მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში გამოჩნდება ხოლმე. როდესაც უკვე არც ერთი ელემენტი აღარ გაიაზრება, როგორც უფორმო, მასალა კი, როგორც მასალა მთლიანად დაძლეულია მეტყველებაში, მხოლოდ მაშინ მიიღწევა მესამე საფეხური. ამას კი ყველაზე განვითარებული ენებიც ძლივს აღწევენ იმდენად, რომ ყოველ ელემენტში ფორმის მინიშნება ისმოდეს, თუმცა მხოლოდ ამას ემყარება პერიოდების აგებულების არქიტექტონული ევრითმის შესაძლებლობა. თანაც ჩემთვის არც ერთი ენა არაა ცნობილი, რომლის გრამატიკული ფორმებიც, თვით მათ უმაღლეს დასრულებულობაშიც კი, თავდაპირველ მარცვალთა აგლუტინაციის უტყუარ კვალს არ ატარებდეს. სანამ განვითარების ადრინდელ საფეხურებზე სიტყვა, თითქოს თავის მოდიფიკაციასთან გაერთიანებული, თავის სიმარტივეში მოდიფიკირებულად არ გვევლინება, მანამ ელემენტებს ადვილად გამოყოფის უნარი აქლიათ. გონი, ამ დროს, მძიმდება მნიშვნელობის მატარებლის მოუქმედობით, რომელიც ყოველ ძირითად ნაწილაქს ახლავს, და ფორმალურის შეგრძნების საშუალებით ფორმალური აზროვნებისკენ მისწრაფებას არ იძენს. ბუნებრივ მდგომარეობასთან ახლოს მდგომი ადამიანი წარმოდგენათა ერთხელ მიღებულ სახეობას ადვილად მისდევს ძალიან შორს, ყოველ საგანს და ყოველ მოქმედებას მათ თანმხლებ გარემოებებთან ერთად იაზრებს, ის ენაში გადმოაქვს და შემდგომ, რაცი ცოცხალი ცნება ენაში სხეულებრივად ქვავდება, ის იძულებულია ენას და-ემორჩილოს. ამ მდგომარეობამდე მისასვლელად და მატერიალურ მნიშვნელობათა ძალის შესამცირებლად ქმედით საშუალებას წარმოადგენს ერების და ენების ერთმანეთთან შეჯვარება. წარმოდგენათა ახალი სახეობა უკვე არსებულს უერთდება, ერთმანეთში შერეულმა ტომებმა ერთმანეთის დიალექტების ცალკეული სიტყვების შედგენილობა კი არ იციან, არამედ მათ ფორმულებივით მთლიანობად იღებენ; არჩევანის შესაძლებლობის შემთხვევაში, უფრო არახელსაყრელი და მოუქმედი ადგილს უთმობს უფრო ადვილსა და მოქნილს. რამდენადაც გონი და ენა ცალმხრივად შეზრდილნი აღარ არიან, პირველი უფრო თავისუფლად იმორ

ჩილებს უკანასკნელს. მართალია, პირვენდელი ორგანიზმი ირღვევა, მაგრამ ახლად დამატებული ძალა ასევე ორგანულია და, ამრიგად, პროცესი უწყვეტად მიმდინარეობს მრავალფეროვანი განვითარების პერსპექტივით. ამგვარად, უძველესი ტომების თითქოსდა ქაოსურმა შერევამ მოამზადა ნიადაგი მეტყველებისა და სიმღერის ასაყვავბლად შორეულ საუკუნეებში.

15. ზოგიერთი ენის ზემოხსენებულ არასრულყოფილებას ჩვენ აქ აღარ განვიხილავთ. მხოლოდ თანაბრად სრულყოფილი ენების გამოკვლევით – ან ისეთების მანც, რომელთა განსხვავებულობა განვითარების დონის მიხედვით უშუალოდ არ გაიზომება – შეიძლება პასუხი გაეცეს ზოგად კითხვას: საერთოდ როგორ უნდა მივუდევთ ენათა შორის განსხვავებას ადამიანთა მოდგმის განვითარებასთან მიმართებაში? როგორც მხოლოდ შემთხვევითს – ენათა ცხოვრების თანმხლებ გარემოებას, რომლის გამოყენებაც შესაძლებელია მოხერხებულად და იოლად, თუ როგორც იდეათა სფეროს დამუშავების აუცილებელ, სხვა რამით შეუცვლელ საშუალებას? და ეს იმიტომ, რომ ყველა ენა, როგორც შემხვედრი (convergierende) სხივები, მისკენ (ამ სფეროსკენ) მისწრაფვის და მათი მიმართება ამ სფეროსთან, როგორც მათ საერთო შინაარსთან, ჩვენი კვლევის საბოლოო მიზანს წარმოადგენს. თუკი შესაძლებელია, ეს შინაარსი ვაქციოთ ენისაგან დამოუკიდებლად, ან ენობრივი გამოხატულება გავხადოთ შინაარსისთვის მნიშვნელობის არმქონედ, მაშინ ენათა განსხვავების შესწავლას მხოლოდ განპირობებული და დაქვემდებარებული მნიშვნელობა აქვს, წინააღმდეგ შემთხვევაში კი – აუცილებელი და გადამწყვეტი.

16. ყველაზე დამაჯერებლად ამის შეფასება შეიძლება უბრალო სიტყვისა და უბრალო ცნების ერთმანეთთან შედარების საფუძველზე. მართალია, სიტყვა ენას არ ამოწურავს, მაგრამ ის მის უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენს, სახელდობრ, ისეთსავე ნაწილს, როგორსაც ცოცხალ სამყაროში ინდივიდუუმი. ამასთანავე, სულაც არ არის ღირებულებას მოკლებული ის, თუ რომელიმე ენა აღწერითად გამოხატავს იმას, რასაც სხვა – ერთი სიტყვით (ეს არც გრამატიკული ფორმებისათვის არის უმნიშვნელო), რადგან აღწერით გამოხატვის შემთხვევაში, წმინდა ცნების ფორმის საპირისპიროდ, ისინი გვევლინებიან არა როგორც მოდიფიცირებული იდეები, არამედ როგორც მოდიფიკაციის მაჩვენებლები; ამავე დროს, არც ცნებების აღნიშვნისათვის არის ეს სულერთი. დანაწევრების კანონი აუცილებლად ზიანდება, როდესაც ცნებაში წარმოდგნილი ერთიანობა გამოხატულებაში ასეთსავე ერთიანობად არ გვევლინება, და სიტყვის, როგორც ინდივიდუუმის, ცოცხალი ქმედითობა ამგვარ გამოხატულებას მოკლებული ცნებისთვის იკარგება. გონების აქტს, რომელიც ცნების ერთიანობას წარმოშობს, შეესატყვისება სიტყვის ერთიანობა, როგორც გრძნობადი ნიშანი. აზროვნებაში მეტყველების მეშვეობით ორივე რაც შეიძლება ახლოს უნდა იყოს ერთმანეთთან, რადგანაც ისევე, როგორც რეფლექსის ძალა არტიკულაციის საშუალებით ახდენს ბერძნობა დანაწევრებას და ინდივიდუალიზებას, ასევე ეს არტიკულაცია დამანაწევრებელ და გამაცალკევებელ უკუგავლენას უნდა ახდენდეს აზრობრივ მასალა-

ზე და მას უნდა შეაძლებინოს ერთი განუყოფლიდან მეორისკენ მისწრაფებით გაიაროს აპსოლუტური ერთიანობისაკენ მიმავალი გზა.

17. ხოლო აზროვნება დამოკიდებულია არა მარტო ენაზე ზოგადად, არამედ, გარკვეულ დონემდე, ყოველ ცალკეულ კონკრეტულ ენაზეც. მართალია, შეიძლება მოვინდომოთ სხვადასხვა ენის სიტყვები ისეთი ზოგადი მნიშვნელობის ნიშნებით შევცვალოთ, როგორსაც მათემატიკა სიმბოლოების აღრიცხვის სახით ფლობს, მაგრამ ამით გააზრებადის საერთო რაოდენობის მხოლოდ მცირე ნაწილი შეიძლება ამოიწუროს, რადგანაც ეს ნიშნები, მათი ბუნების თანაბეჭდ, მხოლოდ ისეთ ცნებებს ესადაგება, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნან წმინდა კონსტრუირების მეშვეობით ან უშუალოდ გონებით. მაგრამ იქ, სადაც შინაგანი აღქმის და შეგრძნების მასალა ცნებებში უნდა აღიბეჭდოს, საქმე ადამიანის წარმოდგენის ინდივიდუალურ, მისი ენისაგან განუყოფელ უნარს ეხება. ყოველიც ცდა, რომ ცალკეული ნიშანი თვალით ან ფურით აღსაქმელი ზოგადი ნიშნით ჩავნაცვლოთ, მხოლოდ თარგმნის შემოკლებულ მეთოდს წარმოადგენს. სულელური ოცნება იქნებოდა წარმოგვედგინა, რომ ამის საშუალებით შესაძლებელია, ყველა ენაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, მხოლოდ მშობლიური ენიდან გამოღწევაც კი. თუმცა, რა თქმა უნდა, ყველა ენის შუაწერტილი (Mittelpunkt) მოსაძიებელიცაა და საპოვნელიც. ისიც აუცილებელია, რომ ენათა შედარებითი შესწავლისას, როგორც გრამატიკულ, ასევე ლექსიკურ ნაწილშიც, ამ შუაწერტილს მხედველობიდან არ ვკარგავდეთ, რამდენადაც ორივეს მოქოვება ისეთი ობიექტების რაღაც რაოდენობა, რომელთა სრულიად a priori განსაზღვრა და ერთი განსაკუთრებული ენის ყველა პირობისაგან გათიშვა შესაძლებელია. ამის საპირისპიროდ, არსებობს ისეთ ცნებათა — და აგრეთვე გრამატიკულ თავისებურებათა გაცილებით უფრო დიდი სიმრავლეც, რომლებიც თავიანთი ენის ინდივიდუალურობაში ისე განუყოფლად არიან ჩაქსოვილნი, რომ არც ყველა ენის კუთვნილებას წარმოადგენ და ვერც გადატანილნი იქნებიან შეუცვლელად რომელიმე სხვა ენაში. ამგვარად, ყოველი ენის ძალზე მნიშვნელოვანი ნაწილი იმდენად უდავოდ არის დამოკიდებული ამ ენაზე, რომ მისი გამოხატულება შეუძლებელია შინაარსისგან დამოუკიდებელი იყოს.

18. სიტყვა, რომელიც პირველად აქცევს ცნებას აზროვნების სამყაროს ინდივიდუუმად, თვითონვე მნიშვნელოვნად ავსებს ამ აზროვნებას; და იდეა, იძნეს რა სიტყვის წყალობით გარკვეულობას, ამავე დროს შესაბამის ფარგლებშიც ექცევა. მისი უღერადობა და მსგავსი მნიშვნელობის სხვა სიტყვებთან ნათესაობა, ამ სიტყვის მიმართები აღქმასა თუ შეგრძნებასთან — გარკვეულ შთაბეჭდილებას ქმნის, რომელიც, თავის მხრივ, ჩვეულებად იქცევა და ამით მანამდე თავის-თავად უფრო გაურკვეველი და უფრო თავისუფალი ცნების ინდივიდუალიზაციას ახდენს. მნიშვნელობის მქონე ნებისმიერ სიტყვას ერთვის მის მიერ პერმანენტულად გამოწვეული შეგრძნებები, შემთხვევით წარმოქმნილი სახეები და წარმოდგები. სხვადასხვა სიტყვის ნაერთები თავისი თავისი იდენტური რჩებიან იმ მომართებებშიც, რომლებშიც მათი გამოვლენა იჩნებს თავს. სიტყვა შესაბამისი ობი-

ექტის წარმოდგენასაც იწვევს და ხშირად შეუმჩნევლად თავისი და ობიექტის შესატყვის შეგრძნებასაც აღვიძებს. ამგვარად, ადამიანის ფიქრების უწყვეტი თანმიმდევრობას თან სდევს შეგრძნებათა ასევე უწყვეტი თანმიმდევრობა, რომელიც, რა თქმა უნდა, განსაზღვრულია წარმოდგენილი ობიექტითაც, მაგრამ, პირველ რიგში, მისი ხარისხითა და შეფერილობით, ანუ სიტყვების და ენის ბუნებითაც. ობიექტი, რომლის გამოჩენას ცნობიერებაში ყოველთვის თან სდევს ენის მიერ ინდივიდუალიზებული, მუდამ განმეორებადი შთაბეჭდილება, ამგვარად მოდიფიცირებული სახით წარმოიდგინება. ცალკეულ შემთხვევაში ეს ნაკლებად არის შესამჩნევი, მაგრამ მთლიანობაში ქმედების ძალა თანაზომიერებისა და შთაბეჭდილების მუდმივ დაბრუნებაში მდგომარეობს. რამდენადაც ენის ხასიათი ყოველ გამოხატულებასა თუ გამოხატულებათა შეკაშირებას ახლავს, ამდენად წარმოდგენათა სრული სიმრავლეც მისგან მომდინარე შეფერილობას იძენს.

19. რადგან ენა არ არის ერთი ადამიანის თავისუფალი წარმონაქმნი, არამედ ეპუთვის ყოველთვის მთელ ერს, ის შემდგომ თაობებს წინა თაობებისგან გადაეცემა. იმის გამო, რომ ენაში ხდება შერევა, იწმინდება და გარდაიქმნება ადამიანთა წარმოდგენები – ჯერ ტომის ყველა ასაკის, სქესის, წოდების მრავალგვარი ხასიათისა და გონების ქიონე ადამიანთა მიერ. შემდგომ ეტაპზე ხალხების მიერ სიტყვათა და ენათა გაცვლა-გამოცვლის საფუძველზე ყალიბდება ადამიანთა მოდგმა მთლიანობაში, ენა ხდება სუბიექტურობის ობიექტურობაზე გარდაქმის უმნიშვნელოვანების იარაღი – ნიადაგ შეზღუდული ინდივიდუალურობიდან თავის თავში ყველაფრის ერთდროულად მომცველ არსებობაზე.

პირველად გაგონილი ბგერითი ნიშნების აღმოჩენა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ენათა წარმოშობა ადამიანის გამოცდილების ფარგლებს სცილდება. იქ, სადაც ადამიანს მნიშვნელობის მქონე რაღაც ბგერები მემკვიდრეობით აქვს შექნილი, ის თავის ენას ამის მიხედვით ქმნის და მეტყველების დიალექტს მოცემულის ანალოგით აგებს. სწორედ ეს იმალება ყოველი ენის ყველა ნაწილისა და ელემენტის ურთიერთგაებინების მოთხოვნილებაში, და აგრეთვე ყველა ენის ერთმანეთთან საყოველთაო ურთიერთკავშირსა და ენის უნარის ერთგაროვანებაშიც. თვით ენის გრამატიკული განმარტებისთვისაც მნიშვნელოვანია მუდმივად მხედველობაში გვერდების, რომ ჩვენამდე მოღწეული ენების შემქმნელი ტომები იოლად კი არ იგონებდნენ, არამედ საკუთარი ნებით მოქმედების დროსაც უკვე მოცემულს ანაწევებდნენ და იყენებდნენ. მხოლოდ აქედან ამოსვლით შეიძლება ავხსნათ გრამატიკული ფორმების მრავალი ფაქტი ნიუანსი. ამ ტომებისთვის განსხვავებული აღნიშვნების გამოგონება რთული იქნებოდა, პირიქით კი, უკვე არსებულ განსხვავებულ აღნიშვნათა სათანადო გამოყენება ბუნებრივი იყო. სწორედ ენის მთავარი ელემენტები, სიტყვები, პირველ რიგში, წარმოადგენებ იმას, რაც ხალხიდან ხალხში გადადის. გრამატიკული ფორმებისთვის ეს უფრო ძნელია, რადგანაც ისინი უფრო ფაქტი ინტელექტუალური ბუნებისანი არიან – უფრო გონებაში ბუდობენ და მატერიალურად ბგერას თავისი თავის ამხსნელად არ უკავშირდებიან. ამრიგად, ადამიანთა მუდამ მონაცვლე თაობათა და წარმო-

სადგენ ობიექტთა სამყაროს შორის დგას უსასრულო რაოდენობის სიტყვები, რომლებიც – მიუხედავად იმისა, რომ თავისუფლების კანონების თანახმად წარმოშვნენ და ნიადაგ ამგვარად გამოიყენებოდნენ, ადამიანების და ობიექტების მსგავსად უნდა განიხილებოდნენ როგორც თავისთავადი, მხოლოდ ისტორიულად ასახსნელი, ადამიანის შემთხვევის ერთიანი ძალით წარმოდგენილი ერთეულები. სიტყვათა რიგი წარსულის წყვდიადში ისე შორს იკარგება, რომ დასაბამის დადგნა უკვე შეუძლებელია და მათი განშტოებები ადამიანთა მთელ მოღმას მოიცავს. სიტყვათა რიგის ქმედების და მუდმივი წარმოქმნის გაგრძელების შეწყვეტა მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, თუკი ყველა დღემდე არსებული თაობა მოისპონდა და გადმოცემის ყველა ძაფი (Fäden) გაწყვეტილი აღმოჩნდებოდა. რამდენადც ეს ხალხები უკვე არსებული ენობრივი ელემენტებით სარგებლობენ და თავის ბუნებას ობიექტის წარმოდგენაში ურევენ, გამოხატულება მნიშვნელობას არაა მოკლებული, ცნება კი ენისაგან დამოუკიდებელი არ არის. ენაზე დამოკიდებული ადამიანი კი მასზე უკუმხედებს და ამგვარად, ყოველი ცალკეული ენა სამი განსხვავებული თანმხვედრი ქმედების შედეგია: ობიექტის რეალური ბუნების, რადგანაც იგი სულში (Gemüth) აღიბეჭდება, ერის სუბიექტურობისა და ენის თავისებურების, მასში შერეული უცხო წარმოშობის ძირითადი მასალითა და იმ ძალით, რომლითაც ყველაფერი მის მიერ შეძენილი, თუნდაც თავიდან სრულიად თავისუფლად შექმნილი, ანალოგიის გარკვეულ ფარგლებში დასაშვებს ხდის შემდგომ წარმოქმნას.

20. აზრის და სიტყვის ურთიერთდამოკიდებულება საესებით ნათელს ხდის, რომ ენები სინამდვილეში წარმოადგენენ არა უკვე შეცნობილი ჭეშმარიტების ჩამოყალიბების, არამედ მანამდე უცნობის აღმოჩნის საშუალებას. მათ შორის სხვაობა არა ბერათა და ნიშანთა, არამედ თვით სამყაროს ხედვათა (Weltansicht) შორის განსხვავებაა. ესაა მთელი ენობრივი კვლევის საფუძველიც და საბოლოო მიზანიც. შესამეცნებლის ტოტალურობა, როგორც ადამიანის გონის მიერ დასამუშავებელი ნიადაგი, მოქცეულია ყველა ენის შუაგულში და მათგან დამოუკიდებლადაც; ადამიანს არ შეუძლია ამ წმინდა ობიექტურ არეს სხვანაირად მიუახლოვდეს, თუ არა თავისი შემეცნებისა და შეგრძნების ხასიათის შესატყვისად, ე.ო. სუბიექტური გზით. სწორედ იქ, სადაც კვლევა უმაღლეს და უღრმეს წერტილებს აღწევს, გონის მექანიური და ლოგიკური გამოყენება, რომელიც ყველა განსაკუთრებული თავისებურებისაგან ყველაზე ადვილად გამოცალკევდება, ქმედითობის თავის ზღვარს აღწევს და ძალაში შედის შინაგანი აღქმის და შემოქმედების პროცესი, საიდანაც ნათელი ხდება, რომ ობიექტური ჭეშმარიტება სუბიექტური ინდივიდუალობიდან მომდინარეობს. ეს შესაძლებელი ხდება მხოლოდ ენით და ენის საშუალებით. ენა კი, როგორც ერის შორეული წარსულის წარმონაქმი, ადამიანისთვის რაღაც უცხოს წარმოადგენს; ის, ერთი შერიც, მას ბოჭავს, მაგრამ, მეორე მხრივ, იმის საშუალებით, რაც ენაში წინა თაობებმა შექმნეს, ამდიდრებს, აძლიერებს და სტიმულს აძლევს. ენა, როგორც სუბიექტური, უპირისპირდება შესამეცნებელს, ადამიანს კი ობიექტური სახით ევლინება. რადგანაც ყოველი ენა ადამიანის ზოგადი ბუნების გამოძახილია და ენათა ერ-

თობლიობა ადამიანის სუბიექტურობას სრულყოფილად ვერასოდეს ასახავს, ენები ამ მიზანს მაიც განუწყვეტლივ უახლოვდებიან; ხოლო მთელი კაცობრიობის სუბიექტურობა თავის თავში ისევ რაღაც ობიექტურობად იქცევა. ამრიგად, სამყაროსა და ადამიანის შორის საწყისი შესაბამისობა, რომელსაც ჭეშმარიტების შემცირების ყოველგვარი შესაძლებლობა ეყიდება, ნაწილ-ნაწილ და თანდათანობით აღდგება მისი გამოვლენის გზაზე. რადგანაც სინამდვილეში ობიექტური მარად მისაღწევი რჩება, როდესაც ადამიანი მას ენის თავისებურებების მეშვეობით სუბიექტური გზით უახლოვდება, ამიტომ მისი შემდეგი მისწრაფება იმაში მდგომარეობს, რომ ისევ, თუნდაც ერთი ენობრივი სუბიექტურობის მეორეთი შეცვლის საშუალებით, გამოაცალეკეოს სუბიექტური და, რაც შეიძლება წმინდა სახით, გამოყოს მისგან ობიექტი.

21. თუკი მრავალი ენის არაგრძნობადი საგნების გამოხატულებებს შევადარებთ, ერთნაირი მნიშვნელობის მქონენი მხოლოდ ისინი აღმოჩნდებიან, რომლებსაც, მათი კონსტრუირებადი სახის გამო, არ შეუძლიათ მოიცავდნენ მათში ჩადებულზე მეტს. ყველა დანარჩენი კი მათ შორის მდებარე არეში იჭრება (თუ შეიძლება მათ მიერ აღნიშნულ ობიექტს ასე ეწოდოს), ანაწევრებს მას და ზოგი მეტ, ზოგი ნაკლებ სხვადასხვა მნიშვნელობას შეიცავს. მართალია, გრძნობადი საგნების გამოხატულებები ერთი და იმავე მნიშვნელობისანი არიან იმდენად, რამდენადაც ისინი ერთსა და იმავე საგანს მოიაზრებენ, თუმცა გამოხატულებები საგნის წარმოლგენის მხოლოდ გარკვეულ ასპექტს გამოსახავენ და, ამდენად, მნიშვნელობებიც განსხვავებულია, ვინაიდან საგნის ინდივიდუალური ხედვის გავლენა სიტყვის წარმოქმნაზე – სანამ სიტყვა ცხოველმოქმედია – იმასაც განსაზღვრავს, თუ როგორ ეხმანება სიტყვა საგანს. სიტყვათა დიდი რაოდენობა წარმოიქმნება გრძნობად და არაგრძნობად გამოხატულებათა შეკავშირებით, პირველთა (გრძნობად გამოხატულებათა) ინტელექტუალური დამუშავების შედეგად. ამიტომაც სიტყვები გრძნობადებად უკვე ველარ აღიქმებიან და იზიარებენ უკანასკნელების (არაგრძნობადების) შთაბეჭდილებებს მაშინ, როდესაც (გრძნობადების) კვალი დროთა გამავლობაში, სავარაუდოდ, უნდა გამქრალიყო. რადგან ენა ერთდროულად ასახვაცაა და ნიშანიც – არც მხოლოდ საგნების მიერ გამოწვეული შთაბეჭდილების პროდუქცია და არც მთლად მეტყველის თვითნებობის წარმონაქმნი – ამიტომაც თითოეული მათგანი ყოველ თავის ელემენტში ამ პირველი (გრძნობადი გამოხატულების) თვისების კვალს ატარებს, მაგრამ ამ კვალის ამოცნობა, მისი საკუთარი სიცხადის გარდა, სულიერ განწყობასაც ემყარება – სიტყვა მიღებული უნდა იყოს როგორც ასახვა, თუ უფრო როგორც ნიშანი. და ეს იმის გამო, რომ სულს (Gemüth) შეუძლია აბსტრაქციის ძალით არაგრძნობადს მიაღწიოს, მაგრამ ისიც შეუძლია, რომ ათვისების ყველა საშუალებით ენის მთელი მასალის თავისებურებას სრულად ჩასწოდეს. მეტყველს შეუძლია თავისი მიღებით გეზი მიმართოს ან აბსტრაქციის, ან ენობრივი მასალისაკენ. ამრიგად, რომელიმე პოეტურ, პროზისათვის უცხო გამოხატულების გამოყენებას ხშირად სხვა არავითარი ზემოქმედება არ გააჩნია, თუ არა ის, რომ სული განაწყოს, რათა ის ენას, როგორც ნიშანს კი არ უყურებდეს, არამედ მის სრულ განსაკუთრე-

ბულობას ეზიაროს. თუკი მოვინდომებთ ენის ეს ორგვარი გამოყენება ერთმანეთს უანრების სახით დაუცარისპიროთ, რაც ენაში ამ ორგვარ გამოყენებას უფრო მკვეთრად გამიჯნავს, ვიდრე ეს სინამდვილეში შეიძლება მოხდეს, მაშინ ერთს მეცნიერული, მეორეს კი ორატორული შეიძლება დაგარქვათ. პირველი, ამავე დროს, საქმიანობას (Geschäfte) ესადაგება, უკანასკენელი კი – სიცოცხლის ბუნებრივ ვითარებას, რადგანაც თავისუფალი გამოყენება წენის იმ არტაზებს, რომლითაც აღქმის სულისმიერი უნარი შეიძლება ყოფილიყო შებოჭილი. მეცნიერული გამოყენება, აქ მიღებული გაგებით, მხოლოდ წმინდა აზრობრივ-კონსტრუქციული მეცნიერების და ცდისეულ მეცნიერებათა გარკვეული ნაწილებისათვის არის გამოსადევი; ყოველი შემცნების დროს, რომელიც ადამიანის განუყოფელ ძალებს მოითხოვს, ორატორული გამოყენებაც შედის ძალაში.

სწორედ შემცნების ეს სახეობა ნათელსა და სითბოს ჰქენს ყველა დანარჩენს, სწორედ მას ემყარება საერთო სულიერ განვითარებაში წინსვლა; და ერს, რომელიც თავისი განათლების სიმძიმის ცენტრს არ ეძებს და არ პოულობს პოეზიაში, ფილოსოფიასა და ისტორიაში, რომლებიც შემცნების ამ სახეობას განეკუთვნებიან, ენის კეთილისმყოფელი უკუგავლენა მაღლე აკლდება, რადგანაც ენა საკუთარი მიზეზით ვეღარ ასაზრდოებს ერს იმ მასალით, რომელსაც ერთადერთს შეუძლია მას სიჭაბუქე, ძალა, ბრწყინვალება და მშვენიერება შეუნარჩუნოს. საკუთრივ ამ არეში პოულობს ადგილს მჭევრმეტყველება, თუკი მას გავიგებთ ფართო და არა ჩვეული მნიშვნელობით, როდესაც ენა თვით ახდენს არსებით გავლენას ობიექტების გადმოცემაზე, ან მიზანდასახულად გამოიყენება ამისთვის. ამ უკანასკნელი სახით მჭევრმეტყველებას შეუძლია, სამართლიანად ან უსამართლოდ, მეცნიერულ და საქმიან გამოყენებაშიც იყოს გადატანილი. ენის ასეთი მეცნიერული გამოყენება კი პირობითისაგან (conventionelle) უნდა განვასხვაოთ. საზოგადოდ, ეს ორივე ერთსა და იმავე კლასს ეკუთვნის, რამდენადაც ისინი ენის, როგორც თავისთავადი მასალის, თავისებურ ქმედებას სპობებ და უნდათ, რომ მასში მხოლოდ ნიშანი დაინახონ. მაგრამ მეცნიერული გამოყენება ამას იქ აკეთებს, სადაც ეს დასაშვებია, და აღწევს ამას იმით, რომ ცდილობს, გამოხატულებას ყოველგვარი სუბიექტურობა ჩამოაცილოს, ანდა, უფრო ზუსტად, სული სრულიად ობიექტურად განაწყოს, რაშიც მას წყნარი და გონივრული საქმიანი გამოყენებაც მიჰყვება. ენისადმი აქ წარმოდგენილი მიდგომა კონვენციონალურ გამოყენებას ისეთ არეში გადაიტანს, რომელიც ამთვისებლობის თავისუფლებას უნდა მოითხოვდეს, გამოხატულებას ხარისხის და შეფერილობის მხრივ გარკვეულ სუბიექტურობას ახევდეს თავს და ცდილობდეს სულსაც ასეთივე განწყობა მიანიჭოს. ამგვარად, ის შემდგომ სამეტყველო არეში გადაინაცვლებს და განაახლებს მჭევრმეტყველებასა და პოეზიას. არსებობენ ერები, რომლებიც, მათი ხასიათის ინდივიდუალობიდან გამომდინარე, ამა თუ იმ ყალბ გზებს ირჩევენ, ანდა სწორ გზას ცალმხრივად მაჰყვებიან; ისეთებიც არსებობენ, რომლებიც თავის ენას მეტ-ნაკლები წარმატებით (glücklich) იყენებენ; და როდესაც ბედის წყალობით, შინაგანი სტენისა და ხმის თვალსაზრისით, მჭევრმეტყველებისა და სიმღერისადმი განწყობილი ხალხი რომე-

ღილაც დიალექტის ორგანიზმის გადამწყვეტ წერტილს აღწევს, მაშინ ჩნდება დიდებული და ყველა დროისათვის გასაოცარი ენები. მხოლოდ ბედის ასეთი წყალობით შეიძლება აიხსნას ბერძნული ენის წარმოშობა.

22. შეუძლებელია, რომ ენის ეს უკანასკნელი და ყველაზე არსებითი გამოყენება უცხო იყოს მისი თავდაპირველი ორგანიზმისათვის. მასში იმყოფება მომავალი განვითარების პირველი ჩანასახი. აქ ერთიანდება ენათა შედარებითი შესწავლის ადრე გათიშული ორივე ნაწილი. ყველა ენის გრამატიკისა და სიტყვათა მარაგის კვლევის საფუძველზე, რამდენადაც შესაბამისი საშუალებები გაგვაჩნია, აგრეთვე, უფრო განვითარებული ენების წერილობითი ძეგლების კვლევით, თანამიმდევრულად და ნათლად უნდა იქნეს წარმოდგენილი იდეათა წარმოქმნის ხარისხი და სახე, რომელსაც ადამიანთა ენებმა მიაღწიეს, და გამოვლინდეს მათ აგებულებაში სხვადასხვაგვარი თვისებების გავლენა მათ საბოლოო სრულყოფაზე.

23. მე აქ ის განზრახვა მქონდა, რომ ენათა შედარებითი კვლევის არე მთლიანობაში მოქნიშნა, მისი მიზანი დამედგინა და მეჩვენებინა, რომ ამ მიზნის მისაღწევად ენათა წარმოშობა და სრულყოფა ერთიანად უნდა მივიღოთ მხედველობაში. მხოლოდ ამ გზით შეიძლება მივაღწიოთ იმას, რომ ენები უფრო და უფრო ნაკლებად იქნეს განხილული, როგორც პირობითი (willkührlich) ნიშნები, და რომ სულიერ ცხოვრებაში უფრო ღრმა წვდომით მათი აგებულების თავისებურებაში ვპოვოთ ჭეშმარიტებისა და, ასევე, განწყობათა და ხასიათის წარმოქმნის კვლევისა და შემცნების საშუალება. რამდენადაც განვითარების უფრო მაღალ დონემდე მიღწეულ ენებში სამყაროს საკუთარი ხედვა არის დაცული, ამდენად, მათი დამოკიდებულება უნდა არსებობდეს არა მარტი ერთმანეთთან, არამედ მთელ მოაზრებად ტოტალობასთანაც. ამრიგად, ენებთან დაკავშირებით ისეთივე მდგომარეობაა, როგორც თვით ადამიანთა ხასიათებთან – ან, შესაბამის დამდებულად უფრო მარტივი ობიექტი რომ შევარჩიოთ, როგორც ღმერთების იდეალებთან დაკავშირებით სახვით ხელოვნებაში, სადაც ტოტალობა შეიძლება აღმოჩენილ იქნეს და მანკიერი წრე შეიკრას – რადგანაც ყოველი მათგანი ერთი გარკვეული მხრიდან წარმოადგენს ზოგად იდეალს, რომლის ინდივიდუალიზება ყველა ამაღლებული თვისების თანადროული ხორციელების სახით არის შესაძლებელი. მაგრამ არ უნდა ვივარაუდოთ ერთ ენაში ყველა ღირსების არსებობა და სინამდვილის მიმართ ძალადობას ჩავიდენდით, თუკი ხასიათების ან ენათა განსხვავებულობების (ისტორიულად) ასე წარმოდგენას მოვინდომებდით. შეიძლება ვილაპარაკოთ ენის მხოლოდ გარკვეულ მიღრეკილებებსა და არა მკაფიო მიმართულებებზე; ისევე, როგორც ადამიანებისა და ერების შემთხვევაში და, აგრეთვე, ენათა და ხასიათების წარმოშობასთან დაკავშირებით (რაც წარმოადგენს არა გარეგანის რაღაც კანონისადმი დამორჩილებას, არამედ არის მიახლოებას იდეალთან). შეიძლება ვიფიქროთ, თითქოს იდეალის მიერ მოცემული მიმართულების რაღაც გზას ვადგავართ, რომელიც ყველა მისი მხარის ამომწურავ სწავა გზებსაც მოიცავს. იმ ერების მდგომარეობა, რომელთა ენებისთვისაც ეს მართებულია,

უმაღლეს და დასრულებულ მდგომარეობას წარმოადგენს, სადამდეც კი ერი ტო-მების განსხვავებას მიჰყავს; ის ვარაუდობს ადამიანთა დიდ მასებს, რადგანაც ენები ამას მოითხოვენ იმისთვის, რომ თავის სრულყოფას მიაღწიონ. მას საფუძვლად უდევს უმდაბლესი მდგომარეობა, საიდანაც ჩვენ მოვდიგართ. ის ადამიანთა მოდგმის გარღაუგალი დანაწევრებითა და განშტოებით წარმოიქმნება და მას ენები თავის წარმოშობას უმაღლიან; ეს მდგომარეობა მრავალ მცირე მასებსაც მოიცავს, რადგანაც ენათა წარმოშობა მათში უფრო ადვილია. ამასთანავე, მრავალი ენა უნდა შეერთოს და შეერწყას ერთმანეთს, რომ მდიდარი და კარგად აგებული (bildsame) ენა გაჩნდეს. ორსავე მდგომარეობაში ერთიანდება ის, რაც მთელ დედამიწაზე ადამიანთა მოდგმაში მოიპოვება; ის, რის დასაბამსაც ბუნებრივი აუცილებლობა და ფიზიკური მოთხოვნილება წარმოადგენს, მაგრამ პროგრესულ განვითარებაში ორივე უმაღლეს სულიერ მიზნებს ემსახურება.

თარგმნა გორგი ჩიკოიძე

თ ა რ გ მ ა ნ ი

ივრი დიაკრონიზი

ძველი ტექსტების დეშიფრირების მეთოდთა შესახებ<sup>1</sup>

XIX-XX საუკუნეებში გაიშიფრა ბევრი ძველი დამწერლობა. თითოეული მათგანის დეშიფრირებას წინ უძლოდა ათობით, ზოგჯერ კი ასობით უიღბლო მცდელობა წარწერების შინაარსის წვდომისა. ზოგჯერ ამ მცდელობათა ავტორები დასაწყისში კარგ შედეგებს ღებულობდნენ, მაგრამ საკუთარი შესაძლებლობებისა და მიღებული შედეგების ზეშეფასების გამო არ ჩერდებოდნენ მიღწეულზე, საღი აზრის საზღვრებს სცდებოდნენ და ფანტასტიკის სფეროში გადადიოდნენ.

დეშიფრირების ზოგიერთი მცდელობა თავიდანვე უიღბლობისთვის იყო განწირული. მიუხედავად იმისა, რომ მათი ავტორები ვერ ხედავდნენ რეალურ კავშირს ნაცნობსა და უცნობს შორის, მაინც ცდილობდნენ, რადაც არ უნდა დაჯდომოდათ, თვითონ მოეხდინათ ამგარი კავშირების კონსტრუირება. ეს მიიღწეოდა სხვადასხვა გზით. მაგალითად, გასაშიფრი დამწერლობა ცხადდებოდა რომელიმე დამწერლობის გენეტიკურად მონათესავედ, თანაც შემთხვევითი, ხანდახან კი უბრალოდ არარსებული მსგავსება ორივე დამწერლობას შორის საღდებოდა ნათესაობის დამამტკიცებლად. მსგავსად უდარებდნენ ენებს. ბუნებრივია, რომ ასეთი შედარებისას არ შეიძლებოდა მიგველო დამაჯერებელი წაკითხვა. ამიტომ „გამშიფრელები“ იძულებულები იყვნენ ყოველ ნაბიჯზე „მოერგოთ“ თავიანთი ტექსტები ამა თუ იმ ენისათვის, ერთი ნიშნის მეორით არასწორ წაკითხვას ხსნიდნენ ან მწერლების შეცდომით, ან გასაშიფრი ენის „სპეციფიკით“, რაც ეხებოდა, ძირითად, გასაშიფრი „ენის“ ფონეტიკასა და მორფოლოგიას. ამგვარი გზით მიღებული შინაარსის შემთხვევაში, ჩვეულებრივ, მოქმედებდნენ პრინციპით: „რაც უაზროა, მით უკეთესია“ (მიიჩნეოდა, რომ უცნობ ენაზე შეიძლებოდა დაწერილიყო ნებისმიერი რამ). ხდებოდა ისეც, რომ „გამშიფრელები“ არ ირჯებოდნენ, შეედარებინათ უცნობი დამწერლობა ან ენა ნაცნობ დამწერლობასთან ან ენასთან და ამა თუ იმ საშუალებით მიღებულ „წაკითხვას“ ისინი ანიჭებდნენ, საკუთარი სურვილისამებრ, ნებისმიერ შინაარსს.

ზოგჯერ ფიქრობენ, რომ მსგავსი მსჯელობანი რთულად უარსაყოფია. სინამდვილეში მათი უარყოფა საქმაოდ ადვილია, რადგან ისინი ყოველთვის შეიცავენ შინაგან წინააღმდეგობათა სიმრავლეს; შინაგანი წინააღმდეგობანი რომც არ აღმოჩენილიყო, მათ მაინც დაეძებნებოდათ ნაკლოვანებები. საქმე ის არის, რომ

<sup>1</sup> И. М. Дьяконов, О методах дешифровки древних текстов, კრებულში: Тайны древних письмен: проблемы дешифровки, сборник статей, пер. с английского, немецкого, французского и итальянского языков, Издательство «Прогресс», Москва, 1976.

ადამიანის ენას გარკვეული კანონზომიერებები აზასიათებს: თითოეულ ენას აქვს თავისი განსაკუთრებული სისტემა და არა ქაოსური ნაკრები ბგერებისა, ხმოვნები და თანხმოვნები სიტყვაში მონაცემების განსაზღვრული წესით და ა.შ., ფსევდოდემიფრირების შედეგად მიღებული „ენები“ ამგვარ კანონზომიერებებს არ აგლენებს.

არასწორია გავრცელებული აზრი, რომ ფსევდოგამშიფრელები, ჩვეულებრივ, არიან პროფესიონები. არცთუ იშვიათად, ამ როლში გამოდიოდნენ დამსახურებული მეცნიერები, საპატიო ერუდიტები.

მხოლოდ ერუდიცია დეშიფრირებაში აშკარად არ არის საკმარისი, ზუსტად ისე, როგორც არ არის საკმარისი ინტუიცია, თუმცა საეჭვოა, დეშიფრირება მოხერხდეს ერთის ან მეორის გარეშე. ღრმა ინტუიციას ფლობდა ინგლისელი არქიტექტორი მაიკლ ვენტრისი. პროფესორი ჯონ ჩედვიკი თავის წიგნში „B ხაზოვნის დეშიფრირება“ ნაბიჯ-ნაბიჯ მიჰყება იმ გზას, რომელიც ვენტრისმა გაიარა დეშიფრირებისას. ჩვენ ვხედავთ, რომ ვენტრისი ხშირად ცდებოდა, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, პოულობდა მართებულ გადაწყვეტილებას. ვენტრისი მიხვდა, რომ მათებატიკოს აღის კობერის მიერ დაწყებული ტექსტის ფორმალური ანალიზი იყო დეშიფრირების ერთადერთი სწორი საწყისი ეტაპი. განსაკუთრებული მხედველობითი მეხსიერება ვენტრისს დაეხმარა, შეემჩნია ტექსტის სტრუქტურის ზოგიერთი კანონზომიერება, ამან კი, ბოლოს და ბოლოს, მიიყანა ცნობილი „ბადის“ შექმნამდე. ვენტრისი, ისევე როგორც სხვა გენიალური გამშიფრელები (ისეთები, როგორებიც არიან შამპოლიონი ან ჰინქსი), მიდიოდა გაუკვალავ გზაზე და ამ საქმეში მას ეხმარებოდა ინტუიცია. ჩვენ შეგვეძლო განგვესაზღვრა ინტუიცია როგორც არსებითი ნიშნებისა და კავშირების ქვეცნობიერად იდენტიფიცირების ნიში; აქედან გამომდინარეობს, რომ არაფერი „მისტიკური“ ინტუიციაში არ არის. მართლაც, ნებისმიერი დეშიფრირების მსვლელობას თუ კვალდაკვალ გავყებით, დავრწმუნდებით, რომ პასუხები კითხვებზე, რომლებიც გამშიფრელების წინაშე დგას, ჩადებულია თვითონ მასალაში, მხოლოდ სასურველია შესაძლო გადაწყვეტილებათა ქაოსიდან ამოარჩიო ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება. რაც შეეხება იმ საკითხს, თუ როგორ კავშირებს შეიძლება ეწოდოს არსებითი, როგორ სტრუქტურას – დამახასიათებელი, გამშიფრელს მხედველობაში უნდა ჰქონდეს შემდეგი:

დამწერლობასა და ენაში მოქმედებს ეკონომიკის პრინციპი, რასაც მივყავართ კომპაქტური, მოწესრიგებული იერარქიული ჯაჭვებისა და სისტემის აგებამდე. ასე, მაგალითად, დამწერლობაში შეიძლება შეტანილი იყოს მხოლოდ ნიშნები V (ხმოვანი) ან CV (თანხმოვანი + ხმოვანი) ტიპის მარცვლებისათვის, ანდა ნიშნები V, CV, VC, CVC ტიპის მარცვლებისათვის („მარცვლოვანი დამწერლობა“), ანდა მხოლოდ C და V ტიპის ნიშნები („ანბანური დამწერლობა“). არსებობს სხვა სახის დამწერლობებიც, მაგრამ საჭიროა ხაზი გაესვას, რომ გრაფიკულ ნიშანთა ტიპების ნაკრები მოცემულ დამწერლობაში ყოველთვის უკიდურესად შეზღუდული და მკაცრად მოწესრიგებულია. მაგალითად, ეს ვერ გაიგო თ. იუნგმა, როცა

პტოლემაიოსის სახელის ეგვიპტურ ჩანაწერში დაინახა C, V, CV, VC, VCV ტიპის ნიშნები და ერთიც ცარიელი ნიშანი. მაგრამ ამას მიხვდა შამპოლიონი, რომელმაც აჩვენა, რომ პტოლემაიოსის სახელში, როგორც სხვა სახელებში, ეგვიპტელები იყენებდნენ მხოლოდ C-სა და V-ს ტიპის ნიშნებს.<sup>2</sup> ვენტრისძა გაშიფრა B ხაზოვანი დამწერლობა მას შემდეგ, რაც დაადგინა, რომ ამ დამწერლობის ნიშნები გადმოცემნ მხოლოდ V და CV ტიპის ბგერებს.

ათწლეულების განმავლობაში მკვლევრები კარიულ დამწერლობას<sup>3</sup> მიიჩნევდნენ „შერულად“ – ასოით-მარცვლოვნად ან კიღევ უფრო რთულად, და მხოლოდ 1950 წელს ჰ. ბოსერტმა (Helmut Theodor Bossert) გამოთქვა სწორი ვარაუდი, რომ კარიელები ხმარობდნენ ერთობ უბრალო დამწერლობის სისტემას, სახელდობრ, წმინდა ასოით დამწერლობას, ანუ „ანბანურს“,<sup>4</sup> ე.ი. მხოლოდ ორი ტიპის ნიშნების შემცველს – C და V. ახლავე შევნიშნავთ, რომ ნათქვამი არ ნიშნავს იმას, რომ დეშიფრირებისას დავიყვანოთ წერითი ნიშნების ტიპთა ნაკრები მინიმუმამდე. მთავარია, შევეცადოთ, რომ გამოვავლინოთ ის მწყობრი სისტემა, რომელიც მეტყველების ფიქსაციას უდევს საფუძვლად. ასე, მაგალითად, თუ მეცნიერები ე. ჰინქსმდე ბრძად მისდევდნენ გროტეფენდ-როულინსონის მეთოდიკას (შეიძლება შამპოლიონისაც, რომელიც მუშაობდა სრულიად სხვა მასალაზე), პოულობდნენ ასურულ-ბაბილონურ ლურსმელ დამწერლობაში შვიდ ნიშანს, რომელიც გადმოსცემდა ერთსა და იმავე თანხმოვანს (რაც უაზრო იყო), მაშინ ჰინქსმა დაამტკიცა, რომ ნიშნები თანხმობებისათვის საერთოდ არ არის ამ დამწერლობაში, მაგრამ არის ნიშნები V, CV, VC და CVC ტიპის (ამგვარად, „შვიდი განსხვავებული ნიშანი“ ერთი და იმავე თანხმოვნისთვის გადაიქცა CV და VC ტიპის ნიშნებად V-ს სხვადასხვა სახით).

უარი თქვეს რა გამარტივებულ წარმოდგენაზე ეგვიპტურ იეროგლიფიკაზე როგორც იდეოგრაფიულ დამწერლობაზე (აქც დიდი როლი შეასრულა მოსაზრების და მიმდევად გამოვლენაზე).

<sup>2</sup> ეგვიპტური ბერითი დამწერლობის სპეციფიკის გახსნით, რომელიც მდგომარეობდა იმაში, რომ „ეგვიპტელები, როგორც ჩანს, იგნორირებას უწევდნენ ნმიენებს და ძალიან ხშირად არ წერდნენ მათ“, შამპოლიონმა მეტისმეტად გაამარტივა სიტუაცია, ვერ შეძლო იდენტიფიცირება CC ტიპის (და უფრო რთული) ნიშნებისა ეგვიპტურ დამწერლობაში. ამ ნიშნების იდენტიფიკაცია შეძლო რ. ლეუსიუსმა, რითაც ზუსტად განსაზღვრა ეგვიპტური დამწერლობის სისტემა. თუმცა საჭიროა, გავითვალისწინოთ, რომ მიუხედავად შეცდომისა, შამპოლიონმა შინაგანი წინააღმდეგობის გარეშე წარმართა მსჯელობა: C<sub>1</sub>C<sub>2</sub>-C<sub>2</sub> ტიპის მიმდევრობებს ის კითხულობდა როგორც C<sub>1</sub>-C<sub>2</sub>-ს, რაც თეორიულად სრულიად დასაშვები იყო („მეორე C<sub>2</sub>-ის“ გამოვლენა ასახავდა დამწერლობის სპეციფიკას და არა მეტყველებისას).

<sup>3</sup> კარიული დამწერლობისთვის ამჟამად მიღებული გაშიფვრის შედეგები ეკუთვნის ბრიტანელ ეგვიპტოლოგს, ჯონ დევიდ რეის (John David Ray), განსხვავებით ვ.ვ. შევრ-როშენის გაშიფრისაგან (მთარგმ.).

<sup>4</sup> ბოსერტმა ეს აზრი გამოთქვა ყველაზე დიდი კარიული წარწერის (კავნის) მიგნებასთან დაკავშირებით, რომელშიც 240 გრაფიკულ ნიშანზე მოდიოდა მხოლოდ 27 განსხვავებული, რასაც სავსებით შეძლო დაეხასიათებინა ნმელთაშუაზღვისპირეთისა და მცირე აზიის ანბანური დამწერლობა.

ბებმა სტატისტიკურ წესრიგზე), შამპოლიონი მივიდა სწორ დასკვნამდე იეროგ-ლიფიკაში სამდონიანი მნიშვნელობის ნიშნების არსებობაზე: იდეოგრამები (სიტყ-ვიერი ნიშნები), ფონეტიკური ნიშნები და განმსაზღვრელები, ანუ დეტერმინატი-ვები. ამგვარად, გაიხსნა ეგვიპტური დამწერლობის არსი, რომელიც წარმოადგენს იდეოგრამების არა ქაოსურ ნაკრებს, არამედ სხვადასხვა დონის ნიშნების მწყობრ სისტემას.

სწორედ სისტემურობის გათვალისწინებამ, ლურსმული ტექსტის კანონზომი-ერტების გახსნამ შეაძლებინა პინქსს, განეხორციელებინა თავისი სახელგანთქმუ-ლი დაკვირვება (სხვათა შორის, ეს მან აღმოაჩინა ლურსმულ დამწერლობაში დეტერმინატივების ნიშნები), მეორე მხრივ, ეს კანონზომიერებები დაეხმარა მას, დაქნახა გარკვეული გართულებები სისტემაში, დაკავშირებული იმასთან, რომ ერთნაირი სახის ნიშნები შეიძლება გამოიყენებოდეს სხვადასხვა მნიშვნელობით სხვადასხვა დონეზე.

იმის დადასტურება, რომ გამშიფვრელი სწორ გზას ადგას, შეიძლება იყოს ტექსტის შემდგომი ინტერპრეტაცია ადრე მიღებული მონაცემების საფუძველზე. ზოგადი წესია, რომ არ შეიძლება დეშიფრირების ბოლომდე მიყვანა ბილინგვების (როგორც ეს იყო ლუკიური იეროგლიფური დამწერლობის შემთხვევაში) ან კვა-ზიბილინგვების მიგნების გარეშე (როგორც ეს იყო B ხაზოვანი დამწერლობის შემთხვევაში).<sup>5</sup> დეშიფრირებაში არის გარკვეული ბარიერი: შეიძლება განისაზღ-ვროს დამწერლობის პრიციპული წყობა და შემადგენლობა, ისიც შეიძლება გა-მოირკვეს, რომელი ნიშნები გამოხატავენ ხმოვნებს და რომლები – თანხმოვნებს, რომელი ნიშნები – თანხმოვანთა და ხმოვანთა ჯგუფებს (და, სახელდობრ, რო-გორ ჯგუფებს), მაგრამ თვითონ ხმოვნებისა და თანხმოვნების ამოკითხება, ნიშნე-ბის უღერადობის განსაზღვრა შეუძლებელია, თუ ეს უღერადობა არ არის ნაკარ-ნახევი შესაბამისი სიტყვების დაწერილობით და, განსაკუთრებით, საკუთარი სა-ხელებით (რომლებიც უკვე ცნობილია სხვა დამწერლობის მეშვეობით).

ამგვარად, ინტუიცია ეხმარება გამშიფვრელს, გამოავლინოს ნამდვილი (და არა მოჩვენებითი) უბრალოება და სიმწყობრე, რომელიც ძევს უცნობი დამწერ-ლობისა და ენის საფუძველში, აგრეთვე კავშირის სისტემური ხასიათი უცნობ დამწერლობასა და/ან ენას, ერთი მხრივ, და ცნობილ დამწერლობას ან ენას შო-რის, მეორე მხრივ. ქვემოთ ვაჩვენებთ, თუ როგორ შეიძლება მანქანის დახმარე-ბით ინტუიციური ცოდნა „გადაითარგმნოს“ ჩვეულებრივზე; აქვე შევნიშნავთ, დე-შიფრირებაში ინტუიციის დომინირებულ როლზე ხაზგასმით ჩვენ სრულიადაც არ გვინდა ერუდიციის როლის დამცირება. ხშირად სწორედ ერუდიციის ნაკლე-

<sup>5</sup> ისტორიამ იცის შემთხვევა, როდესაც დეშიფრირების სისწორე შეამოწმეს ახლად აღმოჩე-ნილი ტექსტის საფუძველზე, ექსპერიმენტის საშუალებით: 1857 წელს, ფ. ტალბოტის ინიციატივით, ერთდროულად ოთხ მკვლევარს (ფ. ტალბოტი, ჰ. პინქსი და ი. ოქერტი) ერთმანეთისაგან დამრეკიდებულად შესთავაზეს მანქანე უცნობი ტექსტის ინტერპრეტაცია. ოთხივე მეცნიერის შედეგები ზოგადად დაემთხვა ერთმანეთს, რამაც დაადასტურა ლურსმული დამწერლობის დეშიფრირების სისწორე.

ბობის გამო გამშიფრელს არ შეუძლია მიიყვანოს დეშიფრირება ბოლომდე, და მის საქმეს განაგრძობენ ფილოლოგ-ინტერპრეტატორები. თუმცა მართებულია ის, რომ კარგი ინტუიციის მქონე ადამიანი, ახერხებს ამოიცნოს ტექსტის სტრუქტურა და განსაზღვროს დეშიფრირების გზა, მაშინ როცა ერუდიტი, რომელიც არ ფლობს ინტუიციას, ამას ვერ შეძლებს.

ავიღოთ ასეთი უბრალო მაგალითი. ერთი პოპულარული ჟურნალის რედაქტორმა მიიღო წერილების წყება, რომლებშიც მკითხველები, რომელთაც მეცნიერებასთან არ ჰქონდათ არავითარი შეხება, გამოთქვამდნენ თავიანთ თეორიას ფესტოსის დისკოს შესახებ. ყველა წერილის დაახლოებით ოცდათი პროცენტი შეიცავდა ერთობ საინტერესო მოსაზრებებს, მთლიანად შესაბამისს იპსენის მოსაზრებისა, რომელმაც, სპეციალისტების აზრით, მოგვცა ფესტოსის დისკოს აქმდე არსებულ ანალიზებს შორის საუკეთესო ანალიზი (ანალიზი, რა თქმა უნდა, ფორმალურია, ცალკეული გრაფიკული ნიშებისა და სიტყვების იდენტიფიკაციის გარეშე). წერილების ავტორები დიდი სიფრთხილით გამოთქვამდნენ აზრს, რომ დღესდღეობით საეჭვოა, გავსცდეთ ფესტოსის დისკოს წმინდა ფორმალურ ანალიზს. ისინი სოლიდარულები იყვნენ ჩევნი დროისა და გასული ათეული წლების ყველაზე უფრო ავტორიტეტული მეცნიერების მიმართ. მათი, გაშიფრის მოყვარულების, ანალიზი აღმოჩნდა უფრო მკაცრი და მეცნიერული, ვიდრე დასკვნები ისეთი მეცნიერ-ერუდიტებისა, როგორებიც შერტელი და დევისი არიან! ამ მეცნიერებს, როგორც ჩანს, არა აქვთ საკმარისი ინტუიცია, ისინი ყურს არ უგდებენ კრიტიკოსების ხმას და სრულიად დარწმუნებულები არიან საკუთარი მსჯელობის უტყუარობაში, რაოდენ ფანტასტიკურიც არ უნდა იყოს ის, მეცნიერებისა თუ საღი აზრის თვალსაზრისით. ასე, მაგალითად, 1967 წელს პროფესორმა საიმონ დევისმა გამოუშვა წიგნი, რომელშიც ავტორი პრეტენზიას აცხადებდა ფესტოსის დისკოს, კრეტული იეროგლიფური ბეჭდებისა და რიგი იმ წარწერების<sup>6</sup> „გაშიფრაზე“, რომლებიც ჯერჯერობით მეცნიერებაში ითვლება, რომ გაშიფრული არაა, მიუხედავად იმისა, რომ მისი ძირითადი დებულებები (გამოთქმული ადრე გამოქვეყნებულ შრომებში) მკაცრად გააკრიტიკეს წამყვანმა სპეციალისტებმა (შეადარეთ, მ. პოუპის, გ. ნიმიმანის, ჯ. ჩედვიკის შენიშვნები ამ კრებულის შესაბამის სტატიებში). თავს დროზე პროფესორმა შტოლტენბერგმა ზუსტად ამგვარად „გაშიფრა“ ხმელთაშუაზღვისპირეთის თითქმის ყველა დამწერლობა. ასევე, არანაკლებ უსიცოცხლო კვალი დატოვეს დეშიფრირების ისტორიაში ა. მეცმა, ფ. ბორკმა და სხვა მკვლევრებმა.

<sup>6</sup> S. Davis, The Decipherment of the Minoan Linear A and the Pictographic Scripts, Johannesburg, 1967. პროფ. დევისი სპეციალურად ეწვდა საბერძნეთს, კრეტასა და კვიპროსს ხმელთაშუაზღვისპირეთის დამწერლობათა გაშიფრის მიზნით, ხეოურად „წაიკითხა“ ექვსი დამწერლობა: ფესტოსის დისკო, მინოსური საბეჭდავები, A ხაზოვანი დამწერლობა, კვიპროსულ-მინოსური დამწერლობა, ეტეოკვიპროსული და ეტეოკრეტული წარწერები.

რა გზით მიდიან ის გამშიფვრელები, რომელთაც მიაღწიეს სარწმუნო შედეგებს? როგორც ჩანს, მუშაობის საწყის ეტაპზე ისინი ითვალისწინებენ საღაზრის, ისწრაფვიან, რომ გამორიცხონ შესაძლო უცნობი დამწერლობის ელემენტების (რომლებიც წარმოუდგენიათ როგორც დაუმტკიცებელი) შეპირისპირება ცნობილი დამწერლობისა თუ ენების ფაქტებთან. ტექსტის გადახედვისას, უპირველესად, შეგნებულად თუ შეუგნებლად, მიჰყვებიან კომბინატორული ანალიზის პრინციპებს ერთმანეთთან თავსებადი განსაზღვრული ჯგუფების გამოყოფითა და კლასიფიკაციით. რაც უფრო დიდია ტექსტი, გამშიფვრელი მთ უფრო მეტ „შავ“ ტექნიკურ სამუშაოს ასრულებს ამგვარი კლასიფიკაციისას. ჭეშმარიტი გამშიფვრელი არ შეეცდება, გადაახტეს სამუშაოს ამ ნაკლებ სასიამოვნო ეტაპს, რადგან ესმის, რომ მასში არის წარმატებების საწინდარი. რა თქმა უნდა, არსებით თავისებურებებს იგი გამოავლენს არა მარტო ინტუიციურად, შეუგნებლად (ინტუიცია მხოლოდ ზოგავს მის ენერგიას, არ აძლევს უფლებას, დაიხარჯოს სრულიად უნაყოფო მსჯელობის შესაქმნელად),<sup>7</sup> არამედ გამშიფვრელის მთელი შეგნებული მუშაობა მიზნად ისახავს აგრეთვე არსებითი კავშირების მოძიებას (ტექსტის შიგნით ან ტექსტსა და გარე სამყაროს შორის). ხანდახან ხდება ისეც, რომ გამშიფვრელი უშვებს შეცდომებს, თანაც ხშირად გრძნობს დაუკმაყოფილებლობას შეცდომის დაშვებისას – აქაც თავს იჩენს ინტუიცია. ინტუიციას შეუძლია მიიყვანოს ასეთ დასკვნამდეცა: „ეს ასე მეჩვენება, მაგრამ არ ვიცი, რატომ“. თუ ამ მომენტში გავანალიზებთ მისი მსჯელობის ხაზის განვითარებას, მაშინ აღმოჩნდება, რომ მასალაში ჩადგებულმა მონაცემებმა ის შეუგნებლად უკვე მიიყვანა რაღაც კანონზომიერებამდე, რასაც მალე გააცნობიერებს და თავის მსჯელობაში შემდგომ დასაბუთებასაც მიაღწევს.

ასეთია უზოგადესი მოსაზრება გამშიფვრელის მუშაობის საწყისი ეტაპის მეოთხეული.

გადავიდეთ იმ ზოგიერთი კერძო მეთოდის აღწერაზე, რომლებიც გამოიყენება დეშიფრირებაში.

სპეციალურ ნაშრომში დეშიფრირების მეთოდების შესახებ პ. აალტო სხვადასხვა სახის დეშიფრირების კლასიფიკაციას ახდენს შემდეგნაირად: დეშიფრირება უცნობი დამწერლობისა, რომლითაც ჩაწერილია ცნობილი ენა; დეშიფრირება უცნობი ენისა, რომელიც ჩაწერილია ცნობილი დამწერლობით (ამ სახის შრომებს უმჯობესია, ეწოდოს ინტერპრეტაცია); დეშიფრირება უცნობი დამწერლობი-

<sup>7</sup> აქ მნიშვნელოვანია, გვახსოვდეს, რომ თუ ბევრი ძალა იხარჯება უცნობი ტექსტის ანალიზზე, მაშინ უფრო მეტი ძალა მიღის იმაზე, რომ ამოვარჩიოთ ნამდვილად საჭირო ფაქტები იმ ფაქტთა მრავალფეროვნებიდან, რომლებსაც გვაწვდიან გასაშიფრენასთან მეტ-ნაკლებად დაკავშირებული ცნობილი დამწერლობები და ენები (თანაც დასაწყისში უწევთ შეარჩიონ ყველა შესაძლო დამწერლობიდან და ენიდან სწორედ ისინი, რომლებიც ნამდვილად შეიძლება ან აუცილებლად უნდა იყვნენ დაკავშირებული უცნობ ენასთან: ეს პროცესი მოითხოვს როგორც ცნობიერ, ისე არაცნობიერ განსაკუთრებით დაძაბულ მუშაობას).

სა და ენისა (უცნობი ენა ჩაწერილია უცნობი დამწერლობით).<sup>8</sup> ამ კლასიფიკაციას იღებს ი. ფრიდრიხი.<sup>9</sup> აალტოს თანახმად, იმის მიხედვით, თუ როგორი სახის დეშიფრირებასთან აქვს საქმე მკვლევარს, ის იყენებს დეშიფრირების ამა თუ იმ ხერხს; ამ საშუალებებს მოკლედ ჩამოთვლის ფრიდრიხი, ამასთან შენიშნავს, რომ „ყოველი უცნობი დამწერლობისა თუ ენის გამოაშეარავებისათვის საჭიროა რაღაც საყრდენი მომენტი; არაფრისგან არ შეიძლება არაფრის დეშიფრირება“ (გვ. 52). მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ, როგორც წესი, გამშიფრელმა არ იცის, თუ, სახელდობრ, რომელი სახის დეშიფრირებასთან აქვს საქმე. უცნობი ენა შეიძლება ცნობილი აღმოჩნდეს (როგორც ეს იყო ვენტრისის შემთხვევაში) და ა.შ. ამასთან, ენების დაყოფა ნაცნობ და უცნობ ენებად აშკარად არასაკმარისია. დეშიფრირებისას მნიშვნელოვანია, მაგრამ არა გადამწყვეტი, იმ საკითხის გარკვევა, ენათესავება თუ არა გასაშიფრი ენა რომელიმე ცნობილ ენას (შეიძლება, აზრი გამოვთქვათ უფრო ფრთხილად: დგინდება თუ არა მოცემული ენის გენეტიკური წარმომავლობა). ამ მხრივ, არსებობს განსხვავება ხეთურისა და ეტრუსკულის დეშიფრირებას შორის (ფრიდრიხისათვის ორივე დეშიფრირება ერთსა და იმავე სახეობას მიეკუთვნება: ენა უცნობია, მაგრამ ჩაწერილია ჩვენთვის ნაცნობი დამწერლობით). თავდაპირველად ხეთური ენის დეშიფრირება განხორციელდა ტექსტში არსებული მნიშვნელობის მქონე უკვე ცნობილი შუმერული და აქადური იდეოგრამების საშუალებით, რომლებიც გვაძლევენ ტექსტის შინაარსის ჩონჩხეს; სხვა სიტყვების მნიშვნელობები დადგინდა კომბინატორულად, ხოლო კომბინატორული ანალიზის შედეგი შემოწმდა ეტიმოლოგიური მეთოდის გამოყენებით (ეს ენა აღმოჩნდა ინდოევროპული, ე.რ. ძველი ინდურის, ბერძულის, ლათინურის, რუსულის, ინგლისურის და მთელი რიგი ძველი და ახალი ენების მონათესავე, რომლებიც შედიან ინდოევროპულ ენათა ოჯახში). ეტრუსკულის დეშიფრირება, პირიქით, შეჩერდა საწყის ეტაპზე (იდეოგრამები არ იყო; ზოგი ფორმა იდენტიფიცირდა კომბინატორული ანალიზით, კერძოდ, კვაზიორენოვანი ტექსტების ჩაბმის წყალობით; ამ მეთოდების შესახებ იხილეთ ქვემოთ). შემდგომი წარმატებები დამუხრუჭდა ბილინგვების არარსებობის გამო; ვერც ეტრუსკულის ნათესაური კავშირის დადგენა მოხერხდა. ამრიგად, არსებობს, ყოველ შემთხვევაში, ზოგიერთი განსხვავება უცნობი ენის დეშიფრირებასა და იმ ენის დეშიფრირებას შორის, რომელიც ენათესავება ამა თუ იმ ცნობილ ენას. მაგრამ შეცდომა იქნებოდა, დაგვემყარებინა ძალიან დიდი იმედები ეტიმოლოგიურ მეთოდზე: ცნობილია, რომ ერთი და იგივე სიტყვები დროთა განმავლობაში დიდ ცვლილებებს ექვემდებარებიან ახლომონათესავე ენებშიც კი, სრულიად იცვლება

<sup>8</sup> P. Aalto, Notes on Methods of Decipherment of Unknown Languages. – «*Studia Orientalia*», XI, 4, Helsingfors, 1945, გვ. 3 და შმდ.

<sup>9</sup> И. Фридрих, Дешифровка забытых письменностей и языков, М., 1961, გვ. 52 და შმდგ. ორიგინალი გამოქვეყნდა 1954 წ.; მეორე გამოცემაში მოცემული განყოფილება უცვლელი დარჩა: J. Friedrich, Entzifferung verschollener Schriften und Sprachen, Berlin – Heidelberg – New York, გვ. 134 და შმდგ.

როგორც ბგერითი ფორმა, ისე ხშირად მნიშვნელობაც. თუმცა ეგვიპტური ენა გაიშიფრა, მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს მისი ახლომონათესავე ენა (გარდა კოპტურისა, რომელიც გვიანეგვიპტურის სახეცვლილებას წარმოადგენს). სრულიად უცნობი ენის დეშიფრირებასა და ცნობილი ენის ამოკითხვას შორის, რომელიც ჩაწერილია უცნობი დამწერლობით (მაგალითად, კვიპროსის ძველი ბერმნული ენა) არსებობს რიგი შუალედური რგოლები. ისინი, უდავოდ, ნაწილობრივ დამოკიდებული არიან ნათესაური კავშირების ხარისხზე გასაშიფრ და ნაცნობ ენას შორის. ამასთანავე, საჭიროა გავთვალისწინოთ ქრონილოგიური მომენტი: თუ გასაშიფრო ენა დაშორებულია თავისი კარგად ცნობილი შთამომავლისაგან დროის დიდი მონაკვეთით (რამდენიმე ასეული წელი), მაშინ ეს უფრო არის ენის დეშიფრირება ცნობილი ენის მონათესავე ენისა, ვიდრე ამოკითხვა უცნობი დამწერლობით ჩაწერილი ნაცნობი ენისა (ასეთია ძველი ეგვიპტური, რომელიც საერთოდ არ არის მსგავსი თავისი შთამომავლის – კოპტურისა; ამგვარი ნაკლებად არის მიკენური ბერმნული, რომელიც უფრო მეტად მსგავსია კლასიკური პერიოდის ბერმნულისა).

ანალოგიური კრიტიკული შენიშვნები შეიძლება გაკეთდეს ცნობილ (გაშიფვრა რომ სჭირდებათ) და უცნობ დამწერლობებად გამიჯვნასთან დაკავშირებით. აქაც შუალედური ეტაპის სახით საჭიროა, დავასახელოთ დამწერლობა, რომელიც ენათესავება რომელიმე ცნობილ დამწერლობას, თანაც ამ ნათესაობის ხარისხი შეიძლება იყოს ერთობ სხვადასხვაგვარი. ასე, მაგალითად, A და B ხაზოვანი დამწერლობები, მართალია, ენათესავებიან კვიპროსის მარცვლოვან დამწერლობას, მაგრამ არა იმდენად, რომ უზრუნველყონ ხაზოვანი ტექსტების წაკითხვა (ყველა უიღბლო დეშიფრირება ვენტრისამდე იხსნებოდა სწორედ ცუდად დასაბუთებული ცდებით, „დაეკავშირებინათ“ კრეტულ-მიკენური ხაზოვანი და კვიპროსის მარცვლოვანი დამწერლობები); კრეტულ-მიკენური და კვიპროსის მარცვლოვანი დამწერლობების კითხვის ცოდნა არ იძლევა იმის საშუალებას, რომ ამოვიკითხოთ კრეტული იეროგლიფური წარწერები, მიუხედავად სამივე სახის დამწერლობათა ნათესაობისა (გენეტიკური თვალსაზრისით, კრეტის იეროგლიფური დამწერლობა წინ უძლოდა სქემატურ მარცვლოვან დამწერლობას, რომელშიც მკვლევრები დღესდღეობით ორიენტირებენ ერთობ წარმატებით). მეორე მხრივ, ფრიგიული და ეტრუსკული წარწერების ამოკითხვა საკმაოდ მაღეს ხერხდა, ფრიგიულ, ეტრუსკულ და ბერმნულ დამწერლობებს შორის მნიშვნელოვანი მსგავსების წყალობით; ბერმნულ დამწერლობასთან ერთობ ახლოს არის მისი მონათესავე ლიკიური და ლიდიური დამწერლობები, მიუხედავად ამისა, ზოგიერთი ლიკიური და ლიდიური ასოს საბოლოო წაკითხვა ჯერ კიდევ არ არსებობს; იგივე შეიძლება ითქვას კარიულ დამწერლობაზე, რომელიც უფრო ნაკლებად ჰგავს ბერმნულ დამწერლობას, ვიდრე ლიდიური და ლიკიური და ა.შ. ამგვარად, გამშიფვრელებს მუშაობა უწევთ იმგვარ დამწერლობაზეც, რომელიც არ შეიძლება დახასიათდეს როგორც უცნობი.

რაც შეეხება „საყრდენ მომენტებს“ დამწერლობათა და ენათა გაშიფვრისას, ფრიდრიხი მათ ამგარად აყალიბებს:

- დამწერლობის მიმართულების დადგენა;
- სიტყვათგამყოფების გამოვლენა;
- დამწერლობის ტიპის იდენტიფიკაცია (ანბანური, მარცვლოვანი და ა.შ.);
- საკუთარი სახელების იდენტიფიკაციის შესაძლებლობა;
- ბილინგვის არსებობა;
- ხელოვნური ბილინგვის გამოყენების შესაძლებლობა (როგორიცაა წარწერა ნაჯახზე: „ესა და ეს ნაჯახი“ და მისთანანი);
- უკვე ცნობილი სხვა დამწერლობებიდან სახასიათო იკონური იდეოგრამების ან დეტერმინატივების არსებობა.

ფრიდრიხი აქ არ ასხვავებს ერთმანეთისგან საყრდენ პუნქტებს ტექსტის გარეთ და მის შიგნით; ამასთანავე, სათანადო ვერ აფასებს იმას, თუ რამდენად ნაყოფიერი შეიძლება აღმოჩნდეს ტექსტის შიდა ანალიზი იმ ეტაპზეც კი, როცა ჯერ კიდევ ყველა შესაძლო გარე კავშირი გვერდზე რჩება. ასე, მაგალითად, თუ ფრიდრიხი მიიჩნევს, რომ დამწერლობის ნიშნების მიხედვით შეიძლება გაისაზღვროს, თუ რა დამწერლობასთან აქვს საქმე (ანბანურთან თუ მარცვლოვანთან, ან სულაც შერულ ლოგოგრამულ-მარცვლოვანთან). აქ ის შეიძლება შეცდეს მეთოდოლოგიურად. პირველი, გარე შედარება არ არის ყოველთვის საიმედო, რადგან არსებობს, მაგალითად, ანბანური დამწერლობა, რომელშიც ასოების რაოდენობა მეტია, ვიდრე სილაბური ნიშნები ზოგიერთ მარცვლოვნ დამწერლობაში.<sup>10</sup> მეორე, სანამ განვსაზღვრავთ განსხვავებული ნიშნების რაოდენობას მოცემულ დამწერლობაში, აუცილებელია ჯერ გამოვავლინოთ ნიშნების ვარიანტები, სხვაგვარად ზოგადი დასკვნა შეიძლება, მცდარი იყოს. საინტერესოა, რომ ახლახან თვითონ ფრიდრიხმა დაუშვა სწორედ ამგვარი სახის შეცდომა მიუნხენური ფირფიტის დამწერლობის განსაზღვრისას.<sup>11</sup> ამ დოკუმენტში (სავარაუდოდ, მცირეაზიური წარმოშობისა) ფრიდრიხმა დაითვალა 217 განსხვავებული ნიშანი, თუმცა მანვე აღიარა, რომ ზოგჯერ ერთი და იმავე ნიშნის გრაფიკული ვარიანტები

<sup>10</sup> მაგალითად, კავკასიურ-ალბანურ ანბანში იყო 52 ასო. ზოგიერთი სხვა კავკასიური ენის ფონეტიკური სისტემა კიდევ უფრო მდიდარია. აგრეთვე საჭიროა, გვახსოვდეს, რომ ზოგჯერ ჩვენამდე მოაღწია მოცულობით უმნიშვნელო წერილობითმა ძეგლებმა, ამიტომ ნიშანთა რაოდენობა მოცემული დამწერლობის შემონაზულ ძეგლებში შეიძლება იყოს ნაკლები, ვიდრე შესაბამის ანბანსა თუ სილაბარიუმში. ამგვარ შემთხვევებში მართებულია გამოვიყენოთ ა.მ. კონდრატოვის მირ შემუშავებული ნიშანთა რეპერტუარის რაოდენობრივი განსაზღვრის ხერხი ახალი ნიშნების მატების მიხედვით ტექსტის ყოველ 25 (ან 15, 10) ნიშანზე. საინტერესოა, შევადარით ზოგიერთი ძეგლი: ასე, მაგალითად, თუ კავნის კარიული სტელის ტექსტის 240 ნიშანზე მოდის 27 განსხვავებული ნიშანი, მაშინ ალბანური ეპიგრაფიკის კორპუსში (7 მცირე ზომის წარწერა) 160 მკაფიო ნიშანზე მოდის 36 განსხვავებული ნიშანი.

<sup>11</sup> J. Friedrich, Ein wohl kleinasiatisches Tontäfelchen mit unbekannter Schrift. – «Kadmos», III, 1, 1965, გვ. 156 და შმდგ.

შეპქონდა განსხვავებულ რუბრიკებში, მას არ მოუხდენია ნიშნების სისტემატიზაცია და შემდეგ შეცდომით წარმოადგინა ნიშნების დიდი მოცულობის რეპერტური. აქედან მან გამოიტანა არასწორი დასკვნა მიუნხენური ფირფიტის დამწერლობის მარცვლოვან ხასიათზე (ყოველ შემთხვევაში, ვარაუდს ამ დამწერლობის ანბანურ ხასიათზე გამორიცხავდა!). ერთი წლის შემდეგ პ. მერიჯიმ გამოაქვეყნა ამ დამწერლობის ეპიგრაფიკული ანალიზი.<sup>12</sup> შემდეგ ნიშნების ვარიანტების იდენტიფიკაციისათვის მან საგულდაგულო სამუშაო ჩაატარა, დაითვალა 61 ნიშანი, ამასთან ერთად შენიშნა, რომ ზოგიერთი სავარაუდოდ განსხვავებული ნიშანი სინამდვილეში შეიძლება იყოს ერთი და იმავე ნიშნის სხვადასხვა ვარიანტი. ამგვარად, მისი დასკვნა მკვეთრად განსხვავებულია ფრიდრიხის დასკვნისგან: მერიჯის „აზრით, მოცუმული დამწერლობა „უპირატესად ანბანურია“.

სიტყვათგასაყართა მნიშვნელობაზე საუბრისას ფრიდრიხის მხედველობაში აქვს სიტყვებს შორის საზღვრების აღმნიშვნელი ნიშნების იდენტიფიკაცია ტექსტში (ჩვეულებრივ, ცნობილი სხვა დამწერლობებიდან), როგორებიცაა: ვერტიკალური ხაზები, ორწერტილები, ხარვეზები. მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ მთლიანი (სიტყვათგასაყარო) ტექსტი, რომელშიც სიტყვათგასაყარები არ არსებობს, არც ისე რთულია სიტყვებად დაიყოს სტრუქტურულ-დისტრიბუციული ანალიზის ჩატარებით (ე.ი. გამოვავლინოთ ადამიანის მეტყველებისათვის და, მაშასადამე, ტექსტისათვის დამახასიათებელი კანონზომიერებები). შიგნიდან, თვითონ ტექსტიდან, შეიძლება განისაზღვროს, თუ სიტყვის რომელი ნაწილებია მნიშვნელობის მქონე და რომელი წარმოადგენს ფორმალურ მორფემას (ე.ი. ფუძე გამოვყოთ დაბოლოებისგან და ა.შ.); ასევე სახელები შეიძლება გამოვყოთ ზმნებისგან და ჩავატაროთ კიდევ რიგი სხვა მსგავსი სახის ფორმალური ოპერაციები (დაწვრილებით იხილეთ ქვემოთ). შიგნიდან შეიძლება განვასზღვროთ დამწერლობის ხასიათიც და ანბანურ დამწერლობაში გამოვყოთ ხმოვნები თანხმოვნებისაგან, მარცვლოვანში დამწერლობაში V ტიპის ნიშნები განვასხვაოთ CV ტიპის ნიშნებისაგან და მისთ. ეს ყველაფერი დაფუძნებულია ტექსტის შიდა კანონზომიერებებზე, ყოველგვარი „გარე შედარებების“ გარეშე.

სწორედ ამგვარი ანალიზი „შიგნიდან“ იძენს განსაკუთრებულ მნიშვნელობას მაშინ, როცა გამშიფვრელს საქმე აქვს უცნობ ენასთან, როცა ვერ ადგენს ნათესაურ კავშირებს გასაშიფრ ენასა და მეცნიერებისათვის ცნობილ ენას შორის. სწორედ ამგვარი ანალიზია საჭირო დამწერლობის დეშიფრირებისას, როცა არ ვლინდება ახლო ნათესაობა ცნობილ დამწერლობებთან. გასაგებია, თუ რაოდენ საჭიროა ასეთი ანალიზი იმ შემთხვევაში, როცა გამშიფვრელი არ ფლობს ბილინგვას. თანამედროვე დეშიფრირება წარმოუდგენელია ტექსტის სტრუქტურულ-დისტრიბუციული ანალიზის გარეშე. ფაქტობრივად, ამგვარ ანალიზს აწარმოებდნენ პირველი გამშიფვრელები, როგორებიც არიან შამპოლიონი და ჰინქსი. მაგრამ გამშიფვრელის სამუშაოს ამ მხარეზე ფრიდრიხი, სამწუხაროდ, ცოტას

<sup>12</sup> P. Meriggi, Zur neuen ‘para-karischen’ Schrift. – «Kadmos», V, 1, 1966, გვ. 61 და შმდგ.

თუ ამბობს და, უფრო მეტიც, ზემოთ მოყვანილ აზრს შემდეგნაირად ავითარებს: „თუ სეპტემბერიდა არაფერია, თუ საყრდენი ჯერ კიდევ არაა ნაპოვნი, მაშინ სერიოზული შედეგების მიღწევა შეუძლებელია – რჩება მხოლოდ გამლილი სივრცე დილეტანტების უნიადაგო ფანტაზიისათვის“. თუმცა, როგორც დავრწმუნდით, პირველადი შედეგების მისაღებად სრულიად არ არის აუცილებელი, დასაყრდენი ვეძებოთ სადღაც ტექსტის გარეთ. აღსანიშნავია ისიც, რომ გარე საყრდენებს, რომელთა შესახებაც საუბრობდა ფრიდრიხი, სამუშაოს უკანასკნელ ეტაპზე ჯერჯერობით ვერცერთმა წარმატებულმა გამშიფრელმა გვერდი ვერ აუარა.

ამგარად, დეშიფრირებისათვის შეგვიძლია, ვივარაუდოთ საყრდენი პუნქტების ორი ტიპი: საყრდენი პუნქტები, რომლებსაც გვაწვდის ტექსტი და საყრდენი პუნქტები, რომლებიც ტექსტის გარეთ მდგარებენ (პირველ რიგში, ფრიდრიხის მიხედვით, ეს არის ბილინგვები). მაშასადამე, შეიძლება გამოიყოს დეშიფრირების ორი განსხვავებული ეტაპი: 1) დეშიფრირება „შიგნიდან“, ე. ი. მხოლოდ ტექსტის კანონზომიერებების გამოვლენის საფუძველზე და 2) დეშიფრირება „გარედან“, ბილინგვების, კვაზიბილინგვების (როცა ორივე ტექსტი – ცნობილ და უცნობ ენებზე – ემთხვევა არა მთლიანად, არამედ ზოგადი შინაარსით), სელოგნური ბილინგვების დახმარებით და ეტიმოლოგიური მეთოდის ფრთხილი გამოყენებით. რა თქმა უნდა, პრაქტიკულ მუშაობაში გამშიფრელს ეს ორი ეტაპი ასე მკვეთრად არა აქვს გამიჯნული და საყრდენი პუნქტების სხვადასხვა ტიპის გამოყენება ხშირად ერთმანეთში იხლართება.

როგორც უკვე ითქვა, სანამ შეუდგება დეშიფრირებას, მკვლევარმა უნდა ჩაატაროს ტექსტის ეპიგრაფიკული ანალიზი. ასე, მაგალითად, სანამ კიდანური ტექსტები მანქანურად დამუშავდებოდა (რის შედეგადაც ენის გრამატიკული და გენეტიკური კავშირები გამოვლინდა), საჭირო გახდა, ჩაგვეტარებინა საქმაოდ დიდი მოსამზადებელი სამუშაო ნიშნების კატალოგის შესაღენად, რაც გულისხმობდა ნიშნების ვარიანტების იდენტიფიკაციას, ნახევრად წაშლილი სტრიქონების გარჩევას.<sup>13</sup> კრეტულ-მიკენური სილაბოგრამების განსაკუთრებით ფაქიზი ეპიგრაფიკული ანალიზი ჩაატარა ამერიკელმა მკვლევარმა, ე. ბენეტმა, რამაც მინიშვნელოვანი როლი შეასრულა ტექსტების ინტერპრეტაციაში. საინტერესოა, რომ ვარიანტების იდენტიფიკაციისას ზოგჯერ ნიშნები შეიძლება აღმოჩნდნენ ერთი და იმავე ნიშნის ვარიანტები ერთობ განსხვავებული გრაფიკული გამოხატულებით; მეორე მხრივ, ზოგჯერ გარეგნულად მსგავსი ნიშნები აღმოჩნდებიან ერთი და იმავე ნიშნის (და არა სხვადასხვა ნიშნის) ვარიანტები (სწორედ ასეთი სახის პარადოქსებს წააწყდა ბენეტი). ვარიანტების იდენტიფიცირებისათვის აუცილებელია, არა მხოლოდ საგულდაგულოდ შევუჯეროთ ასლი ორიგინალს (ან, ყოველ შემთხვევაში, ხელთ უნდა გვქონდეს ასეთი საგულდაგულოდ შეჯერებული ასლე-

<sup>13</sup> იხ. ამ ნაშრომის შესახებ: В. С. Стариakov, В. М. Наделяев, Предварительное сообщение о десифровке киданьского письма (იმავე დასახელების კრეტულში, მოსკოვი, 1964, გვ. 5 და შმდგ.).

ბი), არამედ ტექსტის განსაზღვრულ ნაწილზე ჩავატაროთ სტრუქტურულ-დისტრიბუციული ანალიზი (საერთოდ, მხედველობაში უნდა გვქონდეს, რომ დეშიფრირება ხშირად შორს ვერ მიდის, განსაზღვრული სქემის შესაბამისად: ზოგჯერ რამდენიმე ანალიზი პარალელურად სრულდება, დეშიფრირების ერთმა ეტაპმა შეიძლება გასწროს მეორეს და ა.შ.).

მაგალითად, კარიულ წარწერებში გვქონდა ორი განსხვავებული ასო: N (=S) და I (=N). პირველი ასო გვხვდებოდა იშვიათად (1% ასოთა საერთო რიცხვიდან), მეორე – ხშირად (6% ასოთა საერთო რიცხვიდან), და ამასთან ორივე – სხვადასხვა კომბინაციაში სხვა ნიშნებთან, მაგრამ კავნის წარწერებში თითქოს გვხვდებოდა სწორედ პირველი ასო, ხოლო მეორე საერთოდ არ იყო. თუმცა ასეთი დასკვნა არ აღმოჩნდა ზუსტი. სინამდვილეში კავნის წარწერაში არსებობდა ასო N, რომელიც გადმოიცემდა იმავე ბერას, რომელსაც I (=N) სხვა წარწერებიდან. საერთოდ, ეს მტკიცდება მარტივი ხერხით. ჯერ ერთი, N ასოს სიხშირე კავნის წარწერებში შეადგენდა 6%-ს (ე.ი. ამ ასოს პქონდა იგივე სიხშირე, რაც სხვა წარწერების I=N-ს). მეორეც, ასო N გვხვდებოდა შესაბამის სიტყვებში (ასოთა თანმიმდევრობაში) სხვა წარწერების I=N-ის ადგილზე. მესამეც, იშვიათი ასო N გვხვდებოდა, როგორც გამოირკვა, მხოლოდ ძველ ტექსტებში: აქედან გასაგებია მისი შესატყვისის არარსებობა კავნის შედარებით გვიანდელ წარწერაში. როგორც ვხედავთ, ფორმით სრულიად იდენტური ნიშნები სხვადასხვა წარწერაში შეიძლება, განსხვავებული ასოები იყოს.

ზემოთ მოხმობილი მაგალითი გვიჩვენებს, თუ რაოდენ საჭიროა ეპიგრაფიკული ანალიზისას განვასხვაოთ წარწერათა სხვადასხვა ჯგუფი: ასეთი ჯგუფები შეიძლება შეესაბამებოდეს სხვადასხვა ლოკალურ ანბანს (ერთი და იგივე ბერა შეიძლება გადმოიცეს სხვადასხვა ადგილას სხვადასხვა ასოთი; ერთი და იგივე ასო შეიძლება შეესაბამებოდეს სხვადასხვა ბერას). სხვადასხვა ლოკალური ანბანი შეიძლება ასახავდეს ენის სხვადასხვა დაილექტის თავისებურებებს ან თავისებურებებს, რომლებიც უკავშირდება ენის ევოლუციას (თუ ერთი ანბანი მნიშვნელოვნად ძველია მეორეზე).

ეპიგრაფიკული ანალიზისას შეიძლება ტექსტის განმეორებადი მონაკვეთის შედარების საფუძველზე (ძველ ტექსტებში კი ასეთი განმეორება ხშირია) აღვადგინოთ დაზიანებული ასოები, სიტყვები, ფრაზები.

არცერთი სერიოზული გამშიფრველი არ ეცდება, წაიკითხოს უცნობი ტექსტი, სანამ არ შეასრულებს ძალიან საგულდაგულო ეპიგრაფიკულ ანალიზს.

მას შემდეგ, რაც გამოვლინდება ნიშნების ვარიანტები, დადგინდება ნიშნების რეპერტუარი, გამოვლინდება ადგილობრივი დამწერლობები (თუკი ასეთი არსებობს), დადგინდება წარწერების ფარდობითი ქრონოლოგია, მკვლევარი გადადის დეშიფრირების ძირითად ეტაპზე – გამოხატულების პლანისა (ტექსტის ბერითი მხარის) და შინაარსის პლანის (ტექსტის აზრობრივი მხარის) ანალიზზე.

თუ ტექსტი ჩაწერილია ცნობილი დამწერლობით, მკვლევარი მაშინვე გადადის შინაარსის პლანის ანალიზზე. თუ ტექსტი ჩაწერილია უცნობი დამწერლო-

ბით, მაშინ დამწერლობის ნიშნების იდენტიფიკაციისას შეიძლება გამოვიყენოთ სხვადასხვა მეთოდი.

იმ შემთხვევაში, როდესაც უცნობი დამწერლობის ნიშნების დიდი უმრავლესობა თავისი ფორმით ემთხვევა ცნობილი დამწერლობის ნიშნებს, მაშინ შეიძლება გამოვცადოთ გასაშიფრო დამწერლობის ნიშნების ცნობილი დამწერლობის ნიშნებთან გაიგივების მეთოდი.<sup>14</sup> ეს მეთოდი ეტიმოლოგიის მეთოდის ანალოგიურია, რომელიც გამოიყენება თვით ტექსტის ენისათვის. არაიდენტიფიცირებული ნიშნების დარჩენილი ნაწილი შეიძლება გაიგივდეს კომპინატორული მეთოდიკის საფუძვლზე (მაგალითად, უცნობი ნიშანი შეიძლება იყოს ცნობილი ნიშნის გრაფიკული ვარიანტი ან შეიძლება გადმოსცემდეს მსგავს ბგერას, რომელიც გადმოიცემა ცნობილი ნიშნით; უცნობი ნიშანი შეიძლება შეცდომით გამოიყენა დამწერმა სხვა ნიშნის ნაცვლად, რომელიც პირველი ბგერის მსგავსია უდერადობით და ა.შ. თუმცა ყველა ამ შემთხვევაში აუცილებელია მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ ორი მოცემული ნიშნის იდენტიფიცირებას როგორც გრაფიკული ვარიანტებისა ან როგორც სხვადასხვა ნიშნისა, რომლებიც გადმოსცემენ ახლოს მდგომ ბგერებს).

დამწერლობების ნიშნების განსაზღვრის „ეტიმოლოგიური“ მეთოდი გამოიყენა, მაგალითად, ა. ფიურიუმარქმა, რომელმაც წაიკითხა A ხაზოვანი დამწერლობის ტექსტები მას შემდგა, რაც ვენტრისმა გაშიფრა B ხაზოვანი დამწერლობა, უდავოდ A ხაზოვანის მონათესავე (ხაზოვანი დამწერლობის ამ ორი სახის ნათესაობა ჯერ კიდევ ევანსმა დაადგინა; ის, რომ ჩვენ საქმე გვაქვს ახლო და არა შორეულ ნათესაობასთან, მიუთითებს ნიშანთა დიდი უმრავლესობის აბსოლუტური დამთხვევა ფორმის მიხედვით, აგრეთვე ნიშანთა ზოგიერთი მიმდევრობის მთლიანი ან ნაწილობრივი დამთხვევა ორივე სახის დამწერლობაში – როგორც ჩანს, ადგილობრივ სახელწოდებებსა და საკუთარ სახელებში). კრებულის იმ ნაწილებში, რომლებიც მიძღვნილია ხაზოვანი დამწერლობისადმი, დაწვრილებით არის განხილული A და B ხაზოვან დამწერლობებს შორის თანაფარდობა (მომდინარეობენ კრეტული იეროგლიფური დამწერლობიდან).

„ეტიმოლოგიური მეთოდი“ წარმატებით გამოიყენეს რიგი ლურსმული დამწერლობის ამოკითხვის დროს. ეს მეთოდი ხშირად გამოიყენება იმ ანბანურ დამწერლობათა საიდენტიფიკაციოდ, რომლებიც, მაგალითად, ენათესავებიან ბერძნულ ანბანებს. „ეტიმოლოგიური“ მეთოდის ამგვარი გამოიყენებისას აუცილებელია

<sup>14</sup> ხაზს ვუსვამთ, რომ აქ ლაპარაკია დამწერლობათა სისტემების თანხვდომის შემთხვევაზე უმნიშვნელო განსხვავებით. სისტემის გარეთ ცალკეული ნიშნების დამთხვევა, განსაკუთრებით გეომეტრიული ხასიათის მარტივი ნიშნებისა ან კაცუნებისა, თევზებისა და სხვა სქემატური გამოსახულებებისა, სრულიად არაფერს არ ადასტურებს, როგორც არაფერს არ ამტკიცებს ცალკეულ სიტყვათა შემთხვევითი მსგავსებები სხვადასხვა ენაში. ამასთან დაკავშირებით სრულიად უსაფუძვლოდ უნდა ვაღიაროთ ნიშანთა ფორმის ის ზოგიერთი დამთხვევა, რომლებიც არსებობენ ინდის ველისა და აღდგომის კუნძულის დამწერლობებს შორის (შდრ. აგრეთვე, ქვემოთ დროის ფაქტორის შესახებ).

განსაკუთრებული სიფრთხილე: შესაძლო გეომეტრიული ფიგურების რიცხვი ხომ შეზუდულია, ამასთანავე, სხვადასხვა ანბანში მსგავსმა ან ფორმით იდენტურმა ნიშნებმაც კი შეიძლება გადმოსცეს განსხვავებული ბგერები (შეადარეთ, ლათ. და რუს. B, C, H, P, X და სხვა), მაშინ როცა ერთი და იგივე ბგერები შეიძლება გადმოიცეს სხვადასხვა ნიშნით (შეადარეთ, ბგერა [b], რომელიც გადმოიცემა ლათინურ ანბანში B-ს საშუალებით, ხოლო რუსულში – B-ს საშუალებით, ბგერა [n] = ლათ. N და რუს. H, ბგერა [r] = ლათ. R და რუს. P, [g] = ლათ. G და რუს. Г და მისთ.). თუ მაინც აშკარაა გასაშიფრი დამწერლობის მსგავსება ცნობილ დამწერლობასთან, მაგალითად, ბერძნულთან, მაშინ დეშიფრირებისას აუცილებელია გავითვალისწინოთ შემდეგი: მოცემული დამწერლობა, როგორც ჩანს, წარმოიშვა ბერძნულისაგან (შესაძლოა, თუმცა ნაკლებ სავარაუდო, შებრუნებული სიტუაცია – ბერძნული დამწერლობა წარმოიშვა გასაშიფრი დამწერლობისგან, თუმცა დეშიფრირების მიზნებისათვის ამას არ აქვს პრინციპული მნიშვნელობა: მნიშვნელოვანია ორივე სახის დამწერლობის განსაკუთრებით ახლო ნათესაობის არსებობა). საჭიროა, ბერძნულ მრავალრიცხოვან (დიალექტების მიხედვით) ანბანს შორის ვიპოვოთ ის ანბანი, რომელიც ყველაზე ახლოსაა მოცემულ დამწერლობასთან; როგორც ჩანს, ამ ან სხვა მისი ძალიან მსგავსი ანბანიდან წარმოიშვა მოცემული ანბანი (ამგვარად გამოირიცხება ინტერპრეტირებული ასოების ნებისმიერი დაახლოება ყველაზე განსხვავებული ბერძნული ანბანების ელემენტებთან, განსაკუთრებით, თუ მნიშვნელოვნად არის დაშორებული გეოგრაფიული თვალსაზრისით). როგორც ჩანს, ორიგე სახის დამწერლობა (გასაშიფრი და აღმოჩენილი ეტალონი) უნდა მივაკუთვნოთ ერთსა და იმავე ეპოქას (ამგვარად გამოირიცხება უცნობი დამწერლობის ნებისმიერი ნიშნის შედარება დროში ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად დაშორებული სხვადასხვა ბერძნული ანბანის ასოებთან, განსაკუთრებით უფრო გვიანდელ ანბანთა ასოებთან). მოცემული დამწერლობების ნიშნები საჭიროა, შედარებეს ბერძნული ანბანის სტანდარტულ ასოებს და არა ასოების სხვადასხვა ვარიანტს, ზოგჯერ სპეციალურად ამა თუ იმ წარწერის ავტორთა მიერ გამოგონილს. შედარებისას საჭიროა, გავითვალისწინოთ ასოებისა და ბგერების სიხშირე (ასე, მაგალითად, ენათა უმრავლესობაში ი გამოიყენება უფრო ხშირად, ვიდრე მ და მისთ.). ამ და მთელი რიგი სხვა პირობების დაუცველობამ გამშიფვრები შეიძლება მიიყვანოს უხეშ შეცდომებამდე.

„ეტიმოლოგიური“ მეთოდი ფართოდ გამოიყენება შინაარსის პლანის ელემენტების იდენტიფიკაციისას. ამგვარი ინდეტიფიკაციის სახასიათო მაგალითია ვენტრისის მიერ B ხაზოვანის დეშიფრირება: მას შემდეგ, რაც მოახერხა, მოეცა ამ დამწერლობის ტრანსკრიფცია, შესაძლებელი აღმოჩნდა მიღებული ტექსტების ბერძნულად წაკითხვა. ეტიმოლოგიური მეთოდის გამოყენების საფუძველზე პროზნიმ ინტერპრეტაცია მოახდინა ხეთურ ენისა (ხეთური დამწერლობის წაკითხვა, რომელიც ჩაწერილი იყო ლურსმული ნიშნებით, შეეძლოთ პროზნიმ-

დეც), რომელიც აღმოჩნდა ინდოევროპული. სემიტურ-ქამიტური ოჯახის<sup>15</sup> დამწერლობების დეშიფრირება შესაძლებელი გახდა ეტიმოლოგიური მეთოდის გამოყენების საფუძველზე. თუმცა წინასწარ უნდა შევთანხდეთ, რომ ეტიმოლოგიური მიახლოება, როგორებიცაა ნიშნების გარე ფორმები, გასაშიფრი ენის უკვე წაკითხული სიტყვები, უკვე აღრე ცნობილი დამწერლობით ან ენით, თავისთავად უფლებას არ იძლევა, ჩაითვალის ტექსტი დეშიფრირებულად და ინტერპრეტირებულად, თუ მიღებული დასკვნა ტექსტის შიდა კომბინატორული ანალიზის შედეგებით არ არის გამყარებული. იმავე პროზნის დაუშვა სერიოზული შეცდომები, როდესაც ხეთურ ტექსტებში გადაიტანა იმ სიტყვათა მნიშვნელობები, რომლებიც მსგავსად უდერდნენ სხვა ინდოევროპულ ენებში. ასე, მაგალითად, ლათინურში ძირი da- ნიშნავს „მიცემას“, ხოლო ხეთურში – „აღებას“; ძველ ებრაულში malāk ნიშნავს „იმეფა“, ხოლო მის მონათესავე აქადურში malāku ნიშნავს „რჩევას“ და ა.შ.

ეტიმოლოგიური მეთოდის გამოყენებისას მნიშვნელოვანია დავიცვათ ზოგიერთი სპეციალური წესი. ასე, მაგალითად, თუ გასაშიფრი ენის მოცემულ სიტყვას შეესაბამება ცნობილი ენის სიტყვის რამდენადმე განსხვავებული ფორმა, მაშინ საჭიროა ამ განსხვავების დასაბუთება. ეს განსხვავება შეიძლება იყოს ფონეტიკური – მაშინ ის უნდა იყოს გამოვლინება გარკვეული ფონეტიკური კანონისა და სხვა სიტყვებშიც უნდა შეინიშნებოდეს იგივე გასხვავება (მაგალითად, გასაშიფრი ენის A ბგერას რეგულარულად უნდა შეესატყვისებოდეს ცნობილი ენის A<sub>1</sub> ბგერა). თუ ასეთი კანონზომიერების დადგენა შეუძლებელია, მაშინ, როგორც ჩანს, ეს ნიშნავს, რომ გამშიფრებული დგას მცდარ გზაზე. იმ ენის დეშიფრირებისას, რომელიც წარმოადგენს ცნობილი ენის უფრო ძველ სტადიას, უნდა გავითვალისწინოთ ყოველივე ის, რაც უკვე მიღწეულია მოცემული ენათა ჯგუფის შედარებითი ანალიზით. ასე, მაგალითად, B ხაზოვნის დეშიფრირებისას ფირფიტების არქაულ ბერმძულ ენაში აღმოჩნდა რეალურად დაფიქსირებული ის ფორმები – ფონეტიკური და გრამატიკული – რომლებიც კლასიკური ბერმძული ენის პრეისტროიისთვის დიდი ხნით ადრე იყო მეცნიერთა მიერ რეკონსტრუირებული; მეორე მხრივ, კრეტულ-მიკენური ტექსტების დეშიფრირებამ ამ რეკონსტრუქციებში შეიტანა ზოგიერთი უმნიშვნელო კორექტურა; გაცილებით მეტი მნიშვნელოვანი შესწორებები შეიტანეს პრაინდოვროპული ენის რეკონსტრუქციაში ხეთური ენის დეშიფრირების შემდეგ, თუმცა აქ ადრეული კომპარატივისტიკის უფრო მნიშვნელოვანი რეკონსტრუქციები დადასტურდა. საკმარისია, დავასახელოთ ხეთურ ენაში აღმოჩნდილი ე.წ. ლარინგალური ბერები, რომელთა არსებობაც ინდოევროპულ ენაში ივარაუდა სოსიურმა პროზნიმდე დიდი ხნით ადრე.

ეტიმოლოგიური მეთოდი, ამგვარად, უდავოდ საჭიროებს დიდ სიფრთხილესა და შემოწმებას შიდა კომბინატორული ანალიზით, თუმცა იგი არ უნდა უკუვაგ-

<sup>15</sup> თანამედროვე სახელწოდებაა აფრაზიური ენები და, სავარაუდოდ, წარმოადგენს მაკრო-ჯახს (Afroasiatic, Afrasian languages; афразийские языки) (მთარგმნ.)

დოთ. წინასწარი უარყოფითი დამოკიდებულება ეტიმოლოგიური მეთოდის მიმართ ხშირად იძიგომ ჩნდება, რომ ბევრი დილეტანტი აბსოლუტურად მიიჩნევს აღნიშნული მეთოდის შესაძლებლობებს, პირველადი დაკვირვებების შედეგად გამოვლენილ ზედაპირულ მსგავსებებს ჯეროვნად არ ამოწმებენ, ზოგჯერ კი ცდილობენ, დაუკავშირონ გასაშიფრო ენა იმ ცნობილ ენას, რომელიც სინამდვილეში სრულიად სხვა ენობრივ ოჯახს მიეკუთვნება. ცნობილია კენიგსბერგელი ლინგვისტების სკოლის სავალალო გამოცდილება, რომელმაც წლობით შეაფერხა ლიკიურის, ლიდიურისა და სხვა ენების ინტერპრეტაცია ამ ენების კავკასიურთან „დაკავშირების“ მცდელობით. ამ უიდბლო მცდელობის რეაქცია აქამდეც იგრძნობა: თუმცა ახლა ამ ენების ინტერპრეტაციისათვის თითქმის სრულყოფილად არის გამოყენებული კომბინატორული მეთოდი და დადგენილია ამ ენების ახლონათესობა ხეთურსა და ლუვიურთან; ზოგიერთი მკვლევარი ეჭვით ეკიდება ეტიმოლოგიური მეთოდის გამოყენებით ლიკიურისა და ლიდიურის ტექსტთა ინტერპრეტაციას. თუმცა სწორედ ამ ტექსტების შედარება ხეთურსა და ლუვიურთან ეტიმოლოგიური მეთოდის საფუძველზე (რა თქმა უნდა, კომბინატორული მეთოდების მიღწევათა გათვალისწინებით) საშუალებას იძლევა, მნიშვნელოვნად წავიწიოთ წინ ლიდიურისა და ლიკიური ენების შესწავლაში.

ბევრი დეშიფრირება განხორციელდა ბილინგვებისა თუ ტრილინგვების, აგრეთვე კვაზიბილნგვებისა თუ ხელოვნური ბილინგვების საშუალებით. ორენოვნი პარალელური ტექსტების არსებობის წყალობით (ერთი ტექსტი – უცნობ ენაზე, მეორე – ცნობილზე) გაიშიფრა ეგვიპტური, ლიკიური, ლიდიური და სხვა დამწერლობები. ბილინგვების დახმარებით დეშიფრირებისას, ჩვეულებრივ, გამოიყენება აგრეთვე კომბინატორული მეთოდი, ამასთან, ბილინგვურ ანალიზს იყენებენ მხოლოდ დეშიფრირების საწყის ეტაპზე, ხოლო შემდეგ გამოიყენება მხოლოდ კომბინატორული მეთოდი. ბილინგვური და მსგავსი მეთოდების კვლევისას ამოსავალ პუნქტს წარმოადგენს საკუთარი სახელების ინდეტიფიკაცია. ასე, მაგალითად, ეგვიპტური დამწერლობის დეშიფრირების ამოსავალი პუნქტი იყო პტოლემაიოსის სახელის იდენტიფიკაცია როზეტის ქაზე (შესაბამისი სახელი იკითხებოდა წარწერის ბერძნულ ვერსიაში). შამპოლიონმა აჩვენა, რომ ეგვიპტურ ტექსტების კარტუშებში გვქონდა არა სიტყვების ფონეტიკური ჩანაწერი, არამედ იქ დაფიქსირებული იყო მეფეთა სახელები. ერთ-ერთ კარტუშში შამპოლიონმა ამოიკითხა Alksntrs (Αλέξανδρος), განსაზღვრა რა ადრე უცნობი k, s, n. აქ ჩვენ წინაშეა ბილინგვის (თუ კიცით, რომ ბერძნულ ვერსიაში არის პტოლემაიოსის სახელი, მოვძებნით მას ეგვიპტურ ვერსიაში) და ხელოვნური ბილინგვის მეთოდთა ერთდროული გამოყენება (კარტუშში ჩაწერილია მეფის სახელი, მეფეთა სახელები კი ცნობილია ისტორიიდან); გამოყენებულია აგრეთვე კომბინატორული მეთოდიც (უცნობი ელემენტების განსაზღვრა – მოცემულ შემთხვევაში კონსონანტური ნიშნების – გარემოცვის მიხედვით); ამ უკანასკნელს მიეკუთვნება შამპოლიონის მიერ აღმოჩენილი საკუთარი სახელების ჩაწერის პრინციპი ეგვიპტურ ტექსტებში: თანხმოვანი ასოების უპირატესი გამოყენება.

ცნობილი ტექსტის პირველი სტრიქნის შედარებისას, რომელიც შეიცავს სტანდარტულ ფორმულას (მაგალითად: „გაცემულია ამა და ამ წლის ამა და ამ თვეში, ამა და ამ მეფის მეფობისას“; „ეს სტელა აღმართა ამან და ამან“; „აქ განისვენებს ესა და ეს, ამისა და ამის ვაჟი“ და სხვა), უცნობი ტექსტის პირველ სტრიქნთან ბილინგვის მეთოდის საშუალებით შეგვიძლია გამოვალინოთ არა მარტო სახელები, არამედ ცალკეული საზოგადო სიტყვები („აპელატივები“): მაგლითად, არსებითთავანი: „წელიწადი“, „თვე“, „სტელა“, „ვაჟი“ და სხვა; ზმნათაგან: „აღმართა“, „განისვენებს“ და მისთ. ბუნებრივია, რომ ამასთანავე ვლინდება გრამატიკული წყობის ზოგიერთი ელემენტი – ბრუნვათა და ზმნურ ფორმათა დაბოლოებები და სხვა. როცა ბილინგვის გამოყენების შესაძლებლობები ამოწურულია, დეშიფრირების პროცესში შემოღის კომბინატორული მეთოდი, ხოლო თუ უცნობი ენის ნათესაობა დადგენილია, მაშინ – ეტიმოლოგიურიც.

საჭიროა ხაზი გაესვას, რომ ძირითადად ბილინგვის მეთოდი მცირედ თუ განსხვავდება ხელოვნური ბილინგვის მეთოდისაგან. გასული საუკუნის დასაწყისში ხელოვნური ბილინგვის მეთოდით სარგებლობდა გროტეფენდი, რითაც მან საფუძველი ჩაუყარა სპარსული ლურსმული დამწერლობის დეშიფრირებას. მისთვის ამოსავალი იყო ის ფაქტი, რომ სპარსული წარწერა უნდა დაწყებულიყო განსაზღვრული ტრადიციული ფორმულით (ამაზე მეტყველებენ ისტორიული ცნობები). ეს დასკვნა დაადასტურა წარწერის სტრუქტურამაც. ფორმულაში იხსენიებოდა მეფეთა სახელები. მეფეთა სახელების იდენტიფიკაციისას გროტეფენდი, როგორც მოვაინებით შამპოლიონი, ეყრდნობოდა მეფეთა სახელების განსაზღვრულ ნუსხას. ხელოვნური ბილინგვის მეთოდს იყენებდა ვენტრისიც, თავის ინტერპრეტაციების დასადასტურებლად ეყრდნობოდა შესაბამისი იდეოგრამების ხატოვან ხასიათს ან აიგივებდა ფესტოსის ფირფიტების სიტყვას pa-i-to ქალაქ ფესტოსის (Phaistos) სახელთან, ხოლო კნოსოსის ფირფიტების სიტყვას ko-no-so – ქალაქ კნოსოსის (Knossos) სახელთან. სხვადასხვა მეთოდის გამოყენება გამშიფვრელს არ უნდა ჩავუთვალოთ ნაკლად: ეს არის არა ეკლექტიზმი, არამედ ერთი მეთოდის შემოწმება მეორით. სინამდვილეში გამშიფვრელი იძულებულია მრავალგზის შეამოწმოს დეშიფრირების სისწორე სრულიად განსხვავებული ხერხებით და რაც მეტია ასეთი ხერხი, მით უკეთესია.

როგორც დავინახეთ, ჩვეულებრივი და ხელოვნური ბილინგვის მეთოდები შეიძლება გამოიყენებოდეს როგორც ნიშანთა ამოკითხვის მიზნით, ისე ცალკეული სიტყვების მნიშვნელობების იდენტიფიკაციისათვის. საინტერესოდ გამოიყენა ხელოვნური ბილინგვის მეთოდი პ. მერიჯიმ პროტოინდური ტექსტების ინტერპრეტაციისას (იხ. მისი სტატია).

გამშიფვრელისთვის გაცილებით ნაკლებად ეფექტურია კვაზიბილინგვის გამოყენება, ვიდრე ზუსტი ბილინგვისა. კვაზიბილინგვის დროს ერთი ტექსტი წარმოადგენს არა თარგმანს, არამედ მეორის შინაარსის გადმოცემას, აქედან არის კრიტერიუმების ბუნდოვანება უცნობი ტექსტის ცალკეული სიტყვების იდენტიფიკაციისას (შეადარეთ ახლახან აღმოჩენილი ეტრუსკულ-ფინიკიური კვაზიბი-

ლინგვა ოქროს ფირფიტებზე: ეტრუსკული ტექსტის შინაარსთან დაკავშირებით განსხვავებულ შეხედულებებზე მსჯელობს ა. ი. ხარსეკინი თავის წინასიტყვაობაში, რომელიც წინ უძლვის ნაწილს „ეტრუსკული ენის შესახებ“).

აქამდე ვსაუბრობდით მეთოდებზე, რომლებსაც იყენებენ იმ შემთხვევებში, როდესაც უცნობი ტექსტის დეშიფრირებისთვის გასაღებს იძლევა გარე მონაცემები (მონათესავე დამწერლობები და ენები, პარალელური ტექსტები, საკუთარი სახელების სია და მისთ.). ახლა განვიჩილოთ მეთოდები, რომლებიც გამოიყენება იმ შემთხვევებში, როდესაც, ფრიდრიხის სიტყვებით, გამშიფრელი „ხელს ვერაფერს ჩასჭიდებს“.

შეზღუდვების წყალობით, რომლებიც ახასიათებს ადამიანის ენასა და მეტყველებას, შესაძლებელია ენისა და მეტყველების (აგრეთვე დამწერლობის სტრუქტურის) ბევრი ელემენტის გამოვლენა ძალიან პატარა მოცულობის ტექსტების მასალაზე. სხვა საქმეა, როდესაც გასაშიფრი ტექსტის შეზღუდული მასალა ნებას არ გვაძლევს, დეშიფრირება მივიყვანოთ ბოლომდე. ამისათვის, მართლაც, საჭიროა „გარე მონაცემები“, თუმცა დეშიფრირების დაწყება შესაძლებელია მათ გარეშე. იდეალურ შეთხვევაში, ნებისმიერი დეშიფრირება საჭიროა დაიწყოს „შიგნიდან“ და მივიყვანოთ იმ ეტაპამდე, როდესაც „გარე“ მონაცემების გამოყენება ხდება გარდაუცალი. ყველა შესაძლო გარე მონაცემის გათვალისწინება ზემოთ განხილული მეთოდების გამოყენების გზით, აღმოჩნდებოდა არა მარტო გაგრძელება, არამედ დეშიფრირების გადამოწმებაც.

შიდა გამოკვლევისას გამშიფრელი ადგენს ტექსტის სტრუქტურულ თავისებულებებს, თუ როგორ არის განლაგებული სხვადასხვა დონის ნიშნები (გრაფემები, მორფემები, სიტყვათა კლასები და სხვა). მეთოდიკა, რომელსაც ამ შემთხვევაში იყენებენ გამშიფრელები, შეიძლება დაგახსასიათოთ როგორც სტრუქტურულ-დისტრიბუციული. აღნიშნული მეთოდიკის გამოყენების ბრწყინვალე მაგალითს წარმოადგენს იპსენისა (უფრო სწორად, გ. იპსენისა და ვ. პორციგის, 1929) და ვენტრისის (იხ. ჩელვიკის წიგნი) ნაშრომები. ეს ნაშრომები ფრიდრიხმა არ გამოიყენა თავისი წიგნის იმ ნაწილში, რომელშიც მეთოდიკა არის განხილული; თანაც იპსენის სტატია ფრიდრიხის წიგნში საერთოდ არ არის ნახსენები (აღსანიშნავია, რომ ფრიდრიხის წიგნის პირველ გამოცემაში ერთი ნაწილი ეძღვნება ფესტისის დისკოს, თუმცა მკითხველი იპსენის სახელს აქაც ვერ იპოვის; მე-2 გამოცემაში ეს ნაწილი ამოღებულია).

სტრუქტურულ-დისტრიბუციული მეთოდები გამოიყენება როგორც გამოხატულების, ისე შინაარსის პლანის ანალიზისას. შინაარსის პლანის ანალიზისას მკვლევარმა უნდა გამოავლინოს გრაფიკული ნიშნების კლასები ტექსტში მათი განლაგების საფუძველზე. ასე, მაგალითად, ვენტრისმა გამოყო ორი ტიპის ნიშნები: ერთი აღნიშნავენ ხმოვნებს (V), მეორენი – მიმდევრობას თანხმოვანი+ხმოვანი (CV), V ტიპის ნიშნები გვხვდებოდა, როგორც წესი, სიტყვის დასაწყისში, სიტყვის შიგნით ხმოვნები შედიოდნენ CV ტიპის ნიშნების შემადგენლობაში (სა-

ინტერესოა, რომ რომ იპსენმა ვერ შეძლო გამოეყენებინა ეს მეთოდი ფესტოსის დისკოსათვის).

საბჭოთა მკვლევარმა ბ. ვ. სუხოტინმა შეიძუშავა ალგორითმები, რომელთა საფუძველზე ხმოვნები შეიძლება გამოვყოთ თანხმოვნებისგან ნებისმიერ ანბანურ ტექსტში. სუხოტინი თავის ალგორითმებს ამოწმებს ელექტრონულ-გამომთვლელ მანქანებზე,<sup>16</sup> მაგრამ ხმოვანთა და თანხმოვანთა კლასების იდენტიფიცირება „ხელითაც“ არის შესაძლებელი ანბანურ დამწერლობაში. ეს მეთოდიკა დაფუძნებულია ადამიანის მეტყველების გარკვეულ თვისებაზე: მეტყველებაში ხმოვნები და თანხმოვნები განაწილებულია საკმაოდ თანაბრად (იმ ენებში, რომლებშიც დაშვებულია თანხმოვნების მნიშვნელოვანი თავმოყრა, იშვიათია ხმოვნების თავმოყრა, ხოლო იმ ენებში, რომლებშიც დაშვებულია ხმოვნების მნიშვნელოვანი თავმოყრა, თანხმოვნების თავმოყრა ან იშვიათია, ან შეუძლებელი). ბუნებრივია, რომ სამასიან ჯაგუფში (შუაში ხმოვნით) პირველი ტიპის ენებში ხმოვნის მარცხნივ ან მარჯვნივ იქნება, როგორც წესი, თანხმოვნები, მეორე ტიპის ენებში თანხმოვნის მარჯვნივ და მარცხნივ იქნება ხმოვნები. ამასთან, არსებობს ბევრი ენა, რომლებშიც სიტყვა მკაცრად აიგება CVCV, CVCVCV, ... სტრუქტურის შესაბამისად (შეადარეთ იაპონური, იავური, ძველი ენებიდან – პალი და სხვა). გასაგებია, რომ, ადამიანის მეტყველების ამ თავისებურებების გათვალისწინებით, ადვილია ხმოვანი ასოების გამოყოფა თანხმოვნებისაგან (ცალკეული კლასების იდენტიფიკაციისას მხედველობაში შეიძლება ვიქონიოთ შემდეგი: სისტემაში და არა ჯაჭვში! – ხმოვნები ყოველთვის ნაკლებია, ვიდრე თანხმოვნები). შეიძლება ასოთა ქვეკლასების გამოყოფაც, მაგალითად, რომლებიც გადმოსცემენ სონანტებს,<sup>17</sup> სპირანტებსა და ხშულებს, აგრეთვე პალატალურთა და არაპალატალურთა ქვეკლასები (თანხმოვნებს შორის); წინა და უკანა რიგის ხმოვნები, ან ი და უ ხმოვნები დანარჩენ ხმოვანთა საპირისპიროდ; ყველაფერი ეს, ცხადია, ტექსტში ასოთა ფარდობითი დისტრიბუციის კანონზომიერებათა საფუძველზე უნდა გამოვლინდეს, რაც, საბოლოო ჯამში, შეპირობებულია მეტყველების ბერითი თავისებურებებით.

შინაარსის პლანის სტრუქტურულ-დისტრიბუციული მეთოდიკით კვლევას საფუძველი ჩაუყარა იპსენმა ფესტოსის დისკოს წარწერის ანალიზისას. ამ მეთოდიკის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ტექსტში შეიძლება გამოიყოს სახელი-სა და ზმინს ფლექსიური აფიქსები შესაბამისი სიტყვების ფუძეებისაგან. ამის გაგეობა რთული არ არის: ფლექსიური ფორმები გვხვდება ზშირად, თანაც ფუძეთა კონკრეტული ჯაგუფი შეთავსებადია მოცემული ტიპის ფლექსიურ აფიქსებთან (რაც ნებას გვაძლევს, სახელები ზმებს დაუპირისპიროთ). ასევე შეიძლება გამოვყოთ დერივაციული აფიქსები (ისინი არიან არა იმდენად მოქნილი, როგორც

<sup>16</sup> იხ. მისი ნაშრომები კრებულში «Проблемы структурной лингвистики» (მოსკოვი, 1962 და 1963)

<sup>17</sup> სონარები (ძოარგმნ.)

ფლექსიურები, ყოველ შემთხვევაში, შეიძლება აფიქსებიანი ფუძეების გამოყოფა ძირეული ფუძეებიანი).

სტრუქტურულ-დისტრიბუციული მეთოდიკა დაამუშავა ო. ქნოროზოვმა ნაშრომში მაის ძველი დამწერლობის დემიფრირების შესახებ. ეს მეთოდიკა გამოყენება სხვადასხვა დამწერლობის დემიფრირებისათვის საბჭოთა კავშირში, აშშ-ში, ავსტრიასა და სხვა ქვეყნებში (განსაკუთრებით საინტერესოა საბჭოთა მკვლევრების შედეგები პროტოინდურ წარწერებთან დაკავშირებით: წინასწარი მონაცემებით, პროტოინდური ტექსტის სტრუქტურის გამოვლენის საფუძველზე შესაძლებელი გახდა ენის ტიპის დადგენა: ის, როგორც ჩანს, მიეკუთვნებოდა დრავიდულს). „ზოგადი დემიფრირების“ თვალსაზრისით (ენის ანალიზი შიდა დემიფრირების მეთოდებით), შინაარსის პლანის კვლევის რამდენიმე ალგორითმი დაამუშავა სუხელტინმა (მორფების გამოყოფის ალგორითმი, სიტყვის ამოცნობა წინადადებაში და სხვა. შევნიშნავთ, რომ უწყვეტი დაწერილობა, საერთოდ, არ აფერხებს სიტყვებისა და მორფების იდენტიფიკაციას: როგორც კონდრატოვმა აჩვენა, შეცდომა საშუალოდ ოთხიდან ერთ შემთხვევაში აღინიშნება).

სტრუქტურულ-დისტრიბუციული მეთოდიკა შეიძლება გამოვიყნოთ მნიშვნელობის იდენტიფიკაციისათვის (შეთავსებადობის ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია სიტყვების განსაზღვრული სემანტიკური ჯვუფების გამოვლენა და მისთ.), თუმცა ამ ყველაზე საინტერესო სფეროში კვლევები ახლახან დაიწყო.

დემიფრირების სფეროში ერთობ სასურველია ლინგვისტებისა და მათემატიკოსების თანამშრომლობა: საჭიროა, დემიფრირების სისწორის კრიტერიუმების დამუშავება (სწორედ ამგვარი კრიტერიუმების არარსებობა ნებას აძლევს სკეპტიკოსებს საჯაროდ გამოთქვან ეჭვი ისეთ არასაეჭვო დემიფრირებაზე, როგორიცად ვენტრისის დემიფრირება, — იხ. ჯ. ჩედვიკის წიგნი).

იმ მკითხველებს, რომელთაც სურთ საკუთარი „თავის შემოწმება“ დემიფრირებაში, შეიძლება ვურჩიოთ იმ ლინგვისტური დავალებების შესრულება, რომლებიც მოცემულია ზალიზნიაკის სტატიაში კრებულში „სტრუქტურულ-ტიპოლოგიური გამოკვლევები“, მოსკოვი, 1961.

ყველაფერი, რაც ზემოთ აღინიშნა, შეეხება უპირატესად ფონოგრაფიული ტიპის დამწერლობებს — ანბანურსა და მარცვლოვანს; დეოგრაფიული დამწერლობების მკვლევრებს სხვა სახის მიზნები და ამოცანები აქვთ. ამ მიმართულებით დიდი გამოცდილება შეიძნეს მეცნიერებმა, რომლებიც შეისწავლიან ლურსმულ და ეგვიპტურ დამწერლობებს. ამ მხრივ საინტერესო თეორიული დაკვირვებები უკუთვნის საბჭოთა მკვლევარს ა.ა. ვაიმანს.

თარგმანი ზურაბ ბარათაშვილმა  
თარგმანი იბეჭდება ეთერ სოსელიას რედაქციით

## ՀԱՅԵՐԱՑՄԱՆ

- P. Aalto, Notes on Methods of Decipherment of Unknown Languages, – «*Studia Orientalia*, XI, 4, Helsingfors, 1945.
- H. Th. Bossert, *Die Ausgrabungen auf dem Karatepe (Erster Vorbericht) – Karatepe Kaziları. Birinci ön-rapor*, Ankara 1950.
- J. Chadwick, *The Decipherment of Linear B*, Second Edition, Cambridge University Press, 1967 (the first edition 1958; Canto Edition 1990; the last reprint 2003) (հյեղլո տարգման, մօսրյ թյմակլյածօտ, սիօլյատ յրեցյլածօ: Тайны древних письмен: проблемы дешифровки, сборник статей, пер. с английского, немецкого, французского и итальянского языков, Издательство «Прогресс», Москва, 1976).
- S. Davis, *The Decipherment of the Minoan Linear A and the Pictographic Scripts*, Johannesburg, 1967.
- J. Friedrich, *Entzifferung verschollener Schriften und Sprachen*, Berlin – Heidelberg – New York, Springer-Verlag, 1954 (թյորյ գյմուզմա 1966) (հյեղլո տարգման: И. Фридрих, *Дешифровка забытых письменностей и языков*, М., 1961).
- J. Friedrich, Ein wohl kleinasiatisches Tontäfelchen mit unbekannter Schrift, «*Kadmos*», III, 1, 1965.
- P. Meriggi, Zur Indussschrift, In: «*Zeitschrift der Deutschen Morgenländischen Gesellschaft*», N. F. XII, 1934.
- G. Ipsen, Der Diskus von Phaistos. Ein Versuch zur Entzifferung, – «*Indogermanische Forshungen*», Band XLVII, Heft 1, 1929 (հյեղլո տարգման, մօսրյ թյմակլյածօտ, սիօլյատ յրեցյլածօ: Тайны древних письмен: проблемы дешифровки, сборник статей, пер. с английского, немецкого, французского и итальянского языков, Издательство «Прогресс», Москва, 1976).
- P. Meriggi, Zur neuen ‘para-karischen’ Schrift, «*Kadmos*», V, 1, 1966.
- Ю. В. Кнорозов, Письменность индейцев майя. Москва – Ленинград, 1963.
- В. С. Стариков, В. М. Наделяев, Предварительное сообщение о дешифровке киданьского письма, յրեցյլածօ: *Предварительное сообщение о дешифровке киданьского письма*. Москва, 1964.
- Б. В. Сухотин, Алгоритмы лингвистической дешифровки, *Проблемы структурной лингвистики*, Москва, 1963.

## ახალი ტიგნები

თამარ მახარობლიძე, ქართული უსტური ენა, რედაქტორი მ. ჯიქა, გამოშემლობა „პეტიტი“, 2012 წელი, 614 გვერდი.

თამარ მახარობლიძე ქართული უსტური ენის კვლევების ფუძემდებლად შეიძლება ჩაითვალოს, რადგან მანამდე სისტემური, ქართული ენის თავისებურებების გათვალისწინებითა და სამეცნიერო კვლევებზე დაფუძნებული სახელმძღვანელოები ამ ენისათვის არ არსებობდა. მანამდე ქართული უსტური ენა რუსულ უსტურ ენას იყენებდა. უსტური ენის ნაციონალიზაცია მნიშვნელოვანი ნაბიჯია არა მარტო ამ საჭიროების ადამიანთათვის, არამედ ქართული ლინგვისტიკისათვისაც, რადგან ეროვნული უსტური ენის შექმნით იკვეთება ენის სიღრმისული შესწავლისათვის მეტად მნიშვნელოვანი მორფოსინტაქსური და სემანტიკური პრობლემები, საკითხები, რომელთა გამოკვეთა აზალი კვლევებისა და მიმართულებების განვითარებას შეუწყობს ხელს. წიგნის რედაქტორი, პროფესორი მარია ჯიქა სამართლიანად აღნიშნავდა „ქართული უსტური ენის“ არაერთ ღირსებას და მათ შორის იმასაც, რომ „პირველად ჩვენი ერის ისტორიაში დაიდო ქართული დაქტილური ანბანი და უსტური ენის გრამატიკა“. თამარ მახარობლიძის სასახლოდ უნდა ითქვას, რომ ღრმა ლინგვისტური ცოდნით შეიარაღებული მეცნიერი არ ეყრდნობოდა მხოლოდ საკუთარ მეცნიერულ ალლოს, უნარსა და გამოცდილებას, არამედ თითოეულ უსტურისა და შტრიხს გამუდმებით უთანხმებდა ამ საჭიროების მქონე ადამიანთა თემს. ყოველივე ეს კი წიგნის მნიშვნელობას უსაზღვროდ უფართოებს მასშტაბებს.

უსტური ენების გრამატიკა მნიშვნელოვნადაა განსხვავებული სამეტყველო ენების გრამატიკებისაგან. ეს, ფაქტობრივად, განსხვავებული, სხვა რაკურსის ხედვაა, რომელიც არ მიჰყება სტანდარტული გრამატიკის სისტემას. უსტური ენის გრამატიკა სემანტიკური კატეგორიების გამოკვეთით იქმნება, ხდება სემანტიკური კატეგორიების უსტურ-მიმიკური გრამატიზაცია. ეს კი თავისთავად გულისხმოს სამეტყველო ენის სისტემაში სემანტიკური კატეგორიების გამოკვეთას, რაც, უნდა ითქვას, რომ ქართული ენის სიღრმისული შესწავლისათვის ასევე მნიშვნელოვანი სიახლეა.

როგორც უკვე ითქვა, უსტური ენის აღწერა განსხვავებული მეთოდებით მიმდინარეობს. მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო გამოცდილება ამ მხრივ დიდია, აუცილებელი იყო ამ გამოცდილების სწორად მისადაგება ქართული ენის მონაცემებთან, ამავე დროს აუცილებლად უნდა იგულისხმებოდეს და კმაყოფილდებოდეს ის სტანდარტები, რაც საერთაშორისო კვლევების შედეგადაა მიღებული. ამდენად, ავტორის წინაშე მეტად მნიშვნელოვანი ამოცანა იდგა. უსტურ ენაში წამყვანია გამლიერებული ვიზუალური აზროვნება, რაც გასათვალისწინებელია უსტური ენის გრამატიკის ყველა დონეზე და ყველა დეტალის ანალიზი-

სას. საზოგადოდ, უესტური ენები მრავალდონიანია. ამ ენებში გამოყოფა მორფოლოგიური, სინტაქსური და ლექსიკური ენობრივი დონეები და ამავე დროს მეტად ძლიერია ლოგიკურ-სემანტიკური ენობრივი დონეც. უესტური ენის გრამატიკის შემდგენლისათვის ამ დონეების სწორად განსაზღვრა და დამუშავება დიდ სამუშაოს, ფართო ხედასა და ლრმა ცოდნას მოითხოვდა. თამარ მახარობლიდის მიერ შექმნილი უესტური ენის გრამატიკა, არა მარტო თავისი პირველადობითაა მნიშვნელოვანი, არამედ საკითხთა დამუშავების სიახლით, შემოქმედებითობით, ნოვატორობით, სიღრმითა და ხედვის მასშტაბურობით.

უესტური ენები, რა თქმა უნდა, გამიჯნულია სამეტყველო ენებში გამოყენებული უესტ-მიმიკებისაგან, ანუ ექსტრალინგვისტური ფაქტორებისაგან. ეს კარგად გასათვალისწინებელი საკითხია. ასევე მნიშვნელოვანია ის ფაქტორიც, რომ აუცილებელია კულტურის სიღრმისეული შესწავლა და დაუწერელი ეთიკური ნორმების მუდმივად გათვალისწინება, ასევე დიალექტური და სოციოლექტური მონაცემების გათვალისწინება, ბარბარიზმებისა და უარგონების გამიჯვნაც და ასე შემდეგ. გარდა ამისა, საგულისხმოა, რომ უესტური ენები მინიმალიზებულია, საერთო ლაკონიზმით ხასიათდება, რაც უმთავრესი მოთხოვნაა უესტური ენისათვის. ამდენად, უესტური ენის გრამატიკის შექმნა მრავალმხრივ გასათვალისწინებელ პოზიციასა და ხედვის ფართო დაბაკაზონს მოითხოვდა. ავტორის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ჩატარებული სამუშაო ამ მხრივაც მრავლისმომცველია.

„ქართული უესტური ენის“ სტრუქტურა შთაბეჭდავია. იგი შემდეგი საკითხების ანალიზს მოიცავს: წინადადება და სიტყვათა რიგი, სივრცე, დრო, საგანი, ნაცვალსახელი, მოქმედება, კლასის კატეგორია, კუთვნილება, თვისება, ზომა-წონის ერთეულები და რაოდენობა, ქართული ენის დაქტილური ანბანი. თითოეული ეს საკითხი მრავალმხრივ საინტერესოა არა მარტო უესტური ენით დაინტერესებული ადამიანებისათვის, არამედ ქართული ენის სპეციალისტებისათვის და ლინგვისტიკის სხვადასხვა სფეროში მომუშავე მეცნიერთათვის, რადგან თითოეული საკითხი ახლებური თვალთახედვითაა გაანალიზებული და არაერთ საკვლევ საკითხს წამოსწევს წინა პლანზე თუნდაც სამეტყველო ენის სიღრმისეული შესწავლის თვალსაზრისით. ფაქტობრივად, წიგნი ფუნქციური გრამატიკის ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს კვეთს, რომელთა შესწავლისა და გაანალიზების გარეშე ენის კვლევა არასრულყოფილად წარმოჩნდება. ამიტომაცაა ეს წიგნი საინტერესო და ყურადღებამისაქცევი.

მნიშვნელოვნი და საინტერესო ნაშრომის შემდეგ თამარ მახარობლიდებ 2015 წელს შექმნა ასევე მასშტაბური, დიდი მოცულობის (1368-გვერდიანი), პირველი „ქართული უესტური ენის ლექსიკონი“. ლექსიკონი საინტერესო სტრუქტურით გამოირჩევა – მოცემულია საანალიზო სიტყვის მეტად დახვეწილი, ლაკონიური და ტევადი განმარტება, უესტის სრულყოფილი აღწერა და სურათი, რომელიც ამ უესტის ვიზუალურ ასახვას წარმოადგენს. ლექსიკონი 4000 ერთეულს მოიცავს და მართლაც გამორჩეული გამოცემა.

ნინო შარაშენიძე

**ქართულ-მეგრულ-ლაზურ-სვანურ-ინგლისური ლექსიკონი.** იდეის ავტორი და პროექტის ხელმძღვანელი რამაზ ქურდაძე; შემდგენლები: რამაზ ქურდაძე, დოდო შონია, ლილე თანდილავა, ლელა ნიჟარაძე; ექსპერტები: მაია ლომია, ომარ მემიშვილი, ქეთევან მარგარიტა-სუბარი; ქართველური ნაწილის რედაქტორი ზურაბ ჭუბაძე; ინგლისური ვერსია თამარ გელაშვილისა; ინგლისური ნაწილის რედაქტორი ირინა გველესიანი. გამომცემლობა „პეტიტი“, თბილისი, 2015, 244 გვ.

ქართულ-მეგრულ-ლაზურ-სვანურ-ინგლისური ლექსიკონი მესამე სამეცნიერო პროდუქტია, რომელიც საქართველოში ბოლო 10 წლის განმავლობაში განხორციელდა შვეიცარიის პატრონაჟით; კერძოდ, აღნიშნულ გამოცემას წინ უძლოდა 2 წიგნი:

- კოლხური (მეგრულ-ლაზური) ენა (თეორიული და პრაქტიკული კურსი ტექსტებითა და ლექსიკონით: რ. ამირეჯიბი-მალენი, ნ. დანელია, ნ. დუნდუა, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2006, გვ. 400).
- სვანური ენა (გრამატიკული მიმოხილვა ტექსტებითა და ლექსიკონით: ზ. ჭუბაძე; ლ. ნიჟარაძე, რ. ქურდაძე, გამომცემლობა „პეტიტი“, თბილისი, 2007, გვ. 390).

ამ წიგნების მომზადება გამოსაცემად და გამოცემა დააფინანსა საქართველოში შვეიცარიის საელჩომ, ხოლო ხუთენოვანი ლექსიკონის მომზადებასა და ბეჭდურად გამოცემაზე იზრუნეს შვეიცარიის საელჩომ საქართველოში და სამხრეთ კავკასიაში შვეიცარიის განვითარების ოფისში.

ხუთენოვანი ლექსიკონი დიდი შენაძენია ქართველოლოგიური ლიტერატურისათვის. ესაა პირველი შემთხვევა, როდესაც ოთხივე ქართველური ენის ლექსიკური ფონდის მონაცემები ერთადაა თავმოყრილი და მას ახლავს ინგლისურნოვანი თარგმანი.

ხუთენოვანი ლექსიკონი სხვა, აქამდე გამოცემული, ლექსიკონებისაგან თვით ქართველური ენების ურთიერთმიმართუებითაც განსხვავდება; კერძოდ, მასში ამოსავალი ქართული ენის მონაცემებია: ლექსიკონში 6000-მდე ქართული სიტყვის მეგრული, ლაზური, სვანური შესატყვისებია წარმოდგენილი, რაც მომხმარებელთა ფართო წრეს უმწერლობით ენების ლექსიკაზე წვდომის შესაძლებლობას აძლევს, გამომდინარე იქიდან, რომ ყველა ქართველური ტომისთვის ქართული არის სწავლა-განათლებისა და წირვა-ლოცვის ენა; ქართული არის საქართველოს სახელმწიფო ენა, ამ ენას ფლობს საქართველოს ყველა მოქალაქე; ამასთან, თუკი უცხოელები საქართველოთი და ქართველური ენებით ინტერესდებიან, პირველ რიგში სწავლობენ ქართულს და მერე სხვა დანარჩენ ქართველურ ენებს. ამრიგად, რომ შევაჯამოთ, შეიძლება ითქვას, რიცხობრივად უფრო მეტი ადამიანი ფლობს ქართულს, ვიდრე დანარჩენ უმწერლობო ენებს. ეს ეხება როგორც ქართველოლოგებს, ასევე ლინგვისტური საკითხებით დაინტერესებულ სხვა სპეციალისტებსა და ფართო საზოგადოებას როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

აღსანიშნავია, რომ ქართველური უმწერლობო ენების ლექსიკონთა უმრავლე-სობა ორენოვანია, რომელთაგან ერთ-ერთი ქართულია; მაგალითად, მეგრულ-ქარ-თული, სვანურ-ქართული, ლაზურ-ქართული ლექსიკონები. გამონაკლისს წარმო-ადგენს ჩ. გუჯარევიანისა და მ. პ. პალმაიტისის სვანურ-ინგლისური (1985) და ო. ქაჯაიას მეგრულ-გერმანული (2001) ლექსიკონები. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ლექსიკონებით სარგებლობის ერთ-ერთი წინაპირობაა ქართული ანბანური დამ-წერლობისა და იმ უმწერლობო ქართველური ენის ცოდნა, რომელიც ამოსავა-ლია ამა თუ იმ ლექსიკონისათვის. ეს ერთ-ერთი ხელის შემშლელი ფაქტორია, რის გამოც ფართო ტიპოლოგიურ კვლევებში უმწერლობო ქართველური ენების მონაცემების ჩართვა სრულყოფილად ვერ ხერხდება. ხუთენოვანი ლექსიკონი ამ მხრივ სიახლისკენ გადადგმული ნაბიჯია.

როგორც ლექსიკონის წინასიტყვაობაშია ნათქვამი, ნაშრომის მიზანია, წარმო-აჩინოს ქართველურ ენათა გენეტიკური ნათესაობა ფორმობრივ-შინაარსობრივი ადეკვატური ლექსიკური ერთეულების მეშვეობით, გამოივლინოს ენის განვითარე-ბის დინამიკა სინქრონიულ და დიაქრონიულ ჭრილში, კერძოდ, აჩვენოს ლექსი-კურ ერთეულთა ისტორიული განვითარების გზა ძველი ქართულიდან დღემდე-ლექსიკონში წარმოდგენილია ფართო ლექსიკა; განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ძირული ლექსიკა, რომელიც მოიცავს: ნათესაობის აღმნიშვნელ ტერმინებს, ადა-მიანის სხეულის ნაწილებს, ციურ მნათობთა სახელებს, ადგილობრივი ფლორისა და ფაუნის ტერმინოლოგიას, ხილისა და ბოსტნეულის დასახელებებს, დროის აღ-მნიშვნელ ლექსიკურ ერთეულებს, ზედსართავ და რიცხვით სახელებს, ნაცვალსა-ხელებს, ზმნიზედებს, სამეურნეო საქმიანობის ამსახველ ლექსიკურ ერთეულებს, რელიგიურ ტერმინებს, ფართოდ გავრცელებულ ზმურ ფორმებს, როგორებიცაა: ქონა-ყოლის, ყოფნის, სიარულისა თუ ჭამა-სმის აღმნიშვნელი ზმნები და სხვა.

ლექსიკონში ქართველურ ენათა მონაცემების ამგარად დალაგებას აქვს რო-გორც მეთოდოლოგიური მნიშვნელობა, ასევე სტრატეგიული დანიშნულება, რადგან იგი ემსახურება იმ ერთიანი მსოფლმხედველობის წარმოჩენას, რომელმაც შეკრა ქართველური ტომები და განსაზღვრა მათი ეროვნული მთლიანობა. გასულ საუკუ-ნეში ჯერ კიდევ ო. ყიფშიძე ავითარებდა აზრს იმის შესახებ, თუ რამდენად აუცი-ლებელია ოთხივე ქართველური ენის ცოდნა თავად ქართველური ტომებისთვის მა-თი ეროვნული თვითშემცენებისა და კონსოლიდაციის მიზნით; ამის გათვალისწინე-ბის გარეშე, რამდენად კურიოზული სიტუაცია შეიძლება შეიქმნას, როცა ერთი მი-წაწყლის შვილები, ღვიძლი მებები ერთმანეთს ვერ უგებენ (დაწვრ. იხ. ო. ყიფშიძე, ოდიშისა და სამეურზაყანოში (მგზავრის შენიშვნები), გაზ. „კოლხიდა“, №17, ქუთაი-სი, 1911; წერილი დაიბეჭდა ძაკაშვილი-აღვეჯიშიძის ფსევდონიმით). წინამდებარე ხუ-თენოვანი ლექსიკონი ეხმანება ო. ყიფშიძის წერილში დასტულ პრობლემას იმ თვალსაზრისთ, რომ წარმოჩენს ქართველური ტომების საერთო მსოფლმხედველო-ბის ერთიან ხაზს, ხელს უწყობს ქართველურ ენათა ლექსიკის გავრცელებას.

ლექსიკონში მოცემული ინგლისურენოვანი თარგმანი გაადვილებს ამ წიგნის მიმოქცევას უცხოენოვან გარემოში და პირველ რიგში დაეხმარება მათ, ვინც ას-წავლის ქართულს სხვა ქართველურ ენებთან კავშირში.

ნაშრომი ასევე მიზნად ისახავს, წარმოაჩინოს ქართველურ ენებში არამონა-თესავე ენების (რუსულის, ბერძნულისა და თურქულის) გავლენის კვალი ახალი ნასესხობების საშუალებით, რაც იმავდოროულად ენის განვითარების დინამიკის მაჩვენებელია სინქრონიულ ეტაპზე. ეს საკითხი მნიშვნელოვანია როგორც ენის ისტორიის, ასევე ენაში მიმდინარე ზოგადი პროცესების განხილვის თვალსაზრი-სითაც. საერთოდ, ნასესხობათა აღნუსხვა დიდ დახმარებას გაუწევს ენობრივი კონტაქტებით დაინტერესებულ მკვლევართაც.

ხუთენოვანი ლექსიკონი ფასდაუდებელია ქართველოლოგიური კვლევა-ძიები-სათვის, ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების საკითხებით დაინტერესებული მკვლევრებისათვის, ასევე, ჰუმანიტარული დარგის სხვა სპეციალისტებისა და ფართო საზოგადოებისათვის.

ბუნებრივია, შვეიცარიის საელჩო საქართველოში და სამხრეთ კავკასიაში შვეიცარიის განვითარების ოფისი გულწრფელ მადლობასა და პატივისცემას იმ-სახურებენ არა მარტო ასეთი მნიშვნელოვანი დახმარებისთვის, არამედ საერთოდ ქართული ენისა და კულტურის პოპულარიზაციისათვისაც. ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ ქართულ-შეგრუულ-ლაზურ-სვანურ-ინგლისური ლექსიკონი ინახება ბერნის უნივერსიტეტთან არსებული ენათმეცნიერების ინსტიტუტის ბიბ-ლიოთეკაში და მის შესახებ ინფორმაცია შეტანილია შესაბამის კატალოგში (იხ. ბმული: <https://www.swissbib.ch/Record/335991041>) და შვეიცარიის მასშტაბით ნებისმიერ მომხმარებელს შეუძლია ისარგებლოს ამ ლექსიკონით.

**მანანა ტოფაძე-გომანი**  
ფილოლოგიის დოქტორი (Ph.D.)  
ბერნის უნივერსიტეტი, შვეიცარია  
სექტემბერი, 2015 წელი

***Georgisch-Megrelisch-Lasisch-Swanisch-Englisches Wörterbuch.*** Projektleiter und Ideenautor: Ramaz Kurdadze; Verfasser: Ramaz Kurdadze, Dodo Shonia, Lile Tandilava, Lela Nizharadze; Experten: Maia Lomia, Omar Memishishi, Ketavan Margiani-Subari; Herausgeber des kartvelischen Teils: Zurab Chumburidze; Englische Version von Tamar Gelashvili; Herausgeberin des englischen Teils: Irina Gvelesiani; Verlag “Petiti”; Tbilissi, 2015; 244 S.

Das fünfsprachige Wörterbuch Georgisch-Megrelisch-Lasisch-Swanisch-Englisch ist das 3. wissenschaftliche Projekt, welches während der letzten 10 Jahre in Georgien durch die Unterstützung der Schweizerischen Eidgenossenschaft verwirklicht wurde. Vor dem fünfsprachigen Wörterbuch wurden folgende 2 Werke veröffentlicht:

- Kolchische (megrelisch-lasische) Sprache: Theoretisches und Praktisches Lehrbuch samt Texten und Wörterbuch von R. Amirejibi-Mullen, N. Danelia, N. Dundua. Verlag “Universali“, Tbilissi, 2006, 400 S.
- Swanische Sprache: Grammatischer Überblick samt Texten und Wörterbuch von Z. Chumburidze, L. Nizharadze, R. Kurdadze. Verlag “Petiti“, Tbilissi, 2007, 390 S.

Die Vorbereitung und die Veröffentlichung der oben erwähnten Bücher wurden von der Schweizerischen Botschaft in Georgien finanziert, die, wie auch das Schweizerische Kooperationsbüro im Südkaukasus, die Vorbereitung und den Druck des fünfsprachigen Wörterbuchs unterstützt haben.

Das fünfsprachige Wörterbuch ist ein innovativer und wertvoller Beitrag zur kartwelologischen Literatur. Es ist nämlich das erste Nachschlagewerk, das den Wortschatz aller vier Kartwelsprachen vergleichend berücksichtigt. Es liefert zudem eine englische Übersetzung mit. Auch im Aufbau unterscheidet sich das fünfsprachige Wörterbuch von den bisher veröffentlichten Wörterbüchern der Kartwelsprachen: Zwar ist die Ausgangssprache Georgisch, welche ca. 6000 Wörter umfasst, aber, nebeneinander dargestellt, sind die megrelischen, lasischen und swanischen Äquivalente. Versehen durch eine englische Übersetzung, ermöglicht diese einem breiten Leserkreis erstmals den Zugang zum Wortschatz der ungeschriebenen Sprachen.

Das Georgische, die offizielle Sprache Georgiens, ist gleichzeitig die Sprache der Bildung und des Gottesdienstes aller Kartwelstämme. Die an Georgien und an Kartwelsprachen interessierten Ausländer erwerben für gewöhnlich das Georgische, welches als Schriftsprache später den Zugang zu den anderen Kartwelsprachen erleichtert. Folglich ist die Zahl der Menschen, die das Georgische beherrschen höher, als jene, die andere Kartwelsprachen sprechen. Dies gilt sowohl für Kartwelologen als auch für Vertreter anderer Branchen der Sprachwissenschaft wie für die breite Öffentlichkeit in Georgien oder im Ausland.

Bis auf zwei Ausnahmen (Swanisch-Englisches Wörterbuch von Ch. Gujejiani und M. L. Palmaitsis, 1985 und Megrelisch- Deutsches Wörterbuch von O. Kajaia, 2001) sind die bisher erschienenen Wörterbücher für ungeschriebene Kartwelsprachen zweisprachig, davon eine immer das Georgische, beispielsweise das Megrelisch-, Swanisch- oder Lasisch-Georgisches Wörterbuch. Eine der Voraussetzungen für die Benutzung der erwähnten Wörterbücher ist die Beherrschung der georgischen Schrift und der betreffenden ungeschriebenen Kartwelsprachen. Dies ist eines der Hindernisse, weshalb die Sprachdaten der ungeschriebenen Kartwelsprachen in den breiten sprachtypologischen Untersuchungen nicht immer berücksichtigt werden konnten. Das fünfsprachige Wörterbuch ist in dieser Hinsicht eine echte Neuigkeit und somit ein bedeutender Schritt für die Beseitigung dieser Lücken.

Laut Vorwort des Wörterbuches hat es als Ziel, die genetische Verwandtschaft der Kartwelsprachen anhand der lexikalischen Einheiten sowohl in formaler als auch in inhaltlicher Hinsicht aufzuzeigen. Auch soll die Dynamik der Sprachentwicklung in synchronischer und diachronischer Perspektive veranschaulicht werden. Hervorgehoben wird damit insbesondere die Entwicklungsgeschichte der lexikalischen Einheiten vom Altgeorgischen bis zum Neugeorgischen.

Das Wörterbuch enthält einen umfangreichen Wortschatz, insbesondere einen Grundwortschatz, der folgende Bereiche umfasst: Verwandschaftsbezeichnungen, die Anatomie des menschlichen Körpers, eine Terminologie der Himmelskörper, der lokalen Flora und Fauna oder Einträge für Obst und Gemüse; lexikalische Ein-

heiten für die Bezeichnung der Zeit; Begriffe aus der Landwirtschaft und religiöse Terminologie; Adjektive, Numerale, Pronomen, Adverbien, und nicht zuletzt weit verbreitete Verben wie diejenige für die Bezeichnung des Besitzes, der Bewegung oder etwa des Essens.

Die skizzierte Darstellung der Sprachdaten hat eine methodologische und eine strategische Bedeutung und dient mitunter dazu, die gemeinsame Weltsicht, welche die nationale Einheit der Kartwelstämme bestimmt hat, aufzuzeigen.

Bereits im vergangenen Jahrhundert äusserte der georgische Sprachwissenschaftler I. Kipshidze die Meinung, wie notwendig es für die Kartwelstämme sei, zwecks nationaler Identifikation und Konsolidierung, alle 4 Kartwelsprachen zu beherrschen. Es könnte nämlich bizarr anmuten, wenn die Landsleute und Brüder einander nicht verstehen würden (vgl. I. Kipshidze, „In Odishi und Samurzaq’ano (Beobachtungen eines Reisenden)“, erschienen unter dem Pseudonym Makoshvili-Aleksidze in der Zeitung „Kolchida“ n. 17. Kutaissi, 1911).

Das fünfsprachige Wörterbuch ist eine Antwort auf das von I. Kipshidze aufgeworfene Problem, indem es die gemeinsame Linie der Weltanschauung der Kartwelstämme aufzeigt und dazu beiträgt, den Wortschatz der Kartwelsprachen allen Interessierten zugänglich zu machen. Darüber hinaus leistet die englische Übersetzung der lexikalischen Einheiten eine grosse Hilfe sowohl fremdsprachigen Lesern als auch Lehrpersonen, welche die georgische Sprache und ihre Verwandtschaft mit den anderen Kartwelsprachen vermitteln möchten.

Das Ziel des Werkes ist es ebenfalls, anhand neuerer Entlehnungen Einflüsse der nicht verwandten Sprachen (bspw. Russisch, Griechisch, Türkisch) auf das Kartwelische zu veranschaulichen und somit die Entwicklungsdynamik der Sprache auf synchronischer Ebene hervorzuheben. Diese Angaben sind besonders für Sprachkontaktforscher hilfreich.

Das fünfsprachige Wörterbuch ist demnach ein unschätzbares Nachschlagewerk sowohl für die kartwelologische Forschung als auch für Forscher der historisch-vergleichenden Sprachwissenschaft, der Geisteswissenschaften und natürlich auch für den breiten Leserkreis.

Der Schweizerischen Botschaft in Georgien und dem Schweizerischen Kooperationsbüro im Südkaukasus gebührt der aufrichtige Dank nicht nur für die grosse Unterstützung bei der Verwirklichung dieses Werkes, sondern gerade dadurch auch für die Förderung der georgischen Sprache und Kultur. Das Georgisch-Megrelisch-Lasisch-Swanisch-Englische Wörterbuch ist Teil des Bibliotheksbestands des Instituts für Sprachwissenschaft der Universität Bern (s. Katalogeintrag unter <https://www.swissbib.ch/Record/335991041>) und kann schweizweit von interessierten Lesern konsultiert werden.

**Manana Topadze-Gäumann, (Ph.D)**

Institut für Sprachwissenschaft,

Universität Bern

Im September 2015

## გამოსმაურებები

\*

“Your dictionary is brilliant! It will be helpful to me and my students. (Right now I have one graduate student interested in Georgian and Svan, and I will send the link to him immediately.) I am glad to see that ბატონი ზურაბ is still very active. My student and I read some of your (you-plural!) Svan book together last year”.

„შენი ლექსიკონი ბრწყინვალეა! სასარგებლო იქნება ჩემთვის და ჩემი სტუდენტებისათვის“ (სწორედ ახლა მყავს ქართულით და სვანურით დაინტერესებული ერთი სტუდენტი და მე მას დაუყოვნებლივ გავუგზავნი ამ ლექსიკონის ლინკს). მიხარია, რომ ბატონი ზურაბი<sup>1</sup> ისევ ძალიან აქტიურად მუშაობს. შარშან მე და ჩემმა სტუდენტმა ერთად წავიკითხეთ გარკვეული ნაწილები თქვენი სვანურის წიგნიდან“.<sup>2</sup>

პროფესორი ალისა ჰარისი,  
მასაჩუსეტსის ამპერსტის უნივერსიტეტი, აშშ

\*\*

ძვირფასო ქალბატონო მაია,<sup>3</sup>

დღეს მივიღე თქვენ მიერ გამოგზავნილი ხუთენოვანი (ქართულ-მეგრულ-ლაზურ-სვანურ-ინგლისური) ლექსიკონი, რითაც ძალიან გამახარეთ და რისთვისაც დიდ მადლობას გიხდით. გილოცავთ ამ მშვენიერ და სასარგებლო გამოცემას. ძალიან გთხოვთ გადასცეთ ჩემი დიდი მადლობა ყველას, ვინც კი მონაწილეობა მიიღო ამ წიგნის შედგენაში, განსაკუთრებით ამ ნაწარმოების სულის ჩამდგმელს, ბატონ რამაზ ჭურდაძეს და ბატონ ზურაბ ჭუმბურიძეს დიდი პატივისცემით. თქვენ ყველას გისურვებთ ჯანმრთელობას და მომავალშიც დიდ წარმატებებს.

ჰაინც ფენრიჩი  
ბურგელი, გერმანია  
4 მაისი, 2015 წელი

\*\*\*

ძვირფასო ქალბატონო მაია,

ნათია დუნდუამ გამომიგზავნა თქვენი საჩუქარი, თქვენი უნივერსიტეტის გაზეთის უაღრესად საინტერესო ნომერი... მოხარული ვარ, რომ თქვენი ხუთენოვანი ლექსიკონი ასე დადებითად მიიღეს.

<sup>1</sup> პროფესორი ზურაბ ჭუმბურიძე

<sup>2</sup> იგულისხმება: „სვანური ენა, გრამატიკული მიმოხილვა, ტექსტები, ლექსიკონი”, ზ. ჭუმბურიძე, ლ. ნიქარაძე, რ. ჭურდაძე, გამომცემლობა „პეტიტი“, თბ., 2007.

<sup>3</sup> ასოცირებული პროფესორი მაია ლომია.

გილოცავთ წარმატებას!

მე პირადად ამ ლექსიკონს ორი მიზეზის გამო ვაფასებ: ჯერ ერთი, ზოგად მკითხველს აჩვენებს, რომ ქართული, მეგრული, ლაზური და სვანური ნამდვილად ერთი ოჯახის ლამაზი „დები“ არიან, თავიანთი მსგავსებებითა და განსხვავებებით და, რაც მთავარია, თათოეული თავისი ღირსებით. და მერე: ენათმეცნიერს გაუადვილებს მუშაობას, როდესაც შესატყვის ლექსებს ეძებს და ეჭიმოლოგიური წარმოშობის სიახლოვეს ან სხვაობას აწონ-დაწონის.

კეთილი სურვილებით  
ვინფრიდ ბოკერი  
ოლდენბურგი, გერმანია  
13 ივნისი, 2015 წელი

\*\*\*\*

ბატონო რამაზ,

გუშინ გადმომცა ბერნში მანანა ტოფაძემ ქართულ-მეგრულ-ლაზურ-სვანურ-ინგლისური ლექსიკონი. ძალიან დიდი მაღლობა ყურადღებისთვის. ბავშვობიდან ჩემი ჰობია ლინგვისტიკის საკითხები და ძალიან გამახარა ასეთი წიგნის მიღებამ.

დიდი პატივისცემით,  
**ორაკული კურაშვილი**  
საქართველოს ელჩი შვეიცარიის კონფედერაციაში  
და ლიხტენშტაინის სამთავროში  
03 ივლისი, 2015 წელი

\*\*\*\*\*

Sehr geehrter Herr. Prof. Kurdadze,

am vergangenen Freitag hat Frau Dr. Mtschedlischwili-Hädrich der Thüringer Universitäts- und Landesbibliothek Jena Ihr gerade erschienenes und für den Bereich Kaukasiologie hochinteressantes Wörterbuch als Geschenk überreicht. Ich habe bereits die Einarbeitung des Buches veranlasst, sodass es in Kürze für Forschung und Lehre zur Verfügung stehen wird. Als Fachreferent für Kaukasiologie und im Namen der Bibliotheksleitung möchte ich Ihnen an dieser Stelle ganz herzlich für diese großzügige Gabe danken.

Mit freundlichen Grüßen  
**Dr. Boris Hoge-Benteler**

Fachreferate Anglistik/Amerikanistik, Germanistik,  
Indogermanistik, Kaukasiologie, Romanistik, Slawistik  
Thüringer Universitäts- u. Landesbibliothek Jena  
13 Juli, 2015

პატივცემულო ბატონო ქურდაძე,  
გასულ პარასკევს ქალბატონმა, დოქტორმა მჭედლიშვილმა-ჰედრიხმა თიუ-  
რინგის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას ინაში საჩუქრად გადმოსცა თქვენი ახ-  
ლად გამოსული ლექსიკონი, რომელიც ძალიან საინტერესოა კავკასიოლოგების-  
თვის. წიგნი მაღე დამუშავდება და კვლევისა და სწავლებისათვის გამოიყენება.  
მე, როგორც კავკასიოლოგის ექსპერტი, ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობის სახე-  
ლით, გულითად მადლობას გიხდით დიდსულოვნი საჩუქრისათვის.

გულითადი მოკითხვით,  
**ბორის პოვე-ბენტელერი**

ექსპერტი, პასუხისმგებელი პირი ანგლისტიკის,  
ამერიკანისტიკის, გერმანისტიკის, ინდოგერმანისტიკის,  
კავკასიოლოგის, რომანისტიკის, სლავისტიკის სფეროში  
იენის თიურინგის უნივერსიტეტსა და სამხარეო ბიბლიოთეკაში  
13 ივლისი, 2015 წელი

\*\*\*\*\*

Dear Prof. Kurdadze,

Thank you very much for the “Georgian-Megrelian-Laz-Svan-English Dictionary” which you sent to our library. This book is going to be very useful to our students.

Yours sincerely  
**Sonja Latscha**, Universität Bern, Bibliothek  
des Institutes für Sprachwissenschaft  
Aug 18, 2015

ძვირფასო პროფესორო ქურდაძე,  
დიდად გმადლობთ „ქართულ-მეგრულ-ლაზურ-სვანურ-ინგლისური ლექსიკო-  
ნისთვის“, რომელიც ჩვენს ბიბლიოთეკას გამოუგზავნეთ. ეს წიგნი ძალიან გამო-  
ადგება ჩვენს სტუდენტებს.

პატივისცემით,  
**სონა ლატჩა**, ბერნის უნივერსიტეტის  
ენათმეცნიერების ინსტიტუტის ბიბლიოთეკა  
18 აგვისტო, 2015

## შინაარსი

<b>მოთა გავრინდაშილი – 100</b>	5
შოთა გაფრინდაშილის სამეცნიერო შრომების ბიბლიოგრაფია	
რუსულან ასათიანი. გვარის კატეგორია ქართველურ ენებში:	
რეინტერპრეტაცია და რეკონსტრუქციის მცდელობა	
Rusudan Asatiani. The Category of Voice in the Kartvelian Languages: Reinterpretations and Attempts of Reconstruction	
27	
ვინფრიდ ბოედერი. ქართული სიტყვის მორფოლოგიური	
და სინტაქსური თვისებები	
Winfried Boeder. Morphological and Syntactic Properties of the Georgian Word	
48	
თინათიძე ბოლკვაძე. „ენობრივი კავშირი“ საბჭოთა ენათმეცნიერებაში	
ნაწილი პირველი: „ენობრივი კავშირის“ ნაკლოვანებები	
ბურუჟუზიული ენათმეცნიერების კრიტიკის ფონზე	
52	
Tinatin Bolkvadze. “Language Union” in Soviet Linguistics	
Part I: Drawbacks of “Language Union” against the Background	
of Criticism of Bourgeois Linguistics	
68	
რუსულან გერსამია. ონტერვოკალური რედუპლიკაცია ქართველურ ენებში	
Rusudan Gersamia. Intervocalic Reduplication in the Kartvelian Languages	
85	
რუსულან ზექალაშვილი, ელენე კიკნაძე. ზმნური ნეოლოგიზმები ქართულ	
პოეტურ დისკურსში	
86	
Rusudan Zekalashvili, Elene Kiknadze. Verbal Neologisms in the Georgian	
Poetic Discourse	
100	
მარინე ივანიშვილი. ხების სახელები ქართველურში: ნეკერჩალ-,	
ურთხელ-, მერხლ-, წყავ-	
102	
Marine Ivanishvili. Tree Names in Kartvelian: nek'erčhal-, urtxel-,	
3merxl-, c'q'av-	
108	
Attia Mohammad Abdel-Ghaffar Youseif. The Influence of the Arabic Language	
on the Georgian Language and Applying such an Influence on	
Teaching Arabic to Georgian Students	
109	
ატია მუჰამად აბდელ-ღაფარ იუსეიფი. არაბული ენის გავლენა ქართულ ენაზე	
და ამ ფაქტორის გამოყენება ქართველი სტუდენტებისთვის არაბული	
ენის სწავლების პროცესში	
125	
ივორ ქეხლა. მიებანი აფხაზეთის ტოპონიმიდან (დალი, კოდორი)	
Igor Kekelia. Research into the Toponymy of Abkhazia (Dali, Kodori)	
138	
Gia Kvashilava. Interpretation of the Common Kartvelian	
Linear A Script sequences ku-ro and ki-ro	
139	
გია კვაშილავა. A კლასის ხაზოვანი <i>ku-ro</i> და <i>ki-ro</i> ფორმების	
ამოკითხვა საერთო-ქართველურ ენაზე	
161	
ივანე ლეჟავა. წინააღმდეგობის ნაპრალოვანთა არტიკულაციის	
ერთი თავისებურება	
162	
Ivane Lezhava. One Peculiarity of Articulation of Coronal Fricatives	
165	

<b>მაია ლომია, რუსულან გერსამია. დროის აღმნიშვნელი ლაზური ლექსიკის</b>	
სტრუქტურული და სემანტიკური ანალიზი .....	167
<i>Maia Lomia, Rusudan Gersamia. Structural and Semantic Analysis of Laz Vocabulary Denoting Time .....</i>	174
<b>ქეთევან მარგარიტა-სუბარი, რუსულან იოსელიანი. კვლავ „მყოფადუსრულის“</b>	
შესახებ სვანურში .....	175
<i>Ketevan Margiani-Subari, Rusudan Ioseliani. Once Again on the “Future Imperfect” in Svan .....</i>	180
<b>ნინო ნოზაძე. „ეცეკება“ ტიპის ზმნები და მათი სემანტიკური ინტერპრეტაცია .....</b>	181
<i>Nino Nozadze. Semantic Interpretation of the ecek'veba Type Verbs .....</i>	194
<b>ნიკოლოზ ოთიანიშვილი. სამთავრულის სარგოს წიგნისა და საკანონოს</b>	
პალეოგრაფიული და ენობრივი თავისებურებანი .....	197
<i>Nikoloz Otinashvili. Paleographic and Linguistic Peculiarities of Samtavneli Sargo Book and Sakanono .....</i>	200
<b>მედეა საღლიანი. სივრცული ლოკალიზაციისათვის სვანურში .....</b>	202
<i>Medea Saghliani. On Spatial Localization in Svan .....</i>	216
<b>იზაბელა ქობალავა. დროის სემანტიკა მეგრულში .....</b>	218
<i>Izabella Kobalava. Time Semantics in Megrelian .....</i>	251
<b>ნინო შარაშენიძე. ევიდენციალობის (უნახაობის) კატეგორია ქართული</b>	
ენის დასავლურ დიალექტებში: ნა-პრეფიქსიანი	
ფორმების ფუნქციურ-სემანტიკური ანალიზისათვის .....	252
<i>Nino Sharashenidze. The Category of Evidentiality (the Unseen) in the Western Dialects of the Georgian Language: On the Functional-Semantic Analysis of Forms with prefix .....</i>	261
<b>ქეთევან ძიძიგური. ნეტარი ავგუსტინეს სემიოტიკური იდეები .....</b>	262
<i>Ketevan Dzidziguri. Semiotic Ideas of Blessed Augustine .....</i>	270
<b>ენათევცნირების ისტორიიდან</b>	
მცირე რეცენზია დიდ საკითხზე (თინათინ ბოლქვაძე) .....	272
<i>Екатерина Вельмезова. «Китайский вопрос» как причина вмешательства Сталина в советское языкознание в 1950 году: взгляд А. Солженицына .....</i>	275
<b>თარგმანი</b>	
<b>ვილჰელმ ფონ პუბლიუს ტიუდიუდტი. სხვადასხვა ეპოქის მიხედვით ენათა განვითარების შედარებითი შესწავლა .....</b>	284
<i>ივორ დაიკონოვა. მველი ტექსტების დეშიფრირების მეთოდთა შესახებ .....</i>	302
<b>ახალი ლიტერატურის</b>	
თამარ მახარობლიძე. ქართული ჟასტური ენა, რედაქტორი მ. ჯიქია, გამომცემლობა „პეტიტი“, 2012 წელი, 614 გვერდი (ნინო შარაშენიძე) .....	323
ქართულ-მეგრულ-ლაზურ-სვანურ-ინგლისური ლექსიკონი, გამომცემლობა „პეტიტი“, თბილისი, 2015, 244 გვ. (მანანა ტოფაძე-გომიანის რეცენზია და გამოხმაურებები)	325

გამომცემლობის რედაქტორები:  
გარეკანის დიზაინი  
ქომპ. უზრუნველყოფა

ცირა ჯიშკარიანი  
ნანა კაჭაბავა  
მარიამ ებრალიძე  
ლალი კურდგელაშვილი

TSU Press Editors:  
Cover Designer  
Layout Designer

Tsira Jishkariani  
Nana Katchabava  
Mariam Ebralidze  
Lali Kurdghelashvili

0179 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 14  
14, Ilia Tchavtchavadze Ave., Tbilisi 0179  
Tel: 995(32)2251432  
[www.press.tsu.edu.ge](http://www.press.tsu.edu.ge)